ალისფერი დამლა

ნათანიელ ჰოთორნი

ახალგაზრდა
მეგობრების
თარგმ

ნათანიელ ჰოთორნი

ალისფერი დამღა

ინგლისურიდან თარგმნა
ანი კოპალიანმა

გამომცემლობა
ინტელექტი

აკრძალული წიგნების თარო
საგამომცემლო პროექტის ავტორი
გვანცა ჯობავა

ნათანიელ ჰოთორნი
ალისფერი დამღა

NATHANIEL HAWTHORNE
THE SCARLET LETTER
Translated by Ani Kopaliani

Funded through the Book Translation Program,
U.S. Embassy in Georgia

დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს
წიგნების თარგმნის პროგრამის ფარგლებში

რედაქტორი ზვიად კვარაცხელია
დამკაბადონებელი ლიკა სხირტლაძე
გარეკანის დიზაინერი თეონა ჭანიშვილი

ISBN 978-9941-476-28-0
© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2018.

საბაჟო:
შესავალი „ალისფერი დამღისათვის“

ცოტა არ იყოს და გასაოცარი ამბავია – თუმცაღა არც ბუხრის პირას და არც მეგობართა წრეში საკუთარ თავსა თუ საქმეებზე ბევრი ლაპარაკი არ მჩვევია, ცხოვრებაში ორჯერ შემიპყრო დაუძლეველმა სურვილმა საზოგადოებისათვის ჩემი თავგადასავალი მომეთხრო. პირველად ეს სამი-ოთხი წლის წინათ მოხდა, როდესაც მსმენელთა კეთილგანწყობით მოურიდებლად ვისარგებლე – და იმ უბადრუკი მიზეზის გამო, რომელსაც ვერც ყველაზე შემწყნარებელი მკითხველი გამიგებს და არც ყველაზე აბეზარი ავტორი მიიჩნევს გონივრულად – აღვწერე ჩემი ცხოვრების მდინარება „პასტორის ძველი სახლის“ უკაცრიელ მდუმარებაში. და ახლაც – რადგანაც წინა ჯერზე სრულიად დაუმსახურებელი პატივი მერგო და ორიოდე მსმენელი გამომიჩნდა – გადავწყვიტე კიდევ ერთხელ შეგაწყინოთ თავი და საბაჟოზე გატარებული სამი წლის შესახებ მოგითხროთ. ცნობილ ნაწარმოებს „პ. პ. – ამ მრევლის დიაკვანი[1]“ არასოდეს ჰყოლია უფრო ერთგული მიმბაძველი. თუმცაღა კი სიმართლე მაინც ისაა, რომ, როდესაც ავტორი თავის ხელნაწერებს ქარს ატანს, ფიქრობს არა იმ უმრავლესობაზე, რომელიც მის წიგნს ხელში აღებისთანავე გვერდზე მოისვრის, არამედ იმ ორიოდე ადამიანზე, რომლებიც უკეთ გაუგებენ, ვიდრე მისი სკოლისა თუ მოწიფულობის ასაკის მეგობართა უმეტესობა.

[1] ალექსანდრ პოუპის სატირული ნაწარმოები, გაჯერებული ვრცელი და არაფრისმომცემი აღწერებითა და მოგონებებით.

ზოგიერთი მწერალი კიდევ უფრო შორს მიდის და თავს იმგვარი გულახდილობის უფლებას აძლევს, თითქოს მის წიგნს მხოლოდ ის ერთადერთი და განსაკუთრებული არსება წაიკითხავს, რომელიც ჭეშმარიტად თანაუგრძნობს მას; თითქოსდა დაბეჭდილ, ქვეყნის სამსჯავროზე გამოტანილ ნაწარმოებს შეეძლოს, მიზანდასახულად გაიკვლიოს გზა ავტორის ბუნების თანამოზიარე რჩეულთა გულებამდე და ამგვარად მწერლის გარშემო თანამოაზრეთა წრე შეკრას. მე მაინც მგონია, რომ არ არის ლამაზი, როცა ადამიანი დაუფარავად ფქვავს ყველაფერს თუნდაც წარმოსახული პერსონაჟის შესახებ. მაგრამ რაკიღა ორატორს, თუკი იგი თავის მსმენელს ბოლომდე არ გადაუშლის გულს, აზრები გაურბის და ენაც ებორკება – შეგვიძლია თხრობისას წარმოვიდგინოთ, რომ ამ ყველაფერს ვუყვებით მეგობარს, გულკეთილსა და გულისხმიერს, მაგრამ არცთუ ძალიან ახლობელს. და რაკიღა მისი გულითადი თანაგრძნობა ჩვენს თანდაყოლილ სიმორცხვეს თოვლივით ადნობს, დაე, ვილაყბოთ გარემომცველ სამყაროზეც და საკუთარ თავზედაც, ოღონდ ჩვენი სულის ყველაზე სანუკვარ საიდუმლოებებს კი საბურველს ნუ ავხდით. ამგვარად და ამ ჩარჩოების დაცვით ავტორი, ჩემი აზრით, შეძლებს დაწეროს ავტობიოგრაფიული თხზულება ისე, რომ არც საკუთარ თავს ავნოს და არც მკითხველი დატოვოს გულნაკლული.

ასევე დავინახავთ, რომ წიგნის ეს მონაკვეთი, რომელშიც საბაჟოს ყოფა-ცხოვრებაა ასახული, ლიტერატურის მიერ აღიარებული წესებისა და კანონების დაცვითაა შედგენილი; იგი განმარტავს, თუ როგორ ჩამივარდა ხელში წინამდებარე ფურცლების ეს მოზრდილი დასტა, რომელიც ჩემ მიერ მოთხრობილი ამბის უტყუარობის დასტურია. უმთავრესი მიზეზი კი, რომელმაც, ფაქტობრივად, მაიძულა მკითხველისთვის პირადად მიმემართა, ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოებისათვის ნათლის მოფენის სურვილია: მე მხოლოდ რედაქტორის ან ოდნავ უფრო მეტი წვლილი თუ მიმიძღვის ამ თხზულების შექმნაში, რომელიც, ალბათ, უვრცესია იმათგან, რასაც კი ჩემი ხელმოწერა დაამშვენებს.

ხოლო ამ მთავარი მიზნის აღსასრულებლად თავს ნებას ვაძლევ, რამდენიმე დამატებითი შტრიხით, მინიშნებით მაინც აღგიწეროთ ცხოვრების ის წესი, რომელზედაც ადრე არაფერი გვითქვამს და პერსონაჟები, რომელთა შორისაც, შემთხვევითობის წყალობით, ავტორიც მოხვდა.

ჩემი მშობლიური ქალაქი სალემი ნახევარი საუკუნის წინათ, მოხუცი მეფე დერბის[1] დროს, ხალხმრავალი ნავსადგური იყო, თუმცა ამჟამად იქაურობა ხის დამპალი საწყობებითაა გადავსებული და აღებ-მიცემობაც ლამის სულს ღაფავს. იქით რამდენიმე ბარკა ან ბრიგი – ჯერ ბოლომდე გადმოუტვირთავი – სანახევროდ წყლის ნაღვლიან სიღრმეში ჩაძირულა; აქეთ ნოვა სკოტიიდან მოსულ შეშით დატვირთულ შხუნას ცლიან. ნავსადგური, როგორც უკვე გითხარით, თითქმის დაუნგრევია ხშირ-ხშირად გადავლილ ტალღებს; შენობების საძირკვლებსა და ტროტუარებზე უხვად მოდებული ბალახი კი უსაქმობაში გატარებულ მრავალ წელიწადზე მოგვითხრობს. აქვე დგას აგურის დიდი შენობა, რომლის წინა ფანჯრებიც არცთუ ხალხმრავალ მთავარ გამზირს, მის იქით კი ნავსადგურს გადაჰყურებს. ამ შენობის წაწვეტებულ სახურავზე ყოველდღე ზუსტად ოთხის ნახევრიდან შეგიძლიათ დაინახოთ თავდახრილი ანდა ნიავისგან აფრიალებული რესპუბლიკის დროშა, მისი ცამეტი შვეული ხაზი მიგვითითებს, რომ აქ ძია სემის მთავრობის სამოქალაქო პლაცდარმია განთავსებული; სამხედრო დაწესებულებებს კი, ტრადიციულად, თარაზულხაზებიანი ალამი ამშვენებს. შენობის ფასადს ნახევარი დუჟინი ხის სვეტისაგან შეკრული პორტიკი ამკობს, იგი იჭერს აივანს, რომლის ქვეშაც გრანიტის ფართო საფეხურების წყება ქუჩისაკენ ეშვება. შემოსასვლელში ჰკიდია უზარმაზარი ამერიკული არწივი გაშლილი ფრთებით, მკერდზე მიბჯენილი ფარით და თუ სწორად

[1] ელიას ჰასკიტ დერბი (1739-1799) – ცნობილი ვაჭარი, რომელმაც მეთვრამეტე საუკუნეში სალემი საზღვაო ვაჭრობის ცენტრად აქცია.

მახსენდება, კლანჭებში ერთ კონად შეკრული მშვილდები და წვერწამახული ისრები უჭირავს. იმ ჩვეულ ავზნიანობას, რომელიც ამ მუხთალ ფრინველს ახასიათებს, ამყღავნებს მისი ბასრი ნისკარტი, მრისხანე მზერა და უკმეხი გარეგნობა, რომელიც უბედურებას უქადის უწყინარ საზოგადოებას და განსაკუთრებით კი აფრთხილებს იმ მოქალაქეებს, რომელთაც საკუთარი უსაფრთხოება ძვირად უღირთ, არ აუტალახონ კარი შენობას, რომელსაც ის დარაჯობს. მიუხედავად კარის მცველის მრისხანე გამომეტყველებისა, ამ წუთშიც კი ბევრი ადამიანი ეძებს თავშესაფარს ფედერაციის არწივის ფრთებქვეშ და მგონია, რომ მისი მკერდი ბუმბულის ბალიშივით რბილი და მყუდრო წარმოუდგენია. მაგრამ ეს ფრინველი დიდი სინაზით საუკეთესო ხასიათზე მყოფიც კი არ გამოირჩევა და ადრე თუ გვიან, უფრო კი ადრე, ვიდრე გვიან, თავის მართვეებს ან ბრჭყალებით იცილებს თავიდან, ან ნისკარტს უკაკუნებს, ანდა კლანჭში ჩაბღუჯული ისრით გმირავს.

ზემოთ აღწერილი შენობის გარშემო – რომელსაც ამიერიდან პირდაპირ შეგვიძლია ნავსადგურის საბაჟო ვუწოდოთ – ქვაფენილის ნაპრალებზე ხვავრიელად მოდებული ბალახიც ადვილად მიგახვედრებდათ, რომ ბოლო ხანებში პორტში საქმიანი ცხოვრება მაინცდამაინც არ ჩქეფდა. თუმცაღა წელიწადში რამდენიმე თვე გამოერეოდა ხოლმე ისეთი განთიადები, როდესაც მოვლენები უფრო სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. ამგვარი შემთხვევები ქალაქის ხანშიშესულ მობინადრეებს ძველ დროს ახსენებდა, როდესაც, ვიდრე ინგლისთან ბოლო ომი გაიმართებოდა, სალემიც სახელგანთქმული ნავსადგური გახლდათ და ახლანდელივით დამცრობილი არ იყო; სოვდაგრებმა და გემების მეპატრონეებმა ეს ნავმისადგომები დასანგრევად მაშინ გაიმეტეს, როდესაც ვაჭრობის მძლავრმა ტალღამ მათი კაპიტალი ნიუ იორკსა და ბოსტონში გადატყორცნა, ქალაქებში, რომლებმაც მათი გამოჩენა ვერც კი შეამჩნიეს. გამოერეოდა ხოლმე განთიადები, როდესაც სალემის ნავსადგურში ერთდროულად სამი-ოთხი გემი მიადგებოდა ნაპირს – უფრო მეტად აფრიკიდან ანდა სამხრეთ ამერიკიდან – ანდა პირიქით, წასავლელად აიღებდა გეზს და გრანიტის საფეხურებზეც ამავალ-ჩამავალთა ფეხების გამალებული ბრახუნი ისმოდა. აქ იქამდე, ვიდრე საკუთარ ცოლს შეეყრებოდა, შეიძლებოდა გადაჰყროდით მზისგან დამწვარ კაპიტანს, იღლიაში ამოჩრილი ფერგადაცლილი თუნუქის ყუთით, რომელშიც გემის საბუთები ეწყო. აქვე გამოჩნდებოდა გემის მეპატრონეც, ხალისიანი ან დაღონებული, სახეგაბადრული ანდა ცხვირჩამოშვებული, იმის მიხედვით, ახალჩამოტანილ საქონელს ოქროდ გადაქცევის პირი უჩანდა თუ არავინ დაუცლიდა ხელს და ხათაბალაში გაეხვეოდა. აქ ასევე ნახავდით ახალგაზრდობას შუბლდანაოჭებული, რუხწვერიანი, საფიქრალით დაღლილი ვაჭრისა – ნორჩ გონებამახვილ კლერკს, რომელსაც ისეთი გეში აქვს სავაჭრო საქმეებზე, როგორიც მგლის ლეკვს – სისხლზე და მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ სათამაშო გემს უნდა აცურებდეს წისქვილის არხში, უკვე საკუთარ საქონელს გზავნის თავისი პატრონის ხომალდზე. კიდევ ერთი ფიგურა ამ სცენაზე არის სამშობლოდან გამოქცეული მეზღვაური, რომელიც ამერიკის ქვეშევრდომობას ითხოვს; ანდა ახლადგამოჩეკილი, ფერმკრთალი და სუსტი ზღვაოსანი, რომელსაც საავადმყოფოს საშვის მოპოვება სურს. ასევე არ უნდა დავივიწყოთ კაპიტნები იმ პატარა ჟანგიანი შხუნებისა, რომელთაც ბრიტანეთის პროვინციებიდან ხე-ტყე მოაქვთ – ბრეზენტის უხეში ტილოები, რომლებსაც აკლიათ იანკეებისათვის დამახასიათებელი სიყოჩაღე, მაგრამ არანაკლები წვლილი შეაქვთ ჩვენი ვაჭრობის ძირგამომპალ საქმეში.

თუკი ყველა ამ ინდივიდს ერთად შეჯგუფებულს წარმოვიდგენთ, როგორც ხანდახან ხდებოდა კიდეც და მათ კიდევ რამდენიმე ნაირსახეობის არსებას მივუმატებთ, საბაჟოსათვის დამახასიათებელ დომხალს მივიღებთ. თუმცაღა უფრო ხშირად, თუკი ამ შენობის საფეხურებს აივლით, დაინახავთ წყებას პატივცემული გვამებისა, რომლებიც ზაფხულში შემოსასვლელის, ხოლო ზამთარსა და უამინდობაში თავთავიანთი ოთახების ძველმოდურ სავარძლებში ჩასვენებულან, რომელთა უკანა რკინის ფეხებიც

კედელსაა მიბჯენილი. უმეტესწილად სძინავთ, თუმცა დროდადრო გაიგონებთ, როგორ ეხმიანებიან ერთმანეთს, ეს ბგერები რაღაც გარდამავალია ლაპარაკსა და ხვრინვას შორის და გაჯერებულია უილაჯობით, რაც ხანაგის მობინადრეებს ახასიათებთ, ანდა – ადამიანებს, რომლებიც არსობის პურს ქველმოქმედების ან სახელმწიფო სამსახურში შრომის წყალობით მოიპოვებენ, მოკლედ, ნებისმიერი ხერხით, რაც მათგან გრამი ძალისხმევის დახარჯვასაც არ მოითხოვს. ეს მოხუცი ჯენტლმენები, წმინდა მათესავით რომ ჩამომსხდარან გადასახადების ასაკრეფად, მაგრამ მასზე დია ნაკლებმოწოდებულნი არიან სამოციქულო საქმეთა აღსასრულებლად, საბაჟოს ოფიცრები გახლავან.

როგორც კი წინკარში შეხვალთ და ხელმარცხნივ გაუხვევთ, დაინახავთ დაახლოებით თხუთმეტი კვადრატული მეტრის ძალიან მაღალჭერიან ოთახსა თუ კაბინეტს, რომლის თაღოვანი ფანჯრებიდან ორი ჩვენ მიერ უკვე ნახსენებ ნახევრადდანგრეულ ნავსადგურს გადაჰყურებს, ხოლო მესამე კი – ვიწრო გაზონსა და დერბის ქუჩის ნაწილს. სამივე ფანჯრიდან მოჩანს საბაყლოები, აგურის საამქროები, ძველმანების დუქნები და გემის აღჭურვილობით მოვაჭრე მაღაზიები, ასევე – მათ კარებთან შეჯგუფული ძველი მეზღვაურები თუ პორტის სხვა ვირთხები, რომლებიც ხორხოცებენ, ლაყბობენ და იქაურობა სალემის უოპინგად[1] უქცევიათ. თავად ოთახის კედლებს ძველი საღებავი სულ გახუნებია, ჭერი ერთიანად აბლაბუდითაა დაფარული, იატაკი კი, ადამისდროინდელი მოდის მიხედვით, ნაცრისფერი ქვიშითაა მოფენილი. ზოგადად, ამ ადგილას გამეფებული სიბინძურე მიგახვედრებთ, რომ კაცების ამ ნაკრძალს ქალთა სქესი და მათი ჯადოსნური იარაღები – ცოცხი და შვაბრა – იშვიათად თუ სტუმრობენ. რაც შეეხება ავეჯს, ოთახში დგას ფართოსაკვამურიანი ღუმელი, ფიჭვის ძველი მერხი ზედ მიდგმული სამფეხა ტაბურეტით, ორი თუ

[1] უოპინგი – თემზისპირა რაიონი ლონდონში, ნავმისადგომების უბანი, სადაც ძირითადად მეზღვაურები ცხოვრობდნენ.

სამი ხისძირიანი მეტისმეტად დაფხავებული და მოყანყალებული სკამი და – ბიბლიოთეკაც არ გამოგვრჩეს – თაროებზე აქა-იქ მიმოფანტული „კონგრესის კანონების“ რამდენიმე დუჟინი ტომი და „საგადასახადო კოდექსის“ სქელტანიანი კრებული. ჭერამდე ასული ლითონის მილი შენობის სხვადასხვა ნაწილში მყოფ ადამიანებს ერთმანეთთან შეხმიანების საშუალებას აძლევს. და აი, აქ სულ რაღაც ექვსიოდე თვის წინათ ბოლთას სცემდა ანდა გრძელფეხა ტაბურეტზე ჩამომჯდარი იდაყვს მაგიდას აყრდნობდა და მზერას უგემურად აყოლებდა დილის გაზეთის სვეტებს ის, ვის სახეშიც თქვენ, პატივცემულო მკითხველო, შეგეძლოთ ამოგეცნოთ სწორედ ის სულიერი, რომელმაც ამის წინ პასტორის ძველი სახლის დასავლეთ ფრთაში, ტირიფებს ტოტებს შორის ასე საამოდ გამომსხლტარი მზის შუქით განათებულ თავის მხიარულ პაწია კაბინეტში გიმასპინძლათ. მაგრამ ამჟამად თუკი იქ დაუწყებთ ძებნას, ამაოდ გაირჯებით – ლოკო-ფოკო[1] ინსპექტორის ბუნდღაც კი არ დარჩენილა. რეფორმის ცოცხმა ამ ოთახიდან მისი კვალიც კი გადახვეტა და მის თანამდებობას ამჯერად უფრო ღირსეული შემცვლელი გამოუჩნდა, რომელიც არხეინად იჯიბავს მის გასამრჯელოსაც.

ძველი ქალაქი სალემი ჩემი მშობლიური მხარეა – თუმცაღა ბიჭობაშიც და მერეც ხშირად მიცხოვრია მისგან მოშორებით – იგი ჩემს გულში აღძრავს თუ აღძრავდა გრძნობას, რომლის სიძლიერესაც თავად ქალაქში მყოფი სათანადოდ ვერასოდეს ვაფასებდი. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ სალემის გარეგნულ იერსახეს: ერთფეროვან გაშლილ რელიეფს, რომელიც დაფარულია თითქმის ყოველგვარ არქიტექტურულ ხიბლს მოკლებული ხის სახლებით; ასიმეტრიულ დაგეგმარებას, რომელიც არც მშვენიერია და არც მყუდრო, არამედ მხოლოდ მოსაწყენი; გრძელსა და მოსაბეზრებელ ქუჩას, რომელიც გალოუზ ჰილიდან და ნიუ გუინეიდან იღებს სათავეს, გულისგამაწყალებელი ზლაზვნით უვლის გარს

[1] დემოკრატიული პარტიის წევრების მეტსახელი.

მთელ ნახევარკუნძულს და ღატაკთა თავშესაფართან მთავრდება, ვიფიქრებთ, რომ ამ ქალაქის შეყვარება იმას ჰგავს, ადამიანს ჭადრაკის არეული დაფის მიმართ გაუჩნდეს სენტიმენტები. და მაინც, თუმცაღა შეუდარებლად უფრო ბედნიერი ვარ სხვა ადგილებში, ჩემს გულში მუდამ ინახება ძველი სალემის მიმართ აღძრული გრძნობა, რომელსაც, რაკიღა უფრო შესაფერისი სიტყვა ვერ მომიძებნია, სიყვარულს ვუწოდებ. ამ გრძნობას, ალბათ, განაპირობებს ის ღრმა და მრავალწლოვანი ფესვები, რომლებიც ჩემს ოჯახს ამ ქალაქის მიწაში გაუდგამს. ლამის ორი საუკუნე და მეოთხედი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემი გვარის პირველმა წარმომადგენელმა, ბრისტოლელმა ემიგრანტმა, ფეხი დაადგა ამ ველურსა და ტყეებში ჩაფლულ დასახლებას, რომელიც დროთა განმავლობაში დიდ ქალაქად გადაიქცა; აქვე იბადებოდნენ და იხოცებოდნენ მისი შთამომავლებიც და თავიანთ ხორციელ არსს სალემის ნიადაგს ურევდნენ, ამიტომაც ამ მიწის დიდი ნაწილი სისხლით ენათესავება ხრწნად ჭურჭელს, რომლით დროებით შემოსილიც ამ ქალაქის ქუჩებში დავაბიჯებ. ნაწილობრივ ეს უნდა იყოს მიზეზი იმ მიჯაჭვულობისა, რომელზეც უკვე მოგახსენეთ – ქვეცნობიერი თანაგრძნობა, რომელსაც მტვრადსაქცევი მტვრადქცეულის მიმართ განიცდის. ჩემს თანამემამულეთაგან ცოტას თუ გამოუცდია ეს გრძნობა და რაკიღა ადგილის ხშირ შეცვლას მხოლოდ უკეთესობა მოაქვს შთამომავლობისათვის, არცაა საჭირო, რომ გამოსცადონ.

ამ მიჯაჭვულობას მშობლიური მიწის მიმართ ზნეობრივი მიზეზებიც აქვს. რაც თავი მახსოვს, ჩემი ბავშვური წარმოსახვა დაეტყვევებინა ხატებას იმ პირველი წინაპრისა, რომელსაც ოჯახური ტრადიცია მქრქალი და ბუნდოვანი დიდებით მოსავდა. ეს ხატება კვლავაც თან მდევს და ძველი სალემის მიმართ იმ მშობლიური სიახლოვის განცდას მიღვიძებს, რომელსაც თანამედროვე ქალაქი საერთოდ ვერ აღმიძრავს. აქაურ მიწასთან ყველაზე ძლიერად ის წვერიანი, შავმოსასხამიანი, წოწოლაქუდიანი მამამთავარი მაკავშირებს, რომელიც ადრიანად დამკვიდრდა აქ, ცალ ხელში

ბიბლია ეჭირა, მეორეში – ხმალი, ფეხდაუკარებელ მიწაზე ზვიადი გამომეტყველებით დააბიჯებდა და იქცა დიად პიროვნებად – წინამძღოლად ომსა თუ მშვიდობაში; მის ფონზე მე, ვისი სახელიც იშვიათად ისმის და სახეს ვერავინ ცნობს, არარაობა ვარ. ის იყო ჯარისკაცი, კანონმდებელი, მსაჯული; ის იყო მმართველი ეკლესიისა; საკუთარ თავში აერთიანებდა პურიტანებისათვის დამახასიათებელ ყველა ღირსებასა თუ ნაკლს. და ყველაფერთან ერთად, შეუწყნარებლად დევნიდა განსხვავებული რწმენის მქონე ადამიანებს. მისი სახელი შემოინახა კვაკერების ქრონიკებმა, რომლებიც ირწმუნებიან, რომ სწორედ ჩემმა პირველმა წინაპარმა გამოუტანა სასტიკი განაჩენი მათი სექტის წევრ ქალს. ვშიშობ, ეს ფაქტი უფრო დიდხანს შემორჩება ისტორიას, ვიდრე ხსოვნა მისი არცთუ მცირედი კეთილი ნაღვაწისა. ამ პირველი მამამთავრის შვილმა მდევნელის სულისკვეთება კიდევ უფრო მძაფრად იმემკვიდრევა და ისეთი დაუვიწყარი წვლილი შეიტანა კუდიანთა ტანჯვა-წამებაში, რომ მათი სისხლი წარუშლელ ლაქად დაიჩნია – ღრმა ლაქად, რომელიც ჩარტერ სტრიტის სასაფლაოზე დასვენებულ მის ბებერ, გამომშრალ ძვლებს, თუკი ჯერ კიდევ არ ქცეულან მტვრად, ალბათ, კვლავ ემჩნევა! არც კი ვიცი ჩემმა წინაპრებმა მოინანიეს თუ არა თავიანთი ცოდვები; უფალს პატიება სთხოვეს თავიანთი სისასტიკის გამო თუ ყოფიერების სხვაგვარ განზომილებაში გარდასახულნი მწარედ გმინავენ. ნებისმიერ შემთხვევაში, მე ამ ამბის აღმწერი და მათი შთამომავალი, სახალხოდ ვიტვირთავ მათ სირცხვილს საკუთარ მხრებზე და ვლოცულობ, რომ მათი გულქვაობით გამოწვეული ნებისმიერი წყევლა – რომელთა შესახებაც მსმენია და რომლის არსებობაშიც მარწმუნებს ის ნაღვლიანი და უიღბლო ყოფა, რომელშიც მათ შთამომავლებს მრავალი წლის განმავლობაში ხდებოდათ სული – ერთხელ და სამუდამოდ განქარდეს.

თუმცაღა, ეჭვი არაა, რომ ამ უწყალო და პირქუშ პურიტანთაგან ნებისმიერი თავისი ცოდვებისათვის მიგებულ სასტიკ საზღაურად მიიჩნევდა, თუკი გაიგებდა, რომ ამდენი წლის შემდეგ

ჩვენმა ძირძველმა, ღირსების ხავსით დამძიმებულმა ოჯახის ხემ კენწეროში ჩემისთანა უმაქნისი ნედლი ტოტი ამოიყარა. ყველა მიზანი, რომელიც კი ოდესმე გულით მიტარებია, მათგან მხოლოდ ცხვირის აბზუებას დაიმსახურებდა; ყველა ჩემი წარმატება – თუკი ჩემი წარმატების ამბავი ოდესმე ჩემივე სახლის კარს გასცდენია – მათ თვალში უმნიშვნელო და დამამცირებელიც კი გამოჩნდებოდა. „რა კაცია?“ – ეკითხება ჩემ შესახებ წინაპრის ერთი რუხი აჩრდილი მეორეს. „მოთხრობების მწერალი! განა რა კეთილი უნდა უყოს ცხოვრებაში ამ საქმიანობამ – ღვთის სადიდებლად გამოდგება იგი თუ თანამედროვეთა და შთამომავლობისათვის სარგებლის მოსატანად? ბარემ ამდგარიყო ეგ გადაგვარებული არამზადა და მევიოლინე გამოსულიყო!“ აი, ამგვარი ქათინაურებით შემამკობდნენ ჩემი წინაპრები, დროის უფსკრული რომ გადმოელახათ. მაგრამ დაე, დამამცირონ, როგორც მოუნდებათ, მათმა შეუდრეკელმა ხასიათმა ხომ ჩემს ბუნებაში ჰპოვა გაგრძელება.

შთამომავლობამ, რომელიც ამ ორმა სერიოზულმა და ენერგიულმა კაცმა ახლადფეხაგდმულ და პირზე რძეშეუმშრალ ქალაქში დააფესვიანა, აქვე განაგრძო გამრავლება და წინაპართა სახელი არასოდეს შეუბღალავს; არასოდეს სმენია ჩემს ყურს, რომ ჩვენი გვარი მის რომელიმე წევრს შეერცხვინოს; თუმცაღა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ პირველი ორი მამამთავრის შემდეგ აღარც არავის უსახელებია იგი და არც საქვეყნო დიდება მოუხვეჭია. დროთა განმავლობაში ჩემი წინაპრები ისევე მიეფარნენ ხალხის თვალს, როგორც ქუჩებში აქა-იქ მიმოფანტული ძველი სახლები იფარება მიწით. ასზე მეტი წლის განმავლობაში ჩემი გვარის ყველა მამაკაცი ზღვას მიჰყვებოდა. ასზე მეტი წლის განმავლობაში თმაგაჭაღარავებული კაპიტანი გემის კიჩოდან სახლის წინ მდებარე მიწის ნაკვეთში გადმოინაცვლებდა, მის ადგილს კი ანძასთან თოთხმეტი წლის ბიჭი იკავებდა და ახლა ის უხვდებოდა მედგრად მლაშე შხეფებსა და ქარიშხლებს, რომლებიც ადრე მის მამა-პაპას დაჰღრიალებდნენ თავზე. გავიდოდა ხანი,

ეს ბიჭიც წინა ერდოდან კაიუტაში გადაბარგდებოდა, მგზნებარე ახალგაზრდობას გაატარებდა, მერე კი მთელ ქვეყანაზე ნახეტიალები შინ დაბრუნდებოდა, რათა დაბერებულიყო, მომკვდარიყო და მისი მტვერი მშობელ მიწას შერეოდა. როდესაც ოჯახი ამდენი ხნით ეჯაჭვება ერთ ადგილს, როდესაც თავის აკვნად და ძვალთშესალაგად აქცევს მას, ადამიანებსა და მიწას შორის ნათესაური ჯაჭვი იკვრება და უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენად ლამაზია სამშობლო ანდა რამდენად მისაღებ გარემოს სთავაზობს იგი ადამიანს. ეს არ არის სიყვარული – ინსტინქტია. ახლადჩამოთესლილს, თუნდაც მის წინაპართა სამ თაობას ამ მიწაზე ეცხოვროს – თითქმის გამორიცხულია, სალემელი უწოდონ, რადგან მას არ ახასიათებს ის სიჯიუტე, რომლითაც ძველი მოსახლე უკვე მესამე საუკუნეა ხამაწკასავით ებღაუჭება ადგილს, სადაც მის წინაპართა თაობებს ფესვი გაუდგამთ. მერე რა, რომ აქ უსიხარულოდ გადის მათი ცხოვრება, რომ აქ არაფერია, გარდა ძველი ხის სახლებისა, ტალახისა და მტვრისა, ტრიალი მიწისა და გატიალებული გრძნობებისა, სუსხიანი აღმოსავლეთის ქარისა და კიდევ უფრო სუსხიანი სოციალური გარემოცვისა; ეს ყველაფერი და კიდევ ყველა ის ნაკლოვანება, რომელიც მან შეიძლება აღმოაჩინოს ანდა წარმოიდგინოს, აინუნშიც კი არაა ჩასაგდები. ჯადო არ ქრება და კვლავ აქვს ძალმოსილება, რომ მშობლიური მიწა სამოთხედ წარმოგიდგინოს. ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც. ლამის ბედისწერად მიმაჩნდა, რომ სალემში დამედო ბინა, რათა აქაურებისათვის ნაცნობი სხეულის ნაკვთები და ხასიათის თვისებები არც ჩემი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში მოჰკლებოდა ქალაქის ქუჩებს. თითქოს, როდესაც გვარის ერთი წარმომადგენელი საფლავში წვება, მისი ადგილი მეორემ უნდა დაიკავოს, როგორც გუშაგები ცვლიან ერთმანეთს მეინ სტრიტზე. მიუხედავად ყველაფრისა, მიწასთან ამგვარი მიჯაჭვულობა ნიშანია იმისა, რომ კავშირი, რომელიც არაჯანსაღ სახეს იღებს, ბოლოს და ბოლოს უნდა გაწყდეს. კარტოფილის არ იყოს, ვერც ადამიანის მოდგმა გაიხარებს, თუკი რამდენიმე თაობას ერთსა და იმავე გამოფიტ-

ულ ნიადაგში ჩათესავენ. ჩემი შვილები სალემში არ დაბადებულან და რამდენადაც ეს ჩემზე იქნება დამოკიდებული, ვეცდები, უცხო მიწაშივე გაიდგან ფესვები.

ძირითადად სწორედ მშობლიური ქალაქისადმი ამ უცნაური, უსიცოცხლო, უსიხარულო მიჯაჭვულობის ბრალი იყო, რამაც პასტორის ძველი სახლიდან აბარგებული ძია სემის აგურის შენობას მიმაყენა მაშინ, როცა იმავე ანდა უფრო მეტი წარმატებით შემეძლო, რომ სადმე სხვაგან მეპოვა გზა. ეს ჩემი ბედისწერა იყო: არც პირველი შემთხვევა გახლდათ და არც – მეორე, როდესაც შინიდან, როგორც მეგონა, სამუდამოდ ავიკარი გუდა-ნაბადი, მაგრამ ბედისწერის ხელმა ყალბი ნახევარპენიანივით დამაბრუნა უკან, თითქოს სალემი სამყაროს ცენტრი ყოფილიყოს. ასე იყო თუ ისე, ერთ მშვენიერ დილას გრანიტის კიბეს ავუყევი, ჯიბეში პრეზიდენტის განკარგულება მედო და ჯენტლმენთა ჯგუფს, რომლებსაც ამ მძიმე პასუხისმგებლობის ტვირთი ჩემთან ერთად უნდა გადაენაწილებინათ, ჩემი თავი საბაჟოს მთავარ აღმასრულებელ ოფიცრად წარვუდგინე.

ძალიან მეეჭვება – უფრო სწორად კი ეჭვიც არ მეპარება – მთელ ამერიკის შეერთებულ შტატებში რომელიმე სახელმწიფო მოხელეს, საჯარო ან სამხედრო მიმართულებისას, დაქვემდებარებაში ჰყოლოდეს ვეტერანების ისეთი პატრიარქალური დასი, როგორიც მე მხვდა წილად. შევხედე თუ არა მათ, მაშინვე მივხვდი, სად იკრიბება ხოლმე ქალაქის უხუცესთა საბჭო. ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ მებაჟის პოსტი დამოუკიდებელ თანამდებობად იქცა, რის გამოც პოლიტიკური ცვლილებები და ქარტეხილები, ასე რომ წარხვეტს ხოლმე სხვათა და სხვათა სამსახურებრივ მდგომარეობას, სალემის საბაჟოს აღარ ეხებოდა. ჯარისკაცი – და თანაც ახალი ინგლისის ყველაზე დამსახურებული ჯარისკაცი – ჯერ კიდევ მყარად იდგა თავისი სამხედრო დიდების კვარცხლბეკზე; იგი არა მხოლოდ თავად იყო ხელშეუვალი ყოველი მომდევნო მთავრობის ბრძნული გულმოწყალების გამო, არამედ თავისი ქვეშევრდომებისთვისაც არაერთხელ აურიდებია თავიდან მღელვარება და გულის ფანცქალი. გენერალი მილერი უაღრესად კონსერვატორი კაცი იყო, მის ხასიათში გამჯდარ ჩვევებზე გავლენას ამქვეყნად ვერაფერი მოახდენდა; მისჯაჭვოდა ნაცნობ სახეებს და მაშინაც კი ფეხს ითრევდა რამის შეცვლაზე, როდესაც ცვლილება მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის მომტანი იყო. ამგვარად, როდესაც ჩემს სამმართველოს სათავეში ჩავუდექი, აღმოვაჩინე, რომ ხელქვეითთა დიდი უმრავლესობა მხცოვანი გახლდათ. ესენი, უმეტესწილად, გადამდგარი გემის კაპიტნები იყვნენ, რომლებმაც, მას მერე, რაც ზღვის ყველა ქარტეხილს გადაურჩნენ და მედგრად დაუხვდნენ ცხოვრების სასტიკ ქარიშხლებსაც, ბოლოს და ბოლოს მყუდრო ყურეში ჩაუშვეს ღუზა, სადაც სიმშვიდეს აღარაფერი ურღვევდათ, გარდა პერიოდული შიშის კანკალისა, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების წინ შეიპყრობდათ ხოლმე. თითოეულმა მათგანმა ყოფის ახალი ასპარეზი აღმოაჩინა. და თუმცაღა თავიანთი ასაკის სხვა კაცებზე არანაკლებ დაჩაჩანაკებულიყვნენ, აშკარად ფლობდნენ რაღაც თილისმას, რომლითაც სიკვდილს გზაკვალს ურევდნენ. როგორც მარწმუნებდნენ, ორი თუ სამი მათგანი პოდაგრითა და რევმატიზმით იყო დაავადებული და მგონი, ლოგინად ჩავარდნილიც, ასე რომ, წლის უმეტეს დროს საბაჟოში მათ ხილვაზე ვერც ვიოცნებებდი; მხოლოდ მას მერე, რაც ზამთარი ზლაზვნით აიკრავდა გუდა-ნაბადს, მაისის ან ივნისის თბილ მზეზე გამოფრატუნდებონენ და ზანტად ჰკიდებდნენ ხელს იმას, რასაც თავიანთ მოვალეობას უწოდებდნენ, მერე კი, როცა გუნება და ქეიფი უკარნახებდათ, კვლავ ლოგინებში შეძვრებოდნენ ხოლმე. ვაღიარებ ჩემს ბრალეულობას, რომ ჩვენი რესპუბლიკის არაერთ ასეთ პატივცემულ გვამს შევუმოკლე სამსახურებრივი ყოფის დღენი. ჩემი ხელდასმით მათ მიეცათ ნება, მშვიდად დაესვენათ დამქანცველი შრომისაგან და მალევე – თითქოსდა ერთადერთი, რაც ამქვეყნად აკავებდათ, სამშობლო ქვეყნის მსახურება იყო (აბა, ამაში ეჭვის შეტანას როგორ გავბედავ) – უკეთეს სამყაროში გადაინაცვლეს. ჭეშმარიტი ღვთისმოსავის შვება მეუფლება, როდესაც მახსენდება, რომ ჩემი წყალობით საკმარისი

დრო მიეცათ იმ მანკიერი და უზნეო საქმეების მოსანანიებლად, რომლებშიც გარდაუვალ მდგომარეობათა გამოისობით საბაჟოს ყველა ოფიცერი ეფლობა ხოლმე – მოგეხსენებათ, საბაჟოს არც წინა და არც უკანა კარი სამოთხისაკენ არ გადის.

ჩემი სამმართველოს მუშაკთა უმრავლესობას ვიგები[1] შეადგენდნენ. ძალიან კი გაუმართლა ამ პატივცემულ საძმოს, რომ მათი უფროსი პოლიტიკოსი არ იყო და თუმცა დემოკრატიული პარტიის პრინციპების გულმხურვალე მხარდამჭერი გახლდათ, ეს თანამდებობა არანაირი პარტიული დამსახურებებისა და მიზნების განსახორციელებლად არ მიუღია. სხვაგვარად რომ ყოფილიყო – ანუ ამ გავლენიან თანამდებობაზე ვინმე მოქმედი პოლიტიკოსი დაენიშნათ და მისთვის მიენდოთ იოლი საქმე – საბაჟო გაეწმინდა ვიგებისაგან, რომლებიც ფიზიკური უძლურების გამო დაკისრებულ მოვალეობას თავს ვერ ართმევდნენ – პირველივე თვეს, როგორც კი სიკვდილის ანგელოზი საბაჟოს შენობის კიბეს აივლიდა, ამ ძველი ჯგუფის ყველა წევრს მოეშთობოდა პროფესიული სუნთქვა. ამგვარ ვითარებაში მიღებული წესის თანახმად, პოლიტიკოსის მთავარი მოვალეობა მათ მხცით შემოსილ თავებზე გილიოტინის ნაჯახის აღმართვა იქნებოდა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ეს მოხუცები ჩემგან სწორედ რაღაც ამგვარს ელოდნენ გულის კანკალით. ძალიან მაწუხებდა, ხანდახან კი კარგად მართობდა იმის ცქერა, თუ როგორ შეაძრწუნა ისინი ამ თანამდებობაზე ჩემმა მოსვლამ; ვუყურებდი, როგორ ფითრდებოდა დანაოჭებული, ნახევარი საუკუნის ქარიშხლებით გაშავებული ღაწვები, როდესაც მისი პატრონი ჩემნაირ უწყინარ ტიპს მოჰკრავდა თვალს; მართობდა აღმოჩენა იმისა, რომ ერთ დროს ხაფი ხმა, რომელიც შორეულ წარსულში ისეთი ღრიალით გასცემდა ბრძანებებს, რომ თვით ბორეასს სჯაბნიდა, ახლა შიშისგან

[1] ასე ეძახდნენ მე-19 საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებს. დემოკრატიული პარტიის ოპონენტებს.

აკანკალებული მომმართავდა. ეს შესანიშნავი მოხუცები კარგად ხვდებოდნენ, რომ ყველა არსებული წესის თანახმად – ხოლო ზოგიერთ მათგანს კი იმიტომაც, რომ საქმესთან გამკლავება არ შეეძლო – თავიანთი ადგილები უნდა დაეთმოთ უფრო ახალგაზრდა კაცებისათვის, რომლებსაც მათზე გაცილებით მისაღები პოლიტიკური შეხედულებები ჰქონდათ და ჯან-ღონეც უფრო ერჩოდათ, რომ ჩვენს საერთო ძიას მომსახურებოდნენ. ეს მეც ვიცოდი, მაგრამ ვერაფრით ვაიძულე თავი, რომ ცოდნა საქმედ მექცია. დიდსა და დამსახურებულ სირცხვილს ვგრძნობ იმის გამო, რომ ჩემი ხელმძღვანელობის ქვეშ ისინი ნავმისადგომებში ბოდიალსა და საბაჟოს კიბეებზე უსაქმოდ ყიალს აგრძელებდნენ. დროის უდიდეს ნაწილს ამოჩემებულ კუთხეებში მიყუდებულ სავარძლებში ძილში ატარებდნენ, თუმცაღა შუადღისას ერთი-ორჯერ გამოფხიზლდებოდნენ და ერთმანეთს ძველი საზღვაო ისტორიების მეათიათასჯერ მოყოლით აბეზრებდნენ თავს; ანდა იმ ყავლგასული ხუმრობებით, რომლებიც კოდურ ენასავით მხოლოდ თვითონღა ესმოდათ.

როგორც მივხვდი, მათ საკმაოდ მალე აღმოაჩინეს, რომ ახალი ინსპექტორისგან საფრთხეს არ ელოდათ. ასე რომ, შემსუბუქებული გულებითა და თვითკმაყოფილებით, რომ სასარგებლო სამუშაოს ეწეოდნენ – ყოველ შემთხვევაში, თუ ქვეყნისთვის ვერ მოჰქონდათ სარგებელი, თვითონ ხომ კარგად სარგებლობდნენ – ეს კეთილი მოხუცი ჯენტლმენები სამსახურში ათასგვარ ფორმალობას ასრულებდნენ. ცხვირებზე სათვალეებს მოირგებდნენ და ბრძნული გამომეტყველებით იცქირებოდნენ დიდი გემების ტრიუმებში, უშველებელ ალიაქოთს ტეხდნენ წვრილმანების გამო და ამიტომაც უფრო მნიშვნელოვანი გარემოებები გამოეპარებოდათ ხოლმე. როცა თავს ამგვარი უიღბლობა დაგვატყდებოდა – როდესაც მთელ ვაგონ ძვირფას საქონელს კონტრაბანდულად შემოაპარებდნენ ნაპირზე, ხანდახან დღისით-მზისით და პირდაპირ მათი ყნოსვადახშული ცხვირების წინაც – ვერაფერი შეედრებოდა იმ სიფხიზლესა და სიმარდეს, რომლითაც ისინი საჩქაროდ კეტავდ-

ჩვენმა ძირძველმა, ღირსების ხავსით დამძიმებულმა ოჯახის ხემ კენწეროში ჩემისთანა უმაქნისი ნედლი ტოტი ამოიყარა. ყველა მიზანი, რომელიც კი ოდესმე გულით მიტარებია, მათგან მხოლოდ ცხვირის აბზუებას დაიმსახურებდა; ყველა ჩემი წარმატება – თუკი ჩემი წარმატების ამბავი ოდესმე ჩემივე სახლის კარს გასცდენია – მათ თვალში უმნიშვნელო და დამამცირებელიც კი გამოჩნდებოდა. „რა კაცია?" – ეკითხება ჩემ შესახებ წინაპრის ერთი რუხი აჩრდილი მეორეს. „მოთხრობების მწერალი! განა რა კეთილი უნდა უყოს ცხოვრებაში ამ საქმიანობამ – ღვთის სადიდებლად გამოდგება იგი თუ თანამედროვეთა და შთამომავლობისათვის სარგებლის მოსატანად? ბარემ ამდგარიყო ეგ გადაგვარებული არამზადა და მევიოლინე გამოსულიყო!" აი, ამგვარი ქათინაურებით შემამკობდნენ ჩემი წინაპრები, დროის უფსკრული რომ გადმოელახათ. მაგრამ დაე, დამამცირონ, როგორც მოუნდებათ, მათმა შეუდრეკელმა ხასიათმა ხომ ჩემს ბუნებაში ჰპოვა გაგრძელება.

შთამომავლობამ, რომელიც ამ ორმა სერიოზულმა და ენერგიულმა კაცმა ახლადფეხაგდმულ და პირზე რძეშეუმშრალ ქალაქში დააფესვიანა, აქვე განაგრძო გამრავლება და წინაპართა სახელი არასოდეს შეუბღალავს; არასოდეს სმენია ჩემს ყურს, რომ ჩვენი გვარი მის რომელიმე წევრს შეერცხვინოს; თუმცაღა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ პირველი ორი მამამთავრის შემდეგ აღარც არავის უსახელებია იგი და არც საქვეყნო დიდება მოუხვეჭია. დროთა განმავლობაში ჩემი წინაპრები ისევე მიეფარნენ ხალხის თვალს, როგორც ქუჩებში აქა-იქ მიმოფანტული ძველი სახლები იფარება მიწით. ასზე მეტი წლის განმავლობაში ჩემი გვარის ყველა მამაკაცი ზღვას მიჰყვებოდა. ასზე მეტი წლის განმავლობაში თმაგაჭაღარავებული კაპიტანი გემის კიჩოდან სახლის წინ მდებარე მიწის ნაკვეთში გადმოინაცვლებდა, მის ადგილს კი ანძასთან თოთხმეტი წლის ბიჭი იკავებდა და ახლა ის უხვდებოდა მედგრად მლაშე შხეფებსა და ქარიშხლებს, რომლებიც ადრე მის მამა-პაპას დაჰღრიალებდნენ თავზე. გავიდოდა ხანი,

ეს ბიჭიც წინა ერდოდან კაიუტაში გადაბარგდებოდა, მგზნებარე ახალგაზრდობას გაატარებდა, მერე კი მთელ ქვეყანაზე ნახეტიალები შინ დაბრუნდებოდა, რათა დაბერებულიყო, მომკვდარიყო და მისი მტვერი მშობელ მიწას შერეოდა. როდესაც ოჯახი ამდენი ხნით ეჯაჭვება ერთ ადგილს, როდესაც თავის აკვნად და ძვალთშესალაგად აქცევს მას, ადამიანებსა და მიწას შორის ნათესაური ჯაჭვი იკვრება და უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენად ლამაზია სამშობლო ანდა რამდენად მისაღებ გარემოს სთავაზობს იგი ადამიანს. ეს არ არის სიყვარული – ინსტინქტია. ახლადჩამოთესლილს, თუნდაც მის წინაპართა სამ თაობას ამ მიწაზე ეცხოვროს – თითქმის გამორიცხულია, სალემელი უწოდონ, რადგან მას არ ახასიათებს ის სიჯიუტე, რომლითაც ძველი მოსახლე უკვე მესამე საუკუნეა ხამაწკასავით ებღაუჭება ადგილს, სადაც მის წინაპართა თაობებს ფესვი გაუდგამთ. მერე რა, რომ აქ უსიხარულოდ გადის მათი ცხოვრება, რომ აქ არაფერია, გარდა ძველი ხის სახლებისა, ტალახისა და მტვრისა, ტრიალი მიწისა და გატიალებული გრძნობებისა, სუსხიანი აღმოსავლეთის ქარისა და კიდევ უფრო სუსხიანი სოციალური გარემოცვისა; ეს ყველაფერი და კიდევ ყველა ის ნაკლოვანება, რომელიც მან შეიძლება აღმოაჩინოს ანდა წარმოიდგინოს, აინუნშიც კი არაა ჩასაგდები. ჯადო არ ქრება და კვლავ აქვს ძალმოსილება, რომ მშობლიური მიწა სამოთხედ წარმოგიდგინოს. ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც. ლამის ბედისწერად მიმაჩნდა, რომ სალემში დამედო ბინა, რათა აქაურებისათვის ნაცნობი სხეულის ნაკვთები და ხასიათის თვისებები არც ჩემი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში მოჰკლებოდა ქალაქის ქუჩებს. თითქოს, როდესაც გვარის ერთი წარმომადგენელი საფლავში წვება, მისი ადგილი მეორემ უნდა დაიკავოს, როგორც გუშაგები ცვლიან ერთმანეთს მეინ სტრიტზე. მიუხედავად ყველაფრისა, მიწასთან ამგვარი მიჯაჭვულობა ნიშანია იმისა, რომ კავშირი, რომელიც არაჯანსაღ სახეს იღებს, ბოლოს და ბოლოს უნდა გაწყდეს. კარტოფილის არ იყოს, ვერც ადამიანის მოდგმა გაიხარებს, თუკი რამდენიმე თაობას ერთსა და იმავე გამოფიტ-

ულ ნიადაგში ჩათესავენ. ჩემი შვილები სალემში არ დაბადებულან და რამდენადაც ეს ჩემზე იქნება დამოკიდებული, ვეცდები, უცხო მიწაშივე გაიდგან ფესვები.

ძირითადად სწორედ მშობლიური ქალაქისადმი ამ უცნაური, უსიცოცხლო, უსიხარულო მიჯაჭვულობის ბრალი იყო, რამაც პასტორის ძველი სახლიდან აბარგებული ძია სემის აგურის შენობას მიმაყენა მაშინ, როცა იმავე ანდა უფრო მეტი წარმატებით შემეძლო, რომ სადმე სხვაგან მეპოვა გზა. ეს ჩემი ბედისწერა იყო: არც პირველი შემთხვევა გახლდათ და არც – მეორე, როდესაც შინიდან, როგორც მეგონა, სამუდამოდ ავიკარი გუდა-ნაბადი, მაგრამ ბედისწერის ხელმა ყალბი ნახევარპენიანივით დამაბრუნა უკან, თითქოს სალემი სამყაროს ცენტრი ყოფილიყოს. ასე იყო თუ ისე, ერთ მშვენიერ დილას გრანიტის კიბეს ავუყევი, ჯიბეში პრეზიდენტის განკარგულება მედო და ჯენტლმენთა ჯგუფს, რომლებსაც ამ მძიმე პასუხისმგებლობის ტვირთი ჩემთან ერთად უნდა გადაენაწილებინათ, ჩემი თავი საბაჟოს მთავარ აღმასრულებელ ოფიცრად წარვუდგინე.

ძალიან მეეჭვება – უფრო სწორად კი ეჭვიც არ მეპარება – მთელ ამერიკის შეერთებულ შტატებში რომელიმე სახელმწიფო მოხელეს, საჯარო ან სამხედრო მიმართულებისას, დაქვემდებარებაში ჰყოლოდეს ვეტერანების ისეთი პატრიარქალური დასი, როგორიც მე მხვდა წილად. შევხედე თუ არა მათ, მაშინვე მივხვდი, სად იკრიბება ხოლმე ქალაქის უხუცესთა საბჭო. ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ მებაჟის პოსტი დამოუკიდებელ თანამდებობად იქცა, რის გამოც პოლიტიკური ცვლილებები და ქარტეხილები, ასე რომ წარხვეტს ხოლმე სხვათა და სხვათა სამსახურებრივ მდგომარეობას, სალემის საბაჟოს აღარ ეხებოდა. ჯარისკაცი – და თანაც ახალი ინგლისის ყველაზე დამსახურებული ჯარისკაცი – ჯერ კიდევ მყარად იდგა თავისი სამხედრო დიდების კვარცხლბეკზე; იგი არა მხოლოდ თავად იყო ხელშეუვალი ყოველი მომდევნო მთავრობის ბრძნული გულმოწყალების გამო, არამედ თავისი ქვეშევრდომებისთვისაც არაერთხელ აურიდებია თავიდან მღელვარება და გულის ფანცქალი. გენერალი მილერი უაღრესად კონსერვატორი კაცი იყო, მის ხასიათში გამჯდარ ჩვევებზე გავლენას ამქვეყნად ვერაფერი მოახდენდა; მისჯაჭვოდა ნაცნობ სახეებს და მაშინაც კი ფეხს ითრევდა რამის შეცვლაზე, როდესაც ცვლილება მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის მომტანი იყო. ამგვარად, როდესაც ჩემს სამმართველოს სათავეში ჩავუდექი, აღმოვაჩინე, რომ ხელქვეითთა დიდი უმრავლესობა მხცოვანი გახლდათ. ესენი, უმეტესწილად, გადამდგარი გემის კაპიტნები იყვნენ, რომლებმაც, მას მერე, რაც ზღვის ყველა ქარტეხილს გადაურჩნენ და მედგრად დაუხვდნენ ცხოვრების სასტიკ ქარიშხლებსაც, ბოლოს და ბოლოს მყუდრო ყურეში ჩაუშვეს ღუზა, სადაც სიმშვიდეს აღარაფერი ურღვევდათ, გარდა პერიოდული შიშის კანკალისა, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების წინ შეიპყრობდათ ხოლმე. თითოეულმა მათგანმა ყოფის ახალი ასპარეზი აღმოაჩინა. და თუმცაღა თავიანთი ასაკის სხვა კაცებზე არანაკლებ დაჩაჩანაკებულიყვნენ, აშკარად ფლობდნენ რაღაც თილისმას, რომლითაც სიკვდილს გზაკვალს ურევდნენ. როგორც მარწმუნებდნენ, ორი თუ სამი მათგანი პოდაგრითა და რევმატიზმით იყო დაავადებული და მგონი, ლოგინად ჩავარდნილიც, ასე რომ, წლის უმეტეს დროს საბაჟოში მათ ხილვაზე ვერც ვიოცნებებდი; მხოლოდ მას მერე, რაც ზამთარი ზლაზვნით აიკრავდა გუდა-ნაბადს, მაისის ან ივნისის თბილ მზეზე გამოფრატუნდებონენ და ზანტად ჰკიდებდნენ ხელს იმას, რასაც თავიანთ მოვალეობას უწოდებდნენ, მერე კი, როცა გუნება და ქეიფი უკარნახებდათ, კვლავ ლოგინებში შეძვრებოდნენ ხოლმე. ვაღიარებ ჩემს ბრალეულობას, რომ ჩვენი რესპუბლიკის არაერთ ასეთ პატივცემულ გვამს შევუმოკლე სამსახურებრივი ყოფის დღენი. ჩემი ხელდასმით მათ მიეცათ ნება, მშვიდად დაესვენათ დამქანცველი შრომისაგან და მალევე – თითქოსდა ერთადერთი, რაც ამქვეყნად აკავებდათ, სამშობლო ქვეყნის მსახურება იყო (აბა, ამაში ეჭვის შეტანას როგორ გავბედავ) – უკეთეს სამყაროში გადაინაცვლეს. ჭეშმარიტი ღვთისმოსავის შვება მეუფლება, როდესაც მახსენდება, რომ ჩემი წყალობით საკმარისი

დრო მიეცათ იმ მანკიერი და უზნეო საქმეების მოსანანიებლად, რომლებშიც გარდაუვალ მდგომარეობათა გამოისობით საბაჟოს ყველა ოფიცერი ეფლობა ხოლმე – მოგეხსენებათ, საბაჟოს არც წინა და არც უკანა კარი სამოთხისაკენ არ გადის.

ჩემი სამმართველოს მუშაკთა უმრავლესობას ვიგები[1] შეადგენდნენ. ძალიან კი გაუმართლა ამ პატივცემულ საძმოს, რომ მათი უფროსი პოლიტიკოსი არ იყო და თუმცა დემოკრატიული პარტიის პრინციპების გულმხურვალე მხარდამჭერი გახლდათ, ეს თანამდებობა არანაირი პარტიული დამსახურებებისა და მიზნების განსახორციელებლად არ მიუღია. სხვაგვარად რომ ყოფილიყო – ანუ ამ გავლენიან თანამდებობაზე ვინმე მოქმედი პოლიტიკოსი დაენიშნათ და მისთვის მიენდოთ იოლი საქმე – საბაჟო გაეწმინდა ვიგებისაგან, რომლებიც ფიზიკური უძლურების გამო დაკისრებულ მოვალეობას თავს ვერ ართმევდნენ – პირველივე თვეს, როგორც კი სიკვდილის ანგელოზი საბაჟოს შენობის კიბეს აივლიდა, ამ ძველი ჯგუფის ყველა წევრს მოეშთობოდა პროფესიული სუნთქვა. ამგვარ ვითარებაში მიღებული წესის თანახმად, პოლიტიკოსის მთავარი მოვალეობა მათ მხცით შემოსილ თავებზე გილიოტინის ნაჯახის აღმართვა იქნებოდა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ეს მოხუცები ჩემგან სწორედ რაღაც ამგვარს ელოდნენ გულის კანკალით. ძალიან მაწუხებდა, ხანდახან კი კარგად მართობდა იმის ცქერა, თუ როგორ შეაძრწუნა ისინი ამ თანამდებობაზე ჩემმა მოსვლამ; ვუყურებდი, როგორ ფითრდებოდა დანაოჭებული, ნახევარი საუკუნის ქარიშხლებით გაშავებული ღაწვები, როდესაც მისი პატრონი ჩემნაირ უწყინარ ტიპს მოჰკრავდა თვალს; მართობდა აღმოჩენა იმისა, რომ ერთ დროს ხაფი ხმა, რომელიც შორეულ წარსულში ისეთი ღრიალით გასცემდა ბრძანებებს, რომ თვით ბორეასს სჯაბნიდა, ახლა შიშისგან

[1] ასე ეძახდნენ მე-19 საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებს. დემოკრატიული პარტიის ოპონენტებს.

აკანკალებული მომმართავდა. ეს შესანიშნავი მოხუცები კარგად ხვდებოდნენ, რომ ყველა არსებული წესის თანახმად – ხოლო ზოგიერთ მათგანს კი იმიტომაც, რომ საქმესთან გამკლავება არ შეეძლო – თავიანთი ადგილები უნდა დაეთმოთ უფრო ახალგაზრდა კაცებისათვის, რომლებსაც მათზე გაცილებით მისაღები პოლიტიკური შეხედულებები ჰქონდათ და ჯან-ღონეც უფრო ერჩოდათ, რომ ჩვენს საერთო ძიას მომსახურებოდნენ. ეს მეც ვიცოდი, მაგრამ ვერაფრით ვაიძულე თავი, რომ ცოდნა საქმედ მექცია. დიდსა და დამსახურებულ სირცხვილს ვგრძნობ იმის გამო, რომ ჩემი ხელმძღვანელობის ქვეშ ისინი ნავმისადგომებში ბოდიალსა და საბაჟოს კიბეებზე უსაქმოდ ყიალს აგრძელებდნენ. დროის უდიდეს ნაწილს ამოჩემებულ კუთხეებში მიყუდებულ საგარძლებში ძილში ატარებდნენ, თუმცაღა შუადღისას ერთი-ორჯერ გამოფხიზლდებოდნენ და ერთმანეთს ძველი საზღვაო ისტორიების მეათიათასჯერ მოყოლით აბეზრებდნენ თავს; ანდა იმ ყავლგასული ხუმრობებით, რომლებიც კოდურ ენასავით მხოლოდ თვითონღა ესმოდათ.

როგორც მივხვდი, მათ საკმაოდ მალე აღმოაჩინეს, რომ ახალი ინსპექტორისგან საფრთხეს არ ელოდათ. ასე რომ, შემსუბუქებული გულებითა და თვითკმაყოფილებით, რომ სასარგებლო სამუშაოს ეწეოდნენ – ყოველ შემთხვევაში, თუ ქვეყნისთვის ვერ მოჰქონდათ სარგებელი, თვითონ ხომ კარგად სარგებლობდნენ – ეს კეთილი მოხუცი ჯენტლმენები სამსახურში ათასგვარ ფორმალობას ასრულებდნენ. ცხვირებზე სათვალეებს მოირგებდნენ და ბრძნული გამომეტყველებით იცქირებოდნენ დიდი გემების ტრიუმებში, უშველებელ ალიაქოთს ტეხდნენ წვრილმანების გამო და ამიტომაც უფრო მნიშვნელოვანი გარემოებები გამოეპარებოდათ ხოლმე. როცა თავს ამგვარი უიღბლობა დაგვატყდებოდა – როდესაც მთელ ვაგონ ძვირფას საქონელს კონტრაბანდულად შემოაპარებდნენ ნაპირზე, ხანდახან დღისით-მზისით და პირდაპირ მათი ყნოსვადახშული ცხვირების წინაც – ვერაფერი შეედრებოდა იმ სიფხიზლესა და სიმარდეს, რომლითაც ისინი საჩქაროდ კეტავდ-

ნენ, ბეჭედს ადებდნენ და ლენტითა და ცვილით ლუქავდნენ დამნაშავე გემის ყველა შესასვლელს. იმის ნაცვლად, რომ უწინდელი უგულისყურობის გამო საყვედური გამომეთქვა, საქმეს ისე შემოატრიალებდნენ, რომ ჩემგან ლამის ხოტბა-დიდებას იღებდნენ გულმოდგინე სიფრთხილის გამოჩენისათვის მას მერე, რაც შეცდომა უკვე გაეპარათ. ფიცხელი თავგამოდებისათვის სანაცვლოდ მადლიერება და აღიარება სურდათ მაშინ, როდესაც მათ გაფუჭებულ საქმეს უკვე აღარაფერი ეშველებოდა.

ერთი სულელური ჩვევა მაქვს – თუკი ადამიანი მეტისმეტად შემაწუხებელი არ არის, მის მიმართ მაშინვე კეთილად განვეწყობი ხოლმე. მოსაუბრის ღირსებები (თუკი, რასაკვირველია, აქვს) მის ნაკლზე მეტად მხვდება თვალში და უკეთაც მამახსოვრდება. ვინაიდან საბაჟოს ოფიცრობის უმეტესობა კარგი ადამიანი იყო და რაკიღა ჩემი თანამდებობა მათზე მზრუნველობასა და მფარველობას მავალებდა, მალე მეგობრული ატმოსფერო შეიქმნა და არ დავახანე შემეყვარებინა ისინი. ზაფხულის ცხელ შუადღეებზე, როდესაც კაცობრიობის დანარჩენი ნაწილი მზეზე იხვითქებოდა, მათ ნახევრადუსიცოცხლო სხეულებს ოდნავ თუ ალღობდა საამური სითბო – მაშინ ისინი, ჩვეულებისამებრ კედელთან ჩამწკრივებულ სავარძლებში ჩაფლულნი, მხიარულად ალაქალაქდებოდნენ ხოლმე და მეც სიამოვნებით ვუგდებდი ყურს. ასეთ დროს ყინულით დაფარულ ადამისდროინდელ ხუმრობებს ალღობდნენ და სიცილთან ერთად შხეფებსაც აფრქვევდნენ პირიდან. ასაკოვანი ადამიანების მხიარულება გარეგნულად ბავშვებისას წააგავს; არც ჭკუამახვილობით გამოირჩევა და არც – იუმორის სიღრმით. ორივე შემთხვევაში იგი ჰგავს სხივს, რომელიც ზედაპირს ეთამაშება და ერთნაირად მზიან და ხალისიან იერს ჰფენს როგორც მწვანე ყლორტს, ასევე რუხ, ლპობაშეპარულ ტოტს. თუმცაღა, პირველ შემთხვევაში ეს ნამდვილი ციური სხივია, ხოლო მეორე შემთხვევაში უფრო მეტად დამპალი ხის ფოსფორულ ნათებას გვახსენებს.

მკითხველი მიმიხვდება, რომ მეტად უსამართლოდ მოვიქცევი, თუკი ჩემს ძვირფას მხცოვან მეგობრებს ბებრულ ჭკუასუსტობას განურჩევლად დავწამებ. დავიწყოთ იქიდან, რომ ჩემი ყველა თანაშემწე ხანშიშესული არ ყოფილა, მათ შორის ერივნენ ძალღონითა და სიცოცხლით სავსე კაცები, ღირსშესანიშნავი უნარისა და ენერგიის მქონენი და აშკარად იმ დუნე და დამთრგუნველ ყოფაზე უკეთესის ღირსნი, ვიდრე მათთვის ბოროტ ბედისწერას ერგუნებინა. გარდა ამისა, ხანდახან ასაკით გათეთრებული კულულები იმ ჩალას ჰგავს, რომლითაც ცინცხალი გონების სამყოფელს ხურავს. თუმცა, რაც შეეხება ჩემი ჯგუფის ვეტერანების უმეტესობას, არ შევცოდავ, თუ მათ გულისგამაწყალებელ ბებრებად მოვიხსენიებ, რომლებმაც ბევრი რამ გამოსცადეს, მაგრამ ცოტა თუ დაიმახსოვრეს. ჩანდა, რომ მთლიანად გაეპნიათ ცხოვრებისეული სიბრძნის ის ოქროს მარცვლები, რომელთაგანაც არცთუ ურიგო ჭირნახულის მომკა შეეძლოთ და სამაგიეროდ თავები ბზით გამოეტენათ. გაცილებით მეტი პათოსითა და ინტერესით ლაპარაკობდნენ დილანდელ საუზმეზე და მით უფრო, გუშინდელ, დღევანდელ თუ ხვალინდელ სადილზე, ვიდრე ორმოცი თუ ორმოცდაათი წლის წინანადელ გემების კატასტროფებზე და ყველა იმ ამქვეყნიურ საოცრებაზე, რომლებიც ახალგაზრდობაში საკუთარი თავზე ეწვნიათ. მამა ამ საბაჟოსი – რომელსაც პატრიარქად მიიჩნევდა არა მხოლოდ აქაურ თანამდებობის პირთა მცირე კოჰორტა, არამედ გავბედავ და ვიტყვი, რომ მთელი ამერიკის შეერთებული შტატების პორტის საბაჟოების ყველა პატივცემული გვამიც – ერთი მუდმივი ინსპექტორი გახლდათ. მას შეგვიძლია სამართლიანად ვუწოდოთ საგადასახადო სისტემის კანონიერი ტახტის მემკვიდრე, ხელშეუხებელი და მირონცხებული, ვინაიდან მისმა მამამ, რევოლუციის დროის პოლკოვნიკმა და პორტის ყოფილმა მებაჟემ, ეს თანამდებობა თავისი ვაჟისათვის შექმნა და მას ჯერ კიდევ იმ დროს უსახსოვრა, რომელიც ახლა ცოცხალთაგან ცოტას თუ ახსოვს. ეს ინსპექტორი, როდესაც პირველად ვნახე, უკვე ოთხმოციოდე წლისა იქნებოდა და ერთ-ერთი

მარადმწვანეთა ჯიშის ისეთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი გახლდათ, რომლის მსგავსსაც ცხოვრებაში იშვიათად თუ გადაეყრები. მისი ღაჟღაჟა ლოყები, პრიალაღილებიან ლურჯ პალტოში კოხტად გამოკვართული მკვრივი სხეული, ცოცხალი და ენერგიული სიარულის მანერა და მხნე და გულწრფელი გამომეტყველება ინსპექტორს წარმოაჩენდა არა ახალგაზრდად, არამედ დედაბუნების რაღაც ახლებურ, ადამიანისმაგვარ ქმნილებად, რომელთანაც ასაკსა და ავადმყოფობას ხელი არა აქვს. მისი ხმა და სიცილი, რომლებსაც საბაჟოს კედლები გამუდმებით ექოს აძლევდა, მოხუცი კაცის ჩიფჩიფსა და კაკანს კი არ მოგაგონებდათ, მამლის ყივილივით ანდა ბუკის ხმიანობასავით ომახიანად ამოიჭრებოდა ხოლმე ინსპექტორის ფილტვებიდან. თუ მას ისე შეხედავდით, როგორც ცხოველს – და სხვანაირად ანკი როგორ უნდა შეგეხედათ – მეტად თვალგასახარ ვინმედ მოგეჩვენებოდათ – ჯანსაღად და უნაკლო აღნაგობის კაცად; თანაც მას გააჩნდა მისი ასაკის მოკვდავისათვის ფრიად უჩვეულო უნარი – დამტკბარიყო ყველა ან თითქმის ყველა იმ სიამოვნებით, რომლებსაც ცხოვრება სთავაზობდა. იმ უდარდელსა და უსაფრთხო ყოფას, რომელსაც საბაჟოში ატარებდა, სტაბილურ შემოსავალსა და იშვიათ და მსუბუქ საფრთხეს იმისა, რომ დაითხოვდნენ, ეჭვი არაა საკუთარი წვლილი შეჰქონდათ ინსპექტორის ცხოვრების ლაღ მდინარებაში. და მაინც მისი დღეგრძელობისა და სიჯანსაღის უპირველესი და უმთავრესი მიზეზი იმალებოდა მის იშვიათ, სრულიად ცხოველურ ხასიათში, მოკრძალებულად მიმადლებულ ჭკუა-გონებასა და უმცირესი დოზით მინიჭებულ მორალურ და სულიერ ღირსებებში, რომლებიც მხოლოდ იმისთვის კმაროდა, რომ ხნიერ ჯენტლმენს ოთხზე არ ეარა. მას არ გააჩნდა ნიჭი, რომ ეფიქრა; სიღრმე, რომ განეცადა და მგრძნობიარობა, რომ ათასი თავსატეხი გაეჩინა მისთვის. ამ ყველაფრის არქონას უცვლიდა რამდენიმე ბანალური ინსტინქტი და მხიარული ხასიათი, რომელიც აშკარად მისი ფიზიკური სიმხნევიდან იღებდა სათავეს და რომელიც მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა – ზოგადი

შეხედულებით, გულის მაგივრობასაც კი უწევდა ინსპექტორს. მას ჰყავდა სამი ცოლი, სამივე დიდი ხნის წინ მკვდარი და ოცამდე შვილი, რომელთა უმეტესობაც ჯერ კიდევ ბავშვობისა თუ მოწიფულობის ასაკში ასევე მტვრად ქცეულიყო. შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ ეს ყველაფერი საკმარისი იყო, რათა ყველაზე მზიანი ხასიათიც კი სევდით გაეჟღინთა და კვლავაც და კვლავაც შავი იერით შეემოსა. მაგრამ ჩვენს ინსპექტორს მსგავსიც კი არაფერი მოსვლია! ამ დამთრგუნველი მოგონებების მთელ სიმძიმეს ერთ მოკლე ამოოხვრას ამოაყოლებდა ხოლმე, მეორე წუთს კი მხიარულებისათვის ისევე მზად იყო, როგორც პატარა ბიჭი, იმაზე მეტადაც კი, ვიდრე გადასახადების ამკრეფის ცხრამეტი წლის ყმაწვილი კლერკი, რომელიც ამ ორს შორის უფრო დაღვინებულსა და ასაკით უფროსს ჰგავდა.

ამ პატრიარქალურ ფიგურას მე, ვგონებ, იმაზე ცხოველი ცნობისმოყვარეობით ვაკვირდებოდი და ვსწავლობდი, ვიდრე ჩემს თვალსაწიერში მოხვედრილ კაცობრიობის ნებისმიერ სხვა წარმომადგენელს. მართლაც იშვიათი ფენომენი გახლდათ: ასეთი სრულყოფილი, ერთი მხრივ, და ასეთი ზედაპირული, ყალბი და მოუხელთებელი, ლამის აბსოლუტური არარაობა, მეორე მხრივ. დავასკვენი, რომ მას არ ჰქონდა არც სული, არც გული და არც გონება, არაფერი, გარდა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, რამდენიმე ინსტინქტისა; და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, მისი ხასიათის ორიოდე ღირსება იმდენად მოხერხებულად შერწყმოდა ერთმანეთს, რომ ინსპექტორი გულნაკლულობის შეგრძენებას სულაც არ გიტოვებდათ, პირიქით, ჩემი მხრივ, სრულიად დამაკმაყოფილა იმან, რაც მასში ვპოვე. შესაძლოა, ძნელი ყოფილიყო, და იყო კიდეც, ფიქრი იმაზე, თუ როგორ გაგრძელდებოდა მისი სუფევა იმქვეყნად, იმდენად მიწიერი და ხორციელი ვინმე გახლდათ, მაგრამ იმასაც ვაღიარებ, რომ თუმცაღა ალბათ მისი ცხოვრება უკანასკნელი ამქვეყნიური ამოსუნთქვით დასრულდებოდა, ამაოდ ჩავლილი მაინც არ იქნებოდა, რადგან, მართალია, ამ კაცს მინდვრის ცხოველებზე მეტი მორალური პასუხისმგებლობა არ გააჩნ-

და, მაგრამ სამაგიეროდ მათზე მეტი გზა იცოდა სიამოვნების მისაღებად და ამასთანავე, ასაკის პირქუშობისა და სევდიანობის წინააღმდეგ მათთვისვე დამახასიათებელი კურთხეული შეუვალობა დაჰყოლოდა.

არაჩვეულებრივი უნარი, მეხსიერებით გაეცოცხლებინა ყველა ის კარგი სადილი, რომლებსაც არცთუ მცირე წვლილი მიუძღოდათ მის ამქვეყნიურ ბედნიერებაში, იყო ერთ-ერთი ის თვისება, რომელიც ინსპექტორს თავის ოთხფეხა თანამოძმეებზე მაღლა აყენებდა. მისი გურმანობა ფრიად დასაფასებელი თვისება გახლდათ – მწნილეულსა და ხამანწკებზე უკეთ გაგიღვიძებდათ მადას შემწვარ ხორცზე ლაპარაკით. რაკიღა ვიცოდი, რომ მაღალი მისწრაფებები არ აწუხებდა და არც ერთ სულიერ ღირებულებას არ თმობდა და წირავდა, როდესაც მთელ ძალისხმევას სტომაქის ამოყორვის სასარგებლო და სანეტარო საქმეს ახარჯავდა, მუდამ სინდისის ქენჯნის გარეშე ვტკბებოდი და ვნაყრდებოდი მისი ვრცელი საუბრებით თევზის, ფრინველისა თუ პირუტყვის ხორცისა და მათი მომზადების ყველაზე ღირსშესანიშნავი მეთოდების შესახებ. კარგ ნადიმს, თუნდაც ძველისძველს, ისე ცოცხლად აღწერდა, რომ გოჭისა თუ ინდაურის სურნელი პირდაპირ ნესტოებში შეგიღიტინებდათ. სამოცი-სამოცდაათი წლის წინ აღბეჭდილ არომატებს მისი სასა ისე ცხადად შეიგრძნობდა, როგორც ამ დილით საუზმეზე შთანთქმული ბატკნის კატლეტის გემოს. მესმოდა, როგორ აწკლაპუნებდა ტუჩებს იმ სადილების გახსენებაზე, რომელთა ყველა სტუმარი, რასაკვირველია, მის გარდა, უკვე კარგა ხანია თავად ქცეულიყო მატლების სადილად. საოცარი საყურებელი იყო, თუ როგორ განუწყვეტლივ ცოცხლდებოდნენ მის წინაშე გარდასული ნადიმების მონაწილენი; არა ბრაზითა და მისაგებლით, არამედ თითქოს ემადლიერებოდნენ ასეთი დაფასების გამო და ნატრობდნენ, კიდევ ერთხელ განეცადათ ჭამა-სმის ის დაუსრულებელი, იდუმალი და ვნებიანი სიამოვნებანი. საქონლის სუკები, ხბოს უკანა ფეხები, ღორის ნეკნები, მადისაღმძვრელი წიწილები, ანდა განსაკუთრებულად ღირსშესანიშნავი ინდაურები, რომლებიც მის სუფრას ჯერ კიდევ პრეზიდენტ ადამსის დროს ამშვენებდა, ინსპექტორის ხსოვნას ცოცხლად შემოენახა; მაშინ, როდესაც ჩვენი მოდგმის ყველა სხვა შემდგომ თავგადასავალს, ყველა იმ მოვლენას, რომლებმაც კეთილი თუ ბოროტი ზეგავლენა მოახდინა მის საქმიანობაზე, ნიავის მოლამუნებასავით უკვალოდ ჩაეარა. უმთავრესი ტრაგედია ამ მრავლისმნახველი კაცის ცხოვრებაში, თუ ჩემს განსჯას ენდობით, ერთ ბატთან დაკავშირებული უიღბლო ისტორია გახლდათ. ეს ბატი, რომელიც ოცი თუ ორმოცი წლის წინ ცოცხლობდა და აღესრულა, დიდად მადისაღმძვრელი აგებულებისა ჩანდა, მაგრამ სუფრაზე მიტანილი ისეთი მაგარი და ძნელად დასაღეჭი აღმოჩნდა, რომ დანამ ვერაფერი დააკლო და მხოლოდ ნაჯახით თუ ხერხით მოახერხეს დაეჭრათ.

მაგრამ მგონი, დროა, დავასრულოთ ეს ისტორია, თუმცაღა კიდევ დიდხანს და სიამოვნებით ვილაპარაკებდი მოხუც ინსპექტორზე, რაკიღა იმათ შორის, ვინც კი ოდესმე მცნობია, იგი ყველაზე უკეთ მიესადაგებოდა საბაჟოს ოფიცრის თანამდებობას. ადამიანთა უმეტესობას რიგ მიზეზთა გამო, რომელთა განვრცობაც აქ უადგილოდ მეჩვენება, ცხოვრების ამგვარი წესი მორალურად ტანჯავს. მოხუც ინსპექტორს კი ტანჯვისა და სინანულის უნარი არ ჰქონდა და ამიტომაც სიკვდილამდეც რომ დარჩენილიყო ამ სამსახურში, ბოლო დღესაც ძველებური შემართებით გაატარებდა და უკანასკნელ სადილსაც ძველებური მადით მოულხენდა.

არის კიდევ ერთი პიროვნება, რომლის აღწერის გარეშეც ჩემი გალერეა საბაჟოს პორტრეტებისა მეტად არასრულყოფილი იქნება; თუმცაღა, რაკი მასზე დაკვირვების საშუალება უფრო იშვიათად მეძლეოდა, ეს აღწერილობა შედარებით მწირი მონასმებით იქნება შესრულებული. ვგულისხმობ ინსპექტორს, ჩვენს ზრდილ მოხუც გენერალს, რომელიც თავისი ბრწყინვალე სამხედრო კარიერის დასრულების შემდეგ ერთხანს ველურ დასავლეთს მართავდა, მერე კი, ოცი წლის წინ, აქ დამკვიდრდა და თავისი ბობოქარი და ღირსეული ცხოვრების მიმწუხრი აქვე გაატარა.

ეს მამაცი მეომარი უკვე თავისი ცხოვრების სამოცდამეათე წელს მიითვლიდა და ამქვეყნიურ მარშს ისეთი ავადმყოფობებით დახუნძლული ასრულებდა, რომელთაც სულისამაფორიაქებელი მოგონებების საომარი მუსიკაც კი ვერ უმსუბუქებდა. ფეხები, რომლებიც ადრე ლაშქარს მიუძღოდნენ წინ, ახლა საბრალობლად ცახცახებდნენ. საბაჟოს კიბის რკინის მოაჯირს მაგრად ჩაებღაუჭებოდა და მსახურის დახმარებით ნელა და წამებით ადიოდა საფეხურებზე, ასეთივე წვალებით მიიწევდა წინ, ვიდრე ბუხართან მდგარ თავის საყვარელ სავარძელში ჩაეშვებოდა. იჯდა იქ ფურცლების შრიალით, ლანძღვა-გინებით, საქმიანი ფუსფუსითა და მოხელეთა ყოველდღიური საუბრებით გარშემორტყმული და დუნე უშფოთველობით შესცქეროდა მომსვლელ-წამსვლელს; არც ერთი ეს ხმა თუ მოვლენა არც მის შეგრძნებებზე აისახებოდა და ვერც მისი გონების სიღრმისაკენ იკვლევდა გზას. მუდამ რბილი და კეთილი გამომეტყველება ეფინა სახეზე. თუკი ვინმე მის ყურადღებას მოითხოვდა, გენერლის ნაკვთებს თავაზიანი და ინტერესით აღსავსე გამომეტყველება გაანათებდა, რომელიც მიგანიშნებდათ, რომ ამ კაცის გონებაში ჯერ კიდევ კიაფობდა სხივი, რომელსაც მისი დაჩლუნგებული შეგრძნებები უშლიდნენ გამობრწყინებას. რაც უფრო კარგად ჩაუკვირდებოდით მის აზროვნებას, მით უფრო შეამჩნევდით, როგორ ჯანსაღად შემონახულიყო. როდესაც აღარც მოსმენა და აღარც ლაპარაკი აღარ ევალებოდა – ორივე ეს მოქმედება კი მას შესამჩნევ ძალისხმევას ართმევდა – გენერლის სახე მაშინვე დაიბრუნებდა ძველებურ, ხალისიან სიმშვიდეს. უსიამოვნო საყურებელი არ გახლდათ, რადგან დუნე გამომეტყველება, რომელიც სახეზე ეფინა, ხრწნადობის ასაკისათვის დამახასიათებელ ჭკუასუსტობაზე არ მიუთითებდა. და მისი სხეულიც, ოდესღაც ძლიერი და ბრგე, ჯერ ბოლომდე არ ჩამოშლილიყო ნანგრევებად.

და მაინც, ამგვარ არასახარბიელო პირობებში გენერლის ბუნების შეცნობა და პორტრეტის შექმნა ისეთივე რთული ამოცანა იყო, როგორიც ძველი ციხესიმაგრისა, ვთქვათ, ტაიკონდეროგას წარმოსახვით აღდგენა მისი ნაცრისფერი და გაპარტახებული ნანგრევების მიხედვით. ზოგან შესაძლებელია კედლები მთლიანად იყოს შემორჩენილი, მაგრამ სხვაგან მხოლოდ უფორმო ნაშალი დაგვხვდება, რომელიც მრავალწლიანმა უყურადღებობამ და მშვიდობიანობამ ბალახითა და ათასი უცნაური სარეველით დაფარა.

მიუხედავად ამისა, ხელი არ ამიღია მცდელობაზე, მოხუცი მებრძოლის პორტრეტის მთავარი შტრიხები როგორმე გამომეკვეთა. სიყვარულით ვაკვირდებოდი მას; სიყვარულით, რადგან, თუმცაღა, ახლო ურთიერთობა არ გვქონია ერთმანეთთან, მის მიმართ ჩემს გრძნობას – ისევე, როგორც ყველა ორფეხი თუ ოთხფეხი არსებისა, რომელიც კი მას იცნობდა – შეიძლება ეს სახელი თამამად ვუწოდოთ. მის ძვალსა და რბილში გამჯდარი კეთილშობილური და გმირული თვისებები უტყუარად მიგვანიშნებდნენ, რომ გენერლის საქვეყნოდ განთქმული დიდება სრულიად დამსახურებული იყო და არა შემთხვევითობის წყალობა. დარწმუნებული ვარ, სულიერ მოუსვენრობას არასოდეს შეუპყრია იგი; მისნაირ ადამიანებს ნებისმიერ ასაკში სჭირდებათ იმპულსი, რათა სამოქმედოდ აღიძრან. მაგრამ, რაკიღა ერთხელ გაიაზრებდა, თუ რა დაბრკოლებების გადალახვა მოუწევდა და შესაფერის მიზანსაც დაისახავდა, მერე დანებებისა და დამარცხების უფლებას ვეღარ მისცემდა თავს. ცეცხლი, რომელიც უწინ მთელ მის არსებას მსჭვალავდა და არც ახლა ჩამქრალიყო ბოლომდე, არასოდეს ყოფილა იმ ყაიდისა, რომელიც უეცრად აგიზგიზდება და უეცრადვე მიინავლება, ის უფრო ქურაში გავარვარებული რკინის მეწამულ ელვარებას მიაგავდა. გავლენა, სიმტკიცე, გამძლეობა – ეს იყო ის თვისებები, რომლებიც მოხუცებულობის თვლემაში ჩაფლულსაც კი სახეზე ეწერა. მის შემყურეს შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ თუკი მისი ცნობიერების სიღრმეში მღელვარების ბუკ-ნაღარა შეაღწევდა და იმ სულისკვეთებას გამოაფხიზლებდა, რომელსაც სული კი არ აღმოხდომოდა, უბრალოდ თვლემდა, გენერალი ამ ასაკშიც შეძლებდა, თავისი უმოქმედობა სნეული კაცის

ხალათივით გვერდზე მიეგდო, ასაკობრივი უძლურება ხმალზე გაეცვალა და მორიგ ბრძოლაში გადაშვებულიყო. და უკიდურესი აღტყინების ჟამსაც არასოდეს უმტყუნებდა თავშეკავება. თუმცაღა, მოხუცი გენერლის ამგვარი ბოლო გაბრძოლება მხოლოდ ჩემი წარმოსახვის ნაყოფი გახლდათ, იგი არც მოსალოდნელი იყო და არც – სასურველი. რაც მე მას ისევე აშკარად შევამჩნიე, როგორც ბებერი ტაიკონდეროგას ურღვევ გალავანს, რომელიც ერთხელ უკვე შევადარე კიდეც გენერალს – გახლდათ კვალი ჯიუტი და ტლანქი გამძლეობისა, რომელიც შეიძლება მის ახალგაზრდობაში შეუპოვარი სიკერპეც კი ყოფილიყო; უდრეკი და ურყევი პატიოსნება, მსგავსად ყველა სხვა ღირსებისა, მთელი ტონა რკინის მადანივით მძიმედ დასწოლოდა მის ბუნებას; და გულკეთილობა – ეს კაცი, რომელიც ოდესღაც გააფთრებით უღერებდა ხიშტებს ჩიპევასა თუ ფორტ ერის – იმაზე მეტი დოზით ფლობდა ამ თვისებას, ვიდრე იმ ეპოქის ნებისმიერი ცნობილი ქველმოქმედი. რასაკვირველია, მსმენია, რომ მის ხელს ბევრი ადამიანი დაუხოცავს; ისიც კარგად ვიცოდი, რომ მისი სულისკვეთებით გამხნევებული მეომრების წინაშე ადამიანები მოცელილი ბალახის ღერებივით ძირს ცვიოდნენ, და მაინც, ამ კაცის გულში იმდენი ბოროტებაც კი არ იყო, რომ პეპლის ფრთიდან მტვერი ჩამოებერტყა. არასოდეს მინახავს მეორე ადამიანი, რომლის შინაგან სიკეთეზეც ასე დარწმუნებით ვილაპარაკებდი.

იმ დროისათვის, როდესაც ჩემი და მისტერ მილერის გზები გადაიკვეთა, გენერლის ხასიათის მრავალი თვისება – მათ შორის, ისინიც, რომლებიც არანაკლებ დაგვეხმარებოდა ამ პორტრეტის სრულყოფაში – გაფერმკრთალებულიყო ანდა სრულიად გამქრალიყო. სულის უმშვენიერესი ღირსებები იშვიათად გამოირჩევა გამძლეობით; და ბუნებაც, ტაიკონდეროგას ნაშალისაგან განსხვავებით, ადამიანის სულის ნანგრევებს ახალ-ახალი კვირტებით ისე არ ალამაზებს, როგორც ციხესიმაგრის ნაპრალებსა და ბზარებს, რომელთა შორის ფესვის გადგმა და საზრდოს მიღება შეუძლიათ. მიუხედავად ამისა, გენერლის ხასიათს ჯერ კიდევ შემორჩენოდა სილამაზისა და მშვენიერებისაკენ ლტოლვის სურვილი; სხივი იუმორისა, რომელიც დროდადრო გამოაღწევდა ხოლმე მრუმე საფარველიდან და ჩვენს სახეებს საამოდ დასციმციმებდა. თანდაყოლილი ელეგანტურობა, რომელიც ბავშვობისა და ახალგაზრდობის მერე იშვიათად თუ შემორჩება მამაკაცს, თავს იჩენდა გენერლის უზომო სიყვარულში ყვავილებისა და მათი სურნელის მიმართ. ჩვეულებრივ, ერთადერთი მცენარე, რომელსაც მოხუცი ჯარისკაცი აფასებს, მხოლოდ მისივე შუბლზე დადგმული სისხლიანი დაფნის გვირგვინია, მაგრამ მისტერ მილერი იყო კაცი, რომელიც ყვავილთა ჯიშს გოგონასავით აღმერთებდა.

და აი აქ, ბუხრის გვერდით, იჯდა ხოლმე მოხუცი გენერალი; ინსპექტორი – თუმცაღა მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობისას იკისრებდა ხოლმე საუბარში მისი ჩართვის რთულ მისიას – ტკბებოდა მისტერ მილერის შორიახლო დგომითა და მისი მშვიდი, ლამის ძილმორეული სახის ცქერით. მიუხედავად იმისა, რომ ორიოდე იარდის სიშორიდან ვუჭვრეტდით, გენერალი თითქოს ძალიან შორს იყო ჩვენგან; ვერც მაშინ ვუახლოვდებოდით, როდესაც სულ ახლოს ჩავუვლიდით ხოლმე მის სავარძელს. ასე ერთი ხელის გაწვდენაზეც კი მიუწვდომელი რჩებოდა. შესაძლოა იმის გამო, რომ მისტერ მილერი უფრო საკუთარ ფიქრებში ცხოვრობდა, ვიდრე საბაჟოს სამმართველოს სრულიად შეუფერებელ გარემოში. აღლუმის მსვლელობა, ბრძოლის ყიჟინა, ჰანგები ძველებური, გმირული მუსიკისა, რომელიც ოცდაათი წლის წინ მოესმინა – ალბათ, მხოლოდ ეს ხმები და სურათებიღა შემორჩენოდა მის აღქმას. ამასობაში კი გარშემო ვაჭრები და გემის კაპიტნები, კოხტაპრუწა კლერკები და ხეპრე მეზღვაურები მიდი-მოდიოდნენ; საბაჟოს აღებ-მიცემობის სულისკვეთებით განმსჭვალული აყალმაყალი გენერლის ყურამდე ბუნდოვნად თუღა აღწევდა; არც ამ ადამიანებსა და არც მათ საქმეებს შორეული კავშირიც კი არ ჰქონდათ მასთან. იგი ჰგავდა ძველ დაჟანგებულ ხმალს – ოდესღაც ბრძოლის ველზე რომ ელვარებდა და ჯერაც კიდეები უპრიალებდა – მიგდებულს გადასახადების ამკრეფის მოადგილის

საწერ მაგიდაზე, სამელნეებს, ქაღალდის შეკვრებსა და წითელი ხის სახაზავებს შორის.

იყო ერთი რამ, რაც ძალიან დამეხმარა ნიაგარას საზღვრების ერთგული და მამაცი მცველის – ნაღდი, უბრალო და მხნე კაცის სახის გაცოცხლებაში. „ვეცდები, სერ!" – წინასწარგანწირული და გმირული წამოწყების წინ წარმოთქმული ეს სიტყვები ახალი ინგლისის სიმტკიცეს, მოსალოდნელი საფრთხეების გააზრების უნარსა და მათთან შეგებების მზადყოფნას იტევდა. ჩვენს ქვეყანაში სიმამაცე გერბით რომ ჯილდოვდებოდეს, ეს ფრაზა – რომელიც ასეთი მარტივი ჩანს, მაგრამ ასეთი ძნელი ამოსათქმელია, როდესაც წინ უზარმაზარი საფრთხე და დიდება გელოდება – ყველაზე მოხდენილი და საუკეთესო დევიზი იქნებოდა გენერლის გერბზე წასაწერად.

ადამიანის ზნეობრივი და გონებრივი სიჯანსაღისათვის მეტად სასარგებლო იქნება, თუკი დიდ დროს გაატარებს საზოგადოებაში, რომლის წევრებიც მისგან ძალიან განსხვავდებიან, რომლებიც სულაც არ იზიარებენ მის მისწრაფებებს და რომელთა მისწრაფებათა დასაფასებლად თავადაც ძალა უნდა დაატანოს თავს. რაკიღა შემთხვევითობა ჩემი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრია, ხშირად მრგებია პატივი უჩვეულო ადამიანებს შევხვედროდი, მაგრამ არასოდეს ისეთი სისავსითა და მრავალფეროვნებით, როგორიც საბაჟოში მუშაობისას. განსაკუთრებით მახსენდება ერთი თანამშრომელი, რომლის ბუნებაზე დაკვირვებამაც ნიჭიერების ახალი მხარე აღმომაჩენინა. მას ყველა ის თვისება ჰქონდა, რომლებიც საქმიან კაცს სჭირდება: სიმკვირცხლე, გამჭრიახობა, ნათელი გონება, მახვილი თვალი, რომელიც ყოველგვარ დაბრკოლებას მაშინვე ამჩნევდა და საოცარი ნიჭი, რომ ეს დაბრკოლებები ხელის ერთი მოსმით, თითქოს ჯადოსნური ჯოხის აქნევით გაექრო. ბიჭობიდანვე საბაჟოში ტრიალებდა და მართლაც აქ იყო მისი ასპარეზი; და ამ ჩახლართულ საქმიანობას, ასე თავგზაამაბნეველს სხვებისათვის, მისი გონება იდეალურად ჩამოყალიბებულ და მოწესრიგებულ სისტემად აღიქვამდა. ჩემი თვალთახედვით, იგი თავისი კლასის საუკეთესო წარმომადგენელი გახლდათ. მართლაც, ის თავად იყო საბაჟო, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ის ძირითადი მამოძრავებელი ძალა, რომელსაც საბაჟოს განსხვავებული მექანიზმები შეთანხმებულ მოქმედებაში მოჰყავდა. ამგვარ დაწესებულებაში თანამშომლებს, რომლებიც იმისთვის მიდიან, რომ სამსახური თავიანთ სარგებელსა და კომფორტს მოახმარონ და მეტად ყოჩაღადაც ართმევენ თავს ამ მოვალეობას, მუდამ უწევთ, სხვაგან ეძებონ საქმის ის ცოდნა, რომელიც თავად არ გააჩნიათ. ამგვარად, აუცილებლობის წყალობით, როგორც მაგნიტი იკრავს რკინის ნაქლიბს, ეს საქმიანი კაციც თავის თავზე იღებდა იმ სირთულეების მოგვარებას, რომლებიც დანარჩენებს ექმნებოდათ. იგი გულკეთილი შემწყნარებლობით გვპატიობდა ყველა ჩვენს სისულელეს – რომელთაც ცოტა არ იყოს და უპასუხისმგებლობის სუნიც გადაჰკრავდა – და ყოველგვარ გაურკვევლობას დაუყოვნებლივ, თითის მხოლოდ ერთი გაქნევით ჰფენდა ნათელს. ვაჭრები ისევე აღმერთებდნენ მას, როგორც ჩვენ, მისი განდობილი მეგობრები. უზადო პატიოსნების პატრონი იყო. მისთვის ეს ბუნების კანონი გახლდათ და არა არჩევნისა თუ პრინციპის საკითხი; ასეთ ნათელ და მოწესრიგებულ გონებას სხვანაირად არც შეეძლო – მუდამ პატიოსნად უნდა ეკეთებინა და წესრიგში ჰქონოდა სამმართველოს საქმეები. პროფესიულ სინდისზე აღბეჭდილი ლაქა ამ კაცს კიდევ უფრო მეტად შეაწუხებდა, ვიდრე საბუღალტრო გათვლებში აღმოჩენილი ცდომილება ანდა დავთრის ქათქათა გვერდზე დამჩნეული მელნის წვეთი. მოკლედ რომ ვთქვა, აქ – და ეს იშვიათი შემთხვევაა ჩემს ცხოვრებაში – მე შევხვდი ადამიანს, რომელიც იდეალურად ერგებოდა თავის თანამდებობას.

ამგვარი იყო ორიოდე იმ ადამიანთაგან, რომლებთანაც ცხოვრებამ დამაკავშირა. მივიჩნიე, რომ ჩემთვის ამ უჩვეულო თანამდებობაზე ბედისწერის ხელმა გადმომისროლა და საკუთარ თავს სერიოზულ მიზნად დავუსახე, ამ ახალი თავგადასავლისაგან რაც შეიძლება მეტი სარგებელი მენახა. მას მერე, რაც თავი ვიტეხე

„ბრუკის ფერმის[1]“ მეოცნებე საძმოს განუხორციელებელ სქემებზე; მას მერე, რაც სამი წელი ემერსონის დახვეწილი გონების ზეგავლენის ქვეშ ვიცხოვრე; მას მერე, რაც ველური, თავისუფალი დღეები გავატარე მდინარე აზაბეტზე ელერი ჩანინგთან ერთად და ჩამოცვენილი ტოტებისაგან დანთებული კოცონის პირას მსხდარნი ათას ფანტასტიკურ ვარაუდს განვიხილავდით; მას მერე, რაც მის ტყიურ საყუდარში ვინახულე თორო და ფიჭვის ხეებსა და ინდიელთა რელიკვიებზე ვესაუბრე; მას მერე, რაც ჰილარდის კლასიკურ, დახვეწილ კულტურასთან ზიარებამ გემოვნება დამიხვეწა; მას მერე, რაც ლონგფელოუსთან ერთად კერიის წინ მჯდომი პოეტური სულისკვეთებით განვიმსჭვალე – დრო იყო, რომ ჩემი ბუნება ახლებური გამოცდის წინაშე დამეყენებინა და სული იმ საზრდოთი გამომეკვება, რომელიც ადრე ნაკლებად აღმიძრავდა მადას. კაცს, რომელიც თვით ოლკოტს ვიცნობდი, მოხუცი ინსპექტორიც კი ახალ ხილად მეჩვენებოდა. ამ ყველაფერს, გარკვეულწილად, ვუყურებდი როგორც კარგად დაბალანსებულ, აწყობილ სისტემას – იმ ადამიანების საპირწონედ, რომლებიც ჩემს მეხსიერებას შემოენახა, ახალი, სრულიად განსხვავებული ტიპაჟები უნდა გამეცნო და არ მეწუწუნა ცვლილებების გამო.

ლიტერატურა და ლიტერატურული ფახიფუხი იმ დროს ძალიან ცოტას თუ ნიშნავდა ჩემთვის. იმ დღეებში წიგნებს დიდად არ დაგიდევდით; მათგან თავი შორს მეჭირა. აღარანაირი ბუნება, გარდა ადამიანურისა, ბუნება, რომელიც მიწასა და ცას შორისაა მოქცეული, ჩემს სულს აღარ ეკარებოდა; და საამურ წარმოსახვას, რომელიც მას ოდესღაც ცოცხლად წარმომიდგენდა, სრულიად დაეტოვებინა ჩემი გონება. ბუნების აღქმის ნიჭი თუ უნარი ან სამუდამოდ დავკარგე, ან დროებით გაქვავდა და გაიყინა ჩემში, რაც ძალიან დამასევდიანებდა, ენითგამოუთქმელად შემაძრწუნებდა, დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავი იმაში,

[1] ბრუკის ფერმა – ბოსტონის მახლობლად დაარსებული უტოპისტების გაერთიანება.

რომ ყველაფერი, რაც ფასეული იყო, ნებისმიერ დროს შეიძლებოდა გამომეხმო წარსულიდან. მართლაც, ამგვარი ცხოვრების წესი, თუ იგი მეტისმეტად დიდხანს გაგრძელდებოდა, სიკეთეს არ მომიტანდა – სრულიად სხვა, გადაგვარებულ ადამიანად გადამაქცევდა. მაგრამ წუთითაც არ შემპარვია ეჭვი იმაში, რომ ეს მხოლოდ ერთი გარდამავალი პერიოდი იყო ჩემი ყოფისა. წინასწარმეტყველური ინსტინქტი გამუდმებით ჩამჩურჩულებდა ყურში, რომ, როგორც კი კარგად ყოფნისათვის ჩვეულებათა შეცვლა დამჭირდებოდა, ცვლილებაც არ დააყოვნებდა.

მანამდე კი საგადასახადო სამსახურის ხელმძღვანელი ვიყავი და მგონი, არცთუ ურიგოდ ვართმევდი თავს საქმეს. ფიქრისა და წარმოსახვის უნარის მქონე, მგრძნობიარე (ათგზის უფრო მეტად, ვიდრე ამას ინსპექტორის თანამდებობა მოითხოვდა) კაცი ამავდროულად საქმის კაცადაც ივარგებს, თუკიღა ამ ყულფში თავის გაყოფას მოინდომებს. ჩემი თანამშრომლები, ვაჭრები და გემის კაპიტნები, რომლებთან ურთიერთობასაც თანამდებობა მავალდებულებდა, სხვაგვარად ვერც აღმიქვამდნენ და ალბათ, აინუნშიც არ მოსდიოდათ, თუ ცხოვრების როგორი წესი შეიძლებოდა მქონოდა ადრე. დარწმუნებული ვარ, არც ერთ მათგანს ჩემი დაწერილი სტრიქონიც კი არ ჰქონდა წაკითხული და რომც წაეკითხა, ამით იოტისოდენადაც კი ვერ ავმაღლდებოდი მათ თვალში. ისიც კი ვერ უშველიდა საქმეს, ჩემი არაფრისმომცემი სტრიქონები ბერნსის ანდა ჩოსერის დარ კალამს რომ შეექმნა – აკიღა ოდესღაც ორივე მათგანი, ჩემი არ იყოს, საბაჟოს ოფიცერი გახლდა. კაცისათვის, რომელიც მწერლის დიდებასა და ამ სფეროს დიდოსტატთა შორის თავისი სახელის დამკვირდებაზე ოცნებობს, ჭკუისსასწავლი, თუმცა საკმაოდ მწარე გაკვეთილია, გასცდეს იმ ვიწრო წრეს, რომელიც მის ქმნილებებს აღიარებს და აღმოაჩინოს, დანარჩენი სამყაროსათვის თუ როგორი უმნიშვნელოა მისი ყველა მიღწევა თუ მიზანი. ვერ ვიტყვი, რომ ეს გაკვეთილი აუცილებელი იყო, არ მგონია, რომ გაფრთხილებას ანდა დატუქსვას ვსაჭიროებდი, მაგრამ ასე იყო თუ ისე, მაინც

სრულიად შევითვისე იგი და სიამოვნებითაც გაგანდობთ, რომ, როდესაც ამ შეგრძნებამ ჩემს აღქმაში დაიდო ბინა, არც ტკივილი მიგრძნია და არც უსასოო ოხვრა აღმომხდენია. ხოლო რაც შეეხება ლიტერატურულ საუბრებს, საზღვაო ოფიცერი – შესანიშნავი ახალგაზრდა, რომელიც ჩემთან ერთად მოვიდა ამ სამსახურში და მხოლოდ ცოტაოდენი ხანი თუ დაჰყო ჩემ შემდეგ – ხშირად გამომიწვევდა ხოლმე, რათა განგვეხილა მის ორ საყვარელ თემათაგან ერთ-ერთი – ნაპოლეონი ან შექსპირი. და გადასახადების ამკრეფი ახალგაზრდა კლერკიც – რომელზედაც ჩურჩულებდნენ, რომ ძია სემის საფოსტო ქაღალდებს ხშირად ავსებდა იმით, რაც (რამდენიმე იარდის მანძილიდან) მეტისმეტად საეჭვოდ ჰგავდა ლექსს – როგორც საკითხში მეტ-ნაკლებად გარკვეულ კაცს, ხანდახან სიტყვას ჩამომიდგებდა ხოლმე წიგნების შესახებ. აი, სულ ეს იყო ჩემი ლიტერატურული წიაღსვლანი და უნდა გითხრათ, რომ იგი მე სავსებით მაკმაყოფილებდა.

აღარც ველტვოდი და აღარც დავეძებდი, რომ ჩემი სახელი წიგნების ყდებზე ყოფილიყო გამოჭიმული, მეღიმებოდა, როცა ვფიქრობდი, რომ მას ახლა სხვაგვარი პოპულარულობა შეეძინა – საბაჟოს სამდივნოში სტენსილითა და შავი საღებავით აღბეჭდავდნენ ყველაფერზე: ქაღალდის ფუთებზე, ანატოთი სავსე კალათებზე, სიგარისა და ათასგვარი განბაჟებული საქონლით სავსე ყუთებზე იმის დასტურად, რომ ამ პროდუქტებმა საბაჟო შემოწმება პატიოსნად გაიარა და მოსაკრებელიც გადახდილი იყო. ბედის ბორბლის ასეთი ახირებული ტრიალის წყალობით, ცნობამ ჩემი არსებობის შესახებ, რამდენადაც ეს სახელზეა დამოკიდებული, იმ მხარეებს მიაღწია, რომლებშიც მანამდე არასოდეს გაუგონიათ და იმედია, ვეღარც ამიერიდან გაიგონებენ.

მაგრამ წარსული არ მომკვდარა. ფიქრები, ოდესღაც ასეთი ცოცხალნი და ბობოქარნი, ხოლო მერე კი მიჩუმებულნი, ათასში ერთხელ კვლავ აიშლებოდნენ ხოლმე. და სწორედ გარდასულ დღეთა ჩვევების ერთ-ერთმა იშვიათმა გამოღვიძებათაგანმა განაპირობა, რომ საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანე ლიტერატურული კანონების მიხედვით შექმნილი ეს აღწერილობაც, რომელსაც ამ წამს კითხულობთ.

საბაჟოს შენობის მეორე სართულზე არის დიდი ოთახი, რომლის აგურის კედლები და შიშველი ნივნივებიც პანელებითა და ბათქაშით არასოდეს დაუფარავთ. რაკიღა შენობა ნავსადგურის თავდაპირველი კომერციული ამბიციების შესაბამისად იყო დაპროექტებული და მისი მასშტაბების გათვლისას ფუჭ და განუხორციელებელ იმედს ეყრდნობოდნენ, რომ მომავალში ეს საქმე კიდევ უფრო წინ წაიწევდა – ზემო სართულზე უზარმაზარი სივრცე დაეტოვებინათ, რომლისთვისაც მის ბინადრებს აღარ იცოდნენ, რა ექნათ. ასე რომ, გადასახადების ამკრეფის კაბინეტის თავზე დაშენებული ეს ვრცელი დარბაზი ჯერაც არ მოუმთავრებიათ და ჭერიდან შავი სხივებივით ჩამოშვებული აბლაბუდებით გაბლანდული ოთახი ლამის დღემდე ელოდება დურგლისა თუ კალატოზის ხელს. ოთახის ბოლოს, ნიშში, ერთმანეთზე შეხორხილ რამდენიმე კასრში დასტებად აკინძულ სახელმწიფო დოკუმენტებს ინახავდნენ. იატაკიც ამგვარივე ნაყარნუყარით მოეფინათ. სევდას მოგგვრიდათ იმაზე ფიქრიც კი, თუ რამდენი დღის, თვისა თუ წლის შრომა იყო დახარჯული ამ ობიან ქაღალდებზე, რომლებიც ახლა ასე უაზროდ ამძიმებდნენ დედამიწას და მიყრუებულ კუთხეებში მიეჩქმალათ, რათა ადამიანის თვალს აღარასოდეს დაენახა. მაგრამ აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მრავალი დასტა ხელნაწერებისა – სავსე არა მთქნარებისმომგვრელი ფორმალობებით, არამედ გამჭრიახი გონების ნააზრევითა და მგრძნობიარე გულიდან ამოტყორცნილი ნიაღვრით – ასევე დავიწყებას მიეცა, თანაც ისე, რომ აქ დახვავებული ქაღალდებისაგან განსხვავებით, რაიმე მნიშვნელობა არასოდეს შეუძენიათ და რაც ყველაზე მთავარია, თავიანთი მწერლებისათვის არც ის კეთილდღეობა და შემოსავალი მოუპოვებიათ, რომელთაც საბაჟოს კლერკები კალმების უსარგებლო ფხაჭუნით იხვეჭდნენ. შესაძლოა, ეს დოკუმენტები მთლად უსარგებლო არც იყო – იგი მსუყე მასალა იქნებოდა ადგილობრივი ისტორიის შემსწავლელებისათვის. მათ შორის, ეჭვი

არაა, სალემის ძველი აღებ-მიცემობის სტატისტიკასაც აღმოაჩენ-
დნენ და მოგონებებსაც გარდასული დროის ვაჭრების – მოხუ-
ცი კინგ დერბის, მოხუცი ბილი გრეის, მოხუცი საიმონ ფორეს-
ტერის – შესახებ, რომელთა შეპუდრული თავები ჯერ კიდევ არ
გაციებულიყო მიწაში, რომ მათი სიმდიდრის ხვავრიელი გორის
გვარიანად შეათხელება მათმა მემკვიდრეებმა უკვე მოასწრეს.
აქვე შეიძლება გადააწყდეთ იმ საგვარეულოთა მამამთავრების
სახელებს, რომლებიც დღეს სალემის არისტოკრატიას ქმნიან –
უმნიშვნელო და ბუნდოვან ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ
ცხოვრობდნენ ისინი იქამდე დიდი ხნით ადრე, ვიდრე რევოლუ-
ცია მათ შთამომავლობას საზოგადოებაში დაწინაურებულ ად-
გილს გაუნაღდებდა.

რევოლუციამდელი პერიოდის სულ რამდენიმე ჩანაწერია
შემორჩენილი; საბაჟოს ადრინდელი დოკუმენტები და არქივები,
შესაძლოა, ჰალიფაქსში გადაიტანეს მაშინ, როდესაც მეფის ყველა
წარმომადგენელი ბოსტონიდან უკანდახეულ ბრიტანეთის არმიას
გაჰყვა თან. ხშირად მიგრძნია სინანული მათ გამო, რადგან ის
დოკუმენტები – ძალიან ძველი, ეგებ პროტექტორატისდროინ-
დელიც კი – ალბათ, მრავალ ცნობას შეიცავს აწ უკვე დავიწ-
ყებული ანდა დღემდე დაუვიწყარი ადამიანებისა თუ უძველესი
წეს-ჩვეულებების შესახებ, და ალბათ მათი გადაკითხვისას ის-
ეთივე სიამოვნებას ვიგრძნობდი, როგორსაც პასტორის ძველი
სახლის მახლობელ მინდორში ინდიელთა მიერ ნასროლი ისრების
ბუნიკების აკრეფა მანიჭებდა.

მაგრამ ერთ წვიმიან დღეს, როცა უსაქმოდ დარჩენილი კუთხე-
ში დახვავებულ ძველ ქაღალდებში ვიქექებოდი, უეცრად ბედმა
საინტერესო აღმოჩენამდე მიმიყვანა. ხან ერთ, ხან კი მეორე დო-
კუმენტს გამოვაძრობდი და ვკითხულობდი დიდი ხნის წინ ზღვის
ფსკერზე ჩასვენებული ანდა ნავსადგურებში დამპალი გემების
სახელებს; ვკითხულობდი ასევე ვაჭრების გვარებსაც, რომლებ-
საც ამიერიდან ვეღარც დავთრებში გადააწყდებით და ალბათ,
მათი საფლავების ქვებზეც კი ვეღარ გაარჩევთ; დანაღვლიანებუ-

ლი, დაქანცული და უხალისო ინტერესით მოცული ჩავცქეროდი
ამ გარდასული იწილობიწილოს მატიანეს და თან უქმად ყოფ-
ნისაგან ხავსმოდებულ წარმოსახვას ვავარჯიშებდი, რომ ამ გა-
მოფიტული ჩონჩხის მიხედვით აღმედგინა ხატება ქალაქის ბედ-
ნიერი დღეებისა, როდესაც ინდოეთი ახლადაღმოჩენილი იყო და
მხოლოდ სალემელებმა იცოდნენ მისკენ მიმავალი გზა. სწორედ
ამ უაღრესად სასარგებლო საქმიანობას ვეწეოდი, რომ შემთხ-
ვევით მომხვდა ხელში უძველეს ყვითელ პერგამენტში საგულდა-
გულოდ შეხვეული პატარა ფუთა. იგი ძალიან ჰგავდა დიდი ხნის
წინანდელ ოფიციალურ დოკუმენტს, იმდროინდელს, როდესაც
კლერკები თავიანთ მოუხეშავ, ბეჭდურ ხელწერას ახლანდელ-
ზე უფრო გამძლე მასალაზე ტოვებდნენ. ამ ფუთაში იყო რაღაც
ისეთი, რამაც ჩემი ინსტინქტური ცნობისმოყვარეობა გაამძაფრა
და მაიძულა გაცრეცილი წითელი ლენტი, რომლითაც ფუთა იყო
შეკრული, იმ შეგრძნებით გამეხსნა, თითქოს დღის სინათლეზე
ძვირფასი განძი გამომქონდა. ქაღალდებს პერგამენტის ხისტი
გარეკანი შემოვაცალე და გუბერნატორ შირლის მიერ ხელმოწე-
რილი და ბეჭედდასმული რწმუნებულება აღმოვაჩინე, რომლითაც
ვინმე ჯონათან პიუს მისი უდიდებულესობის მიერ ხელდასმულ
საბაჟოს ინსპექტორად განაწესებდა სალემის ნავსადგურში, მასა-
ჩუსეტსის ყურის პროვინციაში. გამახსენდა, რომ სადღაც (ალბათ,
ფელტის „ქრონიკებში") ოდესღაც ამომიკითხავს ინსპექტორ ჯო-
ნათან პიუს გარდაცვალების ოთხმოცი წლის წინანდელი ამბავი
და ასევე, ერთ-ერთი თანამედროვე გაზეთის ცნობა, რომ წმინდა
პიტერის ტაძრის განახლებისას პატარა სასაფლაოდან ჯონათან
პიუს გვამის ნაწილები ამოთხარესო. თუ სწორად მახსოვს, პა-
ტივცემული წინაპრისგან ბევრი აღარაფერი იყო შემორჩენილი:
მხოლოდ ჩონჩხის ნაწილი, ტანსაცმლის რამდენიმე ნაგლეჯი და
წვრილკულულებიანი დიდებული პარიკი, რომელიც მშვენივრად
იყო შემონახული, განსხვავებით იმ თავისაგან, რომელსაც ერთ
დროს ამშვენებდა. თუმცა, როდესაც პერგამენტში გახვეული ქა-
ღალდები კარგად შევისწავლე, მისტერ პიუს ფიქრთა მსვლელო-

ბისა და მის გონებაში მიმდინარე იდუმალი პროცესების შესახებ უფრო მეტი რამ შევიტყვე, ვიდრე თვით ხუჭუჭა პარიკს ეცოდინებოდა უშუალოდ ღირსპატივცემული თავის ქალისაგან.

მოკლედ რომ მოვჭრათ, ეს იყო არა ოფიციალური, არამედ პირადი ჩანაწერები; ინსპექტორ პიუს გონების ნააზრევი, ფურცელზე მისივე ხელით გადატანილი. ის, რომ ეს ხელნაწერები საბაჟოს მაკულატურათა გროვაში მოხვდა, მხოლოდ ინსპექტორის უეცრად დამდგარი აღსასრულით აიხსნება – იმით, რომ ქაღალდებს, რომლებსაც ალბათ სამუშაო მაგიდაზე ინახავდა, არასოდეს მიუღწევია მის მემკვიდრეებამდე, ანდა თუ მიაღწია, არასოდეს მიუპყრია მათი ყურადღება. ხოლო, როდესაც არქივი ჰალიფაქსში გაგზავნეს, ეს ფუთა, როგორც საზოგადოებრივ მნიშვნელობას მოკლებული, აქვე დატოვეს და მას შემდეგ აღარც არავის გაუხსნია.

გარდასული ხანის ინსპექტორი – ვგონებ, მას დიდად გულზე არ ეხატებოდა ძველ დროს ამ საბაჟოში გაჩაღებული საქმიანობა – როგორც ჩანს, მოცალეობაში გატარებული მრავალი საათიდან ნაწილს ადგილობრივ სიძველეებში ქექვას და წარსულის კვლევა-ძიებას უძღვნიდა. ამ მასალით აიძულებდა თავის ტვინს, ცოტათი გარჯილიყო, რათა ჟანგს სრულიად არ ამოეჭამა. მის მიერ მოწოდებულმა ცნობებმა, სხვათა შორის, კარგი სამსახური გამიწია წინამდებარე წიგნის ერთ-ერთი მონაკვეთის მოსამზადებლად, რომელშიც ქალაქის მთავარი ქუჩაა აღწერილი; მისი დანარჩენი ნაწილი კი ასეთივე ფასეული მიზნებისათვის შეგვიძლია მომავალში გამოვიყენოთ, ანდა, თუკი ჩემი თაყვანისცემა მშობლიური მიწის მიმართ ოდესმე ამ დიდმოწამებრივი საქმის ჩადენისაკენ მიბიძგებს, შეიძლება სალემის მუდმივი ისტორიის შესაქმნელადაც გადავამუშავო. ამასობაში კი ნებისმიერმა ჯენტლმენმა, რომელიც მისწრაფებასა და უნარს გამოიჩენს, რომ ეს არცთუ სარგებლის მომტანი შრომა ხელიდან გამომგლიჯოს, შეუძლია თავის განკარგულებაში იგულოს იგი. საბოლოოდ განზრახული მაქვს, ეს ქაღალდები ესექსის ისტორიულ საზოგადოებას გადავცე.

მაგრამ ის ნივთი, რომელმაც ამ იდუმალებით მოცულ ფუთაში განსაკუთრებით მიიპყრო ჩემი ყურადღება, იყო ერთი მშვენიერი წითელი ქსოვილი, მეტად გაცრეცილი და გახუნებული. ზედ ჯერ კიდევ შერჩენოდა კვალი ოქრომკედის ნაქარგობისა, რომელიც მთლიანად გადაქექილიყო და ისე ეცვალა ფერი, რომ ძველი ელვარებისაგან თითქმის აღარაფერი შერჩენოდა. ძნელი არ იყო იმის შემჩნევა, რომ ეს ნაქარგი ხელსაქმის დიდებულ ოსტატს შეექმნა და გვირისტიც (როგორც ამ საიდუმლოს განდობილმა მანდილოსნებმა დამარწმუნეს) ნიმუში გახლდათ უკვე დავიწყებული ხელოვნებისა, რომელსაც ვერ აღვადგენთ, თუნდაც ნაქარგი დავარღვიოთ და ქარგვის მეთოდის ამგვარად ამოცნობას შევეცადოთ. ალისფერი ქსოვილის ამ ნაგლეჯზე – რადგან დროის, დიდხანს ტარებისა და თავხედი ჩრჩილების წყალობით მისგან მხოლოდ ნაგლეჯიღა დარჩენილიყო – თუკი გულდასმით დააკვირდებოდით, ამოიცნობდით მთავრულ ასო A-ს. საგულდაგულოდ გავზომე და აღმოვაჩინე, რომ ნაქარგის თითოეული გვირისტი ზუსტად სამ-ნახევარი ინჩის სიგრძისა იყო. იგი, ეჭვიც არაა, კაბის სამკაულად იყო ჩაფიქრებული, მაგრამ ახლა იმდენად გახუნებულიყო, რომ შეუძლებელი ჩანდა ამოხსნა თავსატეხისა, თუ რომელ საზოგადოებრივ ფენას, დიდებასა თუ პატივს განსაზღვრავდნენ მისი მეშვეობით წარსულში (მოდა ხომ ამ თვალსაზრისითაც მეტად ცვალებადი რამაა). და მაინც უცნაური ინტერესი მკლავდა. თვალს ვერ ვაშორებდი ფერგადასულ ალისფერ ასოს. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ რაღაც დაფარულ მნიშვნელობას ატარებდა, რომლის ამოხსნითაც დიდ საიდუმლოს ავხდიდი ფარდას. რაღაც იდუმალი ასხივებდა ამ მისტიკური სიმბოლოდან, ფაქიზად რომ ესაუბრებოდა ჩემს შეგრძნებებს, მაგრამ ჩემი გონების ანალიზის უნარს კი ხელიდან უსხლტებოდა.

ამგვარად დაბნეულმა და ათასი სხვადასხვა ვარაუდით შეპყრობილმა – სხვათა შორის, ვფიქრობდი, რომ ეს ასო-ნიშანი შეიძლება თილისმაც ყოფილიყო, რომლის მეშვეობითაც თეთრკანიანები ინდიელთა ავი თვალისაგან თავის დაცვას ცდილობდნენ

– ნაგლეჯი შემთხვევით მკერდზე მივიდე. მომეჩვენა – მკითხველს გაეღიმება, მაგრამ ვთხოვ, ეჭვი არ შეიტანოს ჩემს სიტყვებში – მომეჩვენა, რომ მწველი სიცხე ვიგრძენი, თითქოს სხეულზე წითელი ქსოვილი კი არა, წითლად გავარვარებული რკინის ნაჭერი მიმედოს. გამაჟრიალა, ქსოვილი ხელიდან გამივარდა და მიწაზე დაეცა.

ალისფერი ასოს თვალიერებით გართულს ყურადღების მიღმა დამრჩა გამქრქალებული ქაღალდების მომცრო გრაგნილი, რომელიც ინსპექტორ ჯონათან პიუს ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ წითელ ქსოვილში გაეხვია. გავშალე იგი და კმაყოფილებით აღმოვაჩინე თავად ძველი დროის ინსპექტორის ხელით რამდენიმე მომცრო ფურცელზე ჩაწერილი მთელი ამბის სრული ახსნა-განმარტება, რომელიც ათას წვრილმანს გვიამბობდა ვინმე ჰესტერ პრინის ცხოვრებისა და გამონათქვამების შესახებ. ჰესტერ პრინი, ჩვენი წინაპრების თვალსაზრისით, ფრიად ღირსშესანიშნავი მანდილოსანი გახლდათ. იგი მასაჩუსეტსში მისი დაარსების ადრეული პერიოდიდან მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულამდე სახლობდა. მისტერ პიუს ნაცნობი მოხუცები, რომელთა ზეპირ გადმოცემებზეც ინსპექტორმა თავისი თხრობა ააგო, იხსენებდნენ, რომ მათი ახალგაზრდობის დროს ეს ქალი საკმაოდ ხანდაზმული ყოფილა, თუმცაღა არ დაუძლურებულიყო და დიდებული და დარბაისლური შეხედულებაც შეენარჩუნებინა. თითქმის უხსოვარი დროიდან მას ჩვევად ჰქონია ეარა სოფელ-ქვეყანაში, როგორც მოხალისე მოწყალების დას და დახმარებოდა ადამიანებს ყველაფრით, რაც კი ხელიდან გამოსდიოდა. გარდა ამისა, იგი მოწადინებული მრჩეველიც გახლდათ, განსაკუთრებით, როდესაც საქმე გრძნობებს ეხებოდა; ამის გამო, როგორც მსგავსი მიდრეკილების მქონე ყველა სხვა პიროვნებას, მასაც ხშირად რაცხდნენ ანგელოზთა დასში, მაგრამ შემიძლია წარმოვიდგინო, რომ ბევრი, ალბათ, აბეზარსა და არამკითხე მოამბესაც უწოდებდა. მას მერე, რაც გულდასმით გადავიკითხე მთელი ხელნაწერი, ბევრი რამ გავიგე ამ შესანიშნავი ქალის საქმეთა და ტანჯვათა შესახებ და მათ უმეტესობას

თავი მოვუყარე ამ ჩემს ნაამბობში, რომელსაც სახელად „ალისფერი დამღა“ ვუწოდე. ხამს კარგად ჩავიბეჭდოთ გონებაში, რომ ფაქტები, რომლებსაც ეს ისტორია ეყრდნობა, დამოწმებული და დადასტურებულია თავად ბატონი ინსპექტორის, პიუს დოკუმენტის მიხედვით. ის ფურცლები ყველაზე საინტერესო რელიკვიასთან – თავად ალისფერ ასოსთან – ერთად ამჯერადაც ჩემთან ინახება და დიდი სიამოვნებით ვაჩვენებ ნებისმიერს, ვისაც ეს ნაწარმოები ცხოველ ინტერესს აღუძრავს და მათ ხილვას მოასურვებს. უმორჩილესად გთხოვთ, ისე არ გამიგოთ, რომ ჩემი თხრობის სანელებლებით შეკაზმვისას და მისი გმირების განცდებისა თუ განზრახვების აღწერისას თავი ყოფილი ინსპექტორისაგან დატოვებული ნახევარი დუჟინი ფურცლით შემოვიისაზღვრე. პირიქით, ამ კუთხით თავს ბევრის უფლება მივეცი და ფაქტებიც კი თითქმის ან მთლიანად, ჩემი გამოგონილია. მე დაჟინებით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ამ თხზულების მონახაზი ნამდვილ ამბავს ეყრდნობა.

ახალმა აღმოჩენამ ჩემი გონება, გარკვეულწილად, ძველ გზაზე დააბრუნა. არ მშორდებოდა ფიქრი, რომ ამ ამბის საძირკველზე კარგი მოთხრობა დაშენდებოდა. ჰესტერ პრინის ისტორიამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, თითქოს საბაჟოს შენობის უკაცრიელ ოთახში თავად აწგარდაცვლილი ინსპექტორი შემომფეთებოდეს ასი წლის წინანდელი სამოსითა და უკვდავი პარიკით, რომელიც საფლავში კი ჩააყოლეს პატრონს, მაგრამ, როგორ ჩანს, საიქიოს მაინც არ გაჰყოლია. ინსპექტორ პიუს თავი მისი უდიდებულესობის უფლებამოსილებით აღჭურვილი მოხელის ღირსებით ეჭირა, მის დროს ხომ სახელმწიფო თანამდებობის პირებს სამეფო გვირგვინიდან გადმოფრქვეული თვალისმომჭრელი სხივი ადგათ თავზე. ვაგლახ, როგორ არ ჰგავს იგი დარცხვენილ გამომეტყველებას რესპუბლიკის მოხელისა, რომელიც, ხალხის სამსახურში ჩამდგარი, თავს მდაბალთა შორის უმდაბლესად მიიჩნევს და თავის პატრონთაგან უმცირესზე უფრო დამცირებულია. გარდაცვლილი ინსპექტორი ჩემ წინაშე აღიმარ-

თა თავისი აჩრდილივით ბუნდოვანი, თუმცაღა მაინც დიდებული სხეულით და საკუთარი ხელით გადმომცა ალისფერი სიმბოლო და ახსნა-განმარტებებით სავსე ხელნაწერის მომცრო გრაგნილი და თავისი მოჩვენებისეული ხმით შემახსენა ჩემი, როგორც მისი შთამომავლის – რაკიღა გონივრული იქნება იგი ჩემს კანონიერ წინაპრად მივიჩნიოთ – წმიდათაწმიდა ვალი, რომელიც შთამაგონებდა, რომ მისი დაობებული და ჩრჩილებისაგან შეჭმული ნაშრომი ხალხის სამსჯავროზე გამეტანა. „ჰქმენი ესე! – მიბრძანა ინსპექტორ პიუს აჩრდილმა და მრავალმნიშვნელოვნად დამიქნია თავი, რომელსაც დაუვიწყარი პარიკი ასეთ დიდებულებას ანიჭებდა, – ჰქმენ და მთელი სარგებელი შენ დაგრჩება! მალე იხეირებ მისი წყალობით, რადგან დრო, როდესაც ადამიანის თანამდებობა მუდმივი იყო და ხშირად მემკვიდრეობით გადაეცემოდა, ჩვენთან ერთად წარსულს ჩაბარდა. მაგრამ იმას კი გავალებ, რომ, როდესაც ცხონებული მისის პრინის ამბავს ქვეყანას მოჰფენ, მიაგე შესაფერი პატივი შენი წინაპრის ხსოვნას!“ და მეც ბატონი ინსპექტორის აჩრდილს ფიცი მივეცი, რომ ასეც მოვიქცეოდი.

ამგვარად, ჰესტერ პრინის ისტორიამ წარმოსახვა ამიფორიაქა. ის იქცა საგნად ჩემი მრავალსაათიანი გარინდებისა – ფიქრებით მოცული ან ჩემს ოთახში ვცემდი ბოლთას, ანდა ასჯერ მაინც გადავკვეთდი სივრცეს საბაჟოს წინკარიდან მის გვერდითა შემოსასვლელამდე და უკან, რითაც მოხუცი გადასახადების ამკრეფების, მწონავებისა და მზომელების იგავმიუწვდომელ მწუხარებასა და თავმობეზრებას ვიწვევდი, რადგან ჩემი ფეხების განუწყვეტელი ბაკუნი მათ უშფოთველ ძილს უფრთხობდა. ძველი პროფესიით შთაგონებულნი ამ დროს იტყოდნენ ხოლმე, ინსპექტორი კვარტერდეკზე მოძრაობსო. ალბათ, ეგონათ, რომ ჩემი მოუსვენრობის ერთადერთი მიზანი – და ზოგადად, ერთადერთი მიზანი, რომლის გამოც გონიერი კაცი შეიძლება თავისი ნებით გაინძრეს – სადილისათვის მადის მოგვრა იყო. და რომ გამოვტყდე, მადა, გაცხოველებული აღმოსავლეთის ქარისაგან, რომელიც ჩვეულებრივ უბერავდა ხოლმე ამ ალაგს, მართლაც იყო ერთადერთი ხეირი, რომელსაც ამ დაუცხრომელი ვარჯიშისაგან ვიღებდი. საბაჟოს მეტად მწირ ნიადაგში წარმოსახვისა და გრძნობიერების როგორი მარცვალიც არ უნდა ჩათესო, ნაყოფს ვერ მოიმკი. იქ რომ კიდევ ათი საპრეზიდენტო არჩევნების განმავლობაში დავრჩენილიყავი, ეჭვი მაქვს „ალისფერი დამღა“ ვერასოდეს წარსდგებოდა კაცთა სამსჯავროს წინაშე. ჩემი წარმოსახვა გამქრქალებულ სარკეს მიაგავდა. იგი არ აირეკლავდა ანდა უბადრუკი სიმკრთალით ასახავდა იმ სხეულებს, რომლებისთვის სულის ჩადგმასაც მთელი ძალით ვცდილობდი. ჩემი გონების სამჭედლოზე დანთებული ცეცხლი პერსონაჟებს ვერც ათბობდა და ვერც ალღობდა. ისინი არ ამუღავდნებდნენ არც ვნების ელვარებასა და არც მგრძნობელობის სინაზეს, ცხედრებივით გაყინულიყვნენ და აბუჩად ამგდები, უტიფარი ღიმილით შემომცქეროდნენ. „რა გესაქმება ჩვენთან?“ – ამბობდნენ თითქოს ისინი, – „ის მცირე ძალაუფლება, რომელსაც შეიძლება ოდესღაც ფლობდი კიდეც წარმოსახვით ქმნილებებზე, ხელიდან გამოგეცალა! შენ იგი ხალხის ჯიბიდან გადახდილ უბადრუკ გასამრჯელოზე გაცვალე. წადი, ხელფასი გამოიმუშავე!“ მოკლედ, ჩემივე წარმოსახვის ნაყოფი – თითქმის უსიცოცხლო არსებები დასცინოდნენ ჩემი შთაგონების დაჩლუნგებას და არცთუ უმიზეზოდ.

ეს აუტანელი დამუნჯება არამხოლოდ იმ სამსაათ-ნახევრის განმავლობაში გრძელდებოდა, რომელსაც ძია სემი ჩემი ყოველდღიურობისგან იტაცებდა, არამედ ერთიანად დაუფლებოდა ჩემს არსებას და სულ თან მდევდა – ზღვისპირა სეირნობისას თუ სოფელში ხეტიალისას, როდესაც – იშვიათად და უხალისოდ – საკუთარ თავს ვაქეზებდი, ეძებნა ბუნების ის გამაცოცხლებელი ხიბლი, რომელმაც ასე ამავსო სიცოცხლის ძალითა და შთაგონებით იმ წამიდანვე, როგორც კი პასტორის ძველი სახლის ზღურბლს გადავაბიჯე. უსურვილობა, რომელიც ასე აჩლუნგებს ინტელექტუალური შრომის სურვილს, შინამდეც მომყვებოდა და არ მტოვებდა მარტოს არც იმ სენაკში, რომელსაც მე ყოვლად უაზროდ სამუშაო ოთახად ვუხმობდი; არც მაშინ მანებებდა თავს,

როდესაც გვიან ღამით უკაცრიელ სასტუმრო ოთახში მბჟუტავი ნაკვერჩხლისა და მბჟუტავივე მთვარის შუქით გარემოცული ვიჯექი და ვცდილობდი წარმომესახა სცენები, რომლებიც მეორე დღეს ქათქათა ფურცლებზე ნაირფერ აღწერილობად უნდა გადმოღვრილიყო.

თუკი წარმოსახვის უნარი მწერალს ასეთ დროსაც კი ეურჩება ემსახუროს, ესე იგი, მდგომარეობა უიმედოა. მთვარის შუქი, რომელიც ნაცნობ ოთახში ისე ანათებს ხალიჩას, რომ მის ყოველ ორნამენტს გარკვევით წარმოაჩენს – და რომლის სხივზეც ყველა საგანი წამიერად ხორცს ისხამს და მაინც სრულიად განსხვავებულია, ვიდრე დილის ანდა შუადღის მზით შუქმოფენილი – საუკეთესო შუამავალია, რომელსაც შეუძლია ავტორს თავისი წარმოსახვის სტუმრები მიჰგვაროს. აი, მშობლიური სახლის პატარა და მყუდრო სასტუმრო ოთახი: სკამები, ყველა სხვადასხვანაირი; ოთახის შუაგულში მაგიდა ზედ შემომდგარი ხელსაქმის კალათით; ერთი-ორი წიგნი და ჩამქრალი ლამპა; დივანი; წიგნების კარადა, სურათები კედელზე – ყველა ეს ნივთი, ასეთი მკაფიოა და თანაც უჩვეულო სინათლით ისეა შეცვლილი, თითქოს რეალური სუბსტანცია დაუკარგავთ და წარმოსახვის ნაყოფად ქცეულან. ამ ცვლილებისაგან მოგვრილ გარდასახვას ვერც ყველაზე მცირე ანდა უმნიშვნელო ნივთები გადაურჩება: ბავშვის ფეხსაცმელი; მოწნულ ეტლში დარჩენილი თოჯინა, ხის სარწეველა ცხენი... ერთი სიტყვით, ყველა ის ნივთი, რომლებსაც დღისით საყოფაცხოვრებო დანიშნულებით იყენებენ, ახლა უცხოობისა და მიუწვდომლობის ნიშნითაა აღბეჭდილი, თუმცაღა, თითქოს ზუსტად ისევე მოჩანს, როგორც დღის შუქზე. ასე და ამგვარად, ჩვენი სასტუმრო ოთახის იატაკი ღამღამობით იქცევა ნეიტრალურ ტერიტორიად, სადაც ერთმანეთს ხვდება რეალური და ზღაპრული, ნამდვილი და წარმოსახვითი და თითოეული მათგანი მეორის თვისებებით იყლინთება. აქ არავის შეაშინებს აჩრდილის დანახვა. არავინ გამოხატავს გაკვირვებას, თუ გაიხედავს და დაინახავს, რომ საყვარელი, მაგრამ უკვე გარდაცვლილი ახლობლის სილუეტი, ამ ჯადოსნური მთვარის შუქით განათებული, ჩუმად მიმჯდარა კუთხეში და ისეთი მშვიდი გამომეტყველება გადაჰფენია, რომ ეჭვი შეგეპარება, მართლა შორიდან დაბრუნდა თუ ამდენი ხნის განმავლობაში ერთხელაც არ მოშორებია ბუხრისპირს.

და როგორღაც ისე ხდება, რომ ზემოაღწერილი ეფექტის ზემოქმედებას განსაკუთრებულად აძლიერებს ბუხარში მბჟუტავი ქვანახშირის ცეცხლიც. მისგან წარმოქმნილი ნარინჯისფერი სინათლე, რომელიც ჭერსა და კედლებს ეფინება და შემდეგ გაპრიალებული ავეჯიდან არეკლილი ელვარებს, უცნაურ ელფერს მატებს ოთახს. ეს თბილი ნათება მთვარის შუქის ცივ სხივებში ირევა და ფანტაზიით გამოხმობილ ყველა არსებას ადამიანურ ბუნებასა და ფაქიზ სულიერებას ანიჭებს – მათ ყინულივით ცივი მოჩვენებებისაგან ქალებად და კაცებად გარდაქმნის. თუ ამ დროს სარკეში ჩავიხედავთ, მის აჩრდილებით სავსე სიღრმეში დავინახავთ ნახევრად ჩამწვარი ნახშირისა და იატაკზე დაფენილი მთვარის თეთრი შუქის მბჟუტავ ელვარებას და მათგან წარმოქმნილ შუქ-ჩრდილებს, რომლებიც სარკეში არეკლილნი, ერთი ნაბიჯით გვაშორებენ სინამდვილეს და წარმოსახვასთან გვაახლოვებენ. თუ კაცი, მარტოდმარტო მჯდომი, ამგვარ სცენას შესცქერის და უცნაურ ზმანებებს ვერ ხედავს, თუკი მათ ცოცხალ არსებებად ვერ წარმოისახავს, მან აღარასოდეს უნდა სცადოს რომანების წერა.

მაგრამ, რაც შემეხება მე, ვიდრე საბაჟოში ვმუშაობდი, ვერც მთვარისა და ვერც მზის შუქი, ვერც ბუხრის ელვარება ვერაფერს მშველოდა; მათგანაც იგივე ხეირი მქონდა, რაც ქონის სანთლის ციმციმისაგან. სრულიად დამკარგვოდა ყველანაირი მგრძნობიარობა და ნიჭი, რომელიც არც უხვად დაებერტყა ღმერთს და არც განსაკუთრებული ღირებულებისა იყო, მაგრამ რომელზე უკეთესიც არაფერი გამაჩნდა.

თუმცაღა ღრმად მწამს, რომ თუკი სხვაგვარი თხზულების შექმნას დავისახავდი მიზნად, საკუთარი ნიჭი ასეთი უმაქნისი და უღიმღამო აღარ მომეჩვენებოდა. მაგალითად, კარგი იქნებოდა

მოთხრობების სახე მიმეცა ისტორიებისათვის, რომლებითაც უხვად გვამარაგებდა ერთ-ერთი გადამდგარი გემის კაპიტანი, ამჟამად ჩვენი ინსპექტორი, რომლის დავიწყებაც ჩემი მხრიდან დიდი უმადურობა იქნებოდა, რაკიღა დღე იშვიათად თუ გავიდოდა, რომ მის გასაოცარ თხრობის ნიჭს ჩემთვის სიცილი და აღფრთოვანება არ მოეგვარა. თუკი შევძლებდი, შემენარჩუნებინა მისი გადმოცემის ხატოვანი მანერა და ის იუმორისტული ელფერი, რომლითაც თანდაყოლილი ნიჭით აზავებდა თავის ისტორიებს, გულწრფელად მჯერა, რომ ლიტერატურაში სრულიად ახალ სიტყვას ვიტყოდი. გარდა ამისა, სულ იოლად შემეძლო, უფრო სერიოზული ამოცანაც დამესახა საკუთარი თავისთვის. მაშინ, როდესაც ყოველდღიურობის მატერიალიზმი ასე მიხუთავდა სულს და რეალურ სამყაროსთან უხეში შეხება ჩემი ხელთუქმნელი სილამაზის საპნის ბუშტებს ანადგურებდა, ჩემი მხრიდან უგუნურება იყო თავი სხვა ეპოქაში გადამეტყორცნა და შიშველი ხელებით დამეწყო ახალი სამყაროს შექმნა. უფრო გონივრულად მივმართავდი ჩემს ძალისხმევას, თანამედროვეობის ბუნდოვანებით მოცული არსის განვრცობა და წარმოსახვით შელამაზება რომ დამესახა მიზნად; ტვირთისათვის, რომელიც ჩემს მხრებს ასე მძიმედ აწვა, მეტი სულიერება მიმენიჭებინა; და აქედან გამომდინარე, მეძებნა ნამდვილი და ურყევი ფასეულობები, რომლებიც იმ წვრილმანსა და მომქანცველ შემთხვევებსა და არაფრით გამოჩეულ ადამიანებში იმალებოდა, რომლებთანაც ახლა მქონდა ურთიერთობა. ბრალი მე თავად მიმიძღოდა. ჩემ წინაშე გადაშლილი ცხოვრების წიგნი უსიცოცხლო და ულიმღამო მეჩვენებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ გონება არ მყოფნიდა მის წასაკითხავად. საუკეთესო თხზულება, რომლის დაწერაც კი შემეძლო, აქ იყო, ფურცელ-ფურცელ გადაშლილიყო ჩემ წინაშე, იგი ცხოვრების ხელით, მისი აქროლადი მელნით იწერებოდა და უნაყოფოდ იკარგებოდა, რადგან ჩემს გონებას აკლდა სიღრმე, ხოლო ხელს კი – გაწაფულობა, რომ გადაეწერა იგი. როდესმე, მომავალში, შესაძლებელია მეხსიერებაში აღვიდგინო აქა-იქ შემორჩენილი ფრაგმენტები და დაუსრულებელი აბზაცები და იმის ცქერით დავტკბე, თუ როგორ იქცევიან ფურცელზე ასოები ოქროდ.

მაგრამ ამ ყველაფერს ძალიან გვიან მივხვდი. იმ პერიოდში კი მტკიცედ მჯეროდა, რომ საქმე, რომელიც ერთ დროს სიამეს მგვრიდა, ახლა უნაყოფო ჯაფად გადამქცეოდა. თუმცა არც დაკარგულის გამო გლოვის დრო და ადგილი იყო – მე მეტ-ნაკლებად კარგი მოთხრობებისა და ნარკვევების ავტორიდან მეტ-ნაკლებად კარგ საბაჟოს ინსპექტორად გადავიქეცი. ეს იყო და ეს. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, არცთუ იოლია შეეგუო შემოჩენილ ეჭვს, რომ შენი ჭკუა-გონება დღითიდღე მცირდება, ფიალაში ჩასხმული ეთერის მსგავსად შეუმჩნევლად ორთქლდება და ყოველი შეხედვისას სულ უფრო გეპატარავება თვალში. საკუთარ თავსა და გარშემომყოფებზე დიდი ხნის დაკვირვების შემდეგ მტკიცედ გადავწყვიტე, რომ საჯარო სამსახური ადამიანის ხასიათსა და თავისუფლად აზროვნების უნარზე არცთუ კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს. შესაძლოა, ეს საკითხი ოდესმე ისევ განვავრცო. აქ მხოლოდ იმის თქმით შემოვიფარგლები, რომ მრავალ მიზეზთა გამო შეუძლებელია საბაჟო დაწესებულების ოფიცერი დიდხანს დარჩეს სანაქებო ანდა საპატივისაცემო ადამიანად; ერთ-ერთი ამ მიზეზთაგანი გარემომცველ უზნეობაზე თვალის დახუჭვის ჩვევაა, რომლის წყალობითაც ის თავის მდგომარეობას ინარჩუნებს, ხოლო მეორე კი თავად საქმიანობის ხასიათი – რაც არ უნდა პატიოსნად აკეთებდე ამ საქმეს, კაცობრიობის ძალისხმევის საერთო სალაროში მაინც ვერაფერი შეგაქვს.

სახელმწიფო სამსახურის სინდრომი – რომელიც, დარწმუნებული ვარ, მეტ-ნაკლებად მოქმედებს ყველაზე, ვისაც კი საჯარო თანამდებობაზე უმუშავია – არის ის, რომ რესპუბლიკის ძლევამოსილ მკლავზე მისვენებული ადამიანი პიროვნულ ძალას კარგავს. სუსტი ბუნების მქონეს უფრო ადრე, შედარებით ნებისყოფიანს კი ცოტა გვიან თავდაჯერება მთლიანად ეცლება. მხოლოდ მას, ვინც განგებას უჩვეულო სიმხნევით დაუჯილდოვებია ანდა ვისზეც საჯარო თანამდებობის მომაკვდინებელ ჯადოს

დიდხანს არ უმოქმედია, შეიძლება გამოცლილი ძალა ოდესმე დაუბრუნდეს. დათხოვნილი ოფიცერი – თუკი გაუმართლებს და დროულად მოხვდება უბოდიშო პანღური, რომელიც უკან, ამქვეყნიურ ბრძოლაში მოისვრის – ეგებ ისევ გადაიქცეს გამოსადეგ კაცად. მაგრამ ასეთი რამ იშვიათად ხდება. ერთ ადგილას წლობით დაყუდებული სახელმწიფო მოხელე სულიერად ნადგურდება და როდესაც ბოლოს და ბოლოს სამსახურიდან გამოაგდებენ, ყველა ძარღვდაწყვეტილს ისღა დარჩენია, რომ ცხოვრების რთულ ბილიკს ბობღვით შეუყვეს. საკუთარ უძლურებაში დაჯერებული – დარწმუნებული, რომ სიმხნევე და მოქნილობა ერთხელ და სამუდამოდ დაკარგა – მუდამ ხარბად ეძებს გარე ძალას, რომელიც ფეხზე წამოაყენებს. მისი მუდმივი და თანამდევი იმედი – ჰალუცინაცია, რომელიც გატეხილ გულს უამებს, უძლურებას უმსუბუქებს, მთელი ცხოვრების განმავლობაში თან სდევს და მგონი, ქოლერისაგან გამოწვეული კრუნჩხვებისა არ იყოს, არც სიკვდილის მერე ანებებს თავს – არის ის, რომ ბოლოს და ბოლოს, არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ, მდგომარეობათა რომელიმე იღბლიანი დამთხვევის წყალობით, სამსახურში აღადგენენ. ეს რწმენა, როგორც არაფერი სხვა, ართმევს ძალასა და უნარს არათუ რისკის გაწევისა, არამედ მასზე ოცნებისაც კი. რატომ უნდა იწვალოს და იჯაფოს, და რატომ უნდა იფართხალოს იმისთვის, რომ ტალახიდან ამოძვრეს, როდესაც სულ ცოტა ხნის მერე საყვარელი ძია სემის ხელი ამოათრევს იქიდან და ფეხზეც დააყენებს? რატომ უნდა იმუშაოს ლუკმაპურისათვის აქ ანდა რატომ უნდა თხაროს ოქროს საბადოები კალიფორნიაში, როდესაც ასე მალე გააბედნიერებენ და ყოველთვიურად ძიას ჯიბიდან ამოღებული მოციმციმე მონეტების პაწია გორაკს აღუმართავენ წინ? ცოტა არ იყოს და სევდისმომგვრელია იმის ცქერა, თუ რა მცირე დოზაა საკმარისი თანამდებობის საწამლავისა, რომ საბრალო მოხელე სამარადჟამოდ დაასნეულოს. ძია სემის ოქრო – თუმცა მერწმუნეთ, ამ ღირსპატივცემული მოხუცი ჯენტლმენის მიმართ უდიერი დამოკიდებულების გამოვლენა არც კი მიფიქრია

– არანაკლებ მაცდური ჯადოს მფლობელია, ვიდრე – ეშმაკისა. ვინც მას შეეხება, კარგად დაუკვირდეს თავს, თორემ მალე მიხვდება, რომ ხელი მოუწერია გარიგებაზე, რომელიც მისგან თუ სულის არა, საუკეთესო ღირსებების დათმობას მაინც მოითხოვს: სიმტკიცის, სიმამაცის, ერთგულების, სიმართლისა და თავდაჯერების, მოკლედ, ყველაფრისა, რაც კი კაცს კაცობას მატებს.

მშვენიერი პერსპექტივა კი მელოდა წინ! არა, ისე არ გამიგოთ, რომ მე, გადასახადების ამკრეფმა, ზემოაღწერილი ზოგადი დაკვირვება საკუთარ თავს მივუსადაგე და ვაღიარე, რომ – აღარ ჰქონდა მნიშვნელობა თანამდებობაზე დავრჩებოდი თუ დამითხოვდნენ – მაინც დასაღუპავად ვიყავი განწირული. ამდენი მიხვედრილობა არ გამომიჩენია, მაგრამ უსიამოვნო შეგრძნებები მაინც არ მტოვებდა – შფოთმა და ნაღველმა შემიპყრო. განუწყვეტლივ ვიჩხრიკებოდი საკუთარ ტვინში, რათა დამედგინა, თუ რა გაჩანაგდა მისი ისედაც მწირი რესურსებიდან და რამხელა საფრთხე ემუქრებოდა დანარჩენილთ. მთელი მონდომებით ვანგარიშობდი, თუ კიდევ რამდენ ხანს შემეძლო საბაჟოში დარჩენა ისე, რომ ადამიანის სახე არ დამეკარგა. სიმართლე რომ ვთქვა, ჩემი ყველაზე დიდი შიში – ვინაიდან ჩემნაირ უწყინარ კაცს პოლიტიკური მოტივით არავინ მოიშორებდა თავიდან და სამსახურიდან თავისი ნებით დათხოვნა კი საჯარო მოხელის ბუნებაში არ ზის – იყო ის, რომ გადასახადების ამკრეფის თანამდებობაზე გავთეთრდებოდი, დავჩაჩანაკდებოდი და მოხუცი ინსპექტორის მსგავსად ცხოველს დავემსგავსებოდი. ნუთუ ჩემ წინ გადაშლილი და მოსაწყენად დაღვარჭნილი გზა საჯარო სამსახურისა მეც იქამდე მიმიყვანდა, რომ ჩემს პატივცემულ მეგობარს დამამასგავსებდა – ნუთუ სადილობა იქნებოდა ჩემი ცხოვრების მთავარი მოვლენა, ხოლო დანარჩენ დროს კი ბებერი ძაღლივით მზისგულსა თუ ჩრდილში წოლაში გავატარებდი? დიდად უსიხარულო პერსპექტივაა კაცისთვის, რომელიც ბედნიერს იმ ცხოვრებას უწოდებს, რომელიც მისი შეგრძნებებისა თუ შესაძლებლობების სრული სპექტრის ჩართვას მოითხოვს. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, სრულიად

უაზრო განგაში ამიტეხავს. ბედისწერა იმაზე უკეთეს მომავალს მიმზადებდა, ვიდრე მე წარმომედგინა საკუთარი თავისთვის.

თუკი „პ. პ."-ს სტილს მივჰყვებით, ვთქვათ ასე, რომ ჩემი საბაჟოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე მსახურების მესამე წელს ღირსშესანიშნავი მოვლენა დაემთხვა – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად გენერალი ტეილორი აირჩეს. იმისთვის, რომ თანამდებობის პირის ცხოვრების მთელი სიკეთე სრულყოფილად გავისიგრძეგანოთ, არსებითი მნიშვნელობა აქვს, განვიხილოთ, თუ რა მოსდის მას, როდესაც ქვეყნის სათავეში მოწინააღმდეგე პარტია მოდის. მაშინ იგი ისეთ სავალალო და ყოველმხრივ უსიამოვნო მდგომარეობაში ვარდება, როგორშიც კი საბრალო მოკვდავი შეიძლება აღმოჩნდეს და გამოსავალსაც ვერსად პოულობს; თუმცა, მეორე მხრივ, ის, რაც ყველაზე დიდ უიღბლობად მიაჩნია, შესაძლებელია, მის ცხოვრებაში ყველაზე დიდი გამართლებაც გამოდგეს. მაგრამ მაინც უსიამოვნო მოვლენაა, როდესაც ამაყი და მგრძნობიარე პიროვნება აღმოაჩენს, რომ მის მომავალს წყვეტენ ადამიანები, რომელთაც ის არც უყვართ და ვერც უგებენ და რომელთა ხელიდანაც, რაკი მეტი არჩევანი აღარაა, უფრო გაწირვას უნდა მოელოდეს, ვიდრე – შეწყალებას. უსიამოვნოა მისთვის, ვინც მთელი საარჩევნო ციებ-ცხელების განმავლობაში სიმშვიდეს ინარჩუნებდა და ახლა უნდა უცქიროს, თუ სისხლის სმის როგორი სურვილი დაუფლებიათ გამარჯვებულებს, ხოლო საკუთარი თავი კი მათ რიგებში აღმოაჩინოს, ვისი სისხლის შესმაც სურთ. ცოტა რამ თუ ახასიათებს კაცის ბუნებას უფრო მახინჯი, ვიდრე მიდრეკილება – რომელიც სხვებზე არაფრით უარეს ადამიანებში დავინახე – გასასტიკდეს მხოლოდ იმიტომ, რომ მეტოქისთვის ზიანის მიყენების ძალა მიეცა. თუკი გილიოტინა ამ მმართველების ხელთ არსებული ნამდვილი სადამსჯელო იარაღი იქნებოდა და არა ოდენ მოხდენილი მეტაფორა მათი მმართველობისა, გულწრფელად მწამს, რომ გამარჯვებული პარტიის აქტივისტები გულანთებულნი დაგვაყრევინებდნენ თავებს და ღმერთს მადლობასაც კი შესწირავდნენ ამგვარი

შესაძლებლობისთვის! მე, ვინც მშვიდ და ცნობისმოყვარე დამკვირვებლად ვრჩებოდი როგორც გამარჯვების, ისე დამარცხების დროსაც, ვფიქრობ, რომ ვიგებისაგან განსხვავებით, ჩემი პარტია ქვეყნის სათავეში მოსვლისას ღვარძლითა და შურისძიების სურვილით ამგვარად გაჟღენთილი არასოდეს ყოფილა და არც ამგვარი მრისხანე სულისკვეთებით განმსჭვალულა. დემოკრატები, ჩვეულებრივ, იღებენ სახელმწიფო თანამდებობებს, რადგანაც ასეა საჭირო, რადგანაც მრავალი წლის გამოცდილებამ პოლიტიკური ბრძოლის ამგვარად წარმართვა დააკანონა და თუკი სხვაგვარად მოიქცეოდნენ, მათ სისუსტესა და სილაჩრეზე მტრები ბევრს იჩურჩულებდნენ. მაგრამ გამარჯვების ხანგრძლივმა ჩვევამ ისინი გააკეთილშობილა. იცოდნენ, როგორ წასულიყვნენ დათმობაზე, თუკი მდგომარეობა ამის საშუალებას აძლევდათ; ხოლო შეტევაზე კი თუმცა კარგად დალესილი ცულებით გადადიოდნენ, მაგრამ მათ პირებს იშვიათად თუ პოხავდნენ მტრობის შხამით; და არც ახლახან მოკვეთილი თავებისათვის ფეხის წაკვრის სამარცხვინო ჩვევა ახასიათებდათ.

მოკლედ, როგორი უსიამოვნოც არ უნდა ყოფილიყო ჩემი მდგომარეობა, მაინც საკუთარ თავს ვულოცავდი, რომ დამარცხებულთა და არა გამარჯვებულთა რიგებში აღმოვჩნდი. და თუკი აქამდე სულაც არ ვირიცხებოდი საკუთარი პარტიის ყველაზე გულმხურვალე წევრებს შორის, ბედის ამ უკუღმართობისას უაღრესად მგრძნობიარე გავხდი ჩემი დაქვეითებული და ფარ-ხმალდაყრილი გუნდის მიმართ; ამ ყველაფერში თავის როლს სინანულისა და სირცხვილის გრძნობაც თამაშობდა, რადგან შანსები გულდასმით გამოვთვალე და გადავწყვიტე, რომ თანამდებობის შენარჩუნების ბევრად უფრო მყარი პერსპექტივა მქონდა, ვიდრე ჩემს დემოკრატ თანამოძმეებს. მაგრამ ვის შეუძლია საკუთარი მომავალი თუნდაც ცხვირწინ, ერთი ინჩის დაშორებით დაინახოს? პირველად სწორედ ჩემი თავი დაეცა!

დაკვირვებული ვარ, რომ მომენტი, როდესაც ადამიანის თავი ძირს ეცემა, იშვიათად ანდა თითქმის არასოდეს არის ყველაზე

უფრო საამური მის ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა, ისევე, როგორც უიღბლობათა უმეტესობას, მასაც მოჰყვება თავისი წამალი და ნუგეში, თუკი განსაცდელში ჩავარდნილი ეცდება, რომ თავს დამტყდარი უსიამოვნებისგან სარგებელიც მიიღოს. რაც შემეხებოდა მე, უკვე ვიცოდი, სადაც უნდა მეძება ნუგეში – ჩემი ფიქრები მანამდე დაეპყრო მათ, ვიდრე განხორციელების დრო და ჟამი დადგებოდა. რაკიღა სამსახურს უკვე თავი მოებეზრებინა ჩემთვის და გადადგომის შესახებ ბუნდოვანი აზრებიც გამიელვებდა ხანდახან, ჩემს ბედისწერას ვამსგავსებდი ბედს კაცისა, რომელიც გამუდმებით თვითმკვლელობაზე ფიქრობს და იღბლიანი მოულოდნელობის წყალობით კლავენ. საბაჟო დაწესებულებაში, ისევე როგორც პასტორის ძველ სახლში, სამი წელი გავატარე; საკმარისი დრო იმისთვის, რომ დაქანცული ტვინი დამესვენებინა; საკმარისი დრო იმისთვის, რომ ძველი ინტელექტუალური ჩვევები გადამეგდო და ახლისთვის ადგილი გამომესუფთავებინა; საკმარისი და საკმარისზე მეტი დრო იმისთვის, რომ მეცხოვრა არაბუნებრივ გარემოში, მეკეთებინა საქმე, რომელიც არც სიამის და არც სარგებლის მომტანი არ იყო და უარი მეთქვა შრომაზე, რომელიც, სულ ცოტა, გააყუჩებდა მაინც ჩემში არსებულ უჩუმარ იმპულსებს. თანაც, გარდა ამისა, გადასახადების ამკრეფი, რომელიც უცერემონიოდ გააძევეს სამსახურიდან, სულაც არ დარჩენილა უკმაყოფილო იმით, რომ ვიგებმა მტრად გამოაცხადეს; ვინაიდან მისი პოლიტიკური პასიურობა – არჩევანი, რომ თავის ნებაზე ეხეტიალა ფართო და მშვიდ ველზე, სადაც მთელ კაცობრიობას შეიძლება გადაყროდა და არ შემოესაზღვრა თავი იმ ვიწრო ბილიკებით, რომლებზედაც მხოლოდ ერთი და იმავე სახლეულის ძმები ხვდებიან ერთმანეთს – ხშირად ეჭვს უჩენდა მის მოძმე დემოკრატებს, მიეღოთ თუ არა იგი მეგობრად. ახლა კი, მას მერე, რაც მარტვილის გვირგვინით შეიმოსა (თუმცაღა, თავი, რომლითაც ეს გვირგვინი უნდა ეტარებინა, მოკვეთილი ჰქონდა), ეს საკითხი გულმშვიდად შეეძლო მოგვარებულად ჩაეთვალა. და ბოლოს, ცოტა არ იყოს ჰეროიკულად ყღერს, მაგრამ სჯობს

სახელოვნად დაემხო მშობლიურ პარტიასთან ერთად, ვიდრე უღირსად გადარჩე, როდესაც ირგვლივ ამდენი შენზე ღირსეული კაცი იღუპება; და ბოლოს, სჯობს ასე მოიქცე, ვიდრე მას მერე, რაც ოთხი წლის განმავლობაში მოწინააღმდეგე პარტიის წყალობით იშოვი სარჩოს, იძულებული გახდე შენს შეხედულებებს გადახედო და კიდევ უფრო დამამცირებელი მოწყალება მიიღო მეგობარი პარტიისაგან.

ამასობაში კი ჩემი თავის მოჭრის ამბავი პრესამ აიტაცა და რამდენიმე კვირის განმავლობაში ირვინგის უთავო მხედარივით ერთი გაზეთიდან მეორეში დამაქროლებდნენ, მრისხანედ და პირქუშად მოითხოვდნენ ჩემი, როგორც პოლიტიკური გვამის დამარხვას. ასე იყო ჩემი ფიგურალური მე-ს საქმე. მთელი ეს დრო კი ჩემი ნამდვილი მე, თავდადგმული და თავმობმული, იმ ბრძნულ დასკვნამდე მისულიყო, რომ ყველა ცვლილება უკეთესობისკენაა და მელანს, ქაღალდსა და ფოლადის კალმებს იმარაგებდა; მერე კი მტვერი გადაწმინდა დიდი ხნის განმავლობაში უქმად მყოფ საწერ მაგიდას და კვლავ ლიტერატორად იქცა.

და სწორედ ამ დროს მოვიცალე ჩემი შორეული წინაპრის, ბატონი ინსპექტორ პიუს ნაშრომ-ნაღვაწისათვის. ხანგრძლივი უქმად გდებისაგან ჟანგმოდებულ ჩემი გონების მექანიზმს მცირეოდენი დრო დასჭირდა, რათა მეტ-ნაკლებად ნორმალურად ამუშავებულიყო. და მაინც, თუმცაღა მთელი ჩემი ძალისხმევა დავახარჯე, მაინც მგონია, რომ ეს ნაწარმოები მკაცრსა და პირქუშ იერს ატარებს; მეტისმეტად აკლია მზის მხიარული სხივების ალერსიანი და მშობლიური ლაციცი, რაც სინაზეს მატებს ბუნებისა და ცხოვრების თითქმის ყველა სცენას და ეჭვი არაა, რომ მათ აღწერასაც უნდა მატებდეს. წიგნის ეს არცთუ ისეთი მიმზიდველობა შეიძლება გამოეწვია იმ ეპოქასაც, რომელიც მასშია გაცოცხლებული, როცა ის-ის იყო რევოლუცია დასრულდა და ჯერ კიდევ ბობოქრობდა მღელვარება, რომლიდანაც ისტორია აღმოცენდა. თუმცაღა ნაწარმოების სიბნელე არ უნდა დააბრალოთ ნაკლულოვანებას ავტორის გონის სილაღისა, რაკიღა ის, მას მერე, რაც

პასტორის ძველი სახლი დატოვა, აღარასოდეს ყოფილა ისეთი ბედნიერი, როგორიც მაშინ, როდესაც ამ უმზეო წარმოსახვების წყვდიადში გზააბნეული დაეხეტებოდა. რამდენიმე იმ შედარებით მოკლე მოთხრობათაგან, რომლებიც ამ წიგნშია შეტანილი, ასევე დაწერილია მას მერე, რაც ჩემი ნება-სურვილის გარეშე მომიწია სახელმწიფო სამსახურის ჯაფასა და პატივთან გამოთხოვება, ხოლო დანარჩენები ამოკრეფილია სხვადასხვა წელიწდეულიდან და ჟურნალიდან და ისე ძველია, რომ ერთი ცხოვრება გაიარეს და განახლებულნი დაგვიბრუნდნენ. თუკი პოლიტიკური გილიოტინის მეტაფორას გავიხსენებთ, ამ წიგნს შეგვიძლია ასეთი სათაურიც გამოვუძებნოთ: „თავმოკვეთილი მებაჟის თხზულებები – დაწერილი სიკვდილის შემდგომ". და ეს შესავალი კი, რომელიც ახლა წარმოგიდგინეთ, თუკი მეტისმეტად ავტობიოგრაფიულია იმისთვის, რომ თავმდაბალმა ადამიანმა საკუთარ სიცოცხლეშივე დაბეჭდოს, მის ავტორობას იოლად აპატიებენ ჯენტლმენს, რომელიც საფლავში ჩადეს. ჰოდა: მშვიდობა ქვეყნიერებასა ზედა! ჩემი ლოცვა-კურთხევა ჩემს მეგობრებს! მიმიტევებია მტრებისათვის! რაკიღა მე სიმშვიდის სამეფოში გადავინაცვლე!

საბაჟოში გატარებული წლები სიზმარივით უკან მოვიტოვე. მოხუცი ინსპექტორი – რომელიც, სხვათა შორის, მწუხარებით უნდა გაუწყოთ, რომ ცოტა ხნის წინ ცხენმა ჩამოაგდო და მოკლა, თორემ ალბათ მარადიულად იცოცხლებდა – და ყველა სხვა პატივცემული გვამიც, რომლებიც მის გვერდით ისხდნენ საბაჟოს მისაღებში, ახლა მხოლოდ აჩრდილებად ქცეულან ჩემთვის; თმაჭაღარა და დანაოჭებულ აჩრდილებად, რომლებითაც ერთ დროს ჩემს წარმოსახვას ვართობდი, მაგრამ ახლა სამუდამოდ უგულებელვყავი. სულ ცოტა დრო აღმოჩნდა საჭირო იმისათვის, რომ ვაჭრები – პინგრი, ფილიპსი, შეპარდი, აპტონი, კიმბოლი, ბერტრამი, ჰანტი – და კიდევ ბევრი სხვა, რომელთა სახელებიც ასე ეშინაურებოდა ჩემს ყურთასმენას ექვსი თვის წინ და რომელთაც მეგონა, რომ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ ამ სამყაროში – დამევიწყებინა და ერთმანეთთან ურთიერთობა გაგვეწყვიტა.

ძალისხმევის მთელი დაძაბვა მჭირდება, რომ რამდენიმე მათგანის სახელი და თანამდებობა მაინც გავიხსენო. და მალე, მათ მსგავსად, ჩემი ძველი მშობლიური ქალაქიც მივიწყების ბურუსში ჩაეფლობა; და დაემსგავსება არა რეალურ, არამედ ღრუბლებზე ამოზრდილ სოფელს, რომლის ხის სახლებში მხოლოდ წარმოსახვითი ადამიანები ბინადრობენ და კარგად ნაცნობ გზებსა და უშნო და დაუსრულებელ მთავარ ქუჩაზე დააბიჯებენ. ამიერიდან ის აღარ იქნება ჩემი ცხოვრების ქალაქი. მე უკვე სხვა ადგილის ბინადარი ვარ. ჩემს კეთილ თანაქალაქელებს დიდად არ მოვაკლდები თვალში; რადგან – თუმცაღა სალემი ჩემი ლიტერატურული ნაჯახირევის უძვირფასესი პერსონაჟი იყო და ეს მის მაცხოვრებლებს თითქოს უნდა დაეფასებინათ; საამური მოგონებები დაეტოვებინათ ჩემთვის იმ ადგილზე, რომელიც ჩემი მრავალი წინაპრის სამკვიდრებელი და საბოლოო განსასვენებელი გახდა – ამ ქალაქში არასოდეს მიგრძნია ის კეთილგანწყობილი ატმოსფერო, რომელიც ასე სჭირდება მწერალს იმისთვის, რომ საკუთარ გონებაში საუკეთესო მოსავალი დაამწიფოს. მე უფრო მეტს შევძლებ ახალი სახეებით გარშემორტყმული; და ძველი ნაცნობებიც, ამის აღნიშვნაც კი ზედმეტია, მშვენივრად გააგრძელებენ ცხოვრებას უჩემოდ.

და მაინც, შესაძლებელია – ჰოი, მაცდურო და ძლევამოსილო ფიქრო – რომ ამ მოდგმის წევრთა შვილთაშვილებმა ხანდახან მაინც კეთილად გაიხსენონ გარდასული დროის მჯღაბნელი მაშინ, როდესაც მომავალი დღეების ისტორიკოსი ამ ქალაქის ღირსშესანიშნაობათა აღწერის დროს იმ ადგილსაც კი არ გამოტოვებს, სადაც ოდესღაც წყალსაქაჩი ტუმბო იდგა!

1. სატუსაღოს კარი

ხის დიდი შენობის წინ, რომლის მუხისგან გამოჩორკნილი კარიც რკინის სალტეებით შეეჭედათ, თავი მოეყარა თალხ-ტანსაცმლიანი და წოწოლაქუდიანი წვეროსანი კაცების ბრბოს, რომელშიც აქა-იქ კაპორით თავშებურვილსა თუ თავშიშველ ქალებსაც შეამჩნევდით.

ახალი კოლონიის დამაარსებლები რაც არ უნდა დიდი სურვილით იყვნენ ანთებულნი, რომ ადამიანური სათნოებისა და ბედნიერების უტოპია შექმნან, უპირველეს და გადაუდებელ პრაქტიკულ საჭიროებად მიიჩნევენ, ხელუხლებელი მიწის ერთი მოზრდილი ნაჭერი სასაფლაოსთვის, ხოლო მეორე კი – სატუსაღოს ასაშენებლად გამოყონ. ამ წესის თანახმად, შეგვიძლია შეუმცდარად დავასკვნათ – ჩვენმა თადარიგიანმა ბოსტონელმა წინაპრებმა ისააკ ჯონსონის ძვალთშესალაგის მახლობლად პირველი საფლავი მონიშნეს თუ არა (დროთა განმავლობაში სწორედ ამ საფლავის გარშემო გაშენდა სასაფლაო კინგს ჩაპელის ძველი ეკლესიის ეზოში), უმალვე სადღაც, კორნჰილის შორიახლოს, პირველი საპატიმროს საძირკველიც გაჭრეს. ქალაქის დაარსებიდან ოციოდე წლის შემდეგ ხის შენობას უკვე დასტყობოდა ამინდის ცვალებადობისა და დროის მსვლელობისაგან დამჩნეული ლაქები, რომლებიც მის ჩაჟამებულსა და მოქუფრულ ფასადს კიდევ უფრო პირქუშ იერს სძენდა. რკინას, რომლითაც მუხის ტლანქი კარი შეეჭედათ, ჟანგი მოსდებოდა

და ამიტომაც სატუსაღო უფრო ძველი ჩანდა, ვიდრე ნებისმიერი სხვა რამ ამ ახალბედა სამყაროში. თითქოს მასაც, როგორც ყველაფერს, რაც დანაშაულს უკავშირდება, არასოდეს ღირსებია სიახლის ელფერი. ამ უშნო ნაგებობის წინ, კარეტების კვალდაჩნეულ ქუჩამდე, გადაშლილიყო მინდორი, რომელსაც ოროვანდი, თეთრამხალა, ნიკანდრა და სხვა სარეველა მოსდებოდა. ამ შეუხედავ მცენარეებს ის მიწავე ასაზრდოებდა, რომელზედაც ასე ადრიანად ამოზრდილიყო ცივილიზებული საზოგადოების შავი ყვავილი – საპყრობილე. სამაგიეროდ, კარიბჭის მეორე მხარეს ველური ვარდის ბუჩქი გადაშლილიყო, რომელსაც ლამის ზედ საპატიმროს ზღურბლამდე გაედგა ფესვი და ამ შუა ივნისში მშვენიერი ყვავილებით გადაპენტილიყო. ეს ვარდები, ჩვენი წარმოსახვით, თავიანთ სურნელებასა და წარმავალ სილამაზეს სთავაზობდნენ საპყრობილეში გამოსაკეტად განწირულ დამნაშავეს ანდა უკანასკნელ გზაზე მიმავალ სიკვდილმისჯილს, ნიშნად იმისა, რომ ბუნების მოწყალე გული თანაუგრძნობს და იბრალებს მას.

უცნაური შემთხვევითობის წყალობით, ეს ვარდის ბუჩქი ჯერ კიდევ ცოცხლადაა შემორჩენილი მაშინ, როცა მისი დამჩრდილველი უზარმაზარი ფიჭვები და მუხები დიდი ხანია წამოიქცნენ. იგი ან თავისმა ველურმა შეუდრეკლობამ გადაარჩინა, ანდა – როგორც ღრმადპატივცემული პირები ირწმუნებიან – ოდესღაც მართლაც საპყრობილის კარისკენ მიმავალი წმინდა ენ ჰეტჩინსონის ნაფეხურებზე ამოიწვერა. ასე იყო თუ ისე – ეს ჩვენი განსასჯელი არ გახლავთ. წავაწყდით რა მას ზედ ჩვენი ნაწარმოების ზღურბლთან, ჩვენთვის ეგზომ საბედისწერო კარიბჭესთან აყვავებულს, ისღა დაგვრჩენია, რომ შევაწყვიტოთ ერთი ყვავილი და გავუწოდოთ ჩვენს მკითხველს. იმედს ვიტოვებთ, რომ იგი გამოდგება სიმბოლოდ იმ ტკბილი ზნეობრივი ნაყოფისა, რომელსაც მკითხველი ამ გზის გავლისას დაკრეფს; თუ არა და, იმ მჭმუნვარებას მაინც გაუქარვებს, რომელსაც ადამიანური სისუსტისა და სევდის შესახებ მოთხრობილი ეს ამბავი მოჰგვრის.

2. ბაზრის მოედანი

ზაფხულის იმ დილას – და ეს არანაკლებ ორი საუკუნის წინათ ხდებოდა – სატუსაღოს წინ გადაშლილი მინდორი ბოსტონის მაცხოვრებლებს გადაეკვეთა. თითოეული მათგანის მზერა რკინით შეჭედილი მუხის კარისკენ იყო მიპყრობილი. ის ულმობელი და პირქუში გამომეტყველება, რომელიც ამ კეთილი ადამიანების წვერიან სახეებს შეჰყინვოდა, ქვეყნიერების ნებისმიერ სხვა კუთხეში ანდა თუნდაც თანამედროვე ახალ ინგლისში გარდაუვალი უბედურების მაუწყებელი იქნებოდა – მაცნე იმისა, რომ უკანასკნელ გზაზე აცილებენ სახელგავარდნილ დამნაშავეს, რომლის სიკვდილით დასჯითაც მართლმსაჯულებამ მარტოდენ ბეჭედი დაუსვა ხალხის სამსჯავროს მიერ დიდი ხნის წინ გამოტანილ განაჩენს. მაგრამ მთელი ეს ავბედითი წინათგრძნობა მაშინვე დაგვტოვებს, როგორც კი გავიხსენებთ ადრეული ხანის პურიტანების ჩვევას – ყველაფერი უსაშველოდ გაეჭირდიდებინათ. შეიძლება მთელი ეს პროცესია იმის საცქერლად შეკრებილიყო, თუ როგორ სჯიდნენ ზანტ მონას ანდა ურჩ ბავშვს, რომელიც მშობლებმა გასამათრახებლად სამოქალაქო ხელისუფლებას გადასცეს; დამნაშავე ასევე შეიძლებოდა ყოფილიყო ანტინომიელი, კვაკერი ანდა სხვა მწვალებლური სექტის წევრი, რომელსაც მათრახის ცემით გააძევებდნენ ქალაქიდან; ანდა

უსაქმური, მაწანწალა ინდიელი, რომელსაც თეთრკანიანისთვის აწაპნილმა მაგარმა სასმელმა ქუჩაში აურზაურის მოწყობა გააბედვინა და ამიტომაც წნელებით ხელფეხშეკრულს ტყის სიღრმისაკენ მიაქანებდნენ; შეიძლება ეს რომელიმე ალქაჯიც იყო, რომელსაც მოხუცი მისტრეს ჰიბინსის, მომრიგებელი მოსამართლის ავზნიანი ქვრივის მსგავსად, სახრჩობელაზე უნდა ამოხდენოდა სული. ასე იყო თუ ისე, მაყურებელთა რიგებში მყოფთა ყველა მოქმედებას საზეიმო ელფერი დაჰკრავდა; ასე იქცევიან ისინი, ვის ცნობიერებაშიც რელიგია და კანონი ლამის ერთმანეთს გასტოლებია, ხოლო გულებში კი ეს ორი მოვლენა ისე შერწყმია ურთიერთს, რომ საზოგადოებრივი დისციპლინის ყველაზე მკაცრსა თუ ლმობიერ გამოვლინებებს ერთნაირი მოწიწებითა და ძრწოლვით ეკიდებიან. მართლაც რომ მწირი და ცივი იყო ის თანაგრძნობა, რომლის მიღების იმედიც კანონის დამრღვევს შეეძლო ჰქონოდა ეშაფოტთან მდგომი ამგვარი მოწმეებისაგან. მეორე მხრივ კი, სასჯელი, რომელიც ჩვენს დროში თვით დამნაშავისთვისაც კი ღიმილისმომგრელი და აბუჩად ასაგდები იქნებოდა, მაშინ შეიძლებოდა არანაკლებად დამამცირებელი ყოფილიყო ადამიანის ღირსებისათვის, ვიდრე – სიკვდილით დასჯა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზაფხულის იმ დილას, როდესაც ჩვენი ამბავი სათავეს იღებს, ბრბოში აქა-იქ შერეული ქალები აშკარად განსაკუთრებული ინტერესით ელოდნენ მართლმსაჯულების აღსრულებას. ეპოქა ადამიანებისაგან დახვეწილობას არ მოითხოვდა, ასე რომ, ამ ხაბარდებითა და კორსეტებით შემოსილ არსებებს შეუფერებელ ქცევად არავინ ჩაუთვლიდა, თუ საზოგადო თავშეყრის ადგილებში გამოჩნდებოდნენ და გამუდმებით ეცდებოდნენ თავიანთი არცთუ ჰაეროვანი სხეულები სახრჩობელისაკენ მიმავალი ბრბოს რიგებში ჩაეკვეხებინათ. ძველ ინგლისში დაბადებულებსა და აღზრდილებს ზნეობრივი თუ ფიზიკური თვალსაზრისით გაცილებით

მეტი სიტლანქე ეტყობოდათ, ვიდრე ექვსი-შვიდი თაობის შემდეგ გაჩენილ მათსავე მშვენიერ შთამომავლობას, რაკიღა ამ გენეტიკური ჯაჭვის ყველა ახალი რგოლი დედისაგან მემკვიდრეობით იღებდა უფრო და უფრო ფერმკრთალ პირისკანსა და დახვეწილსა და ნატიფ სილამაზეს, სხეულის შედარებით მომცრო ნაკვთებსა და ეგებ ნაკლებად ფიცხსა და შეუვალ ხასიათსაც. ქალებს, რომლებიც ახლა სატუსაღოს კართან იდგნენ, ნახევარი საუკუნეც კი არ აშორებდათ მამაკაცურ ელისაბედს, რომელიც იმ პერიოდში თავისი სქესის არცთუ გამონაკლისი წარმომადგენელი გახლდათ. ეს ქალებიც მისი თანამემამულეები იყვნენ, ინგლისის ხორციითა და ლუდით ნასაზრდოები მათი მძლავრი აღნაგობა ვერც მორალურ დიეტას დაესუსტებინა. დილის ბრდღვიალა მზე ნათელს ჰფენდა განიერ მხრებსა და გამოკვეთილ მკერდებს, შორეულ კუნძულზე დამწიფებულ, მრგვალსა და ღაჟღაჟა ლოყებს, რომლებიც ახალი ინგლისის ჰავას ჯერაც ვერ ჩამოედნო და გაეფერმკრთალებინა. ამ ქალების უმეტესობა გათხოვილს ჰგავდა, თუმცა მათი თამამი და როყიო საუბრის უხამსი შინაარსი და გამყინავი კილო ჩვენს თანამედროვეთაც კი შეაცბუნებდა.

– ქალებო, – წამოიწყო ორმოცაათიოდე წლის მსხვილნაკვთებიანმა ქალმა, – ერთი აზრი უნდა გაგიზიაროთ. განა მთელი საზოგადოებისათვის არ იქნება უკეთესი, თუკი ჩვენ, მოწიფული ასაკისა და ყველასგან პატივცემული ქალები, ეკლესიის მრევლი, გამოვუტანთ განაჩენს ამ უზნეო ჰესტერ პრინს? აბა, რას იტყვით, მეგობრებო? ეს თავქარიანი ხუთი ჩვენგანის წინაშე რომ წარმდგარიყო, რომლებიც ახლა აქ მხარდამხარ ვდგავართ, განა ისეთი იოლი სასჯელით დაგვიძვრებოდა, როგორიც ამ ღრმადპატივცემულმა მოსამართლეებმა დააკისრეს? ღმერთმანი, არამც და არამც.

– ამბობენ, – ხმა აუწყო მეორემ, – ღირსი მამა დიმსდეილი, მისი სულიერი მოძღვარი, გულნატკენი და დაღონებულია, რომ მის სამწყსოში ასეთი საძრახისი საქმე მოხდაო.

– ჩვენი მოსამართლეები ღვთისმოშიში ჯენტლმენები არიან, მაგრამ მეტისმეტად გულმოწყალენი – ამას წყალი არ გაუვა, – დაურთო მესამე მიმჭკნარმა მატრონამ, – ჰესტერ პრინისთვის, სულ მცირე, გახურებული რკინით უნდა ამოეშანთათ შუბლზე დაღი. აი, მაშინ კი წაუხდებოდა ნირი ქალბატონს. ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ამ გათახსირებულ კახპას ოდნავ მაინც ანაღვლებს, რა ექნება ამოქარგული კაბის გულისპირზე? აგერ ნახავთ, თუ გულსაბნევი ანდა რამე მაგდაგვარი მწვალებლური სამკაული არ მიიბნიოს ზედ და ქუჩებში ძველებურად თავაწეულმა არ იაროს.

– ჰო, მაგრამ, – ნაზი ხმით გააწყვეტინა ახალგაზრდა ქალმა, რომელსაც ჩვილი ეჭირა ხელში, – როგორც არ უნდა დაფაროს დამღა, მისი ხსოვნა მუდამ დაუმძიმებს გულს.

– რომელ დაღებსა და დამღებზე ვლაპარაკობთ, ანდა რა მნიშვნელობა აქვს, ტანსაცმლით ატარებს მათ თუ შუბლით? – შეჰყვირა კიდევ ერთმა ქალმა, ყველაზე უშნომ და უმოწყალომ ამ თვითმარქვია მსაჯულთა შორის, – ამ ქალმა ყველა ლაფში ამოგვსვარა და სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ნუთუ სათანადო კანონი არ არსებობს? რასაკვირველია, არსებობს – ამის ნებას საღმრთო წერილიც გვაძლევს და ქვეყნის ადათიც. დაე, ამ მოსამართლეებმა, რომლებმაც დღეს ასეთი ლმობიერება გამოიჩინეს, საკუთარ თავებს მოჰკითხონ, როდესაც მათი ცოლები და ქალიშვილებიც გზას ასცდებიან.

– შეგვიბრალეთ, ქალბატონებო, – წამოიძახა ერთ-ერთმა მამაკაცმა ბრბოდან, – ნუთუ ქალის პატიოსნებას სხვა არაფერი უდევს სარჩულად, თუ არა სახრჩობელისადმი შიში? ჩემს ყურს ასეთი აქამომდე არაფერი სმენია! აბა, გაჩუმდით, ყბედებო, სადაცაა სატუსაღოს კარი გაიღება და თავად ქალბატონი პრინი გამოჩნდება.

სატუსაღოს კარი ვიღაცამ შიგნიდან მოწყვეტით გააღო და ჯერ – როგორც შავი ჩრდილი მზის გულზე – გამოჩნდა შემზარავი და ულმობელი სახე ქალაქის სასამართლოს აღმასრულებლისა, რომელსაც გვერდზე ხმალი ეკიდა, ხოლო ხელში კი თავისი თანამდებობის შესაფერისი კვერთხი ეპყრა. ეს არსება მთელი თავისი შესახედაობით წარმოადგენდა და განასახიერებდა დამთრგუნველ ძალას პურიტანული კოდექსისა, რომლის საბოლოო და ულმობელ განჩინებასაც დიდი ერთგულებით აღასრულებდა. მარცხენა ხელით კვერთხი გამოეშვირა წინ, ხოლო მარჯვენა კი ახალგაზრდა ქალის მხრისთვის მიებჯინა და ამგვარად ხელის კვრით მოჰყავდა იქამდე, ვიდრე ციხის ზღურბლთან მისულმა ბრალდებულმა თანდაყოლილი ღირსებითა და ხასიათის სიმტკიცით აღბეჭდილი მოძრაობით მხარი არ აუკრა და ისე არ გამოაბიჯა სუფთა ჰაერზე, თითქოს თავისი ნებით მოსულიყო აქ. ქალს ხელში ჩვილი ეჭირა, სამიოდე თვის პატარა, რომელიც იჭმუხნებოდა და სახეს არიდებდა მეტისმეტად მოკაშკაშე დღის სინათლეს, ვინაიდან აქამომდე მხოლოდ დილეგის რუხი ბინდბუნდი და საპყრობილის ჩაჟამებული ალაგები თუ ეხილა მის თვალებს.

ახალგაზრდა ქალმა, ჩვილის დედამ, როგორც კი ბრბოს წინაშე მზის სინათლეზე წარსდგა, არა იმდენად დედაშვილური სიყვარულის კარნახით, რამდენადაც ქვეცნობიერი სურვილით, რომ ამგვარად დაემალა კაბის გულისპირზე ამოტვიფრული თუ მიმაგრებული სამარცხვინო დამღა, ბავშვი ინსტინქტურად მაგრად მიიკრა მკერდზე. თუმცაღა მეორე წუთს გონებამ უკარნახა, რომ სირცხვილის ერთი საბუთის მეორეთი დაფარვა არაფერს არგებდა, ჩვილი მკლავებზე გადაიწვინა და სახეალანძულმა, თუმცა მაინც მედიდურად მოღიმარემ, თამამი მზერა მოავლო თავის თანაქალაქელებსა და მეზობლებს. მისი კაბის გულისპირს, მშვენიერ წითელ ქსოვილს, ერთიანად შემოვლებოდა ოქრომკედით საგულდაგულოდ ამოქარგული ლათინური ასო A-ს თვალწარმტაცი ხვეულები – ისეთი ოსტატობით, წარ-

მოსახვის ისეთი სიუხვითა და გემოვნების ისეთი დახვეწილობით შესრულებული, თითქოს იგი კიდევ ერთი, საბოლოო დეტალი ყოფილიყოს მისი ბრწყინვალე მორთულობისა, რომელიც არაფრით შეესაბამებოდა კოლონიაში გამეფებულ ასკეტური ჩაცმულობის წესებს.

ახალგაზრდა ქალს მაღალი და უზადოდ მოხდენილი მოყვანილობის ტანი ჰქონდა. ხშირი შავი თმა მზის შუქზე უელვარებდა, ხოლო სახეს კი, მწყობრი ნაკვთებისა და ქათქათა პირისკანის გარდა, განსაკუთრებულ ეშხს შუბლის ნაკეცი და ღრმა შავი თვალების სულისშემძვრელი გამომეტყველებაც მატებდა. იმდროინდელი გემოვნების თანახმად, რომელიც უპირატესობას მედიდურსა და ღირსებით აღსავსე თავდაჭერას ანიჭებდა, და არა იმ ფაქიზ, ეთეროვან, ენითაღუწერელ სინატიფეს, რომლითაც დღეს ფასდებიან ქალები, ჰესტერ პრინს მაღალი წრის ქალბატონის შესახედაობა ჰქონდა; და ეს არასოდეს ყოფილა უფრო თვალსაჩინო და თვალშისაცემი, ვიდრე მაშინ, როცა იგი ის-ის იყო სატუსაღოდან გამოდიოდა. ისინი, ვინც უწინაც იცნობდნენ ჰესტერს და ელოდნენ, რომ ფერწასულსა და სასოწარკვეთილების ბურუსში ჩაფლულს იხილავდნენ, პირდაღებული და შეცბუნებულიც კი დარჩნენ, ისე გაებრწყინებინა ქალის სილამაზე უბედურებისა და სირცხვილის გარსმოხვეულ შარავანდედს. მიუხედავად ამისა, გულისხმიერი თვალი რაღაც უაღრესად მტკივნეულს შეამჩნევდა ამ ყველაფერში. უცნაური და თვალწარმტაცი ტანსაცმელი, რომელიც ქალს საპყრობილეში ჯდომისას სწორედ ამ დღისათვის შეეკერა და შიგ მთელი თავისი წარმოსახვა ჩაეყოლებინა, მის სულიერ მდგომარეობას, მის ერთდროულად თავზეხელაღებულსა და სასოწარკვეთილ განწყობას ამხელდა. მაგრამ მთავარი დეტალი, რომელიც ყველას მზერას იტაცებდა და იმდენად ცვლიდა ჰესტერ პრინს, რომ მის ძველ ნაცნობ ქალებსა და მამაკაცებს ეჩვენებოდათ თითქოს

პირველად იხილეს იგი, იყო ზღაპრული ოსტატობით ამოქარგული ალისფერი დამღა, რომელიც თითქოს სხივებს ფენდა ქალის მკერდს. ის მიაგავდა ჯადოს, რომელსაც ჰესტერი ადამიანთა მოდგმისგან განეცალკევებინა და საკუთარ არსში გამოემწყვდია.

– კერვა ნამდვილად გამოსდის ხელიდან, ვერაფერს იტყვი, – შენიშნა სეირის მაყურებელმა ერთ-ერთმა დედაკაცმა, – მაგრამ, ნეტა, ამ უტიფარ კახპამდე რომელიმე ქალს აზრად თუ მოსვლია ასეთ ადგილას მორთულ-მოკაზმული მოსულიყო? რას იტყვით, დებო, განა თავისი ამ საქციელით იგი პირში არ დასცინის ჩვენს ღვთივკურთხეულ მსაჯულებს, როდესაც იმით, რაც ამ ღირსეულმა ჯენტლმენებმა სასჯელად დააკისრეს, თავს იწონებს?

– კარგი იქნებოდა, ეს მდიდრული კაბა, იმ წითელი დამღითურთ, ასე გულმოდგინედ რომ ამოუგვირისტებია, ერთიანად ჩამოგვეფლითა ამ ქალბატონის მშვენიერი მხრებიდან, – ჩაიბუტბუტა ამ ხანშიშესულ ქალებს შორის ყველაზე ტლანქნაკვთებიანმა, – სანაცვლოდ კი ამ ჩემს მეწამული ფლანელის ნაგლეჯს მივაშავებდი რამე უფრო შესაფერისის გამოსაჭრელად.

– ჩუმად, მეზობლებო, ჩუმად, – წაიჩურჩულა მათმა ახალგაზრდა თანმხლებმა, – არ გააგონოთ. ამ დამღის თითოეულმა გვირისტმა მას გულს დააჩნია კვალი.

პირქუშმა სასამართლოს აღმსრულებელმა კვერთხიანი ხელი გაიქნია.

– გზა გაათავისუფლეთ, კეთილო ხალხო, გზა გაათავისუფლეთ, მეფის სახელით გიბრძანებთ! გამეცალეთ და პირობას გაძლევთ, ქალბატონ პრინს ისეთ ადგილას დავაყენებთ, რომ ყველას, ქალს, კაცსა თუ ბავშვს, ექნება საშუალება მის თამამ კაბას იქამდე უყუროს, ვიდრე მზე შუბის ტარს ერთი ადლით არ გადაშორდება. ღმერთმა აკურთხოს მასაჩუსეტსის კოლონიის სამართალი, რომელიც ყველა უკეთურებას დღის შუქზე გამოჰფენს ხოლმე. გამომყევით, მადამ ჰესტერ, და თქვენი ალისფერი დამღა მთელ ბაზრის მოედანს აჩვენეთ.

მაყურებელთა ბრბო მაშინვე შუაზე გაიპო. ჰესტერ პრინი სასამართლოს მოხელის წინამძღოლობითა და წარბშეკრული კაცებისა და ავად მომზირალი ქალების არეულ-დარეული ამალის თანხლებით მართლმსაჯულების აღსრულების ადგილისაკენ გაემართა. მსვლელობას თავში ცნობისმოყვარე მოწაფეების ჯგუფი მოჰქცეოდა, რომელსაც, გარდა იმისა, რომ სკოლიდან ადრე დაითხოვეს, დღევანდელი თავყრილობის ბევრი ვერაფერი გაეგო. ისინი გამუდმებით ატრიალებდნენ თავს, რომ განსასჯელის სახის, მის მკლავებში მოქცეული თვალებმოხამხამე ჩვილისა და მკერდზე ამოქარგული სამარცხვინო დამღისათვის შეევლოთ თვალი. იმხანად სატუსაღოს კარიდან ბაზრის მოედნამდე მანძილი დიდი არ ყოფილა, მაგრამ პატიმარს ეს გზა ვინ იცის უსასრულოდ გრძელიც კი ეჩვენებოდა; და თუმცა სახიდან მედიდური გამომეტყველება არ სცილდებოდა, ვინ იცის მის საცქერლად თავმოყრილი ამ ხროვის ყოველი ფეხის გადადგმისას ისეთ საშინელ ტანჯვას განიცდიდა, თითქოს მისი მკერდიდან ამოგლეჯილი გული შარაგზაზე დაეგდოთ, რათა ყველა გამვლელს ზედ სათითაოდ დაებიჯებინა ფეხი და გადაექელა. თუმცაღა ადამიანის ბუნებას აქვს ერთი განსაცვიფრებელი და გადამრჩენელი თვისება – ტანჯული უშუალოდ ტანჯვის პროცესში ისე მძაფრად არ განიცდის თავის უბედურებას, როგორც მოგვიანებით, როდესაც მისი ხსოვნა გულს უღრღნის და მოსვენებას არ აძლევს. სწორედ ამიტომ ჰესტერ პრინმა თითქმის უდრტვინველად გაიარა თავისი გოლგოთისაკენ მიმავალი გზა და მიუახლოვდა ბაზრის მოედნის დასავლეთით მდებარე სამარცხვინო ფიცარნაგს, რომელიც ზედ ბოსტონის უძველესი ეკლესიის აივნის ქვეშ აღემართათ და თითქოს მის განუყოფელ ნაწილად ქცეულიყო.

ეს სამარცხვინო ფიცარნაგი, ზედ აღმართული სახრჩობელით, რომელსაც უკვე რახანია მხოლოდ ისტორიული და ტრადიციული ღირებულება თუ შემორჩენია, გახლდათ განუყოფელი ნაწილი იმ

სადამსჯელო მანქანისა, რომელიც ისევე უწყობდა ხელს ახალი ინგლისის მკვიდრთა სამოქალაქო შეგნების ამაღლებას, როგორც ოდესღაც გილიოტინა – ფრანგი რევოლუციონერებისას. მოკლედ რომ ვთქვათ, ფიცარნაგზე სამარცხვინო ბოძი აღემართათ, ხოლო ბოძზე კი დაემაგრებინათ მოწყობილობა, რომლის შიშიც ადამიანებს კანონის მორჩილებას აიძულებდა, რაკი მჭიდრო ყულფში აქცევდა დამნაშავის თავს, სწევდა მას მაღლა და აიძულებდა თვალი არ აერიდებინა მაყურებელთა მზერისთვის. ხისა და რკინის ამ მოწყობილობაში თითქოს თავად ცნება „სირცხვილის“ მთელი არსი განსხეულებულიყო. ვგონებ, როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ადამიანის დანაშაული, არ არსებობს უფრო დიდი და უფრო შემაძრწუნებელი სასჯელი, ვიდრე შერცხვენილი მსხვერპლისათვის სახის დამალვის უფლების ჩამორთმევაა, რაც იყო კიდეც მიზანი ამგვარი სასჯელისა. თუმცაღა, ჰესტერ პრინის შემთხვევაში იშვიათი გამონაკლისი დაუშვეს და, მიუხედავად იმისა, რომ ქალს გარკვეული დროით შემაღლებულ ფიცარნაგზე დგომა მიუსაჯეს, მას არ უწვნევია ის ორი ყველაზე დიდი განსაცდელი, რომლებიც ამ სასტიკ მოწყობილობას შეეძლო მოეგვარა მისთვის: კისერში დავლილი ჭვალის ატანა და თავის გაშეშება. რაკიღა მშვენივრად ესმოდა თავისი როლი გათამაშებულ დრამაში, ჰესტერმა ხის საფეხურები აიარა და გარსშემორტყმულ ბრბოს ზემოდან გადმოხედა.

პურიტანების ამ თავყრილობაში ერთი კათოლიკე მაინც რომ გამორეულიყო, ეს კალმით ნახატი ქალი, მისი მშვენიერი სამოსი, სახის გამომეტყველება და გულზე მიკრული ჩვილი, ალბათ, მოაგონებდა ღვთისმშობელს ყრმითურთ, რომლის გამოსახვაშიც მხატვრები ოდესღაც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. და მაინც, თუ მოაგონებდა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ რომ ეს ზნედაცემული ქალი ცასა და მიწასავით განსხვავდებოდა წმინდა დედისაგან, რომლის შვილმაც კაცობრიობის ხსნა იტვირთა. აქ კი ადა-

მიანთა ყოფისთვის ჩვეულ ყველაზე მძიმე ცოდვას ისეთი ლაქა დაეტოვებინა, რომ ამ ქალის სილამაზე ქვეყანას კიდევ უფრო აბნელებდა, და ჩვილის მოვლინება უფრო მიუსაფრად აქცევდა.

დანაშაულისა და სირცხვილის ამ წარმოდგენის ცქერა მაყურებელთა გულებში ყველა სხვა გრძნობასთან ერთად მოწიწებასაც აღძრავდა – პურიტანული საზოგადოება ჯერ ისე არ გარყვნილიყო, რომ ამგვარ შემთხვევას ღიმილი მოეგვარა მისთვის; ჰესტერ პრინის დამცირების მოწმენი ჯერ არ გასცდენოდნენ უმანკოების ამ მიჯნას. ქალისთვის სასამართლოს სიკვდილიც რომ მიესაჯა, აქ შეკრებილი ხალხი წარბშეუხრელად უყურებდა მისი დასჯის სცენას და არც განაჩენის სიმკაცრე შეაწუხებდა, მაგრამ იმდენი გულქვაობა კი არ გააჩნდა, რომ ამგვარ სანახაობაში ოხუნჯობის მიზეზი ეპოვა. ვინმეს კიდეც რომ გასწყრომოდა ღმერთი და მასხარაობის გუნებაზე დამდგარიყო, მის ამ განწყობას გადასძალავდა და ჩაახშობდა ხილვა ცერემონიის დამსწრე ღრმადპატივცემული პიროვნებებისა. ესენი იყვნენ: თვით გუბერნატორი, მისი ორი მრჩეველი, მოსამართლე, გენერალი და ქალაქის სულიერი მამები; ყველა მათგანი, სამლოცველოს აივანზე ჩამომდგარი თუ ჩამომსხდარი, ერთად ჩამოჰყურებდნენ ფიცარნაგს. როდესაც ამგვარ პირებს შეუძლიათ სანახაობაში მონაწილეობა ისე მიიღონ, რომ მათი თანამდებობისა თუ წოდების ღირსება და დიდებულება ეჭვქვეშ არ დადგეს, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, ესე იგი, ამგვარ საზოგადოებაში სამართლის აღსრულებას მართლაც დიდმნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევენ. შესაბამისად, უბრალო ადამიანებიც სერიოზული და დასევდიანებული გამომეტყველებით იდგნენ. საბრალო მსხვერპლს გასაოცრად მედგრად ეჭირა თავი იმ ქალის კვალობაზე, რომელსაც ამდენი ულმობელი თვალი მკერდზე დაჟინებით მისჩერებოდა. გაუსაძლისი იყო ეს ყველაფერი. ბუნებით ბობოქარსა და ფიცხ ჰესტერს უკვე შეემზადებინა თავი, რომ სამიზნედ ქცეულიყო იმ შხამიანი ნესტრებისა და ისრებისათვის, რომელსაც საზოგადოება თავისი წესების ყველა უგულებელმყოფელს დაუშენს ხოლმე; მაგრამ შეთქმულთა მკაცრი მდუმარება ისე თრგუნავდა, ერჩივნა, რომ ყველა ეს პირქუში სახე დამცინავ ღიმილს მოეგრიხა. ბრბოს რომ უხამსი სიცილი წასკდომოდა – და ყველა კაცს, ყველა ქალს, ყველა ხმაგამკივან ბავშვს მისთვის აეწყო ხმა – ჰესტერ პრინი მათ სამაგიეროს გამქირდავი, აგდებული ღიმილით გადაუხდიდა. მაგრამ ახლა, როდესაც მის ბედისწერად ამ ტყვიასავით მძიმე სასჯელის ტარება ქცეულიყო, ქალმა იგრძნო, რომ ან ფილტვების მთელი დაძაბვით უნდა ამოეკივლა და ფიცარნაგიდან გადმოვარდნილი მიწაზე გაშხლართულიყო, ანდა გაგიჟებულიყო.

და მაინც, შიგადაშიგ, მთელი ეს სცენა, რომლის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურაც თავად იყო, ლამის მთლიანად ქრებოდა მისი თვალსაწიერიდან, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ისე ბუნდოვნად ხედავდა მის მონაწილეებს, თითქოს ისინი გაურკვეველი მოხაზულობის ლანდების გროვად ქცეულიყვნენ. ჰესტერის გონება, მეტადრე – მეხსიერება, ზებუნებრივად გაცხოველებულიყო და მოიხმობდა მოგონებებს, რომლებიც არაფრით უკავშირდებოდა ველური დასავლეთის ამ დასაკარგავში მყოფი პატარა ქალაქის უსწორმასწორო ქუჩას და სახეებს, რომლებიც წოწოლა ქუდების ფარფლებქვეშიდან ამოჰყურებდნენ. მოგონებები – ყველაზე უმნიშვნელო და სასხვათაშორისო – სიყრმისა თუ შეგირდობის ხანის, გართობისა თუ ბავშვური კინკლაობების, ქალიშვილობის წლების წვრილ-წვრილი ოჯახური ამბებისა მისი აწმყოს ყველაზე სევდიან სურათებს შერეოდნენ და ერთად შემოსეოდნენ ჰესტერის გულს; ერთი ცხოველი მოგონება მეორეს ცვლიდა, ყველა მათგანი ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო და ერთნაირადვე ჰგავდა სპექტაკლის სცენას. შეიძლება ეს მისი სულის ინსტინქტური მცდელობა იყო – შვება ეპოვა – ამ ფანტას-

მაგორიული ხილვების გამოხმობით დაეხსნა თავი ულმობლად მძიმე და გაუსაძლისი სინამდვილისაგან.

ასე იყო თუ ისე, სამარცხვინო ბოძის ფიცარნაგი აღმოჩნდა ის ადგილი, სადაც ჰესტერ პრინს თვალწინ ჩაუქროლა მთელმა იმ გზამ, რომელიც ბედნიერი ბავშვობის მერე გამოევლო. ამ ავბედით სიმაღლეზე მდგომმა ხელახლა იხილა ძველი ინგლისი, თავისი მშობლიური სოფელი და მამაპაპური კერა, ნაცრისფერი ქვის სახლი, მონგრეული, სიღარიბით დაღდასმული, რომელიც კარიბჭესაც ჯერ კიდევ ეტყობოდა ნახევრადწაშლილი გერბი – კეთილშობილური წარმომავლობის ნიშანი. იხილა მამის სახე, მისი მელოტი შუბლი და სპეტაკი თეთრი წვერი, რომელიც ელისაბედისდროინდელი მოდის გახამებულსა და გოფრირებულ საყელოზე გადმოჰფენოდა; იხილა დედაც, მისი მზრუნველობითა და შეშფოთებით სავსე თვალები, რომლებიც სამუდამოდ ჩარჩა მეხსიერებაში და რომლებიც მისი სიკვდილის შემდეგაც კი ყველა დაბრკოლების დაძლევაში ეხმარებოდნენ ქალიშვილს. იხილა საკუთარი ახალგაზრდული სილამაზით გაცისკროვნებული სახე, ერთიანად რომ ანათებდა სარკის გახუნებულ ზედაპირს, როცა საკუთარი თავისთვის თვალის შევლება მოსწყურდებოდა ხოლმე. მერე კიდევ ერთი ჩვენებაც იხილა – წლებით მოტეხილი მამაკაცი, ფერმკრთალი და გამხდარი, სწავლულის შესახედაობისა, მხედველობადასუსტებული და დანისლული, ლამპის შუქზე მრავალი მძიმე ტომის კითხვით გაწყალებული თვალებით, რომლებიც უცნაურ, გულთამხილველ ძალას შეიძენდნენ ხოლმე, როდესაც მათი მფლობელი მოსაუბრის ფიქრების წაკითხვას მოინდომებდა. ამ ასკეტი სწავლულის სხეული – ჰესტერ პრინის ქალური წარმოსახვა ამას თვალს ვერ აარიდებდა – ოდნავ მობრეცილიყო, მარცხენა მხარი ერთი ბეწოთი ასცდენოდა მარჯვენას. ამის შემდეგ მსჯავრდებულის მეხსიერების გალერეაში გაცოცხლდა ევროპის ქალაქი, ვიწრო და ჩახლართული ქუჩებით, მაღალი, ნაცრისფერი სახლებით, უძველესი და უჩვეულო არქიტექტურის უზარმაზარი ტაძრებითა და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებით დამშვენებული, სადაც მას ახალი, ხეიბარ სწავლულთან გადაჯაჭვული ცხოვრება ელოდა; ახალი ცხოვრება, რომელიც ისევე იკვებებოდა ყავლგასულ ფასეულობებით, როგორც ხავსის მწვანე ბღუჯა კედლის ნაშალით. და ბოლოს, ამ ურთიერთმონაცვლე სცენების შემდეგ, კვლავ გამოჩნდა პურიტანელთა დასახლების ტლანქი ბაზრის მოედანი, სავსე თანამოქალაქეებით, რომლების ერთად შეგროვილიყვნენ და პირქუში მზერა მიებჯინათ ჰერსტერ პრინისთვის – დიახ, სწორედ მისთვის, ვინც სამარცხვინო ბოძის ფიცარნაგზე იდგა, ხელში ჩვილი ეკავა და კაბის ალისფერ გულისპირს დიდი ოსტატობით ამოქარგული ასო A უმშვენებდა.

ნუთუ ეს ყველაფერი მართლა ხდებოდა მის თავს? ქალმა ბავშვი ისეთი გააფთრებით მიიკრა გულზე, რომ მან ტირილი მორთო; ჰესტერმა მკერდზე დაიხედა, ალისფერ დამღას თვალი შეავლო და თითის წვერებითაც კი შეეხო, რათა დარწმუნებულიყო, ბავშვიცა და სირცხვილიც სინამდვილე იყო. დიახ, – მხოლოდ ეს იყო სინამდვილე – სხვა ყველაფერი გამქრალიყო.

3. აღიარება

სულისშემხუთველი შეგრძნება, რომელსაც ხალხის საყოველთაო და დაჟინებული ყურადღება ჰგვრიდა, უეცრად უკვალოდ გაქრა, როდესაც ალისფერი დამღის პატრონმა შეამჩნია ვიღაც, ვინც ყველა მის ფიქრს ერთიანად დაეპატრონა. ბრბოს განაპირას ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ინდიელი იდგა; თუმცა ინგლისური დასახლებისათვის წითელკანიანი კაცი ისეთი იშვიათი სტუმარიც არ იყო, რომ ასეთ დროს ჰესტერ პრინის მთელი გულისყური მიეპყრო; იგი მით უმეტეს ვერ შეძლებდა, რომ ყველა სხვა ფიქრი და სახება განედევნა ქალის გონებიდან. ინდიელის გვერდით იდგა და როგორც ჩანდა, მასვე ახლდა, თეთრკანიანი კაცი, რომლის სამოსშიც ცივილიზებული და ველური ელემენტები უცნაურად შერწყმოდა ერთმანეთს.

ეს იყო ტანმორჩილი მამაკაცი, ნაოჭებით სახედაღარული, რომელთა მომრავლებასაც მხოლოდ ასაკს ვერ დააბრალებდით. მის ნაკვთებიდან თვალშისაცემი გამჭრიახობა გამოკრთოდა. თითქოს ეს ადამიანი მთელ ძალისხმევას გონების სრულყოფას ახარჯავდა, გონებას კი, თავის მხრივ, ჩამოეყალიბებინა მისი სხეული და ზედ თავისი უტყუარი კვალიც დაეჩნია. ჰესტერ პრინმა შორიდანაც იოლად შეამჩნია, რომ კაცს ცალი მხარი მეორეზე მაღალი ჰქონდა, თუმცა მცდელობა არ დაეკლო, რომ თავისი

დაუდევარი ჭრელაჭრულა ტანსაცმლით საკუთარი აღნაგობის ეს ნაკლი მიეჩქმალა. როგორც კი ფიცარნაგზე მდგომმა ქალმა მის თხელ სახესა და ოდნავ დეფორმირებულ სხეულს ჰკიდა თვალი, ბავშვი ისეთი გამეტებით მიიკრა გულზე, რომ საბრალო ჩვილმა ტკივილისაგან ტირილი მორთო. მაგრამ დედამისს ეს არ გაუგონია.

ბაზრის მოედანზე შემოსვლისთანავე, იქამდეც, ვიდრე ქალი შეამჩნევდა, უცნობი დაჟინებით მისჩერებოდა ჰესტერ პრინს. თავიდან ეს სასხვათაშორისო მზერა იყო, დამახასიათებელი ისეთი კაცისათვის, რომელიც, ძირითადად, საკუთარი სულის სიღრმეებში იცქირება და არად დაგიდევთ გარეშე მოვლენებს, თუკი ისინი უშუალოდ მის საფიქრალს არ უკავშირდება. თუმცაღა ძალიან მალე უცნობს გამოხედვა ბასრი და განმგმირავი გაუხდა, სახის ნაკვთები კი შეძრწუნებისაგან ისე დაეკლაკნა, თითქოს ზედ გველი გადაეგრიხა და ყველა თავისი დაგრაგნილი რგოლი ერთი წუთით სააშკარაოზე გამოაფინა. სახე ჩაუშავა რაღაც ძლიერმა განცდამ, რომელიც ნებისყოფის დაძაბვით სასწრაფოდ მოთოკა და მეორე წამს კაცის ყველა ნაკვთი სრულ სიმშვიდეს გამოხატავდა. სულ ცოტა დრო დასჭირდა, რომ თავისი მღელვარება უცხო თვალისაგან დაემალა და ერთხელ და სამუდამოდ ჩაეკეტა საკუთარი გულის სიღრმეში. როდესაც კაცმა შეამჩნია, რომ ჰესტერ პრინს მისთვის თვალი თვალში გაეყარა და მიხვდა, რომ ქალმა იცნო, ნელა და მშვიდად ასწია ცალი თითი, ჰაერში წრე შემოხაზა და მერე ეს თითი ბაგეზე მიიდო.

ამის შემდეგ მან თავის გვერდით მდგომ მოქალაქეს მხარზე ხელი დაადო და თავაზიანი და კეთილგანწყობილი კილოთი მიმართა:

– გვედრებთ, მიამბოთ, კეთილო სერ, ვინ არის ეს ქალი? და რატომ გაწირეს ასეთი სახალხო შერცხვენისათვის?

– როგორც ჩანს, თქვენ ჩვენს მხარეში უცხო ბრძანდებით, მეგობარო, – მიუგო მოქალაქემ და ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა მოსაუბრეცა და მისი უცნაური თანმხლებიც, – თორემ აუცილებლად გეცოდინებოდათ, ვინ არის ქალბატონი ჰესტერ პრინი და რა ჩაიდინა მან. გარწმუნებთ, საქვეყნოდ მოსჭრა თავი ღირსი მამა დიმსდეილის სამწყსოს.

– სწორად მიხვდით, – უპასუხა თანამოსაუბრემ, – აქაურობისათვის უცხო ვარ, ჩემგან დამოუკიდებლად, დიდხანს მომიწია შორეულ მხარეში ცხოვრებამ. ბევრი უსიამოვნო თავგადასავალი გადამხდენია ზღვასა თუ ხმელეთზე და მრავალი წელი სამხრეთელი წარმართების ტყვეობაშიც გავატარე; ახლა კი ამ ინდიელმა აქ ჩამომყვანა, რათა ჩემ სანაცვლოდ გამოსასყიდი მიიღოს. გამოიჩინეთ სიკეთე და მიამბეთ, რა ჩაიდინა ასეთი ჰესტერ პრინმა – იმედია, სწორად დავიმახსოვრე მისი სახელი – რომ ამ ფიცარნაგზე აღმოჩნდა?

– მართლაც, მეგობარო, მეც მგონია, ამდენი დავიდარაბის გადამტანსა და ველურთა შორის ნახეტიალევს გულზე სალბუნად დაგედებათ გაგება იმისა, რომ ახალ ინგლისში მოხვდით, სადაც ყველა ცოდვა დღის სინათლეზე გამოაქვთ და ერი და ბერი ერთად შეაჩვენებს მას. მინდა გითხრათ, სერ, რომ ეს ქალი იყო ცოლი ერთი დიდად განსწავლული კაცისა, რომელიც ინგლისში იშვა, მაგრამ დიდხანს სახლობდა ამსტერდამში. მერე კი, კარგა ხნის წინ, გადაწყვიტა ოკეანე გადმოეცურა და ჩვენ გვერდით, მასაჩუსეტში, დაედო ბინა. ამ მიზნით, მან ცოლი გემით გამოგზავნა, თავად კი აუცილებელი საქმეების მოსაგვარებლად შინ დარჩა. ამის შემდეგ, კეთილო სერ, მისტერ პრინის შესახებ აღარაფერი გვსმენია; ხოლო მისი ახალგაზრდა ცოლი კი ბოსტონში ჩამოსახლებიდან ორი წელიც არ გასულა, რომ გზას ასცდა...

– აჰ! აჰა, გასაგებია! – თქვა უცნობმა მწარე ღიმილით, – თუ ის კაცი ისეთი განსწავლულია, როგორც თქვენ ბრძანეთ, ამის შესახებაც უნდა გაეფრთხილებინათ იმ თავის წიგნებს. და როგორ გგონიათ, სერ, ვინ შეიძლება იყოს მამა იმ ჩვილისა – მგონი, სამი-ოთხი თვისა თუ იქნება – რომელიც ქალბატონ პრინს ხელში უჭირავს?

– აბა რა გითხრათ, სერ, ეს ამბავი დღემდე საიდუმლოდ რჩება და ველით იმ დანიელს, რომელიც მას ამოხსნის, – უპასუხა მოქალაქემ, – მადამ ჰესტერი ცოცხალი თავით არაფერს ამბობს და მოსამართლეებიც ამაოდ იჭყლეტენ ტვინებს. შესაძლოა, რომ დამნაშავე, ყველა ჩვენგანისათვის უცნობი, ამ წამს ჩვენთან ერთად შესცქერის ამ ნაღვლიან სპექტაკლს და ავიწყდება, რომ ღმერთი ყველაფერს ხედავს.

– ჩემი აზრით, სწავლული კაცი უნდა დაბრუნდეს და ეს საიდუმლო თავად ამოხსნას, – ღიმილით შენიშნა უცნობმა.

– მისთვისაც ასე აჯობებს, თუ, რასაკვირველია, ჯერ კიდევ ცოცხალია, – მიუგო ქალაქის მკვიდრმა, – ჯერჯერობით კი, კეთილო სერ, ბრძენმა მასაჩუსეტსელმა მოსამართლეებმა გაითვალისწინეს, რომ ეს ქალი ახალგაზრდა და მშვენიერია, ამიტომაც, ეჭვი არაა, ვიღაცამ აცდუნა; და, რაც მთავარია, გაითვალისწინეს ისიც, რომ მისი ქმარი, ალბათ, დიდი ხანია ზღვის ფსკერზე წევს; ამიტომაც გადაწყვიტეს, რომ ცოდვილი ჩვენი კანონმდებლობის მთელი სიმკაცრით არ დაესაჯათ და მისთვის სიკვდილი აეცილებინათ. გულმოწყალე და კეთილშობილმა მსაჯულებმა ქალბატონ პრინს სამი საათის განმავლობაში ამ სირცხვილის ბოძთან დგომა აკმარეს და კიდევ, სამუდამოდ, მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში, უნდა ატაროს გულზე ეს დამღა, როგორც მისი დანაშაულის სიმბოლო.

– ბრძნული სასჯელია! – შენიშნა უცნობმა და მოწონებით დაუქნია თავი, – ეს ქალი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ცოდვის მოსიარულე ხატება იქნება, სიკვდილის მერე კი ამ სამარცხვინო ასო-ნიშანს მისი საფლავის ქვაზე ამოტვიფრავენ. და მაინც, გული მეთანაღრება, რომ მისი ცოდვის თანამონაწილე

ახლა მის გვერდით არ დგას ამ ფიცარნაგზე. მაგრამ ამხელენ! მასაც ამხელენ! მასაც ამხელენ!

იგი თავაზიანად გამოემშვიდობა თავის გულღია თანამოსაუბრეს, რამდენიმე სიტყვა წასჩურჩულა თანმხლებ ინდიელს და ორივემ ბრბოში გაიკვალა გზა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ჰესტერ პრინი შემაღლებულზე იდგა და უცნობს დაჟინებით შესცქეროდა; ისეთი დაჟინებით, რომ მთლიანად ამ მზერად გადაქცეულს, დროდადრო დანარჩენი ხილული სამყარო თვალთახედვიდან ეკარგებოდა და ამქვეყნად მხოლოდ ორნი, თვითონ და კაცი, რჩებოდნენ. მაგრამ მასთან პირისპირ ყოფნას, შესაძლოა, ისევ თავისი ახლანდელი მდგომარეობა ერჩია – როდესაც შუადღის თაკარა მზე სახეს უწვავდა და მისი შერცხვენა სააშკარაოზე გამოჰქონდა, როცა მკერდზე ცოდვილის ალისფერი ნიშანი მოუჩანდა, როცა ხელში საკუთარი მრუშობის ნაყოფი ეპყრა; როდესაც მთელი ეს ხალხი, თითქოს ზეიმისთვის თავშეყრილი, თვალებით ჭამდა მის ნაკვთებს, რომლებიც უცხო თვალს აქამდე მხოლოდ ბუხრის მოლიცლიცე ალზე, მისი სახლის მყუდრო ჩეროში ანდა ეკლესიაში, გათხოვილი ქალის პირბადის მიღმა თუ ეხილა. თუმცა მისი სირცხვილის ამ უამრავი მოწმის წინაშე დგომა საშინელება იყო, ჰესტერს უსაფრთხოების შეგრძნებას მატებდა. ერჩია ასე მდგარიყო და მასა და კაცს შორის უამრავი ადამიანი ყოფილიყო, ვიდრე პირისპირ შეხვედროდა მას, ვიდრე მარტო დარჩენილიყვნენ. საჯარო დამცირება ქალისათვის თავშესაფრად ქცეულიყო და იმ წუთზე ფიქრი აძრწუნებდა, როდესაც ხალხმრავლობა ველარ დაიცავდა. ამ ფიქრებში გართულმა ძლივს გაიგონა, მის ზურგსუკან რამდენჯერმე თუ როგორ გაიმეორეს მისი სახელი, ხმამაღლა და გამოთქმით, მთელი კრების გასაგონად.

– ყური დამიგდეთ, ჰესტერ პრინ! – თქვა ხმამ.

უკვე აღვნიშნეთ, რომ იმ ფიცარნაგს, რომელზედაც ჰესტერ პრინი იდგა, ზედ გადმოჰყურებდა ეკლესიაზე მიდგმული

ერთგვარი აივანი თუ ღია ვერანდა. ეს იყო ადგილი, სადაც სახალხო თავყრილობებისას ქალაქის ხელისუფალნი იკრიბებოდნენ და სიტყვით გამოდიოდნენ ხოლმე. სწორედ აქ, ჩვენ მიერ აღწერილი სცენისათვის თვალყურის სადევნებლად იჯდა თვით გუბერნატორი ბელინგემი; მას თან ახლდა საპატიო ამალა – ალებარდებით შეიარაღებული ოთხი სერჟანტი. გუბერნატორის ქუდს შავი ფრთა ამშვენებდა, არშიებმოქარგული წამოსასხამის ქვეშ კი შავი ხავერდის ტუნიკა ემოსა. ამ მხცოვანი ჯენტლმენის დანაოჭებული სახე მის მრავალჭირგამოვლილ ცხოვრებაზე მეტყველებდა. ნიშანდობლივი იყო, რომ სწორედ იგი გახლდათ წინამძღოლი და წარმომადგენელი იმ საზოგადოებისა, რომელიც შექმნა, გზაზე დააყენა და განვითარების ახლანდელ დონემდე მოიყვანა არა ჭაბუკურმა მგზნებარებამ, არამედ მოწიფულობის დინჯმა და გაწონასწორებულმა ძალისხმევამ და ხნოვანების ბრძნულმა სიმშვიდემ; საზოგადოებისა, რომელიც თავის მიღწევათა სიმრავლეს წარმოსახვისა და რწმენის სიმწირეს უმადლოდა. წარჩინებული პირები, რომლებიც გარს შემოხვეოდნენ თავიანთ მმართველს, ღირსეული თავდაჭერით იქცევდნენ ყურადღებას. ისინი გახლდნენ ღვიძლი შვილები იმ ეპოქისა, რომელშიც საერო და სასულიერო თანამდებობა ერთნაირად წმინდათაწმინდა გახლდათ. ეს ბატონები, ეჭვი არაა, კარგი ადამიანები იყვნენ – ბრძენი და სამართლიანი. მაგრამ თუნდაც მთელი მსოფლიოს უჭკვიანეს და ღირსეულ კაცთა შორისაც კი ვერ იპოვიდით ამდენ ბრმას, რომლებიც ვერასოდეს დაინახავდნენ, თუ რა ხდებოდა გზასაცდენილი ქალის გულში და ვერაფრით დაეხმარებოდნენ მას, ერთმანეთში ჩახლართული ავისა და კარგის გორგალი რომ გამოეხსნა. აი, ასეთნი იყვნენ საღი აზრის ის ულმობელი მცველები, რომელთა წინაშეც ახლა ჰესტერ პრინი წარმდგარიყო. ქალმა კარგად უწყოდა, რომ უმალ ბრბოს დიდი და კეთილი გულის თანაგრძნობის იმედი უნდა ჰქონოდა, ვიდრე

მსაჯულთა ლმობიერებისა, რაკიღა, როგორც კი აივანს მიაპყრო მზერა, უბედური დამნაშავე გაფითრდა და აცახცახდა.

ხმა, რომელმაც მისი ყურადღება მოითხოვა, ეკუთვნოდა ღირსსა და სახელგანთქმულ ჯონ უილსონს, ბოსტონის უხუცეს სასულიერო პირს – ამ წოდების მაშინდელ წარმომადგენელთა უმეტესობის მსგავსად დიდებულად განსწავლულს, კეთილსა და გულისხმიერ ადამიანს. თუმცაღა, სიმართლე რომ ვთქვათ, ღირს მამას ეს ორი უკანასკნელი თვისება უფრო თავის ნაკლად მიაჩნდა, ვიდრე – ღირსებად და ყველანაირად ცდილობდა, მათთვის გასაქანი არ მიეცა. და აი, იგი აქ იდგა, არახჩინიდან ჩამოშლილ ჭაღარა კულულებს ჩარჩოში მოექციათ მისი სახე, ხოლო სამუშაო კაბინეტის სიმრუმეს შეჩვეულ ნაცრისფერ თვალებს მზის ჩახჩახა შუქზე ჰესტერის ჩვილივით ახამხამებდა. ერთ-ერთ იმ პირქუშსა და ბნელ პორტრეტს ჰგავდა, ქადაგებათა ძველ ტომებს რომ წაუმძღვარებენ ხოლმე, და არც ადამიანური შეცოდების, ვნებისა თუ ტკივილისა გაეგებოდა რამე იმ პორტრეტებზე უკეთ.

– ჰესტერ პრინ, – მიმართა მღვდელმა, – აქ მე ცოტაოდენი კამათი მომივიდა ჩემს უმცროს ძმასთან, რომლის მჭევრმეტყველების მოსმენის პატივი შენც არაერთხელ გვხდომია წილად, – და მისტერ უილსონმა თავის გვერდით მჯდომ ფერმკრთალ ახალგაზრდა კაცს დაადო მხარზე ხელი, – ვისწრაფვოდი, დამერწმუნებინა ეს ღვთისმოშიში ახალგაზრდა, რომ აქვე, ღმერთის, ამ ბრძენი და პირნათელი მსაჯულებისა და ხალხის წინაშე ემხილა შენი ცოდვის სიბილწე და სიმდაბლე. ის ჩემზე უკეთ იცნობს შენს ბუნებას და უკეთ მიხვდება, რომელი ხერხი გამოიყენოს – ტკბილი სიტყვით მოგიდგეს თუ დაგაშინოს – რომ სიჯიუტე და შეუპოვრობა დაძლიო და გაგვიმხილო სახელი იმ კაცისა, რომელმაც ამ დამღუპველი ცოდვისაკენ გიბიძგა. თუმცა მისტერ დიმსდეილი მეწინააღმდეგება (რაკიღა მოხუცის სიბრძნეს მის

არსებაში ახალგაზრდული სისათუთე შეზავებია), მიმტკიცებს, რომ ქალის ფაქიზ ბუნებას ხელვყოფთ, თუკი მას ვაიძულებთ, რომ საკუთარი გულის საიდუმლოებანი ასე დღისით-მზისით და თანაც ამდენი ხალხის წინაშე გამოამჟღავნოს. მე კი ვცდილობ, ის დავარწმუნო, რომ ცოდვის ჩადენაა სამარცხვინო და არა მისი აღიარება. კიდევ ერთხელ გეკითხებით, რა ვქნათ, ძმა დიმსდეილ? თქვენ თვითონ გაუმკლავდებით ამ საბრალო ცოდვილის სულს თუ მე დაგეხმაროთ?

აივნის ღირსეულსა და პატივცემულ ბინადართა შორის ჩურჩული ატყდა. ბოლოს ყველანი ერთ აზრზე შეჯერდნენ, რომლის გახმოვანებაც გუბერნატორმა ბელინგემმა ითავა. მისი მბრძანებლური კილო შეერბილებინა პატივისცემას იმ ახალგაზრდა მღვდლისა, რომელსაც მიმართავდა:

– კეთილო მამა დიმსდეილ, – თქვა მან, – დიდი პასუხისმგებლობა გეკისრებათ ამ ქალის სულზე. მოვალე ხართ, მოუწოდოთ სინანულისაკენ, რომელსაც შედეგად და დასტურად აღიარება მოჰყვება.

ბრბომ ერთდროულად გადაიტანა მზერა ღირს მამა დიმსდეილზე, რომელსაც გუბერნატორმა მიმართა; ეს გახლდათ ახალგაზრდა მღვდელი, რომელიც ინგლისის ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტიდან განმანათლებლად მოევლინა ჩვენს ველურსა და ტყიან მხარეს. თავისი მჭევრმეტყველებითა და ღრმადმორწმუნეობით მას უკვე მოეპოვებინა სახელი და საპატიო მდგომარეობა თავის საქმეში. იგი იყო თვალისმომჭრელი გარეგნობის ახალგაზრდა კაცი, თეთრი, მაღალი და გამოკვეთილი შუბლით, დიდი, თაფლისფერი, ნაღვლიანი თვალებითა და პირით, რომელიც, თუკი მაგრად არ მოკუმავდა, ერთთავად უცახცახებდა და ამხელდა როგორც მის ნერვიულ მგრძნობიარობას, ასევე თავშეკავების უსაზღვრო უნარს. მიუხედავად ბუნებისაგან ნაბოძები ასეთი თვალსაჩინო ღირსებებისა და სწავლულობის პატივისა,

იყო რაღაც ისეთი ამ ახალგაზრდა მღვდლის იერში – მის შეშფოთებულ, შეცბუნებულ, ლამის შეშინებულ გამომეტყველებაში – რაც მიგახვედრებდათ, რომ ეს კაცი დაბნეული და თავგზაარეული მიუყვებოდა ადამიანური ყოფის ბილიკს და შვებას მხოლოდ განმარტოებისას გრძნობდა. ამიტომაც, როგორც კი მოვალეობებს თავს დააღწევდა, მაშინვე ტყის მოჩრდილულ ბილიკებს შეუყვებოდა და ამგვარად ინარჩუნებდა უბრალოებასა და ბავშვურ სიწმინდეს. როდესაც შემთხვევა მიეცემოდა ექადაგა, მისი აზრების სიხალასე, სურნელოვნება და ნამისებრი სიკამკამე, მრავალთა თქმით, მათზე ანგელოზის გალობასავით მოქმედებდა.

ასეთი იყო ის ახალგაზრდა კაცი, რომლისკენაც ღირსმა მამა უილსონმა და გუბერნატორმა ბელინგემმა საყოველთაო ყურადღება მიმართეს და მოითხოვეს, რომ ყველას გასაგონად ამოეხსნა საიდუმლო ქალის სულისა, რომელიც გარყვნილებაშიც კი ასეთი შეუცნობელი რჩება. განსაცდელში ჩავარდნილ ახალგაზრდა მღვდელს სახეზე ფერი წაუვიდა და ტუჩები აუკანკალდა.

– ესაუბრეთ ამ ქალს, ძმაო, – მიმართა მისტერ უილსონმა, – ეს ძალიან მნიშვნელოვანია მისი სულისთვის და აქედან გამომდინარე, როგორც ჩვენმა სათაყვანებელმა გუბერნატორმა ბრძანა, მნიშვნელოვანია თქვენთვისაც, რაკიღა ამ ქალის სული თქვენ გაბარიათ. მოუწოდეთ, რომ სიმართლე გაგვანდოს.

ღირსმა მამა დიმსდეილმა თავი დახარა, ჩანდა, რომ უსიტყვოდ ლოცულობდა, მერე კი წინ წარდგა ნაბიჯი.

– ჰესტერ პრინ! – წამოიწყო მან, აივნის მოაჯირს ჩამოეყრდნო და ქალს თვალი თვალში გაუყარა, – შენ მოისმინე სიტყვები ამ კეთილი ადამიანებისა და გაიგონე, რაგვარმა პასუხისმგებლობამ დამიმძიმა მხრები. თუკი აღიარება შენს სულს დაამშვიდებს და ის მიწიერი ტანჯვა, რომელსაც ამჟამად განიცდი, იმქვეყნიური ხსნის მოპოვებაში დაგეხმარება, გვედრებ, თქვი

სახელი იმისა, ვინც შენთან ერთად შესცოდა და შენთან ერთად იტანჯება. არ დაიდუმო ენა მის მიმართ მცდარი სიბრალულისა თუ სიყვარულის გამო, რადგან, მერწმუნე, ჰესტერ, თუნდაც მას დიდი სიმაღლიდან მოუწიოს დაშვება, რომ აქ, შენ გვერდით, სირცხვილის კვარცხლბეკზე, დადგეს, ეს უჯობს მთელი ცხოვრება დანაშაულით სავსე გულით სიარულს. რას მოუტანს მას შენი დუმილი, გარდა ცდუნებისა, – მეტიც, იძულებისა, რომ მრუშობის ცოდვას ფარისევლობაც დაუმატოს?! ღმერთმა შენ ჯილდოდ მოგივლინა ეს სირცხვილი, რათა სახალხოდ იზეიმო გამარჯვება შენს სულში დაბუდებულ ეშმაკზე. იზრუნე მასზე, ვისაც შეიძლება თავად არ ჰყოფნის სიმამაცე არ უთხრა უარი, გაინაწილოს მან – ის მწარე, მაგრამ გამაჯანსაღებელი სასმელი, რომელსაც ახლა შენი ბაგეები დასწაფებია.

ახალგაზრდა მღვდლის აცახცახებული ხმა ერთდროულად ტკბილი, კეთილხმოვანი, გულშიჩამწვდომი და გაბზარული, ისე აშკარად გამოხატავდა მის გრძნობებს, რომ მსმენელებს სიტყვების მნიშვნელობაზე მეტად მათმა ჟღერადობამ შეუთრთოლა გულის სიმები და თანაგრძნობით ერთიანად გამსჭვალა. თვით საბრალო ჩვილიც კი, ჰესტერის მკერდზე მიხუტებული, არ დარჩენილა გულგრილი, რადგან აქამდე არაფრისმთქმელი მზერა უცებ მისტერ დიმსდეილს მიაპყრო და პაწია მკლავები ერთდროულად კმაყოფილებითა და მუდარით აასავსავა. მღვდლის მოწოდება ისეთი სულშიჩამწვდომი იყო, რომ არავის სჯეროდა, თუ ჰესტერ პრინი დამნაშავის სახელს არ აღიარებდა. ან თავად დამნაშავეს, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი – წარჩინებული თუ ბოგანო – არ დაძლევდა შინაგანი და გარდაუვალი აუცილებლობა და ქალს ფიცარნაგზე გვერდით არ ამოუდგებოდა.

ჰესტერმა თავი გაიქნია.

– ქალო, ნუ შეეცდები გამოსცადო ღვთის გულმოწყალება! – დაიყვირა ღირსმა მამა უილსონმა, უფრო უხეშად, ვიდრე წინა

ჯერზე, – შენმა ჩვილმაც კი ხმა გაიღო, რომ მღვდლის სიტყვების სიმართლე დაედასტურებინა. გაამხილე მისი სახელი! ეს და შენი სინანული შეიძლება საკმარისი იყოს იმისთვის, რომ გულიდან ალისფერი დამღა აგაცალოთ.

– არასოდეს! – მიუგო ჰესტერ პრინმა, მზერა არა მისტერ უილსონის, არამედ ახალგაზრდა მღვდლის ღრმა და გატანჯული თვალებისათვის შეეგებებინა, – ეს სახელი ძალიან ღრმადაა ჩემს გულში ამოტვიფრული. ვერავინ ამომაგლეჯს იქიდან. და რომ შემეძლოს, მის ტანჯვასაც ისევე ვიტვირთავდი, როგორც – საკუთარს.

– გაამხილე, ქალო! – ბრბოდან ფიცარნაგამდე კიდევ ერთმა ხმამ, კიდევ უფრო ცივმა და მკაცრმა მიაღწია, – გაამხილე, შენს შვილს მამას ნუ დაუკარგავ.

– არ გავამხელ! – წამოიძახა ჰესტერმა, სიკვდილივით გაფითრებული მაინც პასუხობდა ხმას, რომელიც მას, ეჭვი არაა, კარგად ეცნო, – ჩემმა შვილმა კი, სჯობს, ზეციური მამისკენ ისწრაფოს, რადგან თავისი ხორციელი მშობლის ვინაობას ვერასოდეს შეიტყობს.

– არაფერს იტყვის! – ჩაიჩურჩულა მისტერ დიმსდეილმა, რომელიც აივნიდან გამოხრილი და გულზე ხელმიჭერილი თავისი მიმართვის შედეგს ელოდა. იგი მოაჯირს მოშორდა და ღრმად ამოისუნთქა:

– ჰოი, ქალის საოცარო სიძლიერევ და დიდსულოვნებავ, არაფერს იტყვის!

როცა მიხვდა, რომ საბრალო მსხვერპლს ვერაფერს დააცდენინებდა, ხანშიშესულმა მღვდელმა, რომელიც საგულდაგულოდ მომზადებულიყო ამ შემთხვევისათვის, შეკრებილ ბრბოს დაუწყო ქადაგება ცოდვისა და მის ნაირსახეობათა შესახებ, თანაც გამუდმებით მიუთითებდა სამარცხვინო დამღაზე. ისეთი დაჟინებით ჩაჰკირკიტებდა ამ სიმბოლოს საათზე მეტი ხნის განმავლობაში და მთელი ეს დრო ისეთი მგზნებარებით მჭევ-

რმეტყველებდა, რომ ადამიანების წარმოსახვას ახალი შიში დაეუფლა, და ამ ასოს ალისფერი მოხაზულობა უკვე ჯოჯოხეთის ცეცხლის ენებად ეჩვენებოდათ. ამ ხნის განმავლობაში ჰესტერ პრინი გაუნძრევლად იდგა თავის სამარცხვინო კვარცხლბეკზე, თვალები უელვარებდა და დაღლილი სახიდან გულგრილი იერი არ სცილდებოდა. იმ დილით მან აიტანა ყველაფერი, რასაც ადამიანის ბუნება შეიძლება გაუმკლავდეს და რადგან მათ რიცხვს არ მიეკუთვნებოდა, რომლებიც მოძალებული ტანჯვისგან თავის დაღწევას გულის წასვლით ახერხებენ, ისღა დარჩენოდა, უგრძნობლობის გალავანი შემოერტყა გარშემო, თუმცაღა გარემომცველი სამყაროს ყველა წვრილმანი მაინც ძველებურად აღწევდა მის ცნობიერებამდე. ამგვარ მდგომარეობაში მყოფს განუწყვეტლივ, თუმცაღა უშედეგოდ, ჩაესმოდა მქადაგებლის ხმა. ის-ის იყო ქალის ტანჯვა დასასრულს უნდა მიახლოვებოდა, რომ ჰაერი ბავშვის ტირილმა გააპო. დედა ინსტინქტურად ცდილობდა, გაეჩუმებინა იგი, თუმცა აშკარად ეტყობოდა, რომ დიდად ვერ მიჰქონდა გულთან ჩვილის გასაჭირი. შემდეგ იმავე გაქვავებულმა სახეებმა ციხის კარამდე მიაცილეს ქალი და მალე იგი მაყურებელთა თვალთაგან რკინით შეჭედილმა კარიბჭემ დამალა. მათ, ვისაც ბოლომდე არ მოუცილებიათ თვალი მიმავალი ჰესტერისთვის, ჩურჩულით აღნიშნეს, რომ ციხის ჩაბნელებულ ბილიკზე ალისფერი დამღა ცეცხლოვან ნაკვალევს ტოვებდა.

4. პირისპირ

ციხეში დაბრუნების შემდეგ ჰესტერ პრინი ნერვიული აშლილობის ზღვარზე აღმოჩნდა. იგი მუდმივ მეთვალყურეობას საჭიროებდა, რომ ან თავისთვის არ აეტეხა რამე, ანდა, ნახევრადშეშლილს, ბავშვისთვის არ ევნო. დაღამებისას, როდესაც ციხის ზედამხედველი, ბატონი ბრეკიტი, მიხვდა, რომ შფოთვით შეპყრობილ პატიმართან დატუქსვით ანდა დასჯის მუქარით ვერას გახდებოდა, გადაწყვიტა იგი ეჩვენებინა ექიმისათვის, რომელიც, მისი თქმით, არა მხოლოდ ქრისტიანულ მედიცინაში იყო დახელოვნებული, არამედ ველური ადამიანებისგანაც შეესწავლა ყველაფერი, რაც მათ ტყის სამკურნალო მცენარეებისა და ფესვების შესახებ გაეგოთ. სიმართლე გითხრათ, ექიმის დახმარება გადაუდებლად სჭირდებოდა არა მხოლოდ ჰესტერს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მისი ჩვილს, რომელიც დედის რძესთან ერთად იწოვდა იმ მღელვარებას, ტანჯვასა და სასოწარკვეთას, რომელთაც უკვე ქალის სხეულის ყველა უჯრედში შეეღწია. ბავშვი ტკივილისაგან იკრუნჩხებოდა და მთელი პაწაწინა არსებით განასახიერებდა იმ მორალურ ტანჯვა-წამებას, რომელიც დედამისმა დღის განმავლობაში გადაიტანა.

ბნელ დილეგში შემოსულ ციხის ზედამხედველს ფეხდაფეხ მოჰყვებოდა სწორედ ის უჩვეულოდ გამოწყობილი კაცი, რომ-

ლის ბრბოში დანახვამაც ასე ააღელვა ალისფერი დამღის პატრონი. უცნობი ციხეში იმიტომ კი არ გაემწესებინათ, რომ რაიმე დანაშაულში სდებდნენ ბრალს, არამედ, უბრალოდ, ვერ უპოვეს უფრო შესაფერისი და მოსახერხებელი ბინა იქამდე, ვიდრე მსაჯულები და ინდიელთა ბელადები მის გამოსასყიდზე მორიგდებოდნენ. კაცმა ახალი ინგლისის მკვიდრთ თავი როჯერ ჩილინგუორთად წარუდგინა. ზედამხედველი, რომელიც ჰესტერის საკანში შეუძღვა უცნობს, გააოცა იმ მყისიერმა სიჩუმემ, რომელიც კაცის გამოჩენამ გამოიწვია, რადგან თუმცა ჩვილი კვნესას განაგრძობდა, ჰესტერ პრინს კრიჭა შეეკრა.

– მეგობარო, ნება მომეცით, მარტო დავრჩე ჩემს პაციენტთან, – მიმართა ზედამხედველს მკურნალმა, – გარწმუნებთ, კეთილო კაცო, რომ მალე ამ შენობაში სიმშვიდე დაისადგურებს და ქალბატონი პრინიც ამიერიდან უსიტყვოდ დაემორჩილება თქვენს მითითებებს.

– თუკი თქვენი ღირსება მაგ სიკეთეს იზამს, თქვენს ქებას მთელ ქვეყანას მოვდებ, – მიუგო ბატონმა ბრეკიტმა, – ეს ქალი მართლაც ეშმაკისაგან შეპყრობილს ჰგავს და სადაცაა იქამდე მიმიყვანს, რომ მათრახით გამოვდევნი სატანას მისი სხეულიდან.

უცნობი დილეგში ფეხაკრეფით შევიდა, სწორედ ისე, როგორც იმ ხელობის კაცს შეეფერება, რომლის წარმომადგენლადაც მისტერ ბრიკეტს გაეცნო. მას არც იმის შემდეგ შეუცვლია ქცევა, რაც ციხის უფროსმა პირისპირ დატოვა ქალთან, რომლის დაჟინებული მზერაც ფიცარნაგიდან აშკარად ამხელდა, რომ ეს ადამიანები უცხონი არ იყვნენ ერთმანეთისთვის. კაცმა ჯერ ბავშვზე იზრუნა, რომელიც გასაშლელ საწოლზე იკლაკნებოდა და ისე გაჰკიოდა, რომ მის დამშვიდებას ყველა თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნევდა. უცნობმა ჩვილი ჯერ დიდი ყურადღებით გასინჯა, მერე კი ტანსაცმლიდან ტყავის ტომსიკა გამოაძვრინა, იქიდან რაღაც წამალი ამოიღო და ფინჯან წყალში დაუწყო გახსნა.

ალქიმიის შესწავლაში გატარებულმა წლებმა და იმ ადამიანების გვერდით ცხოვრებამ, რომლებმაც მცენარეთა სასარგებლო თვისებების შესახებ ბევრი იციან, ჩემგან იმათზე უკეთესი ექიმი დააყენა, რომელთაც უნივერსიტეტის დიპლომებით მოაქვთ თავი. მოდი, ქალო, ეს შენი შვილია, ჩემი მისხალიც არ ურევია, ვერც ჩემს ხმას ცნობს და არც ჩემი სახე ემშობლიურება. მოდი და შენი ხელით დაალევინე ეს სითხე.

ჰესტერმა გამოწვდილ წამალზე ხელი აუკრა და დაჟინებით შეაცქერდა მას. სახეზე ძლიერი შიში გამოხატვოდა.

– ნუთუ უმანკო ჩვილზე უნდა იძიო შური? – ჩაიჩურჩულა მან.

– სულელო ქალო! – შეეპასუხა ექიმი სუსხნარევი დაყვავებით, – რა ჯანდაბად უნდა მინდოდეს ამ ბედნავს ნაბუშარზე შურისძიება? ეს წამალი შვებას მოჰგვრის. ჩემი საკუთარი შვილიც რომ ყოფილიყო, მაინც ვერ დავეხმარებოდი უკეთ.

ვინაიდან ქალი, რომელიც ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო, ყოყმანობდა, კაცმა თავად გადაიწვინა პატარა მკლავებზე და თავადვე ჩააწვეთა პირში ნაყენი, რომელმაც მალე გამოიღო შედეგი და მკურნალის დაპირება გაამართლა. მკვნესარე გოგონა დამშვიდდა, კრუნჩხვებმა ნელ-ნელა გადაუარა, და როგორც ჩვილების წესია, ტკივილისაგან გათავისუფლებისთანავე ღრმად და ტკბილად ჩაიძინა. ექიმი კი – აკი მან დაიმსახურა ამგვარად ვუწოდოთ – ამჯერად ბავშვის დედაზე ზრუნვას შეუდგა. მშვიდი და დაჟინებული ყურადღებით უთვლიდა მაჯისცემას, თვალებში ჩასცქეროდა – ამ მზერის წინაშე ქალი იბუზებოდა და კანკალებდა, ისეთი ნაცნობი და ამავდროულად, უცხო და ცივი იყო იგი. ბოლოს კაცმა გამოკვლევა დაასრულა და ამჯერად სხვა ნაყენის შემზადებას შეუდგა.

– არ ვიცი, ლეთეს წყალი და ნეფენტე მართლა არსებობს თუ არა, – შენიშნა მან, – მაგრამ ეს ერთ-ერთია მრავალ ჩინებულ რეცეპტთაგან, რომლებიც ველურთა მხარეში ვისწავლე; ინდიელებმა თავიანთი საიდუმლოებები ჩემს პარაკლესუსისდროინელ[1] ცოდნაში გამიცვალეს. დალიე! ვერ დაგპირდები, რომ ეს წამალი სუფთა სინდისის მაგივრობას გაგიწევს, მაგრამ ისე დაამშვიდებს შენს ბობოქარ ვნებათაღელვას, როგორც ქარიშხლიან ზღვის ტალღებს – ზედ გადასხმული ზეთი.

ექიმმა ფინჯანი ჰესტერს გადააწოდა და მანაც აუჩქარებლად, სერიოზული სახით ჩამოართვა; ქალის სახე შიშს არ გამოხატავდა, თუმცა ეჭვები და კითხვები არ ასვენებდა – მაინც რა უნდოდა მისგან ამ კაცს. ჰესტერმა თავის ჩაძინებულ შვილს გადახედა.

– მიფიქრია სიკვდილზე, – თქვა ქალმა, – მინატრია კიდეც. მილოცია კიდეც, თუ ჩემისთანას საერთოდ აქვს უფლება, რამე შესთხოვოს უფალს. და მაინც, თუ ამ ფინჯანში სიკვდილი ასხია, კარგად დაფიქრდი, ვიდრე შევსვამდე. შეხედე! უკვე ბაგეებთან მაქვს მიტანილი.

– ჰოდა, დალიე, – მიუგო კაცმა ძველებური ცივი თავდაჭერით, – ნუთუ ასე ცუდად მიცნობ, ჰესტერ პრინ? ნუთუ გგონია, ასეთ რამეზე ხელს გავისვრი? შენი ჯავრის ამოყრა რომც მინდოდეს, განა არ მირჩევნია გაცოცხლო, ვიდრე ჩემი ხელით მოგცე საწამლავი, რომელიც ყველაფრისგან გაგათავისუფლებდა: საფრთხის, განსაცდელისა და ამ მოგიზგიზე სირცხვილისგანაც, ახლა რომ გულ-მკერდს გიშანთავს? – თქვა მან და დამღას თავისი გრძელი საჩვენებელი თითი მიადო, რომელმაც ისე დასწვა ჰესტერს მკერდი, თითქოს ზედ ცეცხლი ეკიდა. კაცმა შეამჩნია მისი უნებლიე მოძრაობა და გაიღიმა:

– ჰოდა, იცოცხლე! იცოცხლე და ატარე სირცხვილი – მდედრისა თუ მამრის წინაშე; იმ კაცის წინაშე, შენს ქმარს რომ ეძახდი; აი, აქ მყოფი შენი შვილის წინაშე. ოღონდ ჯერ იმისთვის, რომ იცოცხლო, ეს ნაყენი დალიე.

---

[1] პარაკლესუსი – შვეიცარიელი ექიმი და ფილოსოფოსი.

ყოველგვარი ყოყმანისა და გაუბედაობის გარეშე ჰესტერ პრინმა ფინჯანი გამოსცალა და მკურნალის მითითებით იმავე ლოგინზე მიესვენა, რომელზედაც მის ბავშვს ეძინა, ამასობაში კი კაცმა ოთახის ერთადერთი სკამი აიღო და ქალის გვერდით ჩამოჯდა. მისი შემყურე ჰესტერი თრთოლვას ვერ იკავებდა, ვინაიდან გრძნობდა, რომ რასაც არ უნდა ეიძულებინა ეს ადამიანი, ასე შეემსუბუქებინა მისი ფიზიკური ტკივილი – საკუთარ კაცთმოყვარეობას, პრინციპებსა თუ უბრალოდ, დახვეწილ სისასტიკეს – ამიერიდან ისე მოექცეოდა, როგორც მამაკაცი, რომელსაც მან ღრმა და მოურჩენელი ჭრილობა დააჩნია.

– ჰესტერ, – წამოიწყო მკურნალმა, – არ გეკითხები, თუ როგორ დაეცი ასე, ანდა, უკეთ რომ ვთქვა, როგორ ამაღლდი იმ სამარცხვინო კვარცხლბეკზე, რომელზეც გიპოვე. მიზეზის მოსაძებნად შორს არ მომიწევს წასვლა. ჩემი სისულელის ბრალია და ჩემი სისუსტისა. მე, ფიქრის კაცს, უზარმაზარი ბიბლიოთეკების ჭიას, სიბერეში ფეხშედგმულს, მე, ვინც საუკეთესო წლები ცოდნის შიმშილის დაოკებას შევწირე, რა მესაქმებოდა შენნაირ ახალგაზრდასა და მშვენიერთან. დაბადებიდან ხეიბარი, რატომ ვიტყუებდი თავს, რომ ახალგაზრდა ქალის თვალში გონებრივი ღირსებები ფიზიკურ ნაკლს გადასწონიდა. ადამიანები ბრძენს მეძახიან. მაგრამ ბრძენთ საკუთარი ცხოვრებისთვისაც რომ შეეძლოთ თვალის გასწორება, ასეთ დღეში აღარ აღმოვჩნდებოდი. წინდაწინ მეცოდინებოდა, რომ როგორც კი უზარმაზარსა და ავბედით ტყეებს გავცდებოდი და ქრისტიანთა სამყოფელში შემოვდგამდი ფეხს, პირველი, ვისაც დავინახავდი, შენ იქნებოდი, ჰესტერ პრინ, ხალხის წინაშე სირცხვილის ქანდაკივით აღმართული. დიახაც, როცა ახლადჯვარდაწერილმა წყვილმა ეკლესიის კიბე ჩამოვიარეთ, მაშინვე უნდა განმეჭვრიტა, რომ ჩვენი ერთობლივი გზის ბოლოში ეს ალისფერი დამღა კოცონივით იგიზგიზებდა.

– მაგრამ, შენც კარგად იცი, – თქვა ჰესტერმა, რომელსაც, ასე ღონემიხდილსაც კი, კაცის მწვავე რეპლიკა მისი შერცხვენის შესახებ გულზე მოხვდა, – იცი, რომ გულახდილი ვიყავი შენთან. არც სიყვარულს ვგრძნობდი და არც ვთვალთმაქცობდი.

– მართალია, – უპასუხა კაცმა, – ჩემი სისულელით მომივიდა ეს ყველაფერი. აკი, ვთქვი კიდეც. მაგრამ ჩემი ცხოვრების იმ ხანამდე ყველაფერი ამაო იყო. სამყარო მეტისმეტად უფერული მეჩვენებოდა. ჩემი გული იმ საცხოვრისს ჰგავდა, რომელიც თუმც ბევრ სტუმარს იტევს, გამოცარიელებული და გათოშილია, რადგან კერიის ცეცხლი არ ათბობს. მე კი მის დანთებას ვნატრობდი. მოხუცი ვიყავი, პირქუში და ხეიბარი – მაგრამ მაინც ავყევი გიჟურ ოცნებას, რომ მთელ სამყაროში მიმობნეული უბრალო ნეტარება, რომელზედაც ყველას მიუწვდება ხელი, მეც მერგებოდა. ამგვარად, ჩემს გულში შემოგიშვი, ჰესტერ, მის ყველაზე ღრმა კუნჭულში და ვცდილობდი, შენც გაეთბე იმ ცეცხლს, რომელიც იქ შენმა დაბინადრებამ დაანთო.

– ძალიან უსამართლოდ მოგექეცი, – ჩაილუღლუღა ჰესტერმა.

– ორივე უსამართლოდ მოვექეცით ერთმანეთს, – მიუგო კაცმა, – პირველად მე გიღალატე, როდესაც შენი გაფურჩქნილი ახალგაზრდობა არაბუნებრივი კავშირით მივაჯაჭვე ჩემს მიხრწნილებას. და როგორც იმ კაცს შეჰფერის, რომელიც ამაოდ არ კითხულობდა და იმახსოვრებდა, არც შენზე შურისძიებას ვეძებ და არც სიავეს ვხლართავ შენ წინააღმდეგ. სასწორის პინები გაწონასწორდა. მაგრამ, ჰესტერ, ამქვეყნად არის კაცი, რომელმაც ორივე გაგვაცურა! ვინ არის ის?

– არ მკითხო! – თქვა ჰესტერმა და მტკიცე გადაწყვეტილებით შეხედა თვალებში, – მაგას ვერასოდეს გაიგებ!

– ვერასოდესო, არა? – გაიმეორა კაცმა ავბედითი და თავდაჯერებული ღიმილით, – ვერასოდეს გაიგებო! მერწმუნე, ჰესტერ,

როგორც გარემომცველ სამყაროში, ასევე ადამიანის გულის სიღრმესა და მისი ტვინის უხილავ ხვეულებში ცოტა რამაა დამალული კაცისთვის, რომელმაც თავისი ცხოვრება მთლიანად შესწირა უხილავის ამოხსნას და სანაცვლოდ არაფერი მოუთხოვია. შენ შეგიძლია სიმართლე დაუმალო მლოცველთა ბრბოს. შენ შეგიძლია იგი მოაფარო მღვდელთა და მსაჯულთა თვალებს, როგორც დღეს მოახერხე, როცა ცდილობდნენ მისი სახელი შენთვის პირიდან ამოეგლიჯათ და იმ ფიცარნაგზე შენთვის გვერდით დაეყენებინათ. მაგრამ მე, ო, მე ძიების სულ სხვა ხერხები მაქვს, ვიდრე მათ. ისე მოვძებნი იმ კაცს, როგორც ჭეშმარიტებას ვეძებდი წიგნებში, როგორც ოქროს ვეძებდი ალქიმიაში. არსებობს უხილავი კავშირი, რომლითაც მე მას ვიცნობ; დავინახავ, როგორ ცახცახებს. ვიგრძნობ, როგორ ავკანკალდი მეც უცაბედად და გაუცნობიერებლად. ადრე თუ გვიან ჩემს ხელთ აღმოჩნდება!

დანაოჭებული სწავლულის მოელვარე თვალები ისეთი დაჟინებით ჩასცქეროდნენ ქალს, რომ ჰესტერ პრინმა გულზე ხელები აიფარა იმის შიშით, რომ კაცი ზედ წაწერილ სახელს ამოიკითხავდა.

– მაშ, არ გაამხელ მის სახელს? სულერთია, მაინც ვერსად წამივა, – გაიმეორა მან ისეთი დარწმუნებით, თითქოს ბედისწერის სადავეები ხელთ ეპყრა, – მას, შენგან განსხვავებით, გულისპირზე არ ამჩნევია თავისი შერცხვენის კვალი, მაგრამ მისი გულის სიღრმეშიც ჩავაღწევ. თუმცა, ნუ შეშინდები! არ გეგონოს, რომ ღმერთს ხელს შევუშლი თავისი გზებით მიაგოს სასჯელი; არც ის იფიქრო, რომ ამქვეყნიური კანონების აღმსრულებლებს ჩავუგდებ ხელში ჩემს შემარცხვენელს. ნურც იმაზე იდარდებ, რომ რამე ხრიკით მის სიცოცხლეს საფრთხეს შევუქმნი ანდა შევბღალავ მის ღირსებას – აკი, გული მიგრძნობს, რომ კარგი სახელი უნდა ჰქონდეს. დაე, იცოცხლოს! და ამოეფაროს გარეგნულ პატიოსნებას, თუ ამას შეძლებს! მაინც ვერსად წამივა!

– შენი საქციელი მიტევებას ჰგავს, – თქვა თავგზაარეულმა და თავზარდაცემულმა ჰესტერმა, – მაგრამ სიტყვები კი საშიშ განზრახვას ამჟღავნებენ.

– არის ერთი რამ, რასაც ჩვენი წარსულში დარჩენილი ცოლქმრობის ხათრით შენგან დაჟინებით მოვითხოვ: შენს სატრფოს კარგად უნახავ საიდუმლოს, ასევე მეც შემინახე! ამ მიწაზე არავინ მიცნობს. არც კი წამოგცდეს, რომ ოდესღაც შენს ქმარს მეძახდი. ვაპირებ, რომ აქ, სამყაროს ამ ველურ ნაპირზე, დავცე კარავი. მთელი ცხოვრება მოგზაური ვიყავი, ადამიანთა სამყაროსგან განშორებული, მაგრამ აქ ერთი ქალი, ერთი ბავშვი და ერთიც კაცი არიან, რომლებთანაც ძლიერი ჯაჭვი მაკავშირებს. სულერთია სიყვარულისა თუ სიძულვილისა; ნამდვილი თუ ყალბი. შენც და ყველა შენიანიც მე მეკუთვნით, ჰესტერ პრინ. ჩემი სახლი იქაა, სადაც შენ ხარ და სადაც ის არის. მაგრამ იცოდე, არ დამაღალატო.

– კი მაგრამ, რისთვის გჭირდება ეს ყველაფერი? – ჰკითხა ჰესტერმა, რომელსაც შეუცნობლად აძრწუნებდა ამ კაცთან პირის შეკვრა, – რატომ არ გინდა, რომ შენი ვინაობა გამოაცხადო და სახალხოდ შემაჩვენო?

– შესაძლებელია იმადაც, რომ თავიდან ავირიდო ის ავყიაობა, რომელიც ორგული ქალის ქმარს ხვდება ხოლმე წილად, – უპასუხა კაცმა, – შესაძლოა, სხვა მიზეზებიც მქონდეს. იმასღა გეტყვი, რომ მინდა უსახელოდ ვიცხოვრო და უსახელოდვე მოვკვდე. ჰოდა, ამიტომაც, დაე, შენი ქმარი მკვდართა საუფლოში განისვენებდეს და ხმა აღარასოდეს მოაწვდინოს ამქვეყნად დარჩენილებს. არასოდეს გამამხილო, არც სიტყვით, არც მზერით, არც მინიშნებით! და უპირველეს ყოვლისა, ჩემი საიდუმლო შენს საყვარელ კაცს არ გაუმხილო. თუკი პირს მიტეხ, მერე მერიდე! მისი ღირსება, მისი სიცოცხლეცა და საზოგადოებრივი პატივიც ჩემს ხელთ იქნება. მიფრთხილდი!

– შენს საიდუმლოსაც ისე გავუფრთხლდები, როგორც მისას! – დაჰპირდა ჰესტერი.

– შემომფიცე! – შეაგება კაცმა.

და ქალმა შეჰფიცა.

– ახლა კი, ქალბატონო პრინ, – თქვა მოხუცმა როჯერ ჩილინგუორთმა, როგორც მას შემდგომში მოვიხსენიებთ ხოლმე, – მარტო გტოვებ. გტოვებ შენს შვილთან და ალისფერ დამღასთან. მართლა, როგორაა ეგ ამბავი, ჰესტერ? რაო მსაჯულებმა, ძილშიც უნდა ატარო ალისფერი დამღაო? ნუთუ კოშმარებისა და საშინელი სიზმრების არ გეშინია?

– ასე რატომ მიღიმი? – ჰკითხა მისი თვალების გამომეტყველებით შეწუხებულმა ჰესტერმა, – ნუთუ შენც იმ შავ კაცს ჰგავხარ, ჩვენ გარშემო ტყეებში რომ დაძრწის ხოლმე? ნუთუ პირობამ, რომელიც დამადებინე, ჩემი სული უნდა წარწყმიდოს?

– შენი სული არა, – კვლავ ღიმილით მიუგო კაცმა, – შენი სული არა!

5. ჰესტერის ნემსი

ჰესტერ პრინისათვის მისჯილი პატიმრობის ვადა მიილია. ციხის კარი განიხვნა და ქალი მზის სინათლეზე გამოვიდა. მის დასნეულებულსა და ეჭვებით შეპყრობილ გონებას ეჩვენებოდა, რომ ყველასა და ყველაფერზე განურჩევლად სხივმომფენი მნათობი ამჯერად მხოლოდ იმისთვის ამოსულიყო ცაზე, რომ მის გულისპირზე ამოქარგული ალისფერი ასო-ნიშანი უფრო აეელვარებინა. ვინ იცის, როცა საპყრობილის ზღურბლიდან პირველ გაუბედავ ნაბიჯებს დგამდა, გაცილებით მწვავე ტანჯვას გრძნობდა, ვიდრე მაშინ, როდესაც სახალხოდ აჰყარეს პატივი და მთელი ქალაქი შეიკრიბა, მისკენ თითი რომ გამოეშვირა. მაშინ ჰესტერს დაჭიმული ნერვები და საგანგებოდ მოხმობილი ბრძოლის უნარი დაეხმარა, რომ ეს სცენა ერთ უგემოვნო ტრიუმფად აღექვა. თანაც ჩვენ მიერ ზემოაღწერილი პროცესია თუ სპექტაკლი მაინც განსაკუთრებული და განუმეორებელი მოვლენა იყო, ასეთი რამ ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ ხდება და, აქედან გამომდინარე, მასთან გასამკლავებლად ჰესტერს დაუდევრად შეეძლო გაეფლანგა სიჩუმეში გატარებული მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი სასიცოცხლო ძალები. კანონი, რომელმაც ის შეაჩვენა, ჰგავდა შემზარავ გოლიათს, რომლის რკინის მკლავებს ადამიანის ხსნაც ისევე შეეძ-

ლო, როგორც განადგურება, და მანვე გადაატანინა დამცირების უმძიმესი განსაცდელი. მაგრამ ახლა, როგორც კი გაუბედავი ნაბიჯებით გამოსცდა საპყრობილის კარს, მის მხრებს დააწვა ყოველდღიურობის ტვირთი, რომელსაც ქალი ან გამოზოგილი სასიცოცხლო ძალებით უნდა გამკლავებოდა, ანდა მის ქვეშ გასრესილიყო. აღარ შეეძლო, რომ მომავლისგან ესესხებინა ძალღონე დღევანდელი ნაღველის დასამარცხებლად. ხვალინდელი დღე თავის წილ განსაცდელს მოუტანდა, ასევე იქნებოდა იმის შემდგომი და შემდგომის შემდგომი დღეებიც, ყველა მათგანი მოუვლენდა ახალ სადარდელს, რომელიც თავისი აუტანელი სიმძიმით დღევანდელს არ ჩამორჩებოდა. შორეული მომავალიც მოღოღავდა მისკენ და თან მოჰქონდა საპალნე, რომელიც ჰესტერს მორჩილად უნდა წამოეკიდებინა და ვერასოდეს მოეთქვა სული. მომრავლებული კვირები და მომატებული წლები მისი სირცხვილის გორაზე ახალ-ახალ უბედურებებს მოზიდავდნენ და დაახვავებდნენ. მათი წყალობით ქალი საკუთარ არსს დაკარგავდა და იქცეოდა განზოგადებულ სიმბოლოდ, რომლისკენაც ყველა ქადაგი და მორალისტი გაიშვერდა თითს და რომელშიც დაინახავდნენ იმას, რაც მათ წარმოდგენაში მოღალატე და ავხორცი დედაკაცის ცნებას განასახიერებდა. ყველა ნორჩსა და გაურყვნელს მიუთითებდნენ, ეცქირა მისთვის, მის მკერდზე მოელვარე ალისფერი დამღისთვის და მომავლის გაკვეთილად ექცია. ამგვარად დაამცირებდნენ მას, ვინც პატივცემული მშობლების შვილი იყო; ვინც იყო დედა პატარა გოგონასი, რომელიც ერთ დღესაც ქალად იქცეოდა; მას, ვინც ოდესღაც უმანკო იყო. და სირცხვილი, რომელიც ბოლომდე უნდა ეტარებინა, მის საფლავზე აღმართულ ერთადერთ ძეგლად იქცეოდა.

ამ ამბის ყველაზე დიდ გამოცანად ის რჩებოდა, რომ ჰესტერის წინაშე ვრცელი სამყარო გადაშლილიყო: სასჯელი, რომელიც ქვეყნიერებისაგან მოწყვეტილსა და გადაკარგულ პურიტანულ დასახლებაში დააკისრეს, მის საზღვრებს გარეთ ძალას კარგავდა; ქალს შეეძლო მშობლიურ მხარეში ანდა ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში დაბრუნებულიყო და თავისი ვინაობაცა და თავგადასავალიც ისე დაემალა ახალი გარსის ქვეშ, თითქოს ხელახლა შობილიყო; ჰესტერის წინაშე გადაშლილიყო ბნელი, იდუმალებით მოცული ტყე, სადაც მის დაუმორჩილებელ ბუნებას შეეძლო სამშობლო ეპოვა იმ ხალხს შორის, რომლის ადათები და ცხოვრების წესიც ცასა და მიწასავით განსხვავდებოდა მისი შემჩვენებლებისაგან; გამოცანად ის რჩებოდა, ასე ჯიუტად რატომ არ იცვლიდა ფეხს იმ ერთადერთი ადგილიდან მთელ დედამიწაზე, სადაც სირცხვილის ატანა უწევდა. მაგრამ არსებობს ბედისწერაც; ხანდახან გრძნობა ისეთი დაუძლეველი და ყოვლისმომცველია, რომ ღვთიურ განგებას ემსგავსება, იგი თითქმის მუდამ ამარცხებს ადამიანის ნებას და აიძულებს მას, გამუდმებით ტკეპნოს და მოჩვენებასავით უაროს გარს იმ ადგილს, სადაც დიდმნიშვნელოვანმა და ღირსშესანიშნავმა მოვლენამ მის ცხოვრებას ახლებური ელფერი შესძინა; და, რაც უფრო მუქია ელფერი, მით უფრო დაუძლეველია მიჯაჭვულობაც. სირცხვილი და ცოდვა იქცა ფესვებად, რომლებიც ჰესტერ პრინმა ამ მიწაში გაიდგა. ახალი სიცოცხლის დაბადებამ თითქოს საკუთარზე მეტად დააკავშირა ამ გარემოსთან და ეს მოგზაურთა და პილიგრიმთაგან ჯერ კიდევ აუტალახებელი მიწა ქალისთვის ველურ და სევდისმომგვრელ, მაგრამ სანუკვარ სამშობლოდ აქცია. დედამიწის ყველა სხვა ალაგი – თუნდაც ინგლისის ის სოფელი, სადაც თითქოს ჯერაც დედის სული მფარველობდა მის ბედნიერი ყრმობასა და შეურცხვენელ ქალწულობას – დიდი ხნის წინ მოძულებულ კაბასავით გაუცხოებულიყო. ჯაჭვები, რომლებიც ამ ადგილს აბამდა, ფოლადისა იყო, რომელიც სულს ძირისძირობამდე გადაუყვლეფდა და არასოდეს დაცვდებოდა.

იყო კიდევ ერთი მიზეზიც, რომელიც ქალს ამ მისთვის საბედისწერო მიწასა და გზასთან გაყრას უძნელებდა – დიახ, ნამდ-

ვილად იყო ეს მიზეზი, თუმცა ჰესტერი ამაში საკუთარ თავსაც არ უტყდებოდა და ფერფური მისდიოდა, როდესაც ეს გრძნობა ისე ჯიქურ ამოაწევდა თავს მისი გულიდან, როგორც გველი ამოჰყოფს თავს ხვრელიდან. ამ მიწაზე დააბიჯებდა, მას ტკეპნიდა ტერფები იმ კაცისა, რომელთანაც ქალი ბედისწერის ჯაჭვს გადაება. მართალია, ამ ორთა კავშირს დედამიწაზე არ აღიარებდნენ, მაგრამ მოვიდოდა დრო და ზეციურ სამსჯავროს თავიანთ საქორწინო საკურთხევლად გადააქცევდნენ – დაუსრულებელი განკიცხვის შემდეგ მარადიული ერთადყოფნა ეღირსებოდათ. სულთა მაცდუნებელი ძალა დღითიდღე უფრო ჯიუტად აჩეჩებდა ამ სურათს ჰესტერის წარმოსახვას და იცინოდა იმ მგზნებარე და სასოწარკვეთილ სიხარულზე, რომლითაც ქალი ჯერ ებღაუჭებოდა, მერე კი თავიდან იშორებდა იმედის ლანდს. ცოდვილი ვერც ბედავდა ამ ოცნებისათვის თვალი გაესწორებინა და ნაჩქარევად კეტავდა მას თავისი წარმოსახვის მიწისქვეშა საპყრობილეში. რისი დაჯერებაც მან საკუთარ თავს აიძულა, რაც ახალ ინგლისში ცხოვრების გაგრძელების საბაბად აიკვიატა, სანახევროდ ნამდვილი, ხოლო სანახევროდ კი გამოგონილი მიზეზი იყო. საკუთარ თავს ჩასჩიჩინებდა, რომ რაკი აქ, ამ ადგილას ჩაიდინა დანაშაული, აქვე უნდა გამართულიყო მისი ამქვეყნიური სამსჯავროც; და ეგებ დროთა განმავლობაში ყოველდღიური სირცხვილისაგან მოგვრილ ტანჯვას განეწმინდა მისი სული და დაკარგული პატიოსნების ნაცვლად სხვაგვარი უმანკოება მიენიჭებინა, წმინდანთა დარი, მარტვილობაში გატარებული ცხოვრების საზღაური.

ამიტომაც ჰესტერ პრინი არსად გაქცეულა. ქალაქის განაპირას, ნახევარკუნძულის კიდესთან, დასახლებული ადგილებისაგან მოშორებით იდგა ერთი მომცრო, ლერწმით გადახურული ქოხი, რომელიც ყოფილ ბინადარს აეშენებინა და შემდეგ კი იმიტომ მიეტოვებინა, რომ გარშემო მეტად მწირი მიწა იყო,

ხოლო სახლის განაპირად ყოფნა ხელს უშლიდა საზოგადოებასთან ურთიერთობაში, რაც ასე მნიშვნელოვანი იყო იმდროინდელი ემიგრანტებისათვის. ქოხი სანაპიროზე იდგა, მისგან დასავლეთით, ზღვის ყურის გადაღმა, ტყით დაფარული გორაკები მოჩანდა. კორომი ტანდაბალი ხეებისა, რომლებიც მხოლოდ ამ ნახევარკუნძულზე იზრდება, ქოხს უცხო თვალისაგან ვერ იფარავდა, თუმცაღა ამ საცხოვრისის მდებარეობა თავისთავად გულისხმობდა, რომ მისი ბინადარი იძულებული ან, სულ მცირე, ვალდებული იყო, დამალულიყო. ჰესტერმა ამ პატარა, განმარტოებულ სამყოფელში გადაიტანა რაც კი რამ ებადა და თავის ჩვილთან ერთად შიგ ჩასახლდა, რასაკვირველია, მსაჯულების ნებართვით, რომლებიც ქალს ისევ ინკვიზიტორული სიმკაცრით ადევნებდნენ თვალყურს. ეჭვის იდუმალმა აჩრდილმა მაშინვე დაისადგურა ამ ადგილის სიახლოვეს. ბავშვები, რომელთაც სიყმაწვილე უშლიდათ ხელს გაეგოთ, თუ რატომ მიხურულიყო ამ ქალის წინ ადამიანური გულმოწყალების ყველა კარიბჭე, მოსაღამოებულზე ფეხაკრეფით უახლოვდებოდნენ მისი ქოხის ფანჯარას და უცქერდნენ, როგორი ოსტატობით კერავდა ქალი; ან პარმაღთან იდგა, ანდა თავის პატარა ბაღში ფუსფუსებდა, ანდა ქალაქისკენ დაუყვებოდა ბილიკს; და შეამჩნევდნენ თუ არა ალისფერ დამღას მის მკერდზე, რაღაც უცნაური, გადამდები შიშით შეპყრობილნი თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ.

მიუხედავად ჰესტერის მარტოსულობისა და იმისა, რომ ამქვეყნად ერთი მეგობარიც არ ეგულებოდა, რომელიც მის გვერდით დგომას აშკარად გაბედავდა, ქალს შიმშილის საფრთხე ნამდვილად არ ემუქრებოდა. იგი ფლობდა ხელობას, რომელსაც, რასაკვირველია, ის სივრცე და ეპოქა დიდ გასაქანს არ აძლევდა, მაგრამ რომელიც იმხელა შემოსავლით უზრუნველყოფდა, რომ საკუთარი თავი და წამოზრდილი ბავშვი გამოეკვება. ეს ხელობა – ლამის ერთადერთი, რომელზედაც მაშინაც და ახლაც ქალს ხელი მიუწვდება – ხელსაქმე გახლდათ. ჰესტერი თავისი ნატი-

ფი და დახვეწილი გემოვნების დასტურს, უჩვეულო ოსტატობით ამოქარგულ მთავრულ ასოს, მუდამ მკერდით ატარებდა. სამეფო კარის ბანოვნებიც კი დიდი სიამოვნებით დაიმშვენებდნენ თავიანთ ოქროსფერ და ვერცხლისფერ კაბებს ადამიანის მდიდარი და სულშიჩამწვდომი წარმოსახვის ამ სასწაულით. პურიტანული ეპოქისათვის დამახასიათებელი ტანსაცმლის სიმრუმე და სისადავე შეიძლება ჰესტერის ხელოვნების ნიმუშებზე დიდ მოთხოვნას არ განაპირობებდა, თუმცა, ეპოქის საერთო გემოვნებამ, რომელიც ყოველივე მორთულსა და მოგვირისტებულს ეთაყვანებოდა, ბოლომდე გულგრილი არც ჩვენი მკაცრი წინაპრები დატოვა. ისინი ერთ დროს ისეთ ფუფუნებას იყვნენ შეჩვეულნი, უიმისოდ იოლას გასვლა ეძნელებოდათ. სახალხო ცერემონიები, მაგალითად, მღვდლად კურთხევა, მოსამართლედ არჩევა და ყველა სხვა მოვლენა, რომელთა მეშვეობითაც ახალი მმართველობა ხალხის წინაშე წარსდგებოდა ხოლმე, ჩვეულებრივ, პომპეზური და კარგად ორგანიზებული ღონისძიებებით აღინიშნებოდა, რაც სადა, თუმცა ხაზგასმულ დიდებულებას მოითხოვდა. მაღალი, ნაოჭასხმული საყელოები, მეტისმეტი სიფაქიზით ნაქსოვი სამკლაურები და ნატიფად ამოქარგული ხელთათმანები საზოგადოებაში გამოსასვლელ აუცილებელ ატრიბუტებად მიიჩნეოდა იმ კაცისათვის, რომელიც ხელში ძალაუფლების სადავეებს იღებდა; ეს ყველაფერი იოლად ხელმისაწვდომი იყო მდიდართა კოჰორტისათვის, მაშინ, როცა პლებეების კლასს ამგვარ ექსტრავაგანტულობას „ფუფუნების კანონი" უკრძალავდა. დაკრძალვის წეს-ჩვეულებაც ხშირსა და გადაუდებელ მოთხოვნას ბადებდა იმგვარ შრომაზე, რომელიც ჰესტერ პრინს გამოსდიოდა ხელიდან: იქნებოდა ეს ცხედრის უკანასკნელი შესამოსელი თუ ათასი წვრილმანი თალხი ტანსაცმლისა და თეთრი ბატისტის იმ სიმბოლური კომპოზიციისა, რომლის საშუალებითაც ჭირისუფალი თავის მწუხარებას გამოხატავდა. ბავშვის სამოსი – რაკიღა ბავშვებს მაშინ ლამის სამეფო წამოსასხამებით მოსავდნენ

– დაძაბული შრომისა და შემოსავლის მიღების კიდევ ერთ ასპარეზს სთავაზობდა ქალს.

არ გასულა დიდი დრო და ჰესტერის ნამუშევრები, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, მოდური გახდა. შეიძლება ამის მიზეზი ბედნავსი ქალის მიმართ გაჩენილი თანაგრძნობა იყო; ანდა ის ავადმყოფური ცნობისმოყვარეობა, რომელიც თუნდაც ყველაზე უბრალო და უფასურ ნივთებსაც კი ყალბ ღირებულებას სძენს; ანდა რომელიმე იდუმალი გარემოება, რომელიც ყველა ეპოქაში იჩენს თავს და განსაზღვრავს, რომ ერთ ადამიანს უხვად მიემადლოს ის, რასაც მეორე ამაოდ ითხოვს; ანდა, შესაძლებელია, ჰესტერმა მართლაც შეავსო მათ ცხოვრებაში არსებული სიცარიელე; ასე იყო თუ ისე, მას თავზესაყრელად ჰქონდა სამუშაო და ნემსით ხელში ჯდომის ყოველი წუთი უხვი გასამრჯელოთი უნაზღაურდებოდა. შესაძლებელია, ამპარტავნება თავს იმით იმდაბლებდა, რომ პომპეზურსა და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებებზე ცოდვილი ხელებით შეკერილსა და მორთულ ტანსაცმელს ატარებდა. ჰესტერის ხელოვნების კვალს შეამჩნევდით გუბერნატორის მაღალ საყელოზე, სამხედრო პირების სარტყლებსა და მღვდლის სამკლაურზე; მისი ხელოვნება აგვირისტებდა ჩვილთა ჩაჩებს; მას კეტავდნენ მიცვალებულების კუბოებში, რათა იქ ნესტს შეეჭამა და დაეშალა; მაგრამ არ ყოფილა ერთი შემთხვევაც კი, რომ ჰესტერის ნემსი იმ თეთრი ლეჩაქის მოსართავად გაესარჯათ, რომელიც პატარძლის ალმოდებულ სახეს ფარავს ხოლმე. ეს გამონაკლისი ასახავდა სწორედ იმ დაუსრულებელ გაკიცხვას, რომელსაც საზოგადოება მას ცოდვის სანაცვლოდ მიაგებდა.

ჰესტერი არასოდეს ცდილობდა, რომ ცხოვრებისთვის უფრო მეტი გამოეძალა, ვიდრე მხოლოდ საარსებოდ, ყველაზე უბრალო და ასკეტურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და შვილის ცოტაოდენ გასანებივრებლად სჭირდებოდა. მისი კაბა ყველაზე უხეში ქსოვილისა და ჩაჟამებული ფერისა იყო და ერთადერთი

სამკაული ამშვენებდა – ალისფერი მთავრული ასო – რომლის ტარებაც ქალს ბედისწერად გადაქცეოდა. მეორე მხრივ კი, შვილის ტანსაცმელში ჩაექსოვა საოცარი, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თავისი ზღაპრული წარმოსახვის უნარი, რომელიც არა მხოლოდ ხაზს უსვამდა გოგონას თანდაყოლილ ფეერიულ მომხიბვლელობას, არამედ უფრო სიღრმისეული მნიშვნელობაც ჰქონდა, რომლის შესახებაც აჯობებს მოგვიანებით მოგითხროთ. გარდა იმ მცირეოდენი თანხისა, რომელსაც ქალიშვილის მოსართავებზე ხარჯავდა, ჰესტერი მთელ ზედმეტ შემოსავალს ქველმოქმედებას ახმარდა, ხელს უმართავდა თავისზე გაცილებით ბედნიერ გაჭირვებულებს, რომლებიც, არცთუ იშვიათად, სამაგიეროს შეურაცხყოფით უხდიდნენ. დროს, რომელიც შეეძლო თავისი ოსტატობის სრულყოფისათვის მოეხმარა, ჰესტერი ღარიბების ხამი ტანისამოსის კერვას უთმობდა. გავბედავ და ვიტყვი, რომ ეს ერთგვარი ფორმა იყო თვითგვემისა, რადგან ამ ულაზათო ხელგარჯილობაში გატარებული საათებით საკუთარ თავს ჭეშმარიტ სიამოვნებას აკლებდა. მას მიდრეკილება ჰქონდა ყოველივე მდიდრულის, ფერადოვანისა და ბრწყინვალის მიმართ – მისი გემოვნება დიდებულ მშვენიერებას ელტვოდა, რომლითაც ვერსად დატკბებოდა, ხელი არსაით მიუწვდებოდა, გარდა საკუთარი ნაქარგებისა. ხელსაქმის მძიმე და ფაქიზ შრომას ქალისათვის იმხელა სიამოვნება მოაქვს, რომელსაც საწინააღმდეგო სქესი ვერც კი წარმოიდგენს. ჰესტერ პრინისათვის ხელსაქმე მთელი ცხოვრების ვნება იყო, რომელიც საკუთარი ბუნების შეცნობასა და, მაშადასამე, ნუგეშის პოვნაში ეხმარებოდა. და როგორც ყველა დანარჩენ სიამოვნებას, იგი ამასაც ცოდვად რაცხავდა. ეს ავადმყოფური და აბეზარი სინდისის ქენჯნა, რომელიც წვრილმან ტკბობასაც კი უკრძალავდა, ვშიშობ, ჭეშმარიტსა და მტკიცე სინანულზე კი არ მიანიშნებდა, არამედ იმას, რომ ქალის გულის სიღრმეში რაღაც საეჭვო, რაღაც არასწორი ხდებოდა.

ამგვარად, ჰესტერმა მიაგნო იმ როლს, რომელიც საზოგადოებაში უნდა შეესრულებინა. თანდაყოლილი ძლიერი ხასიათისა და იშვიათი ოსტატობის გამო საზოგადოებამ მთლიანად ვერ მოიკვეთა ქალი, სამაგიეროდ კაენის შუბლზე აღბეჭდილ დამღაზე სასტიკი ნიშანი დაადო მის გულს. გარემომცველ სამყაროსთან ურთიერთობა ჰესტერს სულ უფრო მკაფიოდ მიანიშნებდა, რომ თავად მისი ნაწილი აღარ იყო. გარშემომყოფთა ყველა ჟესტი, ყველა სიტყვა და თვით სიჩუმეც კი გულისხმობდა და ხანდახან წამოაძახებდა კიდეც, რომ ჰესტერი მოკვეთილი იყო და ისე გაერიყათ, თითქოს სხვა სივრციდან მოსულიყო და ბუნებას დანარჩენი კაცობრიობისაგან განსხვავებული ორგანოებითა და შეგრძნებებით უკავშირდებოდა. იგი გამიჯნოდა მოკვდავთა ავ-კარგს და, ამასთანავე, ახლოსაც იდგა მასთან, როგორც მოჩვენება, რომელიც ხელახლა სტუმრობს მშობლიურ კერას, მაგრამ აღარ შეუძლია, რომ ვინმეს დაენახვოს ანდა ხელით შეეხოს; თავის ღიმილს ოჯახის მხიარულებას ვეღარ შეუერთებს, შინაურების სადარდებელს გულთან ვეღარ მიიტანს; ანდა თუ მაინც მოახერხებს და მიახვედრებს მათ თავის აკრძალულ თანაგრძნობას, საპასუხოდ მხოლოდ შიშსა და საშინელ სიძულვილს მიიღებს. მხოლოდ ეს გრძნობები და მწარე დაცინვა შემოენახა სამყაროს განკვეთილის ულუფად. ეპოქა დიდი სისათუთით არ გამოირჩეოდა და შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ ქალისთვის მთელი სიმძაფრით, ახლად პირშეკრულ ჭრილობაზე ხელის მტკივნეული მიჭერით არ შეეხსენებინა მისი მდგომარეობა, რომელსაც ისედაც ვერაფერი დაავიწყებდა. უკვე აღვნიშნე, რომ ღარიბები, რომლებსაც, როგორც თავად ეგონა, გულუხვად ასაჩუქრებდა, ხშირად დახმარებისთვის გამოწვდილ ხელზე ხელს აუკრავდნენ ხოლმე. მათსავე მსგავსად, მაღალი წოდების ქალბატონები, რომელთა სახლებშიც იგი თავისი საქმიანობის გამო დადიოდა, არცთუ იშვიათად ბალღამს აწვეთებდნენ ხოლმე გულში. ქალები ხომ ასე კარგად ფლობენ საყველპურო ლაპარაკში საწამლავის შერევის ბოროტ ალქიმიას; ხანდახან კი ამას უმატებდნენ სახის ამრეზილ გამომეტყველებასაც, რომელიც მსხ-

ვერპლის დაუცველ გულს ისევე ხვდებოდა, როგორც ქარის სასტიკი ქროლა დაწყლულებულ ჭრილობას. ჰესტერი დიდხანს და კარგად წვრთნიდა საკუთარ თავს, ამიტომ ამგვარ შემოტევებს არაფრით პასუხობდა, გარდა ალმურისა, რომელიც ფერმკრთალ ღაწვებზე ამოასკდებოდა და მერე ისევ მკერდში ჩაბრუნდებოდა. იგი მომთმენი იყო – დიახ, მარტვილის მსგავსად – მაგრამ მტრებისთვის ლოცვას არ აპირებდა, რადგან, მიუხედავად მიტევების სურვილისა, კურთხევის სიტყვები ჯიუტად ცდილობდნენ წყევლად ქცეულიყვნენ.

პურიტანული სამსჯავროს მიერ გამოტანილი უკვდავი და უვადო განაჩენი გამუდმებით პოულობდა ათას სხვადასხვა ხერხს, რომ თავისი მსხვერპლისათვის გული მოეკლა. როცა სასულიერო პირები ქუჩაში ჩერდებოდნენ, რომ მისთვის ჭკუა დაერიგებინათ, საბრალო ცოდვილი დედაკაცის გარშემო უცებ განმკითხავ-მოქირქილეთა დიდი ბრბო იყრიდა თავს. თუკი ეკლესიაში შევიდოდა, რათა კვირაუქმეს ზეციური მამისათვის ღიმილი მიეძღვნა, უეცრად თავზარდაცემული აღმოაჩენდა, რომ ქადაგების მთავარ თემად ქცეულიყო. სულ უფრო მეტად ეშინოდა ბავშვებისა, რომლებსაც მშობლებისაგან ყურმოკვრით გაეგოთ, რომ ამ ქალს, ხმაამოუღებლად რომ ჩაივლიდა ხოლმე მთელ ქალაქს და ერთი გოგონას გარდა არასოდეს არავინ ახლდა, რაღაც საშინელება ჩაედინა. ამიტომაც, როგორც კი ჰესტერს გვერდზე ჩაუვლიდნენ, გულისგამყინავ ტირილს ამოუშვებდნენ და გაჰკიოდნენ სიტყვებს, რომლებიც, რასაკვირველია, მათი გონებიდან არ იღებდა სათავეს, მაგრამ მათი უმანკო ბაგეებიდან წარმოთქმული კიდევ უფრო უგმირავდა გულს საბრალო განკვეთილს. მაშასადამე, მისი სირცხვილის ამბავი ისე მოსდებოდა ქვეყანას, რომ სრულიად სამყარომ იცოდა იგი; ბავშვების ეს წამოძახილი ისეთი ტკივილით მსჭვალავდა, რომ ეგონა, თითქოს ხეთა ფოთლებიც ამ საზარელ ამბავზე ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს, ზაფხულის ნიავის შრიალი ანდა ზამთრის

ქარბუქის ღრიალი ამის შესახებ ამცნობდა მთელ დედამიწას. არსებობდა კიდევ ერთი, განსაკუთრებულად მძიმე სატანჯველიც – უცხო მზერასთან შეხვედრა. უცნობები დაუფარავი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ ალისფერ ასო-ნიშანს – და ყველა მათგანი, გამონაკლისის გარეშე – ისეთ მწვავე ჭრილობას აჩნევდა ჰესტერის გულს, რომ ქალი ძლივს იკავებდა თავს, რათა თავის დამღაზე ხელი არ აეფარებინა. და მაინც, არასოდეს აუფარებია ხელი. არც ნაცნობების მზერა უჩენდა ნაკლებ სადარდებელს. გაუსაძლის უპატივცემულობას კითხულობდა მათ გაყინულ თვალებში. ერთი სიტყვით, ჰესტერ პრინს არასოდეს ტოვებდა ის შემაძრწუნებელი განცდა, რომელსაც მისი დამღისაკენ მიმართული დაჟინებული მზერა უჩენდა; ჭრილობა, რომელიც არასოდეს იკრავდა პირს, პირიქით, ყოველდღიური ტანჯვისაგან სულ უფრო ღიზიანდებოდა.

მაგრამ ხანდახან, მრავალი დღის, ხან კი მრავალი თვის განმავლობაში ერთხელ – იგი გრძნობდა თავის სამარცხვინო დამღაზე შეჩერებულ მზერას – ადამიანურ მზერას და იმწამსვე ისეთ შვებას გრძნობდა, თითქოს მისი ტვირთის ნახევარი ვიღაცამ გადაინაწილა. მეორე წამს კი მთელი თავისი უბედურება ელვის სისწრაფით და კიდევ უფრო მტანჯველად უბრუნდებოდა უკან. თითქოს კიდევ ერთხელ შეეცოდოს. მაგრამ ნუთუ მხოლოდ ჰესტერი ცოდავდა?

ცხოვრებისაგან მოვლენილმა უცნაურმა და გაუზიარებელმა ტანჯვამ ჰესტერ პრინის წარმოსახვა სრულიად გადაასხვაფერა და კიდევ მეტსაც უზამდა, ქალის ბუნებას მტკიცე მორალური და ინტელექტუალური საყრდენი რომ არ ჰქონოდა. დააბიჯებდა მარტოსული ჰესტერი წინ და უკან იმ ვიწრო სამყაროში, რომელთანაც მხოლოდ გარეგნულადღა იყო დაკავშირებული და სულ უფრო ხშირად ეჩვენებოდა, რომ ალისფერმა დამღამ ახლებური ალღოთი დააჯილდოვა. და ეს შეგრძნება თუ აღმოჩენა თუნდაც მხოლოდ მისი წარმოსახვის ნაყოფი რომც ყოფილიყო,

მაინც ძნელი ჩანდა მასთან გამკლავება. შეგრძნება იმისა, რომ სხვათა გულებში დამალული საიდუმლოებების წაკითხვა შეეძლო, კიდეც აძრწუნებდა და ვერც თავიდან მოეშორებინა. ამ გზით მიღებული აღსარებები შიშის ზარს სცემდა. რად შეიძლებოდა მიეჩნია ისინი, თუ არა მზაკვრულ ჩურჩულად ბოროტი ანგელოზისა, რომელიც თავის კლანჭებში ჯერ მხოლოდ სანახევროდ მოქცეულ მსხვერპლს დაჟინებით არწმუნებდა, რომ სიწმინდის გარეგნული საფარველი მხოლოდ თვალთმაქცობა იყო და თუ ერთ დღესაც ყველა დაფარული გამჟღავნდებოდა, ალისფერი დამღა კიდევ ბევრ მკერდზე აელვარდებოდა. უნდა მიეჩნია კი მას სიმართლედ სატანის ეს იდუმალებით მოცული და მაინც მკაფიო ნართაულები? ჰესტერ პრინის უბედურ ცხოვრებაშიც კი არაფერი ყოფილა ამ შეგრძნებასავით საშინელი და გულისამრევი. იგი თავგზას უბნევდა ქალს და ამასთანავე, თავზარს სცემდა, იმდენად უცაბედად და უხამსად წარმოუდგენდა მოვლენების ნამდვილ არსს. ხანდახან, როდესაც ჰესტერ პრინი გვერდზე ჩაუვლიდა რომელიმე პატივცემულ მღვდელს ანდა მსაჯულს, ღვთისმოსაობისა და სამართლიანობის სიმბოლოს, რომელიც ძველმოდურ მოწიწებას ლამის ანგელოზთა დასის წევრად შეერაცხა, მის მკერდზე ამოქარგული ასო თანაგრძნობით იწყებდა ფეთქვას. „ნეტავ რა ბოროტება იმალება აქ?“ – გაიფიქრებდა ქალი, უხალისოდ მიმოატარებდა ირგვლივ მზერას და მის თვალსაწიერში ერთი სულიერიც კი არ ჩანდა, გარდა ამ მიწიერი ანგელოზისა! სხვა შემთხვევაში, შეხედავდა წარბშეკრულ სახეს რომელიმე პატივცემული ოჯახის ქალისა, რომელიც, როგორც ქვეყნის ენები ამბობდნენ, მთელი სიცოცხლე თავს ყინულივით ინახავდა და უცნაურ, დასავით სიახლოვეს გრძნობდა მასთან. რა უნდა ჰქონოდა საერთო ამ კდემამოსილი ქალის გულში დახვავებულ უმზეო თოვლს ჰესტერის მკერდზე მოელვარე ავარვარებულ სირცხვილთან? ხანდახან ტანში დავლილი ელვისებური ცახცახი ნიშანს მისცემდა – „შეხედე, ჰესტერ, შენი მსგავსი მოდის!“ და მისი თვალები შეეჩეხებოდნენ ნორჩ ქალწულს, რომელიც მორცხვად და ირიბად შეავლებდა მზერას ალისფერ დამღას და მაშინვე თვალს აარიდებდა, ხოლო ღაწვებზე მკრთალი, ცივი ალმური აუვიდოდა, თითქოს მისი სიწმინდე ამ წამიერმა თვალისმოკვრამაც კი შებღალა. ჰოი, მაცდურო, რომელმაც ჰესტერის გულს ეს მაგიური ძალა მიეცი, ნუთუ არავის დატოვებ – ახალგაზრდას თუ ხანშიშესულს – რომ საბრალო ცოდვილმა კვლავ თაყვანი სცეს? რწმენის დაკარგვა ერთ-ერთი ყველაზე სამწუხარო რამაა, რაც კი ცოდვის ჩადენას მოსდევს. ჰესტერის შინაგანი ბრძოლა იმის დასტურად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ საბრალო მსხვერპლი საკუთარ სისუსტესა და ადამიანთა მკაცრ კანონებს მთლიანად არ გაერყვნა და ჯერ კიდევ იბრძოდა, რათა ერწმუნა, რომ დედამიწის ზურგზე მასავით ცოდვილი მეორე არ დადიოდა.

ძველ, საზარელ დროში, მდაბიოები ყველაფერს, რაც მათ წარმოსახვას აღაგზნებდა, გროტესკული და შიშისმომგვრელი საბურვლით მოსავდნენ. სწორედ მათ აქციეს ალისფერი დამღის ამბავი შემაძრწუნებელ ლეგენდად და ირწმუნებოდნენ, რომ ჰესტერის მკერდზე ადამიანის მიერ საღებავიან ქვაბში ამოვლებული მეწამული ქსოვილი კი არ ელავდა, არამედ – ჯოჯოხეთის ცეცხლის ალი, რომლის პარპალიც ყველას შეეძლო ეხილა, თუ ღამით გარეთ გამოსულ ქალს გადაეყრებოდა. და ჩვენ კი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მითქმა-მოთქმაში შესაძლოა იმაზე მეტი სიმართლის მარცვალი ერია, ვიდრე ამას თანამედროვე სკეპტიკოსები დაიჯერებენ, რაკიღა ალისფერი დამღა მართლაც სწორედ ჯოჯოხეთური ცეცხლით უწვავდა გულს ჰესტერს.

6. პერლი

აქამდე ისე მოვედით, რომ ბავშვის შესახებ თითქმის არაფერი გვითქვამს. ეს უმანკო ქმნილება, განგების ამოუხსნელი ნების თანახმად, დანაშაულებრივი ვნების გახრწნილი ნიადაგიდან ისე აღმოცენდა, როგორც უკვდავი და მშვენიერი ყვავილი. მის საბრალო დედას გაოცება იპყრობდა, როცა უმზერდა, როგორ თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა გოგონა, როგორ დღითიდღე ემატებოდა ელვარება მის სილამაზეს და როგორ თვალდათვალ აჩნდებოდა პაწაწა ნაკვთებს გონიერების მოციმციმე კვალი. მისი შვილი, მისი მარგალიტი! – აკი, ასე უწოდა ჰესტერმა მას, თუმცა გოგონას გარეგნობა არაფრით მოგაგონებდათ ძვირფასი ქვის სადა, თეთრ, ვნებებდამცხრალ ბზინვარებას. დედამ ქალიშვილს „პერლი" დაარქვა იმ ძვირი ფასის გამო, რომლის გადახდაც ამ ერთადერთი საგანძურის სანაცვლოდ მოუწია. მართლაც, რა უცნაურია! ადამიანის ხელმა ამ ქალის ცოდვა გამანადგურებელი და სასოწარკვეთილების მომგვრელი ალისფერი დამღით აღბეჭდა, რათა თავისნაირ დამდაბლებულთა გარდა, არავის თანაგრძნობა აღარ ღირსებოდა. ღმერთმა კი, იმავე ცოდვის შედეგად, რომლის გამოც ადამიანებმა დასაჯეს, მშვენიერი ბავშვი აჩუქა. პერლის ადგილი ჰესტერის დაღდასმულ მკერდზე იყო. ამ ჩვილმა თავისი მშობელი სამუდამოდ დაუკავშირა მოკვდავთა მოდგმას და დროთა განმავლობაში, ალბათ, სასუფეველსაც დაუმკვიდრებდა მას. ასე ფიქრობდა ჰესტერ პრინი, მაგრამ გული კი იმედზე მეტად ავი წინათგრძნობით ავსებოდა. ქალმა იცოდა, რომ ბოროტება ჩაიდინა და ვერაფრით იჯერებდა, რომ მას ასეთი მშვენიერი ნაყოფი შეიძლებოდა გამოეღო. ყოველდღე შეშფოთებული უცქერდა ბავშვის განვითარებას, გამუდმებით ეშინოდა, რომ მასში რამე ბნელ, სასტიკ, ველურ თვისებას აღმოაჩენდა – შესატყვისს იმ ცოდვისა, რომელშიც თავს იდანაშაულებდა.

ბავშვს, რასაკვირველია, ფიზიკური ნაკლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. დიდებული აღნაგობა, უშრეტი სასიცოცხლო ენერგია და ჯერაც ჩამოუყალიბებელი კიდურების მოქნილობა გოგონას ედემის ბინადარს ამსგავსებდა. ღირსი ჩანდა, რომ წალკოტში დარჩენილიყო და ანგელოზების დასთან ეთამაშა მას მერეც კი, რაც კაცობრიობის პირველ მშობლებს იქიდან გამოაძევებდნენ. პერლს ის თანდაყოლილი გრაციოზულობა ჰქონდა, რომელიც არცთუ ისე ხშირად ამშვენებს ხოლმე თუნდაც უნაკლოდ ლამაზ ადამიანებს; უბრალო სამოსში გამოწყობილიც კი ისე ნუსხავდა მნახველებს, თითქოს ამ ტანსაცმელზე მეტად ქვეყნად ვერაფერი დაამშვენებდა. თუმცა პატარა პერლს არც არასოდეს სცმია სოფლურ ყაიდაზე. დედამისი, იმ ავადმყოფური განზრახვის კარნახით, რომელიც მოგვიანებით უფრო აშკარა გახდება მკითხველისთვის, ყიდულობდა ყველაზე ძვირფას ქსოვილებს, რომელთა შოვნაც კი შეეძლო და თავის დიდებულ წარმოსახვას სრულ თავისუფლებას აძლევდა, რათა შეექმნა თარგი და მორთულობა იმ კაბებისა, რომელთაც მისი ქალიშვილი ხალხის დასანახად ჩაიცვამდა. ისეთი მშვენიერი იყო ამგვარად გამოწყობილი პატარა არსება, ისეთი თვალისმომჭრელი იყო პერლის ბუნებრივი სილამაზე, ისე იხდენდა იმ წამოსასხამებს, რომლებიც ყველა სხვა ნაკლებმოელვარე სილამაზეს ბოლომდე გაახუნებდა, რომ მოგეჩვენებოდათ, ამ ჩაბნელებული ქოხის

იატაკზე მჯდომ ბავშვს შარავანდედი ადგასო. თუნდაც ჟანგისფერი სამოსი, თავაწყვეტილი ბავშვური თამაშისას დაგლეჯილი და დათხვრილიც, ასევე უნაკლოდ წარმოაჩენდა პერლის სილამაზეს. გოგონას სახეს გამომეტყველებათა დაუსრულებელი ცვალებადობა ახასიათებდა. თითქოს პერლი საკუთარ არსებაში რამდენიმე ბავშვს აერთიანებდა – ველური ყვავილის მსგავსი გლეხის გოგოდან ბრწყინვალე პატარა პრინცესამდე. თუმცაღა ყველა ამ სახეცვლილებას ახლდა ვნების ნიშანი, სიღრმისეული ელფერი, რომელსაც ვერასოდეს ვერაფერი გააფერმკრთალებდა და გაახუნებდა, მაშინ იგი საკუთარ თავს აღარ ემგვანებოდა – პერლი პერლი აღარ იქნებოდა!

მისი განუწყვეტელი გარეგნული სახეცვლილება შეუცდომლად მიგვითითებდა პერლის შინაგანი ბუნების მრავალფეროვნებაზე. როგორც ჩანდა, გოგონას, გარდა მერყევი ხასიათისა, სულიერი სიღრმეც დაჰყოლოდა. მაგრამ – ან ეგებ ჰესტერს შემოჩენილი შიში უბამდა თვალებს – ბავშვს გარემომცველ სამყაროსთან შეგუება უჭირდა – არც ერთ წესს არ ემორჩილებოდა. მისი ამქვეყნად მოვლინებით ერთი დიდი ამსოფლიური წესი დაირღვა და გაჩნდა სიცოცხლე, რომელიც, მართალია, სილამაზითა და ბრწყინვალებით იყო სავსე, მაგრამ სრულიად არაპროგნოზირებადი გახლდათ. ან ეგებ შემუშავებული ჰქონდა თავისი საკუთარი წესრიგი, რომლის ცვლილებებიცა და შინაგანი ლოგიკაც ძნელი ამოსაცნობი ანდა სულაც ბურუსით მოცული იყო გარეშეთათვის. ჰესტერი მხოლოდ გუმანით თუ ხვდებოდა საკუთარი შვილის გუნება-განწყობას – და მაშინაც ბუნდოვნად და ოდნავ – იხსენებდა თუ როგორი იყო თავად იმ უმნიშვნელოვანეს პერიოდში, როდესაც პერლმა სულების სამეფოდან თავისი ადამიანური ბუნება შეითვისა, ხოლო მიწისაგან კი თავისი ხორციელი გარსი ისესხა. ფეხმძიმე დედის აფორიაქებული სულიერი მდგომარეობა ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვზე აისახა და ქა-

თქათა და უბიწო არსებას თავისი ოქროსფერი და მეწამული ლაქები, ცეცხლოვანი ელფერი, შავი აჩრდილი და მოუსვენარი ნათება დააჩნია. გარდა ამისა, პერლის ბუნებამ მემკვიდრეობით მიიღო ის მებრძოლი სულისკვეთება, რომელიც ჰესტერს ფეხმძიმობისას ჰქონდა. დედა ცნობდა ველურ, სასოწარკვეთილ, კადნიერ ხასიათს, ფიცხ ტემპერამენტს, ღრუბელივით ჩამოწოლილ ნაღველსა და კაეშანს, რომელთაც გოგონას გულში დაედოთ ბინა. ამ ღრუბლებს, ახლა რომ პატარა ბავშვის ხასიათისთვის დამახასიათებელი მხიარულებით იყო განათებული, მოგვიანებით, წლების მატებასთან ერთად, შეიძლებოდა არაერთი ქარიშხალი და ქარბორბალა გამოეწვიათ.

მეთოდები, რომლებსაც მშობლები შვილების აღსაზრდელად იყენებდნენ იმ დროს, ბევრად მკაცრი იყო, ვიდრე დღესდღეობით. განრისხება, მწარედ დატუქსვა, წკეპლით ხშირი შეხურება, რომელსაც ასე დაჟინებით ითხოვს ძველი აღთქმის წიგნი, გამოიყენებოდა არა მხოლოდ უკვე ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის მისაგებად, არამედ ბავშვის ზნეობრივად აღზრდისა და მასში სათნოებათა გაღვივებისათვის. მიუხედავად ამისა, ჰესტერ პრინს, მხოლოდშობილი შვილის მოსიყვარულე დედას, მეტისმეტ სიმკაცრეს ვერ დასწამებდით. ეგ იყო, რომ რაკი კარგად ახსოვდა საკუთარი შეცდომები და უიღბლობა, თავიდანვე ფრთხილად, მაგრამ მიზამიმართულად მიჰყო ხელი შვილის ხასიათში საეჭვო მიდრეკილებების ამოძირკვას. თუმცა ეს არცთუ იოლი ამოცანა აღმოჩნდა. დედამ ალერსიც სცადა და განრისხებაც, მერე კი, როცა მიხვდა, რომ ამ ხერხთაგან ვერცერთით ვერაფერს გახდებოდა, ფარ-ხმალი დაყარა, განზე გადგა და ბავშვს ნება მისცა, საკუთარ იმპულსებს მიჰყოლოდა. ფიზიკურ ძალდატანებასა თუ დასჯას, რასაკვირველია, შედეგი მოჰქონდა, ოღონდ დროებითი. რაც შეეხება ბავშვის გონებისა თუ გულისაკენ მიმართულ ყველა სხვა მეთოდს, პერლი შეიძლებოდა

დამორჩილებოდა ან შეწინააღმდეგებოდა მათ, იმის მიხედვით, თუ რომელი ახირება მართავდა იმ წუთას. ჯერ კიდეც ჩვილი იყო პერლი, როცა დედამისმა შეამჩნია გოგონას ერთი გამორჩეული მზერა, მისი დანახვისთანავე ხვდებოდა, რომ ყველანაირი იძულება, დარწმუნება თუ ბრალდება წყალში გადაყრილი იქნებოდა. ეს მზერა ისეთი ჭკვიანური, თუმცა აუხსნელი იყო, ისეთი შეუპოვარი, ხანდახან ისეთი მტრული, ისეთი მძაფრი ვნებათაღელვანი ახლდა თან, რომ მის შემყურე ჰესტერს ერთი შეკითხვა აწვალებდა, ნამდვილად ხორციელი არსება იყო თუ არა პერლი. ის უფრო ჭინკას ჰგავდა, რომელიც, მას მერე, რაც ქოხის იატაკზე თამაშით გულს იჯერებდა, დამცინავი ღიმილით გასხლტებოდა გარეთ. როგორც კი პერლის ველური, ბრიალა, შავი თვალების სიღრმეში საბედისწერო მზერა გამოჩნდებოდა, მაშინვე უცნაურად შორეული და ამოუცნობი გამომეტყველება გადაეფინებოდა; თითქოს ჰაერში დალივლივებდა და სადაც იყო, გაქრებოდა, ციმციმა სინათლეს ემსგავსებოდა, რომელიც არავინ იცის, საიდან ჩნდება ან სად მიდის. ამის შემყურე ჰესტერი ბავშვს მივარდებოდა, უკან გამოედევნებოდა პატარა ჭინკას, რომელიც მის თვალწინ იწყებდა გაფრენას, მკლავს მოხვევდა, გულში მაგრად ჩაიკრავდა და მხურვალედ კოცნიდა – არა იმდენად ზღვარგადასული სიყვარულის კარნახით, არამედ უფრო იმაში დასარწმუნებლად, რომ პატარა პერლი ნამდვილად ხორცშესხმული არსება იყო და არა წარმოსახული. მაგრამ ის მხიარული და მელოდიური სიცილი, რომელიც დედის ხელებში მომწყვდეულ პერლს აუტყდებოდა ხოლმე, ქალს წინანდელზე უარეს ეჭვებში აგდებდა.

დროდადრო გულდამძიმებული ჰესტერი ტირილს ვერ იკავებდა, როდესაც ეს უცნაური და უძლეველი ჯადო იმ ერთადერთ საგანძურს ართმევდა, რომელიც მან ასე ძვირად მოიპოვა და რომელიც მთელ სამყაროს ერჩია. დედის დანაღვლიანებას

– რაკიღა წინასწარ ვერავინ განსაზღვრავდა პერლის გულისპასუხს – შეიძლებოდა გოგონას უკმაყოფილება მოჰყოლოდა: პატარა ხელის მაგრად მომუშტვა და სახის პაწაწინა ნაკვთების ულმობლად გაქვავება. უფრო იშვიათად გოგონა უწინდელზე ხმამაღალ სიცილს განაგრძობდა, თითქოს ადამიანური სევდის გაზიარება და გულთან მიტანა საერთოდ არ შეეძლო. ანდა – თუმცა ასე იშვიათად ხდებოდა – პერლს მწუხარება მოუღუშავდა სახეს და დედის სიყვარულს ქვითინითა და დანაწევრებული სიტყვებით გამოხატავდა; გულგატეხილობით უმტკიცებდა, რომ მასაც ჰქონდა გული. თუმცა ჰესტერი ვერასოდეს ბედავდა მინდობოდა ამ მყიფე სინაზეს, რომელიც უცაბედად ჩნდებოდა და უცაბედადვე ქრებოდა. თავგზააბნეული დედა იმ ადამიანს ემსგავსებოდა, რომელმაც სული გამოიძახა, მაგრამ შელოცვის პროცესში რაღაც აურდაურია და დაავიწყდა ჯადოსნური სიტყვა, რომლითაც ახალი და შეუცნობელი გონის მართვას მოახერხებდა. ჰესტერი მხოლოდ მაშინ გრძნობდა თავს მშვიდად, როდესაც ბავშვს ღრმად ეძინა. მანამ ტკბებოდა ბედნიერების მშვიდი, ჩუმი, ბედნიერი საათებით, ვიდრე პატარა პერლი გაიღვიძებდა და ოდნავ ღია ქუთუთოებიდან ანც მზერას სტყორცნიდა.

ძალიან მალე – მართლაც რომ თვალის დახამხამებაში – პერლმა მიაღწია ასაკს, როდესაც ბავშვს მუდმივად მოღიმარე სახე და ენის მოჩლექით საუბარი აღარ ჰყოფნის და საზოგადოების ნაწილად ქცევა სურს. რა ბედნიერი იქნებოდა ჰესტერ პრინი თავისი ერთას წკრიალა, ჩიტივით ჭიკჭიკა ხმა სხვა ბავშვების ღრიანცელთან შეზავებული რომ გაეგონა, მოჟრიამულე პატარეების ერთმანეთში არეული წამოძახილებისაგან გამოერჩია და განესხვავებინა. მაგრამ ეს არასოდეს მომხდარა. პერლი ბავშვური სამყაროსაგან განკვეთილი დაიბადა. ეშმაკის ნაშიერს, ცოდვის ნაყოფსა და განსახიერებას მონათლულ ბავშვებს შორის ყოფნის უფლება არ ჰქონდა. ჭეშმარიტად გასაოცარი იყო ის ინსტინქტი,

რომელმაც პერლს საკუთარი მარტოსულობის, გაურღვეველ წრედ შემორტყმული ბედისწერისა და, მოკლედ რომ მოვჭრათ, ბავშვებს შორის საკუთარი ადგილის გააზრება აიძულა. მას შემდეგ, რაც ციხიდან გამოვიდა, ჰესტერი არასოდეს წარსდგომია საზოგადოებას პერლის გარეშე. ქალაქში ყველა გამოსვლისას გოგონა თან ახლდა, ჯერ ჩვილი – დედის მკლავებში განაბული, მერე პატარა თანამგზავრი, რომელიც ჰესტერის საჩვენებელ თითს მთელი ხელით ბღუჯავდა და დედის ერთ ნაბიჯში მისი სამი თუ ოთხი ნაბიჯი გამოიჭრებოდა. გოგონა ხედავდა დასახლების სხვა ბავშვებს, რომლებიც ბალახმოდებულ გზისპირებსა თუ მშობლიური სახლების ზღურბლებთან თავს პურიტანული აღზრდისაგან შეთვისებული პირქუში თამაშებით იქცევდნენ: ვითომ ეკლესიაში მიდიოდნენ, კვაკერებს სჯიდნენ, ინდიელებთან ბრძოლაში მათ სკალპებს იგდებდნენ ხელთ ანდა ერთმანეთს წარმოსახული ჯადოქრობებით აშინებდნენ. პერლი ხედავდა მათ და დაჟინებითაც უმზერდა, მაგრამ ბავშვებთან ნაცნობობის გაბმა აზრადაც არასოდეს მოსვლია. თუ გამოელაპარაკებოდნენ, პასუხს არ დაუბრუნებდა. თუკი ხანდახან გარს ბავშვების გუნდი შემოერტყმოდა, პერლი უსუსური მრისხანებისგან ერთიანად აცახცახდებოდა, მათთვის სასროლად ქვებს შეაგროვებდა და გამკივანი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბგერები აღმოხდებოდა. დედამისს კანკალი იტანდა, ისე ჰგავდა ეს ბგერები კუდიანის წყევლას.

სიმართლე კი ის იყო, რომ პატარა პურიტანები – კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე შეუბრალებელი ბავშვები – ბუნდოვნად გრძნობდნენ, რომ ამ დედა-შვილში რაღაც უჩვეულო, არაამქვეყნიური თუ უბრალოდ, მათ ყოველდღიურობასთან შეუსაბამო იმალებოდა; ამიტომაც მათ სიძულვილს გულში ინახავდნენ და არცთუ იშვიათად ენასაც ამოათქმევინებდნენ ხოლმე. პერლი კი მათ ამ დამოკიდებულებას ყველაზე მძაფრი ზიზღით პასუხობდა, რომელიც კი შეიძლება ბავშვის არსებას ღრღნიდეს.

გოგონას სიფიცხის ეს ამოფრქვევა დედამისს, ერთი მხრივ, მოსწონდა და ანუგეშებდა კიდეც, რადგან ბოლოს და ბოლოს ეს მისი ხასიათის გულწრფელი და მკაფიო გამოვლინება იყო და არა ერთ-ერთი ახირების შემოტევათაგანი, ასე რომ უკლავდა გულს; მეორე მხრივ კი, პერლის შეუკავებელი სიძულვილი ჰესტერს აფრთხობდა, რადგან საკუთარ არსებაში დაბუდებული ბოროტების აჩრდილისებურ ანარეკლად მიიჩნევდა. მთელი ეს მტრობა და გზნება, მემკვიდრეობის კანონის თანახმად, პერლმა დედისგან მიიღო. საზოგადოებისაგან გარიყული დედა-შვილი კარჩაკეტილი ცხოვრების ერთსა და იმავე წრეში ტრიალებდა. და როგორც ჩანდა, ბავშვის ბუნებაში იხარა ჩანასახმა იმ მშფოთვარებისა, რომელმაც ჯერ კიდევ პერლის დაბადებამდე მოიკიდა ფეხი ჰესტერ პრინის გულში, თუმცა დედობის მანუგეშებელმა ძალამ მალე ამოძირკვა იქიდან.

შინ, დედის ქოხის შიგნით და გარშემო, პერლს ნაცნობების ფართო და მრავალფეროვანი წრე არაფერში სჭირდებოდა. მისი სულში მუდმივად მოგიზგიზე შემოქმედების ცეცხლი ცხოვრების ჯადოს შობდა, რომელიც ჩირაღდანივით ხვევდა თავის ალში ყველაფერს, რასაც კი გოგონა ეხებოდა. ყველაზე შეუფერებელი ნივთებიც კი – ჯოხი, ძველმანების გროვა, ყვავილი – პერლის ჯადოსნობის წყალობით ტიკინებად გარდაიქმნებოდნენ და ყოველგვარი გარეგნული სახეცვლილების გარეშე იმ დრამის მონაწილენი ხდებოდნენ, რომელიც იმ წამს პერლის შინაგანი სამყაროს სცენაზე იდგმებოდა. მისი ბავშვური ხმა საკმარისი იყო მრავალი ხანდაზმული თუ ახალგაზრდა პერსონაჟის გასაცოცხლებლად. ასაკოვანი, შავი და ქედმაღალი ფიჭვები, რომლებიც ქარის ყოველ დაბერვაზე სევდიანად ოხრავდნენ და კვნესოდნენ, ფანტაზიის სულ მცირე მოშველიებით მხცოვან პურიტანებად იქცეოდნენ ხოლმე; ბაღის უმახინჯესი სარეველები კი – მათ შვილებად, რომელთაც პერლი სასტიკი ულმობლობით პუტავდა

და ფესვებიანად გლეჯდა. მართლაც შესანიშნავი იყო მრავალრიცხოვნება და მრავალფეროვნება იმ ფორმებისა, რომელთაც გოგონას წარმოსახვა ქმნიდა. ერთ წამს პერლი ზებუნებრივი ენერგიულობით ხტოდა და ცეკვავდა, მეორე წამს კი – თითქოსდა სიცოცხლის ამ სწრაფი და მგზნებარე ტალღით მოცელილი – ერთბაშად მოიღვენთებოდა, თუმცა მალევე ძველებური ველური ენერგიით ავსებული აგრძელებდა თამაშს. ეს ყველაფერი საოცრად მოგაგონებდათ ჩრდილოეთის ნათების ფანტასმაგორიულ ციმციმს. თუმცაღა, შესაძლოა, წარმოსახვის ამგვარი ვარჯიში, მოზარდი გონების ამგვარი სიცხოველე სხვა განსაკუთრებულად ჭკვიან ბავშვებსაც ახასიათებდეთ, გარდა ერთი გამონაკლისისა – პერლი, რაკიღა ხორცშესხმული მეგობარი არასოდეს ჰყოლია, მთლიანად თავის მიერ შექმნილ წარმოსახვით სამყაროში გადასახლებულიყო. კიდევ ერთი რამ, რაც პერლის თამაშს დანარჩენი ბავშვების თამაშისაგან განასხვავებდა, ის მტრული დამოკიდებულება იყო, რომელსაც გოგონა თავისივე გულისა და წარმოსახვის ყველა ნაყოფის მიმართ ამჟღავნებდა. იგი არასოდეს იგონებდა მეგობრებს, მუდამ დრაკონის კბილებს თესავდა და შეიარაღებული მტრების ჭირნახულს იმკიდა, რომ მერე მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმულიყო. ყველაფერი ეს გამოუთქმელად სევდისმომგვრელი იყო – და დედაც, რომელიც საკუთარ დანაშაულს გრძნობდა, გულის სიღრმემდე შეძრულიყო – მის შვილს, ჯერ ასე პატარას, უკვე გონებაში ჩაბეჭდოდა, რომ სამყარო მის მიმართ მტრულად იყო განწყობილი და გამალებით უნდა ეწრთო საკუთარი თავი, რათა გაემარჯვა ბრძოლაში, რომელიც ერთ დღესაც აუცილებლად გაიმართებოდა.

პერლის შემყურე ჰესტერ პრინს ხშირად გადაუცვივდებოდა ხოლმე მუხლებზე შემოდებული ხელსაქმე და გულში ვერდატეული კვნესითა და ვედრებით აღმოხდებოდა: „ო, ზეციურო მამავ – თუკი კვლავ შენს შვილად მიმიჩნევ – მითხარი, ვინ არის ეს

ქმნილება, რომელიც ამქვეყნად მოვავლინე“ და პერლიც, რომელიც ან ჩუმად აყურადებდა მის ტანჯულ გმინვას, ან სხვა, უფრო იდუმალი, გზით სწვდებოდა ამ ყოველივეს, თავის ნათელ, მშვენიერ სახეს დედისაკენ მიაბრუნებდა, ჭინკისებური მიხვედრილობით გაუღიმებდა და თამაშს გააგრძელებდა.

ბავშვის ქცევას კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებდა, რომლის შესახებაც ჯერ არაფერი გვითქვამს. პირველი, რაც კი მან ცხოვრებაში შენიშნა, გახლდათ – აბა, თუ გამოიცნობთ? – არა, ეს არ ყოფილა დედის ღიმილი, რომელსაც ჩვილებიც პაწია პირის მკრთალი მოძრაობით უპასუხებენ ხოლმე, რათა დაეჭვებულ მშობლებს მერე საამური კამათის საბაბი მისცენ – ნამდვილად გაიღიმა მათმა პატარამ თუ არა. არავითარ შემთხვევაში! პირველი, რაც პერლმა შეამჩნია – ვთქვათ თუ არა? – ჰესტერის მკერდზე ამოქარგული ალისფერი დამღა გახლდათ. ერთ დღესაც, როდესაც დედა აკვანზე დაიხარა, ბავშვს ოქრომკედის ციმციმმა მოსჭრა თვალი, ხელი წაავლო დამღას და მაგრად ჩაბღუჯა, ჩაბღუჯა არა ღიმილით, არა დაეჭვებით, არამედ იმ თავდაჯერებით, რომელიც მის სახეს ზრდასრულის იერს აძლევდა. მაშინ სულშეხუთულმა ჰესტერ პრინმა გამეტებით წაავლო ხელი თავის საბედისწერო ნიშანს – ისეთი მძაფრი იყო ტანჯვა, რომელიც პერლის მიზანმიმართულად გამოწვდილმა პაწია ხელმა განაცდევინა – და ინსტინქტურად სცადა, გულიდან ჩამოეგლიჯა იგი. და ისევ, თითქოსდა დედის ტკივილით აღსავსე ჟესტი მხოლოდ ართობდა, გოგონამ ქალს თვალებში შეხედა და გაუღიმა. იმ წამიდან, თუკი ბავშვს არ ეძინა, ჰესტერ პრინს თავი უსაფრთხოდ აღარ უგრძნია; აღარ ღირსებია დედაშვილობით მშვიდი ტკბობა. მართალია, ხანდახან მთელი კვირა ისე გაივლიდა, რომ პერლის მზერა ალისფერ დამღას აღარც კი ამჩნევდა, მაგრამ მერე, უეცარ სასიკვდილო დარტყმასავით, მოულოდნელად მიაშტერდებოდა და სახეს მრავალმნიშვნელოვანი ღიმილი და უცნაური გამომეტყველება უცვლიდა.

ერთხელაც ეს ჟინიანი, ჭინკისებური გამომეტყველება მაშინ გაჩნდა პერლის თვალებში, როდესაც ჰესტერი, დედებისათვის საყვარელი ჩვევის თანახმად, შვილის გუგებში საკუთარ გამოსახულებას აცქერდებოდა. უეცრად, რაკიღა მარტოხელა, დარდისაგან გულდამძიმებულ ქალებს ილუზიებით გატაცება სჩვევიათ, ჰესტერს მოეჩვენა, რომ პერლის თვალების პატარა შავ სარკეში საკუთარი მინიატურული გამოსახულება კი არა, ვიღაც სხვა დაინახა. ეს იყო ეშმაკეული სახე, ღვარძლიანი ღიმილით, და მაინც შერჩენოდა მსგავსება იმ ნაკვთებისა, რომელთაც ჰესტერი მშვენივრად ცნობდა, თუმცა იშვიათად ენახა მოღიმარი და მისთვის ღვარძლი არასოდეს შეემჩნია. მოეჩვენა, რომ ბავშვს ბოროტი სული ჩასახლებოდა და დამცინავად ეჯღანებოდა. ამგვარმა წარმოსახვამ კიდევ არაერთხელ დატანჯა ჰესტერი. ზაფხულის ერთ შუადღეს, როდესაც წამოზრდილ პერლს უკვე სირბილი შეეძლო, გოგონამ ყვავილები დაფურცლა და მერე მათ სათითაოდ აყრიდა დედას მკერდზე. ჭინკასავით აცეკვებულმა პერლმა უეცრად ყვავილის ფურცელი ალისფერ დამღას მოახვედრა. ჰესტერს წამიერად მოუნდა, რომ გადაჯვარედინებული ხელებით დაეფარა მკერდი. მაგრამ მერე სიამაყემ, უსუსურობამ თუ იმისმა გაცნობიერებამ, რომ ეს ენითუთქმელი ტკივილი ყველაზე უკეთ ჩამორეცხავდა მის ცოდვას, წინააღმდეგობის გაწევის სურვილი დააკარგვინა. და იჯდა იგი გამართული, სიკვდილივით გაფითრებული და ნაღვლიანად ჩასცქეროდა პერლის ცეცხლოვან თვალებს. ყვავილებით შეტევა კი გრძელდებოდა, პერლი მხოლოდ დამღას უმიზნებდა და დედის მკერდს ფარავდა ტკივილით, რომლის დაამებაც დედამიწის ზურგზე არც ერთ მალამოს არ შეეძლო. ბოლოს, როგორც იქცა, პერლს ტყვიები გამოელია, გაუნძრევლად დადგა და ცქერა დაუწყო ჰესტერს. მისი თვალების უძირო უფსკრულიდან ჰესტერს ეშმაკი ემანჭებოდა – ყოველ შემთხვევაში, ქალს ასე ეჩვენებოდა.

– ბავშვო, ვინა ხარ? – აღმოხდა დედას.

– შენი პატარა პერლი ვარ, – უპასუხა გოგონამ, მაგრამ მაშინვე გაიცინა და ცეკვა დაიწყო. მისი მხიარული და ლაღი მოძრაობები მოგაგონებდათ პატარა ჭინკას, რომელიც ნებისმიერ წამს შეიძლებოდა საკვამურიდან გაფრენილიყო.

– მართლა ჩემი შვილი ხარ, არ მატყუებ? – ჰკითხა ჰესტერმა.

ეს ვითომ ხუმრობით დასმული შეკითხვა სინამდვილეში გაცილებით ღრმა აზრს შეიცავდა, ვინაიდან პერლის საოცარი ჭკუით გაოცებულ დედას ეეჭვებოდა, რომ გოგონა, სადაც იყო, თავისი წარმომავლობის საიდუმლოს ფარდას ახდიდა.

– დიახ, შენი პატარა პერლი ვარ, – გაიმეორა ბავშვმა უწინდებური მანჭვა-გრეხით.

– არა, შენ ჩემი შვილი არა ხარ! არა ხარ ჩემი პერლი! – უთხრა დედამ ნახევრადხუმრობით, რადგან, როდესაც გულს ტანჯვა უღრღნიდა, გარეგნულ სილაღეს ამოეფარებოდა ხოლმე, – მითხარი, აბა, ვინა ხარ? საიდან გაჩნდი აქ?

– ეგ შენ მითხარი, დედა, – თქვა ბავშვმა სერიოზულად, ჰესტერს მიუახლოვდა და მუხლზე მიეხუტა, – შენ თვითონ მითხარი!

– ზეციურმა მამა გამომიგზავნა შენი თავი! – უპასუხა ჰესტერ პრინმა.

მაგრამ ბავშვის გამჭრიახ გონებას არ გამოჰპარვია დედის ყოყმანი. თანდაყოლილი ახირებულობის გამო თუ ავი სულის კარნახით გოგონამ პატარა საჩვენებელი თითი გაიშვირა და პირდაპირ დედის ალისფერ დამღას დაადო.

– მას არ გამოვუგზავნივარ, – წამოიძახა პერლმა დაბეჯითებით, – მე არ მყავს ზეციური მამა.

– ჩუმად, პერლ, ჩუმად! ეს აღარ გაიმეორო, – უპასუხა დედამ და შეეცადა, არ ამოეგმინა, – მან შექმნა მთელი ეს სამყარო, მან

გამაჩინა მეც, შენი დედა. და, რასაკვირველია, მანვე გამომიგზავნა შენი თავი. ის რომ არ ყოფილიყო, აბა, როგორ გაჩნდებოდი, შე ჭირვეულო ჭინკა ბავშვო?

– ჰოდა, მითხარი! მითხარი! – გაიმეორა პერლმა; თუმცა მისი წინანდელი სერიოზულობა სადღაც გამქრალიყო, იცინოდა და ცეკვა-ცეკვით უვლიდა ოთახს, – უნდა მითხრა, როგორ გავჩნდი!

მაგრამ ჰესტერს ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა, თავადაც ეჭვების დამთრგუნველ ლაბირინთში არეოდა გზა-კვალი. მას ახსენდებოდა – და ეს მოგონება ღიმილთან ერთად, კანკალსაც ჰგვრიდა – მითქმა-მოთქმა თანამოქალაქეებისა, რომლებმაც რაკიღა სხვაგან ვერსად შეიგულეს ბავშვის მამა და რაკიღა გოგონას ბევრ უცნაურობას ამჩნევდნენ, დაასკვნეს, რომ პერლი დემონის ნაშიერი იყო. ჯერ კიდევ ძველ კათოლიკეებს სწამდათ, რომ დროდადრო დედამიწას ეშმაკის შთამომავლები მოევლინებიან ხოლმე თავიანთი დედების ცოდვების ხორცშესხმად და ბინძურ და ბოროტ განზრახვათა აღსასრულებლად. მაგალითად, ლუთერი, თავისი ბერმონაზონი მტრების მიერ გავრცელებული ჭორების თანახმად, სწორედ ჯოჯოხეთური ჯილაგისა იყო. არც ახალი ინგლისის პურიტანთა შორის ყოფილა პერლი ერთადერთი ბავშვი, რომელსაც ეს არასასურველი წარმომავლობა დასდეს ბრალად.

7. გუბერნატორის მისაღები

ერთ დღეს ჰესტერ პრინი გუბერნატორ ბელინგემის მამულისაკენ გაემართა, რათა მისთვის მიერთმია ხელთათმანები, რომლებიც მისი სურვილით არშიებით მორთო და მოქარგა და რომლებსაც შტატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე უნდა დაემშვენებინა მმართველის ხელები. მართალია, ბოლო არჩევნების შედეგებმა გუბერნატორი სოციალური კიბის სათავიდან ერთი-ორი საფეხურით ჩამოაქვეითა, მაგრამ კოლონიის სახელმწიფო მოხელეებს შორის მაინც საპატიო და გავლენიანი ადგილი ეკავა.

არსებობდა მოქარგული ხელთათმანების გადაცემაზე უფრო დიდი და მნიშვნელოვანი მიზეზიც, რომელმაც ჰესტერ პრინი აიძულა, პირისპირ შეხვედროდა ამხელა ძალაუფლებისა და გავლენის მქონე ადამიანს. ქალის ყურს მისწვდენოდა, რომ რამდენიმე წარჩინებულ ადგილობრივს, რომლებიც რელიგიური და სახელმწიფო დოგმების გამკაცრებას უჭერდნენ მხარს, ჰესტერისათვის შვილის ჩამორთმევა გადაეწყვიტა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს კეთილშობილი ადამიანები პერლს ეშმაკის ნაშიერად მიიჩნევდნენ, ამიტომაც ქრისტიანული კაცთმოყვარეობით აღსავსე მზრუნველობა აიძულებდათ, ქალის სავალი გზიდან ასეთი სახიფათო დაბრკოლება ჩამოეშორებინათ. მეორე მხრივ, თუკი ბავშვს ეწერა, რომ ზნეობრივად და რელიგიურად აღზრდილიყო

და ამგვარად ეხსნა სული, მაშინ, რასაკვირველია, აჯობებდა, თუ მას ჭეშმარიტების გზაზე ჰესტერ პრინზე კეთილგონიერი და უმწიკვლო მეურვე წარუძღვებოდა. ამბობდნენ, რომ გუბერნატორი ბელინგემი ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჰესტერის წინააღმდეგ მოწყობილ ამ შეთქმულებაში. შეიძლება უჩვეულოდ და ცოტათი ღიმილისმომგვრელადაც კი მოგეჩვენოთ, რომ საქმე, რომელიც სხვა დროს, ალბათ, ქალაქის საბჭოს კომპეტენციას არ გასცდებოდა, ასეთი საჯარო განხილვის ღირსი გახდა და თვით გუბერნატორამდეც მიაღწია. თუმცაღა იმ პირველყოფილი სიწმინდის ეპოქაში ბევრად უფრო უინტერესო და უმნიშვნელო ამბებიც კი რაღაც გამოუცნობი ძალის წყალობით შტატის კანონებისა და კანონმდებლების განსჯის საგნად იქცეოდა ხოლმე. ჩვენ მიერ მოყოლილ ამბამდე სულ ცოტა ხნით ადრე იყო შემთხვევა, როდესაც ღორის მეპატრონის ვინაობის დადგენას არა მხოლოდ ცხარე კამათი მოჰყვა საკანონმდებლო ორგანოში, არამედ შედეგად თავად საკანონმდებლო ორგანოს სტრუქტურაც შეიცვალა.

როდესაც თავისი განმარტოებული ქოხიდან გუბერნატორის მამულისაკენ მიმავალ გზას დაადგა, ჰესტერს გული დარდით ჰქონდა დამძიმებული, მაგრამ დამარცხებისა კი არ ეშინოდა. დარწმუნებული იყო, რომ თუმცა მას, მარტოხელა ქალს, მთელი საზოგადოების წინააღმდეგ უწევდა ბრძოლა, სამაგიეროდ, ბუნების კანონი უჭერდა მხარს. პატარა პერლი, რასაკვირველია, თან ახლდა. გოგონა უკვე იმ ასაკში იყო, რომ შეეძლო მხიარულად ეკუნტრუშა დედის გვერდით და ალიონიდან დაბნელებამდე განუწყვეტელ მოძრაობას შეჩვეულს უფრო ხანგრძლივი მოგზაურობაც გადაეტანა. მიუხედავად ამისა, პერლი უფრო ახირების გამო, ვიდრე საჭიროებისა, დედას ხშირ-ხშირად აიძულებდა ხელში აეყვანა, მაგრამ მალევე ასევე დაჟინებით სთხოვდა ძირს ჩამოსმას და ბალახიან ბილიკზე ჰესტერის წინ მიხტოდა, შიგადაშიგ კი ოდნავ წაიბორძიკებდა ხოლმე. ჩვენ უკვე ვახსენეთ

პერლის მდიდრული და უხვი სილამაზე, სილამაზე, რომელიც მკვეთრი და ხასხასა ელფერით ციმციმებდა; ბრწყინვალე სახის ფერი, სიღრმითა და ელვარებით დამშვენებული თვალები, თმა, რომელსაც ამჯერად მუქი პრიალა ყავისფერი დასდებოდა, ხოლო წლების შემდეგ კი უკვე შავად ალაპლაპდებოდა. ვნებიანი წუთების ამ დაუგეგმავი ნაყოფის გულშიც და მის გარშემოც თითქოს ცეცხლი გიზგიზებდა. დედამისიც, როდესაც ბავშვის ტანსაცმელს კერავდა, თავის მდიდარ წარმოსახვას მთლიანად აძლევდა გასაქანს. გოგონას ხავერდის მეწამული წამოსასხამი ეცვა, რომელიც უცნაურად იყო აჭრილი და ოქრომკედის ხვეულებითა და გრძნეულებით – უხვად მოქარგული. ფერების ეს სიმჭახე, რომელიც უფრო მკრთალ სახეს მიბნედილსა და ჩატეტკილ იერს მისცემდა, საოცრად ამშვენებდა პერლს და მას ყველაზე კაშკაშა ცეცხლის ალად აქცევდა, რომელსაც კი ოდესმე დედამიწის პირზე უცეკვია.

თუმცა ტანსაცმლისა და მთლიანად ბავშვის გარეგნობის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი ის იყო, რომ იგი მნახველს აუცილებლად გაახსენებდა იმ სიმბოლოს, რომლის მკერდით ტარებაც ჰესტერის ბედისწერად ქცეულიყო. პერლიც ალისფერი დამღა იყო, ოღონდ განსხეულებული, სიცოცხლეშთაბერილი. და თავად დედაც – თითქოსდა ეს მობრიალე სირცხვილი ტვინზე ამოშანთვია და მის გარდა, ვერაფერზე ფიქრობსო – რუდუნებით აღბეჭდავდა ამ მსგავსებას. უამრავ საათს უშურველად ხარჯავდა ავადმყოფურ გამომგონებლობაში, რათა თავისი სიყვარულის ნაყოფი თვისივე დანაშაულისა და ტანჯვის ემბლემისათვის დაემგვანებინა. პერლი კი, სინამდვილეში, ერთიც იყო და მეორეც და ქვეცნობიერად ეს შთააგონებდა ჰესტერს, რომ ალისფერი დამღა და თავისი გოგონა ერთმანეთისთვის დაეკავშირებინა.

როდესაც ამ ორმა მგზავრმა ქალაქის სანახებს მიაღწია, პურიტანების ბავშვებმა თავი დაანებეს თამაშს – ან იმას, რაც ამ

დაღვრემილ პატარა თავხედებს თამაშად მიაჩნდათ – და ერთმანეთს სერიოზულად გადაულაპარაკეს:

– შეხედე! ეს ის ქალია, ალისფერდამღიანი! და გვერდით კიდევ ერთი გაცოცხლებული ალისფერი დამღა მოსდევს! წამო, ტალახი ვესროლოთ!

მაგრამ შეუპოვარმა პერლმა ერთი წარბები შეკრა, წინ წაიწია და მუქარით სავსე ჟესტით რამდენჯერმე ისე გაიქნია პატარა ხელები, რომ მოწინააღმდეგეების გუნდი ერთბაშად დაიშალა და ყველა კისრისტეხით გაიქცა აქეთ-იქით. ბავშვებს გამოდევნებული გააფთრებული პერლი საყმაწვილო სენს, ქუნთრუშას მიაგავდა ანდა განკითხვის დღის ახლადშებუმბლულ ანგელოზს, რომლისთვისაც ცოდვილი ბავშვების დასჯის მისია დაეკისრებინათ. იგი ისეთი გამწარებით გაჰკიოდა, რომ დევნილების გულებს უეჭველად შიშით გადააქანებდა. როდესაც საქმე გამარჯვებით დააგვირგვინა, პერლი უხმოდ დაბრუნდა დედასთან და ღიმილით ახედა მას.

ვიდრე გუბერნატორ ბელინგემის საცხოვრებელს მიაღწევდნენ, მეტი აღარაფერი გადახდენიათ თავს. გუბერნატორის სახლი დიდი და ხისგან ნაგები იყო, მსგავს შენობებს აქა-იქ დღესაც შეხვდებით ჩვენი ძველი ქალაქების ქუჩებში. ახლა მათ ხავსი მოსდებიათ, ნაწილ-ნაწილ იშლებიან და გულში სევდა ჩაჰბუდებიათ, რაკიღა აგონდებათ (ანდა ავიწყდებათ) ბევრი ტკბილ-მწარე შემთხვევა, რომლებიც ოდესღაც მათ ჩაბნელებულ სენაკებში ხდებოდა. თუმცა იმ დღეს გუბერნატორის სასახლის ფასადს ჩავლილ წელთა სიმრავლე ჯერ კიდევ არ დატყობოდა, ხოლო მხიარულება, რომელიც მზიანი ფანჯრებიდან დასციმციმებდა ოთახებს, მოგითხრობდათ ადამიანთა სამყოფელზე, რომელსაც სიკვდილი არ მიჰკარებოდა. მართლაც ხალისიანი იერი ჰქონდა იქაურობას, კედლები ბათქაშით დაეფარათ, რომელშიც უხვად გაერიათ მინის ნამსხვრევები. ასე რომ, როდესაც მზის სხივები ირიბად სცემდა შენობის წინა მხარეს, იგი ისე ბრჭყვიალებდა

და ციმციმებდა, თითქოს ვიღაცას ალმასები ზედ პეშვით მიებნია. ასეთი ბრწყინვალება, ალბათ, უფრო ალადინის სასახლეს მოუხდებოდა, ვიდრე პირქუში მოხუცი პურიტანი მმართველის საცხოვრებელს. გუბერნატორის სასახლე, იმ პერიოდის უცნაური გემოვნების თანახმად, გარედან აშკარა კაბალისტიკური ფიგურებითა და დიაგრამებით მოერთოთ. ისინი ჯერ კიდევ მაშინ გამოეკვეთათ, როდესაც ბათქაში შეუმშრალი იყო, ახლა კი, გაქვავებულები, მომავალთან შესახვედრად მხნეობას იკრებდნენ.

ამ მბრწყინავი და საოცარი სახლის შემხედვარე პერლი ცეკვასა და ხტუნაობას მოჰყვა. მან კატეგორიულად მოსთხოვა დედას, რომ ყველა ეს მზის სხივი კედლიდან ჩამოეხსნა და მისთვის გადაეცა სათამაშოდ.

– არა, ჩემო პატარა პერლ, – მიუგო დედამ, – შენ თვითონ უნდა შეაგროვო მზის სხივები. ჩემგან მათ ვერ მიიღებ.

ისინი მიადგნენ თაღოვან კარს, რომელსაც ორივე მხრიდან ამოსდგომოდა ერთგვარი ვიწრო კოშკი, ზედ დატანილი რომბისფორმიანი ხის ფანჯრებით, რომელთაც საჭიროებისამებრ ცხაურებს ჩამოაფარებდნენ ხოლმე. ჰესტერმა კარს იქვე ჩამოკიდებული რკინის ჩაქუჩი დაჰკრა, რომლის ხმაზეც გამოჰხედათ გუბერნატორის ერთ-ერთმა მსახურმა, თავისუფლებაში შობილმა ინგლისელმა, რომელიც ამჯერად შვიდი წლით მონად ქცეულიყო. ამ ხნის განმავლობაში იგი თავისი პატრონის საკუთრებად მიიჩნეოდა, ვაჭრობის საგნად, რომელიც მფლობელს შეეძლო ხარივით ანდა ტაბურეტივით გაეყიდა. მსახურს ლურჯი სერთუკი ეცვა, რომელიც ინგლისის ტრადიციულ ოჯახებში იმ პერიოდში მსახურის უნიფორმად იყო მიღებული.

– პატივცემული გუბერნატორი ბელინგემი შინაა? – იკითხა ჰესტერმა.

– დიახ, რა თქმა უნდა, – უპასუხა მსახურმა. იგი თვალებგაფართოებული შესცქეროდა ალისფერ დამღას, რაკი ახლადჩა-

მოსული იყო ამ ქვეყანაში და ასეთ რამეს პირველად ხედავდა, – დიახ, მისი ღირსება შინაა, მაგრამ ორიოდე წმინდა მამა ჰყავს სტუმრად და კიდევ – მკურნალიც. თქვენ ჯერ ვერ მიგიღებთ.

– მაინც შემოვალ, – უპასუხა ჰესტერ პრინმა; და მსახურმაც, შესაძლოა მისი თავდაჯერებული იერითა და მკერდზე მოციმციმე ასოთი მონუსხულმა, გადაწყვიტა, რომ იგი აქაურ დიდებულ ქალბატონთაგანი იყო და წინააღმდეგობა აღარ გაუწევია.

ასე რომ ჰესტერმა და პატარა პერლმა დარბაზში შეაბიჯეს. გუბერნატორ ბელინგემს თავისი ახალი სახლიც ისე დაეგეგმა, როგორც ეს მის სამშობლოში ეკადრებოდა მაღალი სოციალური მდგომარეობის კაცს, თუმცა ასევე სამშენებლო მასალის თავისებურების, განსხვავებული კლიმატისა და სოციალური ყოფის გათვალისწინებით ცვლილებიც შეეტანა. აქ დაინახავდით განიერსა და საკმაოდ მაღალჭერიან ჰოლს, რომელიც სახლს მთელ სიგრძეზე გასდევდა და მის გულად ქცეულიყო, რადგან ყველა დანარჩენ ოთახს მეტ-ნაკლებად პირდაპირ უკავშირდებოდა. ამ ვრცელ ოთახს ცალ მხარეს, მთელ სიგრძეზე, კოშკურის ფანჯრები ანათებდა, რომლებიც კარის ორივე მხარეს პატარა ნიშებს ქმნიდნენ. მეორე მხარეს კი კიდევ უფრო მძლავრი შუქი შემოდიოდა მშვილდივით მორკალული ჰოლის ფანჯრებიდან, რომელთა შესახებაც ძველ წიგნებში ამოგვიკითხავს. ამ ფანჯრებს ნაწილობრივ ფარდები ფარავდა, ხოლო ქვემოთ კი ღრმა და ბალიშებით მოფენილი ჩამოსაჯდომით სრულდებოდა. ერთ-ერთ ბალიშზე უზარმაზარი წიგნი იდო, სავარაუდოდ, „ინგლისის ქრონიკების“ ერთ-ერთი ტომი ან რამე ასეთი ფუნდამენტურ ნაშრომთაგანი. აკი დღესაც ვდებთ ხოლმე მოოქროვილ ტომებს მაგიდის შუაგულში, რათა შემთხვევითმა სტუმრებმა გადაფურცლონ. ჰოლის ავეჯი შედგებოდა რამდენიმე ტლანქი სკამისაგან, რომელთა საზურგეებზედაც გულმოდგინედ გამოეყვანათ ყვავილების თაიგული, ასეთივე ჩუქურთმა მაგიდასაც ამშვენებდა. მთელი ეს ელისაბედისდროინდელი ანდა უფრო ადრინდელი პერიოდის ავეჯი საგვარეულო მემკვიდრეობა გახლდათ და აქ

გუბერნატორის მამაპაპისეული სახლიდან მოხვედრილიყო. მაგიდაზე ძველი კალის კათხა იდგა იმის ნიშნად, რომ მონატრებოდათ ძველი ინგლისური სტუმარმასპინძლობა, რომელიც წარსულად ჯერ კიდევ არ ქცეულიყო. თუკი ჰესტერი ანდა პერლი ამ კათხაში ჩაიჭყეტდნენ, მის ფსკერზე ახლად გამოწრუპული ლუდის ქაფიან კვალს დაინახავდნენ.

კედელზე ეკიდა პორტრეტების მთელი წყება, რომელზეც ბელინგემების საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ გამოსახული, ზოგი მათგანი შეჯავშნული მკერდით, სხვები კი – დიდებული გოფრირებული საყელოებითა და სამშვიდობო მანტიებით. განურჩევლად ყველას სახეზე ეფინა ის პირქუში და მკაცრი გამომეტყველება, რომელიც ასეთი აუცილებელი ჩანს ძველი პორტრეტებისათვის. ამ სურათებზე ისინი კეთილ და ღირსეულ წინაპრებზე მეტად მოჩვენებებს ჰგავდნენ, რომლებიც უკმეხი და შეუწყნარებელი გაკიცხვით ჩამოსცქერიან ცოცხალთა საქმიანობასა და სიამტკბილობას.

მისაღები მუხის პანელებით მოეპირკეთებინათ, რომელთა შუაგულშიც ჯავშნის სრული აღჭურვილობა ეკიდა. ის კი არა, წინაპრებს რომ ემოსათ პორტრეტებზე, არამედ სულ ახალთახალი, რომელიც დიდოსტატი ლონდონელი მეაბჯრის ხელს სწორედ იმ წელს შეექმნა, როდესაც გუბერნატორი ბელინგემი ახალ ინგლისში გადმოსახლდა. აქ ნახავდით ფოლადის მუზარადს, ბექთარს, საყელოს, საბარკულებს, რომელთა ქვემოთაც ფოლადით დაფარული წყვილი ტყავის ხელთათმანი და ხმალი ეკიდა. ყველაფერი ეს, განსაკუთრებით კი მუზარადი და გულსაფარი, ისე გაეპრიალებინათ, რომ თეთრად ელვარებდა და მთელი იატაკი მისი ანარეკლით აციმციმებულიყო. ეს ბრწყინვალე მოკაზმულობა მხოლოდ კაცის თვალის დასატკბობად არ იყო გამოფენილი, გუბერნატორი მას საზეიმო აღლუმებსა და საბრძოლო წვრთნებისას ატარებდა, და უფრო მეტიც, იგი პიკვოტების[1]

[1] ინდიელთა ტომი.

წინააღმდეგ ბრძოლის დროს გზას უნათებდა გუბერნატორის უკან მიმავალ ლეგიონს. ერთ დროს ბელინგემს ვექილის განათლება მიეღო და ხშირად ახსენებდა თავის კოლეგებს – ბეიკონის, კოუკის, ნოისა და ფინჩს[1], თუმცა ახალი ქვეყნის უკიდურესმა საჭიროებებმა იგი არა მხოლოდ სახელმწიფო მოღვაწედ და კანონმდებლად, არამედ ჯარისკაცადაც აქცია.

პატარა პერლი – რომელიც ისევე მოიხიბლა მბზინავი აბჯრით, როგორც სახლის ფასადის ბრჭყვიალით – აბჯრის საგულეში არეკლილი საკუთარი გამოსახულების ცქერით ვერ ძღებოდა.

– დედა, – შესძახა მან, – აი, აქ გხედავ, შეხედე! შეხედე!

ჰესტერი ბავშვის ახირებას დაჰყვა და შეამჩნია, რომ ეს ამოზნექილი ზედაპირის მქონე სარკე განსაკუთრებულად მკვეთრად, გაზვიადებულად და გიგანტური პროპორციებით წარმოაჩენდა ალისფერ დამღას, თითქოსდა ის ჰესტერის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკვთი ყოფილიყო. უკეთ რომ ვთქვათ, ჰესტერი თითქმის აღარ ჩანდა მის უკან. პერლმა ზემოთ აიშვირა ხელი, სადაც მათ მუზარადიც ირეკლავდა და დედას ჩვეული ელფური გამჭრიახობით გაუღიმა. გოგონას ცელქი მხიარულებით განათებული სახე ამ ახალ სარკეშიც გამოჩნდა, თანაც ისე მკაფიოდ და გაწელილად, რომ ჰესტერ პრინს მოეჩვენა, ეს მისი შვილის ანარეკლი კი არა, პერლის სხეულში დამალული ეშმაკი იყო.

– წამომყევი, პერლ, – უთხრა დედამ და შვილი იმ ადგილს მოაშორა, – მოდი, იმ მშვენიერ ბაღში გავიდეთ. შეიძლება იქ ისეთი ყვავილები ვნახოთ, რომელთა მსგავსსაც ტყეში ვერსად წააწყდები.

მის სიტყვაზე პერლმა მართლაც მიირბინა დარბაზის ბოლოში, ერკერთან და შეაცქერდა ბაღს, რომელიც მოკლედ გაკრეჭილი მოლით იყო დაფარული და უხეში და ულაზათო ბუჩქნარით შემოსაზღვრული. ბაღის მესაკუთრეს, როგორც ჩანდა, იმედი გადასწურვოდა და ხელი აეღო ინგლისური გემოვნებისათვის დამახასიათებელი დეკორატიული წალკოტის მოწყობის მცდელობაზე აქ, ატლანტის ოკეანის სანაპიროს მწირ ნიადაგზე, სადაც ადამიანები ლუკმაპურის მოსაპოვებლად მიწასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ. დავაკებულ მხარეს კომბოსტო იზრდებოდა, მოშორებით ფესვგადგმული გოგრის ბარდებს მთელი მინდორი გადაევლოთ და პირდაპირ ჰოლის ფანჯრის ქვეშ გამოესხათ ერთი უზარმაზარი ნაყოფი. თითქოს ბუნება გუბერნატორს აფრთხილებდა, რომ ეს ოქროსფერი ბაღჩეული ერთადერთი მოსართავი გახლდათ, რომელსაც ახალი ინგლისის მიწა მისი ბაღისათვის იმეტებდა. თუმცაღა აქ ასევე ნახავდით რამდენიმე ვარდის ბუჩქსა და ორიოდე ვაშლის ხეს, რომელთა წინაპრებიც ოდესღაც დაურგავს ამ ნახევარკუნძულის პირველ მკვიდრს, ღირს მამა ბლეკსტოუნს, ნახევრადმითოლოგიურ პერსონაჟს, რომელმაც ჩვენს ადრეულ ქრონიკებში ხარის ზურგზე ამხედრებულმა ჩაიქროლა.

პერლმა, რომელიც ვარდების ბუჩქს შესცქეროდა, წითელი ვარდი მოისურვა და ისეთი ტირილი მორთო, დედა ვეღარ აჩუმებდა.

– ჩუმად, შვილო, ჩუმად, – ემუდარებოდა ჰესტერი, – არ იტირო, ძვირფასო პატარა პერლ, ბაღიდან ხმა შემომესმა, გუბერნატორი და მასთან ერთად სხვა ჯენტლმენებიც მოდიან.

მართლაც, ერკერიდან გამოჩნდა რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ბაღის ბილიკს სახლისაკენ მოუყვებოდნენ. პერლმა დედის ჯიბრზე ჯერ შემზარავი კივილი მორთო, მერე კი უცებ გაყუჩდა; არა იმიტომ, რომ მშობლის ალერსმა გაჭრა, არამედ გოგონას მოუსვენარმა ცნობისმოყვარეობამ ახალი პერსონაჟების გამოჩენა იგუმანა.

[1] ცნობილი ინგლისელი სამართალმცოდნეები.

8. მღვდელი და ჭინკა-გოგო

ფართხუნა სამოსსა და ფართო ჩაჩში გამოწყობილი გუბერნატორი ბელინგემი – როგორც უყვართ ხოლმე მოხუცებს შინაურულ და მყუდრო გარემოში გამოჩენა – წინ მოუძღოდა თავის სტუმრებს, მამულს ათვალიერებინებდა მათ და თან მისი კეთილმოწყობის გეგმებს დაწვრილებით უხსნიდა. მოხუცი მმართველის ჭაღარა წვერი ეფინებოდა საგულდაგულოდ გახამებული საყელოს ფართო წრეწირს, მეფე ჯეიმსისდროინდელ ყაიდაზე დაყენებულს, რის გამოც, მისი თავი, ცოტა არ იყოს და იოანე ნათლისმცემლის ლანგარზე შემოდებულ მოჭრილ თავს მიაგავდა. გუბერნატორის გარეგნობა – ასეთი მკაცრი, პირქუში და თითქოს მოახლოებული ზამთრის ასაკისაგან გაყინული – ვერასოდეს გაფიქრებინებდათ, რომ ეს კაცი თავის გარშემო ამქვეყნიური ფუფუნებით სავსე გარემოს შესაქმნელად გამალებით იღვწოდა. ჩვენი მკაცრი წინაპრები, რომლებსაც ადამიანურ ყოფაზე, როგორც დროებით და წარმავალ ფასეულობაზე, ფიქრი და საუბარი სჩვეოდათ და გულწრფელად იყვნენ მზად, რომ არა მხოლოდ მატერიალური სიკეთე, არამედ ცხოვრებაც კი მოვალეობათა აღსრულებისათვის შეეწირათ, უარს არასდროს ამბობდნენ ცხოვრებისაგან შემოთავაზებულ კეთილდღეობასა თუ ფუფუნებაზე. გარნა ასეთი მრწამსი არასოდეს უქადაგია თუნდაც ღირს მამა ჯონ უილსონს, რომლის თოვლივით სპეტაკი წვერიც ახლა გუბერნატორ ბელინგემის მხარსუკან მოჩანდა, ხოლო თავად წვერის მფლობელი კი ირწმუნებოდა, რომ ახალი ინგლისის ჰავა ძალიან მოუხდებოდა მსხალსა და ატამს, შავი ყურძენი კი აუცილებლად იყვავილებდა, თუ ბაღის მზიან გალავანს ააყოლებდნენ. მოხუც მღვდელს, რომელიც ინგლისის მდიდარი ეკლესიის წიაღში გაიზარდა, დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებული და ლეგიტიმური ლტოლვა ჰქონდა ყოველივე საუკეთესოს მიმართ; და რამდენად მკაცრიც არ უნდა მოგჩვენებოდათ იგი კათედრასთან მდგომი, რამდენად დაუნდობლადაც არ უნდა გაეკიცხა სახალხოდ ყველა მანკიერება, მაგალითად, ჰესტერ პრინის შეცოდების მსგავსი, მისი თანდაყოლილი კაცთმოყვარეობა თავისი საწმყსოს უფრო დიდ სიყვარულს მოუპოვებდა, ვიდრე მის მისი წოდების ნებისმიერ სხვა თანამედროვეს.

გუბერნატორსა და ღირს მამას უკან კიდევ ორი სტუმარი მოჰყვებოდა. ერთი – მღვდელი ართურ დიმსდეილი – შეიძლება მკითხველს ახსოვდეს კიდეც, რადგან ჰესტერ პრინის შერცხვენის სცენაში მან თავისი ხანმოკლე როლი არც თუ დიდი ხალისით შეასრულა; მას მხარდამხარ მოჰყვებოდა როჯერ ჩილინგუორთი, მედიცინაში დიდად განსწავლული კაცი და ამავდროულად, დიდი მეგობარი ახალგაზრდა მღვდლისა, რომლის ჯანმრთელობაც ბოლო დროს პასტორალური მოღვაწეობისადმი გადაჭარბებული თავშეწირვით საგრძნობლად შერყეულიყო.

გუბერნატორმა, რომელიც წინ მოუძღოდა სტუმრებს, ორი-სამი საფეხური აიარა და მისაღები დარბაზის უზარმაზარი შემინული კარი გამოაღო თუ არა, პატარა პერლის პირისპირ აღმოჩნდა. ჰესტერ პრინს ფარდის ჩრდილი ეცემოდა და შემომსვლელთა თვალთაგან ნაწილობრივ ფარავდა.

– ეს ვინღაა? – გუბერნატორი ბელინგემი გაოცებით დააცქერდა თავის წინ მდგარ ალისფერ არსებას, – ასეთი ვინმე მას მერე არ მინახავს, რაც ახალგაზრდობისას, როდესაც მეფე ჯეიმსის კარზე ვტრიალებდი, სასახლის მასკარადებზე დასწრე-

ბის პატივი მერგებოდა ხოლმე. იქ დღესასწაულებზე ამგვარი მოჩვენებების მთელი გუნდი გამოდიოდა და ჩვენ მათ ლორდ მისრულის ბავშვებს ვეძახდით. კი მაგრამ, როგორ გაჩნდა ეს საოცარი სტუმარი ჩემს სახლში?

– მართლაც! – წამოიძახა კეთილმა მოხუცმა უილსონმა, – ეს როგორი ალისფერბუმბულიანი ჩიტია? ამგვარ მოჩვენებებს მაშინ ვხედავდი ხოლმე, როდესაც ფერად ვიტრაჟებს მზე ეცემოდა და იატაკზე ოქროსფერსა და მეწამულ გამოსახულებებს ხატავდა. მაგრამ ეს იქ ხდებოდა, ძველ მიწაზე. მითხარი, პატარავ, ვინა ხარ? და რა დამართნია შენს მშობელ დედას, რომ ამგვარ სამოსში გამოუწყვიხარ? ქრისტიანის შვილი ხარ, ჰა? კატეხიზმო იცი? თუ იმ ურჩ ჭინკათა და ფერიათა გვარისა ხარ, რომლებიც გვგონია, რომ კათოლიკეთა სხვა უცნაურობებთან ერთად ჩვენს მხიარულ ძველ ინგლისში უკან მოვიტოვეთ?

– ჩემი დედიკოს შვილი ვარ, – ხმა გაიღო ალისფერმა მოჩვენებამ, – პერლი მქვია.

– პერლი? ლალი უფრო მოგიხდებოდა, ანდა მარჯანი, ან წითელი ვარდი მაინც! – უპასუხა მოხუცმა მღვდელმა და ამაოდ გაიშვირა ხელი, რომ პერლის პაწია ლოყისათვის მოეთათუნებინა, – კი მაგრამ, დედაშენი სადაა? აჰა, ვხედავ! – დაუმატა მან და გუბერნატორ ბელინგემისაკენ შებრუნებულმა ჩასჩურჩულა: – ეს სწორედ ის ბავშვია, რომელზედაც გესაუბრებოდით. და შეხედეთ, ის უბედური ქალი, მისი დედა.

– ნუთუ მართლა? – წამოიძახა გუბერნატორმა, – აკი, უნდა მივმხვდარიყავით, რომ ამ ბავშვის დედა სწორედ ის ალისფერი ქალი იქნებოდა, პირწავარდნილი ბაბილონელი! მაგრამ კარგ დროს კი გამოჩნდა; ახლავე შეგვიძლია ეს საქმე მოვაგვაროთ.

გუბერნატორი ბელინგემი ფანჯარას მოშორდა და შესასვლელში შეაბიჯა, სამივე სტუმარი უკან მიჰყვა.

– ჰესტერ პრინ, – წარმოთქვა მან და თავისი მუდამ მკაცრი მზერა ალისფერი დამღის მფლობელზე შეაჩერა, – ამ ბოლო

დროს შენ მიმართ ბევრი კითხვა გაჩნდა. ბევრს ვმსჯელობთ, რამდენად სუფთაა ჩვენი, ამ ქალაქის მმართველებისა და წინამძღოლების სინდისი, როდესაც ბავშვის უკვდავ სულს შენნაირ გზასაცდენილსა და ამქვეყნიურობის მახეში გაბმულ ქალს ვანდობთ. ხმა ამოიღე, ბავშვის დედავ! როგორ გგონია, განა შენი შვილის ამქვეყნიური თუ სამუდამო ბედნიერებისათვის არ აჯობებს, რომ მოგაშორონ შენ, ჩააცვან სადად, აღზარდონ მკაცრად და მიწიერსა თუ მარადიულ სიბრძნეს აზიარონ? განა შენ რის მიცემა შეგიძლია ამ ბავშვისთვის?

– მე შემიძლია ჩემს პატარა პერლს გადავცე ის ცოდნა, რომელიც ამისგან მივიღე, – თქვა ჰესტერმა და თითი ალისფერ სიმბოლოზე მიიდო.

– ქალო, ეს შენი სირცხვილის ნიშანია! – უპასუხა პირქუშმა მსაჯულმა, – სწორედ იმ ცოდვის გამო, რომლის სახელიც ამ ასოზე იწყება, გვინდა, რომ შენი შვილი უფრო საიმედო ხელს გადავცეთ.

– მიუხედავად ამისა, – თქვა ჰესტერმა მშვიდად, თუმცა ფერი სულ წასვლოდა, – ამ დამღამ მომცა და ყოველდღიურად, აი, ახლაც კი, მაძლევს ცოდნას, რომელიც, თუმცა მე ვეღარაფერს მიშველის, ჩემს შვილს სიბრძნესა და კეთილშობილებას შემატებს.

– ვეცდებით, არ ავჩქარდეთ და ვიდრე რამეს გადავწყვეტთ, ბევრი ვიფიქროთ, – თქვა ბელინგემმა, – კეთილო მისტერ უილსონ, უმორჩილესად გთხოვთ, შეამოწმეთ პერლი, რაკი ასე ჰქვია ამ გოგონას, და მომახსენეთ, აქვს თუ არა მას ჩანერგილი ის ქრისტიანული სათნოებანი, რომელთა ცოდნაც მისი ასაკის ბალღს მოეთხოვება?

მოხუცი მღვდელი სავარძელში ჩაეშვა და სცადა, რომ პერლი თავის მუხლებს შორის მოექცია, მაგრამ ბავშვი, რომელიც მიუჩვეველი იყო უცხო ადამიანების ალერსიან მოპყრობას, ღია კარიდან გასხლტა და აივნის კიბის ზედა საფეხურზე შედგა. იგი

ძალიან ჰგავდა ველურ, ტროპიკულ ჩიტს, რომელსაც ბუმბული ათასფრად უელვარებს და ყოველ წამს შეიძლება ჰაერში აიჭრას. მისტერ უილსონი, რომელიც ყველა ბავშვს საკუთარ ბაბუასავით უყვარდა, ძალიან გააოცა ამგვარმა ურჩობამ, მაგრამ თავისი გამოცდის გაგრძელება მაინც სცადა.

– პერლ, – წამოიწყო მან მშვიდი დიდებულებით, – ყური მიაპყარ ჩემს სიტყვებს და როცა ამისი დრო მოვა, მკერდს ქვეყნად უძვირფასესი მარგალიტი შეგიმკობს. შეგიძლია მითხრა, ჩემო შვილო, ვინ შეგქმნა შენ?

პერლმა შესანიშნავად იცოდა, ვინც შექმნა. ღვთისმოსავი ოჯახიდან გამოსულმა ჰესტერ პრინმა როგორც კი ზეციურ მამაზე ჩამოუგდო საუბარი ბავშვს, შეასწავლა ის ჭეშმარიტებებიც, რომელთაც ადამიანის სული, თუნდაც ჯერ სრულიად მოუმწიფებელი, ცხოველი ინტერესით შეისრუტავს ხოლმე. აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ სამი წლის პერლმა იმდენი რამ იცოდა, რომ დაუბრკოლებლად ჩააბარებდა ახალი ინგლისის დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოსა თუ უესტმინსტერის კატეხიზმოს პირველ წიგნს, თუმცა არც ერთი ამ ღირსშესანიშნავ ნაშრომთაგან თვალითაც არასოდეს ეხილა. მაგრამ იმ ურჩობამ, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველა ბავშვს ახასიათებს და რომელიც პატარა პერლს ათმაგი დოზით ჰქონდა, ახლა, ყველაზე უფრო შეუფერებელ მომენტში, იჩინა თავი. მან მთლიანად შეიპყრო გოგონას არსება და აიძულებდა მცდარად ეპასუხა მღვდლისათვის ანდა სულაც არ ამოეღო ხმა. მერე პირზე ხელი აიფარა და საკმაოდ უხეშად ეურჩებოდა კეთილ მისტერ უილსონს, ბოლოს კი გამოაცხადა, რომ არავისაც არ შეუქმნა და დედამ იმ ველური ვარდის ბუჩქიდან მოწყვიტა, რომელიც ციხის კარიბჭესთან იზრდება.

ეს უცნაური პასუხი, ალბათ, უკარნახა გუბერნატორის წითელმა ვარდებმა, რომელთაც იმ წუთს უყურებდა ანდა გაახსენდა ციხის კართან აყვავებული ბუჩქი, რომელსაც აქ მოსვლისას ჩამოუარა დედასთან ერთად.

როჯერ ჩილინგუორთმა გაიღიმა და ახალგაზრდა მღვდელს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, ჰესტერ პრინმა სწავლულს გადახედა და ახლაც კი, როდესაც მისი ბედი სასწორზე იდო, შეაშფოთა იმისმა დანახვამ, თუ როგორც გადასხვაფერებოდა კაცს ნაკვთები: როგორ დაუშნოებულიყო, როგორ ჩაშავებოდა ისედაც მუქი პირისკანი, როგორ დაღრეცოდა ტანი იმ დღის მერე, რაც ერთმანეთს ასე გულახდილად ესაუბრნენ. მათი თვალები წამიერად შეხვდნენ, თუმცა ქალის ყურადღება მაშინვე განვითარებულმა მოვლენებმა მიიპყრო.

– რა საშინელებაა! – იყვირა გუბერნატორმა მას შემდეგ, რაც პერლის პასუხისაგან მოგვრილი გაოგნებისაგან გამოერკვა, – ეს ბავშვი უკვე სამი წლისაა და ისიც კი არ იცის, თუ ვინ მოავლინა ამქვეყნად! ეჭვი არ არის, რომ ასეთივე ბურუსითაა ავსებული მისი სული, ამჟამინდელი ცოდვილიანი ყოფა და მომავალიც. მგონი, ჯენტლმენებო, კითხვების დასმას აზრი აღარა აქვს!

ჰესტერმა პერლს ხელი ჩაავლო, გულში მაგრად ჩაიკრა და მოხუც პურიტან მსაჯულს მრისხანე გამომეტყველებით გადაუდგა წინ. ქვეყნიერებასთან დაპირისპირებულს, მისგან მოკვეთილს, თავისი ერთადერთი საგანძური, თავისი სიცოცხლის აზრი ეჭირა ხელში და იგრძნო, რომ მთელი სამყაროც ვერ გადაუდგებოდა წინ – ამ გოგონას გვერდით ყოფნა მისი უფლება იყო და მას სიცოცხლის ფასადაც არ დათმობდა.

– ღმერთმა მომცა ეს ბავშვი, – იყვირა მან, – მან მომცა ყველაფერი იმის სანაცვლოდ, რაც წამართვა. ის არის ჩემი ბედნიერება! ის არის ჩემი სატანჯველიც! პერლიღა მაკავშირებს ამ ცხოვრებასთან! პერლივეა ჩემი სასჯელიც! ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ისიც ალისფერი დამღაა, ოღონდ ისეთი, რომ მიყვარს და ამიტომაც ათასჯერ მეტი ძალით შეუძლია მომიზღას ჩემი ცოდვებისათვის. ვერ წაიყვანთ! ჯერ მე მოვკვდები!

– საბრალო ქალო! – თქვა გულკეთილმა მოხუცმა მღვდელმა, – ამ ბავშვს ძალიან კარგად მოუვლიან. შენზე ბევრად უკეთესად.

– ღმერთმა მასზე მზრუნველობა მე დამაკისრა, – გაიმეორა ჰესტერ პრინმა ხმით, რომელიც უკვე კივილში გადადიოდა, – არ დაგანებებთ! – და ამ დროს, უეცარი იმპულსის კარნახით, მიუტრიალდა ახალგაზრდა მღვდელს, მისტერ დიმსდეილს, რომლის არსებობაც აქამდე თითქოს არც შეუნიშნავს: – დამიცავი! – უყვირა ქალმა, – შენ იყავი ჩემი მოძღვარი, შენ გებარა ჩემი სული და ამ კაცებზე ბევრად უკეთესად მიცნობ! დამიცავი! შენ იცი, შენ გესმის ის, რასაც ეს კაცები ვერასოდეს გაიგებენ. შენ იცი, რა ტრიალებს ჩემს გულში, რისი უფლება აქვთ დედებს და როგორ ცხოველდება მათი გრძნობები, როდესაც აღარაფერი გააჩნიათ შვილისა და ალისფერი დამღის გარდა! მიშველე რამე! ბავშვს ვერ დავკარგავ! მიშველე რამე!

ამ ველური და უჩვეულო მიმართვის შემდეგ, რომელიც ცხადჰყოფდა, რომ ამ ვითარებამ ლამის სიგიჟემდე მიიყვანა ჰესტერ პრინი, ახალგაზრდა მღვდელი წინ წამოდგა, იგი გაფითრებულიყო და გულზე ხელი მიეჭირა, რაც უტყუარი ნიშანი იყო იმისა, რომ მის უჩვეულოდ მგრძნობიარე ბუნებას მშფოთვარება დაუფლებოდა. ახლა იგი უფრო გაცრეცილი და გაძვალტყავებული ჩანდა, ვიდრე ჰესტერის სახალხო დამცირების ცერემონიალზე. და შერყეული ჯანმრთელობისა თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო მისი დიდი შავი თვალების გატაჯულსა და ნაღვლიან სიღრმეში სამყაროსოდენა ტკივილი გაჩენილიყო.

– მართალს ამბობს ეს ქალი, – წამოიწყო მღვდელმა ტკბილი და მთრთოლვარე ხმით, რომელიც, ამავდროულად, ისე ძლიერად გაისმა, რომ დარბაზმა ექო გამოსცა და ფუტურო ჯავშანი აჟღრიალდა, – ჭეშმარიტია ისიც, რასაც ჰესტერი ამბობს და ის გრძნობებიც, რომლებმაც მას ეს სიტყვები შთააგონა. ღმერთმა უბოძა ეს ბავშვი და მასთან ერთად უბოძა მისი უჩვეულო

ბუნებისა და მოთხოვნილებების გამოცნობის ალღოც, რომელიც მის გარდა არც ერთ მოკვდავს არ გააჩნია. მეტსაც გეტყვით, განა საოცრად წმინდა არ არის კავშირი, რომელიც ამ დედასა და მის შვილს შორის სუფევს?

– ეს როგორ, კეთილო მისტერ დიმსდეილ? – შეაწყვეტინა გუბერნატორმა, – აგვიხსენი, რას გულისხმობ.

– ბავშვი ამ ქალთან უნდა დარჩეს! – განაგრძო მღვდელმა, – სხვაგვარად გამოვა, რომ ზეციური მამა, ყველა სულიერის შემოქმედი, ვერ ხვდება ამ ქალის ცოდვის სიმძიმეს და ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავს უწმინდურ სიძვასა და წმინდა სიყვარულს შორის. ეს ბავშვი, თავისი მამის დანაშაულისა და დედის სირცხვილის ნაყოფი, ღვთის ხელმა იმიტომ შექმნა, რომ ძლიერად შეცვალოს გული მშობლისა, რომელიც წეღან ასე წრფელად, ასეთი ტკივილით გვევედრებოდა, მისთვის შვილი შეგვენარჩუნებინა. იგი წყალობად გაჩნდა, დედის ცხოვრების ერთადერთ წყალობად და მის დასასჯელადაც; ტანჯვად, რომელსაც ერთი წუთითაც ვერ დაივიწყებს; მისი დაბადებით მოგვრილი სიხარულის სიღრმეში ტკივილის ნესტარი, მარადიული განსაცდელი იმალება. და ეს ყველაფერი დედამისმა მის ტანსაცმელშიც ჩააქსოვა, რაკიღა ბავშვი ასე დაამგვანა თავის მკერდზე ამოქარგულ ალისფერ სიმბოლოს.

– მართლაც კარგი ნათქვამია, – წამოიძახა კეთილმა მისტერ უილსონმა, – მე კი ვშიშობდი, რომ ამ ქალს საკუთარი შვილის მასხარასთვის დამსგავსება სურდა.

– არა! სულაც არა! – წამოიძახა მისტერ დიმსდეილმა, – დამერწმუნეთ, იგი ხვდება იმ დიდებულ სასწაულს, რომელიც ღმერთმა ამ ბავშვის სახით მოუვლინა. და იმასაც უნდა გრძნობდეს, დარწმუნებული ვარ, გრძნობს კიდეც, რომ ღმერთმა ეს სიკეთე სულის გადასარჩენად უბოძა. ასე დაიხსნა იგი ცოდვის შავბნელი უფსკრულისაგან, რომელშიც სატანა უპირებდა ჩათრევას. ამიტომაცაა ღვთის წყალობა ამ საბრალო, ცოდვილი ქა-

ლისათვის, რომ მის მზრუნველობას მინდობილია უკვდავი სუ-
ლის პატარა არსება, პატარა ადამიანი, რომელსაც მარადიული
სიხარულისა და მწუხარების შეგრძნება შეუძლია. იგი ყოველ
წუთს გაახსენებს საკუთარ დაცემას და ამასთანავე, გაახსენებს
ღვთის იდუმალ დაპირებასაც, რომ, თუ ბავშვს ზეცის შვილად
აღზრდის, მაშინ ბავშვიც ზეცამდე აამაღლებს მას. ამით ცოდ-
ვილი დედა ცოდვილ მამაზე ბედნიერია! ჰესტერის გულისთვის
და უფრო მეტად საბრალო ბავშვის გულისთვის, მოდით, ყვე-
ლაფერი ისე დავტოვოთ, როგორც ღვთის განგებამ ინება და
მოაწყო!

– როგორი მტკიცე რწმენით საუბრობთ, ჩემო მეგობარო, –
გაუღიმა მღვდელს მოხუცმა როჯერ ჩილინგუორთმა.

– მართლაც საოცრად დამაჯერებელია ჩემი უმცროსი ძმის
სიტყვები, – შეაშველა ღირსმა მამა უილსონმა, – რას იტყვით,
პატივცემულო მისტერ ბელინგემ? განა კარგად არ შემოგვავე-
დრა ამ საბრალო ქალის თავი?

– ნამდვილად, – მიუგო მსაჯულმა, – დამარწმუნა, რომ ყვე-
ლაფერი ისევე დავტოვოთ, როგორც ახლაა. ყოველ შემთხვევაში
იმდენ ხანს მაინც, ვიდრე ამ ქალთან დაკავშირებით ისევ არ
ატყდება მითქმა-მოთქმა. მიუხედავად ამისა, უნდა ვიზრუნოთ,
რომ თქვენი თუ მისტერ დიმსდეილის მეთვალყურეობით ამ
ბავშვმა კატეხიზმო გულდასმით შეასწავლოს. გარდა ამისა,
როდესაც ამისი დრო მოვა, ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ,
რომ გოგონამ სკოლაში და წირვაზე იაროს.

მას შემდეგ, რაც ლაპარაკი დაასრულა, ახალგაზრდა მღვდე-
ლი რამდენიმე ნაბიჯით მოშორდა თანამოსაუბრეებს და ისე
დადგა, რომ ფარდის მძიმე ნაკეცები სახეს ნაწილობრივ უფა-
რავდა, თუმცა წეღანდელი მგზნებარე გამოსვლის მერე იატაკზე
განრთხმული მისი ჩრდილი ჯერ კიდევ ცახცახებდა. პერლი, ეს
ველური და ახირებული პატარა ჭინკა, ფეხაკრეფით გაემართა
მისკენ, მღვდლის ხელი თავის პატარა ხელებში მოიმწყვდია და

ზედ ლოყა ჩამოაყრდნო, ისეთი ნაზი ალერსით და ამასთანავე,
ისეთი მოკრძალებით, რომ გაოცებულმა დედამისმა საკუთარ
თავს ჰკითხა, ნუთუ ეს მართლა ჩემი პატარა პერლიაო. ჰეს-
ტერმა იცოდა, რომ მისი შვილის გული სიყვარულით იყო სავსე,
მაგრამ იგი თითქმის ყოველთვის ვნებათაღელვით გამოიხატე-
ბოდა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში ამგვარი სინაზით
მხოლოდ ორიოდეჯერ თუ ჩამტკბარა. თუკი არ ჩავთვლით წყა-
ლობას ქალისა, რომელსაც დიდი ხანია ველტვოდით, ამქვეყნად
არაფერია ბავშვისგან გამოხატულ კეთილგანწყობაზე ტკბილი,
იგი სულიერი ინსტინქტის სპონტანური გამოხატულებაა და გვი-
დასტურებს, რომ ჩვენშიც არის რაღაც ნამდვილად სიყვარუ-
ლის ღირსი. მღვდელმა გარშემო მიმოიხედა, ბავშვს თავზე ხელი
დაადო, ერთწამს შეყოყმანდა, მერე კი შუბლზე აკოცა. პატარა
პერლის უჩვეულო მგრძნობიარობა დიდხანს აღარ გაგრძელებუ-
ლა. გოგონამ გაიცინა და დარბაზში ისე ჰაეროვნად გაინავარდა,
მოხუცი მისტერ უილსონი დაეჭვდა, ნეტავ ფეხისწვერებით ია-
ტაკს მართლა თუ ეხებაო.

– თავს დავდებ, ეს კუდრაჭა პატარა ჯადოქარია, – უთხრა
მან მისტერ დიმსდეილს, – და ბებერი კუდიანივით არც ცოცხი
სჭირდება, რომ გაფრინდეს.

– უცნაური ბავშვია! – შენიშნა მოხუცმა როჯერ ჩილინ-
გუორთმა, – მასში დედამისის ბუნების ამოცნობა იოლია. რას
მეტყვით, ჯენტლმენებო, არსებობს ფილოსოფიური კანონი,
რომლის მიხედვითაც, ბავშვის ხასიათის გაანალიზებითა და მისი
ბუნებისა და ყაიდის გათვალისწინებით, შევძლებთ მეტ-ნაკლები
სიზუსტით დავადგინოთ, ვინაა მისი მამა?

– არამც და არამც. ცოდვას ჩავიდენთ, თუკი ასეთ საკითხში
მკრეხელური ფილოსოფიის ძაფს მივჰყვებით, – თქვა მისტერ
უილსონმა, – აჯობებს, თუ ვიმარხულებთ და ვილოცებთ. ხოლო
კიდევ უკეთესი იქნება, თუკი ამ საიდუმლოს არც შევეხებით,
ვიდრე თავად განგების ძალა არ ინდომებს მის გამჟღავნებას.

მანამდე კი ყველა ქრისტიანი კაცის მოვალეობაა, რომ მცირე-
დი მამობრივი გულმოწყალება მაინც უჩვენოს ამ საბრალო, მი-
ტოვებულ ბავშვს.

ეს საკითხი ასე ბრძნულად გადაწყდა და ჰესტერ პრინიც
პერლთან ერთად სახლისაკენ გაეშურა. ამბობენ, როდესაც ისინი
კიბეზე ჩადიოდნენ, ერთ-ერთი საძინებლის დარაბა გაიღო და
მზეზე მისტრეს ჰიბინსის სახე გამოჩნდა. ეს გახლდათ გუბერ-
ნატორ ბელინგემის გულფიცხი და, რომელიც რამდენიმე წლის
შემდეგ კუდიანობისათვის დასაჯეს.

– სსს, სსსს, – დაუსისინა მან ჰესტერს და მისმა შიშისმომ-
გვრელმა ცხვირ-პირმა ახალი სახლის ელვარება თითქოს ჩაა-
ჟამა, – წამოხვალ ჩვენთან ერთად ამაღამ? მხიარული კომპანია
ვიკრიბებით ტყეში. რქიან ბატონს შევპირდი, კოხტა ჰესტერ
პრინიც შემოგვიერთდება-მეთქი.

– თუ შეიძლება, ჩემი მობოდიშება გადაეცით, – მიუგო ჰეს-
ტერ პრინმა გამარჯვებულის ღიმილით, – ამაღამ შინ უნდა
დავრჩე და ჩემს პატარა პერლს მივხედო, მაგრამ, რომ წაერთმი-
ათ, ჩემი ნებით წამოგყვებოდი ტყეში და ჩემს სახელს სისხლით
აღვბეჭდავდი რქიანი ბატონის დავთარში.

– ერთ დღესაც ჩვენი გახდები, – თქვა შუბლშეჭმუხვნილმა
კუდიანმა დედაბერმა და კვლავ ოთახში შერგო თავი.

თუ წარმოვიდგენთ, რომ მისტრეს ჰიბინსისა და ჰესტერ
პრინის ეს მასლაათი სინამდვილეში სინამდვილე იყო და არა
ალეგორია, იგი კიდევ ერთხელ დაადასტურებდა ჭეშმარიტებას
ახალგაზრდა მღვდლის სიტყვებისა, რომ ჯაჭვები დაცემულ დე-
დასა და მისი ცოდვის ნაყოფს შორის არავითარ შემთხვევაში არ
უნდა გაწყვეტილიყო. ასე მცირე ასაკშიც კი მოახერხა შვილმა,
რომ მშობელი სატანის მახისგან ეხსნა.

9. მკურნალი

ჩვენს მკითხველს ემახსოვრება, რომ როჯერ ჩილინგუორ-
თის მიღმა სულ სხვა სახელი იმალებოდა, რომლის გახსენებაც
მის ყოფილ მფლობელს აღარ სურდა. უკვე გიამბეთ, როგორ
იდგა ჰესტერ პრინის სახალხო შერცხვენის მაყურებელთა ბრბო-
ში ერთი კაცი, ხანშიშესული და მგზავრობისაგან გალახული;
ამ კაცმა სახიფათო უღრანებს დააღწია თავი, რათა ქალი, რო-
მელთანაც ოჯახური სითბოსა და სიმყუდროვის პოვნა სურდა,
ხალხის წინაშე განსხეულებულ ცოდვად წარმდგარი ეხილა;
ეხილა, როგორ ქელავდა მის ქალურ ღირსებას ათასი მამრის
ფეხი; ესმინა, როგორ აეღო ყბად მისი შელახული სახელი მთელ
ბაზრის მოედანს. თუ ოდესმე ამ შერცხვენის ამბავი ქალის ნა-
თესავებისა და ძველი მეგობრების ყურამდე მივიდოდა, ყვე-
ლას სახადივით გადაედებოდა იგი და მით უფრო მეტად გაის-
ვრებოდა, რაც უფრო ახლო და წმინდა კავშირი ჰქონდა ადრე
ბრალეულთან. ჰოდა, რაკიღა არჩევანიც მასზე იყო, რა რჯიდა
კაცს, რომელსაც დაცემულ ქალთან ამქვეყნად ყველაზე ახლო
და ყველაზე წმინდა ურთიერთობა აკავშირებდა, ხალხის წინაშე
წარმდგარიყო და ამ არცთუ შესაშურ მემკვიდრეობაზე თავი-
სი უფლების მტკიცებას მოჰყოლოდა? არც არაფერი. ამიტომაც
ამჯობინა, რომ სამარცხვინო ბოძზე ყოფილი ცოლის გვერდით

არ გამოჩენილიყო. რაკი ჰესტერ პრინის გარდა, ყველასთვის უცნობად რჩებოდა და რაკიღა ქალის პირზე დადებული კლიტის გასაღებიც საკუთარ ხელში ეგულებოდა, კაცმა გადაწყვიტა, რომ თავისი ნამდვილი სახელი ადამიანთა მოდგმის სიიდან ამოეშალა, ძველი კავშირები და ინტერესები დაევიწყებინა და სამყაროდან ისე უკვალოდ გამქრალიყო, თითქოსდა მართლა იმ ოკეანის ფსკერზე იწვა, სადაც ადამიანების ენამ დიდი ხნის წინ მიუჩინა ბინა. როცა საბოლოოდ მიიღო ეს გადაწყვეტილება, მის გონებაში უკვე ახალი ინტერესები და ახალი მიზანი გაჩნდა. მართალია, ისინი არამხოლოდ შავბნელი, არამედ დანაშაულებრივიც კი იყო, მაგრამ იმდენად ძლიერი, რომ კაცის მთელი შესაძლებლობები ერთ მხარეს მიმართა.

თავისი ახალი მიზნის აღსასრულებლად მან როჯერ ჩილინგუორთი დაირქვა და ბინა პურიტანთა ქალაქში დაიდო, სადაც, გარდა უჩვეულო განსწავლულობისა და გონიერებისა, თავი არაფრით გამოუჩენია. ცხოვრების წინა პერიოდში უამრავი სამედიცინო ნაშრომი წაეკითხა და ამ დარგის იმდროინდელ მიღწევებსაც ზედმიწევნით კარგად იცნობდა, ამიტომაც ქალაქს ექიმად წარუდგა და ქალაქმაც გულღიად მიიღო. გამოცდილი კაცი, მედიცინასა და ქირურგიაში განსწავლული, იშვიათი ხილი იყო კოლონიაში. ჩვეულებრივ, ამ ხელობის ადამიანებს იშვიათად ახასიათებთ ხოლმე ის რელიგიური ფანატიზმი, რომელმაც დანარჩენ იმიგრანტებს ოკეანის გადმოცურვა შეაძლებინა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ადამიანის სხეულის კვლევისას ექიმებს უფრო მახვილი და ფაქიზი აღღო უვითარდებათ და ისე იკარგებიან ამ სასწაულებრივი მექანიზმის ლაბირინთებში, რომელიც დიდი ხელოვნებითაა შექმნილი და საკუთარ თავში მთელი სამყაროს სიცოცხლეს იტევს, რომ არსებობის სულიერი მხარე აღარც აინტერესებთ. ასე იყო თუ ისე, აქამომდე მთელი ბოსტონის ჯანმრთელობას, თუკი მედიცინას ჯანმრთელობასთან რამე ხელი

აქვს, ერთი დიაკვანი, ასაკოვანი აფთიაქარი, მეთვალყურეობდა, რომელსაც თავის მოწონება უფრო ღვთისმოსაობითა და დიდებული შესახედაობით შეეძლო, ვიდრე რაიმე დიპლომისმაგვარი საბუთით. ხოლო ქალაქის ერთადერთი ქირურგი კი იყო კაცი, რომელიც ამ საპატიო ხელობას სამართებლის ყოველდღიურ და ოსტატურ ხმარებას უთავსებდა. რაღა თქმა უნდა, რომ მკურნალთა ამ დასისათვის როჯერ ჩილინგუორთი შესანიშნავი შენაძენი იქნებოდა. მან შეძლო მალე გამოემჟღავნებინა თავისი განსწავლულობა უძველესი მედიცინის რთულსა და მოსაწყენ სფეროში, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერ უბრალო წამალს იმდენი იშვიათი და არაერთგვაროვანი ინგრედიენტი და მათი ისეთი საგულდაგულოდ შეზავება სჭირდება, თითქოს სიცოცხლის ელექსირი ყოფილიყოს. გარდა ამისა, როჯერ ჩილინგუორთმა ინდიელებთან ტყვედ ყოფნისას ადგილობრივი ბალახისა და მცენარეების გამოყენების სასარგებლო ცოდნაც შეითვისა და თავისი პაციენტებისათვის არც დაუმალავს, რომ ამ უბრალო, ბუნებისაგან ველურებისათვის ნაწყალობევ წამლებს უფრო ენდობოდა, ვიდრე ევროპელი ექიმების მიერ საუკუნეების განმავლობაში შედგენილ ფარმაკოპეას.

ეს უცხო კაცი, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც, სამაგალითო რელიგიურობით გამოირჩეოდა და ჩამოსვლიდან სულ მცირე ხანში თავისი სული ღირს მამა ართურ დიმსდეილს მიაბარა – ახალგაზრდა ღვთისმეტყველს, შესანიშნავ სწავლულს, რომლის სახელი ჯერაც არ დავიწყებოდათ ოქსფორდში და რომელიც მისი ყველაზე გულმხურვალე თაყვანისმცემლების თვალში ლამის ქრისტეს მოწაფეებს ემსგავსებოდა, რადგან ყველა თანხმდებოდა, რომ, თუკი მღვდელს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ჩვეულებრივი პირობები ექნებოდა, მასაჩუსეტსის ახლადფეხადგმული ეკლესიისათვის იმდენივეს გააკეთებდა, რამდენსაც წმინდა მამები იქმოდნენ ქრისტიანობისათვის ამ რელიგიის

ჩვილობის პერიოდში. მაგრამ, სამწუხაროდ, მისტერ დიმსდეილის ჯანმრთელობა გვარიანად შერყეოდა. ისინი, ვინც ყველაზე უკეთ იცნობდნენ მღვდლის ცხოვრების წესს, მის ღაწვებზე დაფენილ სიფითრეს ახალგაზრდა კაცის გადაჭარბებული სიბეჯითით ხსნიდნენ: იგი თავს აკლავდა სწავლას, მეტისმეტი გულმოდგინებით ეკიდებოდა საკუთარ მოვალეობას მრევლის წინაშე; ყველაზე მეტად კი ჯანმრთელობას მარხვებითა და მუდმივი მღვიძარებით იზიანებდა, რასაც ბოლო დროს ძალიან მოუხშირა, რათა ამქვეყნიური ყოფის ამაოებას მისი სულიერი გაბრწყინება არ დაებრკოლებინა და დაეჩრდილა. მრევლს სჯეროდა, რომ თუკი მისტერ დიმსდეილი მართლაც კვდებოდა, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ სამყარო მისი ღირსი არ იყო. თავად მოძღვარი კი თანდაყოლილი თავმდაბლობით ამტკიცებდა, რომ თუკი ღმერთს მისი ამქვეყნიდან მოშორება განეზრახა, ესე იგი, ღირსი არ იყო შეესრულებინა ის მოკრძალებული მისია, რომელიც დედამიწაზე დააკისრეს. არავინ იცოდა ზუსტად, რამ გამოიწვია პასტორის ჯანის დასუსტება, მაგრამ ყველა ხედავდა შედეგს: მღვდელს სხეული ჩამოუხმა, მის ჯერაც ტკბილსა და მჟღერ ხმას კი ხრწნის სევდისმომგრელი ნოტები შეეპარა. ხშირად შეუმჩნევიათ, რომ ყველა მცირე მღელვარებისა თუ სხვა მოულოდნელი შემთხვევის დროს, გულზე ხელს იტაცებდა, სახეზე ჯერ სისხლი მოაწვებოდა, მერე კი ტკივილის გამომხატველი სიფითრე მოეფინებოდა ხოლმე.

ამგვარი გახლდათ ახალგაზრდა მღვდლის მდგომარეობა და ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ მისი მიმქრალი მზე სადაც იყო უდროოდ ჩაესვენებოდა, რომ ქალაქში როჯერ ჩილინგუორთი გამოჩნდა. ცოტამ თუ იცოდა, საიდან მოევლინათ იგი, ციდან ჩამოვარდა თუ ქვესკნელიდან აღმოცენდა, ამ ყველაფერს იდუმალების ელფერი დაჰკრავდა, რაც ხალხის თვალში ასე ძალიან ჰგავს სასწაულს. როჯერ ჩილინგუორთი განსწავლული კაცის

შთაბეჭდილებას ტოვებდა, არაერთხელ შეუმჩნევიათ, როგორ აგროვებდა მცენარეებსა და ველური ყვავილების კოკრებს, როგორ თხრიდა ფესვებს და ამტვრევდა ხის ტოტებს ჩვეულებრივი მოკვდავისათვის მიუწვდომელ საიდუმლოებებს ნაზიარები ადამიანის გამომეტყველებით. სმენიათ, როგორ მოიხსენიებდა სერ კენელმ დიგბისა და სხვა ცნობილ ადამიანებს – რომელთა სამეცნიერო მიღწევებსაც ლამის ზებუნებრივს უწოდებდნენ – თავის კოლეგებად, რომლებთანაც მიმოწერა ჰქონდა გაჩაღებული. რა ესაქმებოდა ამ მივიწყებულ ადგილას კაცს, რომელსაც განათლებულ სამყაროში ამხელა წონა ჰქონდა? რას ეძებდა ამ ველურ მხარეთში ის, ვისი ასპარეზიც დიდი ქალაქები უნდა ყოფილიყო? ამ გამოცანის პასუხად გავრცელდა ჭორი – რომელიც, მიუხედავად თავისი აბსურდულობისა, საკმაოდ გონიერ ადამიანებსაც დაუჯდათ ჭკუაში – რომ ღმერთმა სასწაული მოუვლინა დედამიწას, ეს გამოჩენილი მედიცინის დოქტორი გერმანული უნივერსიტეტიდან ცად აამაღლა, ჰაერში აფრინა და მიწაზე პირდაპირ პასტორ დიმსდეილის კაბინეტის კართან ჩამოსვა. უფრო ჭკუადამჯდარი ადამიანებიც კი, რომლებმაც დიახაც უწყოდნენ, რომ ღმერთი თავის ნებას თეატრალური ეფექტების გარეშე ამცნობს სამყაროს, ექიმ ჩილინგუორთის ამ დროულ გამოჩენას ზებუნებრივ ჩარევას მიაწერდნენ.

ამ მოსაზრებას მხარს უმაგრებდა ის განსაკუთრებული ინტერესიც, რომელსაც ექიმი ახალგაზრდა მღვდლის მიმართ მუდმივად ამჟღავნებდა. მან არა მხოლოდ თავის სულიერ მამად აირჩია მისტერ დიმსდეილი, არამედ ცდილობდა ამ ბუნებით თავშეკავებული და მგრძნობიარე კაცის მეგობრული კეთილგანწყობა და ნდობა მოეპოვებინა. იგი დიდ შეშფოთებას გამოხატავდა პასტორის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და ილტვოდა, რომ მისი მკურნალობის უფლება მოეპოვებინა, ირწმუნებოდა, რომ, რაც უფრო ადრე მოჰკიდებდა ხელს ამ საქმეს,

მით უფრო იოლად მიაღწევდა სასურველ შედეგს. ქალაქის უხუცესები, დიაკვნები, მისტერ დიმსდეილის მრევლის პატივცემული მატრონები და ახალგაზრდა და მშვენიერი მანდილოსნები ერთსულოვანი დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ მღვდელს ექიმის შემოთავაზებული სამსახურით ესარგებლა. მისტერ დიმსდეილი ფრთხილად იგერიებდა მათ.

– არ მჭირდება წამალი, – ამბობდა იგი.

მაგრამ, აბა, როგორ არ სჭირდებოდა, როდესაც ყოველი შთამაგონებელი კვირადღის შემდეგ ლოყები სულ უფრო უფითრდებოდა და უცვივდებოდა, ხოლო ხმა კი უწინდელზე მეტად უკანკალებდა. ნუთუ რჯულზე უმტკიცეს ჩვეულებად არ ექცა გულზე ხელის მიდება? ნუთუ თავისმა მოღვაწეობამ დაასუსტა? ნუთუ სიკვდილს მიესწრაფოდა? ამ კითხვებით ხშირად აწუხებდნენ ხოლმე მისტერ დიმსდეილს ბოსტონელი მღვდელთმთავრები და მისი ეკლესიის დიაკვნები. ისინი, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამუნათებდნენ“ სნეულს, რომ ცოდვას ჩადიოდა, როცა ღვთის მიერ ასე აშკარად გამოწვდილ დახმარების ხელს საკუთარს არ აგებებდა. მისტერ დიმსდეილი მდუმარედ უსმენდა მათ და ბოლოს დაჰპირდათ, რომ მკურნალს ინახულებდა.

– თუკი ღმერთს ასე სურს, ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემს ტანჯვა-წამებას, ჩემს ნაღველს, ცოდვებსა და ტკივილებს ჩემთან ერთად მოეღებათ ბოლო, – უთხრა ღირსმა მამა დიმსდეილმა მოხუც როჯერ ჩილინგუორთს, როდესაც, შეპირების თანახმად, პროფესიული რჩევების მისაღებად ესტუმრა, – რაც მათგან მიწიერია, ჩემს გვამთან ერთად დაიმარხება მიწაში, რაც მარადიულია – იმქვეყნიურ სამყოფელში გაჰყვება ჩემს სულს. ამაოდ ირჯებით ჩემ გამო.

– აჰ, – უპასუხა როჯერ ჩილინგუორთმა იმ წყნარი ტონით, რომელიც თანდაყოლილი იყო თუ გამომუშავებული, მისი პიროვნების განუყოფელ ნაწილად ქცეულიყო, – ახალგაზრდა

ღვთისმოსავის ბუნებას სწორედ ამგვარი აზრები შეეფერება. ჭაბუკს, რომელსაც სააქაოში ჯერ კიდევ ღრმად არ გაუდგამს ფესვები, სიცოცხლის ტვირთთან განშორება ეადვილება. წმინდანი, რომელიც დედამიწაზეც კი ღმერთშემოსილი დააბიჯებს, სიხარულით გარდაიცვლება, რათა იმქვეყნად მაცხოვართან ერთად ახალი იერუსალიმის ოქროს ქვაფენილზე ისეირნოს.

– ო, არა, – მიუგო ახალგაზრდა მღვდელმა, გულზე ხელი მიიდო და შუბლზე ტკივილის ალმურმა გადაუარა, – იქ მოხვედრის ღირსად რომ მიმაჩნდეს თავი, ამქვეყნიური შრომაც მეტ სიხარულს მომანიჭებდა.

– საუკეთესო ადამიანები მუდამ მკაცრად განიკითხავენ საკუთარ თავს, – მიუგო მკურნალმა.

ამგვარად იქცა იდუმალებით მოსილი მოხუცი ჩილინგუორთი ღირსი მამა დიმსდეილის სამედიცინო მრჩევლად. ვინაიდან ექიმს მხოლოდ პაციენტის დაავადება არ აინტერესებდა, არამედ მისი ხასიათისა და ჩვევების შესწავლის ძლიერი სურვილიც ამოძრავებდა, ამ ორმა კაცმა, ასაკით ასე განსხვავებულმა, თანდათან ერთად დიდი დროის გატარება დაიწყო. მოუხშირეს ზღვისპირას ანდა ტყეში ხანგრძლივ სეირნობებს, რაც მღვდლის ჯანმრთელობასაც რგებდა და ექიმსაც სამკურნალო მცენარეების შეგროვების საშუალებას აძლევდა; მათი საუბრები ათას სხვადასხვა თემაზე ტალღების დგაფუნს ანდა ხის კენწეროებში ქარის მოზეიმე ღიღინს ერთვოდა. ამასთანავე, არცთუ იშვიათად, ერთ-ერთი მათგანი მეორეს სამუშაო თუ დასასვენებელ ადგილზე ესტუმრებოდა ხოლმე. ამ მეცნიერ კაცთან სიახლოვე მღვდელს აჯადოებდა, რადგან ხედავდა, რომ მისი მახვილი და განვითარებული გონება არანაირ ჩარჩოებს არ ემორჩილებოდა და იმგვარი მრავალფეროვანი და თავისუფალი აზროვნებით გამოირჩეოდა, როგორსაც მღვდელი თავისი წოდების კაცთა შორის ამაოდ ეძებდა. სიმართლე გითხრათ, მისტერ დიმსდეილს

არა მხოლოდ აცბუნებდა, თავზარსაც სცემდა მკურნალის ეს ღირსებები, რაკიღა თავად ჭეშმარიტი ღვთისმეტყველი იყო, ჭეშმარიტი მორწმუნე, რელიგიის მიმართ მოწიწებას მის გულში ღრმად გაედგა ფესვები და გონებასაც გამეტებით აიძულებდა, რწმენის გზაზე მორჩილად მდგარიყო და დროთა განმავლობაში სულ უფრო ერთგულად გაჰყოლოდა მას. დიმსდეილს ლიბერალური შეხედულებების კაცს ვერც ერთ საზოგადოებაში ვერ უწოდებდნენ; მისი სიმშვიდისათვის მუდამ სამკვდრო-სასიცოცხლოდ აუცილებელი იქნებოდა, ეგრძნო რწმენის წნეხი, რომელიც, რამდენადაც რკინის მარწუხებში მოაქცევდა, იმდენადვე დაეხმარებოდა. თუმცაღა, ხანდახან მაინც, იგი სიამოვნებით ათრთოლდებოდა და უცაბედ შვებას გრძნობდა, როდესაც სამყაროს იმ ადამიანის თვალით უცქერდა, რომელიც მისი ძველი ნაცნობ-მეგობრებისაგან განსხვავებულად აზროვნებდა. ეს იმას ჰგავდა, თითქოს ვინმეს სარკმელი გაეხსნა და სუფთა ჰაერი შემოეშვა იმ ვიწროსა და ჩახუთულ კაბინეტში, სადაც ლამპის შუქის ანდა მბჟუტავი დღის სინათლის ფონზე იფლანგებოდა მისი ცხოვრება, აშმორებული იმ ნესტის სუნით, რომელიც წიგნებს ასდით, მიუხედავად იმისა, ხორციელ შეგრძნებებზე მოგვითხრობენ ისინი თუ ზნეობრიობას გვიქადაგებენ. მაგრამ ეს ჰაერი მეტისმეტად სუფთა იყო და მეტისმეტად სუსხიანიც იმისთვის, რომ დიდხანს ესუნთქა და სიმშვიდე არ დარღვეოდა. ასე რომ, მღვდელიცა და ექიმიც მხოლოდ იმ თემებზე ჩამოადგებდნენ სიტყვას, რომლებსაც ეკლესია დასაშვებად მიიჩნევდა.

ამგვარად, როჯერ ჩილინგუორთი გულდასმით აკვირდებოდა თავის პაციენტს – თვალს ადევნებდა მღვდლის ყოველდღიურობას, როცა იგი ექიმისათვის უკვე ნაცნობი ფიქრების გაკვალულ ბილიკს მიუყვებოდა; ცდილობდა იგი სულ ახალ და ახალ ვითარებაში ეხილა, რომ რაღაც უცნობი ამოტივტივებულიყო მისი ხასიათის ზედაპირზე. როგორც ჩანს, ექიმი მიიჩნევდა, რომ კაცი

კარგად უნდა გაიცნო, ვიდრე კეთილს უყოფ. თუ ადამიანს გული და გონება აქვს, მის სხეულში მოქცეული ყველა სენიც მათგან აღმოცენდება. ართურ დიმსდეილის შემთხვევაში ფიქრი და წარმოსახვა ისეთი ცხოველი იყო, ხოლო მგრძნობელობა კი ისეთი მძაფრი, რომ სხეულის სისუსტეც აშკარად მათგან იღებდა სათავეს. ჰოდა, როჯერ ჩილინგუორთიც – გამოცდილი კაცი, კეთილი და მზრუნველი ექიმი – ცდილობდა, რაც შეიძლება ღრმად შეეღწია თავისი პაციენტის გულის სიღრმეში, კარგად მოეჩხრიკა მისი ჩვევები, მოურიდებლად ჩასძიებოდა მის მოგონებებს, ეს ყველაფერი ფრთხილი შეხებით ისე მოესინჯა, როგორც განძის მაძიებელს – გამოქვაბულის ბნელი კედლები. რთულია საიდუმლო გამოაპარო მკვლევარს, რომელსაც ხელსაყრელი შემთხვევაც აქვს და ნებართვაც, რომ გამოძიება დაიწყოს და ყველა საჭირო უნარიც მისი ბოლომდე მიყვანისა. კაცი, რომელსაც მხრები საიდუმლოებებით აქ დამძიმებია, განსაკუთრებით უნდა ერიდოს ახლო ურთიერთობას თავის ექიმთან. მით უმეტეს, თუ ეს უკანასკნელი თანდაყოლილი გამჭრიახობითაა დაჯილდოვებული, მეტიც, იმ უსახელო ნიჭით, რომელსაც, მოდით, თუნდაც გუმანი ვუწოდოთ; თუკი იგი შეპყრობილი არ არის საკუთარი თავით და არც განსაკუთრებული სისუსტეები ახასიათებს; თუკი აქვს თანდაყოლილი ძალა, ისე დაუახლოვდეს თავის პაციენტს, რომ ამ უკანასკნელმა, თავისდა უნებურად, გათქვას ყველაფერი ის, რაც თავად ჰგონია, რომ მხოლოდ გაიფიქრა; თუ ამგვარ აღსარებებს სრულიად უხმოდ იღებს და მათ საპასუხოდ თანაგრძნობას კი არ გამოხატავს, არამედ დუმს, სუნთქვას იკრავს და აქა-იქ ჩაურთავს სიტყვებს, რომლებიც ცხადყოფენ, რომ მისთვის ყველაფერი გასაგებია; ხოლო თუკი დიდებულ მესაიდუმლესთან ერთად იგი დიდებული ექიმიცაა, მაშინ აუცილებლად დადგება წუთი, როდესაც ტანჯული ადამიანის სული გადაიხსნება და ამოიფრქვევა შავ, თუმცა გამჭვირვალე ორთქლად, რათა მთელი თავისი საიდუმლოებები დღის სინათლეზე გამოფინოს.

ზემოთ ჩამოთვლილ თვისებათაგან როჯერ ჩილინგუორთი თუ ყველას არა, უმეტესობას მაინც ფლობდა. და მიუხედავად ამისა, დრო ისე გადიოდა და ეს ორი მოაზროვნე, რომელთა საუბრის თემებიც კაცობრიობის ფილოსოფიისა და ცოდნის ყველა სფეროს სწვდებოდა, ისე დაუახლოვდა ერთმანეთს, ისე საუბრობდა რელიგიისა და ეთიკის ყველა პრობლემაზე, საზოგადო საკითხებსა და პირადულზეც, ორივე მათგანი ისე ყვებოდა უშუალოდ თავისი ცხოვრების შესახებ, რომ საიდუმლოს, რომელსაც ექიმის წარმოდგენით მღვდლის გონში ედო ბინა, იქაურობა არასოდეს დაუტოვებია და თანმხლების ყურს არ მისწვდენია; და რადგან მისი გონების დაფარულ საუნჯეს ვერ მიაგნო, ექიმს არ ტოვებდა ეჭვი, რომ მისტერ დიმსდეილის სხეულებრივი ავადმყოფობის ბუნებაც მისთვის ბოლომდე ამოუცნობი რჩებოდა. და აოცებდა მისი გაუტეხლობა!

ცოტა ხნის შემდეგ, როჯერ ჩილინგუორთის წაქეზებით, მისტერ დიმსდეილის მეგობრებმა მოახერხეს, რომ ამ ორი ადამიანისათვის ერთ სახლში მიეჩინათ ბინა; ასე რომ, გულშემატკივარსა და მზრუნველ მკურნალს მღვდლის ცხოვრების აღარც ერთი ტალღის მიქცევა თუ მოქცევა აღარ გამოეპარებოდა. მთელმა ქალაქმა გულით გაიხარა, როდესაც ეს დიადი მიზანი დააგვირგვინა. ფიქრობდნენ, რომ ეს ახალგაზრდა ღვთისმეტყველის სიცოცხლის შესანარჩუნებლად საუკეთესო გზა იყო, გარდა ერთისა, რომელსაც ჩასჩიჩინებდა თითქმის ყველა, ვისაც ეგონა, რომ ამის უფლება ჰქონდა – აერჩია ერთ-ერთი იმ გაფურჩქნილ ქალწულთაგან, რომლებიც მას სულიერად მინდობოდნენ და თავის ერთგულ ცოლად ექცია. თუმცა ართურ დიმსდეილს არაფერზე ეტყობოდა, რომ ამ შემოთავაზებას ოდესმე დასთანხმდებოდა, თავი ისე ეჭირა, თითქოსდა დაუქორწინებლობის აღთქმა მისი საეკლესიო ვალდებულებების ნაწილი ყოფილიყოს. მისტერ დიმსდეილს აშკარად თავის ბედისწერად დაესახა, რომ მწირ

ლუკმას მუდამ სხვის სუფრაზე შექცეოდა და გაეძლო ძვალსა და რბილში გამჯდარი სუსხისათვის, რომელიც მისი არჩევია, ვინც მხოლოდ სხვის ბუხართან თბება. ამიტომაც ისღა დარჩენოდა, რომ მთელ სამყაროში ერთადერთ ადამიანად, რომელსაც ნებისმიერ დროს მიაწვდენდა ხმას, ეს გამჭრიახი, გამოცდილი, დიდსულოვანი მოხუცი ექიმი მიეღო, რომელსაც ახალგაზრდა პასტორის მიმართ თითქოს მამაშვილური და მოწიწებული სიყვარულის აღთქმა ჰქონდა დადებული.

ორმა მეგობარმა ახალი ბინა ერთი ღირსეული ოჯახიშვილისა და ღვთისმოსავი ქვრივის სახლში დაიდო. ეს სახლი იმ ადგილს გადაჰყურებდა, სადაც ამჟამად კინგს ჩაპელის ღირსშესანიშნავი ნაგებობაა წამომართული. სახლს ესაზღვრებოდა სასაფლაო – ოდესღაც ისააკ ჯონსონის ადგილ-მამული – ასე რომ, ზედგამოჭრილი მდებარეობა ჰქონდა, რათა სერიოზული, მათი საქმიანობისთვის შესაფერისი ფიქრები აღეძრა როგორც ექიმის, ასევე, მღვდლის გულში. დედობრივად მზრუნველმა კეთილმა ქვრივმა წინა მხრის მზიანი ოთახები მისტერ დიმსდეილს დაუთმო და მძიმე ფარდებითაც მოურთო, რათა შუადღისას, სურვილისამებრ, მოეჩრდილებინა. ოთახის კედლებზე მოჩითული ქსოვილი იყო აკრული, რომელიც გობელინების საქსოვ დაზგას ეკუთვნოდა და ზედ ბიბლიური სცენები იყო გამოსახული – დავითი და ბერსაბე, ნათანიელი და წინასწარმეტყველი; ფერები ჯერ ბოლომდე არ გახუნებულიყო, მაგრამ სცენის მონაწილე მშვენიერ ქალსაც ისეთივე პირქუშ გამომეტყველებას სძენდა, როგორსაც უბედურების წინასწარმეტყველ მისანს. ფერმკრთალმა ღვთისმსახურმა აქ დაახვავა თავისი ბიბლიოთეკა, რომელიც ეკლესიის მამების სწავლებათა პერგამენტის ყდაში ჩასმული ფოლიანტებისგან, რაბინთა ქადაგებებისა და წმინდანთა ნაწერებისაგან შედგებოდა. ამ მწერლებს პროტესტანტი ღვთისმეტყველები, მართალია, აძაგებდნენ და საჯაროდ გმობდნენ, მაგრამ ხშირად

იძულებული იყვნენ, მათთვის მიემართათ. სახლის მეორე მხარეს კი მოხუცმა როჯერ ჩილინგუორთმა გამართა თავისი კაბინეტი და ლაბორატორია, რომელიც თანამედროვე მეცნიერს, ალბათ, სასაცილოდაც არ ეყოფოდა, მაგრამ აღჭურვილი იყო წყლის გამოსახდელი აპარატითა და წამლებისა და ქიმიური ნივთიერებების შესაზავებელი ხელსაწყოებით, რომელთა გამოყენება გამოცდილ ალქიმიკოსს ნაყოფიერად შეეძლო. სწორედ ამგვარ შესაფერის გარემოში დამკვიდრდა ეს ორი სწავლული კაცი. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მათგანს თავისი სამფლობელო ჰქონდა, ერთმანეთის ტერიტორიების საზღვრების გადაკვეთა ისევე შინაურულად შეეძლოთ, როგორც ერთმანეთის საქმიანობის მიმართ ორმხრივი და არცთუ უგულო ინტერესის გამოჩენა.

ღირსი მამა ართურ დიმსდეილის შორსმჭვრეტელი მეგობრები, როგორც უკვე მოგახსენეთ, სრულიად სამართლიანად მიიჩნევდნენ, რომ ორი ადამიანის დაახლოებაში ერია ხელი განგებისა, რომელმაც შეისმინა მათი საჯარო თუ საიდუმლო ლოცვები და განიზრახა, რომ ახალგაზრდა მოძღვრისათვის ჯანმრთელობა დაებრუნებინა. მაგრამ – ესეც უნდა მოგახსენოთ – საზოგადოების მეორე ნაწილმა ბოლო დროს სულ სხვა თვალით დაუწყო ყურება მისტერ დიმსდეილსა და იდუმალ მოხუც ექიმს შორის წარმოშობილ ურთიერთობას. უწვრთნელი ბრბო მოვლენებს მხოლოდ ზედაპირულად აფასებს და ამიტომაც, დიდი ალბათობაა, რომ მოტყუვდეს, თუმცაღა, რაკიღა განსჯისას იგი ხშირად თავისი დიდი და თბილი გულის კარნახს ეყრდნობა, ზოგჯერ ისეთი საფუძვლიანი და შეუცდომელი დასკვნები გამოაქვს, თითქოსდა ზებუნებრივი ძალით ამოეხსნას საიდუმლოს არსი. იმ კონკრეტული შემთხვევისას, რომელზედაც აქ გიამბობთ, ხალხი როჯერ ჩილინგუორთის მიმართ გაჩენილ ავ წინათგრძნობას ვერც ერთი წონიანი ფაქტითა თუ არგუმენტით ვერ განამტკიცებდა. ეგაა, რომ იყო ერთი ხანშიშესული ხელოსანი, რომელიც იმხანად, როდესაც სერ თომას ოვერბარი მოკლეს – სადღაც ოცდაათიოდე წლის წინათ – ლონდონში ცხოვრობდა. იგი ამტკიცებდა, რომ ექიმს ადრეც შეხვედროდა, მაგრამ მაშინ მას სულ სხვა სახელი ერქვა, რომელსაც ამჯერად ამბის მთხრობელი ვეღარ იხსენებდა და თან ახლდა ექიმ ფორმენს, ცნობილ მოხუც ჯადოქარს, რომელიც ოვერბარის მკვლელობაში იყო გარეული. ორმა თუ სამმა კაცმა გადაკვრით ახსენა, რომ ამ სწავლულმა კაცმა ინდიელთა შორის ტყვედ ყოფნისას თავისი სამედიცინო ცოდნა ველური შამანებისაგან ჯადოების კეთების შესწავლით გაიმდიდრა; შამანები ცნობილი იყვნენ, როგორც ძლევამოსილი შემლოცველები, რომლებიც შავი მაგიის წყალობით სასწაულებრივად კურნავდნენ სნეულებს. ახალი ინგლისის საზოგადოების დიდი ნაწილი – და მათგან ბევრი იყო ისეთი, ფხიზელი გონებითა და დაკვირვების უნარით რომ გამოირჩეოდა და მაშასადამე, სხვა შემთხვევაში მათი მოსაზრებები ფასეული იქნებოდა – ამტკიცებდა, რომ მას მერე, რაც ექიმი ქალაქში დასახლდა და განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც მისტერ დიმსდეილს დაუმეზობლდა, გარეგნულად თვალშისაცემად შეიცვალა. თავდაპირველად მისი სახის გამომეტყველება მშვიდი, ჩაფიქრებული და სწავლულისთვის დამახასიათებელი იყო. ახლა კი რაღაც უშნო და ბოროტი შერეოდა, რომლის კვალიც ადრე არ ეტყობოდა და რომელიც ყოველ შეხვედრაზე უფრო აშკარად შესამჩნევი ხდებოდ. მითქმა-მოთქმას თუ დავუჯერებთ, ცეცხლი, რომელიც მის ლაბორატორიაში გიზგიზებდა, ქვესკნელიდან იყო ამოტანილი და ჯოჯოხეთური საწვავით საზრდოობდა, ამიტომაც, როგორც მოსალოდნელი იყო, მისმა კვამლმა ექიმს სახე შეუმუქა.

მოკლედ რომ მოვჭრათ, ხალხში ხმა გავრცელდა, რომ ღირსი მამა ართურ დიმსდეილი, როგორც ქრისტიანული სამყაროს მრავალი სხვა წმინდანი, თავად როჯერ ჩილინგუორთის სხეულში ჩასახლებულმა სატანამ ანდა მისმა მოციქულმა ამოიჩემა.

ეშმაკის წარმოგზავნილი ღვთის ნებართვით იყო აღჭურვილი, რომ რაღაც პერიოდის განმავლობაში მისი მსახურის მყუდროებაში შეეღწია და მისი სულის წარწყმედა ეცადა. თუმცაღა, ისიც უნდა ითქვას, რომ არც ერთ გონიერ ადამიანს ეჭვიც არ ეპარებოდა მღვდლის გამარჯვებაში. მორწმუნეები შეურყეველი იმედით უცქერდნენ, რომ ღვთისმეტყველი ამ ბრძოლიდან კიდევ უფრო განწმენდილი და გაძლიერებული გამოვიდოდა; თუმცა, ამასთანავე, სევდას ჰგვრიდათ იმ ულმობელი ტანჯვის წარმოდგენა, რომლის გავლაც მას გამარჯვებისათვის მოუწევდა.

მაგრამ, ვაგლახ, რომ, თუ იმ წყვდიადსა და შიშს ჩავუკვირდებოდით, რომელიც საბრალო მღვდლის თვალების სიღრმეში ჩანდა, მას წინ დაუნდობელი ბრძოლა ელოდა და არც გამარჯვება გახლდათ უეჭველი.

10. მკურნალი და პაციენტი

მოხუცი როჯერ ჩილინგუორთი მთელი ცხოვრების განმავლობაში მშვიდი ბუნების, კეთილშობილი კაცი იყო, მართალია, გრძნობების თბილად გამოხატვა არ ეხერხებოდა, მაგრამ გარესამყაროს მიმართ მუდამ პატიოსან და ღირსეულ დამოკიდებულებას ავლენდა. როდესაც მან ჰესტერ პრინის საყვარლის ვინაობის დადგენა გადაწყვიტა, საკუთარი თავი მკაცრ და მიუკერძოებელ მსაჯულად წარმოიდგინა, რომელსაც არაფერი აინტერესებს, გარდა სიმართლის გარკვევისა; თავი დააჯერა, თითქოს გეომეტრიული ამოცანის წარმოსახვით ხაზებსა და ფიგურებს ხსნიდა და არა – დამანგრეველ ადამიანურ ვნებებს. მაგრამ როგორც კი ძიებას მიჰყო ხელი, რაღაც ავბედითმა მიზიდულობამ შეიპყრო, მძვინვარე და მაინც მშვიდმა მიზანდასახულობამ თავისი ბრჭყალები ჩაავლო ამ მოხუც კაცს და მანამდე არ გაათავისუფლა, ვიდრე ყველაზე მაღალი ფსონი არ დაადებინა. უზნეო ვნებით გატაცებული მკურნალი ახლა ისევე თხრიდა საბრალო ღვთისმსახურის გულს, როგორც ოქროს მაძიებელი – მიწას; ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, როგორც მნათე თხრის საფლავს იმ სამკაულის ძებნაში, რომელიც შესაძლოა მიცვალებულს გულზე ჰქონდეს ჩამოკიდებული, მაგრამ ვერაფერს პოულობს, გარდა სიკვდი-

ლისა და გახრწნისა. ვაგლახ, მის სულს, თუ სულ ეს იყო, რასაც ექიმი ეძებდა.

ხანდახან მკურნალის თვალებიდან ლურჯი და ავისმომასწავებელი ცეცხლი გამოკრთებოდა, რომელიც ღუმლის ანარეკლს ჰგავდა, ანდა, თქვენი ნებართვით, მას შევადარებ იმ საზარელი ცეცხლის ალის გიზგიზს, რომელიც ბანიანის[1] ავბედითი ფერდობის კარიბჭიდან გამოიტყორცნებოდა და პილიგრიმების სახეზე აცახცახდებოდა ხოლმე. ნიადაგი, რომელსაც ეს გულშავი მაძიებელი თხრიდა, ეგებ გამამხნევებელ ნიშნებსაც უგზავნიდა მას.

– ამ კაცს თუმცაღა ყველა წმინდანად მიიჩნევს და თითქოსდა მხოლოდ სულიერებისაგან შედგება, – თქვა მან თავისთვის ერთხელ, – რომელიღაც მშობლისაგან გარეული მხეცივით ველური ხასიათი უმემკვიდრია. კარგი იქნება, თუკი ცოტა ამ მიმართულებითაც გავაგრძელებ თხრას.

იგი დიდხანს იჩხრიკებოდა მღვდლის იდუმალებით მოცულ გულში და უამრავი მშვენიერი რამაც აღმოაჩინა: ძლიერი სურვილი თავისი მოდგმის კეთილდღეობისა, სიყვარული ადამიანთა სულებისა, გულწრფელი გრძნობები, თანდაყოლილი ღვთისმოსაობა, რომელიც ფიქრსა და სწავლას გაემყარებინა და ზეშთაგონებას გაებრწყინებინა – მთელი ეს განძი მაძიებელს ნაგავზე მეტად არ უღირდა – იგი გულაცრუებული შეტრიალდებოდა და ახლა ძებნას სხვა მიმართულებით იწყებდა. ექიმი ხელისცეცებით მიუყვებოდა ამ გზას და ისე ფრთხილად, ისე ფეხაკრეფით და საგულდაგულოდ სინჯავდა ფეხისდასადგმელ ადგილს, როგორც ქურდი, რომელიც ძილ-ღვიძილში მყოფი ანდა სულაც ფხიზელი კაცის ოთახში იპარება, რათა აწაპნოს საუნჯე, რომელსაც პატრონი თვალისჩინზე მეტად უფრთხილდება. მიუხედავად ამ კარგად აწონდაწონილი სიფრთხილისა, იატაკი აქაიქ გაიჭრიალებდა; ტანსაცმელი გაიშრიალებდა ანდა მისი სახიფათოდ მოახლოვებული ჩრდილი ზედ დაეცემოდა მსხვერპლს. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისტერ დიმსდეილი, რომელიც თავის უფაქიზეს მგრძნობელობას ზეადამიანური გუმანით დაეჯილდოვებინა, ხანდახან ბუნდოვნად აცნობიერებდა, რომ ექიმის სიმშვიდის მიღმა უცნაური მტრობა იმალებოდა; თუმცა არც მოხუც როჯერ ჩილინგუორთის გამჭრიახობა ჩამოუვარდებოდა რამით გუმანს; და როგორც კი მღვდელი შეშფოთებულ მზერას მიაპყრობდა, ექიმიც იქვე ჩამოუჯდებოდა – მისი კეთილი, გულისხმიერი, თანამგრძნობი, მუდამ თავშეკავებული მეგობარი.

[1] ინგლისელი მწერლის – ჯონ ბანიანის (1628-1688) ცნობილი თხზულებიდან „პილიგრიმთა მსვლელობა“.

და მაინც, ეგებ მისტერ დიმსდეილი უკეთ ჩასწვდომოდა როჯერ ჩილინგუორთის ჭეშმარიტ ბუნებას, მისი გული სნეული ადამიანებისათვის დამახასიათებელ ავადმყოფურ ეჭვიანობას რომ არ შეეპყრო. ვინაიდან მთელ კაცობრიობას ერთნაირი უნდობლობით ეკიდებოდა და მეგობრად არავის მიიჩნევდა, ვერც შემოჩენილი მტრის ამოცნობა შეძლო. ჰოდა, აგრძელებდა მასთან გულითად ურთიერთობას, ყოველდღიურად მასპინძლობდა მოხუც ექიმს თავის კაბინეტში ანდა ლაბორატორიაში სტუმრობდა და სავარძელში მიწოლილი შესცქეროდა, როგორ გარდაიქმნებოდა მცენარეების ფესვები მომაღონიერებელ წამლებად.

ერთ დღესაც, ცალი ხელი შუბლზე შემოედო, იდაყვები ღია ფანჯრის რაფაზე ჩამოელაგებინა, სასაფლაოს გასცქეროდა და თან როჯერ ჩილინგუორთს ესაუბრებოდა, რომელიც, იმავდროულად, რომელიღაც უშნო მცენარის ბღუჯას ჩაჰკირკიტებდა.

– ჩემო კეთილო ექიმო, – წამოიწყო მან და ირიბად გადახედა ფესვებს, ვინაიდან ბოლოდროინდელი ჩვევის თანახმად, იშვიათად თუ შეხედავდა პირდაპირ იმ ადამიანსა თუ ნივთს, რომლის ცქერაც სურდა, – სად პოულობთ ამგვარ უშნო და უღიმღამო მცენარეებს?

– თუნდაც აი, ამ სასაფლაოზე, თქვენ წინ, – უპასუხა ექიმმა და თავისი საქმიანობა განაგრძო, – ესენი დღეს პირველად

ვნახე. იმ საფლავზე იზრდებოდნენ, რომელსაც არც ქვა ადევს და არც სხვა რამ ნიშანი მიცვალებულის მოსაგონებლად. ცხედრის მკერდზე ამოწვერილან და ეგებ თან ამოუზიდავთ მისი გულის რომელიმე დაფარული საიდუმლო, რომელიც ჯობდა, რომ სიცოცხლეშივე ეღიარებინა.

– ეგებ უნდოდა კიდეც, რომ ეღიარებინა, – მიუგო მისტერ დიმსდეილმა, – მაგრამ ვერ შეძლო.

– და რამ შეუშალა ხელი? – შეეპასუხა ექიმი, – რატომ ვერ შეეძლო? აკი, ბუნების ყველა ძალა ისე დაჟინებით მოგვიწოდებს ცოდვათა აღიარებისაკენ, რომ მიცვალებულის გულიდან შავი სარეველაც კი ამოჰყოფს ხოლმე თავს, რათა მისი საიდუმლო დანაშაული ამხილოს?

– ეს კი, ჩემო კეთილო სერ, მხოლოდ თქვენი ფანტაზიის ნაყოფია, – მიუგო მღვდელმა, – თუკი თეოლოგიისა რამე გამეგება, არ არსებობს არანაირი ძალა, გარდა ღვთის ხელისა, რომელიც სიტყვიერად თუ უსიტყვოდ გამოააშკარავებდა ადამიანის გულში ჩამარხულ ხვაშიადს. და ის, ვინც ერთხელ დაიდებს საიდუმლოთა შენახვის ცოდვას, ვალდებულია მათ იმ დღემდე მოუფრთხილდეს, ვიდრე ყოველი დაფარული არ გამომჟღავნდება. წმინდა წიგნში არსად წერია, არც პირდაპირ და არც ქარაგმულად, რომ ღმერთი იმქვეყნიურ სასჯელს ჩვენი დაფარული ფიქრებისა და ქმედებების მხილებით მოგვაგებს. ასეთი მსჯელობა მეტისმეტად ზერელე იქნებოდა. თუკი მე რამე გამეგება, აღსარებას მხოლოდ ის ფუქცია აქვს, რომ კმაყოფილება მოჰგვაროს იმ გონიერ არსებებს, რომლებიც განკითხვის დღეს ამქვეყნიური სატანჯველისგან თავის დაღწევის გზად მიიჩნევენ. ადამიანთა შინაგანი სამყაროს სრულყოფილი ცოდნა დასჭირდება ამ სატანჯველის უკვალოდ გაქრობას. და მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ გულები, რომელთაც იმგვარი საიდუმლოებები ამძიმებთ, რომლებზედაც თქვენ საუბრობთ, მათ დიდი

სიამოვნებით ამოთქვამენ განკითხვის დღეს არა ნაძალადევად, არამედ ენითგამოუთქმელი სიხარულით.

– არ ჯობს, ამქვეყნადვე გაამჟღავნონ ისინი? – იკითხა როჯერ ჩილინგუორთმა და მშვიდი, ირიბი მზერა სტყორცნა მღვდელს, – არ სჯობს ცოდვილებმა აქვე იგრძნონ ეს ენით უთქმელი შვება?

– მათი უმეტესობა ასეც იქცევა, – თქვა მღვდელმა და გულზე ხელი ისე მიიჭირა, თითქოს აბეზარმა ტკივილმა ჭვალივით დაუარაო, – ბევრ, უამრავ საბრალობელ სულს, და არა მხოლოდ სიკვდილის სარეცელზე მწოლს, არამედ ჯან-ღონით სავსესა და საზოგადოებაში დაფასებულსაც გაუნდვია თავისი საიდუმლო ჩემთვის. და მერე, როდესაც გულს სრულებით დაიცარიელებენ, ჰოი, როგორი შვებით ამოისუნთქავენ ხოლმე! თითქოს საკუთარივე მოწამლული სუნთქვით სულშეხუთულები დიდი ხნის მერე პირველად ყლაპავენ სუფთა ჰაერს. ან კი სხვაგვარად როგორ? განა დასნეულებულ კაცს, დამნაშავეს, ვთქვათ, მკვლელს, მოკლულის გვამის გულით ტარებას არ ურჩევნია, რომ მაშინვე მოიშოროს იგი და მთელ სამყაროს დააკისროს მისი გაპატიოსნება?

– და მაინც, არიან ადამიანები, რომლებიც საიდუმლოს გულში იმარხავენ, – შენიშნა მშვიდმა ექიმმა.

– მართალია, არიან ასეთი ადამიანებიც, – მიუგო ართურ დიმსდეილმა, – და მათი დუმილი, ათასი სხვა აშკარა მიზეზის გარდა, შეიძლება მათივე ბუნებით იყოს განპირობებული. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ, მიუხედავად დანაშაულისა, ზოგი ცოდვილი მაინც ესწრაფვის ღვთის განდიდებასა და ადამიანთა დახმარებას, ამიტომაც არ სურს, რომ კაცთა თვალში გაშავებულად და ზნედაცემულად წარმოჩინდეს; რადგან ამის შემდეგ ადამიანები ყველა სიკეთეზე ხელს აუკრავენ და საშუალებას არ მისცემენ, რომ წარსულის შეცოდება აწმყოს სიქველით

გამოისყიდოს. ასე რომ, ჩუმი ცოდვილები წარმოუთქმელი სატანჯველით დააბიჯებენ თანამოძმეთა შორის და თუმცა ახალდადებული ფიფქივით უმანკოები ჩანან, ამ დროს მათი გული ერთიანად დაწინწკლული და დალაქავებულია იმ უკეთურებით, რომელსაც თავს ვეღარასოდეს დააღწევენ.

– ასეთი ადამიანები თავს იტყუებენ, – თქვა როჯერ ჩილინგუორთმა რაღაც უჩვეულო აღტყინებით და საჩვენებელი თითი ძლივსშესამჩნევად გაიქნია, – მათ ეშინიათ კისრად იღონ ის სირცხვილი, რომლის ზიდვაც ყველა წესისა და კანონის მიხედვით ეკუთვნით. სიყვარული კაცობრიობის მიმართ, ლტოლვა ღვთისმსახურებისადმი – ეს წმინდა მისწრაფებები მათ გულებში შესაძლებელია იმ ეშმაკისეულ მიდრეკილებებთან თანაარსებობდეს, რომელთაც თავიანთი დანაშაულით კარი გაუღეს და რომლებიც მათ არსებაში ჯოჯოხეთურ ფიქრებს აღვივებს. მაგრამ თუკი სურთ, რომ ღმერთი ადიდონ, მაშ, ბინძურ ხელებს ნუ აღაპყრობენ ცისკენ; თუკი სურთ, რომ თავიანთ თანამოძმეებს ემსახურონ, დაე, ამისთვის ჯერ ყველას აჩვენონ, რომ სინდისის ძალა და არსი დიდია და მათ სინანულით თვითგვემას აიძულებს. ნუთუ დამიჯერებდით, ჩემო ბრძენო და ღვთისმოშიშო მეგობარო, თქვენთვის რომ მეთქვა, რომ შესაძლებელია ყალბი გრძნობების გამოვლინება უფრო მარგებელი იყოს ღვთის სადიდებლად ანდა ადამიანთა კეთილდღეობისათვის, ვიდრე თავად ღმერთის მიერ დადგენილი ჭეშმარიტება-მეთქი? მენდეთ, ასეთი ადამიანები თავს იტყუებენ!

– შეიძლება ასეც იყოს! – გულგრილად თქვა ახალგაზრდა მღვდელმა, თითქოსდა ცდილობდა ჩაეფარცხა ეს დავა, რომელსაც უადგილოდ თუ უაზროდ მიიჩნევდა. მას ჰქონდა ჩვევა, თავი მოხერხებულად დაეძვრინა ყველა იმ საუბრისაგან, რომელიც მის ისედაც მეტისმეტად მგრძნობიარე და ნერვულ ბუნებას აფუტკნიდა: – ახლა კი მსურს ვთხოვო ჩემს ოქროსხელება

ექიმს, მართალი მითხრას: არგო კი რამე ჩემს მყიფე სხეულს მისმა მზრუნველობამ?

ვიდრე როჯერ ჩილინგუორთი უპასუხებდა, მეზობელი სასაფლაოდან მათ ყურებს ბავშვის წკრიალა, ველური სიცილი მისწვდა. მღვდელმა ანგარიშმიუცემლად გადაიხედა ღია ფანჯრიდან – ვინაიდან ზაფხული იდგა – და თვალი ჰკიდა ჰესტერ პრინსა და პატარა პერლს, რომლებიც სასაფლაოს ბილიკს მიუყვებოდნენ. პერლი დღესავით ლამაზი იყო, მაგრამ იმ უკუღმართ მხიარულებას შეეპყრო, რომელიც დროდადრო ხელს დარევდა ხოლმე და მის არსებას ადამიანური თანაგრძნობის უნარს ერთიანად გამოაცლიდა. იგი თავხედურად მიხტოდა საფლავის ერთი ქვიდან მეორეზე, ვიდრე არ მიადგა გერბით მორთულ, ფართო და ბრტყელ ქვას განსვენებული ღირსეული კაცისა – ეგებ თავად ისააკ ჯონსონისა – ზედ ავიდა და ცეკვას მოჰყვა. როდესაც დედამ უსაყვედურა და უბრძანა, რომ წესიერად მოქცეულიყო, პატარა პერლი შეჩერდა, ოროვანდის ბუჩქიდან ბირკები მოგლიჯა და ხელში შეაგროვა. მერე კი მთელი პეშვი ეკლიანი ბურთულებისა დედას ალისფერდამღიან მკერდზე შეაყარა. ბირკა, თავისი ბუნების თანახმად, მჭიდროდ მიეკრა ქალს. ჰესტერს მისი მოშორება არც კი უცდია.

ამასობაში როჯერ ჩილინგუორთი ფანჯარას მიუახლოვდა და დედა-შვილის დანახვაზე პირქუშად ჩაიღიმა.

– ამ ბავშვის ბუნება არად დაგიდევთ არც კანონს, არც ავტორიტეტების მიმართ მოკრძალებას, არც სხვა ადამიანთა ბრძანებებსა თუ მოსაზრებებს, არც ავსა და არც კარგს, – შენიშნა მან მოსაუბრის გასაგონად, – ამის წინ დავინახე, სპრინგ ლეინში თავად გუბერნატორს შეასხა წყალი. ღმერთმანი, ვინ არის იგი? ეშმაკი, ჭინკა თუ ორივე ერთდროულად? ნეტავ გრძნობები თუ აქვს? ბუნების რომელი კანონი განაგებს მის არსებას?

– არც ერთი, გარდა ყველა კანონის დარღვევით მიღწეული თავისუფლებისა, – ჩაილაპარაკა მისტერ დიმსდეილმა ისე

ჩუმად, თითქოს მოსაუბრეზე მეტად საკუთარ თავს აჯერებდა ამ სიტყვებს, – არც ვიცი, მასში სიკეთის ნატამალი მაინც თუა.

როგორც ჩანს, ბავშვის ყურს მათი ხმა მისწვდა, რადგან თავისი კაშკაშა, თუმცაღა ონავარი ღიმილით, რომელიც ერთდროულად მხიარულებასა და გონიერებას იტევდა, ფანჯარას ახედა და ერთი ბირკა მისტერ დიმსდეილსაც ესროლა. ღირსი მამა გვერდზე გახტა – იგი მეტისმეტად შეაკრთო ამ უმსუბუქესმა ჭურვმა. გოგონამ მისი ემოცია ამოიცნო და აღფრთოვანებულმა პაწია ხელებით ტაში შემოკრა. ჰესტერ პრინმა უხალისოდ აიხედა მაღლა და ოთხივე მათგანი, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, მდუმარედ ათვალიერებდა ერთმანეთს, ვიდრე ბავშვმა ხმამაღლა არ გაიცინა და დაიყვირა: „წამოდი, დედა! წამოდი, თორემ ეს შავი კაცი დაგიჭერს! აი, ნახე მღვდელი უკვე დაიჭირა. წამოდი, დედა, თორემ შენც დაგიჭერს! მაგრამ პერლს კი ვერასოდეს დაეწევა!"

ეს თქვა და დედა წაიყოლა, ხტუნაობდა, ცეკვავდა და ისე დანავარდობდა საფლავების გორაკებს შორის, თითქოს ამ გარდასულსა და მტვრადქცეულ თაობებთან არაფერი ჰქონდა საერთო, თითქოს საკუთარ თავს მათ თაბუნს არ მიაკუთვნებდა. თითქოს თვითონ განსხვავებული ქმნილება იყო, სულ სხვა ნივთიერებისაგან სულშთაბერილი და ამიტომაც უფლება ჰქონდა, თავისი ცხოვრებით ეცხოვრა, თავად დაეწესებინა კანონები საკუთარი თავისთვის და არც ერთი ახირება დანაშაულად არ ჩასთვლოდა.

– აი, ◊ქ მიდის ქალი, – განაგრძო პაუზის შემდეგ როჯერ ჩილინგუორთმა, – რომელსაც თუმცაღა თავისი ცოდვები აქვს, არ გააჩნია არც ერთი დაფარული საიდუმლო, რომელთა ტარებაც, თქვენი თქმით, ასე უმძიმებს გულს ადამიანებს. როგორ გგონია, ჰესტერ პრინი, ალისფერი დამღით გულზე, სხვებზე ნაკლებად უბედურია?

– გულით მჯერა, რომ ასეა, – უპასუხა მღვდელმა, – და მაინც, მის მაგივრად ვერ გიპასუხებთ. სახეზე ტკივილი შევამჩნიე, რომელიც მერჩია, არასოდეს დამენახა. მიუხედავად ამისა, მგონია, რომ ტანჯულისათვის უმჯობესი უნდა იყოს საქვეყნოდ გამოფინოს თავისი ტკივილი, როგორც ამას საბრალო ჰესტერი აკეთებს, ვიდრე გულში ჩაიმარხოს იგი.

ამ სიტყვებს კვლავ დუმილი მოჰყვა და ექიმი თავის მიერ შეგროვებული მცენარეების თვალიერებასა და დახარისხებას შეუდგა.

– ცოტა ხნის წინ კითხვა დამისვით, – დაარღვია მან დუმილი მოგვიანებით, – გაინტერესებდათ, რას ვფიქრობ თქვენი ჯანმრთელობის შესახებ.

– მართალია, – მიუგო ღვთისმსახურმა, – და სიამოვნებით მოგისმენთ. გევედრებით, გულახდილად მითხარით, ვიცოცხლებ თუ მოვკვდები?

– გულახდილად გეტყვით და პირდაპირ, – მიუგო ექიმმა, რომელიც კვლავ თავის მცენარეებს დასტრიალებდა, მაგრამ მისტერ დიმსდეილისაკენ ფრთხილი მზერა გამოაპარა, – თქვენი დაავადება უცნაური რამაა, უცნაურია, თუმცა არა თავისი არსით ანდა გარეგანი გამოხატულებით, ყოველ შემთხვევაში, თუ იმ სიმპტომებს გავითვალისწინებთ, რომლებიც გამანდეთ. ახლა, როცა უკვე რამდენიმე თვე გავიდა, რაც ყოველდღე გიცქერით თქვენ, ჩემო კეთილო სერ, და ვუცქერ თქვენი სნეულების ნიშნებს, წესით მწვავე ავადმყოფად უნდა ჩამეთვალეთ; თუმცა არც ისეთი მწვავე ავადმყოფი ხართ, რომ განსწავლულსა და დაკვირვებულ ექიმს თქვენი განკურნება არ შეეძლოს. არც კი ვიცი, რა გითხრათ, ეს სენი ისეთია, რომ ვცნობ და თან ვერც ვცნობ.

– რა გამოცანებით მელაპარაკებით, ექიმო, – თქვა ფერმკრთალმა ღვთისმსახურმა, მეგობარს თვალი აარიდა და ფანჯარაში გაუშტერდა მზერა.

– მაშინ უფრო პირდაპირ გეტყვით, – განაგრძო ექიმმა, – და მსურს მოგიბოდიშოთ, სერ, ამ მეტისმეტი პირდაპირობის გამო.

შეგეკითხებით, როგორც თქვენი მეგობარი და როგორც ექიმი, რომლისთვისაც ზეციურ განგებას თქვენი სიცოცხლე და ჯანმრთელობა მოუნდვია: განა ამ აშლილობის ყოველი სიმპტომი გულწრფელად აღმიწერეთ?

– ასეთ რამეს როგორ მეკითხებით? – ჰკითხა მღვდელმა, – მეტისმეტად ბავშვური საქციელი იქნებოდა, ექიმისათვის მიმემართა და მისთვის ჩემი სნეულების ნიშნები დამემალა.

– მაშ, მეუბნებით, რომ ყველაფერი ვიცი? – თქვა ჩილინგუორთმა დინჯად და დაჟინებული და გონების დაძაბვისაგან აელვარებული მზერა მღვდელს მიაპყრო, – დაე, იყოს ასე. მაგრამ კვლავ გეტყვით: ექიმი, რომელიც იცნობს სნეულების მხოლოდ გარეგნულსა და ფიზიკურ, კაცის თვალისათვის გასარჩევ ნიშნებს, ხშირად მხოლოდ იმ სნეულების ნახევარს იცნობს, რომლის განსაკურნებლადაც მიმართეს. ხშირად სხეულს მოდებული სნეულება, რომელიც ჩვენ თავისთავადი მოვლენა გვგონია, შეიძლება სხვა არაფერი აღმოჩნდეს, თუ არა სულიერი სალმობის ერთ-ერთი გამოვლინება. კიდევ ერთხელ მომიტევეთ, კეთილო სერ, თუკი ჩემი სიტყვები თქვენს სახეს წყენის ჩრდილს მოჰფენს. არასოდეს შემხვედრია სხვა ადამიანი, რომლის სხეულიც ასე მჭიდროდ იქნებოდა დაკავშირებული, გაჟღენთილი და შენივთებული მის სულთან.

– მაშინ აღარაფრის კითხვა არ მჭირდება, – თქვა მღვდელმა და ცოტა არ იყოს და ნაჩქარევად წამოდგა სკამიდან, – არა მგონია, იმ მეცნიერებას ფლობდეთ, რომელსაც სულის განკურნება შეუძლია.

– ამგვარად, ავადმყოფობა, – აგრძელებდა როჯერ ჩილინუორთი ნირუცვლელად, თითქოს არც არავის შეუწყვეტინებია მისთვის სიტყვა, მხოლოდ ზეზე წამოდგა და გაძვალტყავებულსა და გაფითრებულ მღვდელს თავისი დაბალი, მუქი და მოღრეცილი სხეულით წინ გადაუდგა, – ავადმყოფობა, თუკი შეიძლება

ასე ითქვას, ადამიანის სულზე დაჩენილი წყლულია, რომელიც დაუყოვნებლივ გადაედება ხოლმე მის სხეულსაც. გსურს, რომ ექიმმა შენი სხეული განკურნოს? მაშინ უთხარი, გაუმხილე, რა ჭრილობა ატყვია, რა ტვირთი აწევს შენს სულს?

– არა, არ გაგიმხელთ, არც შენ და არც ერთ მოკვდავ ექიმს! – მგზნებარედ წამოიძახა მისტერ დიმსდეილმა და ფართო და ბრიალა თვალები, რომლებშიც მძვინვარება უკრთოდა, მოხუც როჯერ ჩილინგუორთს მიაპყრო, – თუკი ეს დაავადება სულისმიერია, მაშინ ჩემი თავი იმ ერთადერთი ექიმისათვის მიმინდვია, რომელსაც სულის განკურნება ძალუძს. იგი, თუკი ასეთი იქნება მისი ღვთიური ნება, განგვკურნავს ანდა მოგვკლავს! მიეცით ნება, რომ, როგორც მისი სიბრძნე და სამართალი მიიჩნევს საჭიროდ, ისე გადაწყვიტოს ჩემი ბედი. მაგრამ ვინა ხართ თქვენ, რომ ამ საქმეში ჩაერიოთ? ვინა ხართ თქვენ, რომ ტანჯულსა და მის ღმერთს შორის ჩადგეთ?

და იგი გააფთრებული გავარდა ოთახიდან.

– სწორი ნაბიჯი გადავდგი, – თავისთვის თქვა როჯერ ჩილინგუორთმა და მღვდელს პირქუში ღიმილი გააყოლა, – არაფერი დამიკარგავს. სულ მალე ისევ მეგობრები ვიქნებით. მაგრამ შეხედე, როგორ იპყრობს ვნება ამ კაცს და როგორ აკარგვინებს თავს. ვინც ერთ ვნებას ემორჩილება, ვერც მეორეს შეეწინააღმდეგება! ეს ღვთისმოშიში მისტერ დიმსდეილი ადრეც მისცემია თავდავიწყებას, როდესაც მის გულში ვნების ცეცხლი ენთო.

ექიმის წინათგრძნობა იმის შესახებ, რომ მისი და მღვდლის მეგობრობა სულ მალე ძველებური გულითადობითა და სიმტკიცით აღდგებოდა, გამართლდა. რამდენიმე საათის განმარტოებამ ახალგაზრდა ღვთისმსახური მიახვედრა, რომ ნერვულმა აშლილობამ უადგილო აფეთქებისაკენ უბიძგა, რომელიც ექიმის თავაზიანი და უწყინარი სიტყვებით სულაც არ ყოფილა გან-

პირობებული. გულწრფელად უკვირდა საკუთარი თავისა, ასეთი უკმეხობა რატომ გამოიჩინა კეთილშობილი მოხუცის მიმართ; მან ხომ უბრალოდ რჩევა გაუზიარა, რომლის მიცემაც მისი მოვალეობა იყო და რომელიც თავად მღვდელმა საგანგებოდ სთხოვა. სინდისის ქენჯნით შეპყრობილმა დიმსდეილმა მეგობარი ბოდიშებითა და მუდარით აავსო, რომ კვლავ გაეგრძელებინა მასზე ზრუნვა, რომელიც გამოჯანმრთელებას არ ჰპირდებოდა, მაგრამ მის მყიფე სხეულს აქამდე, ალბათ, მაინც მან მოატანინა თავი. როჯერ ჩილინგუორთმა უმალვე თანხმობა განუცხადა და მღვდლის მკურნალობა ძველებურად განაგრძო. თავს არ ზოგავდა მისთვის, მთელი გულით ცდილობდა, გამოეჯანმრთელებინა, მაგრამ ყველა გასინჯვის შემდეგ, როდესაც პაციენტის ოთახს ტოვებდა, ბაგეზე იდუმალებითა და გამოცანით სავსე ღიმილი დასთამაშებდა. მისი ეს გამომეტყველება, მუდამ შეუმჩნეველი მისტერ დიმსდეილის თანდასწრებით, აშკარა და თვალშისაცემი ხდებოდა, როგორც კი ექიმი ზღურბლს გადმოაბიჯებდა.

– იშვიათი შემთხვევაა! – ბურტყუნებდა იგი, – ეგ საკითხი ბოლომდე უნდა გამოვიკვლიო. უცნაური კავშირია მის სულსა და სხეულს შორის! თუნდაც მხოლოდ ხელობის ხათრით, ეს შემთხვევა ძირისძირობამდე უნდა გამოვიკვლიო.

ზემოთ აღწერილი ამბის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ ერთ დღეს, შუადღისას, სავარძელში მჯდომ მამა დიმსდეილს, რომლის წინ, მაგიდაზეც, დიდი, შავასოებიანი ტომი იყო გადაშლილი, სრულიად მოულოდნელად ღრმა, ძალიან ღრმა ძილმა წაართვა თავი. წიგნი, ალბათ, თვლემისმომგვრელი ლიტერატურის მრავალრიცხოვან ნიმუშთაგან ერთ-ერთი გახლდათ. ყველაზე უცნაური და უჩვეულო კი მღვდლის გათიშვა იყო, რამდენადაც ღვთისმსახური იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებსაც ისეთი ფხიზელი, მოუსვენარი და იოლად დასაფრთხობი ძილი აქვთ, როგორიც წვრილ ტოტზე მოხტუნავე

პაწია ბეღურას. თუმცაღა ახლა, ამ უჩვეულო მოსვენების ჟამს, მისი სული ისე ჩაძირულიყო საკუთარ არსში, რომ მღვდელი არც კი შერხეულა, როდესაც მოხუცმა როჯერ ჩილინგუორთმა ყოველგვარი განსაკუთრებული სიფრთხილის გარეშე შემოუღო კარი. მაშინ ექიმი პირდაპირ მიეჭრა თავის პაციენტს, ხელი მკერდთან მიუტანა და სამოსი გადაუწია, რომელიც აქამდე მას მუდამ ფარავდა თვით თავისი ექიმის თვალისგანაც კი.

მისტერ დიმსდეილი შეიშმუშნა და ოდნავ შეირხა.

ორიოდე წუთში ექიმი შეტრიალდა და ოთახიდან გავიდა.

მაგრამ ო, ღმერთო, გაოცებით, სიხარულითა და ზაფრით აღსავსე როგორი ველური გამომეტყველება აღბეჭდოდა სახეზე! როგორი საზარელი იყო ის ნეტარება, რომლის გამოხატვისთვისაც მხოლოდ თვალები და სახის სხვა ნაკვთები არ კმარობდა და ამიტომაც მთელ მის მახინჯ სხეულს მოედო. იგი აიძულებდა მოხუც სწავლულს უცნაურად დაგრეხილიყო – ხელები ჭერისაკენ აეტყორცნა, ხოლო ფეხები კი იატაკზე ებაკუნებინა. თავისი აღტყინების ამ წუთებში როჯერ ჩილინგუორთი ვინმეს რომ დაენახა, მიხვდებოდა, თუ როგორ იქცევა სატანა, როდესაც ადამიანის მშვენიერი სული სამოთხეს კარგავს და მის სამფლობელოში ხვდება.

მაგრამ ექიმისა და სატანის აღფრთოვანებას ერთი რამ განასხვავებდა: სატანას არაფერი აოცებს.

11. გულის შიგნითა მხარე

ამ უკანასკნელი შემთხვევის შემდეგ მღვდლისა და ექიმის ურთიერთობა თუმცაღა გარეგნულად უცვლელი დარჩა, სინამდვილეში სრულიად გადასხვაფერდა. როჯერ ჩილინგუორთის ჭკუა-გონება უკვე დაუბრკოლებლად მიიწევდა გზაზე, რომელზე ფეხის შედგმასაც ოდესღაც აუცილებლად ითაკილებდა. ამ ბედნავს მოხუცს, გარეგნულად ასეთ მშვიდს, კეთილშობილსა და აუღელვებელს, ვშიშობ, გული პირთამდე ავსებოდა ღვარძლით, რომელიც, აქამდე დაფარული, ახლა შემთხვევას გამოემჟღავნებინა და პატრონს ადამიანის გონებისათვის დასაშვები ყველაზე ვერაგული შურისძიებისაკენ უბიძგებდა. ის აიძულებდა ექიმს, რომ მსხვერპლისათვის თავი გულითად მეგობრად მოეჩვენებინა, მეგობრად, რომლისთვისაც მას შეეძლო გაემხილა შიში, სინდისის ქენჯნა, ტანჯვა, უშედეგო სინანული და ყველა ის ცოდვილი ფიქრი, რომელთა განდევნასაც საკუთარი არსებიდან სულ ამაოდ ცდილობდა. და მთელი ეს დანაშაულით სავსე ნაღველი უნდა მიენდო არა სამყაროს დიდბუნებოვანი გულისათვის, რომელიც მას შეიწყალებდა და მიუტევებდა, არამედ მისთვის – გულქვა და შეუბრალებელი მსაჯულისათვის! მსხვერპლის არსებაში დამალულ შავბნელ განძზე მხოლოდ მას მიუწვდებოდა ხელი, ვინც მას შურისძიებისათვის ხარკის გადასახდელად იყენებდა.

ექიმის ვერაგულ ჩანაფიქრს წინ ღვთისმსახურის მორცხვი ხასიათი და მგრძნობიარე და გულჩათხრობილი ბუნება ეღობებოდა. მაგრამ ბედისწერამ, რომელსაც შურისმაძიებლისა და მისი მსხვერპლის შესახებ საკუთარი გეგმები დაესახა (და არავინ იცის, უფრო მათ დასჯას ესწრაფოდა თუ მიტევებას), ექიმის ავ განზრახვას გეზი უცვალა. თუმცაღა მკურნალი ბედისწერის მიერ შემოთავაზებულ თამაშს დიდი კმაყოფილებით აჰყვა, მან მღვდლის მკერდზე აღმოჩენილი დამღა ზებუნებრივ ძღვნად მიიღო და დიდად არ უმტვრევია თავს იმაზე ფიქრით, ზეცამ უბოძა იგი თუ რომელიმე ქვენა ძალამ. სწორედ ამ ახალი აღმოჩენის წყალობით, მისტერ დიმსდეილთან ურთიერთობის ყველა მომდევნო ეტაპზე როჯერ ჩილინგუორთს საშუალება მიეცა, არა მხოლოდ მღვდლის ფიზიკური მდგომარეობისათვის ედევნებინა თვალყური, არამედ გადაშლილი წიგნივით ისე წაეკითხა მისი სულის მოძრაობა, რომ არც ერთი გატოკება აღარ გამოჰპარვოდა. ამგვარად იგი მღვდლის შინაგანი სამყაროს არა მხოლოდ დამკვირვებლად, არამედ მთავარ მოქმედ პირადაც იქცა. ისე ათამაშებდა მას, როგორც მოისურვებდა. მის გაწამებას მოინდომებდა? მშვენივრად გამოსდიოდა: საკმარისი იყო მოემართა ზამბარა, რომელიც შინაგან მექანიზმს აამუშავებდა და მღვდელსაც მაშინვე საშინელი ტანჯვით ეხუთებოდა სული. მოისურვებდა, რომ უეცარი შიშით აეთრთოლებინა? თითქოს ჯადოსნური კვერთხის აქნევით გამოიძახებდა საზარელ ფანტომს – არა, ფანტომთა მთელ ლაშქარს – სიკვდილისას ანდა უარესს, საშინელი სირცხვილისას, რომლებიც მღვდელს ირგვლივ შემოეჯარებოდნენ და თითებს მისი მკერდისკენ იშვერდნენ.

ყველაფერ ამას კი ისე შეუმჩნევლად და ოსტატურად სჩადიოდა, რომ მღვდელი, თუმცაღა მუდამ თან სდევდა ბუნდოვანი განცდა იმისა, რომ ბოროტი ძალის ზემოქმედების ქვეშ იყო, ვერასოდეს ხვდებოდა, ვისგან მოდიოდა დამანგრეველი გავლენა.

მაგრამ, ისიც მართალია, რომ ეჭვით, შიშით – ხანდახან შეძრწუნებითა და მძაფრი სიძულვილითაც კი – შესცქეროდა ხოლმე მოხუცი მკურნალის ხეიბარ სხეულს. მისი მანერები, სიარული, ჭაღარა წვერი, ყველაზე უმნიშვნელო მოქმედებები, თვით მისი ტანსაცმელიც კი მღვდელს გულისამრევად ეჩვენებოდა, ეს იყო უტყუარი ნიშანი იმისა, რომ ექიმი გაცილებით მეტ ზიზღს იწვევდა ღვთისმსახურის გულში, ვიდრე ამის აღიარებას ისურვებდა. თუმცა, რაკიღა უნდობლობის თვალსაჩინო საფუძველი არ ჰქონდა, მისტერ დიმსდეილი ამ ავბედით წინათგრძნობას მხოლოდ და მხოლოდ იმას მიაწერდა, რომ ერთმა დაავადებულმა უჯრედმა მთელი გული მოუწამლა. ის საკუთარ თავს კიცხავდა როჯერ ჩილინგუორთის მიმართ აღმოცენებული სიძულვილის გამო და ნაცვლად იმისა, რომ ამ გრძნობას კარგად დაჰკვირვებოდა, ცდილობდა გულიდან ამოეძირკვა იგი. და თუმცა თავს ვერაფერს უხერხებდა, პრინციპულად არ ღალატობდა თავის ჩვევას, ყოველდღიურ ურთიერთობას აგრძელებდა მოხუცთან და საშუალებას აძლევდა, მიეღწია იმ მიზნისთვის, რომლისთვისაც მას – საბრალო, ყველასაგან მიტოვებულ, თავის მსხვერპლზე კიდევ უფრო საწყალობელ არსებას – თავი მიეძღვნა.

ვიდრე მისი ხორცი სნეულებით იტანჯებოდა, სულს შავბნელი ნაღველი სრესდა და ღრღნიდა, ხოლო ცხოვრებას კი მოსისხლე მტრის ხრიკები წარმართავდა, ღირსი მამა დიმსდეილი თავის წმინდა საქმიანობაში სულ უფრო ბრწყინვალე აღიარებას აღწევდა. ამაში უდიდესი წვლილი სწორედ მის მწუხარებას მიუძღოდა. მღვდლის გონებრივი შესაძლებლობები, მორალური შეხედულებები, ემოციების განცდისა და გაზიარების ძალა ზებუნებრივად გაემახვილებინა მტკივნეულსა და მტანჯველ ყოველდღიურობას. მის თავზე მოციმციმე შარავანდედს, რომელიც თუმცა ჯერაც მთელი ძალით არ აკაშკაშებულიყო, უკვე გაეხუნებინა დიდება სხვა სახელგანთქმული მღვდლებისა, რომელთა შორისაც ისეთი სწავლულებიც იყვნენ, რომლებსაც ღვთაებრივი და ძნელადმისაწვდომი სიბრძნის შემეცნებაში გაცილებით მეტი დრო გაელიათ, ვიდრე მისტერ დიმსდეილს – დედამიწაზე და აქედან გამომდინარე, საღვთო რჯულის ღირებულსა და ღირსშესანიშნავ მოძღვრებას ახალგაზრდა თანამოძმეზე უფრო სიღრმისეულად დაუფლებოდნენ. იყვნენ სხვებიც, რომლებსაც მასზე უფრო მტკიცე მასალისაგან გამოძერწილი ტვინი, უფრო მეტი ღვთივბოძებული ჭეშმარიტება, უფრო მძიმე – რკინისა და გრანიტისაგან გამოკვეთილი – ცოდნა ჰქონდათ, რომელიც, დოქტრინასთან ზომიერად შეზავებული, საბოლოოდ, სასულიერო პირის დიდად პატივსაცემ, შთამბეჭდავ და არც თუ სასიამოვნო პერსონას აყალიბებს. იყვნენ სხვებიც, ჭეშმარიტად წმინდა მამები, რომლებიც საღვთო წიგნების მოუღალავი კითხვით და მათი განსჯით დამშვრალიყვნენ და წმინდა ცხოვრების წესით ისე მიახლოვებოდნენ უზენაეს სამყაროს, რომ ახლავე შეძლებდნენ ანგელოზთა დასთან შეერთებას, რომ არა ხორციელი სხეული, ჯერ კიდევ რომ ამძიმებდათ. ერთადერთი რამ, რაც ამ უკანასკნელთ აკლდათ, იყო ის ნიჭი, რომელიც რჩეულ მოციქულებს სულთმოფენობის დღესასწაულზე ცეცხლის ენების სახით მოევლინა და რომელიც სიმბოლურად განასახიერებდა უნარს, მოძმეთათვის მიემართათ არა უცხო და უცნობ, არამედ მათთვის გასაგებსა და გულშიჩამწვდომ ენაზე. ეს მამები, რომლებიც სხვა მხრივ ასე ემსგავსებოდნენ ქრისტეს რჩეულებს, საკუთარ არსში არ ფლობდნენ ღმერთის არსებობის უმთავრეს და უიშვიათეს საბუთს – ცეცხლოვან მეტყველებას. იმ სიმაღლიდან, რომელზეც ჩვეულებისამებრ სუფევდნენ, მათი ხმები ბუნდოვნად და გაურკვევლად აღწევდა ხოლმე მსმენელთა გულებამდე.

დიდად არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მისტერ დიმსდეილი, მისი ხასიათის მრავალი თავისებურების გათვალისწინებით, სწორედ ღვთისმეტყველთა ამ უკანასკნელ ჯგუფს მიეკუთვნე-

მაგრამ, ისიც მართალია, რომ ეჭვით, შიშით – ხანდახან შეძრწუნებითა და მძაფრი სიძულვილითაც კი – შესცქეროდა ხოლმე მოხუცი მკურნალის ხეიბარ სხეულს. მისი მანერები, სიარული, ჭაღარა წვერი, ყველაზე უმნიშვნელო მოქმედებები, თვით მისი ტანსაცმელიც კი მღვდელს გულისამრევად ეჩვენებოდა, ეს იყო უტყუარი ნიშანი იმისა, რომ ექიმი გაცილებით მეტ ზიზღს იწვევდა ღვთისმსახურის გულში, ვიდრე ამის აღიარებას ისურვებდა. თუმცა, რაკიღა უნდობლობის თვალსაჩინო საფუძველი არ ჰქონდა, მისტერ დიმსდეილი ამ ავბედით წინათგრძნობას მხოლოდ და მხოლოდ იმას მიაწერდა, რომ ერთმა დაავადებულმა უჯრედმა მთელი გული მოუწამლა. ის საკუთარ თავს კიცხავდა როჯერ ჩილინგუორთის მიმართ აღმოცენებული სიძულვილის გამო და ნაცვლად იმისა, რომ ამ გრძნობას კარგად დაჰკვირვებოდა, ცდილობდა გულიდან ამოეძირკვა იგი. და თუმცა თავს ვერაფერს უხერხებდა, პრინციპულად არ ღალატობდა თავის ჩვევას, ყოველდღიურ ურთიერთობას აგრძელებდა მოხუცთან და საშუალებას აძლევდა, მიეღწია იმ მიზნისთვის, რომლისთვისაც მას – საბრალო, ყველასაგან მიტოვებულ, თავის მსხვერპლზე კიდევ უფრო საწყალობელ არსებას – თავი მიეძღვნა.

ვიდრე მისი ხორცი სნეულებით იტანჯებოდა, სულს შავბნელი ნაღველი სრესდა და ღრღნიდა, ხოლო ცხოვრებას კი მოსისხლე შტრის ხრიკები წარმართავდა, ღირსი მამა დიმსდეილი თავის წმინდა საქმიანობაში სულ უფრო ბრწყინვალე აღიარებას აღწევდა. ამაში უდიდესი წვლილი სწორედ მის მწუხარებას მიუძღოდა. მღვდლის გონებრივი შესაძლებლობები, მორალური შეხედულებები, ემოციების განცდისა და გაზიარების ძალა ზებუნებრივად გაემახვილებინა მტკივნეულსა და მტანჯველ ყოველდღიურობას. მის თავზე მოციმციმე შარავანდედს, რომელიც თუმცა ჯერაც მთელი ძალით არ აკაშკაშებულიყო, უკვე გაეხუნებინა დიდება სხვა სახელგანთქმული მღვდლებისა, რომელთა შორისაც ისეთი სწავლულებიც იყვნენ, რომლებსაც ღვთაებრივი და ძნელადმისაწვდომი სიბრძნის შემეცნებაში გაცილებით მეტი დრო გაელიათ, ვიდრე მისტერ დიმსდეილს – დედამიწაზე და აქედან გამომდინარე, საღვთო რჯულის ღირებულსა და ღირსშესანიშნავ მოძღვრებას ახალგაზრდა თანამოძმეზე უფრო სიღრმისეულად დაუფლებოდნენ. იყვნენ სხვებიც, რომლებსაც მასზე უფრო მტკიცე მასალისაგან გამოძერწილი ტვინი, უფრო მეტი ღვთივბოძებული ჭეშმარიტება, უფრო მძიმე – რკინისა და გრანიტისაგან გამოკვეთილი – ცოდნა ჰქონდათ, რომელიც, დოქტრინასთან ზომიერად შეზავებული, საბოლოოდ, სასულიერო პირის დიდად პატივსაცემ, შთამბეჭდავ და არც თუ სასიამოვნო პერსონას აყალიბებს. იყვნენ სხვებიც, ჭეშმარიტად წმინდა მამები, რომლებიც საღვთო წიგნების მოუღალავი კითხვით და მათი განსჯით დამშვრალიყვნენ და წმინდა ცხოვრების წესით ისე მიახლოვებოდნენ უზენაეს სამყაროს, რომ ახლავე შეძლებდნენ ანგელოზთა დასთან შეერთებას, რომ არა ხორციელი სხეული, ჯერ კიდევ რომ ამძიმებდათ. ერთადერთი რამ, რაც ამ უკანასკნელთ აკლდათ, იყო ის ნიჭი, რომელიც რჩეულ მოციქულებს სულთმოფენობის დღესასწაულზე ცეცხლის ენების სახით მოევლინა და რომელიც სიმბოლურად განასახიერებდა უნარს, მოძმეთათვის მიემართათ არა უცხო და უცნობ, არამედ მათთვის გასაგებსა და გულშიჩამწვდომ ენაზე. ეს მამები, რომლებიც სხვა მხრივ ასე ემსგავსებოდნენ ქრისტეს რჩეულებს, საკუთარ არსში არ ფლობდნენ ღმერთის არსებობის უმთავრეს და უიშვიათეს საბუთს – ცეცხლოვან მეტყველებას. იმ სიმაღლიდან, რომელზეც ჩვეულებისამებრ სუფევდნენ, მათი ხმები ბუნდოვნად და გაურკვევლად აღწევდა ხოლმე მსმენელთა გულებამდე.

დიდად არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მისტერ დიმსდეილი, მისი ხასიათის მრავალი თავისებურების გათვალისწინებით, სწორედ ღვთისმეტყველთა ამ უკანასკნელ ჯგუფს მიეკუთვნე-

ბოდა. ისიც შეძლებდა რწმენისა და სიწმინდის მწვერვალზე შეედგა ფეხი, რომ არა ის დანაშაული და სატანჯველი, რომელმაც წელში მოდრიკა. სწორედ ტვირთი, რომლის ქვეშაც ლასლასი ხვდა წილად, ტოვებდა დედამიწაზე, უმდაბლესთა შორის მას, ზეციური ბუნების კაცს, რომლის ხმასაც სხვა შემთხვევაში ანგელოზები შეისმენდნენ და გამოეპასუხებოდნენ! მაგრამ ჩადენილი ცოდვა აიძულებდა, ასე საიდუმლოდ თანაეგრძნო მთელი დაცემული კაცობრიობისათვის; ჩადენილი ცოდვა ეხმარებოდა მის გულს, სხვებთან ხმაშეწყობილად ეძგერა და სხვების ტკივილი გაეთავისებინა, ხოლო თავისი მწვავე სატანჯველი კი მჭევრმეტყველების ნაღვლიანი, დამაჯერებელი ნაკადებით გადაეცა ათასობით თანამოძმისთვის. ართურ დიმსდეილის ქადაგების ძალა მუდამ გულშიჩამწვდომი და ხანდახან საზარელიც იყო! ადამიანები ვერ ხვდებოდნენ, რა მოქმედებდა მათზე ასე ძალიან. ისინი ახალგაზრდა მღვდელს სიწმინდის განსახიერებად რაცხდნენ! იმ შუამავლად, რომლის პირითაც ღმერთი თავის სიბრძნეს უზიარებდათ, საყვედურებსა და სიყვარულს უთვლიდათ. ამ ადამიანების თვალში მიწაც კი, რომელზედაც დიმსდეილი დააბიჯებდა, წმინდა იყო. მისი მრევლის ქალწულებს მღვდლის სიახლოვეს გული მისდიოდათ, ისინი შეეპყრო ვნებას, რომელიც რელიგიურ ექსტაზში ერეოდათ და ამიტომაც სააშკარაოზე ფენდნენ, ზედ თავიანთ ქათქათა მკერდებზე გამოისახავდნენ, როგორც ყველაზე შესაფერის მსხვერპლს, რომლის შეწირვაც კი საკურთხევლისთვის შეეძლოთ. მრევლის ასაკოვან წევრებს, რომლებსაც ცალი ფეხი საიქიოში ჰქონდათ, დიმსდეილის მყიფე სხეულის შემხედვარეს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ მღვდელი მათზე უწინ გაემგზავრებოდა იმქვეყნად და დაჟინებით სთხოვდნენ შვილებს, მათი ბებერი ძვლებისათვის ახალგაზრდა პასტორის წმინდა საფლავის შორიახლოს მიეჩინათ სამუდამო განსასვენებელი. და ეს მაშინ, როცა მისტერ დიმსდეილი თავის

საფლავს წარმოიდგენდა თუ არა, საკუთარ თავს ეკითხებოდა, ნეტა, ბალახი მაინც თუ ამოვა ამ უწმინდურ ძვალთშესალაგზეო.

წარმოუდგენელია ის ტანჯვა, რომელსაც ადამიანების ამგვარი მოწიწება აყენებდა ღვთისმსახურს! იგი დაბადებიდან სიმართლეს აღმერთებდა და მიიჩნევდა, რომ მოვლენა, რომელიც ამ ღვთაებრივი არსით არ იყო განმსჭვალული, ჩრდილს მიაგავდა და ყოველგვარ წონასა თუ ღირსებას იყო მოკლებული, არ ფლობდა სიცოცხლეს, რომელიც ყოველი ცოცხალი არსების გულშია. მაშ, რა გამოდიოდა თვითონ? ხორცშესხმული არსება თუ ყველაზე მიმქრალი ჩრდილთა შორის? დაუოკებლად ისწრაფოდა, რომ კათედრაზე შემომდგარს მთელი ხმით ემცნო შეკრებილი ხალხისათვის თავისი ვინაობა:

– მე, ვისაც მღვდლის ამ თალხ სამოსელში გამოწყობილს მხედავთ, ვინც ავმაღლდი ამ წმინდა კათედრაზე და ჩემი ფერმკრთალი სახე ცისკენ აღვაპყრე, რათა უზენაეს გულთამხილავთან თქვენ ნაცვლად მელაპარაკა; მე, ვის ყოველდღიურ ცხოვრებასაც თქვენ ენოქისებურ სიწმინდეს მიაწერთ; მე, ვისი ნაფეხურებიც, თქვენი აზრით, ნათელს ტოვებენ ჩემს მიწიერ გზასავალზე, რომელსაც შემდეგ პილიგრიმები შეუყვებიან, რათა ნეტარ საიქიოს მიეახლონ; მე, ვისი ხელითაც მოინათლნენ თქვენი შვილები; მე, ვინც ვჩურჩულებდი გამოსათხოვარ ლოცვას თქვენი სულთმობრძავი მეგობრების თავსასთუმალთან, რომელთაც ჩემი ნათქვამი „ამინ“ ბუნდოვნად ჩაესმოდათ, როდესაც ამ ქვეყანას ეთხოვებოდნენ; მე, თქვენი სულიერი მოძღვარი, რომელსაც ენდობოდით და თაყვანს სცემდით, არარაობა ვარ; ბილწი და ფარისეველი!

არაერთგზის ასულა მისტერ დიმსდეილი საეკლესიო კათედრაზე იმ განზრახვით, რომ უკან აღარასოდეს ჩამოევლო მისი საფეხურები, თუკი ზემოთ აღწერილ სიტყვებს არ იტყოდა. არაერთხელ ჩაუსუნთქავს ხანგრძლივად, ღრმად და მღელვარედ იმ

იმედით, რომ ამოსუნთქვას შავბნელ საიდუმლოს ამოაყოლებდა, ტვირთად რომ აწვა. და არაერთხელ – მეტიც, ასჯერ მაინც – მას მართლაც ყველაფერი უღიარებია! უღიარებია! მაგრამ როგორ? უყვებოდა თავის მსმენელებს, რომ თავად ბილწი იყო, ბილწთა შორის უბილწესი, ცოდვილთაგან უცოდვილესი, ზიზღის ღირსი, ენით აღუწერელი უკეთურობის შემოქმედი; მართლაც საოცრება იყო, რომ მრისხანებით ანთებული ყოვლისშემძლე ღმერთი პირდაპირ მათ თვალწინ არ ფერფლავდა მის შეურვებულ სხეულს. აბა, უფრო გასაგებად რაღა უნდა ეთქვა? განა საკმარისი არ იყო ეს ყველაფერი, რომ მთელი ეს ბრბო, გადამდები აღტყინებით შეპყრობილი, ერთიანად წამოშლილიყო და კათედრიდან ჩამოეთრია ის, ვინც მას ბილწავდა? რა თქმა უნდა, არ ყოფილა! ხალხი ყველაფერს ისმენდა და მხოლოდ თაყვანისცემა უმძაფრდებოდა თავისი მოძღვრის მიმართ. ცოტა თუ გრძნობდა ამ სიტყვებში ჩამალული თვითგვემის მომაკვდინებელ ძალას. „ღვთისნიერი ახალგაზრდა!" – ამბობდნენ ერთმანეთში: „მიწიერი ანგელოზი! ვაგლახ, თუკი ის თავის სპეტაკ სულზე ცოდვის ამხელა ლაქებს ამჩნევს, როგორ შეძრწუნდებოდა, ჩემს ან შენს სინდისში რომ ჩაეხედა". მღვდელმა იცოდა – და საკუთარი ფარისევლობის გამო ცოტა არ იყოს სინდისის ქენჯნასაც გრძნობდა – თუ როგორი თვალით შეხედავდა ხალხი მის ორაზროვან აღსარებას. იგი თავს იტყუებდა, როდესაც ცდილობდა დამძიმებული სინდისის მხილებით ცოდვა შეემსუბუქებინა, ამის ნაცვლად ახალი დანაშაული და გააზრებული სირცხვილი ისე ემატებოდა, რომ თავის მოტყუებით მოგვრილ შვებას წამითაც კი ვერ გრძნობდა. იგი ეჭვმიუტანელ სიმართლეს ამბობდა, რითაც ეჭვმიუტანელ ფარისევლობას ჩადიოდა. და მაინც, საკუთარი ადამიანური ბუნების გამო ისე უყვარდა სიმართლე და ეჯავრებოდა ტყუილი, როგორც ცოტას კაცთაგან, ამიტომაც ყველაფერზე მეტად საკუთარი უბედური თავი შეიჯავრა.

შინაგანმა მღელვარებამ მღვდელს უბიძგა საქციელისკენ, რომელიც ძველი რომის გარყვნილი სარწმუნოების წარმომადგენელს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე იმ განახლებული ეკლესიის შვილს, რომლის წიაღშიც დიმსდეილი იშვა და აღიზარდა. მღვდლის ბოქლომითა და გასაღებით ჩაკეტილ საიდუმლო კარადაში სისხლიანი მათრახი იმალებოდა. არცთუ იშვიათად პროტესტანტი და პურიტანი წმინდანი ბეჭებზე გადაიკრავდა მას და საკუთარ თავს მწარე სიცილით უმასპინძლდებოდა, მერე კი კიდევ უფრო მწარედ გადაირტყამდა მათრახს, რათა ამ გესლიანი სიცილის ცოდვა ჩამოერეცხა. გარდა ამისა, ბევრი სხვა ღვთისმოსავი პურიტანის მსგავსად, მარხვასაც ინახავდა; თუმცაღა, სხვებისაგან განსხვავებით, მხოლოდ იმისთვის არა, რომ სხეული განეწმინდა და ღვთიური გასხივოსნებისთვის უფრო შესაფერის ჭურჭლად ექცია; არამედ თავს იგვემდა და თავგამეტებით იქამდე შიმშილობდა, ვიდრე მუხლები არ აუკანკალდებოდა. ამავე მიზნით მღვიძარებდა, ერთმანეთზე აბამდა ღამეებს ხან კუნაპეტ სიბნელეში, ხან მოციმციმე ლამპასთან; ხანდახან ოთახს გააჩახჩახებდა და სარკეში საკუთარ ანარეკლს უყურებდა. ამგვარად განუწყვეტლივ აკვირდებოდა საკუთარ თავს, განწმენდის კი არა, თვითგვემის მიზნით. ასეთი გადაბმული მღვიძარების გამო ხშირად ებინდებოდა გონება და მის წინაშე ერთმანეთის მიყოლებით ჩაიქროლებდნენ ხოლმე მოჩვენებები. ხანდახან ისინი ბუნდოვნად ჩნდებოდნენ მკრთალი შუქით აბჟუტებული საკნის შორეულ კუთხეში; ხანდახან კი მკაფიოდ ხედავდა – იქვე, სარკეში. ეს იყო ჯგრო ეშმაკისეული ფიგურებისა, რომლებიც ფერმიხდილ ღვთისმსახურს ეკრიჭებოდნენ, ეღრიჭებოდნენ და თავიანთკენ იხმობდნენ. მერე გამოჩნდებოდა სხივმომფინარე ანგელოზების გუნდი, რომელიც მძიმედ მიფრინავდა ზემოთ, თითქოს ციურ არსებებს გულს ნაღველი აწვათ და რაც უფრო მაღლა მიიწევდნენ, მით უფრო ემატებოდათ სიმსუბუქე. მერე

ჩნდებოდნენ მისი სიყმაწვილის მეგობრები, აწგარდაცვლილნი, მისი თეთრწვერა მამა, წმინდანისებურად კაეშნიანი სახით და დედა, რომელიც სახეარიდებული ჩაუქროლებდა. ნეტა, რა მოხდებოდა, რომ დედის აჩრდილს – ყველაზე მკრთალს ლანდთა შორის – ერთხელ მაინც შეევლო სიბრალულით სავსე მზერა თავისი ვაჟისთვის. და ბოლოს მოჩვენებებით სავსე საზარელ საკანში შემოსრიალდებოდა ჰესტერ პრინი წითელ ტანსაცმელში გამოწყობილი პატარა პერლის თანხლებით და საჩვენებელ თითს ჯერ საკუთარ მკერდზე ამოქარგულ ალისფერ დამღას შიაშვერდა, მერე კი – ღვთისმსახურის მკერდზე ამოკვეთილ იმავე სიმბოლოს.

ამ მოჩვენებებიდან ვერც ერთი ვერ ახერხებდა მღვდლის ბოლომდე გაცურებას. საკმარისი იყო ნებისყოფა ოდნავ დაეძაბა, რომ მაშინვე შეეძლო სხეულებრივი საგნების გარჩევა ამ ბუნდოვანი, არანივთიერი მოლანდებებისაგან და თავის დარწმუნება, რომ ისინი უხორცონი იყვნენ, განსხვავებით, ვთქვათ, ამ მოჩუქურთმებულ მუხის მაგიდისა ანდა იმ დიდი, ოთხკუთხედი, ტყავისყდიანი და სპილენძისშესაკრავიანი საღვთისმეტყველო ტომისა. და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, სწორედ მოჩვენებები იყვნენ ყველაზე ნამდვილი და მნიშვნელოვანი არსებები მათ შორის, რომლებთანაც საბრალო ღვთისმეტყველს ჰქონდა კავშირი. ესაა ფარისევლური ცხოვრების ენითგამოუთქმელი უბედურება – იგი ადამიანების გარშემო არსებულ რეალურ საგნებსა და მოვლენებს იმ საფუძველსა და სიმყარეს აცლის, რომლებიც განგებამ მათ ჩვენი სიხარულისა და სულიერი კმაყოფილებისათვის მიანიჭა. მტყუანი კაცისთვის მთელი სამყარო ყალბია, მოუხელთებელია, მის მუჭში განილევა და ქრება. და ბოლოს თვითონ ისიც, რადგან ყალბი ნათლით შემოსილი ეჩვენება სამყაროს, აჩრდილად იქცევა და არსებობას წყვეტს. ერთადერთი რამ, რაც დედამიწაზე მისტერ დიმსდეილის არსებობას

ამართლებდა, იყო ჭეშმარიტი ტანჯვა, რომელსაც იგი სულის სიღრმეში განიცდიდა და რომელიც მის სახეზეც არეკლილიყო. ერთხელ მაინც რომ მოჰფენოდა სახეზე ღიმილი და მხიარულება, ართურ დიმსდეილი აღარ იარსებებდა.

ერთ-ერთ ამ მახინჯ ღამეთაგან, რომელიც მე ორიოდე სიტყვით აღგიწერეთ, თუმცა ვეცადე კი თქვენთვის გული არ დამემძიმებინა, მღვდელი სავარძლიდან წამოდგა. მისი გონება მოიცვა ახალმა ფიქრმა, რომელმაც, შესაძლებელია, წამიერი სიმშვიდე მიანიჭა. ისეთი გულმოდგინებით მოიკაზმა, თითქოსდა საჯარო ღვთისმსახურება უნდა შეესრულებინა, კიბე ფრთხილად ჩაიარა, კარი გააღო და გზას გაუდგა.

12. მოძღვრის მღვიძარება

პასტორი დიმსდეილი, თითქოს სიზმრის ბურუსში მყოფი, მთვარეულივით მიაბიჯებდა, ვიდრე არ მიაღწია ადგილს, სადაც ჰესტერ პრინმა მრავალი წლის წინ თავისი პირველი სახალხო შერცხვენა გადაიტანა. იგივე ფიცარნაგი თუ ეშაფოტი, ეკლესიის აივნით მოჩრდილული, შვიდი გრძელი წლის განმავლობაში ქარიშხლებითა თუ მზის სხივებით დაღდატყობილი და გაშავებული, მსხვერპლთა ფეხებქვეშ უკვე სავსებით გაცვეთილიყო. მღვდელი ნელა აუყვა საფეხურებს.

ადრიანი მაისის ბნელი ღამე იყო. მთელ ცარგვალს ზენიტიდან ჰორიზონტამდე ღრუბლების სქელი საფარველი შემოხვეოდა. სასწაული რომ მომხდარიყო და უცებ ამ ადგილას ახლაც მოჯარულიყო ის ბრბო, რომელიც ჰესტერ პრინის დასჯას ადევნებდა თვალს, ვერც კი გაარჩევდა ფიცარნაგზე მდგომი ადამიანის სახეს, ის კი არადა, მისი სხეულის კონტურებსაც ვერ შეამჩნევდა შუაღამის ამ მრუმე წკვარამში. მაგრამ ქალაქს ეძინა. საფრთხე, რომ ვინმე დაინახავდა, არ არსებობდა. მღვდელს, თუკი ასე ნებავდა, შეეძლო იქამდე მდგარიყო აქ, ვიდრე აისი აღმოსავლეთს არ შეაწითლებდა და არაფრის შინებოდა, გარდა იმისა, რომ ნოტიო და სუსხიანი ღამის ჰაერი სხეულში შეეპარებოდა და სახსრებს რევმატიზმით გაუშეშებდა, ყელს კი კატარი

და მწვავე ხველა ჩაუწვავდა და ხვალინდელი ქადაგებისა და წირვის მოლოდინით შეპყრობილ სამწყსოს გააწბილებინებდა. ვერავის თვალი ვერ შეამჩნევდა მას, გარდა მარადფხიზელი უფლისა, რომელიც საკუჭნაოში შეკეტილსაც უცქერდა, როცა ბეჭებზე სისხლიან მათრახს იტყამდა. მაშ, რატომ მოვიდა ამ ალაგას? რა იყო ეს, თუ არა თვითგვემის ფარსი? ფარსი, რომლითაც იგი მხოლოდ საკუთარ თავს იმასხარავებდა. ფარსი, რომლის გამოც ანგელოზები წითლდებოდნენ და ცრემლებს ღვრიდნენ, ავსულები კი დამცინავად ხარხარებდნენ. მას ამ ადგილისაკენ ის სინდისის ქენჯნა მოერეკებოდა, რომელიც მოუშორებლად სდევდა თან და რომლის ღვიძლი და განუყრელი მხლებელი – სილაჩრეც – სწორედ მაშინ ჩასჭიდებდა თავის ათრთოლებულ ხელს, როდესაც რაღაც ძალის კარნახით მღვდელი აღსარების პირას მივიდოდა ხოლმე. საბრალო, უბედური კაცი! რა უფლება ჰქონდა მას, ასეთ მერყევს, რომ მხრები დანაშაულით დაემძიმებინა? დანაშაულის ტვირთის ზიდვა რკინის ნერვების პატრონთა საქმეა, რომლებიც თავად ირჩევენ, ატარონ ის თუ არა. როცა მეტისმეტად გაბეზრდებიან, თავიანთ მრისხანე და ულმობელ ძალას მოიკრებენ და ხელის ერთი გაქნევით სამუდამოდ ჩამოიშორებენ სინდისის ქენჯნას! ამ მყიფე და უაღრესად მგრძნობიარე სულიერს კი არც დანაშაულის ტარება შეეძლო და არც მისი თავიდან მოშორება, თუმცაღა განუწყვეტლივ ეპოტინებოდა ხან ერთს, ხან – მეორეს და ასე უფრო მეტად იხლართებოდა იმ აბურდულ გორგალში, რომელშიც მომაკვდინებელ ცოდვასა და ფუჭ სინანულს გაეხვია.

და აი, ამგვარად, ვიდრე ეშაფოტზე იდგა და დანაშაულის მონანიებას ამაოდ ცდილობდა, მისტერ დიმსდეილის გონება საზარელმა შიშმა შეიპყრო, თითქოსდა მთელი სამყარო მის გაშიშვლებულ მკერდს, ზედ გულთან ამოკვეთილ ალისფერ ნიშანს შესცქეროდა. სინამდვილეში კი დიდი ხანი იყო, რაც მოძღვრის

სხეულის ამ წერტილს ხორციელი ტკივილის ბასრი და შხამიანი კბილი ჩაჰფრენოდა. ნებისყოფის ყოველგვარი დაძაბვის გარეშე და ისე, რომ თავის შეკავება არც უცდია, მღვდელმა დაიღრიალა. ეს ამოძახილი ღამეში ზარის რეკვასავით გაისმა – ერთი სახლიდან მეორეს აწყდებოდა და მის ექოს მთები მინდვრებს აფენდა. თითქოს ავსულებს ამოეცნოთ, თუ რამხელა უბედურებასა და შიშს შეიცავდა იგი, მისგან ხმაურის ბურთი შეეკრათ და აქეთ-იქით დააგორებდნენ.

– მორჩა! გათავდა! – ჩაიჩურჩულა ღვთისმსახურმა და სახე ხელებში ჩამალა, – ახლა მთელი ქალაქი გაიღვიძებს, აქეთ გამოეშურება და ამ ფიცარნაგზე მიპოვის.

მაგრამ არაფერი მომხდარა. ღრიალი, შესაძლოა, უფრო ხმამაღლა ჩაესმა მის ქენჯნილ სმენას, ვიდრე სინამდვილეში გაიჟღერა. ქალაქს არ გაუღვიძია, ანდა, თუკი გაიღვიძა, ძილბურანში მყოფმა ეს ყვირილი საშიში სიზმრის გამოძახილად მიიჩნია ანდა კუდიანების ხმიანობად, რომელიც იმ დროში ხშირად გადაუვლიდა დასახლებებსა თუ უმეზობლო ქოხებს, როდესაც ავსულები თავიანთ ბატონთან შესახვედრად მიფრინავდნენ ხოლმე. ამიტომაც, რაკიღა ჩოჩქოლისა და ალიაქოთის ჩქამიც კი არ მისწვდენია მის სმენას, მღვდელმა ხელები ჩამოუშვა და ირგვლივ მიმოიხედა. მოშორებით, მეორე ქუჩაზე მდგარი სახლების მწკრივში მოჩანდა გუბერნატორ ბელინგემის საცხოვრისი, რომლის ერთ-ერთი საძინებლის ფანჯარაშიც მღვდელმა თავად დიდი მსაჯულის ფიგურა დალანდა. მოხუცს ცალ ხელში ლამპა ეჭირა, თავზე თეთრი ჩაჩი ეხურა და თეთრივე ფერის გრძელ საღამურ პერანგში გახვეულიყო. საფლავიდან უდროოდ წამომდგარ მოჩვენებას ჰგავდა. უეცარ ყვირილს აშკარად შეეცბუნებინა. მეტიც, იმავე შენობის მეორე ფანჯარაში ხანშიშესული მისტრეს ჰიბინსი, გუბერნატორის და გამოჩნდა, მასაც ლამპა ეჭირა, რომელიც იმ სიშორიდანაც კი ამჟღავნებდა ქალის

სახეზე დაფენილ მჟავე და უკმაყოფილო გამომეტყველებას. მან დარაბიდან თავი გამოჰყო და შეშფოთებულმა აიხედა მაღლა. ეჭვის ნასახიც კი აღარ რჩებოდა, რომ ამ ღირსპატივცემულმა კუდიანმა ქალბატონმა მისტერ დიმსდეილის ყვირილი გაიგონა და იგი, თავისი მრავალრიცხოვანი ექოებითა და გამოძახილებით, იმ ავსულებისა და ღამეული ალქაჯების ჟრიამულად მიიღო, რომლებთან ერთადაც, ხალხის ღრმა რწმენით, თავადაც ხშირად სტუმრობდა ხოლმე ტყეს.

თვალი მოჰკრა თუ არა გუბერნატორი ბელინგემის ლამპის შუქს, მოხუცმა ქალბატონმა სასწრაფოდ ჩააქრო თავისი და გაუჩინარდა – შეიძლება, ღრუბლებს შორისაც. მღვდელს მისი შემდეგი მოქმედებები აღარ დაუნახავს. მსაჯული კი მას მერე, რაც საგულდაგულოდ მოავლო თვალი სიბნელეს – თუმცაღა თითქმის იმდენივეს ამჩნევდა, რამდენსაც წისქვილის დოლაბში ჩახედვისას გაარჩევდა მისი მზერა – ფანჯარას მოშორდა.

ღვთისმსახური შედარებით დამშვიდდა, მაგრამ მალევე მოჰკრა თვალი პატარა, მოციმციმე სინათლეს, რომელიც თავდაპირველად ძალიან შორს მოჩანდა, მერე კი ნელ-ნელა ქუჩაშიც გადმოინაცვლა. იგი წამიერ ნათელს აფენდა აქ საფოსტო ყუთს, იქ – ბაღის ღობეს, იქით – დარაბაჩამოშვებული ფანჯრის რაფასა თუ ჭას, ზედ შემომდგარი წყლით სავსე ჭურჭლით, კიდევ იქით – თაღიან მუხის კარს, მასზე მიმაგრებულ რკინის ჩაქუჩსა და ქვეშ საფეხურად შეყენებულ ხორკლიან მორს. ღირსმა მამა დიმსდეილმა ყველაფერი ეს წამებში შეამჩნია, თუმცა მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ არსებობის საბედისწერო აღსასრული ნელ-ნელა, ამ ფეხის ხმასთან ერთად უახლოვდებოდა და ფარნის მომძლავრებული შუქიც მის დიდი ხნის საიდუმლოს სულ მალე გამოამჟღავნებდა. როდესაც სინათლე გამკვეთრდა, დიმსდეილმა ლამპის სხივების რკალზე თავისი კოლეგა – ანდა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სულიერი მამა და ძვირფასი მეგობარი, ღირ-

სი მისტერ უილსონი დაინახა; იგი, როგორც მისტერ დიმსდეილმა ივარაუდა, და არც შემცდარა, ამ დრომდე მომაკვდავის სასთუმალთან შემორჩენილიყო. კეთილმა მოხუცმა მღვდელმა ის-ის იყო ლოცვა დაასრულა გუბერნატორ უინთროპის პატივცემულ გვამთან, რომელმაც, საათიც არ გასულიყო, რაც სული უფალს მიაბარა. და ახლა იგი, გარდასული დროის წმინდანის მსგავსად, მბრწყინავი შარავანდედით შემოსილიყო, რომელიც ისე კიაფობდა ამ ცოდვებით ჩამონაღვლიანებულ ღამეს, თითქოს გარდაცვლილმა გუბერნატორმა თავისი დიდებულება მღვდელს მემკვიდრეობით დაუტოვა ანდა თითქოს წმინდა მამამ თავად დაიჭირა ზეციური ქალაქის შორეული სინათლე, როდესაც მას ასცქეროდა, რათა ეხილა დიდებული სვლა იმ პილიგრიმისა, რომელმაც საიქიოს ბჭენი გადალახა და... – მოკლედ რომ ვთქვათ, კეთილი მამა უილსონი შინისაკენ მიდიოდა და გზას ლამპრით ინათებდა! ზემოაღწერილმა უცნაურმა წარმოსახვებმა კი თავში მისტერ დიმსდეილს გაუელვა, რომელსაც გაეღიმა – არა, უფრო მეტიც, გაეცინა მათზე და შემდეგ გაიფიქრა, ნეტავ ჭკუიდან ხომ არ ვიშლებიო.

როდესაც ღირსმა მამა უილსონმა, რომელიც ცალი ხელით კალვინისტური ეკლესიის წარმომადგენლის შავ მოსასხამში იფუთნებოდა, ხოლო მეორე ხელით კი მანათობელი ლამპარი მიეტანა მკერდთან, გვერდით ჩაუარა, მისტერ დიმსდეილმა ძლივს შეიკავა თავი, რომ არ გამოლაპარაკებოდა:

– საღამო მშვიდობისა, პატივცემულო მამა უილსონ. უმორჩილესად გთხოვთ, შემომიერთდით და ერთი საათი სასიამოვნოდ გავატაროთ ამ ეშაფოტზე.

ღმერთო მაღალო! ნუთუ მისტერ დიმსდეილმა მართლა წარმოთქვა ეს სიტყვები? ერთი წამით დაიჯერა, რომ ასეთი რამ მართლა გადმოსცდა პირიდან. მაგრამ, არა, მხოლოდ მისმა წარმოსახვამ მოაჩვენა ასე. ღირსი მამა უილსონი ფრთხილად

აგრძელებდა გზას შინისაკენ, გაფაციცებული ჩაჰყურებდა ტალახიან ბილიკს თავის ფერხთით და ერთხელაც კი არ შეუტრიალებია თავი დამნაშავეთა სამსჯავროსაკენ. როდესაც მოციმციმე ლამპრის შუქი შორს მიინავლა, სისუსტემ, რომელიც მის სხეულს დაუფლებოდა, მღვდელი მიახვედრა, რომ უკანასკნელი რამდენიმე წუთის განმავლობაში, ვიდრე ცდილობდა, რომ გული ამ ავბედითი მასხარაობით გადაეყოლებინა, საშინელი კრიზისი გადაიტანა.

ცოტა ხნის შემდეგ მისი გონების პირქუშ ფანტომებს შორის ისევ შეიპარა ავადმყოფური მხიარულება. იგრძნო, როგორ უშეშდებოდა კიდურები შეუჩვეველი ღამეული სუსხისაგან და შეშინდა, რომ ფიცარნაგის საფეხურების ჩავლას ვეღარ შეძლებდა. განთიადი აქ წამოადგებოდა თავზე. მეზობელ სახლებში მძინარე ადამიანები შეიშმუშნებოდნენ. ყველაზე ადრეული გამვლელი, ჯერ კიდევ დილაბნელზე სახლიდან გამოსული, შეამჩნევდა სირცხვილის კვარცხლბეკზე მიგდებულ ბუნდოვნად მოხაზულ ფიგურას; და ნახევრადშეშლილი, შეშფოთებასა და ცნობისმოყვარეობას შორის გახლეჩილი, ჩამოივლიდა, ყველა კარზე დააკაკუნებდა, ყველას მოუხმობდა რომელიღაც გარდაცვლილი დამნაშავის მოჩვენების სანახავად – ალბათ, ამად მიიჩნევდნენ მას. საყოველთაო ჩოჩქოლის შავბუმბულიანი ფრინველი ხან ერთ სახლს გაჰკრავდა ფრთას, ხან – მეორეს. მერე კი, როდესაც დღეს შუქი მოემატებოდა, თეთრ ფლანელის პერანგებში გამოწყობილი დიადი პატრიარქები ფაცხაფუცხით წამოხტებოდნენ საწოლებიდან, დარბაისელი მანდილოსნები საღამურების გამოსაცვლელადაც კი არ შეყოვნდებოდნენ. მთელი ჯარი დარბაისლებისა, რომელთა უწესრიგოდ ჩამოგდებული თმის ღერიც კი მანამდე არავის უნახავს, ახლა პირდაპირ ღამის კოშმარიდან გადმოსულის სახით წარსდგებოდნენ ხალხის წინაშე. მოხუცი გუბერნატორი ბელინგემი პირქუშად წამოიწევდა წინ, მეფე

ჯეიმსისდროინდელი გოფრირებული საყელო გვერდზე ექნებოდა მოქცეული; მისტრეს ჰიბინსს ქვედაბოლოზე ტყის ტოტების ნამტვრევები ექნებოდა შერჩენილი და სახეზე ჩვეულებრივზე უფრო მჟავე გამომეტყველება დაეფინებოდა, რაკიღა მთელი ღამის გელვის შემდეგ თვალის მოტყუება არ ეღირსა; და კეთილი მამა უილსონიც, მას მერე, რაც ნახევარი ღამე მომაკვდავის სარეცელთან გაატარა, ნაწყენი დარჩებოდა, რომ ასე უთენია გამოარკვიეს სიზმრიდან, რომელშიც ღვთითშემოსილ წმინდანებს ხედავდა. აქვე მოიყრიდნენ თავს მისტერ დიმსდეილის ტაძრის პრესვიტერები და დიაკვნები და ის ნორჩი ქალწულებიც, ასე რომ ეთაყვანებოდნენ თავიანთ მოძღვარს და მისთვის საკურთხეველი აეგოთ თავიანთ ქათქათა მკერდებქვეშ, რომლებზედაც ახლა სიჩქარისა და დაბნეულობის გამო ლეჩაქის აფარებასაც ვერ მოასწრებდნენ. ერთი სიტყვით, მთელი ქალაქი გამობარბაცდებოდა პარმაღებთან და თავის გაოგნებულ და შეძრწუნებულ სახეს სირცხვილის ფიცარნაგისაკენ მიმართავდა. და ვის დაინახავდნენ იქ, როდესაც აღმოსავლეთიდან მოფენილი შუქი ღონეს მოიკრებდა? ვის, თუ არა ღირს მამა ართურ დიმსდეილს, ნახევრად გაყინულს, სირცხვილით შებოჭილს, დაყუდებულს ზუსტად იქ, სადაც ოდესღაც ჰესტერ პრინი იდგა.

თავის მიერ წარმოსახული სცენის გროტესკული საშინელებით გატაცებულმა, დაუსაბამო მშფოთვარებით შეპყრობილმა მღვდელმა გაუცნობიერებლად გამაყრუებელი ხარხარი ატეხა, რომელსაც ვიღაცამ მაშინვე მსუბუქი, ჰაეროვანი, ბავშვური სიცილი ააყოლა. გულაფანცქალებულმა ღირსმა მამამ იმწამსვე – ვერ გაეგო უფრო სიამენარევი ტკივილით თუ ტკივილივით ბასრი სიამით – პატარა პერლის ხმა იცნო.

– პერლ, პატარა პერლ! – დაუძახა მან; ერთწუთიანი დუმილის შემდეგ კი უფრო ყრუ ხმით დააყოლა: – ჰესტერ, ჰესტერ პრინ! შენა ხარ?

– დიახ, ჰესტერ პრინი ვარ, – მოესმა გაოცებული ქალის პასუხი მღვდელს და სულ მალე მისი ფეხის ხმაც გაიგონა, – მე ვარ და ჩემი პატარა პერლი.

– საიდან გაჩნდი აქ, ჰესტერ? – ჰკითხა მღვდელმა, – რა ქარმა გადმოგაგდო?

– მომაკვდავის სარეცელს ვდარაჯობდი, – მიუგო ჰესტერ პრინმა, – გუბერნატორ უინთროპის სუდარის ზომები უნდა ამეღო. ახლა კი შინისაკენ მივდივარ, ჩემს ქოხში.

– ჰესტერ, მოდით აქ, შენ და შენი პატარა გოგო, – თქვა ღირსმა მამა დიმსდეილმა, – თქვენ უკვე ორივე იდექით ამ ფიცარნაგზე, მაგრამ მაშინ მე თქვენ გვერდით არ ვყოფილვარ. ამოდით აქ კიდევ ერთხელ და სამივე ერთად დავდგეთ.

ქალი ხმამამოუღებლივ შეუყვა საფეხურებს და ფიცარნაგზე შედგა. ცალი ხელი პერლისათვის ჩაეჭიდა. მღვდელმა იგრძნო, როგორ მიუახლოვდა ბავშვის მეორე ხელი და საკუთარი მარჯვენა შეაგება მას. ეს გააკეთა თუ არა, იმავე წამს იგრძნო, როგორ შემოიჭრა მის არსებაში ახალი სიცოცხლე, სხვისი სიცოცხლე, როგორ ჩაეღვარა გულში ნაკადივით და როგორი ელვისებური სისწრაფით მოედო იქიდან ვენებს, თითქოს დედა-შვილმა მის ნახევრად გათიშულ სხეულს თავისი მაცოცხლებელი სითბო გადასცა. და ამ სამმა ადამიანმა ელექტრული წრედი შეკრა.

– მღვდელო! – ჩაიჩურჩულა პატარა პერლმა.

– რაო, რას მეტყვი, ბავშვო? – ჰკითხა მისტერ დიმსდეილმა.

– ხვალ, ნაშუადღევს, ამ ადგილზე დადგებით ჩემთან და დედაჩემთან ერთად? – დაჟინებით ჰკითხა პერლმა.

– არა... ვერა, ჩემო პატარა პერლ! – მიუგო მღვდელმა; ვინაიდან სიცოცხლის ძალით ხელახლა დამუხტულს სახალხო მხილების ის შიში განუახლდა, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში სულს უწამლავდა. უკვე აშფოთებდა ეს კავშირი, რომლის ნაწილადაც უცებ იქცა და რომელმაც, მიუხედავად ყველაფრისა,

უცნაური სიხარული აგრძნობინა, – ასე ვერა, ჩემო შვილო. ერთ დღესაც აუცილებლად დავდგები შენსა და დედაშენთან ერთად, მაგრამ არა ხვალ!

პერლმა გაიცინა და ხელის წართმევა სცადა, მაგრამ მღვდელს მაგრად ჩაებღუჯა იგი.

– კიდევ ერთ წუთსაც მეჭიროს, შვილო! – თქვა მან.

– მაგრამ მპირდებით, – ჰკითხა პერლმა, – რომ ხვალ, ნაშუადღევს, ამ ადგილას ასევე ჩაგვკიდებთ ხელს მე და დედაჩემს?

– ხვალ ვერა, პერლ, – მიუგო მღვდელმა, – მაგრამ სხვა დროს!

– როდის? – ჩააჟინდა პერლი.

– დიადი განკითხვის დღეს, – ჩაიჩურჩულა მღვდელმა და რაც არ უნდა უცნაური იყოს, იმისმა შეგრძნებამ, რომ ჭეშმარიტების მასწავლებელი იყო, აიძულა ბავშვისათვის ასე ეპასუხა: – იქ და მაშინ, ღვთიური სამსჯავროს წინაშე შენ, მე და დედაშენი ერთად ვიდგებით! მაგრამ ამ სამყაროში დღის შუქი ვერ იხილავს ჩვენს ერთიანობას!

პერლმა ისევ გაიცინა.

უეცრად, ვიდრე მისტერ დიმსდეილი სიტყვას დაასრულებდა, შორს გაიელვა და მთელი ეს ღრუბლებით მოქურუხებული ცა გაანათა. ეს მოვლენა უეჭველად უნდა გამოეწვია ერთ-ერთ მეტეორთაგანს, რომელთა ანთებასა და ჩაფერფვლასაც უკიდეგანო სივრცეში, ატმოსფეროს ცარიელ არეებში, ღამის მზირები ასე ხშირად შეესწრებიან ხოლმე. მისი გამოსხივება ისეთი მძლავრი იყო, რომ სრულიად გაანათა დედამიწასა და ცას შორის ჩახერგილი ღრუბლების მჭიდრო სამანი. გაჩირაღდნებული ზეცის კამარა უზარმაზარი ლამპის მუცელს დაემგვანა. ამ უცნაურ შუქზე დღესავით მკაფიოდ გამოჩნდა ქუჩის ნაცნობი ავანსცენა, თუმცა იმ შემზარაობით, რომელსაც უცნაური განათება ნაცნობ საგნებს ანიჭებს ხოლმე. ხის სახლები, მათი უსწორმასწორო სართულები

და ძველმოდური წაწვეტებული სახურავები; კიბის საფეხურები და პარმაღები, ზედ ამობიბინებული ნაადრევი ბალახით; ახლად დაბარული მიწით გადაშავებული ბაღები; საურმე გზა, ცოტათი შელახული და თავად ბაზრის მოედანი, ყოველი მხრიდან მწვანე არშიაშემოვლებული – ყველაფერი ეს თვალხილული იყო, მაგრამ სრულიად უჩვეულო, თითქოს მიწიერი საგნები არამიწიერი შუქით გაბრწყინებულიყვნენ. და იქვე იდგა მღვდელი, ხელი გულზე მიეჭირა; და ჰესტერ პრინი, მკერდზე მოციმციმე ალისფერი დამღით და პატარა პერლი, თავადაც ცოცხალი დამღა და დანარჩენი ორის შემაერთებელი ჯაჭვი. იდგნენ ისინი რაღაც უცნაური და ყოვლისშემძლე ბრწყინვალების შუაგულში, რომლის შუქზეც თითქოს ყველა საიდუმლო უნდა გამომჟღავნებულიყო და რომელიც წინასწარმეტყველებდა დასაწყისს დღისა, ყველა რომ უნდა შეეერთებინა, ვინც გულისგულში ერთმანეთს ეკუთვნოდა.

როდესაც მღვდელს შეჰყურებდა, პატარა პერლის თვალებში ჯადოსნური ათინათი ციმციმებდა და სახეზეც ის ანცი ღიმილი მოუჩანდა, რომელიც ჭინკას გამომეტყველებას სძენდა ხოლმე. გოგონამ მისტერ დიმსდეილს ხელი გამოჰგლიჯა და ქუჩის გადაღმა რაღაც აჩვენა, მაგრამ კაცს ორივე ხელი გულზე დაეკრიფა და თვალები ცის კაბადონისათვის მიეპყრო.

ყველანაირ მეტეოროლოგიურ მოვლენასა და ბუნებრივ ფენომენს, ოდნავ უფრო იშვიათს, ვიდრე მზის ან მთვარის ჩასვლა-ამოსვლაა, იმ პერიოდში, ჩვეულებრივ, ზებუნებრივ ნიშნად მიიჩნევდნენ და ათას კუდს გამოაბამდნენ ხოლმე. ამგვარად, შუაღამის ცაზე შემჩნეული ყოველი მოელვარე შუბი, ცეცხლის მახვილი, მშვილდი თუ ისრების კონა ინდიელებთან ომს მოასწავებდა. მეწამული ნათლის წვიმა შავ ჭირს წინასწარმეტყველებდა. საეჭვოა, რომ ახალი ინგლისის დაარსებიდან რევოლუციურ პერიოდამდე რომელიმე მნიშვნელოვანი მოვლე-

ნა, სულერთია, კარგი თუ ცუდი, მომხდარიყოს და მის შესახებ ამ მხარის მკვიდრნი წინასწარ არ გაეფრთხილებინოს ბუნებისაგან დადგმულ ამა თუ იმ სანახაობას. ხანდახან ზეციურ ნიშნებს ბევრი ხალხი ხედავდა, თუმცაღა, უმეტეს შემთხვევაში, მათი სარწმუნოება რომელიმე მარტოხელა მოწმის კეთილსინდისიერებაზე ეკიდა, რომელიც სასწაულს წარმოსახვის ყოვლის გამფერადებელი, გამაზვიადებელი და გადამასხვაფერებელი შუშის მიღმა ხედავდა და მოგვიანებით კიდევ მეტი ხატოვნებით ამკობდა. მართლაც, იყო რაღაც დიდებული იმ აზრში, რომ ერების ბედისწერა ცის კამარაზე გამოსახულ ავისმომასწავებელ იეროგლიფებზე იყო დამოკიდებული. ღმერთს არ ეზარებოდა ასეთი ფართო პერგამენტის დასვრა ისეთი უმნიშვნელო მოვლენისათვის, როგორიც ადამიანთა მომავალია. ეს რწმენა განსაკუთრებით ესალბუნებოდა ჩვენი წინაპრების გულებს, ვინაიდან, იგი უქადდათ, რომ მათი შთამომავლების კეთილდღეობას განსაკუთრებულად ბრძენი და მკაცრი ზედამხედველი ადევნებდა თვალს ზეციდან. მაგრამ რა უნდა ვთქვათ იმ შემთხვევაზე, როდესაც მარტოკაცი უწყებათა ამავე ვრცელ ფურცელზე აღმოაჩენს ნიშანს, რომელიც მხოლოდ მისთვისაა განკუთვნილი? ეს შეიძლება მხოლოდ იმას მოასწავებდეს, რომ ადამიანს გონება სულ არევია, ხანგრძლივ, დაჟინებულსა და გაუმხელელ ტკივილს ავადმყოფულ თვითჩაღრმავებამდე მიუყვანია და მისი ეგოიზმი იქამდე მისულა, რომ ცის თაღიც კი სხვად არად მიაჩნია, თუ არა საკუთარი ბედისა და ისტორიის სანიშნ ფურცლად.

ამგვარად, ჩვენ მხოლოდ მის გულსა და თვალებში ჩაბუდებული დაავადება უნდა დავადანაშაულოთ იმაში, რომ ცის კაბადონისაკენ მზერამიპყრობილი მღვდელი უჭვრეტდა ცაზე მკრთალი წითელი სინათლით მოხაზულ უზარმაზარ მთავრულ ასოს – მთავრულ A-ს. თუმცაღა თავს ვერ დავდებთ, რომ ღრუბლების საფარველს მიღმა სიბნელეში მოელვარე მეტეორმა სწორედ

ამგვარი ფორმა მიიღო; უფრო საფიქრებელია, რომ მას ამ შესახედაობას მღვდლის ქენჯნილი წარმოსახვა ანიჭებდა; ხოლო თუ მაინც ცაზე რამე მსგავსი მოიხაზა, იმდენად გაურკვევლად, რომ სხვა მონანიე მასში სხვა სიმბოლოს ამოიკითხავდა.

არსებობდა მხოლოდ ერთი გარემოება, რომელიც იმ წამს მისტერ დიმსდეილის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას განაპირობებდა. თუმცა მთელი ეს დრო მაღლა, ზეცის კაბადონისაკენ აღეპყრო მზერა, კარგად იცოდა, რომ ის, ვისზეც პატარა პერლმა თითით ანიშნა, ფიცარნაგისაგან არცთუ შორს მდგომი მოხუცი როჯერ ჩილინგუორთი იყო. როგორც ჩანს, მღვდელმა ცაში სასწაულებრივად მოხაზული ასოს თანადროულად დაინახა იგი. ექიმის სახის ნაკვთებს ისევე, როგორც ყველაფერ სხვას, მეტეორის ნათებამ ახლებური გამომეტყველება შესძინა; ანდა უბრალოდ ისე მოხდა, რომ მკურნალმა ამჯერად ვერ გამოიჩინა ის სიფრთხილე, რომელიც არასოდეს ტოვებდა სხვა დროს და ვერ მოასწრო დაეფარა სიძულვილი, რომლითაც თავის მსხვერპლს შესცქეროდა. ეჭვი აღარ რჩებოდა, რომ მეტეორმა არა მხოლოდ ცას მოჰფინა ნათელი, არამედ დედამიწაზეც ყოველივე გამოააშკარავა იმგვარი სისაზარლით, რომ, მას მერე, რაც განკითხვის დღეს ჰესტერ პრინი და მღვდელი სამსჯავროზე დაიტუქსებოდნენ, შესაძლოა მათ წინაშე სატანის ნაცვლად ღიმილითა და ავი მზერით როჯერ ჩილინგუორთი წარმდგარიყო თავისი კუთვნილის მისაღებად. ეს გამომეტყველება ისეთი ცხოველი იყო, ანდა მღვდლის თვალმა იგი ისეთი სიმძაფრით აღიქვა, რომ თითქოს მას მერეც კი ხედავდა სიბნელეში, რაც მეტეორი გაუჩინარდა და თითქოს ერთბაშად აღიგავა პირისაგან მიწისა ქუჩაცა და ყოველივე ზედმყოფიც.

– ვინ არის ეს კაცი, ჰესტერ? – სული შეეხუთა შიშისაგან ძლეულ მისტერ დიმსდეილს, – მისი დანახვისას კანკალი მიტანს. იცნობ შენ ამ კაცს? მე ის მძულს, ჰესტერ!

ქალს ფიცი გაახსენდა და დუმილი არ დაურღვევია.

– გეუბნები, ჩემი სული თრთის მის დანახვაზე, – ჩაიჩურჩულა მღვდელმა ისევ, – ვინ არის ის? ვინ არის? ენითაღუწერლად მეშინია ამ კაცისა.

– მღვდელო! – მიუგო პატარა პერლმა, – მე გეტყვით, ვინცაა.

– მაშ, ჩქარა მითხარი, შვილო, – წამოიძახა მღვდელმა და დაიხარა, რომ ყური გოგონას ტუჩთან მიეტანა, – სწრაფად და რაც შეიძლება ხმადაბლა.

პერლმა რაღაც ჩასჩურჩულა ყურში იმ ენაზე, რომელიც თუმცაღა რაღაცით ადამიანთა ენას წააგავდა, მაგრამ უფრო მეტად იმ ბავშვურ გამონაგონს ჰგავდა, რომლითაც პატარები თამაშის დროს ერთმანეთს ესაუბრებიან. ასე იყო თუ ისე, თუ პერლის სიტყვები მისტერ ჩილინგუორთის საიდუმლოს ამხელდა, იგი იმ ენაზე იყო წარმოთქმული, რომელიც განსწავლულ ღვთისმეტყველს არ ესმოდა და ისედაც არეული გონება კიდევ უფრო აურია. ჭინკა გოგომ კი გულიანად გაიცინა.

– დამცინი, არა? – ჰკითხა მღვდელმა.

– თქვენ ვერც სიმამაცე გამოიჩინეთ და ვერც პატიოსნება! – უპასუხა ბავშვმა, – ვერ დამპირდით, რომ ხვალ, შუადღისას, აქ დაბრუნდებოდით და მე და დედას ხელს ჩაგვკიდებდით!

– კეთილო სერ! – მიმართა მღვდელს ექიმმა, რომელიც უკვე ფიცარნაგის კიბეზე ამოდიოდა, – ღვთისმოსავო მამა დიმსდეილ! ნუთუ ეს თქვენა ხართ? კეთილი, კეთილი, გასაგებია! ჩვენ, სწავლულებს, რომლებსაც მუდამ წიგნებში გვაქვს თავი ჩარგული, განსაკუთრებული მზრუნველობა გვჭირდება! ჩვენ მღვიძარენიც ვხედავთ სიზმრებს და ძილშიც დავდივართ! წამობრძანდით, კეთილო სერ, ჩემო კარგო მეგობარო, გევედრებით, ნება მომეცით, რომ შინ წაგიყვანოთ.

– როგორ გაიგეთ, რომ აქ ვიყავი? – ჰკითხა შიშისაგან შეპყრობილმა მღვდელმა.

– გულზე ხელი რომ დავიდო, წარმოდგენაც კი არ მქონდა, – მიუგო როჯერ ჩილინგუორთმა, – ლამის მთელი ღამე ცხონებული გუბერნატორის სარეცელთან გავატარე, ვცდილობდი, ჩემი უბადრუკი ცოდნით მისთვის უკანასკნელი წუთების ტანჯვა შემემსუბუქებინა. იგი შინისაკენ გაემართა – უკეთესი სამყაროსაკენ. მეც, მის მსგავსად, შინისაკენ დავადექი გზას, როდესაც უცნაურმა სინათლემ გაიელვა. წამომყევით, გთხოვთ, ღირსო მამაო, თორემ ხვალ ვეღარ შეძლებთ წირვის ჩატარებას. აჰა! შეხედეთ, რას უშვრება ჩვენს გონებას წიგნები – ოჰ, ეს წიგნები! ეს წიგნები! ნაკლები უნდა იკითხოთ, კეთილო სერ და ცოტა გული გადააყოლოთ, თორემ ღამეული მოლანდებები სულ უფრო მოგეძალებათ.

– შინ წამიყვანეთ! – უთხრა მისტერ დიმსდეილმა.

და ისეთი საშინელი გულგატეხილობით, თითქოს ეს-ესაა კოშმარული სიზმრიდან მთლად აცახცახებულმა გამოიღვიძაო, იგი მთლიანად მინებდა ექიმს, რომელმაც იქაურობას გაარიდა.

მიუხედავად ყველაფრისა, მეორე დღეს, კვირის წირვაზე, მისი ქადაგება ისეთი სიტყვაუხვი იყო, ისეთი შთამაგონებელი, ისეთი ღვთაებრივი ზემოქმედებით აღსავსე, როგორიც ადრე არასოდეს დასცდენია მის ბაგეებს. სულები, ანდა უკეთ, სულების მთელი არმია მოაბრუნა სიმართლის გზაზე იმ დღეს მისი ქადაგების ძალამ და მათაც აღთქმა დადეს საკუთარი თავის წინაშე, რომ მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში გულებში სათუთად შეინახავდნენ უდიდეს მადლიერებას მისტერ დიმსდეილის მიმართ. თუმცა, როგორც კი მოძღვარი კათედრიდან ჩამოვიდა, მას ჭაღარაწვერიანი მნათე მიუახლოვდა და შავი ხელთათმანი გაუწოდა, რომელიც მღვდელმა მაშინვე იცნო.

– ვიღაცას უპოვია ამ დილით იმ ფიცარნაგზე, რომელზედაც ბოროტმოქმედები სახალხო სირცხვილს იწვნევენ ხოლმე, – თქვა მნათემ, – ეჭვი არ მეპარება, სატანამ დააგდო იქ, რათა

როგორმე დაეკნინებინა თქვენი ღირსება. მაგრამ ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ეშმაკი ბრმა და სულელი იყო, არის და მუდამ ასე იქნება. წმინდა ხელს ხელთათმანი არ სჭირდება დასაფარავად.

– მადლობა, ჩემო კეთილო მეგობარო! – მიუგო მღვდელმა დინჯად, თუმცა გულში შიში შეეპარა. მისი მეხსიერება ისე აბნეულიყო, რომ წუხანდელი ღამის თავგადასავლები უკვე ღამის საკუთარი წარმოსახვის ნაყოფად მიაჩნდა, – დიახ, ნამდვილად ჩემი ხელთათმანია!

– რაკიღა სატანამ მისი მოპარვა შეძლო, მის შემდეგ თქვენმა ღირსებამ, დაე, ხელთათმანები გაიხადოს, ვიდრე ავსულს შეებრძოლება, – შენიშნა მოხუცმა მნათემ ნაღვლიანი ღიმილით, – გაიგეთ თუ არა, რომ წუხელ ცაზე ავისმაუწყებელი ნიშანი გამოჩენილა? დიდი მთავრული ასო A გამოსახულა, რომელიც ჩვენ ავხსენით, როგორც სიტყვა „ანგელოზის" მაუწყებელი. რადგანაც გუშინ ღამით გუბერნატორი უინთოპი ანგელოზთა დასს შეუერთდა და, როგორც ჩანს, ნიშანი გამოგვიგზავნა, რომ იქ კარგად მოეწყო.

– არა, – მიუგო მღვდელმა, – არაფერი გამიგია.

13. კიდევ ერთხელ ჰესტერის შესახებ

მისტერ დიმსდეილთან სულ ბოლო შეხვედრისას ჰესტერ პრინს თავზარი დასცა იმისმა დანახვამ, თუ როგორ დამცრობილიყო ღვთისმსახური. კაცს აშკარად ემჩნეოდა, რომ წონასწორობა დაეკარგა, მისი მორალური სიმტკიცე ბავშვურ უსუსურობას შეეცვალა და მიწაზე განრთხმულიყო მაშინ, როდესაც გონება უწინდებურ ძალას არამხოლოდ ინარჩუნებდა, არამედ ჯან-ღონის დასუსტებით რაღაც ავადმყოფური სიფხიზლეც კი შემატებოდა. რაკიღა ჰესტერ პრინს, სხვებისაგან განსხვავებით, მოძღვრის თავს გადამხდარ მოვლენათა ჯაჭვის ყველა რგოლი ხელთ ეპყრა, სულ იოლად მიხვდა, რომ, ჩადენილი ცოდვისგან მოგვრილი სინდისის ქენჯნის გარდა, კაცის ჯანმრთელობასა და სულიერ სიმშვიდეს მის წინააღმდეგ მიმართული საშინელი მექანიზმიც ანადგურებდა. ჰესტერი, რომელსაც მშვენივრად ახსოვდა, თუ როგორი იყო ეს საბრალო, დაცემული კაცი ადრე, ერთიანად შეძრულიყო. სულ თვალწინ ედგა შიშისაგან აცახცახებული მღვდელი, რომელიც მას – განკვეთილ ქალს – გუმანით აღმოჩენილი მტრისგან დაცვას შესთხოვდა. ჰოდა, ქალმაც გადაწყვიტა, რომ კაცი მის უპირობო თანადგომას იმსახურებდა. ხალხისაგან განკვეთილი ჰესტერი მიჩვეულიყო, რომ ავიც და კარგიც არა საზოგადოების, არამედ საკუთარი საწყაოთი უნდა აეწონა, ამი-

ტომაც იგი მღვდლის წინაშე იმ პასუხისმგებლობას გრძნობდა – ანდა ეჩვენებოდა, რომ გრძნობდა – რომელიც მთელ ქვეყანაზე აღარავის მიმართ აღარ შემორჩენოდა. ყველა ძაფი, რომელიც მას დანარჩენ კაცობრიობასთან აკავშირებდა – ყვავილის, აბრეშუმისა თუ ოქროსი – გაწყვეტილიყო. მაგრამ ამ კაცთან იმ ფოლადის ჯაჭვით გადაბმულიყო, რომელიც დანაშაულის თანამზრახველებს აკავშირებთ, რომლის გაწყვეტაც არავის შეუძლია და რომელიც აუცილებელ მოვალეობებს აკისრებს მათ.

ჰესტერ პრინის ადგილი საზოგადოებაში ისეთი აღარ იყო, როგორიც ამ ნაწარმოების დასაწყისში აღვწერეთ. წლები გადიოდა. პერლი უკვე შვიდი წლის გახდა, დედამისის მკერდზე დიდებული ოსტატობით ამოქარგულსა და ალისფრად მოციმციმე მთავრულ ასოს კი თანამოქალაქეებმა კარგა ხნის წინ შეაჩვიეს თვალი. ჰესტერ პრინის მიმართ სულ უფრო მატულობდა საყოველთაო პატივისცემა, რომელსაც იმას მიაგებენ, ვინც მასისგან გამოირჩევა, მაგრამ ვინმეს პირად თუ საზოგადოებრივ ინტერესებს საფრთხეს არ უქმნის. კაცის ბუნება ისეთია, რომ მას, ვინც მის პატივმოყვარეობას არ ხელყოფს, უფრო ადვილად იყვარებს, ვიდრე – იძულებს. და სიძულვილიც, თუკი თავდაპირველ მტრულ განწყობას ისევ და ისევ არ გააღიზიანებენ, შეიძლება ხანგრძლივი და ფარული პროცესის შედეგად სიყვარულად გარდაიქმნეს. ჰესტერ პრინი არც არავის აღიზიანებდა, არც არავის აბეზრებდა თავს. იგი კი არ ებრძოდა საზოგადოებას, არამედ მის ყველაზე უარეს ტრადიციას ხმისამოუღებლად ემორჩილებოდა; არასოდეს არაფერი მოუთხოვია მიყენებული ტანჯვის სანაცვლოდ. არასოდეს უმათხოვრია თანაგრძნობა. გარდა ამისა, ქალის სასარგებლოდ ისიც ბევრს შეტყველებდა, რომ მთელი იმ წლების განმავლობაში, რაც გაინაპირეს, მის სახელს იოტისოდენა მწიკვლიც კი აღარ მიჰკარებია. რაკიღა კაცობრიობის თვალში ვეღარაფერს დაკარგავდა და არც იმედი და არც სურვილი ჰქონია, რომ რამე შეემატებინა, საბრალო ცოდვილის სწორ გზაზე დაბრუნება ადამიანებმა მხოლოდ და მხოლოდ მის თანდაყოლილ სათნოებას მიაწერეს.

ხალხმა ასევე შეამჩნია, რომ ჰესტერ პრინს არასოდეს უცდია რომელიმე საზოგადოებრივ სიკეთეში წილი დაედო – გარდა იმისა, რომ სხვებთან საზიარო ჰაერს სუნთქავდა და პერლისა და საკუთარი თავისთვის პატიოსანი შრომით ლუკმაპურს მოიპოვებდა – სამაგიეროდ, მას კარგად ესმოდა, რომ კაცთა მოდგმას დად ეკუთვნოდა და აქედან გამომდინარე, ვალდებულებებიც ჰქონდა მის წინაშე. იგი, როგორც სხვა არავინ, ღარიბთა ყველა მოთხოვნას ხელგაშლილი აკმაყოფილებდა, თუმცა გულბოროტი ღატაკი თავის კართან დატოვებული საჭმლისთვის ხშირად სანაცვლოს დაცინვით მიაგებდა, ამრეზით უყურებდა ტანსაცმელს, რომელის შესაკერავადაც ის ხელები გარჯილიყვნენ, თვით სამეფო მანტიის მოკაზმვაც რომ არ გაუჭირდებოდათ. არავინ იყო ჰესტერივით თავდადებული, როდესაც ქალაქს გადამდები სნეულება მოედებოდა. ყოველი უბედურებისას, იქნებოდა ეს საზოგადო თუ პირადული, ხალხისაგან განკვეთილი მყისვე საკუთარ ადგილს პოულობდა. მწუხარებისაგან ჩაბნელებულ სახლში იგი შედიოდა არა როგორც სტუმარი, არამედ როგორც ოჯახის წევრი; თითქოსდა ეს სევდით სავსე ბინდი იყო ერთადერთი საფარველი, რომლის ქვეშაც ჰესტერს თავის მსგავს ქმნილებებთან საერთო ენის გამონახვა შეეძლო. აქ მის მკერდზე ამოქარგული ასოს არაამქვეყნიური ელვარება ნუგეშს ჰფენდა დავრდომილებს და იგი ცოდვის სამხილი კი აღარ იყო, ავადმყოფის სენაკში მოპარპალე სანთელს მიაგავდა. მისი ელვარება ტანჯულის დაბინდულ ცნობიერებაშიც კი აღწევდა, დროის საზღვარს შლიდა. ის აჩვენებდა, თუ სად უნდა მოეთქვა სული მომაკვდავს, რომლისთვისაც ამქვეყნიურ სინათლეს ძალა გამოსცლოდა, იმქვეყნიურ ბრწყინვალებას კი ჯერაც ვერ მიახლე-

ბოდა. სწორედ უბედურებისას ვლინდებოდა ჰესტერის ბუნების მთელი სიმდიდრე და სითბო; მისი ადამიანური გულმოწყალების სიუხვე, რომელიც შეუმცდარად ახვედრებდა მომაკვდავის ყველა საჭიროებას და დაუღალავად ასრულებინებდა მათ შორის უდიდესსაც კი. ჰესტერის მკერდი, ზედ აღბეჭდილი სირცხვილის ნიშნითურთ, სხვა აღარაფერი იყო, თუ არა ურბილესი ბალიში სნეულის თავის მისასვენებლად. ქალმა თავად განიმწესა თავი მოწყალების დად; უფრო სწორად კი, ქვეყნიერების მკაცრმა ხელმა განამწესა იგი ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ამას ვერც ქვეყნიერება და ვერც თვითონ ვერ განჭვრეტდა. ალისფერი ასო მისი მოწოდების სიმბოლოდ იქცა. ისე ეხმარებოდა ყველას – ქმნის ძალითა თუ ძალით თანაგრძნობისა, რომ ძალიან ბევრმა უარი თქვა დამღა თავდაპირველი მნიშვნელობით აეხსნა. ხალხი ამბობდა, რომ „ა“ „აღვსილს“ ნიშნავს, ხოლო აღვსილი კი ჰესტერ პრინი თავისი ქალური ძლევამოსილებით იყო.

მაგრამ მხოლოდ ჩაბნელებულ სახლს შეეძლო მისი დატევა. როდესაც მზე კვლავ გამოანათებდა, ჰესტერი უკვე იქ აღარ იყო, მისი ჩრდილი ნელ-ნელა იკარგებოდა ზღურბლიდან. ნუგეშისმცემელი ისე მიეფარებოდა თვალს, რომ თავსაც არ მოაბრუნებდა, რომ მადლიერების ჯილდო აეკრიფა, თუკი ის საერთოდაც იყო უკან დარჩენილთა გულებში. მერეც, თუკი ქუჩაში გადაეყრებოდა მათ, ვისაც ასე თავგანწირვით ემსახურებოდა, ქალი ჩაღუნულ თავსაც კი არასოდეს ასწევდა სალმის მისაღებად. ხოლო თუკი ისინი დაჟინებით შეეცდებოდნენ გამოლაპარაკებოდნენ, ჰესტერი ალისფერ დამღაზე მიუთითებდა და გზას გააგრძელებდა. შეიძლება ამ ყველაფრის უკან სიამაყეც იდგა, მაგრამ მისი საქციელი ისე ჰგავდა თავმდაბლობას, რომ ხალხს სწორედ ამ უკანასკნელივით უჩუყებდა გულს. საზოგადოება თავისი ბუნებით დესპოტია, იგი უარყოფს სამართალს, როდესაც მეტისმეტი დაჟინებით სთხოვენ მის აღსრულებას,

მაგრამ ზუსტად ასევე, თავგუნება მეფის მსგავსად, გადაჭარბებულ გულმოწყალებას იჩენს, როდესაც ცოდვის მიტევებას ევედრებიან. რაკიღა ჰესტერ პრინის საქციელი საზოგადოებამ მიტევების ვედრებად მიიჩნია, თავის ყოფილ მსხვერპლს უფრო ალერსიანი გამომეტყველება უჩვენა, ვიდრე ის ამას ისურვებდა ანდა თუნდაც – იმსახურებდა.

ქალაქის მმართველებს – ამ გონიერსა და განსწავლულ კაცებს – გაცილებით მეტი დრო დასჭირდათ ჰესტერის კეთილშობილი ბუნების შესაცნობად, ვიდრე – უბრალო ხალხს. მათ ცოდვილი ქალის შესახებ საზოგადოდ გავრცელებული სტერეოტიპისათვის გონების რკინის ჩარჩო შემოევლოთ და ამგვარად ისე გაემყარებინათ, რომ მისი დამსხვრევა თითქმის შეუძლებელი ჩანდა. მიუხედავად ამისა, ქალაქის დარბაისლების სახეზე კუშტად შეკრული ნაოჭები ჰესტერის დანახვისას ნელ-ნელა, დღითიდღე სულ უფრო მეტად იშლებოდა და თუ ასე გაგრძელდებოდა, მრავალი წლის მერე ეგებ გულმოწყალე გამომეტყველებაც კი გამოემეტებინათ. იგივე შეეხებოდა წარჩინებულ პირებს, რომელთაც თავიანთი თანამდებობა ხალხის ზნეობის სადარაჯოზე ყოფნას ავალდებულებდა. ამასობაში კი თავის გულში ცალ-ცალკე ყველამ აპატია ჰესტერ პრინს მისი შეცოდება; მეტიც, ალისფერ დამღას უკვე ისე აღარ უცქერდნენ, როგორც ცოდვისთვის მიღებული სამუდამო და სევდისმომგვრელი სასჯელის სიმბოლოს, არამედ, როგორც ქალის მიერ შემდეგ გაკეთებული კეთილი საქმეების გამოხატულებას. „ხედავთ იმ ქალს ამოქარგული გულისპირით? – ეტყოდნენ ისინი უცხოებს, – ეს ჩვენი ჰესტერია – ჩვენი ქალაქის მკვიდრი ჰესტერი – ღარიბების შემწე, სნეულთა მეუხი, გულდაჩაგრულთა ნუგეში.“ მერე კი, რა დასამალია, რომ მისი შავბნელი წარსულის ამბავსაც მიაყოლებდნენ. აკი, ადამიანის თვისებაა, სხვის შესახებ ყველაზე ცუდი რამ გაიხსენოს. თუმცა, მათთვისაც კი, ვინც ჰესტერს აუგს არ უვიწყებდა,

ალისფერი ასო მონაზვნის მკერდზე ჩამოკიდებულ ჯვარს ემსგავსებოდა. იგი მის პატრონს ანიჭებდა სიწმინდეს, რომელიც ყოველგვარი განსაცდელისაგან უვნებლად იხსნიდა. ყაჩაღებსაც რომ ჩავარდნოდა ხელში, ალისფერი თილისმა დაიცავდა. ხალხში ხმა დადიოდა და ბევრსაც სჯეროდა მისი, რომ ერთხელ ამ სიმბოლოს ინდიელის ისარიც მოხვდა, მაგრამ მან სასიკვდილო იარაღი აისხლიტა და იგი ისე დავარდა მიწაზე, ჰესტერს ვერაფერი ავნო.

ალისფერმა ასომ – უფრო სწორად კი მისგან განპირობებულმა საზოგადოებრივმა მდგომარეობამ – ჰესტერ პრინის გონებას ძლიერი და უცნაური კვალი დააჩნია. ამ გავარვარებულმა დამღამ თითქოს მისი ხასიათის ყველა მსუბუქი და ჰაეროვანი თვისება ფოთოლივით ჩამოაჭკნო, ისინი ჩამოცვივდნენ და დატოვეს მხოლოდ და მხოლოდ უხეში და ხორკლიანი ვარჯი. ეს ცვლილება, ალბათ, ჰესტერის ყველა მეგობარსა და მოკეთეს განიზიდავდა, რომ ჰყოლოდა კიდეც ქალს ისინი. ხასიათის გადასხვაფერებამ თვით მისი გარეგნული სილამაზეც კი ჩააქრო. ეს ნაწილობრივ მისი ტანსაცმლის გამიზნულ სისადავეს უნდა მივაწეროთ, ხოლო ნაწილობრივ – მის შებოჭილ მიხვრა-მოხვრას. კიდევ ერთი გულისმომკვლელი ცვლილება ჰესტერის ხშირსა და მდიდრულ თმას შეეტყო, რომელიც ან მოიკვეცა, ანდა ისე საგულდაგულოდ ფარავდა ჩაჩის ქვეშ, რომ მისი არც ერთი კულული აღარ აელვარებულა მზის შუქზე. ყველა ამ და კიდევ უფრო მეტად კი სხვა, დაფარულ მიზეზთა ბრალი იყო, რომ ჰესტერ პრინის სახეს აღარაფერი გააჩნდა ისეთი, რაც სიყვარულს მიიზიდავდა, მისი სხეულიც, თუმცა ძველებური დიდებულება და ქანდაკის მსგავსი აღნაგობა შეენარჩუნებინა, ვეღარაფრით ანატრებინებდა ვნებას, რომ ზედ შემოჭდობოდა; ჰესტერის მკერდქვეშ აღარაფერი ძგერდა ისეთი, რაც მას კვლავ გრძნობების ნავსაყუდლად აქცევდა. რომელიღაც თვისებას, რომლის შენარჩუნებაც ქალად ყოფ-

ნისათვის უმნიშვნელოვანესია, დაეტოვებინა ჰესტერი. გარეგნობისა და ხასიათის ასეთი პირქუში სახეცვლილება ხშირად გამხდარა ბედისწერა იმ მდედრებისა, რომელთაც სასტიკ ეპოქაში ცხოვრება უწევთ და მთელი მისი სიმძიმე თავს ატყდებათ. ჰესტერი რომ სინაზის განსახიერებად დარჩენილიყო, მოკვდებოდა. იმისთვის, რომ გადარჩენილიყო, ან თავის არსებაში ჩაბუდებული ქალურობა მთლიანად უნდა განედევნა, ანდა – რაც თითქმის იგივეა – ისე უნდა ჩაემარხა იგი საკუთარი გულის სიღრმეში, რომ აღარასოდეს გამოეჩინა. ეს უკანასკნელი, ალბათ, უკეთესად ხსნის ჰესტერის სახეცვლილებას. ის, ვინც ერთ დროს ქალი იყო, მერე კი მდედრული საწყისი დაუჩლუნგდა, ნებისმიერ წამს შეიძლებოდა კვლავ ქალად ქცეულიყო, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ჯადოსნური შეხება ფერს უცვლიდა. ხვდა თუ არა წილად მომავალში ჰესტერ პრინს ამგვარად შეხება და გარდასახვა, ამას შემდეგ ვნახავთ.

ჰესტერის სახეზე აღბეჭდილი მარმარილოსებური სიცივე შეიძლება იმასაც მივაწეროთ, რომ ქალის ცხოვრებაში ვნებების ჟამი დასრულდა და ფიქრის ჟამი დაიწყო. სამყაროსაგან მოშორებულმა – გარემომცველი საზოგადოებისაგან არაფრით დავალებულმა – ხელში შერჩენილი პატარა პერლით, რომელსაც მისი დაცვა და მფარველობა სჭირდებოდა – განკვეთილმა და იმედგადაწურულმა, რომ თავისი უწინდელი მდგომარეობის აღდგენას შეძლებდა, თუკი ამას ოდნავი ხიბლი მაინც ექნებოდა მისთვის – დამსხვრეული ჯაჭვის ყველა ნარჩენი ჩამოიშორა. მსოფლიო კანონები მისთვის აღარ კანონობდა. ეს იყო ეპოქა, როდესაც ადამიანის გონებამ, ბორკილებისაგან ახლად გათავისუფლებულმა, უფრო აქტიური და ფართო თვალსაწიერი მოიპოვა, ვიდრე საუკუნეების წინათ ჰქონდა. ხმლიანმა კაცებმა გადააგდეს მეფეები და დიდებულები. მათზე მამაცმა კაცებმა კი სანაგვეზე მოისროლეს და შეცვალეს – რეალურად, არამედ თე-

ორიულად კი არა, რაკიღა იდეების სამყარო მათთვის ყველაზე ჭეშმარიტი სამკვიდრებელი იყო – მთელი წყება უძველესი ცრურწმენებისა, რომლებსაც უძველესივე წეს-ადათების უმეტესობა ეყრდნობოდა. ჰესტერ პრინმა ეს სულისკვეთება შეისრუტა. მან თავისუფალი აზროვნება დაიწყო, რაც საკმაოდ ჩვეულებრივი რამ იყო ატლანტის ოკეანის მეორე მხარეს – მაგრამ ჩვენი წინაპრები კი, ეს რომ მათ სცოდნოდათ, უფრო მომაკვდინებელ ცოდვად ჩაუთვლიდნენ, ვიდრე იმას, რომლის გამოც ალისფერი ასოთი დადაღეს. მის განმარტოებულ, ზღვის პირას მდგარ ქოხს ისეთი ფიქრები სტუმრობდნენ, რომლებიც ახალი ინგლისის ვერც ერთი სხვა ზღურბლის გადალახვას ვერ გაბედავდნენ; ეს უხილავი სტუმრები, ვინმეს რომ მის ქოხში ფეხშედგმული ენახა, ავსულებზე ნაკლებად როდი დაღუპავდნენ თავიანთ მასპინძელს.

აღსანიშნავია, რომ ადამიანები, რომლებიც ყველაზე თავისუფლად აზროვნებენ, ყველაზე მდუმარედ ემორჩილებიან ხოლმე საზოგადოების ზედაპირულ დირექტივებს. მათ ის ფიქრიც აკმაყოფილებთ, რომელიც არასოდეს შეისხამს ქმედების სისხლსა და ხორცს. იგივე დაემართა ჰესტერსაც. თუმცაღა, შეიძლებოდა ყველაფერი სხვაგვარადაც წარმართულიყო, პატარა პერლი რომ არ მოვლენოდა მას სულების სამყაროდან. მაშინ შეიძლებოდა ჰესტერის სახელი ისტორიას იმ ენ ჰაჩინსონის მსგავსად შემოენახა, რომელმაც რელიგიური სექტა დააარსა. მას შეეძლო ერთი წინადადება წარმოეთქვა და წინასწარმეტყველის სახელი დაემკვიდრებინა. მას შეეძლო და ამას, უეჭველია, მოახერხებდა კიდეც, რომ იმ პერიოდის ულმობელ სასამართლოს მისთვის პურიტანული წესწყობილების ძირგამომთხრელი საქმიანობის ბრალდებით სიკვდილი მიესაჯა, მაგრამ ამჯერად ჰესტერის გონებრივი ძალისხმევა მხოლოდ შვილის განათლებას ხმარდებოდა. ღვთის განგებას ამ გოგონას სახით ჰესტერისათვის მიებარებინა მარცვალი ქალობისა, რომელიც, მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, მას უნდა გამოეკვირტა და აეყვავილებინა. ყველაფერი მის წინააღმდეგ იყო მიმართული. სამყარო მტრულად განწყობილიყო. თავად ბავშვის ბუნებაშიც გამოჩნდა რაღაც უგვანი, რომელიც თითქოს განუწყვეტლივ მიანიშნებდა, რომ იგი ცოდვის შვილი იყო – დედამისის უკანონო ვნების ნაყოფი – და ხშირად აიძულებდა ჰესტერს, გულისტკივილით ეკითხა საკუთარი თავისთვის – კარგი ქნა თუ არა, რომ ეს საბრალო პატარა არსება დედამიწას მოუვლინა.

ნიშანდობლივია, რომ ეს უხიაგი შეკითხვა ხშირად წამოტივტივდებოდა ხოლმე მის გონებაში და ქალების მთელ მოდგმაზე აფიქრებდა. ნუთუ ქალთა შორის ყველაზე ბედნიერს მაინც უღირდა ამქვეყნად მოსვლა? საკუთარი ყოფის მაგალითზე დიდი ხნის წინ დაესკვნა, რომ არა და ამგვარად, ერთხელ და სამუდამოდ გადაეწყვიტა ეს საკითხი. სიღრმისეული აზროვნებისაკენ მიდრეკილება, თუმცაღა დედაკაცს, მამაკაცის მსგავსად, თავისი ფიქრების დამალვას ასწავლის, მაგრამ ასევდიანებს კიდეც – შესაძლოა იმიტომ, რომ ქალი ხვდება, თუ რამდენად განუხორციელებელი ამოცანა დგას მის წინაშე. უპირველეს ყოვლისა, მთელი საზოგადოებრივი სისტემა უნდა ამოყირავდეს და მერე ხელახლა აშენდეს. ამის მერე ძირფესვიანად უნდა გარდაიქმნას საწინააღმდეგო სქესის ხასიათი თუ ის მემკვიდრეობით მიღებული ადათ-წესები, რომლებიც სისხლში ისე გასჯდომიათ, რომ ხასიათის შაგივრობას უწევთ; და აი, მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემათ ქალებს ნება, მიიღონ ის, რისი უფლებაც აქვთ და რაც დაიმსახურეს კიდეც. და ბოლოს, როდესაც ყველა სხვა დაბრკოლებას დაძლევენ, სახეიროს მაინც ვერაფერს ნახავენ ამ გარდაქმნებისაგან, თუკი ქალები თავიდან ბოლომდე თვითონ არ შეიცვლებიან, რის შემდეგადაც შეიძლება აღმოაჩინონ, რომ ის ეთერიული არსებობა, რომელსაც თავიანთი ცხოვრების არსად მიიჩნევდნენ, უკვალოდ აორთქლებულა. ქალი ამ პრობლე-

მებს მარტოდენ ფიქრის მეშვეობით ვერასოდეს დაძლევს. მათ მხოლოდ ერთი გზით უწერიათ მოგვარება: თუკი ქალის გული მოახერხებს პრობლემებზე მაღლა დადგომას, ისინი გაქრება. ასე რომ, ჰესტერ პრინი, რომლის გულმაც ჯანსაღად და თანაბრად ფეთქვის უნარი დაკარგა, საკუთარი გონების ბნელ ლაბირინთებში არიადნეს გორგალის გარეშე დაეხეტებოდა, ხან გადაულახავ ფრიალო კლდეს აწყდებოდა, ხანაც უფსკრულის სიღრმიდან ცდილობდა ამოძრომას. მის გარშემო ყველგან ველური და საზარელი გარემო იყო და არსად ჩანდა სახლი და სიმყუდროვე. ხანდახან საშინელი ეჭვი ცდილობდა დაპატრონებოდა მის სულს: ხომ არ აჯობებდა პერლი დაუყოვნებივ სამოთხეში გაეშვა, თავად კი იმ მომავალს დალოდებოდა, რომელსაც მას მარადიული მსაჯული განუჩენდა?

ალისფერმა დამღამ თავისი მისია ვერ შეასრულა.

და მაინც, ამ ბოლო შეხვედრამ ღირს მამა დიმსდეილთან მოძღვრის მღვიძარების ღამეს, ჰესტერ პრინს ახალი საფიქრალი და ახალი მიზანიც გაუჩინა, რომელიც იმად ღირდა, რომ ქალს მის მისაღწევადაც ძალისხმევა არ დაეშურებინა და თუ საჭირო გახდებოდა, მსხვერპლადაც შესწირვოდა. მან საკუთარი თვალით იხილა ის აუტანელი ტანჯვა, რომელსაც მღვდელი ებრძოდა, ანდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ვეღარ ებრძოდა. დაინახა, რომ კაცი შეშლილობის ზღვარზე იდგა, თუ უკვე არ გადაებიჯებინა ამ მიჯნისათვის. ჰესტერმა იცოდა, როგორი მტკივნეულიცაა საიდუმლო სინდისის ქენჯნის ნესტრის ჩხვლეტა, მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ მღვდელს კიდევ უფრო მომაკვდინებელი შხამით წამლავდნენ, და ამას ის ხელი ჩადიოდა, რომელიც თითქოს მის დასახმარებლად იყო გამოწვდილი. საიდუმლო მტერი მუდამ მის გვერდით იყო, მეგობრისა და დამხმარის ნიღაბს ამოფარებოდა და არც ერთ შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ მისტერ დიმსდეილის ფაქიზი ბუნება

დაეზიანებინა. ჰესტერს ისღა დარჩენოდა, საკუთარი თავისთვის ეკითხა, იყო თუ არა მისი მხრიდან უსამართლობის, სილაჩრისა და ორგულობის გამოვლინება, როდესაც ხელი არ შეუშალა ექიმს მღვდლისთვის ათასი უბედურება დაეტეხა თავს და მერე ამ უბედურებათა პირისპირ მარტო დატოვებინა. თავს იმითღა იმართლებდა, რომ როჯერ ჩილინგუორთის პირობის უსიტყვოდ მიღება მაშინ ერთადერთ გზად ესახებოდა, რათა მღვდლისათვის საშინელი განადგურება აერიდებინა; უარესი, ვიდრე თავად განიცადა. სწორედ ამ გულისთქმის კარნახით მიიღო გადაწყვეტილება და როგორც მერე გამოჩნდა, ორიდან უარესი გზა აირჩია. ჰესტერმა მიზნად დაისახა, რომ შეძლებისდაგვარად გამოესწორებინა საკუთარი შეცდომა. რთული და სერიოზული გამოცდით აღსავსე წლებით გაძლიერებულს ისე შეუძლებლად აღარ მიაჩნდა როჯერ ჩილინგუორთის დამარცხება, როგორც იმ ღამეს, ციხის საკანში რომ ესაუბრნენ ერთმანეთს – როდესაც ქალი ცოდვას წელში მოეხარა და ახლადგადატანილ დამცირებას სანახევროდ შეეშალა. მას შემდეგ ჰესტერ პრინმა ცხოვრების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა მოახერხა. მოხუცი კაცი კი, თავის მხრივ, შურისძიების სურვილმა არა მხოლოდ გაუთანაბრა ჰესტერს, მასთან შედარებით ეგებ კიდეც დაამდაბლა.

მოკლედ, ჰესტერ პრინმა გადაწყვიტა, თავის ყოფილ ქმარს შეხვედროდა და მთელი ძალით ეცადა, რომ მისგან დაეხსნა მსხვერპლი, რომლისთვისაც კაცს ასე აშკარად ჩაევლო კლანჭები. დიდხანს არ დასჭირვებია შესაფერისი შემთხვევის ლოდინი. ერთ შუადღეს, როდესაც ნახევარკუნძულის განმარტოებულ ნაწილში დასეირნობდა პერლთან ერთად, მან თვალი მოჰკრა მოხუც ექიმს, რომელსაც ცალ მკლავზე კალათა გადაეკიდა, მეორეში კი ყავარჯენი ეკავა; მიაბიჯებდა და თავისი წამლებისათვის მცენარეებსა და ფესვებს ეძებდა.

14. ჰესტერი და ექიმი

ჰესტერმა პატარა პერლს უთხრა, რომ ქვევით, წყლის ნაპირთან ჩაერბინა და იქ ნიჟარებითა და ერთმანეთში ჩახლართული წყალმცენარეებით ეთამაშა, ვიდრე თავად ბალახბულახის შემგროვებელს გაესაუბრებოდა. ბავშვიც ჩიტივით გაფრთხიალდა, პატარა, ქათქათა ფეხები გაიშიშვლა და ზღვის ნოტიო ნაპირზე გაიქცა. დროდადრო ჩერდებოდა და ცნობისმოყვარედ იჭყიტებოდა იმ გუბეებში, რომლებიც უკუქცეულ ტალღებს დაეტოვებინა და რომლებიც ახლა სარკის მაგივრობას უწევდა გოგონას. წყლის სიღრმიდან საკუთარი სახე ამოჰყურებდა – მუქი, მბზინავი კულულების ჩარჩოში ჩასმული, ჭინკებით სავსე თვალებით – ამოჰყურებდა პატარა ქალი, რომელსაც პერლი, რაკიღა სხვა მოთამაშე არ ჰყავდა, ხელს უწვდიდა და სირბილში შეჯიბრებას სთავაზობდა. მაგრამ წარმოსახული გოგონა, თავის მხრივ, თავისთან იხმობდა, თითქოს ეუბნებოდა: „აქ უკეთესია! ჩამოდი ჩემს გუბეში!" და პერლმაც შეტოპა, წვივებს სანახევროდ უფარავდა წყალი და ფსკერზე თავის თეთრ ფეხებს უცქერდა; ქვემოთ კი, უფრო ღრმად, მოჩანდა მკრთალი ნათება, ფრაგმენტული ღიმილის მსგავსი, რომელსაც ატოტმანებული წყალი აქეთ-იქით ანანავებდა.

ამასობაში მისი დედა ექიმს მიეახლა.

– სიტყვა მაქვს თქვენთვის სათქმელი, – თქვა მან, – იმ ამბავზე, რომელიც ორივე ჩვენგანს გვეხება.

– აჰა! ნუთუ ქალბატონმა ჰესტერმა მოხუც როჯერ ჩილინგუორთთან მოისურვა საუბარი? – მიუგო კაცმა და წელში გაიმართა, – თქვენს განკარგულებაში მიგულეთ! გეფიცებით, ქალბატონო, რომ ყოველი მხრიდან მხოლოდ კარგი მესმის თქვენ შესახებ. სწორედ წუხელ ერთი მსაჯული – ბრძენი და ღვთისნიერი კაცი – მიყვებოდა თქვენზე, ქალბატონო ჰესტერ, და ჩურჩულით მაცნობა, რომ ქალაქის საბჭოში უმსჯელიათ, შეიძლება თუ არა, მკერდიდან ეს ალისფერი ნიშანი ისე მოგხსნან, რომ საზოგადოებას ზიანი არ მიადგეს. ჩემს სიცოცხლეს გეფიცებით, ჰესტერ, მთელი გულით ვთხოვე ღირსეულ მსაჯულს, რაც შეიძლება დაეჩქარებინა ეს საქმე.

– მსაჯულების ნებაზე როდია დამოკიდებული ამ ნიშნის მოხსნა, – აუღელვებლად მიუგო ჰესტერმა, – მე რომ მისგან გათავისუფლების ღირსი ვიყო, ალისფერი დამღა თვითონ ჩამოვარდებოდა ძირს ანდა ფორმას შეიცვლიდა, რომ სხვა რამე ეთქვა ჩემ შესახებ.

– მაშ, ატარე, თუკი ასე გირჩევნია, – გამოეპასუხა კაცი, – ქალი მუდამ საკუთარ გუმანს უნდა ენდოს, როდესაც საქმე მის მორთულობას ეხება. ეს ასო მშვენივრადაა ამოქარგული და შენს მკერდზე თამამადაც ელვარებს.

მთელი ეს ხანი ჰესტერი თვალმოუშორებლივ შესცქეროდა მოხუცს და თავზარდაცემული და ამავდროულად, გაოგნებული იყო იმ ცვლილებებით, რომლებიც მის გარეგნობაზე ამ უკანასკნელ შვიდ წელს აღებეჭდა. ქალი იმას არ გაუოცებია, რომ კაცი დაბერებულიყო; რადგან თუმცაღა მომატებული წლების კვალი აჩნდა სახეზე, ასაკის კვალობაზე კარგად შემონახულიყო და ძველებურად დაძარღვული და მკვირცხლი ჩანდა. მაგრამ ის ადრინდელი გამომეტყველება გონიერი და სწავლული კაცისა,

მშვიდი და უწყინარი, რომელიც ყოფილი ცოლის მეხსიერებას მის საუკეთესო თვისებად შემოენახა, ერთიანად გამქრალიყო და მისი ადგილი დაეკავებინა დაძაბულ, მაძიებელ, თითქმის მრისხანე, თუმცაღა წინდახედულად დამალულ მზერას. როგორც ჩანდა, მას სურდა და ცდილობდა, რომ ეს გამომეტყველება ღიმილით შეენიღბა, მაგრამ გაღიმება ისე ულაზათოდ გამოსდიოდა და სახეზე ისე უსიამოდ გადაჰფენოდა, რომ მისი სულის მთელ სიბნელეს უფრო ააშკარავებდა. მოხუცი კაცის თვალების სიღრმიდან წამდაუწუმ ელავდა წითელი ნათება; თითქოსდა მისი არსება ცეცხლში გახვეულიყო და ეს ცეცხლი ჩაუქრობლად ღვიოდა მკერდში იქამდე, ვიდრე ვნების რომელიმე შემთხვევითი წამობერვა უეცარ ხანძრად არ გადააქცევდა. კაცი კი მას რაც შეიძლებოდა სწრაფად მიჩქმალავდა და შეეცდებოდა ისეთი გამომეტყველება მიეღო, თითქოს უჩვეულო არაფერი მომხდარა.

ერთი სიტყვით, მოხუცი როჯერ ჩილინგუორთის მაგალითი ცხადყოფდა, რომ საკმარისია დიდი დროის განმავლობაში ადამიანი ეშმაკს ემსახუროს, რომ თავადაც ეშმაკად გადაიქცევა. ეს უბედური ადამიანი დემონად გარდასახულიყო, რადგან მთელი შვიდი წელი საკუთარი გატანჯული გულის ყურისგდებაში გაეტარებინა და სიამოვნებაც მხოლოდ ამაში ეპოვა; თავის ტანჯვას უკირკიტებდა და შეჰხაროდა და ცეცხლზე გამუდმებით ნავთს უსხამდა.

ალისფერი დამღა უწვავდა მკერდს ჰესტერ პრინს. მის წინაშე იყო მეორე დანგრეული სიცოცხლეც, რომელზედაც პასუხისმგებლობა ნაწილობრივ მას ეკისრებოდა.

– რას გეუბნებათ ჩემი სახე? – ჰკითხა ექიმმა, – რატომ მისჩერებიხართ მას ასე დაჟინებით?

– რაღაც ისეთს, რაც ამატირებდა, ცრემლებს ჩემი გულისტკივილის გამოხატვა რომ შეეძლოთ, – თქვა ჰესტერმა, – მაგრამ ეს იქით იყოს. მე იმ უბედურ კაცზე მსურს თქვენთან ლაპარაკი.

– რომელ კაცზე? – ისეთი მოწადინებით შეჰყვირა როჯერ ჩილინგუორთმა, თითქოს ერთი სული ჰქონდა ამ თემაზე ესაუბრა იმ ერთადერთ ადამიანთან, რომელსაც შესაძლებელი იყო, ნდობოდა, – სიმართლე რომ გითხრათ, ქალბატონო ჰესტერ, ჩემი გონება ახლა სწორედ იმ კაცით გახლავთ დაკავებული. ასე რომ, მკითხეთ, რაც გნებავთ, მე კი გიპასუხებთ.

– შვიდი წლის წინ, როდესაც ბოლოჯერ ვესაუბრეთ ერთმანეთს, – თქვა ჰესტერმა, – თქვენ დაპირება გამომძალეთ, რომ საიდუმლოდ შევინახავდი ურთიერთობას, რომელიც ოდესღაც მე და თქვენ გვაკავშირებდა. მაშინ სხვა გზა არ მქონდა, უნდა დაგმორჩილებოდით და პირში წყალი ჩამეგუბებინა, რადგან ჩემთვის მნიშვნელოვანი კაცის სიცოცხლე და კეთილი სახელი თქვენ ხელში იყო. მაგრამ, როდესაც ამ პირობას გაძლევდით, ავი წინათგრძნობა არ მასვენებდა, რაღაც ხმა ჩამჩურჩულებდა, რომ იმ კაცს ვღალატობდი და ეს მაწუხებდა, რადგან, თუმცა მთელი ქვეყნის წინაშე ჩამოვიხსენი პასუხისმგებლობა, მის წინაშე მაინც ანგარიშვალდებული დავრჩი. იმ დღის მერე აღარავინ არის მასთან თქვენსავით ახლოს. თქვენ უდგახართ კვალში მის ყოველ ნაბიჯს. როცა იძინებს და იღვიძებს, მის გვერდით თქვენ ხართ, მის ფიქრებში იჩხრიკებით. ქექავთ და წამლავთ მის გულს. ბრჭყალები გაქვთ ჩასობილი მისი ცხოვრებისათვის და ყოველდღე უფრო ამსგავსებთ ცოცხალ გვამს; და მაინც, იგი ვერაფერს ხვდება. მე კი, როდესაც ამის უფლებას გაძლევთ, ვღალატობ ერთადერთ კაცს ამქვეყნად, რომელთანაც პირნათლად დარჩენის უფლება ცხოვრებამ დამიტოვა.

– სხვა რა არჩევანი გქონდათ? – ჰკითხა როჯერ ჩილინგუორთმა, – თუ თითს მისკენ გავიშვერდი, საკურთხევლიდან ჯერ დილეგში აღმოჩნდებოდა, იქიდან კი, შესაძლებელია, სახრჩობელაზეც ამოეყო თავი.

– ასე აჯობებდა მისთვის! – თქვა ჰესტერ პრინმა.

– განა რა დავუშავე იმ კაცს? – კვლავ იკითხა მისტერ ჩილინგუორთმა, – გეფიცები, ჰესტერ, ის აუწონავი ოქრო-ვერცხლიც კი, ძლევამოსილი მონარქები თავიანთ ექიმებს რომ უხდიდნენ, ვერ იყიდდა მზრუნველობას, რომელიც იმ საბრალო ღვთისმსახურისთვის დამიხარჯავს. რომ არა ჩემი დახმარება, მის სიცოცხლეს ორიოდე წელში შეიწირავდა სინდისის ქენჯნა, რომელსაც თქვენი საერთო დანაშაულის გამო გრძნობდა. ჰესტერ, მის სულს ის ძალა აკლია, რომელმაც შენ შეგაძლებინა, ცხოვრება ალისფერი ნიშნით დაღდასმულს გაგეგრძელებინა. დიახ, მე შემეძლო გამომემეღავნებინა თქვენი საიდუმლო! მაგრამ საკმარისია! რაც ჩემი ხელობის კაცს შეეძლო, დაუნანებლად მივეცი მას! ის რომ ახლა სუნთქავს ანდა მიწაზე დააბიჯებს, მთლიანად ჩემი დამსახურებაა!

– ჯობდა მაშინვე მომკვდარიყო! – თქვა ჰესტერ პრინმა.

– დიახ, დედაკაცო, სიმართლეს ამბობ! – იყვირა მოხუცმა როჯერ ჩილინგუორთმა და უცებ ალისფერი ნაკვერჩხალი, რომელიც კაცს გულს უფერფლავდა, პირდაპირ ჰესტერის თვალწინ აბრიალდა, – სჯობდა, მაშინვე მომკვდარიყო! რადგან არც ერთი მოკვდავი არ დატანჯულა ამ კაცივით! და თანაც პირდაპირ მისი უბოროტესი მტრის წინ! იგი ჩემს არსებობას ხვდებოდა! გრძნობდა, რომ რაღაც ძალა, რომელიც წყევლასავით აწვა, თრგუნავდა! მან იცოდა, რომელიღაც ზეადამიანური შეგრძნებით – რადგანაც შემოქმედს არასოდეს შეუქმნია მასავით მგრძნობიარე არსება – ხელი, რომელიც მისი გულის სიმებს აუღერებდა, მეგობარს არ ეკუთვნოდა; არც თვალი, რომელიც ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა, იყო მეგობრისა; ეს თვალი ბოროტებას ეძებდა და იპოვა კიდეც. მაგრამ მღვდელმა არ იცოდა, რომ მის სულში მოფათურე ხელიცა და თვალიც მე მეკუთვნოდა! მისი საძმოსათვის დამახასიათებელი ცრუმორწმუნეობით წარმოისახა, რომ ეშმაკი დაჰპატრონებოდა და ის ტანჯავდა საშიში

სიზმრებითა და სასოწარკვეთილი ფიქრებით, სინდისის ქენჯნითა და მიტევების უიმედობით, როგორც მცირე ულუფით იმისა, რაც სიკვდილის შემდეგ ელის. მაგრამ სინამდვილეში ჩემი განუშორებელი აჩრდილი უხუთავდა სულს; მეზობლობა კაცისა, რომლის წინაშეც ყველაზე მძიმედ შესცოდა! და რომლის ცხოვრებაც მხოლოდ შურისძიების მუდმივი შხამის ტარებად იქცა. დიახ, მართალია! ის არ შემცდარა! მართლაც ეშმაკი იჯდა ზედ მის იდაყვთან! მოკვდავი კაცი, რომელსაც ოდესღაც ადამიანის გული ჰქონდა და დემონად გადაიქცა, რათა მუდმივად გაეტანჯა იგი!

ბედნავსმა ექიმმა, როდესაც ამ სიტყვებს წარმოთქვამდა, ორივე ხელი შეძრწუნებით ასწია, თითქოს სარკეში ჩახედვისას ვიღაც საშიშ არსებას მოჰკრა თვალი, რომელიც საერთოდ ვერ იცნო. ეს იყო ერთი იმ მომენტთაგანი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ერთხელ თუ დაატყდება თავს ადამიანს და როდესაც ადამიანის მორალური სახე მისი გონების წინაშე დაუფარავად მჟღავნდება. სიმართლეს მოკლებული არ იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ მას ადრე საკუთარი თავისთვის ისე არასოდეს შეუხედავს, როგორც – ახლა.

– ნუთუ არ გეყო მისი წამება? – თქვა ჰესტერმა, როდესაც მოხუცი კაცის ეს მზერა შენიშნა, – ნუთუ უკვე ყველაფრისთვის არ ზღო?

– არა, არა, მას ახლა უფრო მეტი მართებს ჩემი! – უპასუხა ექიმმა; თანდათანობით მისმა ქცევამ ძველებური მძვინვარება დაკარგა და ნაღვლიან სიმშვიდედ გადაიქცა, – გახსოვს, ჰესტერ, როგორი ვიყავი ცხრა წლის წინათ? მაშინაც კი ჩემი ცხოვრების შემოდგომა მედგა და არცთუ ადრეული შემოდგომა. მაგრამ მთელ ჩემი ყოფა ითვლიდა წრფელ, სიბეჯითით სავსე, დაფიქრებულსა და მშვიდ წლებს, გულწრფელად მიძღვნილს იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ცოდნა მიმეღო და ასევე, თუმცაღა ეს

ნაკლებმნიშვნელოვნად მიმაჩნდა, გულწრფელად მსურდა, რომ ჩემს ცოდნას ადამიანებისათვის სიკეთე მოეტანა. არ არსებობდა უფრო მშვიდი და უმანკო ყოფა, ვიდრე ჩემი იყო. ცოტას თუ ღირსებია ამდენი სიკეთე ცხოვრებისაგან. გახსოვს, როგორი ვიყავი? შენ ალბათ ცივი კაცი გეგონე, მაგრამ განა არ ვიყავი ის, ვინც სხვებზე ფიქრობდა და საკუთარი თავისთვის ცოტას იტოვებდა – განა არ ვიყავი კეთილი, მართალი და თუ თბილი არა, მყარი გრძნობების პატრონი? განა ასეთი არ გახსოვარ?

– ყველა ამ ღირსებით შემკული და უკეთესიც, – მიუგო ჰესტერმა.

– ახლა კი რად ვიქეცი? – დაჟინებით ჰკითხა მან, ქალს სახეში ჩააშტერდა და მთელი ის ბოროტება, რომელიც მის არსებაში ჩაბუდებულიყო, სახის ნაკვთებმა აირეკლა, – უკვე გითხარი, რადაც ვიქეცი! სატანად! და ვინ მაქცია ამად?

– მე! – დაიყვირა შეძრწუნებულმა ჰესტერმა, – მე მასზე არანაკლებ დამნაშავე ვარ! ჩემზე რატომ არ იძიებ შურს?

– შენთვის ეს ალისფერი დამღაც საკმარისია! – მიუგო როჯერ ჩილინგუორთმა, – თუკი მან ვერ ამომყარა შენი ჯავრი, სხვა აღარაფერი შემიძლია.

მან ღიმილით დაადო ხელი ალისფერ ასოს.

– დამიჯერე, მან შენ ნაცვლად იძია შური! – მიუგო ჰესტერ პრინმა.

– მეც ასე მგონია, – დაეთანხმა ექიმი, – ახლა კი მითხარი, რისი თქმა გინდოდა ჩემთვის იმ კაცის შესახებ?

– უნდა გავანდო შენი საიდუმლო, – მტკიცედ უპასუხა ჰესტერმა, – მან უნდა აღმოაჩინოს შენი ნამდვილი ბუნება. ამას რა მოჰყვება, არ ვიცი. მაგრამ მე მოვშხამე და დავანგრიე მისი სიცოცხლე და ახლა დაგვიანებით მაინც უნდა ჩავასესხო ვალი, რომელსაც მისი ნდობა მაკისრებს. ჯერჯერობით იმ კაცის ამქვეყნიური პატივის, დამსახურებული დიდებისა და შესაძლოა,

სიცოცხლის მოსპობა თუ შენარჩუნება შენს ხელთაა. და მე – ვინც ალისფერმა დამღამ მიაჩვია სიმართლეს, თუნდაც ეს სიმართლე გავარვარებულ რკინასავით შანთავდეს სულს – მე აღარ მივიჩნევ ღირებულად მის ასეთ ყოფას, საზარელი სიცარიელით დამძიმებულს – ასე რომ, აღარ დაგიჩოქებ, რომ მისი შებრალება გთხოვო. ის უყავი, რაც გინდა! მას აღარაფერი უშველის! მეც ვეღარაფერი მიშველის! ვეღარც შენ გიშველის რამე! და პატარა პერლსაც აღარაფერი ეშველება! ვეღარაფერი გამოგვიყვანს ამ ჩახლართული ლაბირინთიდან.

– დედაკაცო, ლამისაა შემებრალო! – თქვა როჯერ ჩილინგუორთმა, რომელმაც ვერ შეძლო აღფრთოვანების ცახცახი შეეკავებინა, რადგან იყო რაღაც დიდებული იმ სასოწარკვეთილებაში, რომელიც ჰესტერ პრინმა გამოხატა, – შენ საოცარი ღირსებები გაქვს. ჩემზე ადრე უკეთეს სიყვარულს რომ გადაჰყროდი, ეგებ ამგვარი უბედურება არც დაგმართნოდა. მებრალები, რადგან მთელი შენი თანდაყოლილი სიკეთე წყალში ჩაიყარა.

– მე კი შენ მებრალები, – უპასუხა ჰესტერ პრინმა, – იმ სიძულვილის გამო, რომელმაც ბრძენი და სამართლიანი კაცი დემონად გაქცია. ნუთუ არ გინდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ განიწმინდო და კვლავ ადამიანური სახე დაიბრუნო? მის სასიკეთოდ კი არა, ორგზის უფრო მეტად საკუთარი თავისთვის უნდა გააკეთო ეს. აპატიე და მიანდე მისი დასჯა იმ მსაჯულს, რომელსაც ამის უფლება აქვს! ეს-ესაა ვთქვი, რომ ვერაფერი გვიშველის, ვერც მას, ვერც შენ და ვერც მე, რომ ჩვენ ყველანი ერთად დავეხეტებით ცოდვის ჩაბნელებულ ლაბირინთში და ყოველ ნაბიჯზე წამოვკრავთ ფეხს იმ დანაშაულს, რომელიც გზად დავიგეთ. მაგრამ ეს მთლად ასეც არაა! შენ, მხოლოდ შენ შეგიძლია, რომ გადარჩე, რადგან შენ ის ხარ, ვის მიმართაც შესცოდეს, ხოლო მას კი ეყო ნება, რომ მიეტევებინა. ნუთუ ამ

ერთადერთ უპირატესობას ქარს გაატან? ნუთუ უარს იტყვი ამ ფასდაუდებელ შესაძლებლობაზე?

– მშვიდად, ჰესტერ, მშვიდად, – მიუგო მოხუცმა კაცმა ნაღვლიანი სერიოზულობით, – პატიების უნარი ღმერთს ჩემთვის არ მოუცია. არ გამაჩნია ის ნება, რომლის შესახებაც შენ მეუბნები. ჩემი ძველი რწმენა, დიდი ხნის წინ დავიწყებული, უკან დამიბრუნდა და ამიხსნა, თუ რას ვაკეთებთ და რატომ ვიტანჯებით. მაშინ, როდესაც პირველად გადაუხვიე გზიდან, ბოროტების თესლი ჩაყარე, მაგრამ მერე კი ყველაფერი შავბნელმა გარდუვლობამ განაპირობა. შენ, ვინც მიღალატე, არ ხარ დამნაშავე არაფერში, გარდა იმისა, რომ ადამიანთათვის ჩვეულ ილუზიას აჰყევი. და არც მე, თუმცაღა ეშმაკს ხელიდან გამოვტაცე მისი საქმე, არ ვარ ხორცშესხმული სატანა. ეს ყველაფერი ჩვენი ბედია. დაე, შავი ყვავილი ბოლომდე გაიფურჩქნოს! ახლა კი შენი გზით წადი და უთხარი იმ კაცს ის, რაც შენს გულს მოსურვებია.

მან ხელი დაიქნია და მცენარეების შეგროვება განაგრძო.

15. ჰესტერი და პერლი

ასე რომ, როჯერ ჩილინგუორთი ჰესტერ პრინს გამოეთხოვა და ძველებურად მიწისაკენ წახრილმა განაგრძო გზა. თან წაიყოლა თავისი ბებერი, მოღრეცილი სხეული და სახე, რომელიც იმაზე დიდხანს რჩებოდა ადამიანების გულში, ვიდრე ისინი ისურვებდნენ. მხცოვანი ექიმი ხან აქ, ხან – იქ მოგლეჯდა რომელიმე ბალახს, შიგადაშიგ ბოლქვებსაც მოიხელთებდა და მკლავზე გადაკიდებულ კალათში მიუჩენდა ადგილს. მისი ჭაღარა წვერი ლამის მიწაზე ეთრეოდა, როდესაც კაცი ფეხაკრეფით მიიწევდა წინ. ჰესტერი ერთხანს ახირებული ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს მას: ნეტავ, ამ კაცის ფეხქვეშ ადრეული გაზაფხულის სათუთი ბალახი თუ გადახმება და მის ხალისიან სიმწვანეს მოხუცის ნაფეხურები ყავისფრად თუ ამოწვავსო. ქალს აინტერესებდა, თუ რომელ მცენარეს აგროვებდა ასე მუყაითად მკურნალი. ნუთუ მიწა, კაცის ბოროტი ზრახვით წაქეზებული, თანაგრძნობის ნიშნად ჯერ არნახულ შხამიან ბუჩქნარს პირდაპირ თითებს შორის აღმოუცენებდა? თუ მოხუცი სწავლული იმასაც დასჯერდებოდა, რომ მისი ხელის შეხებაზე ყველა ჯანსაღი მცენარე მავნე და მომწამვლელ ქმნილებად გადაქცეულიყო? ნუთუ მზე, რომელიც ასე უხვად ანათებდა ირგვლივ ყველაფერს, თავის სხივებს მასაც უწილადებდა?

თუ, როგორც ჰესტერს ეჩვენებოდა, კაცის მოღრეცილი სხეული მართლა ავისმომასწავებელ ჩრდილს ფენდა ყველგან, საითაც მიტრიალდებოდა? და ახლა სადღა მიდიოდა? რა იქნებოდა, უეცრად მიწას ეყო პირი მისთვის და ნაცვლად ტიალი და ვერანი ადგილი დაჩენილიყო, რომელზედაც დროთა განმავლობაში შხამიანი ბელადონები, შინდანწლები, ლენცოფები და ყველა ის მავნე სარეველა დაფესვიანდებოდა, რომლებიც ამ ჰავაზე ხარობდა და თვალის დახამხამებაში ტანს იყრიდა? ანდა ხომ შეიძლებოდა, ექიმს ღამურის ფრთები გაეშალა და აფრენილიყო, რათა ზეცის სიახლოვეს მისი სიუშნოვე კიდევ უფრო გამოეაშკარავებინა?

– ცოდვაა ეს თუ არა, – გესლიანად თქვა ჰესტერ პრინმა, როდესაც კაცს შესცქეროდა, – მე მძულს იგი!

ჰესტერი საკუთარ თავს ჰკიცხავდა ამ გრძნობის გამო, თუმცა არც მისი გადალახვა შეეძლო და არც შემსუბუქება – თუმცა ძალიან ცდილობდა და ახსენდებოდა გარდასული დღეები, შორეულ მიწაზე გატარებული, როდესაც ეს კაცი, დღისით კაბინეტში გამოკეტილი, საღამოსპირზე გამოვიდოდა და ბუხრისა და ახლადშერთული ცოლის ღიმილის სითბოს მიეფიცხებოდა. ამბობდა, რომ ეს ღიმილი ულღობდა ყინულს, რომელიც წიგნებს შორის მარტოდმარტო გატარებული უამრავი საათის გამო მის გულს სალტედ შემორტყმოდა. ამგვარი საღამოები ჰესტერს ადრე სხვა არაფერი ეგონა, თუ არა ბედნიერება, მაგრამ ახლა მათ, როდესაც წლების გადასახედიდან უმზერდა, ყველაზე მახინჯ მოგონებათა შორის უჩენდა ადგილს. აოცებდა, მართლა როგორ თამაშდებოდა ოდესღაც ეს სცენები! აოცებდა, როგორ შეძლო კაცმა მისი დაყოლიება ქორწინებაზე! თავის ყველაზე მოუნანიებელ დანაშაულად მიიჩნევდა და იმის გამო იტანჯებოდა, რომ ოდესღაც იტანდა, მეტიც, ალერსით პასუხობდა მის ნელთბილად შემოჭდობილ მკლავებს, რომ მისი ბაგეებისა და

თვალების ღიმილი ოდესღაც კაცისას ერწყმოდა და ადნებოდა. იმ შეცოდებათა შორის, რომლებიც როჯერ ჩილინგუორთს მის მიმართ ჩაედინა, ყველაზე მეტად ერთს ვერ პატიობდა, რომ ქალის გამოუცდელობით ისარგებლა და ჩააგონა, რომ მის გვერდით ბედნიერი იყო.

– დიახ, მე ის მძულს! – თქვა ჰესტერმა წინანდელზე უფრო ღვარძლიანად, – მან მე გამაცურა! უფრო მეტი დამიშავა, ვიდრე მე დავუშავე მას!

კაცები შიშით უნდა ძრწოდნენ, თუკი ქალის ხელი ისე ერგებათ, რომ მის გულს ვნების ცეცხლს ვერ წაუკიდებენ. მაშინ შეიძლება ქორწინება ისეთ ბედუკუღმართობად ექცეთ, როგორადაც როჯერ ჩილინგუორთს ექცა, როდესაც მასზე ძლევამოსილის ხელის შეხებამ მისი ცოლის მთვლემარე გრძნობები გამოაღვიძა და ქალმა კიცხვა დაუწყო ქმარს, რადგან ბედნიერებისა და მშვიდი კმაყოფილების მარმარილოს ასლი მან სიცოცხლეშთაბერილ რეალობად შეასაღა. მაგრამ ჰესტერი დიდი ხნის წინ უნდა შეჰგუებოდა ამ უსამართლობას. მაშ, რისი მომასწავებელი იყო სიძულვილის ეს აფეთქება? ნუთუ ალისფერი დამღით მოგვრილ ტანჯვაში გატარებულმა შვიდმა გრძელმა წელიწადმა, ამდენი უბედურება რომ მოუვლინა, სინანული არ ასწავლა?

გრძნობების ამ ხანმოკლე მოზღვავებამ, რომელიც ჰესტერს მოხუცი როჯერ ჩილინგუორთის მოხრილი ფიგურის ცქერამ მოჰგვარა, მრუმე შუქი მოჰფინა ქალის გონებას და ბევრი რამ ისეთი გამოამჟღავნა, რაშიც სხვა დროს საკუთარ თავს ვერც კი გამოუტყდებოდა.

როდესაც კაცი თვალს მიეფარა, ქალის ფიქრები კვლავ შვილს დაუბრუნდა.

– პერლ, ჩემო პატარა გოგო, სადა ხარ?

ამასობაში პერლი, რომლის ენერგიული შემართებაც არასოდეს ინავლებოდა, დროს არ კარგავდა და ვიდრე დედამისი

ბალახბულახის მოხუც შემგროვებელს ესაუბრებოდა, ათასგვარი გასართობი გამოიგონა. თავდაპირველად, როგორც უკვე გითხარით, აღფრთოვანებით შესციცინებდა საკუთარ ანარეკლს ჩაგუბებულ წყალში, უხმობდა მას და – რაკიღა მან ვერ გაბედა, წყლიდან ამოსვლა – თავად ეძებდა მასთან მისაახლოვებელ ბილიკს ხელშეუხებელ მიწასა და მიუწვდომელ ცას შორის. მაგრამ რაკიღა მალევე აღმოაჩინა, რომ ის და გამოსახულება სხვადასხვა განზომილებას ეკუთვნოდნენ, დროის გასაყვანად რამე უფრო სახალისოს დაუწყო ძებნა. არყის ხის მერქნით გემები გააკეთა და ლოკოკინის ნიჟარებით დატვირთა, მერე კი ეს უთვალავი ქონება, რომლის ბადალიც ახალი ინგლისის არც ერთ ვაჭარს არ მოელანდებოდა, ზღვის ყოვლისშემძლე წიაღს მიანდო, თუმცაღა მათი დიდი ნაწილი ზედ ნაპირთანვე ჩაიძირა. მერე მახვილკუდას პირდაპირ კუდში ჩაავლო ხელი, რამდენიმე ზღვის ვარსკვლავა შეიპყრო და მედუზა მზის გულზე დააგდო, რომ ენახა, როგორ დნებოდა. მერე სანაპიროს ზოლზე მიქცეული ტალღის მიერ დატოვებულ თეთრ ქაფს დაავლო ხელი და ნიავს გაატანა, თანაც ფრთაშესხმული უკან მისდევდა, რომ ქაფის ფიფქებისათვის ხელი მანამ წაევლო, ვიდრე მიწაზე დაეცემოდნენ. მერე თვალი სანაპიროს გასწვრივ მოფარფატე ზღვის ფრინველებს მოჰკრა, რომლებიც საჭმელს ეძებდნენ, მაშინ საძაგელმა ბავშვმა კალთა კენჭებით აივსო, კლდიდან კლდეზე ფეხაკრეფით მიიპარებოდა პატარა ჩიტების კვალდაკვალ და მათი დაფრთხობის შესაშური ნიჭიც გამოავლინა. ნასროლი კენჭი, ამაში პერლს ეჭვი თითქმის აღარ ეპარებოდა, ერთ პატარა, ნაცრისფერ გულთეთრა ჩიტუნას მოხვდა და ფრთა მოსტეხა. მაშინ ჭინკა-გოგომ ამოიოხრა და ჩიტებს თავი დაანება, რადგან დაანაღვლიანდა, რომ მისი მიზეზით ტკივილი იგრძნო ამ პატარა არსებამ, ზღვის ნიავივით ანდა თავად პერლივით ველურმა.

ბოლოს კი ათასნაირი წყალმცენარის შეგროვებას მიჰყო ხელი და მათგან ყელსახვევის, წამოსასხამისა და თავსაბურავის

ქსოვას შეუდგა, რომ პატარა ქალთევზასავით მორთულიყო. ქსოვილებითა და თარგებით თამაშის ნიჭი პერლმა დედისაგან მემკვიდრეობით მიიღო. ქალთევზას კოსტიუმის საბოლოო სრულყოფისათვის ზღვის ბალახი მოიმარჯვა და საკუთარ მკერდზე რაც შეეძლო გულმოდგინედ აღბეჭდა ის მორთულობა, რომელსაც ამდენი წელია დედის გულისპირზე ხედავდა. მთავრული A – მთავრული A – ოღონდ ალისფერი კი არა, ხასხასა მწვანე! ბავშვს ნიკაპი მკერდზე ჩამოედო და საკუთარ ქმნილებას უცნაური ინტერესით ათვალიერებდა; თითქოსდა ამ ქვეყანას მხოლოდ იმისთვის მოვლენოდა, რომ ამ სიმბოლოს ფარული მნიშვნელობა ამოეცნო.

– ნეტა, დედა თუ მეტყვის, რას ნიშნავს ეს! – გაიფიქრა პერლმა.

სწორედ ამ დროს გოგონას დედის ხმა შემოესმა და ისე გაფრთხიალდა მისკენ, თითქოს ისიც ერთ-ერთი ზღვის ფრინველი ყოფილიყო, წამში ჰესტერის წინ გაჩნდა, მოცეკვავე, მოცინარი და თითით მკერდზე მიბნეულ სამშვენისზე უჩვენებდა.

– ჩემო პატარა პერლ, – თქვა ჰესტერმა წუთიერი მდუმარეების შემდეგ, – შენს ბავშურ მკერდზე მიმაგრებული ეს მწვანე ასო სრულიად არაფრისმთქმელია. მაგრამ იცი კი, ჩემო პატარავ, რას ნიშნავს ის დამღა, რომლის ტარებაც დედაშენს ხვდა წილად?

– დიახ, დედა, – მიუგო ბავშვმა, – ეს მთავრული A არის. შენ თვითონ მაჩვენე ანბანის წიგნში.

ქალი დაჟინებით ჩააცქერდა შვილის პატარა სახეს, რომელსაც ის უცნაური გამომეტყველება გადაჰფენოდა, რომელიც ადრეც ასე ხშირად შეუნიშნავს გოგონას შავ თვალებში, და მაინც ვერ დაიჯერა, რომ პერლი მართლაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ სიმბოლოს. ავადმყოფური სურვილი იგრძნო, ეს საკითხი ახლავე გაერკვია.

– შვილო, იცი, რატომ ატარებს დედაშენი ამ ასოს მუდამ?

– რა თქმა უნდა, ვიცი! – მიუგო პერლმა და გაბრწყინებულმა ჩახედა თვალებში, – სწორედ იმ მიზეზით, რომლის გამოც მღვდელს სულ გულზე უდევს ხელი.

– მაინც რა მიზეზია? – ჰკითხა ჰესტერმა, რომელმაც გულში გაიღიმა ამ ბავშვური დაკვირვების აბსურდული დამთხვევის გამო. მაგრამ, მეორე წამს ფიქრებმა ფერი უცვალა:

– ჰო, მაგრამ ამ ასოს, ჩემ გარდა, ვის გულთან რა ესაქმება?

– რაც ვიცოდი, ყველაფერი გითხარი, დედა, – მიუგო პერლმა იმაზე სერიოზულად, ვიდრე სჩვეოდა, – დანარჩენი, აი, იმ მოხუც კაცს ჰკითხე, რომელთან სალაპარაკოდაც წელან შეჩერდი! შეიძლება მან იცოდეს. ახლა კი, ჩემო ძვირფასო დედიკო, სიმართლე მითხარი, რას ნიშნავს ეს ალისფერი ასო? რატომ ატარებ მკერდით? და მღვდელიც წამდაუწუმ რატომ იდებს ხელს გულთან?

მან დედის ხელი თავის პატარა ხელის მტევნებში მოიქცია და ქალს თვალებში ისეთი გულწრფელობით ჩახედა, რომელიც გოგონას ველურ და ჭირვეულ ხასიათთან ასეთი შეუსაბამო იყო. ჰესტერს ფიქრმა გაურბინა, რომ შესაძლოა ბავშვური მოწადინებით პერლი მართლაც ცდილობდა დედის გულისნადებს ჩასწვდომოდა და ამისკენ ისე გულმოდგინედ მიიწევდა, თითქოს იცოდა, დედას უფრო იოლად რომელი ხერხით გამოტეხავდა. ამ ფიქრმა ჰესტერის თვალში ახლებურად წარმოაჩინა პერლი. აქამდე დედა, რომელიც შვილს, როგორც თავის ერთადერთ სიყვარულს, მთელი გულით ეტრფოდა, საკუთარ თავს შთააგონებდა, რომ მისგან სანაცვლოდ არაფერს უნდა დალოდებოდა, გარდა აპრილის სიოს მსგავსი თავნებობისა. იმ აპრილის სიოსი, რომელიც მთელ დროს ქარაფშუტულ გართობაში ატარებს, ხანდახან გაუგებარი მიზეზით წამოიქროლებს და საუკეთესო გუნებაზე მყოფიც კი ჭირვეულობს და თუკი გულმკერდს მიუშვერ, უფრო

გსუსხავს, ვიდრე გეალერსება. მერე კი, თითქოს ამ უმსგავსი საქციელის გამოსასყიდად, ხანდახან, თავის ბუნდოვან განზრახვას აყოლილი, რაღაც საეჭვო სინაზით დაგიკოცნის ღაწვებს, ალერსიანად წაეთამაშება შენს თმებს და კვლავ რომელიმე ფუჭ საქმეზე გაქანდება, შენ კი გულში ოცნებანარევ სიამეს დაგიტოვებს. აი, ასე აფასებდა დედა თავისი შვილის ზნეს. ნებისმიერი სხვა დამკვირვებელი პერლში მხოლოდ უარყოფით თვისებებს დაინახავდა და მათ საკუთარ აღქმაში კიდევ უფრო გაამუქებდა. მაგრამ ჰესტერის გონებას ის აზრი დაეუფლა, რომ პერლმა, რომელიც თვალშისაცემად ადრე განვითარდა და დაჭკვიანდა, ეგებ უკვე მიაღწია იმ ასაკს, როდესაც შეძლებდა მშობლის მეგობრად ქცეულიყო და დედამისის საიდუმლო იმდენად მაინც მიენდო, რამდენადაც დედა და ქალიშვილი ერთმანეთს საიდუმლოებებს უზიარებენ. პერლის ხასიათის პატარა ქაოსში უკვე იკვეთებოდა ცალკეული თვისებები – მათგან უმთავრესი იყო შეუპოვარი სიმამაცე, ურყევი პრინციპულობა, უდრეკი ნებისყოფა, მტკიცე სიამაყე, რომელიც შეიძლებოდა ასევე შეგვეფასებინა, როგორც საკუთარი ყადრის ცოდნა და აგდებული დამოკიდებულება ყველაფრის მიმართ, რაც სიყალბის ნიშნით იყო დაღდასმული. პერლს გრძნობებიც ჰქონდა, თუმცაღა ჯერ კიდევ მწკლარტე და უსიამო, მაგრამ აკი თავიდან ასეთია მკვახე ხილიც, რომელიც მერე უტკბეს გემოს შეიძენს. თუკი ყველა ამ ჩინებული თვისების მქონე ჭინკა გოგოსაგან ღირსეული ქალი არ დადგებოდა, ეს, ჰესტერის ფიქრით, იმისი ბრალი იქნებოდა, რომ ამ ღირსებებს დედისაგან მემკვიდრეობით მიღებული ნაკლოვანება დაძლევდა.

პერლის უკვე ხასიათში გასჯდომოდა ალისფერი დამღის საიდუმლოს ამოხსნის სურვილი. ისე ეკიდებოდა ამ ამოცანას, როგორც ღვთისგან დაკისრებულ მისიას. ზოგჯერ ჰესტერი წარმოიდგენდა, რომ განგებამ ბავშვს ეს განსაკუთრებული მიდ-

რეკილება მის დასასჯელად და სამართლიანობის აღსადგენად ჩაუნერგა; მაგრამ აქამდე არასოდეს არ მოსვლია აზრად, საკუთარი თავისთვის ეკითხა, რომ ეგებ განგების ამ განზრახვაში გულმოწყალება და ქველმოქმედებაც ერია. თუკიღა ჰესტერი პერლს ნდობითა და რწმენით მიიღებდა, როგორც არა მხოლოდ მიწიერ ბავშვს, არამედ ზეციდან მოგზავნილ შუამავალს, შეძლებდა კი გოგონა მალამოდ დასდებოდა იმ ნაღველს, რომელსაც დედამისის გული გაეყინა და დაესამარებინა? შეძლებდა დახმარებოდა მას, რომ დაეძლია ვნება, ოდესღაც ასეთი ველური და ამჟამადაც არც თუ მკვდარი ან მიძინებული, არამედ მხოლოდ ქალის აკლდამად ქცეულ გულში გამოკეტილი.

ამგვარი ფიქრები ახლა ისე ცხადად ირეოდა ჰესტერის გონებაში, თითქოს მათ ვიღაც მართლა ჩასჩურჩულებდა. და აქვე იყო პატარა პერლი, მთელი ეს ხანი, ორივე ხელით ჩასჭიდებოდა დედის ხელს და მისთვის სახე მიეპყრო და ამ გამომცდელ შეკითხვებს, ისევ და ისევ, აი, უკვე მესამედ უმეორებდა და უმეორებდა.

– რას ნიშნავს ეს ასო, დედა? რატომ ატარებ მას მუდამ თან? და მღვდელსაც მუდამ ხელით რად უჭირავს გული?

– რა ვუპასუხო? – გაიფიქრა ჰესტერმა, – არა, თუკი ამხელა ფასის გადახდაა საჭირო იმისთვის, რომ ჩემი შვილის თანაგრძნობა მოვიპოვო, მე მას ვერ შევწვდები.

ხმამაღლა კი ეს თქვა:

– სულელო პერლ! ეს რა კითხვებს მისვამ? ამქვეყნად ბევრი რამაა ისეთი, რაც ბავშვს არ უნდა აინტერესებდეს. აბა, მე რა ვიცი მღვდლის გულის შესახებ? ამ ალისფერ ასოს კი იმიტომ ვატარებ, რომ ოქრომკედის ნაქარგი სამშვენისია.

მთელი ამ ჩავლილი შვიდი წლის განმავლობაში ჰესტერ პრინს არასოდეს დაუმალავს მის მკერდზე ამოქარგული ალისფერი სიმბოლოს წარმომავლობა, რადგან მას მიიჩნევდა

თილისმად, რომელიც პირქუშმა და მრისხანე, თუმცაღა მაინც მფარველმა სულმა შეაბა. და შესაძლოა სულმა ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე მიატოვა ჰესტერი; რადგან მიხვდა, რომ სათანადოდ ვერ უდარაჯა მის გულს და ამის სანაცვლოდ რომელიღაც ახალი ეშმაკი შემოეპარა შიგნით ანდა ძველმა ავსულმა გაიღვიძა, რომელსაც აქამდე არასოდეს ეჩინა თავი. ხოლო, რაც შეეხება პატარა პერლს, გულწრფელი გამომეტყველება სულ მალე გაუქრა სახიდან.

მაგრამ ბავშვს არაფერი ეტყობოდა, რომ ფარ-ხმალის დაყრას აპირებდა. ორჯერ თუ სამჯერ, როდესაც ის და დედამისი შინისკენ მიეშურებოდნენ, ამდენჯერვე ვახშმობისას ანდა მაშინ, როცა ჰესტერი დასაწოლად ამზადებდა, ერთხელ კი მას მერე, რაც თითქოს უკვე ღრმად ეძინა, პერლმა თავი წამოყო და მის შავ თვალებში სიანცემ გაიელვა.

– დედა, – ჰკითხა მან, – რას ნიშნავს ეს ალისფერი ასო?

ხოლო მეორე დილით კი პირველი ნიშანი იმისა, რომ ბავშვმა გაიღვიძა, ის იყო, რომ ბალიშიდან თავი წამოყო და დასვა კითხვა, რომელსაც მუდამ გაუაზრებლად უკავშირებდა თავის ძიებას ალისფერი ასოს წარმოშობის შესახებ:

– დედა! დედა! მოძღვარი რატომ იდებს ხოლმე ხელს გამუდმებით გულთან?

– ენა ჩაიკმინდე, უწესო გოგო! – მიუგო დედამ იმგვარი გაწიწმატებით, როგორითაც ადრე არასოდეს მიუცია თავისთვის ნება, შვილთან ელაპარაკა, – ნერვებს ნუ მიშლი, თორემ ბნელ საკუჭნაოში გამოგკეტავ.

16. ტყეში გასეირნება

ჰესტერ პრინს მტკიცედ გადაეწყვიტა, რომ, მიუხედავად იმისა, თუ რა ტკივილს მიაყენებდა ამით მღვდელს და რა შედეგებს მოიტანდა მისი ეს გულწრფელობა მომავალში, მისტერ დიმსდეილისათვის თვალი აეხილა და დაენახვებინა ჭეშმარიტი ბუნება კაცისა, რომელიც მეგობრის ნიღაბაფარებული შემოეპარა. მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში ქალი ამაოდ ეძებდა შემთხვევას, რომ ღირს მამას ნახევარკუნძულის სანაპიროზე ანდა მეზობელი სოფლის ტყიან გორაკებზე გადაჰყროდა, სადაც მას ხშირად სჩვეოდა ხოლმე სიარული სასეირნოდ და ფიქრთ გასართველად. ჰესტერს თავისუფლად შეეძლო ღვთისმეტყველი საკუთარ სენაკში მოენახულებინა, სადაც აქამდეც მრავალ მონანიეს უღიარებია ცოდვები და მათ შორის, არანაკლებ მომაკვდინებელი, ვიდრე ის იყო, რაც ალისფერი დამღით აღნიშნეს; ამას არც მითქმა-მოთქმა მოჰყვებოდა და არც მღვდლის სპეტაკ სახელს მიადგებოდა ჩრდილი. მაგრამ ქალს, ერთი მხრივ, ეშინოდა მოხუცი როჯერ ჩილინგუორთის ფარული თუ აშკარა ჩარევისა და მეორე მხრივ, მისი ქენჯნილი გული საფრთხეს გრძნობდა იქაც კი, სადაც საფრთხე არ ემუქრებოდა და თანაც, ალღო კარნახობდა, რომ ორივეს, მასაც და მღვდელსაც, ერთმანეთთან საუბრისას თავისუფლად რომ ესუნთქათ, გარშემო მთელი ვრცელი ქვეყნიერება უნდა ეგრძნოთ – ყველა ამ მიზეზის გამო ერთადერთი ადგილი, სადაც ჰესტერს ღვთისმსახურთან შეხვედრა წარმოედგინა, ღია ცისქვეშეთი იყო.

ბოლოს, როდესაც ჰესტერი ერთი ავადმყოფის თავსასთუმალს უჯდა, რომლისთვისაც ღირს მამა დიმსდეილს ცოტა ხნის წინ ლოცვა აღევლინა, შეიტყო, რომ მოძღვარი წინა დღეს ახლადმოქცეულ ინდიელთა მიწაზე წმინდა მამა ელიოტის მოსანახულებლად გამგზავრებულიყო. სავარაუდოდ, იგი შემდეგ დღეს, შუადღისას, დაბრუნდებოდა. ამიტომაც, მეორე დილას ქალი ადრიანად გაუდგა გზას და თან წაიყვანა პატარა პერლიც, რომელიც დედას მოუცილებლად ახლდა ყველგან, იმის მიუხედავად, იყო თუ არა ბავშვის ადგილი იქ, სადაც ჰესტერი მიდიოდა.

გზა, რომელსაც ორი მოგზაური დაადგა და რომელიც ნახევარკუნძულს კონტინენტთან აერთებდა, მხოლოდ და მხოლოდ საცალფეხო ბილიკი იყო. მისი ერთ-ერთი განშტოება პირველყოფილი ტყის იდუმალებაში იკარგებოდა. თავად ტყე, რომელიც საცალფეხო ბილიკს ეკვროდა, ისეთი ბნელი და ხშირი იყო და ისე დაეხშო გზა ციური შუქისათვის, რომ არაფრით განსხვავდებოდა ზნეობრივი უღრანისაგან, რომელშიც ჰესტერი უკვე კარგა ხანია დახეტიალობდა. სუსხიანი და პირქუში დღე იყო. ცაზე რუხი ღრუბლების უსაზღვრო სივრცე გადაწოლილიყო, დროდადრო ქარი რომელიმე ღრუბელს გადადენიდა და აქა-იქ გამომკრთალი მარტოხელა მზის სხივი ბილიკს გაეთამაშებოდა. ეს მოფარფატე მხიარულება მუდამ ყველაზე შორეულ ჰორიზონტზე ჩნდებოდა და მისი ცინცხალი ნათება – ყოველ შემთხვევაში, ცინცხალი მოღუშული დღისა და გარემოს ფონზე – მაშინვე ქრებოდა, როგორც კი დედა-შვილი მიუახლოვდებოდა; და ის ადგილები, სადაც ერთი წამის წინ მზის სხივი ცეკვავდა, კიდევ უფრო ჩაჟამებული ეჩვენებოდათ, რაკიღა წამის წინ აქეთკენ სინათლის ხილვის იმედით მოისწრაფოდნენ.

– დედა, – მიმართა ჰესტერს პატარა პერლმა, – ამ მზის სხივს შენ არ მოსწონხარ. გაგირბის და გემალება, რადგან შენს მკერდზე ამოქარგული ნიშანი აშინებს. აი, შეხედე, მოშორებით ათამაშდა! შენ აქ იდექი, მე კი წავალ და დავიჭერ. მე ჯერ ბავშვი ვარ და ვერსად დამისხლტება. მე ხომ ჯერ მკერდზე არაფერი მიკეთია.

– იმედი მაქვს, არც არასოდეს გეკეთება, ჩემო პატარავ, – მიუგო ჰესტერმა.

– კი მაგრამ, რატომ, დედა? – იკითხა პერლმა და მოწყვეტით შედგა, თუმცაღა ის-ის იყო, გაქცევას აპირებდა, – განა ის თავად არ გამომესახება მკერდზე, როდესაც ქალი გავხდები?

– გაიქეცი, შვილო, და დაიჭირე მზის სხივი, თორემ მალე გაქრება.

პერლი სასწრაფოდ გაეშურა მზის სხივისაკენ; ჰესტერმა ღიმილით შენიშნა, რომ გოგონა მართლაც დაეწია მას და აკისკისებული დადგა სხივების ნაკადქვეშ, მისი ბრწყინვალებით ერთიანად განათებული და მისი სწრაფი, მოუსვენარი ათინათით აციმციმებული. მზის ნატეხი ისე დასთამაშებდა მარტოსულ ბავშვს, თითქოს კმაყოფილი იყო, რომ ასეთი მხიარული მეგობარი იპოვა. ამასობაში ჰესტერიც მიუახლოვდა მათ და სადაც იყო თავადაც ჩადგებოდა ჯადოსნურ წრეში.

– ახლა გაქრება! – თქვა პერლმა და თავი გააქნია.

– შეხედე! – თქვა ღიმილით ჰესტერმა, – ახლა ხელს გამოვიწვდი და მზის სხივს დავიჭერ.

მაგრამ როგორც კი ხელი გაიწოდა, ათინათი გაქრა; ანდა, როგორც დედამ პერლის სახის ნაკვთებზე აცეკვებული ბრწყინვალებით დაასკვნა, ბავშვმა მზის სხივი შეისრუტა და თუ მოისურვებდა, ამ პირქუში ჩრდილებით მოფენილ ბილიკს თავად გაანათებდა. პერლის ხასიათის არც ერთი სხვა თვისება არ მსჭვალავდა დედამისს იმისი შეგნებით, რომ მისი ქალიშვილი

ცინცხალი და უჩვეულო ძალის პატრონი იყო, როგორც მისი დაუცხრომელი სიცოცხლისმოყვარეობა. პერლს არ შეჰყროდა სევდიანობის სახადი, რომელსაც ბოლო პერიოდში ბავშვების უმეტესობა თავისი ტანჯული წინაპრებისაგან მემკვიდრეობით იღებს. თუმცა, შეიძლება, პერლის სიცოცხლის სიყვარულიც ერთგვარი სენი იყო, იმ ველური ენერგიის ნაყოფი, რომლითაც ოდესღაც ფეხმძიმე ჰესტერი თავის ნაღველს ებრძოდა. ეს – დიახაც რომ საეჭვო მომხიბვლელობა – ბავშვის ხასიათს მძიმე, ლითონისებურ ელვარებას ჰფენდა. მას აკლდა – და ზოგიერთი ადამიანი ამ დანაკლისს ვერასოდეს ივსებს – ნაღველი, რომელიც ღრმად დააჩნდებოდა მის სულს, გააადამიანურებდა და თანაგრძნობის უნარს მიანიჭებდა. მაგრამ პატარა პერლს ჯერ წინ დიდი გზა ედო.

– მოდი აქ, შვილო, – თქვა ჰესტერმა და იმ ადგილიდან, სადაც პერლი მზის სხივის ქვეშ იდგა, მიდამო მოათვალიერა, – ცოტა გავიაროთ და მერე სადმე ტყეში ჩამოვსხდეთ, დავისვენოთ.

– სულაც არ დავღლილვარ, დედა, – მიუგო პატარა გოგონამ, – მაგრამ შენ შეგიძლია ჩამოჯდე, თუკი თან რამე ამბავს მომიყვები.

– რა ამბავს, შვილო? – თქვა ჰესტერმა, – რაზე მელაპარაკები?

– შავი კაცის ამბავს, – უპასუხა პერლმა, დედის ტანსაცმელს ჩაეჭიდა და ერთდროულად გულწრფელი და თან ანცი გამომეტყველებით სახეში შეაცქერდა, – მომიყევი, როგორ დაძრწის ეს მახინჯი შავი კაცი ამ ტყეში და როგორ დააქვს რკინის შესაკრავებიანი დიდი, მძიმე წიგნი, რომელსაც რკინის კალამთან ერთად აწვდის ყველას, ვისაც გზად გადააწყდება; ისინიც ხელს თავიანთი სისხლით აწერენ. მერე კი შავი კაცი მათ მკერდზე ნიშნებს აკრავს. დედა, შენ შეხვედრიხარ ოდესმე იმ შავ კაცს?

– ვინ მოგიყვა ამ ამბავს, პერლ? – ჰკითხა დედამ, რომელსაც გოგონას მონათხრობში იმ პერიოდში ხალხში გავრცელებული ცრურწმენა ეცნო.

– იმ სახლში, წუხელ შენ რომ მორიგეობდი, ვიღაც მოხუცი ქალი იდგა საკვამურის მილთან, – თქვა ბავშვმა, – როდესაც ამ ამბავს ყვებოდა, ჩაძინებული ვეგონე. მან თქვა, რომ ათასობით ადამიანი შეხვედრია იქ შავ კაცს და თავისი სახელი ჩაუწერია მის წიგნში, სანაცვლოდ კი მკერდზე ნიშანი მიუღია. მათ შორის, იმ ბოროტ ქალს, მისტრეს ჰიბინსსაც. და დედა, იმ ქალმა ისიც თქვა, რომ შენს გულისპირზე ამოქარგული ალისფერი ასო იმ შავი კაცის დაღია და ცეცხლწაკიდებულივით ელვარებს, როდესაც ღამღამობით ამ ბნელ ტყეში მას ხვდები ხოლმე. მართალია ეს, დედა? ღამღამობით მართლა დადიხარ აქ იმ კაცთან შესახვედრად?

– გახსოვს, რომ ოდესმე ღამით გაგღვიძებოდეს და დედა შინ არ დაგხვედროდეს? – ჰკითხა ჰესტერმა.

– არ მახსენდება, – მიუგო ბავშვმა, – მაგრამ თუ ქოხში ჩემი დატოვების გეშინია, შეგიძლია თან წამომიყვანო ხოლმე. დიდი სიამოვნებით წამოგყვები. ახლა კი, სიმართლე მითხარი, დედა, მართლა არსებობს ის შავი კაცი? შეხვედრიხარ ოდესმე მას? ეს მისი ნიშანია?

– თუ სიმართლეს გეტყვი, თავს დამანებებ? – ჰკითხა დედამ.

– კი, ოღონდ სიმართლე მითხარი, – უპასუხა პერლმა.

– ჩემს ცხოვრებაში ერთხელ შევხვდი შავ კაცს, – თქვა ჰესტერმა, – და ეს ალისფერი ასოც მისი ნიშანია.

ასე ლაპარაკ-ლაპარაკით ტყის სიღრმეში შევიდნენ, რათა ბილიკზე შემთხვევით შეხვედრილთა მზერისათვის აერიდებინათ თავი. აქ ისინი რბილ ხავსზე ჩამოსხდნენ, იმ ადგილზე, სადაც ჯერ კიდევ წინა საუკუნეში უზარმაზარი ფიჭვი აღმართულიყო – მისი ფესვები და ზრო სხვა ხეებს დაეჩრდილათ,

კენწერო კი ზევით, ცაში ატყორცნილიყო. ის ადგილი, სადაც დედა-შვილი მოკალათდა, პატარა ღარტაფი იყო, მახლობლად ნაზად ამობურცულიყო ნაკადულის ოკრობოკრო კიდე, რომლის მიღმაც, ჩამოცვენილი ფოთლებით ძირმოფენილ კალაპოტში, ანკარა წყალი მირაკრაკებდა. ხეები, რომლებიც ზევიდან გადმოჰყურებდნენ ნაკადულს, დროდადრო შიგ თავიანთ მსხვილ-მსხვილ ტოტებს ჩამოუყრიდნენ ხოლმე და ეს ტოტები დინებას სულს უხუთავდნენ და აიძულებდნენ, რომ მორევები და სხვა შავბნელი ღრმულები წარმოექმნა; იქ კი, სადაც წყალი უფრო ლაღად და მკვირცხლად მიედინებოდა, კენჭებითა და ყავისფერი მბრწყინავი ქვიშით დაფარული ფსკერი მოჩანდა. თუკი წყლის დინებას თვალს გააყოლებდით, ტყის ერთ მოკლე მონაკვეთზე მისი ზედაპირიდან არეკლილ ნათებას შეამჩნევდით, რომლის კვალიც სულ მალე იკარგებოდა ხშირ ხეებსა და ბუჩქნარებში და აქა-იქ ამოშვერილ უზარმაზარ ქვებში, რომელთაც რუხი სირსველი მოსდებოდათ. ამ უზარმაზარ ხეებსა და გრანიტის ქვებს თითქოს განეზრახათ, რომ პატარა ნაკადულის ხმა მიეჩუმათებინათ, თითქოს იმის ეშინოდათ, რომ მას განუწყვეტელი ყბედობის დროს ბებერი ტყის გულში ჩამალული ხვაშიადი არ წამოსცდენოდა ანდა მისი ზედაპირის კრიალა სარკეს ტყის საიდუმლოებები არ აერეკლა. ნაკადული კი სულ წინ-წინ მიდიოდა და განუწყვეტლივ ბუყბუყებდა – კეთილად, მშვიდად, მანუგეშებელად, მაგრამ ნაღვლიანად; იმ ბავშვს ჰგავდა, რომელიც მთელ სიყრმეს თამაშის გარეშე ატარებს და არც კი იცის, ამდენ ნაღვლიან ნაცნობსა და მოვლენას შორის როგორ გაბედოს მხიარულების გამომჟღავნება.

– ოჰ, ნაკადულო, სულელო და აბეზარო პატარა ნაკადულო! – წამოიძახა პერლმა მას შემდეგ, რაც ერთხანს მის ბუტბუტს უსმინა, – რატომ ხარ ასეთი ნაღვლიანი? მოიკრიბე ძალა და ეს მუდმივი ოხვრა და წუწუნი დაასრულე.

მაგრამ ნაკადული, რომელიც თავის ხანმოკლე სიცოცხლეს ხეთა შორის დინებაში ატარებდა, ისეთ ნაღვლიან გზას გადიოდა, რომ მეტზე ვერაფერზე ფიქრობდა და სხვა არც არაფერი ჰქონდა სათქმელი. პერლიც ამ ნაკადულს მიაგავდა – მისი ცხოვრებაც იდუმალი სადინარიდან იღებდა სათავესა და მძიმე ნაღვლით დაჩრდილულ ალაგებს მიუყვებოდა. მაგრამ, პერლი, ნაკადულისაგან განსხვავებით, ცეკვით, ელვარებითა და უდარდელი ტიკტიკით გადიოდა თავის გზას.

– რას ამბობს ეს პატარა ნაღვლიანი ნაკადული, დედა? – იკითხა გოგონამ.

– შენი გულიც რომ სავსე იყო სევდით, ნაკადულის ბუტბუტში შენს სადარდებელს გაიგონებდი, – მიუგო დედამ, – მე ისე მესმის, თითქოს ჩემს გულისტკივილზე მიყვება. ახლა კი, პერლ, მესმის, როგორ მოაბიჯებს ვიღაც ტყის ბილიკზე და გვერდზე გაწეული ტოტების ტკაცატკუციც სწვდება ჩემს სმენას. გთხოვ, რომ წახვიდე, ითამაშო და ნება მომცე განმარტოებით ველაპარაკო მას, ვინც ამ ბილიკს მოუყვება.

– ეს ის შავი კაცია? – იკითხა პერლმა.

– შვილო, წადი და ითამაშე, – გაუმეორა დედამ, – ოღონდ ფრთხილად იყავი, ტყეში გზა არ აგებნეს და ყურადღებით იყავი, რომ ჩემს პირველივე დაძახილზე აქ გაჩნდე.

– დიახ, დედა, – მიუგო პერლმა, – მაგრამ თუ ეს ის შავი კაცია, შეიძლება ერთი წამით გავჩერდე და თვალი შევავლო? თავისი დიდი წიგნი იღლიაში ექნება ამოჩრილი?

– მოშორდი აქედან, შე სულელო ბავშვო, – მოთმინება დაკარგა ჰესტერმა, – არავითარი შავი კაცი აქ არაა! აი, შეგიძლია გაარჩიო ხეებს შორის. მღვდელია!

– მართლაც მღვდელია! – თქვა ბავშვმა, – ნახე, დედა, ხელი კვლავ გულზე მიუდევს. ეს იმიტომ, რომ შავმა კაცმა მისი სახელიც ჩაწერა თავის დიდ წიგნში და მკერდზე თავისი ნიშანი

დააჩნია, არა? მაგრამ შენსავით გულისპირზე რატომ არ მიუმაგრებია, რატომ მალავს, დედა?

– მოშორდი, ბავშვო, აქედან, ვიდრე მოთმინების ფიალა არ ამვსებია! – გაცხარდა ჰესტერ პრინი, – ოღონდ იცოდე, გზა არ აგებნას. ისეთ ადგილას შეჩერდი, რომ ნაკადულის ბუტბუტი გესმოდეს.

ბავშვი ღიღინით დაუყვა ნაკადულის დინებას და მთელი ძალით ცდილობდა, რომ მისი ნაღვლიანი გოდებისათვის უფრო მსუბუქი მოტივი აეყოლებინა. მაგრამ პატარა ნაკადს ვერაფერი ანუგეშებდა: დარდობდა აწგარდასულზე ანდა წინდაწინ მოთქვამდა მომავალ უბედურებებზე, რომლებიც ტყის ამ დამთრგუნველ წიაღში უნდა მომხდარიყო. ასე რომ, პერლმა, რომელსაც სევდა და ნაღველი ცხოვრებაშიც ჰყოფნიდა, არჩია, მომჩივან ნაკადულთან ყოველგვარი ურთიერთობა გაეწყვიტა და გაემართა იების, ტყის ფრინტებისა და მეწამული წყალიკრეფიების შესაგროვებლად, რომლებიც მაღალი კლდეების ნაპრალებში დაინახა.

როდესაც ჭინკა-გოგო თვალს მიეფარა, ჰესტერ პრინმა ტყისკენ მიმავალი ბილიკისაკენ ორიოდე ნაბიჯი გადადგა, თუმცაღა ხეების მუქ ჩრდილებს არ გასცილებია. იგი უცქერდა მღვდელს, რომელიც გზისპირას მოჭრილ ჯოხზე დაყრდნობილი ბილიკს მარტოდმარტო მოუყვებოდა. ერთიანად ჩამომხმარი და დასუსტებული ჩანდა და მის გამომეტყველებაში ის ნერვიული სასოწარკვეთილება გამოსჭვიოდა, რომელსაც ვერასოდეს შეამჩნევდით ვერც დასახლებაში სეირნობისას და ვერც სხვა ადგილას, სადაც ხალხის თვალი უმზერდა. აქ კი, ტყეში, ყველაფრისგან მოწყვეტილს, მთელი ტანჯვა სახეზე გამოჰფენოდა. მით უმეტეს, რომ თავად ეს განმარტოებაც მძიმე გამოცდად ქცეოდა მის სულს. ისე უსიცოცხლოდ მოდიოდა, თითქოს არც მიზეზი და არც სურვილი ჰქონდა, რომ ერთი ნაბიჯისათვის მეო-

რე მიეყოლებინა და მხოლოდ ის მიანიჭებდა ბედნიერებას, მხოლოდ ის მოჰგვრიდა შვებას, უახლოეს ხის ფესვებთან მიგდებულიყო და სამუდამოდ გაუნძრევლად წოლილიყო იქ, სადაც მის სხეულს სულ მალე ფოთლები და მიწის პატარა ბორცვი დაფარავდნენ. სიკვდილი მეტისმეტად კონკრეტული მიზანი იქნებოდა ამ კაცისთვის, რომელსაც აღარც რამისკენ სწრაფა შეეძლო და აღარც რამის თავიდან არიდება.

ჰესტერის აზრით, ღირს მამა დიმსდეილს ცოცხალი და მძაფრი ტანჯვის არანაირი ნიშანწყალი არ ეტყობოდა, გარდა იმისა, რომ, როგორც წეღან პატარა პერლმა შენიშნა, გულზე ხელი ჰქონდა მიდებული.

17. ღვთისმსახური და მისი სულიერი შვილი

მღვდელი თუმცაღა ძალიან ნელა მიაბიჯებდა, ლამის გასცდა კიდეც ჰესტერ პრინს, ვიდრე ქალმა ძალა მოიკრიბა და ბოლოს და ბოლოს ხმა მიაწვდინა.

– ართურ დიმსდეილ, – თქვა მან თავდაპირველად სუსტი, მერე კი უფრო მაღალი, თუმცა ჩახრინწული ხმით, – ართურ დიმსდეილ!

– ვინ ბრძანდებით? – გამოეპასუხა მღვდელი.

მან სასწრაფოდ მოიკრიბა მხნეობა და მხრებში გაიმართა, როგორც იქცევა კაცი, როდესაც სურს, რომ თავისი განწყობილება უცხო თვალისაგან დამალოს. მერე კი შეშფოთებულმა გაიხედა ხმის მიმართულებით და დაინახა ხეივანში მდგომი ბუნდოვანი გამოსახულება, რომელიც მუქ ტანსაცმელში გამოწყობილიყო და ისე შერწყმოდა მოღრუბლული ცისა და ჩამობურული ფოთლების მიერ ნაცრისფერ მიმწუხრად ქცეულ შუადღეს, რომ მღვდელი ვერც მიხვდა, ქალი იყო იგი თუ აჩრდილი. ვინ იცის, მისივე ფიქრებიდან გადმოპარულ მოჩვენებას ცხოვრების განმავლობაში რამდენჯერ გადაუჭრია ასე გზა ღირსი მამისთვის.

იგი ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა ქალს და ალისფერი დამღა შეამჩნია.

– ჰესტერ, ჰესტერ პრინ! – თქვა მან, – ნუთუ ეს შენ ხარ? ნუთუ ცოცხალი ხარ?

– ასე ითქმის, – მიუგო ქალმა, – შვიდი წელია ჩემკენ არაფერი შეცვლილა და შენ, ართურ დიმსდეილ, შენც კვლავ ცოცხალი ხარ?

გასაკვირი არ იყო, რომ არამხოლოდ ერთმანეთის, არამედ საკუთარ ხელშესახებ, ხორცშესხმულ არსებობასაც კი ეჭვქვეშ აყენებდნენ. ისე უცნაურად გადაეყარნენ ერთმანეთს ამ ჩაბნელებულ ტყეში, თითქოს ორი სული, ამქვეყნად საიდუმლოდ დაკავშირებული, პირველად შეხვდა ერთმანეთს სამარისმიღმა საუფლოში, ახლა კი იდგნენ და ერთნაირი ძრწოლით ატანილნი შეციებულებივით ცახცახებდნენ იმის გამო, რომ ახალ მდგომარეობას ვერ შეჰგუებოდნენ, ვერ შესჩვეოდნენ უსხეულოთა დასში ჩარიცხვას. თითოეული აჩრდილად ქცეულიყო და თავზარს სცემდა მეორე აჩრდილს. ყველაზე მეტად კი საკუთარ თავებს სცემდნენ თავზარს, რადგანაც ამ წუთმა თითოეული საკუთარ გულში ჩაახედა და გამოააშკარავა ის წარსული და გადატანილი ზაფრა, რომელსაც ცხოვრება მხოლოდ ამგვარ სუნთქვისშემკვრელ წამებში ააშკარავებს. სული განვლილი წუთების სარკეში აკვირდება საკუთარ ნაკვთებს. ართურ დიმსდეილმა შიშით, თრთოლვით და თითქოს ზანტი, უხალისო აუცილებლობით გაიშვირა წინ სიკვდილივით გაყინული ხელი და ჰესტერ პრინის გაყინულ ხელს შეახო. და ამ სიკვდილივით ცივმა შეხებამ გააქრო ის, რაც ორივეს აძრწუნებდა. ახლა ისინი, სულ მცირე, კვლავ დედამიწის ბინადრებად გრძნობდნენ თავს.

ისე რომ სიტყვაც აღარ დაუძრავთ – უხმო თანხმობით – კვლავ იმ დაბურული ტყისაკენ გაემართნენ, საიდანაც ჰესტერი გამოჩნდა და სწორედ იმ ხავსის გროვაზე ჩამოსხდნენ, სადაც წეღან დედა-შვილი მოკალათებულიყო. როდესაც ხმის ამოღება შეძლეს, თავდაპირველად ერთგვარი საყველპურო საუბარი და

მიკითხვ-მოკითხვა გააბეს, როგორც ორი ნაცნობი ჩამოაგდებს სიტყვას მოღუშულ ცაზე, მოახლოებულ ქარიშხალზე და მერე – ერთმანეთის ჯანმრთელობაზე. ამგვარად მიიწევდნენ წინ-წინ, გაუბედავად, ნაბიჯ-ნაბიჯ, გარს უვლიდნენ თემებს, რომლებსაც დიდი ხანია ატარებდნენ გულის ყველაზე ღრმა კუნჭულში. ბედისა და გარემოებათა მიერ ამდენი ხნით გაუცხოებულებს რამე უმნიშვნელო და სასხვათაშორისო სჭირდებოდათ, რათა საუბრის კარი ისე შეეღოთ, რომ მათი ნამდვილი ფიქრები ზღურბლს მიღმა დარჩენილიყო.

რამდენიმე წუთის შემდეგ მღვდელმა თვალებში ჩახედა ჰესტერ პრინს.

– ჰესტერ, – თქვა მან, – მოიპოვე სიმშვიდე?

ქალმა დაქანცული ღიმილით დაიხედა მკერდზე.

– შენ? – ჰკითხა მან.

– ვერა! ვერაფერი, სასოწარკვეთილების გარდა, – მიუგო კაცმა, – ან კი სხვა რა უნდა ეძებნა ჩემნაირ ადამიანს, ჩემნაირი ცხოვრების პატრონს? მე რომ ათეისტი ვყოფილიყავი – უსინდისო, უბადრუკი არსება, მხოლოდ ტლანქი და ცხოველური ინსტინქტების მქონე – შეიძლებოდა დიდი ხნის წინ მეპოვა სულიერი სიმშვიდე! და მეტიც, არც არასოდეს დამეკარგა იგი! მაგრამ ახლა ჩემს სულში ისეთი ქაოსია, რაც კი თანდაყოლილი სიკეთე მქონია, რაც კი ნიჭი მოუმადლებია ჩემთვის უფალს, ყველაფერი ტანჯვის მომტანად გადამექცა. ჰესტერ, მე საშინლად უბედური ვარ!

– ხალხი შენ დიდი პატივისცემით გეპყრობა! – თქვა ჰესტერმა, – და ეჭვიც არაა, ბევრ სიკეთეს თესავ მათ შორის. ნუთუ ეს შვებას არ განიჭებს?

– უფრო მაუბედურებს, ჰესტერ, უფრო მაუბედურებს, – უპასუხა ღვთისმსახურმა მწარე ღიმილით, – ხოლო, იმ სიკეთისა კი, რომელსაც მე მომაწერენ, არაფერი მწამს. იგი მხოლოდ ილუზიაა.

როგორ შეუძლია ჩემს განადგურებულ სულს, ცოდვისაგან იხსნას სხვა სულები? როგორ შეუძლია ჩემს წარწყმედილ ბუნებას, განწმენდაში დაეხმაროს სხვას? მირჩევნია, რომ ადამიანების ეს თაყვანისცემა დაცინვად და მძულვარებად გადამექცეს! როგორ გგონია, ჰესტერ, შეიძლება შვება მომგვაროს იმან, რომ ჩემს კათედრაზე ვდგები და მზერას ვაგებებ ჩემკენ მოპყრობილ ამდენ სახეს, რომელთაგანაც თითქოს ღვთიური სხივი ელვარებს. ვუცქერ ჩემს მრევლს, რომელიც სიმართლეს მოწყურებული ისე ელოდება ყოველ სიტყვას, თითქოს ჩემი პირით სულიწმინდა ლაპარაკობდეს. მერე კი ჩავიხედავ საკუთარ გულში და ვხედავ, რომ ვისაც ისინი აღმერთებენ, სინამდვილეში ბნელითაა მოცული. გატანჯულსა და გამწარებულს არაერთხელ მიცინია, თუ როგორ ცასა და დედამიწასავით განსხვავდება ჩემი ნამდვილი ბუნება სახალხოდ გამოტანილისაგან. და სატანაც ხმას აყოლებდა ჩემს სიცილს.

– ძალიან მკაცრად განსჯი საკუთარ თავს, – ნაზად უთხრა ჰესტერმა, – შენი სინანული ძლიერია და მწვავე; ცოდვა დიდი ხანია უკან დარჩა, შორეულ წარსულში. ახლანდელი ცხოვრება კი, ღმერთია მოწმე, სწორედ ისეთი უმწიკვლოა, როგორიც ხალხის თვალში ჩანს. ნუთუ შეიძლება ჭეშმარიტი არ ეწოდოს სინანულს, რომელიც ამგვარად არის ბეჭედდასმული და დამოწმებული კეთილი საქმეებით? ნუთუ ყოველივე ამან სულიერი სიმშვიდე არ უნდა მოგიტანოს?

– არა, ჰესტერ, არა, – უპასუხა ღვთისმეტყველმა, – არანაირი ჭეშმარიტება ამ ყველაფერში არაა! იგი ცივია და მკვდარი, არანაირი სიკეთე არ მოაქვს ჩემთვის. სინანულით იყო სავსე ჩემი ცხოვრება! მაგრამ ამას მონანიებამდე არ მივუყვანივარ. ასე რომ არ იყოს, დიდი ხნის წინ გავიძრობდი ამ ყალბი სიწმინდის საბურველს და ისეთი სახით დავენახვებოდი კაცობრიობას, როგორითაც ისინი განკითხვის დღეს მიხილავენ. ბედნიერი ხარ,

ჰესტერ, რომ ყველას დასანახავად შეგიძლია ატარო მკერდით ალისფერი ასო. ჩემი დამღა კი უჩუმრად მიწვავს მკერდს. შენ ვერც კი მიხვდები, რამხელა შვებაა, შვიდწლიანი თაღლითობით გატანჯული ვუყურებდე თვალებს, რომლებიც ისეთს მხედავენ, როგორიც სინამდვილეში ვარ. რომ მყოლოდა ერთი მეგობარი ან თუნდაც უბოროტესი მტერი, რომელსაც, როდესაც ყველა სხვა ადამიანის ქებით დავიღლებოდი, ყოვედღიურად მივაშურებდი და იგი შემიცნობდა როგორც ყველაზე საზიზღარს ცოდვილთა შორის, მაშინ ჩემი სული ცოცხალი გადარჩებოდა. ასეთი იოტისოდენი სიმართლეც კი სულის ხსნაში დამეხმარებოდა. მაგრამ ახლა მხოლოდ ტყუილით ვარ გარემოცული! მთლიანად დაცარიელებული! მთლიანად მკვდარი!

ჰესტერ პრინი კაცს სახეში ჩააცქერდა, მაგრამ ვერაფრის თქმა შეძლო, თუმცაღა მღვდლის გულში დიდი ხნის განმავლობაში ჩაგუბებული გრძნობების ასეთმა მგზნებარე გადმოხეთქვამ საბაბი მისცა, ბოლოს და ბოლოს ამოეთქვა ის, რისთვისაც აქ იყო მოსული. მან შიშს სძლია და ალაპარაკდა:

– ის მეგობარი, რომელიც ინატრე, ახლა შენ გვერდითაა, – თქვა მან, – მე ვარ შენი თანამზრახველი, შეგიძლია შენი ცოდვა ჩემთან გამოიტირო! – ქალი კვლავ შეჩერდა და დიდი ძალდატანებით დააყოლა: – მტერიც გყავს და დიდი ხანია, მასთან ერთ ჭერქვეშ სახლობ.

მღვდელი ზეზე წამოხტა, სული ეხუთებოდა და გულზე ხელი ისე ეტაცა, თითქოს მკერდიდან მისი ამოგლეჯა სურდა.

– რაო, რა მითხარი? – იყვირა მან, – მტერი მყავს და ისიც საკუთარ ჭერქვეშ? რას გულისხმობ?

ჰესტერ პრინმა ახლა კი სავსებით გააცნობიერა, თუ როგორი ღრმა ჭრილობა მიაყენა ამ უბედურ კაცს, როცა ამდენი წლის – ან თუნდაც ერთი წამის განმავლობაში – დატოვა იმ ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ, რომელსაც გულში მხოლოდ და მხოლოდ

ღვარძლი ედო. მტრის სიახლოვეც კი, როგორი შენიღბულიც არ უნდა ყოფილიყო იგი, საკმარისი იყო, რათა ართურ დიმსდეილივით მგრძნობიარე ადამიანის მაგნიტური ველი დაებინძურებინა. იყო დრო, როდესაც ჰესტერ პრინს არ ჰყოფნიდა ძალა ამის გასაცნობიერებლად ანდა, შესაძლოა, საკუთარი უბედურების გამო კაცთმოძულეობით შეპყრობილმა გაწირა მღვდელი, რომ, როგორც თავად მიაჩნდა, შედარებით ნაკლები სატანჯველი, მასაც ეწვნია. მაგრამ უკანასკნელ ხანს, განსაკუთრებით კი მღვიძარების ღამის შემდეგ, მისი გრძნობები კაცის მიმართ ერთდროულად შერბილდა და გაძლიერდა. ახლა ქალი შეუცდომლად კითხულობდა მის გულისთქმას. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ როჯერ ჩილინგუორთის გამუდმებული თანხლება – მისი მტრული განწყობის საიდუმლო შხამი – ართურ დიმსდეილის ირგვლივ ჰაერს წამლავდა, ხოლო მღვდლის ფიზიკურსა თუ სულიერ უძლურებასთან ბრძოლა, რისი უფლებაც მას, როგორც პირად ექიმს ჰქონდა მინიჭებული, კიდევ არაერთ ხელსაყრელ შემთხვევას მისცემდა თავისი ულმობელი განზრახვის შესასრულებლად. მათი წყალობით ტანჯულის სინდისი ერთთავად გაღიზიანებული იყო და ტკივილი კი არ კურნავდა მის სულს, არამედ უფრო მეტად წეწავდა და ბილწავდა. ამისი შედეგი კი მიწიერ ცხოვრებაში ძნელად საფიქრებელია სხვა რამე ყოფილიყო, თუ არა სიგიჟე და აქედან გამომდინარე, მარადიული გაუცხოება ღმერთისა და სიკეთის მიმართ, რომლის ამქვეყნიური წინაპირობაც შეშლილობაა.

აი, სწორედ ამგვარი განადგურებისაკენ უბიძგა მან კაცს, რომელიც ოდესღაც – ანდა რა დასამალია? – ჯერ კიდევ მგზნებარედ უყვარდა. ჰესტერმა იგრძნო, რომ რამდენიმე დღის წინათ როჯერ ჩილინგუორთს სიმართლე უთხრა – ღვთისმსახურის სახელისა და პატივის შებღალვა, მეტიც, თვით სიკვდილიც კი, ბევრად უკეთესი გამოსავალი იქნებოდა, ვიდრე მისი ამ

ზომამდე მიყვანა. და ახლა, ოღონდ ეს სავალალო შეცდომა არ ჰქონოდა საღიარებელი და დიდი სიამოვნებით ჩაწვებოდა ამ ჩამოცვენილი ფოთლების გროვაში და აქვე განუტევებდა სულს ართურ დიმსდეილის ფერხთით.

– ოჰ, ართურ, – წამოიძახა მან, – მაპატიე! თავს არ ვზოგავდი, რომ მუდამ მართალი ვყოფილიყავი! სიმართლე იყო ის ხავსი, რომელსაც შემეძლო მოვჭიდებოდი და ყველა რთულ მდგომარეობაში ვებღაუჭებოდი კიდეც, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შენი კეთილი სახელი, შენი სიცოცხლე, შენი დიდება სათუო გახდა. მაშინ მე დამითანხმეს, რომ მეცრუა. მაგრამ ტყუილი არასოდესაა გამოსავალი, თუნდაც სასწორის მეორე პინაზე სიკვდილი იდოს. ხვდები, რის თქმას ვცდილობ? ის მოხუცი კაცი! ექიმი! რომელსაც ადამიანები როჯერ ჩილინგუორთს უწოდებენ – ჩემი ქმარი იყო!

მღვდელმა წამიერად შეხედა ქალს და ამ მზერაში გამოკრთა მთელი სიმძაფრე ვნებისა, რომელიც – შერეული ათას უფრო მაღალ, წმინდა და ნაზ გრძნობასთან – მღვდლის სულის იმ ნაწილიდან მოდიოდა, რომელსაც ეშმაკი დაჰპატრონებოდა და რომლის მეშვეობითაც სატანას სურდა, რომ კაცის მთელ არსებას, ყველა მის განცდას დაუფლებოდა. ჰესტერ პრინს არასოდეს უნახავს ადამიანის სახეზე აღბეჭდილი უფრო ბნელი და მრისხანე გამომეტყველება. ეს საზარელი სახეცვლილება ორიოდე წამს გაგრძელდა, რადგან ღვთისმეტყველის ბუნება ტანჯვას ისე გაემყიფებინა, რომ თავად მისი ყველა ქვენა ენერგიაც კი მხოლოდ ხანმოკლე გაბრძოლებისათვის იყო მზად. მღვდელი მიწაზე ჩაიკეცა და სახე ხელებში ჩამალა.

– უნდა მივმხვდარიყავი! – ჩაიბუტბუტა მან, – მივხვდი კიდეც! განა ეს საიდუმლო არ გამიმხილა ზიზღისაგან შემკრთალმა ჩემმა გულმა მისი პირველი დანახვისთანავე და შემდეგაც ყოველ ჯერზე არ მაუწყებდა, რომ მტერს ვხედავდი? რატომ ვერაფერს

მივხვდი? ო, ჰესტერ პრინ, შენ ოდნავადაც, იოტისოდენადაც ვერ ხვდები, როგორი ამაზრზენია ეს ყველაფერი. როგორი სირცხვილია! როგორი უხამსობა! როგორი გულისამრევია, როდესაც სნეული და დანაშაულით სავსე გული სწორედ იმ თვალის წინაშე გადაიშლება, რომელიც ნიშნისმოგებით შესცქერის ამას. ეჰ, დედაკაცო, დედაკაცო, შენი ბრალია ეს ყველაფერი! და ვერასოდეს გაპატიებ ამას!

– მაპატიებ! – წამოიძახა ჰესტერმა და მის გვერდით ფოთლების გროვაში ჩაემხო, – დაე, ღმერთმა დამსაჯოს, შენ კი მაპატიებ!

უეცარი და სასოწარკვეთილი სინაზის კარნახით ქალმა კაცს ხელები შემოხვია და მისი თავი გულზე მიიკრა. ყურადღებაც არ მიუქცევია იმისთვის, რომ მღვდლის ლოყა ზედ ალისფერ დამღას მისვენებოდა. კაცი, თუნდაც ცდილიყო, თავი გაეთავისუფლებინა, სულ ამაოდ გაირჯებოდა. ჰესტერის მკლავებიდან თავს ვერ დაიხსნიდა და სახეში მრისხანედ ვერ შეხედავდა. მთელი სამყარო წარბშეკრული შესცქეროდა ჰესტერს – მთელი შვიდი დაუსრულებელი წლის განმავლობაში გამეხებულ პირს უჩვენებდა მარტოხელა ქალს – და ის ამას უდრტვინველად იტანდა, ერთხელაც კი არ აურიდებია მისთვის თავისი მტკიცე, ნაღვლიანი მზერა. თავად ღმერთიც კი მოქუფრული ჩამოსცქეროდა ზემოდან და ქალი მაინც არ მომკვდარა. მაგრამ ამ ფერმკრთალი, სუსტი, ცოდვილი და ნაღვლით შეპყრობილი კაცის საყვედურით სავსე თვალებს კი ვეღარ გაუძლებდა ჰესტერი, ვეღარ გადაურჩებოდა.

– ხომ მაპატიებ? – იმეორებდა იგი ისევ და ისევ, – ხომ არ მიბრაზდები? ხომ მაპატიებ?

– გპატიობ, ჰესტერ, – უპასუხა მღვდელმა მოგვიანებით და ხმას ბრაზი კი არა, უძირო სევდა ამოაყოლა, – ახლა სულ იოლად გპატიობ. დაე, ღმერთმა ორივე ჩვენგანს მიუტევოს. ჩვენ სულაც

არ ვართ ამქვეყნად ყველაზე დიდი ცოდვილები, ჰესტერ. თურმე გახრწნილ მღვდელზე უარესი სულიერიც ამძიმებს დედამიწას! იმ მოხუცი კაცის შურისძიება ჩემს ცოდვაზე შავბნელია. მან ხომ ასე ულმობლად გათელა ადამიანის გულის სიწმინდე. მე და შენ, ჰესტერ, ასე არასოდეს მოვიქცეოდით!

– არასოდეს, არასოდეს! – ჩაიჩურჩულა მან, – ის, რაც ჩვენ შორის იყო, თავისებურ სიწმინდეს ატარებდა. ჩვენ ამას ვგრძნობდით! ვეუბნებოდით კიდეც ერთმანეთს! დაგავიწყდა?

– სუ, ჰესტერ! – თქვა ართურ დიმსდეილმა და მიწიდან წამოდგა, – არა, არ დამვიწყებია!

ისინი კვლავ ძირს ჩამოსხდნენ, ერთმანეთის გვერდიგვერდ, წაქცეული ხის დახავსებულ კუნძზე, ხელიხელჩაკიდებულნი. ცხოვრებაში არასოდეს დასდგომოდათ ამაზე ნაღვლიანი წუთები; დიდხანს მოჰყვებოდნენ ცხოვრების გზას, რომ ეს მომენტი განეცადათ და როდესაც ის ჩაივლიდა, კიდევ უფრო ჩამობნელდებოდა მათი გზასავალი; და მაინც ისეთი ხიბლი ახლდა თან ამ წამებს, რომ ორივეს სურდა შეეჩერებინა ისინი და ენატრა კიდევ ერთი, მერე კიდევ ერთი და კიდევ და კიდევ ერთი ასეთი წამი. გარშემო ჩაბნელებული ტყე ეკრათ და ქარის ყოველ დაბერვაზე ხეები ჭრიალებდნენ. ტოტები მძიმედ ირწეოდნენ ზემოთ-ქვემოთ; ერთი ბებერი პირქუში ხე ნაღვლიანად შეკვნესოდა მეორეს, თითქოს თავის ჩრდილში მჯდარი სევდიანი წყვილის ამბავს უყვებოდა ანდა მოახლოვებული უბედურების შესახებ აფრთხილებდა.

და მაინც, ისინი შეყოვნდნენ. როგორი საშინელი ჩანდა ეს ტყის ბილიკი, რომელსაც ისინი კვლავ დასახლებისაკენ უნდა წაეყვანა, სადაც ჰესტერ პრინს ისევ თავისი სირცხვილის ტვირთი უნდა წამოეკიდებინა, მღვდელს კი – თავისი სახელგანთქმულობის ფუჭი სიყალბე. ჰოდა, გვარიანადაც შეყოვნდნენ. არასოდეს არც ერთი ოქროსფერი ნათება არ ყოფილა ისეთი მშვენ-

რე მიეყოლებინა და მხოლოდ ის მიანიჭებდა ბედნიერებას, მხოლოდ ის მოჰგვრიდა შვებას, უახლოეს ხის ფესვებთან მიგდებულიყო და სამუდამოდ გაუნძრევლად წოლილიყო იქ, სადაც მის სხეულს სულ მალე ფოთლები და მიწის პატარა ბორცვი დაფარავდნენ. სიკვდილი მეტისმეტად კონკრეტული მიზანი იქნებოდა ამ კაცისთვის, რომელსაც აღარც რამისკენ სწრაფა შეეძლო და აღარც რამის თავიდან არიდება.

ჰესტერის აზრით, ღირს მამა დიმსდეილს ცოცხალი და მძაფრი ტანჯვის არანაირი ნიშანწყალი არ ეტყობოდა, გარდა იმისა, რომ, როგორც წეღან პატარა პერლმა შენიშნა, გულზე ხელი ჰქონდა მიდებული.

17. ღვთისმსახური და მისი სულიერი შვილი

მღვდელი თუმცაღა ძალიან ნელა მიაბიჯებდა, ლამის გასცდა კიდეც ჰესტერ პრინს, ვიდრე ქალმა ძალა მოიკრიბა და ბოლოს და ბოლოს ხმა მიაწვდინა.

– ართურ დიმსდეილ, – თქვა მან თავდაპირველად სუსტი, მერე კი უფრო მაღალი, თუმცა ჩახრინწული ხმით, – ართურ დიმსდეილ!

– ვინ ბრძანდებით? – გამოეპასუხა მღვდელი.

მან სასწრაფოდ მოიკრიბა მხნეობა და მხრებში გაიმართა, როგორც იქცევა კაცი, როდესაც სურს, რომ თავისი განწყობილება უცხო თვალისაგან დამალოს. მერე კი შეშფოთებულმა გაიხედა ხმის მიმართულებით და დაინახა ხეივანში მდგომი ბუნდოვანი გამოსახულება, რომელიც მუქ ტანსაცმელში გამოწყობილიყო და ისე შერწყმოდა მოღრუბლული ცისა და ჩამობურული ფოთლების მიერ ნაცრისფერ მიმწუხრად ქცეულ შუადღეს, რომ მღვდელი ვერც მიხვდა, ქალი იყო იგი თუ აჩრდილი. ვინ იცის, მისივე ფიქრებიდან გადმოპარულ მოჩვენებას ცხოვრების განმავლობაში რამდენჯერ გადაუჭრია ასე გზა ღირსი მამისთვის.

იგი ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა ქალს და ალისფერი დამღა შეამჩნია.

რე მიეყოლებინა და მხოლოდ ის მიანიჭებდა ბედნიერებას, მხოლოდ ის მოჰგვრიდა შვებას, უახლოეს ხის ფესვებთან მიგდებულიყო და სამუდამოდ გაუნძრევლად წოლილიყო იქ, სადაც მის სხეულს სულ მალე ფოთლები და მიწის პატარა ბორცვი დაფარავდნენ. სიკვდილი მეტისმეტად კონკრეტული მიზანი იქნებოდა ამ კაცისთვის, რომელსაც აღარც რამისკენ სწრაფა შეეძლო და აღარც რამის თავიდან არიდება.

ჰესტერის აზრით, ღირს მამა დიმსდეილს ცოცხალი და მძაფრი ტანჯვის არანაირი ნიშანწყალი არ ეტყობოდა, გარდა იმისა, რომ, როგორც წელან პატარა პერლმა შენიშნა, გულზე ხელი ჰქონდა მიდებული.

17. ღვთისმსახური და მისი სულიერი შვილი

მღვდელი თუმცაღა ძალიან ნელა მიაბიჯებდა, ლამის გასცდა კიდეც ჰესტერ პრინს, ვიდრე ქალმა ძალა მოიკრიბა და ბოლოს და ბოლოს ხმა მიაწვდინა.

– ართურ დიმსდეილ, – თქვა მან თავდაპირველად სუსტი, მერე კი უფრო მაღალი, თუმცა ჩახრინწული ხმით, – ართურ დიმსდეილ!

– ვინ ბრძანდებით? – გამოეპასუხა მღვდელი.

მან სასწრაფოდ მოიკრიბა მხნეობა და მხრებში გაიმართა, როგორც იქცევა კაცი, როდესაც სურს, რომ თავისი განწყობილება უცხო თვალისაგან დამალოს. მერე კი შეშფოთებულმა გაიხედა ხმის მიმართულებით და დაინახა ხეივანში მდგომი ბუნდოვანი გამოსახულება, რომელიც მუქ ტანსაცმელში გამოწყობილიყო და ისე შერწყმოდა მოღრუბლული ცისა და ჩამობურული ფოთლების მიერ ნაცრისფერ მიმწუხრად ქცეულ შუადღეს, რომ მღვდელი ვერც მიხვდა, ქალი იყო იგი თუ აჩრდილი. ვინ იცის, მისივე ფიქრებიდან გადმოპარულ მოჩვენებას ცხოვრების განმავლობაში რამდენჯერ გადაუჭრია ასე გზა ღირსი მამისთვის.

იგი ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა ქალს და ალისფერი დამღა შეამჩნია.

– ჰესტერ, ჰესტერ პრინ! – თქვა მან, – ნუთუ ეს შენ ხარ? ნუთუ ცოცხალი ხარ?

– ასე ითქმის, – მიუგო ქალმა, – შვიდი წელია ჩემკენ არაფერი შეცვლილა და შენ, ართურ დიმსდეილ, შენც კვლავ ცოცხალი ხარ?

გასაკვირი არ იყო, რომ არამხოლოდ ერთმანეთის, არამედ საკუთარ ხელშესახებ, ხორცშესხმულ არსებობასაც კი ეჭვქვეშ აყენებდნენ. ისე უცნაურად გადაეყარნენ ერთმანეთს ამ ჩაბნელებულ ტყეში, თითქოს ორი სული, ამქვეყნად საიდუმლოდ დაკავშირებული, პირველად შეხვდა ერთმანეთს სამარისმიღმა საუფლოში, ახლა კი იდგნენ და ერთნაირი ძრწოლით ატანილნი შეციებულებივით ცახცახებდნენ იმის გამო, რომ ახალ მდგომარეობას ვერ შეჰგუებოდნენ, ვერ შესჩვეოდნენ უსხეულოთა დასში ჩარიცხვას. თითოეული აჩრდილად ქცეულიყო და თავზარს სცემდა მეორე აჩრდილს. ყველაზე მეტად კი საკუთარ თავებს სცემდნენ თავზარს, რადგანაც ამ წუთმა თითოეული საკუთარ გულში ჩაახედა და გამოააშკარავა ის წარსული და გადატანილი ზაფრა, რომელსაც ცხოვრება მხოლოდ ამგვარ სუნთქვისშემკვრელ წამებში ააშკარავებს. სული განვლილი წუთების სარკეში აკვირდება საკუთარ ნაკვთებს. ართურ დიმსდეილმა შიშით, თრთოლვით და თითქოს ზანტი, უხალისო აუცილებლობით გაიშვირა წინ სიკვდილივით გაყინული ხელი და ჰესტერ პრინის გაყინულ ხელს შეახო. და ამ სიკვდილივით ცივმა შეხებამ გააქრო ის, რაც ორივეს აძრწუნებდა. ახლა ისინი, სულ მცირე, კვლავ დედამიწის ბინადრებად გრძნობდნენ თავს.

ისე რომ სიტყვაც აღარ დაუძრავთ – უხმო თანხმობით – კვლავ იმ დაბურული ტყისაკენ გაემართნენ, საიდანაც ჰესტერი გამოჩნდა და სწორედ იმ ხავსის გროვაზე ჩამოსხდნენ, სადაც წეღან დედა-შვილი მოკალათებულიყო. როდესაც ხმის ამოღება შეძლეს, თავდაპირველად ერთგვარი საყველპურო საუბარი და

მიკითხვ-მოკითხვა გააბეს, როგორც ორი ნაცნობი ჩამოაგდებს სიტყვას მოღუშულ ცაზე, მოახლოებულ ქარიშხალზე და მერე – ერთმანეთის ჯანმრთელობაზე. ამგვარად მიიწევდნენ წინ-წინ, გაუბედავად, ნაბიჯ-ნაბიჯ, გარს უვლიდნენ თემებს, რომლებსაც დიდი ხანია ატარებდნენ გულის ყველაზე ღრმა კუნჭულში. ბედისა და გარემოებათა მიერ ამდენი ხნით გაუცხოებულებს რამე უმნიშვნელო და სასხვათაშორისო სჭირდებოდათ, რათა საუბრის კარი ისე შეეღოთ, რომ მათი ნამდვილი ფიქრები ზღურბლს მიღმა დარჩენილიყო.

რამდენიმე წუთის შემდეგ მღვდელმა თვალებში ჩახედა ჰესტერ პრინს.

– ჰესტერ, – თქვა მან, – მოიპოვე სიმშვიდე?

ქალმა დაქანცული ღიმილით დაიხედა მკერდზე.

– შენ? – ჰკითხა მან.

– ვერა! ვერაფერი, სასოწარკვეთილების გარდა, – მიუგო კაცმა, – ან კი სხვა რა უნდა ეძებნა ჩემნაირ ადამიანს, ჩემნაირი ცხოვრების პატრონს? მე რომ ათეისტი ვყოფილიყავი – უსინდისო, უბადრუკი არსება, მხოლოდ ტლანქი და ცხოველური ინსტინქტების მქონე – შეიძლებოდა დიდი ხნის წინ მეპოვა სულიერი სიმშვიდე! და მეტიც, არც არასოდეს დამეკარგა იგი! მაგრამ ახლა ჩემს სულში ისეთი ქაოსია, რაც კი თანდაყოლილი სიკეთე მქონია, რაც კი ნიჭი მოუმადლებია ჩემთვის უფალს, ყველაფერი ტანჯვის მომტანად გადამექცა. ჰესტერ, მე საშინლად უბედური ვარ!

– ხალხი შენ დიდი პატივისცემით გეპყრობა! – თქვა ჰესტერმა, – და ეჭვიც არაა, ბევრ სიკეთეს თესავ მათ შორის. ნუთუ ეს შვებას არ განიჭებს?

– უფრო მაუბედურებს, ჰესტერ, უფრო მაუბედურებს, – უპასუხა ღვთისმსახურმა მწარე ღიმილით, – ხოლო, იმ სიკეთისა კი, რომელსაც მე მომაწერენ, არაფერი მწამს. იგი მხოლოდ ილუზიაა.

როგორ შეუძლია ჩემს განადგურებულ სულს, ცოდვისაგან იხსნას სხვა სულები? როგორ შეუძლია ჩემს წარწყმედილ ბუნებას, განწმენდაში დაეხმაროს სხვას? მირჩევნია, რომ ადამიანების ეს თაყვანისცემა დაცინვად და მძულვარებად გადამექცეს! როგორ გგონია, ჰესტერ, შეიძლება შვება მომგვაროს იმან, რომ ჩემს კათედრაზე ვდგები და მზერას ვაგებებ ჩემკენ მოპყრობილ ამდენ სახეს, რომელთაგანაც თითქოს ღვთიური სხივი ელვარებს. ვუცქერ ჩემს მრევლს, რომელიც სიმართლეს მოწყურებული ისე ელოდება ყოველ სიტყვას, თითქოს ჩემი პირით სულიწმინდა ლაპარაკობდეს. მერე კი ჩავიხედავ საკუთარ გულში და ვხედავ, რომ ვისაც ისინი აღმერთებენ, სინამდვილეში ბნელითაა მოცული. გატანჯულსა და გამწარებულს არაერთხელ მიცინია, თუ როგორ ცასა და დედამიწასავით განსხვავდება ჩემი ნამდვილი ბუნება სახალხოდ გამოტანილისაგან. და სატანაც ხმას აყოლებდა ჩემს სიცილს.

– ძალიან მკაცრად განსჯი საკუთარ თავს, – ნაზად უთხრა ჰესტერმა, – შენი სინანული ძლიერია და მწვავე; ცოდვა დიდი ხანია უკან დარჩა, შორეულ წარსულში. ახლანდელი ცხოვრება კი, ღმერთია მოწმე, სწორედ ისეთი უმწიკვლოა, როგორიც ხალხის თვალში ჩანს. ნუთუ შეიძლება ჭეშმარიტი არ ეწოდოს სინანულს, რომელიც ამგვარად არის ბეჭედდასმული და დამოწმებული კეთილი საქმეებით? ნუთუ ყოველივე ამან სულიერი სიმშვიდე არ უნდა მოგიტანოს?

– არა, ჰესტერ, არა, – უპასუხა ღვთისმეტყველმა, – არანაირი ჭეშმარიტება ამ ყველაფერში არაა! იგი ცივია და მკვდარი, არანაირი სიკეთე არ მოაქვს ჩემთვის. სინანულით იყო სავსე ჩემი ცხოვრება! მაგრამ ამას მონანიებამდე არ მივუყვანივარ. ასე რომ არ იყოს, დიდი ხნის წინ გავიძრობდი ამ ყალბი სიწმინდის საბურველს და ისეთი სახით დავენახვებოდი კაცობრიობას, როგორითაც ისინი განკითხვის დღეს მიხილავენ. ბედნიერი ხარ,

ჰესტერ, რომ ყველას დასანახავად შეგიძლია ატარო მკერდით ალისფერი ასო. ჩემი დამღა კი უჩუმრად მიწვავს მკერდს. შენ ვერც კი მიხვდები, რამხელა შვებაა, შვიდწლიანი თაღლითობით გატანჯული ვუყურებდე თვალებს, რომლებიც ისეთს მხედავენ, როგორიც სინამდვილეში ვარ. რომ მყოლოდა ერთი მეგობარი ან თუნდაც უბოროტესი მტერი, რომელსაც, როდესაც ყველა სხვა ადამიანის ქებით დავიღლებოდი, ყოვედღიურად მივაშურებდი და იგი შემიცნობდა როგორც ყველაზე საზიზღარს ცოდვილთა შორის, მაშინ ჩემი სული ცოცხალი გადარჩებოდა. ასეთი იოტისოდენი სიმართლეც კი სულის ხსნაში დამეხმარებოდა. მაგრამ ახლა მხოლოდ ტყუილით ვარ გარემოცული! მთლიანად დაცარიელებული! მთლიანად მკვდარი!

ჰესტერ პრინი კაცს სახეში ჩააცქერდა, მაგრამ ვერაფრის თქმა შეძლო, თუმცაღა მღვდლის გულში დიდი ხნის განმავლობაში ჩაგუბებული გრძნობების ასეთმა მგზნებარე გადმოხეთქვამ საბაბი მისცა, ბოლოს და ბოლოს ამოეთქვა ის, რისთვისაც აქ იყო მოსული. მან შიშს სძლია და ალაპარაკდა:

– ის მეგობარი, რომელიც ინატრე, ახლა შენ გვერდითაა, – თქვა მან, – მე ვარ შენი თანამზრახველი, შეგიძლია შენი ცოდვა ჩემთან გამოიტირო! – ქალი კვლავ შეჩერდა და დიდი ძალდატანებით დააყოლა: – მტერიც გყავს და დიდი ხანია, მასთან ერთ ჭერქვეშ სახლობ.

მღვდელი ზეზე წამოხტა, სული ეხუთებოდა და გულზე ხელი ისე ეტაცა, თითქოს მკერდიდან მისი ამოგლეჯა სურდა.

– რაო, რა მითხარი? – იყვირა მან, – მტერი მყავს და ისიც საკუთარ ჭერქვეშ? რას გულისხმობ?

ჰესტერ პრინმა ახლა კი სავსებით გააცნობიერა, თუ როგორი ღრმა ჭრილობა მიაყენა ამ უბედურ კაცს, როცა ამდენი წლის – ან თუნდაც ერთი წამის განმავლობაში – დატოვა იმ ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ, რომელსაც გულში მხოლოდ და მხოლოდ

ღვარძლი ედო. მტრის სიახლოვეც კი, როგორი შენიღბულიც არ უნდა ყოფილიყო იგი, საკმარისი იყო, რათა ართურ დიმსდეილივით მგრძნობიარე ადამიანის მაგნიტური ველი დაებინძურებინა. იყო დრო, როდესაც ჰესტერ პრინს არ ჰყოფნიდა ძალა ამის გასაცნობიერებლად ანდა, შესაძლოა, საკუთარი უბედურების გამო კაცთმოძულეობით შეპყრობილმა გაწირა მღვდელი, რომ, როგორც თავად მიაჩნდა, შედარებით ნაკლები სატანჯველი, მასაც ეწვნია. მაგრამ უკანასკნელ ხანს, განსაკუთრებით კი მღვიძარების ღამის შემდეგ, მისი გრძნობები კაცის მიმართ ერთდროულად შერბილდა და გაძლიერდა. ახლა ქალი შეუცდომლად კითხულობდა მის გულისთქმას. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ როჯერ ჩილინგუორთის გამუდმებული თანხლება – მისი მტრული განწყობის საიდუმლო შხამი – ართურ დიმსდეილის ირგვლივ ჰაერს წამლავდა, ხოლო მღვდლის ფიზიკურსა თუ სულიერ უძლურებასთან ბრძოლა, რისი უფლებაც მას, როგორც პირად ექიმს ჰქონდა მინიჭებული, კიდევ არაერთ ხელსაყრელ შემთხვევას მისცემდა თავისი ულმობელი განზრახვის შესასრულებლად. მათი წყალობით ტანჯულის სინდისი ერთთავად გაღიზიანებული იყო და ტკივილი კი არ კურნავდა მის სულს, არამედ უფრო მეტად წეწავდა და ბილწავდა. ამისი შედეგი კი მიწიერ ცხოვრებაში ძნელად საფიქრებელია სხვა რამე ყოფილიყო, თუ არა სიგიჟე და აქედან გამომდინარე, მარადიული გაუცხოება ღმერთისა და სიკეთის მიმართ, რომლის ამქვეყნიური წინაპირობაც შეშლილობაა.

აი, სწორედ ამგვარი განადგურებისაკენ უბიძგა მან კაცს, რომელიც ოდესღაც – ანდა რა დასამალია? – ჯერ კიდევ მგზნებარედ უყვარდა. ჰესტერმა იგრძნო, რომ რამდენიმე დღის წინათ როჯერ ჩილინგუორთს სიმართლე უთხრა – ღვთისმსახურის სახელისა და პატივის შებღალვა, მეტიც, თვით სიკვდილიც კი, ბევრად უკეთესი გამოსავალი იქნებოდა, ვიდრე მისი ამ

ზომამდე მიყვანა. და ახლა, ოღონდ ეს სავალალო შეცდომა არ ჰქონოდა საღიარებელი და დიდი სიამოვნებით ჩაწვებოდა ამ ჩამოცვენილი ფოთლების გროვაში და აქვე განუტევებდა სულს ართურ დიმსდეილის ფერხთით.

– ოჰ, ართურ, – წამოიძახა მან, – მაპატიე! თავს არ ვზოგავდი, რომ მუდამ მართალი ვყოფილიყავი! სიმართლე იყო ის ხავსი, რომელსაც შემეძლო მოვჭიდებოდი და ყველა რთულ მდგომარეობაში ვებღაუჭებოდი კიდეც, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შენი კეთილი სახელი, შენი სიცოცხლე, შენი დიდება სათუო გახდა. მაშინ მე დამითანხმეს, რომ მეცრუა. მაგრამ ტყუილი არასოდესაა გამოსავალი, თუნდაც სასწორის მეორე პინაზე სიკვდილი იდოს. ხვდები, რის თქმას ვცდილობ? ის მოხუცი კაცი! ექიმი! რომელსაც ადამიანები როჯერ ჩილინგუორთს უწოდებენ – ჩემი ქმარი იყო!

მღვდელმა წამიერად შეხედა ქალს და ამ მზერაში გამოკრთა მთელი სიმძაფრე ვნებისა, რომელიც – შერეული ათას უფრო მაღალ, წმინდა და ნაზ გრძნობასთან – მღვდლის სულის იმ ნაწილიდან მოდიოდა, რომელსაც ეშმაკი დაჰპატრონებოდა და რომლის მეშვეობითაც სატანას სურდა, რომ კაცის მთელ არსებას, ყველა მის განცდას დაუფლებოდა. ჰესტერ პრინს არასოდეს უნახავს ადამიანის სახეზე აღბეჭდილი უფრო ბნელი და მრისხანე გამომეტყველება. ეს საზარელი სახეცვლილება ორიოდე წამს გაგრძელდა, რადგან ღვთისმეტყველის ბუნება ტანჯვას ისე გაემყიფებინა, რომ თავად მისი ყველა ქვენა ენერგიაც კი მხოლოდ ხანმოკლე გაბრძოლებისათვის იყო მზად. მღვდელი მიწაზე ჩაიკეცა და სახე ხელებში ჩამალა.

– უნდა მივმხვდარიყავი! – ჩაიბუტბუტა მან, – მივხვდი კიდეც! განა ეს საიდუმლო არ გამიმხილა ზიზღისაგან შემკრთალმა ჩემმა გულმა მისი პირველი დანახვისთანავე და შემდეგაც ყოველ ჯერზე არ მაუწყებდა, რომ მტერს ვხედავდი? რატომ ვერაფერს

მივხვდი? ო, ჰესტერ პრინ, შენ ოდნავადაც, იოტისოდენადაც ვერ ხვდები, როგორი ამაზრზენია ეს ყველაფერი. როგორი სირცხვილია! როგორი უხამსობა! როგორი გულისამრევია, როდესაც სნეული და დანაშაულით სავსე გული სწორედ იმ თვალის წინაშე გადაიშლება, რომელიც ნიშნისმოგებით შესცქერის ამას. ეჰ, დედაკაცო, დედაკაცო, შენი ბრალია ეს ყველაფერი! და ვერასოდეს გაპატიებ ამას!

– მაპატიებ! – წამოიძახა ჰესტერმა და მის გვერდით ფოთლების გროვაში ჩაემხო, – დაე, ღმერთმა დამსაჯოს, შენ კი მაპატიებ!

უეცარი და სასოწარკვეთილი სინაზის კარნახით ქალმა კაცს ხელები შემოხვია და მისი თავი გულზე მიიკრა. ყურადღებაც არ მიუქცევია იმისთვის, რომ მღვდლის ლოყა ზედ ალისფერ დამღას მისვენებოდა. კაცი, თუნდაც ცდილიყო, თავი გაეთავისუფლებინა, სულ ამაოდ გაირჯებოდა. ჰესტერის მკლავებიდან თავს ვერ დაიხსნიდა და სახეში მრისხანედ ვერ შეხედავდა. მთელი სამყარო წარბშეკრული შესცქეროდა ჰესტერს – მთელი შვიდი დაუსრულებელი წლის განმავლობაში გამეხებულ პირს უჩვენებდა მარტოხელა ქალს – და ის ამას უდრტვინველად იტანდა, ერთხელაც კი არ აურიდებია მისთვის თავისი მტკიცე, ნაღვლიანი მზერა. თავად ღმერთიც კი მოქუფრული ჩამოსცქეროდა ზემოდან და ქალი მაინც არ მომკვდარა. მაგრამ ამ ფერმკრთალი, სუსტი, ცოდვილი და ნაღვლით შეპყრობილი კაცის საყვედურით სავსე თვალებს კი ვეღარ გაუძლებდა ჰესტერი, ვეღარ გადაურჩებოდა.

– ხომ მაპატიებ? – იმეორებდა იგი ისევ და ისევ, – ხომ არ მიბრაზდები? ხომ მაპატიებ?

– გპატიობ, ჰესტერ, – უპასუხა მღვდელმა მოგვიანებით და ხმას ბრაზი კი არა, უძირო სევდა ამოაყოლა, – ახლა სულ იოლად გპატიობ. დაე, ღმერთმა ორივე ჩვენგანს მიუტევოს. ჩვენ სულაც

არ ვართ ამქვეყნად ყველაზე დიდი ცოდვილები, ჰესტერ. თურმე გახრწნილ მღვდელზე უარესი სულიერიც ამძიმებს დედამიწას! იმ მოხუცი კაცის შურისძიება ჩემს ცოდვაზე შავბნელია. მან ხომ ასე ულმობლად გათელა ადამიანის გულის სიწმინდე. მე და შენ, ჰესტერ, ასე არასოდეს მოვიქცეოდით!

– არასოდეს, არასოდეს! – ჩაიჩურჩულა მან, – ის, რაც ჩვენ შორის იყო, თავისებურ სიწმინდეს ატარებდა. ჩვენ ამას ვგრძნობდით! ვეუბნებოდით კიდეც ერთმანეთს! დაგავიწყდა?

– სუ, ჰესტერ! – თქვა ართურ დიმსდეილმა და მიწიდან წამოდგა, – არა, არ დამვიწყებია!

ისინი კვლავ ძირს ჩამოსხდნენ, ერთმანეთის გვერდიგვერდ, წაქცეული ხის დახავსებულ კუნძზე, ხელიხელჩაკიდებულნი. ცხოვრებაში არასოდეს დასდგომოდათ ამაზე ნაღვლიანი წუთები; დიდხანს მოჰყვებოდნენ ცხოვრების გზას, რომ ეს მომენტი განეცადათ და როდესაც ის ჩაივლიდა, კიდევ უფრო ჩამობნელდებოდა მათი გზასავალი; და მაინც ისეთი ხიბლი ახლდა თან ამ წამებს, რომ ორივეს სურდა შეეჩერებინა ისინი და ენატრა კიდევ ერთი, მერე კიდევ ერთი და კიდევ და კიდევ ერთი ასეთი წამი. გარშემო ჩაბნელებული ტყე ეკრათ და ქარის ყოველ დაბერვაზე ხეები ჭრიალებდნენ. ტოტები მძიმედ ირწეოდნენ ზემოთ-ქვემოთ; ერთი ბებერი პირქუში ხე ნაღვლიანად შეკვნესოდა მეორეს, თითქოს თავის ჩრდილში მჯდარი სევდიანი წყვილის ამბავს უყვებოდა ანდა მოახლოვებული უბედურების შესახებ აფრთხილებდა.

და მაინც, ისინი შეყოვნდნენ. როგორი საშინელი ჩანდა ეს ტყის ბილიკი, რომელსაც ისინი კვლავ დასახლებისაკენ უნდა წაეყვანა, სადაც ჰესტერ პრინს ისევ თავისი სირცხვილის ტვირთი უნდა წამოეკიდებინა, მღვდელს კი – თავისი სახელგანთქმულობის ფუჭი სიყალბე. ჰოდა, გვარიანადაც შეყოვნდნენ. არასოდეს არც ერთი ოქროსფერი ნათება არ ყოფილა ისეთი მშვენ-

იერი, როგორიც ამ ჩაბნელებული ტყის წყვდიადი. აქ, რაკიღა მხოლოდ კაცის თვალი ხედავდა, ალისფერი დამღა დაცემული ქალის მკერდს არ წვავდა; აქ, როცა მხოლოდ ჰესტერი უყურებდა, კაცისა და ღვთის წინაშე შემცოდე ართურ დიმსდეილი სულ ერთი წუთით ცამდე მართალი იყო.

უეცრად მღვდელს რაღაც ფიქრმა გაურბინა თავში და შეაკრთო:

– ჰესტერ, – წამოიძახა მან, – შეიძლება წინ ახალი განსაცდელი გველოდეს. როჯერ ჩილინგუორთმა იცის, რომ მისი ნამდვილი ვინაობის გამომჟღავნება გადაწყვიტე. ნუთუ კვლავ შეინახავს ჩვენს საიდუმლოს? ახლა რაღას მოიფიქრებს ჩვენზე შურის საძიებლად?

– მის ბუნებას რაღაც უცნაური იდუმალება ახასიათებს, – თქვა ჰესტერ პრინმა, – და იგი კიდევ უფრო გამძაფრდა მას მერე, რაც შურისძიება ამოიჭრა გულში. არა მგონია, მან ჩვენი საიდუმლო გასცეს, უეჭველად სხვა გზას გამონახავს თავისი შავბნელი ვნების დასაკმაყოფილებლად.

– და მე? მე როგორღა ვიცოცხლო, როცა ჩემს უბოროტეს მტერთან ზიარ ჰაერს ვსუნთქავ? – წამოიძახა ართურ დიმსდეილმა, მოიკუნტა და ხელი ნერვიულად იტაცა გულთან – ეს ჟესტი უნებურ ჩვევად ქცეოდა, – ჩემ მაგივრადაც იფიქრე, ჰესტერ! შენ ძლიერი ხარ, ჩემ მაგივრადაც შენ გადაწყვიტე!

– აღარ უნდა სახლობდე იმ კაცთან ერთად! – თქვა ჰესტერმა მტკიცედ და დამარცვლით, – მისი ბოროტი მზერა გულს გამუდმებით არ უნდა გიფორიაქებდეს!

– უფრო ადვილი იქნება, თუ მოვკვდები, – თქვა მღვდელმა, – როგორ მოვახერხო მისი თავიდან მოშორება? რაღა დამრჩენია მეტი? ისევ ამ ფოთლების ნეშოში უნდა ჩავეგდო, როგორც მაშინ, როცა მისი ვინაობა გამიმხილე? აქვე უნდა ჩავიძირო და იმწამსვე ჩავკვდე?

– ვაიმე, როგორ განადგურებულხარ, – თქვა ჰესტერმა და თვალები ცრემლით აევსო, – ნუთუ საკუთარმა უსუსურობამ უნდა მოგკლას? სხვა მიზეზი არა გაქვს?

– ღვთის განგება მეწია, – მიუგო ქენჯნილმა ღვთისმსახურმა, – მასთან საბრძოლველი ძალა აღარ შემრჩა.

– ღმერთი მოწყალეა, – ანუგეშა ჰესტერმა, – მაგრამ შენ უნდა გეყოს ძალა, რომ მისი მოწყალება მოიპოვო.

– შენ მომეცი ეგ ძალა, – უპასუხა კაცმა, – მითხარი, როგორ მოვიქცე!

– ნუთუ სამყარო ასეთი პატარაა? – წამოიძახა ჰესტერ პრინმა, გულშიჩამწვდომად ჩახედა თვალებში და ქვეცნობიერად გამოიყენა თავისი დამატყვევებელი ზეგავლენა ამ შერყეულ და დამონებულ ადამიანზე, ძლივსღა რომ ედგა სული:

– ნუთუ სამყაროს მიჯნა ეს პატარა ქალაქია, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ ისეთივე ფოთლებით მოფენილი უდაბნო იყო, როგორიც ახლა გვაკრავს გარს. საით მიჰყავხარ ტყის ამ ბილიკს? უკან, ჩვენი დასახლებისკენო, მეტყვი. მართალია, მაგრამ შეუძლია წინაც წაგიყვანოს. შეუყვები მას ღრმად, მერე უფრო ღრმად, გაუვალი ადგილებისაკენ, რომელიც ყოველ ნაბიჯზე უფრო უღრანი გახდება. მერე კი, რამდენიმე მილიც და დაინახავ ყვითელ ფოთლებს, რომლებსაც არასოდეს შეჰხებია თეთრი კაცის ფეხი. და იქ უკვე თავისუფალი ხარ! ასეთი ხანმოკლე მოგზაურობაც კი განგაშორებს იმ ქვეყანას, სადაც საწყალობელი იყავი და მიგიყვანს იქ, სადაც ჯერ კიდევ შეგიძლია შენი ბედნიერება იპოვო. ნუთუ ამ დაუსაბამო ტყეს არა აქვს საკმარისი ჩრდილი, რომ შენი გული როჯერ ჩილინგუორთის მზერას დაუმალოს?

– დამმალავს, ჰესტერ, ოღონდ ჩამოცვენილ ფოთლებქვეშ, – ნაღვლიანი ღიმილით მიუგო მღვდელმა.

– მაშინ ზღვა გთავაზობს ფართო გზას, – განაგრძო ჰესტერმა, – ამ გზამ მოგიყვანა აქ და თუკი მოისურვებ, შეუძლია

უკანაც წაგიყვანოს. დაგაბრუნოს ჩვენს სამშობლოში, რომელიმე მიყრუებულ სოფელში ანდაც უსაზღვრო ლონდონში – თუნდაც გერმანიაში, ან საფრანგეთში ანდა თვალწარმტაც იტალიაში – შორს შენი მტრის ძალაუფლებისა და ცოდნისაგან. და რა გესაქმება მთელ ამ რკინის კაცებსა და მათ აზრებთან? ისედაც შენი საუკეთესო წლები შეიწირეს.

– შეუძლებელია, – უთხრა მღვდელმა, რომელიც ისე უსმენდა ქალს, თითქოს სიზმრის ახდენას სთხოვდა, – არსად წასვლის ძალა არა მაქვს. დაწყევლილი და ცოდვილი ვარ და სხვა აღარაფერი დამრჩენია, გარდა იმისა, რომ ჩემი ამქვეყნიური არსებობის ტვირთი იმ ადგილას ვათრიო, სადაც ღვთის ნებამ გადმომისროლა. ჩემს განწირულ სულს ის მაინც შეუძლია, სხვათა სულები გადაარჩინოს. ვერ გავბედავ ჩემი ადგილის მიტოვებას, მიუხედავად იმისა, რომ ორპირი ღვთისმსახური ვარ, რომლის გასამრჯელოც, როდესაც საზარელი საათი ბოლო წუთს ჩამოჰკრავს, შერცხვენა და წარწყმედა იქნება.

– ამ შვიდწლიანი უბედურების ტვირთმა გაგზნიქა წელში, – მიუგო ჰესტერმა, რომელსაც გულმხურვალედ გადაეწყვიტა, რომ ამ კაცისათვის საკუთარი სიმხნევე შეებიჯგებინა, – მაგრამ შენ ამ ყველაფერს უკან მოიტოვებ. ვეღარაფერი დაგიმძიმებს ნაბიჯს, როდესაც ამ ტყის ბილიკს გაჰყვები; ვერც გემს ჩაძირავს შენი ცოდვის სიმძიმე, თუკი ზღვით წასვლას გადაწყვეტ. დატოვე ეს ნგრევა და კატასტროფა იქ, სადაც შეგემთხვა. ნულარ მოიგონებ. დაიწყე ცხოვრება თავიდან! ნუთუ ამ ერთმა მარცხმა მთელი ძალა დაგახარჯვინა? არ დანებდე! შენი მომავალი ჯერ კიდევ სავსეა ბრძოლებითა და გამარჯვებებით! ჯერ კიდევ არსებობს ბედნიერება, რომელიც დაგატკბობს! ჯერ კიდევ არსებობს სიკეთე, რომელიც უნდა ჩაიდინო! გაცვალე ეს შენი ყალბი ცხოვრება ნამდვილზე! თუკი შენი სული ამისკენ ისწრაფვის, გახდი წითელკანიანთა მოძღვარი და მასწავლებელი. ანდა, თუკი გული

მოგთხოვს – იქეც მწიგნობრად და ბრძენკაცად განვითარებული სამყაროს ყველაზე ჭკვიან და სახელმოხვეჭილ კაცთა შორის. ილოცე! წერე! იმოქმედე! გააკეთე რაც გინდა, ოღონდ ნუ დაეგდები და ნუ მოკვდები! მოიშორე ართურ დიმსდეილის ტყავი და აქციე საკუთარი თავი სხვა, უფრო აღმატებულ კაცად, რომლის სახელსაც სირცხვილისა და შიშის გარეშე ატარებ. ერთი დღეც ნულარ აითრევ ფეხს და ნუ დარჩები იმ ტანჯვასთან, რომელიც სულს გიღრღნის, რომელმაც ნებაც დაგისუსტა და ქმედებაც. და მალე სინანულისთვისაც კი უმაქნისად გაქცევს. გასწორდი წელში და შორს წადი!

– ოჰ, ჰესტერ! – წამოიძახა ართურ დიმსდეილმა, რომლის თვალებშიც ქალის გულმხურვალებისაგან დანთებული სინათლე ხან იელვებდა და ხან ისევ მიინავლებოდა, – შენ სთხოვ კაცს, რომლის მუხლებსაც ძლივს უკავიათ მისი ტანი, მარათონში ჩაერთეო. მე აქ უნდა მოვკვდე. არც ძალა შემრჩა და არც სიმამაცე იმისა, რომ ამ ვრცელ, უცნაურ, რთულ სამყაროში მარტომ ვიხეტიალო.

ეს იყო სასოწარკვეთილების უკანასკნელი გამოხატულება ამ გატეხილი ადამიანისა, რომელსაც იმის ძალაც კი აღარ შესწევდა, რომ ცხვირწინ გამოჩენილ უკეთეს მომავალს ჩაბღაუჭებოდა.

მან ერთი სიტყვა კიდევ გაიმეორა:

– მარტო, ჰესტერ!

– მარტო არ იქნები, – მიუგო ჰესტერმა ძლივსგასაგონი ჩურჩულით.

ასე და ამგვარად, ყველაფერი ითქვა.

18. მზის სხივების ნიაღვარი

მზერა, რომლითაც ართურ დიმსდეილი ჰესტერის სახეს შეჰყურებდა, მართალია, იმედსა და სიხარულს ასხივებდა, მაგრამ ასევე შიშსაც ამყღავნებდა და ქალის სითამამით მოგვრილ ერთგვარ შეცბუნებასაც, რაკიღა ჰესტერმა ხმამაღლა წარმოთქვა ის, რაზედაც კაცმა მხოლოდ სიტყვის გადაკვრა გაბედა.

მაგრამ ჰესტერ პრინი, რომელსაც თავიდანვე გამბედავი და მკვირცხლი გონება დაჰყოლოდა და, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში არა მხოლოდ გაუცხოებოდა, არამედ გაერიყა კიდეც საზოგადოებას, ისეთ თავისუფალ აზროვნებას დასჩვეოდა, რომელიც ღვთისმსახურისათვის სრულიად მიუწვდომელი რამ იყო. იგი ყოველგვარი წესებისა და წინამძღოლის გარეშე დახეტიალობდა ზნეობრივ უღრანში, ისეთივე დაუსაბამოში, გაუკვალავსა და დაბურულში, როგორიც იყო ღარტაფი, რომლის წიაღშიც ახლა ამ ორი ადამიანის ბედ-იღბალი წყდებოდა. მის გონებასა და გულს უკაცრიელ ადგილებში დაევანებინა, სადაც იგი ისე თავისუფლად დასეირნობდა, როგორც ველური ინდიელი – მშობლიურ ტყეში. უკვე მრავალი წელი იყო, თავისი განმარტოებული სამყოფლიდან უმზერდა ადამიანთა წესადათებს, მღვდლისა თუ კანონმდებლების მიერ დადგენილს და ზუსტად იმდენივე მოწიწება შერჩენოდა საეკლესიო სამოსლისა

თუ მოსამართლის მანტიის, სამარცხვინო ბოძისა თუ სახრჩობელის, ოჯახური კერისა თუ ეკლესიის მიმართ, რამდენიც ველურ ინდიელს. ბედ-იღბლის მუხანათობამ ჰესტერი გაათავისუფლა. ალისფერი დამღა იქცა საშვად, რომელიც იმ ადგილების მოხილვის ნებას რთავდა, სადაც სხვა ქალები ფეხის დადგმასაც ვერ ბედავდნენ. სირცხვილი, სასოწარკვეთილება, მარტოობა იყვნენ მისი მასწავლებლები – მკაცრი და ულმობელი მოძღვრები – ისინი მატებდნენ ძალას, თუმცაღა ხშირად ხათაბალასაც გადაჰყრიდნენ ხოლმე.

მღვდელს კი, თავის მხრივ, წინასწარგანზრახულად არასოდეს გადაუბიჯებია საყოველთაოდ მიღებულ წეს-კანონთა ჩარჩოებიდან, გარდა ერთადერთი შემთხვევისა, როდესაც საკმაოდ უდიერად დაარღვია მათ შორის ყველაზე საკრალური. მაგრამ ეს ვნებისაგან ნაიძულევი ცოდვა იყო, არა გაცნობიერებული და მით უმეტეს, არა – წინასწარგანზრახული. იმ ავბედითი ამბის შემდეგ იგი ავადმყოფური გულმოდგინებით უკირკიტებდა არა მხოლოდ თავის თითოეულ ქმედებას – აკი, მათი მართვა გაცილებით იოლია – არამედ გრძნობის ყოველ გაფაჩუნებასა და აზრის ყოველ გაელვებას. იმ პერიოდში მღვდლები სოციალური სისტემის უმაღლეს საფეხურზე იდგნენ, რის გამოც ართურ დიმსდეილს კიდევ უფრო მეტად უბორკავდა ხელ-ფეხს იმდროინდელი წეს-ჩვეულებები, რწმენები და ცრურწმენებიც კი. როგორც ღვთისმსახურს, გარშემო გადაულახავ ზღუდედ შემორტყმოდა იმდროინდელი წეს-კანონების ჯაჭვი. როგორც კაცს, რომელსაც ერთხელ შეეცოდა და მას მერე სინდისს მუდმივად უღიზიანებდა ეს პირშეუკრავი სულიერი ჭრილობა, ერჩია, რომ გაცილებით მოეზღუდა თავი, ვიდრე ამას უცოდველობის შემთხვევაში იზამდა.

ამგვარად, როგორც აღმოჩნდა, ჰესტერ პრინისათვის განკვეთისა და შერცხვენის ეს შვიდი წელი სხვა არაფერი ყოფილა,

თუ არა სწორედ ამ საათისთვის მზადება. მაგრამ ართურ დიმსდეილი! თუ ამ კაცს კიდევ ერთხელ დაძლევდა ცოდვა, რომელ საბუთსღა წარადგენდა თავისი დანაშაულის გასამართლებლად? ვეღარანაირს, გარდა იმისა, რომ ხანგრძლივმა და მწვავე ტანჯვამ გატეხა; რომ შემოჩენილმა სინდისის ქენჯნამ დაუბნელა და აურია ტვინი; რომ მის გონებას გაუჭირდა არჩევნის გაკეთება – ვერც დანაშაულის აღიარება გაბედა და ვეღარც ფარისევლად იქცა; რომ სიკვდილითა და დამცირებით მოგვრილი ტანჯვისა და მტრის იდუმალი ხრიკების თავიდან აცილება სრულიად ადამიანური სურვილი იყო; და რომ ბოლოს და ბოლოს, საშიშ და უკაცრიელ გზაზე შემდგარ ამ საბრალო პილიგრიმს, ფერმკრთალს, სნეულსა და უბედურს, წინ ადამიანური სიყვარულისა და თანაგრძნობის ერთადერთი გაელვება წარმოუდგა, რომელიც ახალ, ნამდვილ ცხოვრებას უქადდა ნაცვლად იმ მძიმე ტვირთისა, რომელსაც ახლა დაათრევდა. და მოდით, ულმობელი და გულისმომკვლელი სიმართლეც გავამხილოთ – ჭრილობა, რომელსაც ცოდვა აჩენს ადამიანის სულს, სიკვდილამდე აღარ ხორცდება. მას შეიძლება მხოლოდ უდარაჯო და დაიცვა, რათა მტერმა კვლავ ვეღარ გაიკვალოს გზა მისი ციტადელისაკენ; თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ეშმაკმა შემდგომი თავდასხმებისას ის ხერხი შეცვალოს, რომლითაც წინა ჯერზე მიაღწია საწადელს. გალავანი ჯერაც ჩამონგრეულია და მის მახლობლად ფეხაკრეფით სცემს ბოლთას მომხდური, რომელსაც ერთი სული აქვს, დაუვიწყარი გამარჯვება ხელახლა იზეიმოს.

აღწერა იმ ბრძოლისა, რომელიც მღვდლის სულში გაიმართა, თუკი იგი საერთოდ გაიმართა, საჭირო არ არის. საკმარისია მხოლოდ იმის თქმა, რომ ღვთისმეტყველმა გაქცევა გადაწყვიტა და თან მარტო არა.

– მთელი ამ გასული შვიდი წლის განმავლობაში სიმშვიდით ან იმედით სავსე ერთი წამის გახსენება მაინც რომ შემეძლოს,

ღვთის მიერ გამოგზავნილ ნიშნად მივიღებდი და დავრჩებოდი, – გაიფიქრა მან, – მაგრამ ახლა, როდესაც განწირული ვარ და ყველა უკანდასახევი გზა მოჭრილი მაქვს – რატომ არ შეიძლება ჩავეჭიდო ამ უკანასკნელ ნუგეშს, რომელიც აღსასრულის დღემდე გადმომიგდეს საბრალო ცოდვილს? თანაც, რადგან ჰესტერი მარწმუნებს, რომ ეს უკეთესი ცხოვრებისაკენ მიმავალი გზაა, ალბათ, არაფერს დავკარგავ, თუკი გავყვები მას! ამ ქალის თანადგომისა და ნაზი ნუგეშისცემის გარეშე მაინც ვეღარ ვიცოცხლებ; და შენ, რომელსაც ვერც ვბედავ, მზერა მოგაპყრო, შეგიძლია კი მომიტევო ჩემი ცოდვები?

– ნუ გეშინია, წახვალ! – მშვიდად უთხრა ჰესტერმა, როდესაც მის მზერას შეხვდა.

როგორც კი საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო, უცნაური სიხარულის ელვარებამ მოციმციმე შუქი დააფინა მღვდლის დარდით დამძიმებულ სულს. ტუსაღი, რომელიც ის-ის იყო საკუთარი გულის დილეგს დაუსხლტა, თითქოს გააცოცხლა ამ ხელდაუკარებელ, რელიგიისა და კანონებისაგან თავისუფალ ადგილას დაბერილმა ველურმა და თავისუფალმა ნიავმა. ხალისი მოემატა, მისი სული საზღვრებს გასცდა და ცის უახლოეს სანახებამდე მიაღწია, ამაღლდა ყველა იმ უბედურებაზე, რომლებიც მიწაზე ხოხვას აიძულებდა. ღრმა რელიგიური მისწრაფებების მქონემ რაღაც ღვთიურის სიახლოვე იგრძნო.

– ნუთუ კვლავ ვგრძნობ სიხარულს? – წამოიძახა მან, საკუთარი შინაგანი ცვლილებებით გაკვირვებულმა, – მეგონა, რომ ჩემში მისი ჩანასახიც კი განადგურდა! ჰესტერ, შენ ჩემთვის ანგელოზზე უკეთესი ხარ! როგორც ჩანს, ამ ნეშოში იმიტომ ჩავემხე – სნეული, ცოდვით დაღდამჩნეული და სევდით გულდამძიმებული – რომ ხელახლა ვშობილიყავ და ახალი ძალით მედიდებინა იგი, ვინც ასე გულმოწყალე მექმნა მე! ეს უკვე უკეთესი ცხოვრებაა! ამას უფრო ადრე რატომ ვერ მივხვდით?

– არ გვინდა უკან მიხედვა, – თქვა ჰესტერ პრინმა, – წარსული წარსულად დარჩა! რატომღა უნდა დაგვაყოვნოს მან? შეხედე! აი, ამ სიმბოლოსთან ერთად მთელ წარსულს ჩამოვიგლეჯ, თითქოს ის არასოდეს არსებულა!

ამის თქმისთანავე გაიხსნა შესაკრავი, რომელიც ალისფერ ასოს მის მკერდზე იჭერდა, სირცხვილის დამღა მოიხსნა და შორს, ჩამოცვენილი ფოთლებისაკენ მოისროლა. მისტიკური სიმბოლო ზედ ნაკადულის ნაპირთან დაეცა მიწაზე. ოდნავ უფრო ძლიერადაც რომ მოექნია ხელი ჰესტერს, ის წყალში ჩავარდებოდა და გარდა იმისა, რაზედაც ახლაც გაუცნობიერებლად ბუტბუტებდა, პატარა ნაკადს კიდევ ერთი ნაღვლიანი ამბის ტარება მოუწევდა. მაგრამ არა, ამოქარგული ასო მიწაზე ეგდო და ელვარებდა – ის დაკარგულ ძვირფას ქვას ჰგავდა, რომელსაც ოდესმე რომელიმე უიღბლო მოხეტიალე იპოვიდა და მასთან ერთად დანაშაულის უცნაური ფანტომი სამუდამოდ აედევნებოდა, დასჩემდებოდა გულის კრთომა და ამოუხსნელი უიღბლობაც დაეჩვეოდა.

სამარცხვინო დამღა გაქრა. ჰესტერმა ღრმა ოხვრას სირცხვილისა და წამების მთელი ტვირთი ამოაყოლა. ჰოი, სრულყოფილო შვებავ! როდესაც გათავისუფლდა, მაშინღა მიხვდა – თურმე რამხელა ტვირთს ატარებდა. მერე ხელის კიდევ ერთი სწრაფი მოძრაობით უსახური ჩაჩიც ჩამოიგლიჯა, რომელიც თავს უფარავდა და მაშინვე მხრებზე ჩამოეშალა თმები – მუქი და ხშირი, მდიდარი ჩრდილებითა და ელვარებით – რომლებმაც ქალის ნაკვთების სინაზე და მომხიბვლელობა ერთიანად წარმოაჩინა. დედაკაცური ბუნების სიღრმიდან ამომსკდარი ბედნიერი და ალერსიანი ღიმილი ჰესტერს ტუჩებზე აუთამაშდა და თვალებში აუკიაფდა. ღაწვები, რომლებსაც ასე დიდხანს ეფინათ სიფითრე, შეეფაკლა. მისი ქალურობა, ახალგაზრდობა და უხვი სილამაზე იმ წარსულიდან დაბრუნდა, რომელსაც ადამიანები მტვერწაყრილს უწოდებენ და ამ ჯადოსნური საათის რკალში

ჯერ განუცდელ იმედებსა და აქამდე უცნობ ბედნიერებას შეერწყა. და მიწასა და ცაზე ჩამოწოლილი ქუფრიც, თითქოს ამ ორი მოკვდავი გულის ზეგავლენას დაემორჩილაო, მათ ნაღველთან ერთად გაიფანტა. ერთიანად, თითქოს ზეცამ უეცრად გაიღიმაო, მზის სხივების ელვარება პირქუშ ტყეში ნაკადივით ჩამოიღვარა, აახასხასა მწვანე ფოთლები, ხოლო უკვე ჩამოცვენილნი და გაყვითლებულნი ოქროსფრად მოავარაყა, მკრთალი შუქი ჩამოაყოლა გოროზი ხეების ნაცრისფერ ზროებს. საგნებს, რომლებიც აქამდე ჩრდილით დაფარულიყვნენ, ახლა სინათლემ შეასხა ხორცი. ხოლო მხიარულად აციმციმებული პატარა ნაკადული კი, რომელიც ალბათ იდუმალი ტყის შუაგულისაკენ მიიკვლევდა გზას, ახლა სიხარულის იდუმალებად ქცეულიყო.

ამგვარად შეეხმიანა ბუნება – ტყის ეს ველური, ურჯუკი ბუნება, რომელიც არასდროს ემორჩილება ადამიანურ კანონებს და ღვთიურ ჭეშმარიტებასაც არასოდეს გაუნათებია – ამ ორი მოკვდავის ნეტარებას. სიყვარული, ახლადშობილი იქნება იგი თუ საღათას ძილიდან გამოფხიზლებული, ყოველთვის ასხივებს. იგი ადამიანს პირთამდე ავსებს სინათლით, რომელსაც გული ვეღარ იტევს, ღვრის და გარესამყაროს აფენს. ტყე რომ უწინდებურად ჩამოქუფრული დარჩენილიყო, იგი მაინც განათდებოდა ჰესტერ პრინისა და ართურ დიმსდეილისთვის.

კიდევ ერთი სიხარულით მოცულმა ჰესტერმა კაცს შეხედა:

– უნდა გაიცნო პერლი, – თქვა მან, – ჩვენი პატარა პერლი. შენ მას უკვე იცნობ – დიახ, ვიცი – მაგრამ ახლა სხვა თვალით დაინახავ! ის ძალიან უცნაური ბავშვია. ძლივს მესმის მისი. მაგრამ შენ ის, ჩემი არ იყოს, ძალიან შეგიყვარდება და მასწავლი, როგორ გამოვნახო მასთან საერთო ენა.

– შენ გგონია, ბავშვს მოვეწონები? – ჰკითხა ართურ დიმსდეილმა, თითქოს უხერხულობას შეეპყრო, – ვცდილობ, თავი ავარიდო ბავშვებს, ისინი მუდამ უნდობლად მექცევიან, არ სურთ ჩემთან ურთიერთობა. მეშინია კიდეც პატარა პერლის!

– სამწუხაროა, – მიუგო დედამ, – მაგრამ დარწმუნებული ვარ, ძალიან შეიყვარებთ ერთმანეთს. პერლი სადღაც აქვეა. მოიცადე, დავუძახო: პერლ! პერლ!

– მე ვხედავ მას! – აღნიშნა მღვდელმა, – აი, იქ დგას, მზის გულზე; საკმაოდ მოშორებით, ნაკადულის გაღმა ნაპირთან. მართლა გგონია, რომ ბავშვი შემიყვარებს?

ჰესტერმა გაიღიმა და კვლავ გასძახა პერლს, რომელიც, როგორც მღვდელმა წეღან აღნიშნა, მათგან მოშორებით მოჩანდა. ხეების ტოტებს შორის გამოსხლეტილ მზის შუქში სინათლით მოსილი არსება იდგა. ათინათები ქრებოდნენ და ჩნდებოდნენ – გოგონას ხან ჩრდილში მოაქცევდნენ, ხანაც შუქს ფენდნენ – სინათლე მომძლავრდებოდა და პერლი ნამდვილ ბავშვს ემსგავსებოდა, მიინავლებოდა და – ბავშვის აჩრდილს. მან დედის ხმა გაიგონა და აუჩქარებლად დაადგა ტყის ბილიკს.

იმ ერთი საათის განმავლობაში, ვიდრე დედამისი ღვთისმსახურს ებაასებოდა, პერლს მოწყენა არ უგრძნია. დიდ ჩაბნელებულ ტყეს – რომელიც გამეხებულ პირს უჩვენებდა ყველას, ვინც მის წიაღში ცოდვითა და დარდით სავსე გულით შემოაბიჯებდა – ძალა და ღონე არ დაეზოგა, რომ მარტოსული ბავშვისათვის მხიარულ მეგობრად ქცეულიყო. თუმცაღა მწუხარე იყო, გოგონას მხიარული სახე უჩვენა – შესთავაზა მიტჩელას ნაყოფი, რომელიც წინა შემოდგომაზე ამოიზარდა მიწიდან, მაგრამ მხოლოდ გაზაფხულზე დამწიფდა და ახლა ჩამოცვენილ ფოთლებს შორის სისხლის წვეთებივით ელვარებდა. პერლმა ისინი შეაგროვა და მათი ველური არომატით დატკბა. ტყის ბინადრები არც კი ცდილობდნენ, რომ გზიდან ჩამოსცილებოდნენ პატარა სტუმარს. გნოლი, რომლის უკანაც ათი ნაშიერი ჩამწკრივებულიყო, დაფეთებული გაგოგმანდა, მაგრამ მალევე ინანა თავისი აჩქარება და ლაპებს დაუკრიახა, ნუ გეშინიათო. ხის ტოტზე მჯდომმა მტრედმა უფლება მისცა პერლს მის ქვეშ გაევლო და მისი ულურტუ-

ლიც უფრო მისალმებას ჰგავდა, ვიდრე – შეშფოთებას. ციყვი, შეჩვეული ხის მაღალ ფუღუროში ჩამძვრალი, რაღაცას ბრაზიანად თუ მხიარულად რატრატებდა – ციყვი ხომ ისეთი ფხუკიანი და ჭირვეული პატარა ქმნილებაა, რომ მისი ნამდვილი გუნება-განწყობილების გამოცნობა ადვილი არ არის. მოკლედ, იგი ბავშვს რაღაცას ერატრატებოდა და თავში კაკალიც კი ესროლა. ეს შარშანდელი კაკალი იყო, რომელიც თავისი ბასრი კბილებით უკვე გამოეხრა. მელაკუდა, რომელიც გოგონას მსუბუქი ნაბიჯების ქვეშ მოშარიშურე ფოთლებმა გამოაღვიძა, გამომცდელად შეაცქერდა პერლს, ყოყმანობდა, აქედან გაპარულიყო თუ იქვე გაეგრძელებინა თვლემა. ხოლო მგელი – თუმცაღა აქ თხრობა უკვე ზღაპრულ ელფერს იძენს – პერლს მიუახლოვდა, მისი წამოსასხამი დასუნა და მერე თავისი მგლური თავი მიუშვირა, რომ გოგონას ზედ ხელი მოეთათუნებინა. თუმც, დაუჯერებელი არაფერია იმაში, რომ ტყის ადგილის დედამ და იმ ველურმა არსებებმა, რომლებსაც იგი კვებავდა, ერთხმად ამოიცნეს ადამიანის ნაშიერის თანდაყოლილი ველური ბუნება.

და გოგონაც აქ უფრო ალერსიანი იყო, ვიდრე თავისი დასახლების გაზონებით შემოსაზღვრულ ქუჩებში ან დედამისის განმარტოებულ ქოხში. ყვავილებმა, როგორც ჩანდა, იცოდნენ ეს და როდესაც პერლი გვერდით ჩაუვლიდა, ერთიმეორის მიყოლებით ეძახდნენ: „ჩამიწანი თმაში, ლამაზო გოგო, მოირთე ჩემით კაბა!“ და პერლიც არც ერთს არ წყვეტდა გულს, კრეფდა იებსა და ფრინტებს, წყალიკრეფიებსა და ხასხასა მწვანით შეფერილ წვრილ ტოტებს, რომლებსაც ბებერი ხეები მისკენ ხრიდნენ და გადაიქცა პატარა ნიმფად თუ ციცქნა დრიადად თუ სხვა სულიერად, რომლის დანახვაც ბებერ ტყეს ყველაზე მეტად ეამებოდა. ამგვარად ირთვებოდა პერლი, როდესაც დედის ხმა გაიგონა და ფეხათრევით გაემართა მისკენ.

ფეხათრევით, ვინაიდან ღვთისმსახური დაინახა.

19. ბავშვი ნაკადულის მეორე ნაპირზე

– შენ ის ძალიან შეგიყვარდება, – გაიმეორა ჰესტერ პრინმა, როდესაც ის და მღვდელი, გვერდიგვერდ ჩამომსხდარნი, ერთად შესცქეროდნენ პერლს, – ხომ ნამდვილად ლამაზია, არა? და ნახე, როგორი ნიჭიერია – როგორ მორთულა ამ უბრალო მინდვრის ყვავილებით. ტყეში ალმასები, მარგალიტები და ლალები რომ ეპოვა, ისინიც ვერ დაამშვენებდა ასე. შესანიშნავი ბავშვია! და ვიცი, ვისგანაც გამოჰყვა ეს ნათელი შუბლი.

– ერთ რამეში უნდა გამოგიტყდე, ჰესტერ, – თქვა ართურ დიმსდეილმა უხერხული ღიმილით, – იცი, ამ საყვარელ ბავშვს, განუშორებლად თან რომ გახლავს, რამდენჯერ შეუშფოთებია ჩემი გული? საზარელი შიშით შეპყრობილი ვფიქრობდი, რომ მის სახეზე ჩემი ნაკვთებიც განმეორდებოდა და მთელი ქვეყანა შეამჩნევდა ამ თვალნათელ მსგავსებას. მაგრამ გოგონა სულ შენ გამოგემგვანა.

– არა, არა, სულ მე არა! – ალერსიანი ღიმილით იუარა დედამ, – ცოტა ხანიც და აღარ შეგეშინდება, ვის მიაგვანებს ხალხი მას. მაგრამ, ერთი შეხედე, როგორ საოცრად ლამაზია ამ თმაში ჩაწნული მინდვრის ყვავილებით. თითქოს ერთ-ერთი ფერია, ძვირფას ძველ ინგლისში რომ დავტოვეთ, გამოიპრანჭა და ჩვენთან შესახვედრად გამოემართა.

გრძნობა, რომელსაც ისინი განიცდიდნენ, როდესაც გვერდიგვერდ ისხდნენ და პერლის აუჩქარებელ მოახლოებას შესცქეროდნენ, ადრე არც ერთს არ განეცადა. თითქოს ჯაჭვი, რომელიც მათ აერთებდა, გასულიერებულიყო. ამ შვიდი წლის განმავლობაში გოგონა მიწაზე დადიოდა, როგორც ცოცხალი იეროგლიფი და ხორცშესხმა იმ საიდუმლოსი, რომლის დამალვასაც მისი მშობლები ასე საგულდაგულოდ ცდილობდნენ – ყველაფერი ამ სიმბოლოთი იყო ნათქვამი – ასე უბრალოდ იყო გაცხადებული – თუკი გამოჩნდებოდა წინასწარმეტყველი ანდა მისანი, რომელსაც ცეცხლის ბუნების წასაკითხად ოსტატობა ეყოფოდა! პერლი მათი ერთარსებობის დასტური იყო. მიუხედავად წარსული უბედურებებისა, ეჭვი როგორ უნდა შეჰპარვოდათ, რომ მათი ამქვეყნიური ყოფაც და მომავალი ბედ-იღბალიც ერთმანეთთან იყო გადაჯაჭვული, როდესაც საკუთარი თვალით უცქერდნენ, როგორ მოაბიჯებდა მათკენ მატერიალურად განსხეულებული იდეა, რომელიც მათ აერთიანებდა და სამარადჟამო ერთადყოფნას უქადდა? ეს და ეგებ სხვა ფიქრებიც, რომლებისთვისაც სახელი ვერ დაერქმიათ, მოწიწებას უღვიძებდა მათ ბავშვის მიმართ.

– უჩვეულო არაფერი აგრძნობინო: მეტისმეტი გზნება ან მოწადინება არ შეგატყოს, – ჩასჩურჩულა ჰესტერმა, – ჩვენი პერლი ხანდახან უცნაურ და ჭირვეულ პატარა ჭინკად იქცევა ხოლმე. ეჭვით კი განსაკუთრებით იმგვარ გრძნობებს ეკიდება, რომელთა წარმომავლობასა და მიზეზსაც ბოლომდე ვერ აცნობიერებს. მაგრამ ამ ბავშვს სიყვარულის დიდი ნიჭი აქვს! მას მე ვუყვარვარ და შენც შეგიყვარებს!

– შენ ვერც კი წარმოიდგენ, როგორ ეშინია ჩემს გულს ამ შეხვედრის და როგორ მიელტვის მას, – მღვდელმა ჰესტერ პრინისაკენ მოაბრუნა თავი, – თუმცა ადრეც მითქვამს შენთვის, რომ ბავშვებს დიდად არ ვეხატები გულზე. არასოდეს მაცოცდები-

ან მუხლებზე, არასოდეს მეტიკტიკებიან ყურში, არ მპასუხობენ ღიმილზე; მოშორებით გადგებიან და უნდობლად მათვალიერებენ ხოლმე. სულ ჩვილებიც კი, როგორც კი ხელში ავიყვან, საშინელ ღრიალს მორთავენ. პერლი კი ჯერ ასეთი პატარაა და უკვე ორჯერ გამოიჩინა სიკეთე ჩემ მიმართ. პირველად შენც კარგად გახსოვს, როდესაც! ხოლო მეორედ კი მაშინ, როდესაც იმ პირქუში ძველი გუბერნატორის სახლში მოიყოლე!

– იმ დღეს ისე მამაცურად დაგვიცავი პერლიც და მეც, – მიუგო ქალმა, – კარგად მახსოვს და ჩვენს გოგონასაც ემახსოვრება. ნურაფრის გეშინია! თავდაპირველად შეიძლება დაიმორცხვოს და გიუცხოვოს, მაგრამ მალე ისწავლის შენს სიყვარულს.

ამ დროისათვის პერლი უკვე ნაკადულის ნაპირს მოადგა, მოშორებით შეჩერდა და მდუმარედ შესცქეროდა ჰესტერსა და ღვთისმსახურს, რომლებიც კვლავ გვერდიგვერდ ისხდნენ ხავსით დაფარულ კუნძზე და მას ელოდნენ. სწორედ იქ, სადაც გოგონა შედგა, ნაკადული შეგუბებულიყო და მისი კრიალა და მშვიდი ზედაპირი უნაკლოდ ირეკლავდა პატარა ფიგურას, მის კალმით ნახატ სილამაზეს, ყვავილების თავსამკაულსა და ფოთლების გვირგვინს, ანარეკლს თითქოს ცოცხალ გოგონაზე მეტი სულიერება და დახვეწილობაც კი აჩნდა და არა მხოლოდ გარეგნულად ჰგავდა პერლს, არამედ თითქოს მისთვის თავისი იდუმალი და მოუხელთებელი ბუნებაც გადაეცა. პერლი ფეხმოუცვლელად იდგა და დაჟინებით შესცქეროდა მათ, ტყის ბინდბუნდში მსხდომებს, თავად კი ერთიანად გაენათებინა მზის სხივებს, რომლებიც უცნაური შეთქმულებივით პირშეკრულნი მაინცდამაინც მის თავზემოთ იკრიბებოდნენ. იქვე ნაკადულში კი მეორე ბავშვი მოჩანდა – იგივეც და სხვაც – ისიც ოქროს სხივებში გახვეული. ჰესტერს უეცრად უცნაური და მტანჯველი შეგრძნება დაეუფლა, რომ პერლი მას გაუცხოებოდა. თითქოს ბავშვი, ტყეში მარტოდმარტო ხეტიალისას ასცდა იმ სამყოფელს, რომელშიც ის და დედამისი ერთად ბინადრობდნენ და ახლა ამაოდ ეძებდა უკან დასაბრუნებელ გზას.

ჰესტერი მართალი იყო და ცდებოდა კიდეც; დედა და შვილი მართლა გაუცხოებულიყვნენ, მაგრამ არა პერლის, არამედ ჰესტერის მიზეზით. რადგან როგორც კი შვილი გვერდიდან მოშორდა, დედამ თავისი გრძნობების თავშესაფარში სხვა მობინადრე შემოუშვა და მანაც იქ ყველაფერს ისე შეუცვალა ადგილი, რომ პერლს, უკან დაბრუნებულ მოგზაურს, იქაურობა აღარც ეცნო და ვეღარც თავისი ადგილი იპოვა.

– უცნაური შეგრძნება მაქვს, – შენიშნა მგრძნობიარე მღვდელმა, – თითქოს ეს ნაკადული ორი სამყაროს მიჯნაა და ჩვენ ვეღარასოდეს შევხვდებით პერლს. ეგებ ის ტყის ჭინკაა, რომელზედაც ჩვენი ბავშვობისდროინდელი ლეგენდები გვიყვებოდნენ და ბუნება უკრძალავს ამ დაუდეგარი ნაკადის გადმოლახვას? გევედრები, ააჩქარე, თორემ მისი ეს შეყოვნება უკვე ძალიან მანერვიულებს.

– მოდი აქ, ჩემო საყვარელო, – შეაგულიანა ჰესტერმა შვილი და ორივე მკლავი მისკენ გაიწვდინა, – რატომ ითრევ ფეხს ასე? როდიდან გახდი ასეთი ზანტი? აქ ჩემი მეგობარი გელოდება, რომელსაც ერთი სული აქვს, შენი გულიც მოიგოს. დღეის შემდეგ მხოლოდ მე კი არა, ორივეს გვეყვარები. გადმოახტი ნაკადულს და მოირბინე ჩვენთან. მოდი, პატარა ირემივით ისკუპე!

პერლი, რომელსაც სულ არაფერზე ეტყობოდა, რომ ჰესტერის თაფლივით ჩაშაქრული სიტყვები ესმოდა, ფეხმოუცვლელად იდგა ნაკადულის მეორე ნაპირზე და თავისი ბრიალა, ველური თვალებით ხან დედას შეაცქერდებოდა, ხან – ღვთისმსახურს, ხანაც ორივეს ერთდროულად ზომავდა და წონიდა მზერით, თითქოს სურდა გამოეცნო და ამოეხსნა, რა ძაფებს დაეკავშირებინა ეს ორი ერთმანეთთან. როგორც კი ბავშვის მზერა იგრძნო, რაღაც ამოუხსნელი მიზეზის კარნახით, ართურ დიმსდეილმა

ხელი – ბოლო ხანებში გაუცნობიერებელ ჩვევად ქცეული ჟესტის თანახმად – გულზე მიიჭირა. ცოტა ხნის შემდეგ პერლმა, რომელსაც სახეზე უცნაურად ძლევამოსილი გამომეტყველება აღბეჭდოდა, ხელი წინ გასწია და პატარა საჩვენებელი თითი პირდაპირ დედამისის მკერდისაკენ გაიშვირა. და ქვევით, ნაკადულის სარკეში გამოჩნდა ყვავილებით შემკული და მზიანი ანარეკლიც, მკაცრად თითგაშვერილი.

– ჯიუტო ბავშვო, რატომ არ მოდიხარ ჩვენთან? – წამოიძახა ჰესტერმა.

პერლი კვლავ თითგაშვერილი იდგა, მრისხანედ შეკრული წარბები უცნაურ იერს ჰფენდა მის ბავშვურ, თითქმის ჩვილის მსგავს სახის ნაკვთებს. რაკიღა დედა დაჟინებით უხმობდა და სახიდანაც ჯერაც უნახავი სადღესასწაულო ღიმილი არ შორდებოდა, ბავშვმაც ფეხები ააბაკუნა და სახე უფრო მოეღუშა. ნაკადული კი კვლავ ირეკლავდა და უფრო მეტ დიდებულებას მატებდა პერლის არაჩვეულებრივ სილამაზეს, მის მრისხანედ შეკრულ კოპებს, წინგაშვერილ საჩვენებელ თითს – მბრძანებლურ ჟესტს.

– პერლ, იჩქარე, თორემ გაგიჯავრდები! – იყვირა ჰესტერ პრინმა, რომელიც სხვა შემთხვევებში ურიგდებოდა ჭინკა-გოგოს ახირებულ ქცევებს, მაგრამ, რასაკვირველია, გაანერვიულა იმან, რომ მისი ქალიშვილის უცნაურობამ სწორედ ახლა იჩინა თავი.

– გადმოახტი ნაკადულს და აქ მოირბინე, შე საძაგელო ბავშვო, თორემ მე თვითონ მოვალ შენთან.

მაგრამ პერლს, როგორც დედის დაყვავება ვერ აშოშმინებდა, ისევე არ აშინებდა მისი მუქარაც. გოგონას უეცრად ბნედიანივით შემოუტია სულისხუთვამ – გამალებით იქნევდა ხელ-ფეხს და თავის პაწია სხეულს უცნაურად გრეხდა. ამ ველურ გამოხტომებს თან ერთოდა გამაყრუებელი წივილ-კივილი, რომელსაც

ტყე ყოველი მხრიდან ექოს აძლევდა და ამგვარად, თუმცაღა ამ თავის ბავშვურსა და უმიზეზო მრისხანებაში მარტო იყო, ისე მოჩანდა, თითქოს გადამალული ბრბო თანაუგრძნობდა და ამხნევებდა. ნაკადულში კი მოჩანდა პერლის მრისხანე აჩრდილი, ყვავილებით თავშემკული და მორთული, რომელიც ხელ-ფეხს ველურივით იქნევდა, უცნაურად იგრიხებოდა და ამასთანავე, პატარა საჩვენებელი თითი ისევ და ისევ დედის მკერდისაკენ ჰქონდა მიშვერილი.

– ვხვდები, რაც აწუხებს ბავშვს, – ჩასჩურჩულა ჰესტერმა ღვთისმსახურს და მიუხედავად გულმოდგინე მცდელობისა, თავისი მწუხარება და ნაღველი დაემალა, ერთიანად გაფითრდა, – ბავშვები ვერ იტანენ, როდესაც საგნები და მოვლენები, რომლებსაც ყოველდღე უყურებენ, თუნდაც იოტისოდენად იცვლება. პერლმა ის მოისაკლისა, რის ცქერასაც ჩემს მკერდზე მუდმივად იყო შეჩვეული.

– გევედრები, – მიუგო მღვდელმა, – თუკი გეგულება რამე საშუალება, რომელიც ამ ბავშვს დააწყნარებს, ახლავე გამოიყენე! ამაზე უარესი მხოლოდ რომელიმე ბებერი კუდიანის, მაგალითად, მისტრეს ჰიბინსის განრისხება თუ იქნება! – დაუმატა მან და შეეცადა გაეღიმა, – ამქვეყნად ნებისმიერ განსაცდელს შევერკინები, ამ ბავშვის გაცხარების გარდა. პერლის ბავშვურ სილამაზეს არანაკლები ზებუნებრივი ძალა აქვს, ვიდრე დანაოჭებული კუდიანის ხრიკებს. თუ გიყვარვარ, დაამშვიდე პერლი.

ჰესტერი პერლისაკენ მიბრუნდა, ლოყებზე მეწამული ალი მოსდებოდა. თანაგრძნობით სავსე მზერით გადახედა ღვთისმსახურს და ღრმად ამოიოხრა. მერე კი, ვიდრე ხმას ამოიღებდა, მის ღაწვებზე მოდებული სიწითლე მკვდრულმა სიფითრემ შეცვალა.

– პერლ, – თქვა მან ნაღვლიანად, – დაიხედე ძირს! აი, იქ, ზედ შენ ცხვირწინ! ნაკადულის აქეთა ნაპირზე რაღაც გდია!

ბავშვმა თავი იქით მიაბრუნა, სადაც დედა მიუთითებდა. იქ, მოჩუხჩუხე ნაკადთან ახლოს, ალისფერი ასო ეგდო – ოქრომკერდის ბრწყინვალება წყალში ირეკლებოდა.

– მომიტანე აქ! – თქვა ჰესტერმა.

– მიდი და შენ თვითონ აიღე! – შეეპასუხა პერლი.

– განა ასეთი ბავშვი ოდესმე სხვაც დაბადებულა! – გადაუჩურჩულა ჰესტერმა მღვდელს, – იმდენი რამ უნდა გიამბო მის შესახებ. მაგრამ ამ საძაგელ სიმბოლოსთან დაკავშირებით კი სრულიად მართალია. მისგან მოგვრილ წამებას კიდევ ცოტა ხანს უნდა გავუძლო – კიდევ რამდენიმე დღე – ვიდრე აქაურობას დავტოვებთ და ისე გავიხსენებთ ამ ალაგს, თითქოს ოდესღაც სიზმარში გვენახოს. ტყე ვერ დამალავს ალისფერ დამღას! ოკეანის შუაგული კი მას ხელიდან გამომტაცებს და საუკუნოდ გადაყლაპავს.

ამ სიტყვებით ჰესტერი ნაკადულის კიდეს მიუახლოვდა, ალისფერი ასო აიღო და კვლავ მკერდზე მიიმაგრა. ერთი წუთის წინ, იგი იმედით აღსავსე ლაპარაკობდა, თუ როგორ მოისვრიდა ოკეანის სიღრმეში იმ დაწყევლილ ნიშანს, ახლა კი ისეთი გრძნობა დაეუფლა, რომ მომაკვდინებელი სიმბოლო თვით ბედისწერის ხელმა დაუბრუნა უკან. ერთი საათის წინ ჰესტერმა იგი უსასრულო სივრცეში გატყორცნა! იმას მიაღწია, რომ მთელი საათი თავისუფლად სუნთქავდა! და აი, ალისფერი წყევლა კვლავ მასთან იყო, თავის ჩვეულ ადგილას ციმციმებდა. ასეა დასაბამიდან, არა აქვს მნიშვნელობა სიმბოლოთი გამოხატულია თუ არა, ეშმაკისეული საქმეები მუდამ ბედისწერის ნიშნითაა აღბეჭდილი. შემდეგ ჰესტერმა თავისი ხშირი დალალები აიკეცა და ჩაჩის ქვეშ შემალა. ალისფერი დამღის დამცინავი წყევლა მის სილამაზეს, ქალურ სითბოსა და სიმდიდრეს ჩამავალი მზის შუქივით ანავლებდა და ჰესტერის გარშემო ნაცრისფერი ჩრდილები ეფინებოდა.

როდესაც შემაძრწუნებელი სახეცვლილება დაასრულა, ჰესტერმა კვლავ პერლისაკენ გაიშვირა ხელები.

– ახლა ცნობ დედაშენს, შვილო? – ჰკითხა მას საყვედურნარევი, თუმცაღა მორჩილი ხმით, – ცნობ მას, როდესაც ნაღვლიანია?

– დიახ, ახლა ვცნობ, – მიუგო პერლმა, ნაკადულს გადმოევლო და ჰესტერი მკლავებში მოიმწყვდია, – ახლა კი ნამდვილად დედაჩემი ხარ, მე კი – შენი პატარა პერლი!

უჩვეულოდ ალერსიან გუნებაზე დამდგარმა გოგონამ დედას თავი ჩამოუწია და შუბლი და ორივე ლოყა დაუკოცნა. მაგრამ მერე – თითქოსდა აუცილებლობა აიძულებდა, რომ თუკი შემთხვევით ადამიანს გულს გაუთბობდა, მაშინვე ტკივილით გაეწონასწორებინა ეს სიკეთე – პერლმა თავი ოდნავ დაბლა დახარა და ალისფერ დამღასაც ეამბორა.

– აბა, ეს რას ჰგავს?! – უთხრა ჰესტერმა, – როგორც კი ცოტა სიყვარულს მიჩვენებ, მაშინვე დაცინვას მოაყოლებ ხოლმე.

– მღვდელი რატომ ჩამომჯდარა აქ? – ჰკითხა პერლმა.

– გელოდება, როდის მიესალმები, – მიუგო დედამ, – მიდი და დალოცვა სთხოვე! მას შენ უყვარხარ, ჩემო პატარა პერლ, და შენი დედიკოც უყვარს. განა შენც არ შეიყვარებ? მიდი! ერთი სული აქვს, როდის მიესალმები.

– მართლა ვუყვარვართ? – იკითხა პერლმა და დედას თვალებში გამჭრიახი მზერით ჩახედა, – ჩვენთან ერთად წამოვა? სამივე ხელიხელჩაკიდებული შევალთ ქალაქში?

– დღეს არა, ჩემო საყვარელო, – უპასუხა დედამ, – მაგრამ მოვა დღეები, როდესაც იგი ჩვენთან ხელიხელჩაკიდებული ივლის. საკუთარი სახლი და კერია გვექნება. შენ მას მუხლზე ჩამოუჯდები და ისიც ათას რამეს გასწავლის და მთელი გულით ეყვარები. შენ კი ის გეყვარება, ასე არაა?

– და ხელი მაინც სულ გულზე ექნება მიჭერილი? – ჩაეკითხა პერლი.

– სულელო ბავშვო, რას ჩამციებიხარ?! – შეჰყვირა დედამ, – მიდი და კურთხევა სთხოვე.

მაგრამ იმის გამო, რომ პერლი ან ეჭვიანობამ შეიპყრო, რომელსაც ყველა განებივრებული ბავშვი ქვეშეცნეულად ამ-ჟღავნებს სავარაუდო მეტოქის მიმართ, ანდა, უბრალოდ, თავი-სი ახირებული ბუნების მორიგ კაპრიზს აჰყვა, ღვთისმსახურის მიმართ სრულ გულგრილობას ამჟღავნებდა. დედა ძალისძალა-თი ექაჩებოდა კაცს მიახლოებოდა, გოგონა კი უკან-უკან იხევდა და თავის უკმაყოფილებას უცნაური გრიმასებით გამოხატავდა, რომელთა მარაგიც ჯერ კიდევ ჩვილბავშვობიდან ულევად ჰქონ-და – მისი მეტყველი სახე ათასნაირად ისე იმანჭებოდა, რომ წინა მოძრაობას არც ერთხელ არ იმეორებდა. მღვდელი თავს საშინლად უხერხულად გრძნობდა, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ კოცნის თილისმა ბავშვის გულის მოგებაში დაეხმარებოდა – ამ-იტომაც დაიხარა და გოგონას შუბლზე აკოცა. იმავე წამს პერლი დედას დაუსხლტა, ნაკადულთან მიირბინა, ზედ გადაიხარა და შუბლი იქამდე იბანა, ვიდრე უსიამოვნო ნაკოცნი მთლიანად არ წაშალა და გამდინარე წყლის უსასრულო ნაკადს არ შეურია. მერე კი განცალკევებით დადგა და მდუმარედ შესცქეროდა ჰეს-ტერსა და ღვთისმსახურს, რომლებიც საუბრობდნენ და გეგმებს აწყობდნენ, ახალი განზრახვისათვის ხორცი როგორ შეესხათ.

და აი, საბედისწერო შეხვედრაც დასრულდა. ღარტაფი და მის მიჯნაზე მდგარი მუქი, ბებერი ხეები მარტო დარჩნენ, ისინი თავიანთი ათასკეცი ენით დიდხანს იჩურჩულებდნენ აქ მომხ-დარ ამბავზე და ვერც ერთი მოკვდავი ვერ განსჯიდა მათსავით ბრძნულად. და ნაღვლიანი ნაკადულიც იტვირთებდა კიდევ ერთ საიდუმლოს, რომლითაც მისი პატარა გული უკვე დამძიმებუ-ლიყო და რომელსაც ისე ჩართავდა თავის დაუსრულებელ ბუტ-ბუტში, რომ მის საუკუნოვან ნაღველს იოტისოდენა სიხარულიც არ შეემატებოდა.

20. თავგზააბნეული მღვდელი

მღვდელი ჰესტერ პრინსა და პერლზე ადრე გაუდგა გზას. ვიდრე თვალს მოეფარებოდა, მან უკანასკნელად მოიხედა უკან. თითქოს ელოდა, რომ დედა-შვილის ადგილას მხოლოდ მქრქალად მოხაზული კონტურები ანდა აჩრდილებიღა იქნებო-და დარჩენილი და ისინიც ნელ-ნელა შეერეოდნენ ხეებს შორის მოძალებულ ბინდს. ართურ დიმსდეილის გონებას არ შეეძლო, თავს დამტყდარი უზარმაზარი ცვლილება ერთბაშად გაეაზრები-ნა და სინამდვილედ მიეღო. მაგრამ ნაცრისფერწამოსასხამიანი ჰესტერი ჯერ კიდევ იდგა იმ ხის კუნძის გვერდით, რომელიც უხსოვარ დროს რომელიღაც ქარიშხალს წამოექცია და მას შემ-დეგ ხავსით იფარებოდა, რათა ერთ დღესაც ამ ორ ადამიანს, მხრებით სამყაროს უმძიმეს ტვირთს რომ ეზიდებოდა, აქ გვერ-დიგვერდ ჩამოსხდომა და მოსვენებისა და ნუგეშის ერთადერთი საათის გატარება შესძლებოდათ. და იქვე იყო პერლიც, მსუბ-უქად ცეკვავდა ნაკადულის კიდესთან – რაკიღა ის აბეზარი მე-სამე წასულიყო და თავად ჩვეული ადგილი დაეკავებინა დედის გვერდით. ასე რომ, მღვდელს ნამდვილად არ ეძინა და არც სიზმრად ხედავდა მათ.

ამ ბუნდოვანი და ორაზროვანი აკვიატებისაგან რომ გათ-ავისუფლებულიყო, რომელიც უცნაური მშფოთვარებით უღ-

იზიანებდა გონებას, მისტერ დიმსდეილმა დაიწყო ფიქრი და დაწვრილებითი ანალიზი გამგზავრების იმ გეგმებისა, რომლებიც მან და ჰესტერმა დასახეს: შეთანხმდნენ, რომ ძველი სამყარო, თავისი მჭიდროდ დასახლებული ქალაქებით ბევრად უფრო უსაფრთხო თავშესაფრად და სამალავად ექცეოდათ, ვიდრე ახალი ინგლისის უღრანები ანდა თუნდაც მთელი ამერიკა, რომელიც მათ ან ინდიელთა ვიგვამებს სთავაზობდა, ანდა ოკეანის ნაპირებზე მიმოფანტულ ევროპელთა პატარ-პატარა დასახლებებს. რომ აღარაფერი ვთქვათ მღვდლის ჯანმრთელობაზე, რომელსაც ტყეში ცხოვრების სირთულეები მომაკვდინებელ დარტყმას მიაყენებდა, კაცის თანდაყოლილი ნიჭი, კულტურა და მთლიანი განვითარება განაპირობებდა იმას, რომ თავს ბედნიერად მხოლოდ ცივილიზებულსა და დახვეწილ სამყაროში იგრძნობდა. რაც უფრო მაღალგანვითარებული იქნებოდა მისი საცხოვრებელი გარემო, მით უკეთ მოერგებოდა იქაურობას. მათ არჩევანს ბიძგი იმანაც მისცა, რომ იმჟამად სწორედ სრულიად შემთხვევით ნავსადგურში გემი იდგა, ერთ-ერთი იმ საეჭვო კრუიზერთაგანი, რომლის მსგავსსაც იმ ხანებში ხშირად შეხვდებოდით და რომლებიც, მართალია, კანონიერად შესულიყვნენ წყალში, მაგრამ არცთუ დიდი პასუხისმგებლობით მოძრაობდნენ მის ზედაპირზე. ეს ხომალდი ის-ის იყო ჩამოსულიყო ესპანური კოლონიებიდან და სამი დღის შემდეგ გეზს ბრისტოლისკენ იღებდა. ჰესტერ პრინს – რომელიც თვითგამოცხადებული მედდის ამპლუამ დაუახლოვა გემის კაპიტანსა და ეკიპაჟს – შეეძლო საკუთარ თავზე უშიშრად აეღო ორი მგზავრისა და ბავშვის გემზე განთავსება გარანტიით ყველა იმ საიდუმლოს დაცვისა, რომლებიც ამ გარემოებაში მეტად სასურველი იქნებოდა.

მღვდელმა დიდი ინტერესით გამოჰკითხა ჰესტერს, ზუსტად როდის იყო მოსალოდნელი გემის გამგზავრება. სავარაუდოდ, ეს თარიღი ოთხი დღის შემდეგ დგებოდა. „ძალიანაც კარგი!“ –

გულში კმაყოფილებით თქვა მისტერ დიმსდეილმა. გვიჭირს აღიარება იმ მიზეზისა, თუ რატომ იგრძნო მან ასეთი კმაყოფილება. თუმცა, რაკიღა ვცდილობთ მკითხველის თვალს არაფერი დავუმალოთ – გამოგიტყდებით, რომ ზუსტად სამი დღის შემდეგ მღვდელს საარჩევნო ქადაგება უნდა ჩაეტარებინა. და ვინაიდან ამგვარი შემთხვევა დიდ პატივს ანიჭებდა ახალ ინგლისში მოღვაწე ღვთისმსახურს, მას არც კი შეეძლო ეოცნება, რომ უკეთეს დროსა და უკეთეს ნოტზე დაემთავრებინა თავისი პროფესიული მოღვაწეობა. „ბოლოს და ბოლოს, იმას მაინც ვერ იტყვიან, – გაიფიქრა ამ თითით საჩვენებელმა კაცმა, – რომ ჩემი სახალხო მოვალეობა არ შევასრულე ანდა მივაფუჩეჩე!“ მართლაც გულდასაწყვეტია, რომ ის ბასრი და საფუძვლიანი თვითანალიზი, რომელიც საბრალო მღვდელს ახასიათებდა, ასე სავალალოდ მობლაგვდა. ბევრი ცუდი გიამბეთ მასზე და შესაძლოა, უარესი კიდევ წინ გვქონდეს; მაგრამ არც ერთი მათგანი არ ცხადყოფს ასე მის შესაბრალის სისუსტეს. არ არსებობს უკეთესი სამხილი – ერთდროულად ასე სასხვათაშორისოცა და ეჭვმიუტანელიც – იმ ძლივსშესამჩნევი დაავადებისა, რომელსაც უკვე დიდი ხანი იყო, რაც მისი ხასიათის ნამდვილი არსის ამოჭმა დაეწყო. არც ერთ ადამიანს არ შეუძლია დიდი ხნის განმავლობაში ატაროს ერთი სახე თავისთვის, მეორე კი – საზოგადოებისათვის ისე, რომ საბოლოოდ თვითონაც არ აერიოს, რომელი მათგანია ნამდვილი.

იმ ვნებათაღელვამ, რომელსაც მისტერ დიმსდეილი ჰესტერ პრინთან შეხვედრის შემდეგ გრძნობდა, უჩვეულო ფიზიკური ენერგიით აავსო და აჩქარებული ნაბიჯით გაუყენა ქალაქის გზას. ტყის ბილიკი ამჯერად უფრო უღრანი, ბუნებრივი დაბრკოლებებით ჩახერგილი და ადამიანის ნაფეხურებით ნაკლებად გაკვალული ჩანდა, ვიდრე აქეთობისას. მღვდელი აბიჯებდა ლაფიან გუბეებში, ხელის კვრით იშორებდა თავიდან ბუჩქებს, ადი-

ოდა აღმართებზე, ახტებოდა ორმოებს, მოკლედ რომ ვთქვათ, ისეთი მოუღლელი სიმხნევით სძლევდა ყოველგვარ დაბრკოლებას, რაც კი გზაზე ეღობებოდა, რომ თავადაც გაოგნებული დარჩა. აღარ სჯეროდა, რომ სულ ორიოდე დღის წინ რის ვაივაგლახით გადმოლახა ეს ბილიკი, ხშირად-ხშირად ისვენებდა და სულს ძლივს იბრუნებდა. როდესაც ქალაქს მიაღწია, შეამჩნია ის ცვლილებები, რომლებიც ნაცნობი ადგილების უმეტესობას დასტყობოდა. მოეჩვენა, რომ არა გუშინ, არა ერთი და ორი, არამედ მრავალი დღის, მეტიც, წლების წინ ენახა ისინი უკანასკნელად. მართალია, ქუჩებზე გავლებული ბორბლების ნაკვალევი ზუსტად ისეთი იყო, როგორიც მას ახსოვდა და სახლების არცერთი დეტალი – მათი მრავალწვეტურიანი სახურავები და ყველა კუთხეში მიდგმული ფლუგერები – ოდნავადაც არ შეცვლილიყო, მაგრამ მღვდელს მაინც არ შორდებოდა აბეზარი შეგრძნება იმისა, რომ ეს ის ქალაქი აღარ იყო. იმავეს გრძნობდა გზადშემხვედრი ნაცნობებისა და პატარა დასახლების თვალშეჩვეულ მაცხოვრებელთა მიმართაც. არა, ისინი არც მოხუცებულიყვნენ და არც გაახალგაზრდავებულიყვნენ; არც დარბაისლებს გასთეთრებოდათ უფრო წვერი და არც გუშინ მფოფხავ ბავშვებს აედგათ ფეხი; შეუძლებელი იყო ახსნა, თუ რა თვალსაზრისით გარდასახულიყვნენ ის ადამიანები, რომლებსაც მღვდელმა სულ ორიოდე დღის წინ შეავლო გამოსამშვიდობებელი მზერა; და მაინც ართურ დიმსდეილს თავისი ფაქიზი მგრძნობელობა ატყობინებდა მათ უცნაურ სახეცვლილებას. ეს შთაბეჭდილება კი ყველაზე მეტად მაშინ გაუმძაფრდა, როდესაც თავისი ეკლესიის კედლებში შეაბიჯა. ტაძარი გარეგნულად ისე ძალიან უცხო და ამავდროულად ისეთი მშობლიური იყო, რომ მისტერ დიმსდეილს თავში მხოლოდ ორი აზრიღა დარჩენოდა: ან აქამდე ხედავდა მხოლოდ სიზმარში ამ ეკლესიას, ანდა ამწუთას ესიზმრებოდა იგი.

ეს უცნაური ფენომენი და მისი გამოვლინების ყველა ფორმა სინამდვილეში ქალაქის გადასხვაფერებაზე კი არ მიუთითებდა, არამედ იმ უეცარსა და უმნიშვნელოვანეს ცვლილებებზე, რომლებიც ამ ნაცნობ სცენათა მაცქერალის არსებაში მოხდა. ერთმა დღემ მასზე ისე იმოქმედა, თითქოს მრავალი წელიწადი გასულიყოს. ეს გაუცხოება განაპირობა თავად მღვდლისა და ჰესტერის ნებამ და, ასევე, ბედისწერამ, რომელმაც ისინი დააკავშირა. ქალაქი კვლავ უწინდელი ქალაქი იყო, მაგრამ ტყიდან კი სრულიად სახეცვლილი მღვდელი დაბრუნებულიყო. მას შეეძლო მეგობრებისთვის, რომლებიც ესალმებოდნენ, ეთქვა: „მე ის კაცი არა ვარ, თქვენ რომ გგონივართ! ის კაცი ტყეში დავტოვე, საიდუმლო ღარტაფში, ხავსმოდებულ კუნძთან, ნაღვლიანი ნაკადულის პირას. წადით, მოძებნეთ თქვენი მოძღვარი და ნახავთ, თუ მისი გაძვალტყავებული სხეული, მისი ფერმკრთალი ყვრიმალები, მისი თეთრი, მძიმე, ტკივილებით დაღარული შუბლი სადმე იქვე არ იქნება მიყრილი დაძონძილი ტანსაცმელივით!“ მისი მეგობრები, ეჭვი არაა, მაინც დაუჟინებდნენ, ისევ იგივე კაცი ხარო, მაგრამ ეს უკვე მათი შეცდომა იქნებოდა და არა მღვდლისა.

ვიდრე მისტერ დიმსდეილი სახლამდე მიაღწევდა, მის არსებაში ჩაბუდებულმა უცხო კაცმა კიდევ არაერთხელ დაუმტკიცა, რომ ფიქრებისა და შეგრძნებების სფერო ერთიანად ამოჰყირავებოდა. იმპულსები, რომლებიც ახლა ამ უიღბლო და შეცბუნებულ კაცს მართავდა, გამოწვეული იყო მოვლენებით, რომლებიც მისი სულის სამეფოში ძველი დინასტიისა და მორალური კოდექსის დამხობის ტოლფარდი ჩანდა. ყოველ ნაბიჯზე რაღაც ძალა აგულიანებდა, ესა თუ ის უცნაური, ველური, უზნეო საქციელი ჩაედინა, რომელიც ერთსა და იმავე დროს უნებლიეც იქნებოდა და წინასწარგანზრახულიც. თან მისი ნების საწინააღმდეგო და თანაც მართული მისი სულის სიღრმეში მოკალათებული უფრო ძლიერი პიროვნების მიერ, რომელსაც მღვდელი გააფთრებით ებრძოდა. მაგალითად გეტყვით, იგი შეხვდა თავის დიაკვანს.

ეს კეთილი მოხუცი მღვდელს მამობრივი სიყვარულითა და იმ პატრიარქალური თავდაჭერით მიეგება, რომლის უფლებასაც დარბაისლური ასაკი, ღირსეული და წმინდა ხასიათი და საეკლესიო თანამდებობა აძლევდა და რომელიც შერწყმული იყო ღრმა, თაყვანისცემით აღსავე მოწიწებასთან, რომელსაც მღვდლის პროფესიული და პირადი ღირსებები იწვევდა. ეს მისალმება იყო უმშვენიერესი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ხნოვანებისა და სიბრძნის უპირატესობა შეუზავდეს იმ მოწიწებასა და პატივისცემას, რომელსაც უფრო დაბალ სოციალურ საფეხურზე მყოფი და ნაკლები ტალანტით დაჯილდოებული კაცი იჩენს თავისზე აღმატებულის მიმართ. და აი, ამ ორ თუ სამწუთიანი საუბრის განმავლობაში, რომელიც ღირს მამა ართურ დიმსდეილსა და მის შესანიშნავ, მხცით მოსილ დიაკვანს შორის გაიბა, მღვდელმა მხოლოდ ნებისყოფის მომეტებული დაძაბვით მოახერხა, რომ თავი შეეკავებინა და არ ამოეთქვა მკრეხელური ფრაზები, რომლებიც გონებაში თანამოსაუბრის მიმართ უტრიალებდა. მღვდელი, ვიდრე მთელი მონდომებით სდებდა ენას ლაგამს, თავიდან ბოლომდე ცახცახებდა, ფითრდებოდა და თავს ისე იდანაშაულებდა, თითქოს მართლაც წარმოეთქვას ის, რაც ტვინში უფუთფუთებდა. და მაინც, თუმცა გული შიშით უფართხალებდა, ძლივს იკავებდა სიცილს, როცა წარმოიდგენდა, თუ როგორ გააქვავებდა ადგილზე ამ კურთხეულ დარბაისელ დიაკვანს მღვდლის პირიდან გაგონილი მკრეხელობა.

და კიდევ ერთი შემთხვევა ამგვარივე ბუნებისა. ქუჩაში აჩქარებით მიმავალი ღირსი მამა დიმსდეილი თავისი სამწყსოს უხუცეს წევრს გადაეყარა – სამაგალითოდ მორწმუნე მოხუც ქალბატონს; ღარიბს, დაქვრივებულსა და მარტოხელას, რომლის გულიც ისევე იყო ავსებული განსვენებული ქმრის, შვილებისა და უხსოვარ დროს გარდაცვლილი მეგობრების შესახებ მოგონებებით, როგორც სასაფლაოს მიწაა დამძიმებული ერთმანეთის

გულზე დამარხული მიცვალებულებით. თუმცა ყოველივე ეს, გარდა იმისა, რომ ნაღველს ჰგვრიდა, ლამის ზარზეიმულ სიხარულსაც ანიჭებდა მის ხნიერ, ღვთისადმი შეწირულ სულს, რომელიც ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში რელიგიური ნუგეშისცემითა და საღვთო წერილის ჭეშმარიტებით პურდებოდა. მას მერე კი, რაც ამ სულზე ზრუნვა მისტერ დიმსდეილმა იდო კისრად, კეთილი ბებოსთვის უმთავრეს ამქვეყნიურ სიამედ – რომელსაც ჩალის ფასიც არ ექნებოდა, თუკი იმქვეყნიურ სიამეს არ ემსგავსებდა – ერთი რამ იქცა, შემთხვევითი თუ წინასწარგანზრახული შეხვედრა თავის მოძღვართან და ნუგეშისცემა იმ თბილი, სურნელოვანი, ღვთიური სუნთქვით აღსავსე სახარებისეული ჭეშმარიტებებით, რომლებიც მღვდლის სანუკვარი ბაგიდან აღწევდა მის ცოტა არ იყოს და დაჩლუნგებულ, მაგრამ ნეტარების მოლოდინით გაფაციცებულ სმენამდე. თუმცა ამჯერად იმ წუთამდე, ვიდრე ტუჩებს გატრუნული ქალბატონის ყურთან მიიტანდა, მისტერ დიმსდეილს თითქოს სულთა უდიდესმა მტერმა ენა დაუბა – მან ვეღარ გაიხსენა წმინდა წერილის ვეღარც ერთი ნაწყვეტი, გარდა ერთი მოკლე, სხარტი და, როგორც მღვდელს იმ წუთში ეჩვენებოდა, ეჭვშეუვალი ფრაზისა, რომელიც ადამიანის სულის უკვდავების წინააღმდეგ იყო მიმართული. თუკი მოძღვარი ამ ფრაზას ხმამაღლა წარმოთქვამდა, მისი მხცოვანი სულიერი შვილი მაშინვე ისე უსულოდ დაენარცხებოდა მიწას, თითქოს ვინმემ ყურში საწამლავი ჩააყარაო. რა ამოილუღლუღა იმ აკვიატებული ფრაზის სანაცვლოდ, ართურ დიმსდეილმა ვეღარასოდეს გაიხსენა. შესაძლოა, რაღაც იღბლად ისე აერია სიტყვები, რომ კეთილი ქვრივის ცნობიერებამ მათგან დალაგებული აზრის გამოტანა ვერ შეძლო ანდა ღვთის ნებით თავისებურად მოთარგმნა ისინი. დანამდვილებით მხოლოდ იმისი თქმა შეგვიძლია, რომ, როდესაც მღვდელმა უკან მოიხედა, დაინახა ღვთიური მადლიერება და აღფრთოვანება, რომელიც

თვით ზეციური ქალაქის ნათელივით გადაჰფენოდა მოხუცი ქალის დანაოჭებულსა და ჩატეტკილ სახეს.

და კიდევ, მესამეც. მას მერე, რაც მრევლის მოხუც წევრს გამოეთხოვა, ყველაზე ნორჩ სულიერ დას შეეფეთა. ეს იყო ახლადმოქცეული ქალწული, რომელსაც თვით ღირსი მამა დიმსდეილის მიერ მღვიძარების მეორე დღეს ჩატარებულმა ქადაგებამ შთააგონა, რომ ამქვეყნიური წარმავალი სიამენი ზეციურ იმედებზე გაეცვალა, რომლებიც მით უფრო შეიმოსებოდა ნათლით, რაც უფრო მუქი ფერებით შეიბურებოდა გოგონას ამქვეყნიური ცხოვრება და საბოლოო შედეგად სრული წკვარამის მარადიული ნათლით მოვარაყება მოჰყვებოდა. ქალწული მშვენიერი და წმინდა იყო, როგორც სამოთხეში გახარებული შროშანი. მღვდელმა მშვენივრად იცოდა, რომ მისი გულის უმწიკვლო სიწმინდის მიღმა, ქათქათა ფარდებჩამოფარებულ სამალავში, თავად მოძღვრის ხატება ინახებოდა – ქალწულს ღვთის რწმენა სიყვარულის ცეცხლით გაეთბო, ხოლო სიყვარული კი ღვთის რწმენით განეწმინდა. ნამდვილად სატანის ხელი ერია იმაში, რომ საბრალო ნორჩი არსება ამ შუადღისით დედის კალთას ჩამოშორდა და საბედისწეროდ ცდუნებული – თუმცა, რატომ პირდაპირ არ ვიტყვით? – დაკარგული და სასოწარკვეთილი კაცის გზასავალს დაადგა. მოახლოვებული ქალწულის დანახვისას ავმა სულმა მღვდელს ჩააგონა, გოგონას ნაზ მკერდში ჩაეგდო ბოროტების თესლი, რომელიც მალე ავბედითად გაიფურჩქნებოდა და დროთა განმავლობაში შავბნელ ნაყოფსაც გამოისხამდა. იმხელა ძალაუფლებას ფლობდა მასზე მინდობილი ქალწულის სულზე, რომ მოძღვარი მიხვდა, ერთადერთი მაცდური შეხედვაც კი საკმარისი იქნებოდა უმანკოების მინდვრების ასაოხრებლად და ერთი სიტყვაც – წმინდა ფიქრების გასარყვნელად. ამგვარად – იმ ბრძოლის შედეგად, რომლის მსგავსიც ადრე არასოდეს გადაუტანია – მღვდელმა თავისი მანტია სახეზე ჩამოიფარა

და ისეთი აჩქარებით განაგრძო გზა, თითქოს ნორჩი სულიერი შვილი საერთოდაც ვერ იცნო. საბრალო გოგონა კი დიდხანს ინელებდა მის ამ უხეშ საქციელს, დიდხანს იჩხრიკებოდა საკუთარ სინდისში, რომელიც, მსგავსად მისივე ქისისა და ჯიბეებისა, პატარ-პატარა უვნებელი წვრილმანებით იყო სავსე. ბოლოს საბრალო არსებამ საკუთარი თავი ათასგვარ წარმოსახვით ცოდვაში დაადანაშაულა, მეორე დილით კი საოჯახო საქმეებს თვალებდასიებული შეუდგა.

მღვდელს არც კი დასცალდა, უკანასკნელ ცდუნებაზე თავისი გამარჯვება აღენიშნა, რომ მორიგმა ახირებამ წამოუარა, წინანდელზე უფრო სასაცილომ, მაგრამ არანაკლებ საზარელმა. აზრად მოუვიდა – ამაზე საუბარიც კი გვაიძულებს, გავწითლდეთ – რომ უეცრად ქუჩაში მიმავალი მოწყვეტით შეჩერებულიყო და რამდენიმე უწმაწური სიტყვა ესწავლებინა იქვე შექუჩებული პურიტანი ბავშვებისათვის, რომლებსაც ის-ის იყო ენა აედგათ. მოიგერია თუ არა თავისი ანაფორის შეურაცხმყოფელი ეს აზრი, თვალი მოჰკრა მთვრალ მეზღვაურს, ესპანური გემის ეკიპაჟის ერთ-ერთ წევრს. და ყველა სხვა ბოროტ განზრახვასთან ბრძოლაში გამარჯვებულმა საბრალო მისტერ დიმსდეილმა ინატრა, რომ ბოლოს და ბოლოს ხელი მაინც ჩამოერთმია ამ კუპრის სუნით გაჟღენთილი კაცისთვის, თვითონაც გაემეორებინა ის უხამსი ჟესტები, რომლებსაც გარყვნილი მეზღვაურები ყოველ ნაბიჯზე აქეთ-იქით ფანტავენ და გული მოეოხებინა კარგი, გემრიელი, ცხრასართულიანი, შვებისმომგვრელი და ღვთივკურთხეული გინებით! არა იმდენად მორალურმა სიმტკიცემ, არამედ თანდაყოლილმა კარგმა გემოვნებამ და უფრო მეტად კი პატივდებული ღვთისმეტყველის დახვეწილობამ აიძულა იგი, რომ ეს უკანასკნელი საფრთხეც თავიდან აეცილებინა.

– რა ძალაა ეს, უკან რომ დამდევს და წამდაუწუმ მაცდუნებს? – იყვირა მღვდელმა გულში ცოტა ხნის შემდეგ, ქუჩაში შედგა და ორივე ხელი შუბლზე მიიდო, – ნუთუ გავგიჟდი?

ნუთუ მთლიანად დამეპატრონა ეშმაკი? ნუთუ იმ ტყეში შეთანხმება დავდე მასთან და ჩემი სისხლით მოვაწერე ხელი? ახლა კი მთხოვს, რომ პირობა ავუსრულო და ყველა ის სიბილწე ჩავიდინო, რომელიც მის გახრწნილ გონებას აზრად მოუვა?

იმ დროს, როდესაც ღირსი მამა დიმსდეილი ასე თავზე ხელებშემოწყობილი იდგა შუა ქუჩაში და საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, ამბობენ, რომ მას გვერდზე ჩაუარა მოხუცმა მისტრეს ჰიბინსმა, სახელგანთქმულმა კუდიანმა. ქალი მეტისმეტად დიდებულად მორთულიყო: მაღალი თავსაბურავი ეკეთა, ხავერდის მდიდრული ტანსაცმელი ემოსა, ხოლო გოფრირებული საყელო კი იმ ცნობილ ყვითელ სახამებელში ამოევლო, რომლის დამზადების საიდუმლოც თავისმა გულითადმა მეგობარმა, კეთილშობილმა ქალბატონმა ენ ტერნერმა ასწავლა ცოტა ხნით ადრე, ვიდრე სერ თომას ოვერბარის მკვლელობისთვის ჩამოახრჩობდნენ. არ ვიცით, კუდიანმა მღვდლის ფიქრები წაიკითხა თუ რა მოეჩვენა, მოწყვეტით შედგა, კაცს თავისი გამჭრიახი მზერა შეავლო და ცბიერად გაუღიმა, მერე კი – თუმცაღა ღვთისმსახურებთან გამოლაპარაკება დიდად არ სჩვეოდა – საუბარი წამოუწყო:

– აბა, ღირსო მამაო, როგორც ვხედავ, ტყეში გაგისეირნიათ, – შენიშნა კუდიანმა და თავისი მაღალი თავსაბურავი კაცის წინაშე დახარა, – შემდეგ ჯერზე თქვენ მხოლოდ გამაფრთხილეთ და დიდი სიამოვნებით გაგიწევთ მეგზურობას. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ჩემი კეთილი სიტყვა ძალიან შეგეწევათ იმ უცნაური ჯენტლმენის გულის მოსაგებად, რომელიც, როგორც ვატყობ, უკვე თქვენი მბრძანებელიც გამხდარა!

– გეფიცებით, მადამ, – უპასუხა ღვთისმსახურმა და იმგვარი მოწიწებით დაუკრა თავი, როგორსაც ქალის წოდება და თავისი კარგი აღზრდა ავალებდა – გეფიცებით ჩემს სინდისსა და ბუნებას, რომ სრულიად დამაბნია თქვენ მიერ ჩემი მისამართით

გამოთქმული სიტყვების შინაარსმა. ტყეში წყვდიადის მბრძანებლის სანახავად არ წავსულვარ და მართალი რომ გითხრათ, არც მომავალში ვაპირებ თქვენ მიერ ნახსენები არსების გულის მოსაგებად ბრძოლას. ერთადერთი მიზანი, რომელმაც იქ მიმიყვანა, იყო სურვილი მივსალმებოდი ჩემს ღვთივკურთხეულ მეგობარს, წმინდა მამა ელიოტს და მასთან ერთად გამეხარა იმ მრავალი კეთილი სულის გამო, რომლებიც მან წარმართობის უმეცრებისაგან იხსნა.

– ხა, ხა, ხა, – ჩაიკისკისა ბებერმა კუდიანმა და მაღალი თავსაბურავი ისევ დახარა მღვდლის წინაშე, – გასაგებია, გასაგები! დღისით, მზისით ასეც უნდა ვილაპარაკოთ! დახელოვნებული ჩანხართ სიტყვის ბანზე აგდებაში! მაგრამ შუაღამისას ტყის სიღრმეში სულ სხვაგვარ საუბარს გავმართავთ!

ქალი თავისი დარბაისლური დიდებულებით გაშორდა ღვთისმსახურს, მაგრამ ხშირ-ხშირად ატრიალებდა თავს უკან და უღიმოდა მას იმ ადამიანის მსგავსად, რომელთანაც საიდუმლო კავშირსა და სიახლოვეს გრძნობს.

– გამოდის, თავი მიმიყიდია იმ ავსულისათვის, რომელიც, თუკი ადამიანები არ ტყუიან, ამ ყვითელსახამებლიანი და ხავერდიანი ბებერი ჯადოქრის რჩეული უფლისწული და მბრძანებელია, – გაიფიქრა მღვდელმა.

დაწყევლილი მღვდელი! რაც მის თავს ხდებოდა, მართლაც ჰგავდა ეშმაკთან გარიგებას! ბედნიერებაზე ოცნებით თვალებდაბრმავებულმა, ცხოვრებაში პირველად გააკეთა ნებაყოფლობითი არჩევანი მომაკვდინებელი ცოდვის სასარგებლოდ. და აი, ამ ცოდვის შხამი ელვის სისწრაფით გავრცელდა და მთელი მისი ზნეობა შეიწირა. მან დააჩლუნგა მღვდლის ყველა ღვთიური განზრახვა და სანაცვლოდ გამოაცოცხლა ბოროტი თვისებების მთელი თაიგული: ზიზღი, მრისხანება, უმიზეზო მტრობა, ავკაცობის ჩადენის აუხსნელი სურვილი, დამცინავი დამოკიდებულება

სიკეთისა და სიწმინდის მიმართ – ყველაფერი ეს ერთდროულად აცდუნებდა, თუმცაღა, იმავდროულად, აშინებდა კიდეც. და განა მისი შეხვედრაც მოხუც მისტრეს ჰიბინსთან, თუკი ეს ამბავი ნამდვილად მოხდა, არ აჩვენებდა, რომ ის ავსულ მოკვდავთა და გარყვნილ უკვდავთა სამყაროს ბინადრად იქცა?

ამასობაში მიაღწია კიდეც თავის ბინას სასაფლაოს მეზობლად, სწრაფად აირბინა საფეხურები და კაბინეტს მიაშურა. ძალიან უხაროდა, რომ თავშესაფრამდე ისე მივიდა, რომ არც საქვეყნოდ მოუჭრია თავი და არც არაფერი ჩაუდენია იმ ახირებულ და ბოროტ საქციელთაგან, რომელთაკენაც ქუჩაში სიარულისას განუწყვეტლივ უბიძგებდა გული. მღვდელი თავის ოთახში შევიდა და იქაურობა მოათვალიერა: წიგნები, ფანჯრები, ბუხარი, მყუდროდ მოფარდაგული კედლები. ყველაფერი საოცრად ნაცნობი იყო და მაინც იმ უცხოობის შეგრძნებას შეეპყრო, რომელიც ღარტაფიდან აეკიდა და ქალაქის ქუჩებში განუშორებლად თან სდევდა. აქ, ამ ოთახში სწავლობდა და წერდა იგი; აქ გადაჰქონდა მარხვები და მღვიძარებები ცოცხალმკვდარს; აქ ცდილობდა ელოცა, აქ გადაიტანა მილიონობით სატანჯველი! აქ იყო მისი ბიბლია, რომლიდანაც მდიდრული ძველებრაულით ესაუბრებოდნენ მოსე და წინასწარმეტყველები და მათ სიტყვებში თვით ღმერთის ხმა ისმოდა!

აქვე, მაგიდაზე, მოჩანდა დაუსრულებელი ქადაგება და მის გვერდით ჩამოდებული მელანშერჩენილი კალამი. წინადადება შუაში გაწყვეტილიყო იქ, სადაც ორი დღის წინ მღვდლის ფიქრების ნაკადი მიიწრიტა. იცოდა, რომ თავად მან, გაძვალტყავებულმა და ყვრიმალებგათეთრებულმა მღვდელმა, შექმნა და განიცადა ეს ყველაფერი, მანვე დაწერა საარჩევნო ქადაგების ეს ნაწილიც! მაგრამ ახლა თითქოს განზე გამდგარიყო და თავის ძველ მეს დამცინავი, შემბრალე, თუმცაღა შურნარევი ცნობისმოყვარეობით უთვალთვალებდა. ძველი დიმსდეილი

გამქრალიყო. სხვა კაცი გამოსულიყო ტყიდან, უფრო მრავლისმნახველი, იმ დაფარულ საიდუმლოებათა მცოდნე, რომელთაც ძველი მღვდლის მიამიტი გული ვერასოდეს ჩასწვდებოდა! და სულს უმწარებდა ეს ცოდნა!

ვიდრე ის ამ ფიქრებში იყო გართული, კაბინეტის კარზე კაკუნი გაისმა და მღვდელიც გამოეპასუხა, მობრძანდითო, თუმცა დარწმუნებული არ იყო, რომ თვით სატანა არ შემოიპატიჟა. და მართლაც! კაბინეტში მოხუცმა როჯერ ჩილინგუორთმა შემოაბიჯა. მღვდელი, გაფითრებული და ენაჩავარდნილი, იდგა, ცალი ხელი ებრაულ ხელნაწერზე ედო, მეორე – გულზე მიეჭირა.

– მიხარია თქვენი დაბრუნება, ღირსო მამა! – თქვა ექიმმა, – აბა, როგორ არის მოციქულთა სწორი ელიოტი? მაგრამ მგონია, კეთილო სერ, რომ შეუძლოდ უნდა იყოთ. ალბათ, ტყის ულრანებში მოგზაურობამ თქვენს ჯანმრთელობაზე ცუდად იმოქმედა. ჩემი დახმარება ხომ არ დაგჭირდებათ, რომ ცოტა მომაგრდეთ და საარჩევნო ქადაგებისათვის ძალ-ღონე მოიკრიბოთ?

– არა, არა მგონია, – გამოეპასუხა ღირსი მამა, – ჩემს სამუშაო ოთახში ხანგრძლივი განმარტოების შემდეგ მოგზაურობამ, წმინდა კაცთან საუბარმა და სუფთა ჰაერის ჩასუნთქვამ ძალიან მარგო. მგონი, აღარ მჭირდება თქვენი წამლები, ჩემო კეთილო მკურნალო, თუმცა ისინი მარგებელია და მეგობრის ხელითაა შემზადებული.

მთელი ეს დრო როჯერ ჩილინგუორთი მღვდელს იმგვარი დაჟინებული და სერიოზული მზერით ათვალიერებდა, როგორითაც ექიმები შესცქერიან თავიანთ პაციენტებს. მაგრამ, მიუხედავად ამ გარეგნული მზრუნველობისა, მღვდელი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ მოხუცმა კაცმა თუკი დარწმუნებით არ იცოდა, საფუძვლიანი ეჭვი მაინც ჰქონდა მისი და ჰესტერ პრინის შეხვედრის შესახებ. ექიმი კი მიმხვდარიყო, რომ მღ-

ვდელი მას უკვე ერთგულ მეგობრად კი არა, მოსისხლე მტრად მიიჩნევდა. და რაკიღა ორივემ ამდენი იცოდა, ბუნებრივი იქნებოდა, რომ თავიანთი ცოდნა ნაწილობრივ მაინც გამოემჟღავნებინათ. უცნაურია, მაინც ხანდახან რამდენი დრო გადის, ვიდრე მოვლენებს თავიანთი სახელები დაერქმევა. და როგორ სიფრთხილეს იჩენს ორი ადამიანი, რომლებსაც ურჩევნიათ გვერდი აუქციონ სალაპარაკო თემას, როგორ სახიფათოდ მიუახლოვდებიან და მაინც ისე გამოტრიალდებიან უკან, რომ სიტყვასაც არ დასძრავენ მასზე. ამგვარად, მღვდელი დარწმუნებული არ იყო, რომ როჯერ ჩილინგუორთი დაუფარავად შეეხებოდა იმ დამოკიდებულებას, რომელიც მათ შორის სინამდვილეში იყო. თუმცაღა მკურნალი, რომელიც მუდამ შემოვლით გზას ირჩევდა, სახიფათოდ მიუახლოვდა საიდუმლოს.

– და მაინც, ხომ არ აჯობებდა, რომ ამ საღამოს ჩემი უბადრუკი ხელოვნება თქვენს სამსახურში ჩამეყენებინა? – თქვა მან, – ძვირფასო სერ, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ საარჩევნო ქადაგებისას მხნედ და ენერგიულად გამოიყურებოდეთ. ადამიანები ძალიან ბევრს მოელიან თქვენგან, რადგან ჰგონიათ, რომ მალე მოვა ის დრო, როდესაც მათი მოძღვარი შორს გაემგზავრება.

– დიახ, საიქიოში, – მიუგო მღვდელმა ღვთისმოსავის მორჩილებით, – ეგებ ღმერთმა საიქიო ცხოვრება უფრო ბედნიერი მარგუნოს! მართლაც, ვატყობ, რომ მომავალ წელს ჩემი მრევლის გვერდით ვეღარ ვიქნები. მაგრამ თქვენი წამლები კი, კეთილო სერ, იმ მდგომარეობაში, როგორშიც ახლა ვიმყოფები, არ მჭირდება!

– მიხარია ამის გაგონება, – მიუგო მკურნალმა, – შესაძლოა, ჩემმა შემზადებულმა წამლებმა, რომლებიც ამდენ ხანს ვერაფერს გრგებდათ, ახლაღა იმოქმედა. ბედნიერი ვიქნებოდი და მთელი ახალი ინგლისის მადლიერებას დავიმსახურებდი, თუკი თქვენს განკურნებას შევძლებდი.

– მთელი გულით გიხდით მადლობას, ჩემო ყურადღებიანო მეგობარო, – მიუგო ღირსმა მამა დიმსდეილმა ნაღვლიანი ღიმილით, – მადლობას გიხდით და გაფრთხილებთ, რომ მხოლოდ ლოცვით შემიძლია გადაგიხადოთ სამაგიერო ამ სიკეთისთვის.

– კარგი კაცის ლოცვა ძვირფასი გასამრჯელოა! – მიუგო როჯერ ჩილინგუორთმა და წასასვლელად მოემზადა, – დიახ, ის ყველაზე ფასეული ოქროს მონეტაა ახალ იერუსალიმში და ზედ თვით ღმერთის ბეჭედი აზის.

მარტო დარჩენილმა მღვდელმა მოსამსახურე მოიხმო და საჭმელი მოითხოვა, რომელსაც მაშინვე სვავისებური მადით დააცხრა. შემდეგ კი უკვე დაწერილი საარჩევნო ქადაგება ცეცხლში შეურთო და მაშინვე ახლის წერას შეუდგა, რომელსაც ქმნიდა ფიქრებისა და ემოციების იმ მგზნებარე მოზღვავებით, რომელიც შთაგონებად მიიჩნია. და მხოლოდ ისღა უკვირდა, თუ რატომ აირჩია ღმერთმა თავისი წინასწარმეტყველების დიდებული და საზეიმო მუსიკის გადმოსაცემად ისეთი შელახული ორღანი, როგორიც თვითონ იყო. მაგრამ ახლა ამ საიდუმლოს ამოსახსნელად არ ეცალა – იგი ან თავად გამომჟღავნდებოდა, ანდა სამუდამოდ იდუმალებით მოცული დარჩებოდა. მღვდელი კი სულმოუთქმელად და ციებცხელებით შეპყრობილივით განაგრძობდა წერას. ამგვარად ფრთიანი რაშივით ჩაიქროლა ღამემ, რომელსაც მღვდელი თითქოს ზურგზე მოჰქცეოდა და მიაჭენებდა. დადგა დილა, რომელმაც ვარდისფრად შემოაჭყიტა ფარდებს შორის; და ბოლოს მზემ თავისი ოქროსფერი სხივი შემოაგზავნა ფანჯარაში და მღვდელს პირდაპირ თვალებში შეანათა. ის კვლავ იქ იჯდა, კალამი თითებს შორის მოექცია და წინ უამრავი, ურიცხვი ნაწერი ქაღალდი ეწყო.

21. ახალი ინგლისის დღესასწაული

იმ დილით, როდესაც ახალ გუბერნატორს სახალხოდ უნდა გადაებარებინა თავისი თანამდებობა, ჰესტერ პრინი და პატარა პერლი ბაზრის მოედანზე გამოჩნდნენ. იქაურობა უკვე გადაევსოთ ხელოსნებსა და დაბალი ფენის სხვა წარმომადგენლებს. მათ შორის შეამჩნევდით კიდევ უფრო მდაბიური შესახედაობის პირებსაც, რომელთა მხრებზე წამოსხმული ირმის ტყავებიც მიგახვედრებდათ, რომ ეს ადამიანები ბინადრობდნენ ტყის დასახლებებში, ასე მრავლად რომ ესაზღვრებოდა კოლონიის პატარა მეტროპოლიას.

ამ სახალხო დღესასწაულზე ისევე, როგორც ყველგან და ყოველთვის მთელი შვიდი წლის განმავლობაში, ჰესტერ პრინს თალხი ტანსაცმელი ეცვა, რომელიც არამხოლოდ ფერის, არამედ თარგის ენით გამოუთქმელი თავისებურების წყალობით ლამის უჩინმაჩინად აქცევდა თავის მფლობელს, თუმცაღა ქალს მაინც არ ეძლეოდა საშუალება მრუმე ბურუსს შერწყმოდა, რადგან ალისფერი ასო თავისი ბრჭყვიალით ისევ და ისევ აქცევდა საყოველთაო ზნეობრივი განკითხვის ლუკმად. ჰესტერის სახე, ასე კარგად ნაცნობი ქალაქის მკვიდრთათვის, კვლავ იმ მარმარილოსებურ სიმშვიდეს ასხივებდა, რომელსაც ბოსტონელები დიდი ხანია შესჩვეოდნენ. ეს გამომეტყველება ნიღაბს ჰგავდა, უფრო

სწორად კი – გვამის სახეზე შეყინულ უშფოთველობას, რომელიც კიდევ ერთხელ შეახსენებდა ქალაქის მცხოვრებთ, რომ ჰესტერ პრინი სინამდვილეში მკვდარი იყო, რადგან სრულიად გადაწურვოდა იმ სამყაროს თანაგრძნობის ყველა იმედი, რომელშიც ასე თუ ისე ჯერ კიდევ დააბიჯებდა და ამიტომაც უკვე კიდეც განშორებოდა მას.

მაგრამ შესაძლებელი იყო, რომ ჰესტერის სახეზე ჯერაც უხილავი და რასაკვირველია, უცხო თვალისათვის სრულიად მიუწვდომელი ელფერი სწორედ იმ დღეს შეემჩნია რომელიმე ზებუნებრივი ნიჭის მქონე მისანს, რომელიც ჯერ ქალის გულისთქმას წაიკითხავდა და მერე ამოკითხულს მის თვალებში შეამოწმებდა. ასეთი ყოვლისმცოდნე გულთამხილავი ეგებ იმასაც მიმხვდარიყო, რომ მას მერე, რაც შვიდი უბედური წლის განმავლობაში ღვთისგან დაკისრებული გარდაუვალი სასჯელივით უძლებდა ბრბოს მზერას, ქალი ამჟამად თავისუფლად და ნებაყოფლობით იტანდა მას, ვინაიდან, რაც ადრე მხოლოდ ტანჯვა იყო მისთვის, ახლა გამარჯვებად ქცეულიყო. „მიდი, დატკბით, უკანასკნელად უყურებთ ალისფერ დამღასაც და მის პატრონსაც!“ – შეეძლო ეთქვა ხალხისთვის მის მსხვერპლსა და მარადიულ მონას, რადაც ბრბო მიიჩნევდა ჰესტერს, – დიახ, ცოტაც და იგი ხელიდან დაგისხლტებათ! კიდევ რამდენიმე საათიც და ოკეანის ღრმა, საიდუმლოებით მოცულ გულში სამუდამოდ ჩაიმალება და ჩაიმარხება ის სიმბოლო, რომელსაც თქვენი სურვილით მისი მკერდი უნდა ამოეშანთა“. ვერავინ დამაბრალებს ადამიანის ბუნების უცოდინრობას, თუკი ვივარაუდებ, რომ იმ ტკივილთან გამოთხოვებისას, რომელმაც ასეთი ღრმა კვალი დააჩნია მის ყოფას, ჰესტერმა სინანულიც იგრძნო. განა დაუძლეველი სურვილი არ შეიპყრობდა, რომ უკანასკნელი, გრძელი, სუნთქვისშემკვრელი ყლუპი მოესვა აბზინდისა და ალოეს წვენით სავსე ფიალიდან, რომლის არომატიც ლამის მთელი მისი

ქალობის წლებს გასდევდა? სიცოცხლის ღვინო, რომელსაც ამ-
იერიდან ოქროსგან ჩამოსხმული, მოჩუქურთმებული სირჩიდან
დალევდა, აუცილებლად არომატული და გემრიელი იქნებოდა
და სიმხნევით აავსებდა მას – სხვაგვარად ამდენი ხნის გან-
მავლობაში მწარე და მათრობელა ბალღამს დაწაფებული ქალი
სავსებით ხახამშრალი დარჩებოდა.

პერლს მსუბუქი და თვალისმომჭრელი ტანსაცმელი ეცვა.
ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ასეთი მხიარული და მზიანი
არსება ამქვეყნად მოვლინებას გვერდით მდგომ მრუმე და თალხ
ფიგურას უმადლოდა; ძნელი წარმოსადგენი იყო ისიც, რომ იმ
მდიდრულ და დახვეწილ წარმოსახვას, რომელმაც ბავშვის სა-
მოსი შექმნა, გაცილებით მეტი ძალა დაადგა, რომ ჰესტერის
უბრალო, მაგრამ საოცარი ძალით აღბეჭდილი ტანსაცმელი
შეეკერა. კაბა, რომელიც ასე შვენოდა პატარა პერლს, თითქოს
მისი ხასიათის გაგრძელება, ანარეკლი თუ გარეგნული გამოხა-
ტულება იყო, ისევე შერწყმოდა გოგონას ბუნებას, როგორც პე-
პელას ერწყმის მისი ათასფრად მოელვარე ფრთა ანდა კაშკაშა
ყვავილს – ხატულა ფურცელი. როგორც ამ არსებათა შინაგან
ბუნებას გამოხატავს მათი გარეგნული სამოსი, ასევე პერლის
ტანსაცმელი მთლიანად ასახავდა გოგონას არსს. ამ დიდმნიშ-
ვნელოვან დღეს პერლის ქცევაში ის განსაკუთრებული მოუსვენ-
რობა და მღელვარება აირეკლებოდა, რომელიც ყველაზე მეტად
ჰგავს ბრილიანტის ბრწყინვას. სწორედ მფლობელის მკერდზე
მიმაგრებულ ძვირფასი ქვას სჩვევია, რომ ათასგვარ ათინათს
აელვარებდეს და ნაპერწკლებს ისროდეს. გარშემო გამეფებუ-
ლი მღელვარება ბავშვის გულში გამოძახილს მუდამ ჰპოვებს
ხოლმე; ეს განსაკუთრებით მოახლოვებულ უბედურებასა თუ
საბედისწერო სიახლეს ეხება, რაც მის ჩვეულ ოჯახურ გარემოს
ძირფესვიანად გარდაქმნის. და ამიტომაც პერლი, დედის მშფოთ-
ვარე გულზე მიბნეული ბრილიანტი, თავისი ციმციმითა და

ელვარებით გასცემდა საიდუმლოს, რომელსაც ჰესტერის აღუშ-
ფოთებელ მარმარილოსებურ შუბლზე ვერავინ ამოიკითხავდა.

ამგვარად, აღტაცებით შეპყრობილი პერლი კი არ მიაბი-
ჯებდა, ჩიტივით მიფრთხიალებდა დედის გვერდით. შიგადაშიგ
კი ველური, დაუნაწევრებელი და ზოგჯერ გამკივანი ხმაც აღ-
მოხდებოდა ხოლმე. ბაზრის მოედანთან მისულს მოუსვენრობამ
უფრო მძაფრად შემოუტია, რადგან ხალხის ალიაქოთითა და
ფაციფუცით ეს ადგილი, რომელიც სხვა დროს სოფლის ეკლე-
სიის უკაცრიელ ეზოს უფრო მოჰგავდა, ვიდრე – ხალხმრავალი
ქალაქის გულს, განსაკუთრებით გამოცოცხლებულიყო.

– დედა, რა ხდება? – შეჰყვირა პერლმა, – რატომ არავინ
მუშაობს დღეს? ნუთუ მთელი სამყარო თამაშის დღეს ზეიმობს?
შეხედე, აი, შეხედე, მჭედელს ტურტლიანი პირი მოუბანია,
საკვირაო ტანსაცმელში გამოწყობილა და სახეზე ეტყობა, რომ
მხიარულებაზე უარს არ იტყოდა, თუკი ვინმე ასწავლის, გარ-
თობა როგორ უნდა! აი, იქ კი მასტერ ბრეკიტი დგას, ძველი მე-
დილეგე, თავს მიქნევს და მიღიმის. რატომ აკეთებს ამას, დედი?

– სულ პატარა ახსოვხარ, შვილო, – მიუგო ჰესტერმა.

– მერე რა, მაინც არ მინდა, რომ ეს შავი, სასტიკი, თვალ-
ნავსი ბებერი კაცი მიღიმოდეს, – თქვა პერლმა, – თუ უნდა, შენ
დაგიკრას თავი, მაინც რუხი ტანსაცმელი გაცვია და ალისფერი
ასო გაბნევია მკერდზე. შეხედე, დედი, რამდენი უცხო კაცია –
ინდიელებიც აქ არიან და მეზღვაურებიც. რატომ მოვიდნენ აქ,
რა დარჩენიათ ბაზრის მოედანზე?

– მსვლელობას ელოდებიან, – თქვა ჰესტერმა, – მალე
აქ მუსიკის თანხლებით ახალი გუბერნატორი და მსაჯულები
ჩაივლიან, კიდევ მღვდლები და ყველა დიდებული და კეთილი
ადამიანი, ბოლოს კი ჯარისკაცები გამართავენ აღლუმს.

– ჩვენი მღვდელიც მათ შორის იქნება? – იკითხა პერლმა, –
და ისევ ჩამკიდებს ორივე ხელს, როგორც იქ, ნაკადულის პირას?

– აქ იქნება, შვილო, – მიუგო ჰესტერმა, – მაგრამ დღეს არ მოგესალმება და არც შენ უნდა მიესალმო.

– როგორი უცნაური, ნაღვლიანი კაცია, დედა, – თქვა ბავშვმა ისე, თითქოს სანახევროდ საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, – შუაღამის სიბნელეში შეუძლია თავისთან მიგვიხმოს, აი, იმ ფიცარნაგზე ჩვენ შორის დადგებს და ორივეს ხელი მაგრად ჩაგვჭიდოს. ტყის სიღრმეში, სადაც მხოლოდ ხეებს შეუძლიათ ჩვენი საუბრის მოსმენა და ცის ზოლს ჩვენი დანახვა, დახავსებულ კუნძზე შენ გვერდით დაჯდეს და დიდხანს გელაპარაკოს! შუბლზე ისე მაგრად მაკოცოს, რომ ნაკადულის წყლითაც კი ძლივს მოვახერხო მისი ნაკოცნის ჩამობანა! მაგრამ აქ, დღისით, მზისით, სხვა ადამიანების თანდასწრებით ის ჩვენ არ გვიცნობს, და არც ჩვენ უნდა გამოვეცნაუროთ! ძალიან უცნაური, ნაღვლიანი კაცია და ხელიც მუდამ მკერდზე აქვს მიჭერილი!

– გაჩუმდი, პერლ, შენ არაფერი გესმის! – დატუქსა დედამ, – ახლა მღვდელზე კი ნუ ფიქრობ, გარშემო მიმოიხედე, ნახე, როგორი სახეგაბრწყინებული დადის ხალხი! ბავშვები სკოლიდან გაუთავისუფლებიათ, უფროსებს კი სამუშაო ადგილები და მინდვრები მიუტოვებიათ, რათა ერთი დღე მაინც გაატარონ ბედნიერად. დღეიდან მათ ახალი მმართველი ჰყავთ. და ასეთ დროს, მას მერე, რაც პირველი ერი შეიქმნა, ადამიანებს წესად აქვთ, გაერთონ და იმხიარულონ; თითქოს ოქროს ხანა დადგება და სამყაროს ძველი სიბეჩავე დავიწყებას მიეცემა!

მართლაც, ჰესტერის თქმისა არ იყოს, ადამიანების სახეები უჩვეულო მხიარულებას გაებრწყინებინა. წელიწადის ამ დროს, დღესასწაულზე – და ეს დამკვიდრებული ჩვეულება კიდევ ორი საუკუნე გაგრძელდა – პურიტანები სახალხოდ გამოფენდნენ სილაღისა და მხიარულების იმ მცირე მარაგს, რომლის მეშვეობითაც ჯერ კიდევ უხდიდნენ ხარკს ადამიანურ სისუსტეს. მხოლოდ ამ დღეს ჩვეული შავი ღრუბლები მთლიანად იფანტებოდა და

პურიტანები ცოტათი უფრო დაღვრემილები ჩანდნენ, ვიდრე ჩვეულებრივი საზოგადოება ჩანს შავი ჭირის გავრცელებისას.

მაგრამ, მგონი, მე კიდევ უფრო ვამუქებ იმ რუხსა თუ შავბნელ ელფერს, რომელიც, ეჭვი არაა, იმ პერიოდის ადამიანის ხასიათსა და ზნე-ჩვეულებებს ისედაც ედო. მათ, ვინც გუბერნატორის კურთხევისას ბოსტონის ბაზრის მოედანზე იდგნენ, პურიტანული სიმკაცრე ჯერ კიდევ არ გასჯდომოდათ სისხლსა და ხორცში. ისინი მკვიდრი ინგლისელები იყვნენ, ჯერ კიდევ მათი მამები ელისაბედის უხვ და მზიან ეპოქაში ცხოვრობდნენ, როდესაც ინგლისს, მთლიანობაში, ისეთი პომპეზური, დიდებული და მხიარული დღეები ედგა, როგორიც კაცობრიობას მანამდე არ მოსწრებია. წინაპრების გემოვნება რომ გამოჰყოლოდა, ახალი ინგლისის მოსახლეობა ყველა სახალხო ღონისძიებას კოცონებით, ბანკეტებით, ზარ-ზეიმითა და აღლუმებით აღნიშნავდა. ისიც შეიძლებოდა, რომ ამ დიდებულ ცერემონიების მსვლელობისას მხიარული გართობა სიდარბაისლით გაეზავებინათ და ამგვარად, ბრწყინვალე ნაქარგობითა და ფანტასტიკური ორნამენტებით მოერთოთ ის სადღესასწაულო მოსასხამები, რომლებითაც ერი ამგვარი შემთხვევების დროს იმოსება ხოლმე. ამ ღონისძიებაზე, რომლითაც კოლონიის პოლიტიკური ცხოვრების ახალი წლის დადგომას ზეიმობდნენ, თითქოს ცდილობდნენ, რომ გარდასული დიდების აჩრდილი გამოეხმოთ. ეტიკეტი, რომელსაც ჩვენი დიდი პაპები მსაჯულთა ნდობით აღჭურვის ყოველწლიური ცერემონიალისას იცავდნენ, სხვა არაფერი იყო, თუ არა მქრქალი ანარეკლი გარდასული ბრწყინვალებისა, ფერგამკრთალი და გახუნებული აჩრდილი იმისა, რაც ძველ, ამაყ ლონდონში ეხილათ – თანაც არა მეფედ კურთხევის, არამედ ქალაქის მერად წარდგინების ცერემონიალზე. საზოგადოების მამანი და მარჩენალნი – სახელმწიფო მოხელე, მღვდელი თუ ჯარისკაცი – თავიანთ მოვალეობად მიიჩნევდნენ, გარეგნული

პატივითა და დიდებულებით შემოსილიყვნენ, რაც, უძველესი წესის თანახმად, სოციალური და საზოგადოებრივი სტატუსის შესაფერისი ტანსაცმლის ტარებაში გამოიხატებოდა. ასე გამოწყობილნი ერთსულოვნად ჩაივლიდნენ ხალხის წინაშე და ახლად შექმნილ მთავრობას ამგვარად მატებდნენ ესოდენ საჭირო ავტორიტეტს.

გარდა ამისა, ამ დღეს ადამიანებს ნებას რთავდნენ, მეტიც, მოუწოდებდნენ, თავ-თავიანთი ყოველდღიური საქმიანობის იმ მკაცრი რუტინისაგან დაესვენათ, რომელიც სადაგ დღეებში მათთვის რელიგიაზე არანაკლებ წმიდათაწმიდა იყო. სამაგიეროდ, ამ ღონისძიებაზე ვერ იხილავდით ვერც ერთ იმ პოპულარულ გასართობთაგანს, რომლებითაც ასეთი მდიდარი იყო ელისაბეთის ან თუნდაც ჯეიმსისდროინდელი ინგლისი: არანაირი ვულგარული თეატრალური დადგმები; არანაირი მენესტრელი, თავისი ჩანგითა და ლეგენდარული ბალადებით; არც მოხეტიალე მუსიკოსი მოცეკვავე მაიმუნით; არც ჟონგლიორი – თავისი ვითომდა ჯადოქრული ოინებით; არც მხიარული ენდრიუ, რომლის ასწლოვან ხუმრობებზე ბრბო ჯერ კიდევ ხარხარებდა. მხიარულების სხვადასხვა დარგის ამ პროფესორებს ახალ ინგლისში არა მხოლოდ მკაცრი კანონი გარიყავდა, არამედ ის საერთო-სახალხო განწყობაც, რომლის კარნახითაც კანონი იქმნება. და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, დღესასწაულზე შეკრებილი ხალხის დიდებული, პატიოსანი სახე იღიმოდა, მართალია, თავშეკავებით, მაგრამ – ფართოდაც. აქვე იმართებოდა სპორტული შეჯიბრებები, რომლებიც კოლონისტებს ინგლისის სოფლების ბაზრობებსა და მოედნებზე ეხილათ და რომლებიც ახალ მიწაზეც აგრძელებდნენ არსებობას, რადგანაც სიმამაცისა და მამაკაცურობის ნიშნით იყვნენ აღბეჭდილნი. დევონშირული თუ კორნუელური სტილით მოჭიდავეების პაექრობას ბაზრის მოედანზე ხან აქ, ხან კი იქ გადააწყდებოდით. ერთ კუთხეში

ხის კვერთხებით მეგობრული ორთაბრძოლა გაეჩაღებინათ; და ბოლოს, ყველაზე დიდ ყურადღებას ის შეჯიბრება იპყრობდა, რომელიც სწორედ ჩვენ მიერ არაერთხელ ნახსენებ სამარცხვინო ფიცარნაგზე იმართებოდა – საომარი ხელოვნების ორი დიდოსტატი ხმლითა და ფარით იბრძოდა. მაგრამ ბრბოს გულდასაწყვეტად, ეს ორთაბრძოლა ქალაქის სასამართლოს მოხელემ ჩაშალა, რომელსაც გაგონებაც კი არ სურდა იმისა, რომ კანონის უზენაესობა ძალადობრივად სწორედ მისი აღსრულების ადგილას შელახულიყო.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მთლიანობაში ეს ადამიანები (რაკიღა უსიხარულო საზოგადოების სულ პირველი თაობის წარმომადგენლები იყვნენ და შვილები იმ მამებისა, რომლებმაც ერთ დროს კარგად იცოდნენ გართობა) მხიარულებასა და მოლხენაში ტოლს არ დაუდებდნენ თავიანთ შთამომავლებს, თუნდაც ჩვენსავით შორეულებს. მათი შემდეგი თაობა, პირველ ემიგრანტთა შვილებისა, პურიტანიზმის ყველაზე მუქ ელფერს ატარებდა, რამაც ისე ჩააბნელა ერის ხასიათი, რომ დღემდე ვერაფერმა გამოაკეთა. ჩვენ ჯერ კიდევ გასახსენებელი გვაქვს მხიარულების დავიწყებული ხელოვნება.

მიუხედავად იმისა, რომ იქ მყოფ ინგლისელ ემიგრანტთა წყალობით ბაზრის მოედანი ძირითადად ნაცრისფრად, ყავისფრად და შავად მოქუფრულიყო, რამდენიმე მხიარულ ფერს მაინც გამოეცოცხლებინა იქაურობა. ცალკე იდგა ინდიელების ჯგუფი – ველური ხელოვნებით უცნაურად ამოქარგული ირმის ტყავის მანტიებით, მომძივული ქამრებით, წითელ-ყვითელი სვირინგებითა და ბუმბულებით; მშვილდ-ისრითა და ქვისწვეტიანი შუბებით – სახეზე ისეთი ურყევი სერიოზულობა აღბეჭდოდათ, თვით პურიტანთა გამომეტყველებასაც კი გაახუნებდა. და მიუხედავად ყველაფრისა, ეს მოხატული ბარბაროსები სულაც არ ყოფილან თავყრილობის ყველაზე ველური მონაწ-

ილეები. ამ წოდებას დაუყვედრებლად იმსახურებდნენ ჯგუფად თავშეყრილი მეზღვაურები – ესპანური გემის ეკიპაჟის წევრები – რომლებიც ნაპირზე არჩევნების დღის ალიაქოთის სამზერად გადმოსულიყვნენ. ამ ავაზაკებს უხეში, მზით დამწვარი სახეები და უზარმაზარი წვერები ჰქონდათ. მოკლე, ფართო შარვლებზე მაგრად შემოეჭირათ ქამრები, რომელთაც უმეტესად დაუმუშავებელი ოქროს ბალთები უმშვენებდათ; გრძელი დანები, ზოგიერთ შემთხვევაში კი – ხმლებიც, განუშორებლად თან დაჰქონდათ. პალმის ფოთლებისაგან გაკეთებული ფართოფარფლიანი ქუდების ქვემოდან აკვესებდნენ თვალებს, რომელთაგან მხიარულებისა ჟამსაც კი მხეცური მძვინვარება გამოკრთოდა. ისინი ყოველგვარი შიშისა თუ ყოყმანის გარეშე არღვევდნენ დანარჩენ ადამიანთათვის დაკანონებულ ქცევის წესებს; ზედ სამართალდამცავების ცხვირწინ აბოლებდნენ თამბაქოს – თუმცაღა სხვას თითო ნაფაზი თითო შილინგი დაუჯდებოდა; როცა მოეპრიანებოდათ, მაშინ ყლურწავდნენ ღვინოსა თუ „უკვდავების წყალს“ ჯიბის მათარებიდან და მათ გვერდით მდგომ გაოცებისაგან პირდაღებულ ქალაქელებსაც თავხედურად სთავაზობდნენ. ეს ფაქტი აშკარა საბუთია ეპოქის მორალური არასრულფასოვნებისა, რომელიც, მიუხედავად თავისი სიმკაცრისა, მეზღვაურთა კლასს ნებას რთავდა, არა მხოლოდ ხმელეთზე ჩაედინა ათასგვარი სისაძაგლე, არამედ ყველაზე უფრო საზარლად სწორედ ჩვეულ გარემოში – წყლის შუაგულში – მოქცეულიყო. იმ პერიოდის მეზღვაური ახლოს იდგა ჩვენს ცნობიერებაში არსებულ მეკობრის ხატთან. მაგალითად, თითქმის დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს ეკიპაჟი, რომელსაც თუმც ზღვის საძმოთა შორის ყველაზე უარესი ნამდვილად არ ეთქმოდა, დამნაშავე იყო ესპანელ მოვაჭრეთა გაძარცვაში, რისთვისაც, თანამედროვე სასამართლოს წინაშე რომ წარმსდგარიყო, საკუთარი კისრით ზღავდა.

მაგრამ ზღვა იმ ძველ დროს თავის ნებაზე ირწეოდა, ტორტმანებდა, ქაფდებოდა და მხოლოდ იმ მღელვარე ქარებს ემორჩილებოდა, რომელთა მართვაც ადამიანს არ ხელეწიფება. ზღვის ყაჩაღი როცა მოისურვებდა, მაშინ იტყოდა უარს თავის მოწოდებაზე და ხმელეთზე პატიოსან და ღვთისმოსავ კაცად დაბრუნდებოდა. მაშინაც კი, როდესაც მეზღვაური თავზეხელაღებულ ცხოვრებას ეწეოდა, მასთან ვაჭრობა თუ უბრალოდ ურთიერთობა ღირსებას არავის ულახავდა. ამგვარად შავ წამოსასხამებში, გახამებულ ფუშფუშა საყელოებსა და წვეტიან ქუდებში გამოწყობილი მხცოვანი პურიტანები არცთუ არაკეთილმოსურნე ღიმილით უპასუხებდნენ ხოლმე ამ მხიარული ნაოსნების ხმაურიანსა და ხეპრულ ქცევებს. და არც გაკვირვება და არც გაკიცხვა არავის მოსვლია აზრად, როდესაც თვით ისეთი პატივცემული მოქალაქე და ექიმი, როგორიც როჯერ ჩილინგუორთი გახლდათ, ზედ ბაზრის მოედანზე საეჭვო ხომალდის კაპიტანს მიუახლოვდა და გულღია და მეგობრული საუბარი გაუბა.

რამდენადაც კი ადამიანი ტანსაცმლით შეიძლება დაფასდეს, გემის კაპიტანი, ჯერჯერობით მაინც, ყველაზე წარმოსადეგი და თვალშისაცემი კაცი გახლდათ ბაზრის მოედანზე შეკრებილ ბრბოში. სამოსზე უამრავი ბაფთა ებნია, ქუდზე ოქროს სირმა შემოეყოლებინა, რომელიც ოქროსავე ჯაჭვით იყო შემოსაზღვრული და ბუმბულით ბოლოვდებოდა. გვერდზე ხმალი ეკიდა და შუბლზეც ხმლით მიყენებული ჭრილობა ეტყობოდა, რომლის – მისი ვარცხნილობაც ამას მოწმობდა – უფრო გამოჩენა სურდა, ვიდრე დამალვა. მის გარდა, ხმელეთის არც ერთ მკვიდრს არ შერჩებოდა ამგვარი სამოსის ჩაცმა და თავის ასე მედიდურად დაჭერა, მით უმეტეს, ორივე ერთდროულად, რომ მოსამართლეს მკაცრად არ დაეკითხა, არ დაეჯარიმებინა და ეგებ ტუსაღებთან სამარცხვინო ფიცარნაგზე დგომითაც კი დაესაჯა. თუმცაღა გემის კაპიტნისთვის ეს ყველაფერი ისევე ჩვეულებრივი იყო, როგორც თევზისთვის – ლაპლაპა ქერცლი.

მას შემდეგ, რაც ექიმთან საუბარს მორჩა, ბრისტოლში მიმავალი გემის კაპიტანი უმიზნოდ დაყიალებდა ბაზრის მოედანზე, ვიდრე შემთხვევით ჰესტერ პრინის მახლობლად არ აღმოჩნდა. კაცმა ქალი იცნო და დაუყოვნებლივ მისკენ გაეშურა. სადაც არ უნდა მდგარიყო ჰესტერი, თუნდაც მახლობლად ზედახორა ყოფილიყო გამართული, მის გარშემო მუდამ ჩნდებოდა მომცრო სიცარიელე – ერთგვარი ჯადოსნური წრე – და ვერავინ ბედავდა, ამ სივრცეში შეჭრილიყო. ეს გახლდათ გამოვლინება იმ იძულებითი მორალური მარტოსულობისა, რომელშიც ალისფერი დამღა აყენებდა თავის მფლობელს; იგი ნაწილობრივ თავად ჰესტერის თავდაჭერით იყო განპირობებული; ნაწილობრივ კი მისი თანაქალაქელების ძვალსა და რბილში გამჯდარი, თუმცა აღარცთუ ძველებურად ღვარძლიანი განაპირებით. ახლა ეს ყველაფერი, როგორც არასოდეს წინათ, სიკეთის მომტანი იყო, რადგან ჰესტერსა და კაპიტანს საშუალებას აძლევდა თავისუფლად ელაპარაკათ და არამკითხე მოამბეების არ შინებოდათ; თანაც ჰესტერის რეპუტაცია ხალხის თვალში იმდენად შეცვლილიყო, რომ უცხო კაცთან გასაუბრებისთვის იმაზე მეტად არ დაძრახავდნენ, ვიდრე ქალაქის ყველაზე უმწიკვლო სახელის მქონე გათხოვილ ქალს.

– აბა, ქალბატონო, – თქვა კაპიტანმა, – გამყოლს უნდა დავავალო, რომ ერთით მეტი კაიუტა მოამზადოს. ამ მოგზაურობისას ზღვის ავადმყოფობა და სურავანდი ვერ შეგვაშინებს! გემის ექიმისა და ამ მეორე მკურნალის წყალობით საფრთხეს მხოლოდ აბებისა და მალამოებისაგან უნდა ველოდოთ. მით უმეტეს, რომ ჩემი გემი საზღვარგარეთ ნაყიდი ათასნაირი სამედიცინო საშუალებითაა დატვირთული.

– რას გულისხმობთ? – ჰკითხა თვალშისაცემად შეცბუნებულმა ჰესტერმა, – ნუთუ კიდევ ერთი მგზავრი გეყოლებათ?

– როგორ, არ იცოდით? – შეჰყვირა კაპიტანმა, – აი, ის ექიმი, ჩილინგუორთი, როგორც თავის თავს მოიხსენიებს, აპირებს, რომ ჩემი გემის სანოვაგე თქვენთან ერთად გაანადგუროს. აჰ, აჰ, მეგონა იცოდით. მითხრა, რომ თქვენი ჯგუფის წევრია და ახლო მეგობარი იმ ჯენტლმენისა, რომლის შესახებაც მითხარით, აბეზარმა პურიტანულმა წესებმა სიკვდილის პირას მიიყვანაო.

– მართლაც კარგად იცნობენ ერთმანეთს, – მიუგო ჰესტერმა, რომელიც თავზარდაცემულიც კი გარეგნულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა, – დიდი ხანია, ერთ სახლში ცხოვრობენ.

ჰესტერ პრინსა და მეზღვაურს შორის სხვა აღარაფერი თქმულა, მაგრამ ქალმა იმავე წამს ჰკიდა თვალი თავად როჯერ ჩილინგუორთს, რომელიც ბაზრის მოედნის უშორეს კუთხეში იდგა და მას უღიმოდა; და ეს ღიმილი – თუმცა შუაში ფართო და აყაყანებული მოედანი, უამრავი ადამიანის საუბარი თუ სიცილი და ბრბოს ათასგვარი ფიქრი, განწყობილება თუ ინტერესი იდგა – იდუმალ და შიშისმომგვრელ მნიშვნელობას ატარებდა ჰესტერ პრინისათვის.

22. მსვლელობა

ვიდრე ჰესტერ პრინი ფიქრებს თავს მოუყრიდა და გადაწყვეტდა, როგორ გამკლავებოდა მოვლენების ამ უეცარ და არასახარბიელო შემოტრიალებას, მეზობელი ქუჩიდან სამხედრო მუსიკა მოისმა. მისი ხმა სულ უფრო ძლიერდებოდა და ბაზრის მოედანზე შეკრებილებს მიანიშნებდა, რომ მსაჯულებისა და მოქალაქეების მსვლელობა უახლოვდებოდა ეკლესიას, რომელშიც კარგა ხნის წინ დამკვიდრებული და დღემდე შემონახული წესის თანახმად, ღირსი მამა დიმსდეილი საარჩევნო ქადაგებას ჩაატარებდა.

მალე თვით მსვლელობის მეწინავენიც გამოჩნდნენ, დინჯად და პომპეზურად მოაბიჯებდნენ, კუთხეში შემოუხვიეს და ბაზრის მოედნისაკენ გამოემართნენ. ყველაზე წინ მოდიოდა ორკესტრი, რომელიც რამდენიმე, არცთუ ძალიან შეხმატკბილებულ, ინსტრუმენტს აერთიანებდა; არც დამკვრელები გამოირჩეოდნენ დიდი ოსტატობით, მაგრამ იმდენს მაინც ახერხებდნენ, რომ დოლისა და ბუკის ერთობლივ ხმიანობას ხალხზე ჩვეული ზემოქმედება მოეხდინა, ანუ ბრბოსთვის დადგმული საყოფაცხოვრებო სცენებისთვის დიადი და გმირული სულისკვეთება შეემატებინა. პატარა პერლი თავდაპირველად ტაშს უკრავდა, მაგრამ შემდეგ, უეცრად, ის აღმატებული აღფრთოვანება, რომელიც მთელი

დილის განმავლობაში განუწყვეტლივ ეიფორიაში ამყოფებდა, სადღაც გაქრა; გოგონა მდუმარედ იმზირებოდა და ეტყობოდა, რომ მუსიკის დინებამ და ზვირთებმა ქარისგან წაღებული ზღვის ფრინველივით ააფარფატა. თუმცაღა მალევე სამხედრო ასეულის აბჯრის ბრჭყვიალმა და იარაღზე აციმციმებულმა მზის სხივებმა პერლი ისევ ხასიათზე მოიყვანა. ასეული – მსვლელობის საპატიო ყარაული – მუსიკოსების უკან მოაბიჯებდა. ერთ დაქირავებულ მეომარსაც კი ვერ იპოვიდით ჯარისკაცთა ამ გაერთიანებაში, რომელიც ჯერ კიდეც არსებობს და უძველესი და მოწიწებისაღმძვრელი დიდებით შემოსილი, გასული საუკუნეებიდან ფეხშეწყობილი მოაბიჯებს. ამ რაზმის რიგები სავსე იყო მეომრული სულისკვეთებით აღსავსე ჯენტლმენებით, რომელთაც სურდათ „მებრძოლთა კოლეჯი“ დაეარსებინათ, სადაც, ტამპლიერ რაინდთა გაერთიანების მსგავსად, ომის მეცნიერებასა და, რამდენადაც ამის საშუალებას მშვიდობიანი ცხოვრება მისცემდათ, პრაქტიკასაც შეისწავლიდნენ. ასეულის თითოეული წევრის სახეზე აღბეჭდილი მედიდური გამომეტყველება ცხადყოფდა, რომ იმ ეპოქაში სამხედრო პირებს ძალიან აფასებდნენ. რამდენიმე მათგანს ნიდერლანდებსა და ევროპის სხვა ბრძოლის ველებზე სამართლიანად დაემსახურებინა ის ტიტული, რომელიც მეომრის სახელსა და პატივს ანიჭებდა. გარდა ამისა, მთელ რაზმს ემოსა ფოლადის გაპრიალებული ჯავშანი, რომლის ლაპლაპა მორიონებზეც[1] ბუმბულები ირხეოდა და რომლის თვალისმომჭრელ ელვარებასაც ვერც ერთი თანამედროვე აღჭურვილობა ტოლს ვერ დაუდებდა.

და მაინც, წარჩინებული სამოქალაქო პირები, რომლებიც სამხედროთა ესკორტის უკან მოდიოდნენ, უკეთეს სანახაობას სთავაზობდნენ დაკვირვებული ადამიანის თვალს. მათ გარეგნულ თავდაჭერას დიდებულების ისეთი ელფერი ედო, რომ მის

[1] ერთგვარი ესპანური მუზარადი.

ფონზე ჯარისკაცების მედიდურობა ვულგარული, მეტიც, ბრიყვული ჩანდა. იმ ეპოქაში ღირსება, რომელსაც თანამედროვენი ტალანტს ვუწოდებთ, ნაკლებად ფასობდა, მაგრამ უფრო წონიან თვისებებს – გაწონასწორებულობასა და დარბაისლურ ხასიათს – დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. იმ დროს თაობიდან თაობას გადაეცემოდა მოწიწება მამა-პაპათა მიმართ, რომელიც ჩვენს დროში თუ სულ არ გამქრალა, გვარიანად შესუსტდა და საქვეყნო კაცის შერჩევისა და შეფასებისას აღარანაირი მნიშვნელობა აღარ ენიჭება. ძნელი სათქმელია, ამ ცვლილებამ კარგი უფრო მეტი მოგვიტანა თუ ცუდი – ალბათ, ორივე ერთად. იმ ძველ დროში ამერიკის ველური ნაპირების ინგლისელი ახალმოსახლეები, რომელთაც თუმცაღა მეფეც, დიდებულებიცა და მთელი ეს საშინელი სოციალური უთანასწორობაც უკან მოეტოვებინათ, ჯერ კიდევ გრძნობდნენ ძლიერ სურვილსა და საჭიროებას, რომ მოწიწება გამოეჩინათ მის მიმართ, ვისი თმაც ასაკს გაესპეტაკებინა და შუბლი კი ნაოჭებს დაეღარა; ვისი პატიოსნებაც დროს გამოეცადა, ვისაც ეჭვშეუტანელი სიბრძნე მოეხვეჭა და ცხოვრებისეული ქარტეხილები გადაელახა; ვისი უნარიც ყველა ვითარებაში სერიოზული, დამაჯერებელი და მოწესრიგებული დარჩენილიყო, ადამიანებს სტაბილურობის განცდას უღვიძებდა და „პატივსაცემი კაცის“ ცნების ხორცშესხმად წარმოუდგენდა. ეს მოხელეები – ბრედსტრითი, ენდიკოტი, დადლი, ბელინგემი და მათი ამფსონები – რომლებიც ხალხმა კოლონიზაციის პერიოდის პირველ მმართველებად აირჩია, ხშირად განსაკუთრებული ბრწყინვალებით არ გამოირჩეოდნენ და უფრო მოსაწყენი კეთილგონიერება ახასიათებდათ, ვიდრე თავისუფალი აზროვნება, მაგრამ მათ გააჩნდათ სულიერი სიმტკიცე, თავდაჯერება და რთულსა თუ განსაცდელით სავსე დღეებში შტატის კეთილდღეობის დასაცავად ისე აღიმართებოდნენ, როგორც სანაპიროს კლდეები აკავებენ მრისხანე ტალღებს. ხასიათის ზემოაღწერილ

თვისებებს ახალი კოლონიის მსაჯულთა ოთხკუთხედი სახეები და დიდრონი ნაკვთებიც ამჟღავნებდა. იქიდან გამომდინარე, რასაც ამ თანამდებობის პირთა ფიზიონომია გვიჩვენებდა, მათ დედასამშობლოს იმისაც არ შერცხვებოდა, რომ ეს დემოკრატიულად არჩეული წარჩინებულები პერთა პალატაში ანდა მონარქის საიდუმლო საბჭოში ეხილა.

მსაჯულების უკან დაინახავდით ახალგაზრდა და დიდად პატივცემულ ღვთისკაცს, რომლის ბაგეთაგან ხალხი ამ ყოველწლიური მოვლენის აღსანიშნავ რელიგიურ ბრძნადმეტყველებას მოელოდა. იმ ეპოქაში მისი ხელობის კაცისაგან უფრო მეტად ითხოვდნენ გონიერებასა და გამჭრიახობას, ვიდრე პოლიტიკოსებისაგან; რადგან – რომ აღარაფერი ვთქვათ ზეციურ ნაცვალგებაზე – ღვთისმსახურის საქმიანობა არც ამქვეყნიურ ხიბლს იყო მოკლებული, იგი გულისხმობდა საზოგადოების თითქმის თაყვანისცემამდე მისულ მოწიწებას, რომელიც ყველაზე ჭირვეულ პატივმოყვარეობასაც კი დააკმაყოფილებდა. თვით პოლიტიკური ძალაუფლებაც კი – როგორც ეს ინქრის მეთერის[1] შემთხვევაში მოხდა – წარმატებული მღვდლის მუჭში იყო მომწყვდეული.

ყველამ, ვინც მისტერ დიმსდეილს უცქერდა, შეამჩნია, რომ, მას მერე, რაც ახალი ინგლისის მიწას ფეხი დაადგა, მღვდლის სიარულის მანერა თუ სახის გამომეტყველება არასოდეს ყოფილა აღბეჭდილი ისეთი ენერგიულობით, როგორითაც ამ მსვლელობისას. ფეხები ძველებურად აღარ ეკეცებოდა; არც მხრებში მოხრილიყო და არც ავისმომასწავებლად იდებდა ხელს გულთან. და მაინც, თუკი კარგად დააკვირდებოდით, მიხვდებოდით, რომ მისი ძალა სხეულიდან არ მოდიოდა. იგი უფრო სულიერი წარმომავლობისა უნდა ყოფილიყო – ანგელოზთაგან მინიჭებული. შეიძლება მღვდლის სიმხნევე იმ მათრობელა ლიქიორმა გამოიწვია,

[1] პურიტანი მღვდელი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ადრეული პერიოდის მასაჩუსეტსის ყურის კოლონიაზე.

რომელიც მხოლოდ და მხოლოდ გულწრფელი და ხანგრძლივი ფიქრის ცეცხლზე თუ გამოიხდება. შესაძლოა, მისი მგრძნობიარე ტემპერამენტი ხმამაღალმა და გამკივანმა მუსიკამ გამოაცოცხლა, რომელიც თითქოს ზეცამდე აღწევდა და ადამიანის სულსაც თავის ზეატყორცნილ ტალღებში ათამაშებდა. თუმცა მისტერ დიმსდეილის გაფანტული მზერა დაგაეჭვებდათ, რომ მას მუსიკა საერთოდ ესმოდა. აქ იყო მისი სხეული, რომელიც წინ უჩვეულო შემართებით მიიწევდა, მაგრამ გონება საით ფრენდა? მისივე არსების სიღრმეში, და ზებუნებრივი ძალით ცდილობდა მწყობრად დაელაგებინა ის დიდებული ფიქრები, რომლებსაც მალე საქვეყნოდ გამოამზეურებდა; ამიტომაც მღვდელი ვეღარაფერს ხედავდა, აღარაფერი ესმოდა, აღარაფერი იცოდა იმის შესახებ, რაც გარშემო ხდებოდა. რაღაც სულიერ ძალას აეტაცებინა მისი მყიფე სხეული, ტვირთისაგან დაეცალა და თითქოს თავადაც სულად ქცეულს შორს მიაქანებდა. უჩვეულო ჭკუა-გონების პატრონი ადამიანები, რომლებიც ავად ხდებიან, ხანდახან მთელ ძალ-ღონეს მოიკრებენ ხოლმე, რამდენიმე დღის სამყოფ ენერგიას ერთად დახარჯავენ და მერე კარგა ხანს ილაჯგამოცლილნი დადიან.

ჰესტერ პრინი, რომელიც დაჟინებულ მზერას არ აცილებდა ღვთისმსახურს, გრძნობდა, რომ კაცს რაღაც საშინელი მუხტი ამოძრავებდა, თუმცა ჰესტერს ვერ გაეგო, საიდან ან ვისგან მომდინარეობდა იგი. ქალმა მხოლოდ ერთი რამ იცოდა, დიმსდეილი მისი ზეგავლენის სფეროდან გასულიყო და სრულიად მიუწვდომელი გამხდარიყო. ჰესტერი იხსენებდა სუსტად განათებულ ტყეს, პატარა, განმარტოებულ ღარტაფს, და სიყვარულს, და ტანჯვას და ხავსმოდებულ კუნძს, რომელზედაც ხელიხელჩაკიდებულნი ისხდნენ და მათი სევდიანი, მგზნებარე საუბარი ნაკადულის მელანქოლიურ ბუტბუტს ერთვოდა. მაშინ მათ ისე კარგად ესმოდათ ერთმანეთის! ნუთუ ეს იგივე კაცი

იყო? ჰესტერი ძლივსღა სცნობდა მას! მან – ღირსპატივცემული მამების მსვლელობის წევრმა, თავიდან ფეხებამდე მუსიკით გარემოცულმა, ამაყად ჩაუარა გვერდზე ჰესტერს – მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობაზე მეტად გაუცხოებულმა იმ გამოუცნობი ფიქრებით, რომელთაც მთლიანად მოეცვა მისი გონება. ჰესტერს ეჭვი შეუჩნდა, რომ ღვთისმსახურთან სინამდვილეში არაფერი აკავშირებდა და ყველაფერი, რაც მათ შორის იყო, საკუთარმა ოცნებამ წარმოუსახა. და ვინაიდან ჰესტერ პრინის სხეულში ქალი სახლობდა, უჭირდა ეპატიებინა კაცისთვის – ყველაზე მეტად კი ახლა, როდესაც კარსმომდგარი ბედისწერის ფეხისხმა ახლოს, სულ უფრო ახლოს ისმოდა – რომ იგი ასე ერთიანად განუდგა მათ საერთო სამყაროს; ჰესტერი სიბნელეში დაბარბაცებდა და თავის გაყინულ ხელებს მღვდლისკენ იწვდიდა, მაგრამ მას ვერ პოულობდა.

პერლმაც დაინახა და აირეკლა დედის შეგრძნებები ანდა თავადაც შეაცბუნა იმ მიუწვდომლობისა და მიუკარებლობის საბურველმა, რომელშიც მღვდელი გახვეულიყო. ვიდრე მსვლელობა ჩაივლიდა, ბავშვი იმ ჩიტივით მოუსვენრად ფრთხიალებდა, რომელიც სადაცაა ფრთებს გაიქნევს და აფრინდება. როდესაც პროცესიამ ჩაიარა, პერლი დედას ააცქერდა.

– დედა, – თქვა მან, – ეს იგივე მღვდელია, მე რომ ნაკადულთან შუბლზე მაკოცა?

– გაჩუმდი, ჩემო პატარა პერლ, – ჩურჩულით მიუგო ჰესტერმა, – ადამიანმა ბაზრის მოედანზე არ უნდა ისაუბროს იმაზე, რაც ტყეში გადახდა თავს.

– ისეთი სხვანაირი იყო, თვალებს ვერ დავუჯერე, – აგრძელებდა პერლი, – თორემ მივირბენდი მასთან და ყველას თანდასწრებით მოვთხოვდი, რომ კვლავ ეკოცნა ჩემთვის, ზუსტად ისე, როგორც იმ ბებერი ბნელი ხეების ქვეშ. და რას მეტყოდა მოძღვარი, დედა? ნუთუ გულზე ხელს მიიჭერდა, ავ მზერას მტყორცნიდა და დამტუქსავდა, აქედან მოუსვიო?

– ან კი სხვა რა უნდა ეთქვა, პერლ? – უპასუხა დედამ, – გარდა იმისა, რომ ახლა კოცნის დრო არაა და ხალხი ბაზრის მოედანზე არ კოცნის ერთმანეთს. სულელო გოგო, კიდევ კარგი, რომ არ გამოელაპარაკე!

იგივე შეგრძნება მისტერ დიმსდეილის მიმართ კიდევ ერთმა ადამიანმა გამოამჟღავნა, რომელსაც თავისმა ახირებულობამ – ან, უკეთ რომ ვთქვათ, სიგიჟემ – უბიძგა, გაეკეთებინა ის, რასაც ქალაქში ცოტა თუ გაბედავდა: სახალხოდ გამოლაპარაკებოდა ალისფერდამღიან ქალს. ეს გახლდათ მისტრეს ჰიბინსი, რომელიც მსვლელობისათვის თვალის სადევნებლად მთელი დიდებულებით წარსდგა ქალაქის წინაშე – სამმაგი გოფრირებული საყელოთი, ამოქარგული გულისპირით, მდიდრული ხავერდის მოსასხამითა და ოქროსბუნიკიანი ხელჯოხით. რაკიღა ამ უხნეს ქალბატონს სახელი გავარდნოდა (რაც მოგვიანებით სიცოცხლის ფასადაც დაუჯდა), რომ სწორედ ის გახლდათ მთავარი შემოქმედი ქალაქში მომხდარი ყველა ჯადოსნობისა, ბრბომ გზა უტია და მისი სამოსის შეხებასაც კი ერიდებოდა, თითქოს ქალი მშვენიერი კაბის ნაკეცებში ჭირის ბაცილებს მალავდა. როდესაც ხალხმა მისტრეს ჰიბინსი ჰესტერ პრინის გვერდით დაინახა – თუმცაღა ამ უკანასკნელის მიმართ მრავალი იყო კეთილგანწყობილი – ძრწოლა, რომელსაც ჯადოქრის მიმართ განიცდიდა, გაუორმაგდა და ბაზრის მოედნის ის მიდამო, სადაც ეს ორი ქალი იდგა, სასწრაფოდ დაცარიელდა.

– განა მოკვდავის გონებას ამის წარმოდგენა შეუძლია? – გულითადად ჩასჩურჩულა ხნიერმა ქალბატონმა ჰესტერს, – აი, ეს წმინდა კაცი! ადამიანები მას ციდან მოვლენილ ანგელოზად სახავენ და უნდა გამოვტყდე – მართლაც ჰგავს ანგელოზს! განა ვინმეს, ვინც ახლა ამ მსვლელობას ადევნებს თვალს, შეუძლია წარმოიდგინოს, რომ სულ ორიოდე დღის წინ ამ კაცმა თავისი სამლოცველო დაუტევა – თან, დარწმუნებული ვარ, ებრაული

წმინდა წიგნის სიბრძნეს იღეჭებოდა – და ტყეში სუფთა ჰაერის გადასაყლაპავად გაეშურა. აჰა! ჩვენ ხომ მაინც ვიცით, ეს რასაც ნიშნავს, ჰესტერ პრინ! მაგრამ, გეფიცები, მეც კი მიჭირს დავიჯერო, რომ ეს იგივე კაცია! ეკლესიის ბევრ მამას, ახლა რომ მუსიკის თანხლებით აქეთ მოემართება, ჩემ მხარდამხარ უცეკვია ტყეში, როდესაც თვით ეშმაკი უკრავდა ვიოლინოზე, ხოლო ჩვენ გვერდით კი ინდიელი ექიმბაშები თუ ლაპლანდიელი ჯადოსნები ბზრიალებდნენ! თუ ქალი ცხოვრებას იცნობს, ასეთი რამ სულაც არ გაუკვირდება! მაგრამ ეს მღვდელი! განა შენ კი დარწმუნებით შეგიძლია თქვა, ჰესტერ, რომ სწორედ ეს კაცი შემოგხვდა ტყის ბილიკზე სამი დღის წინათ?!

– მადამ, წარმოდგენაც კი არა მაქვს, რაზე მელაპარაკებით! – მიუგო ჰესტერ პრინმა, გრძნობდა, რომ მისტრეს ჰიბინსი მთლად სრულ ჭკუაზე არ იყო; და მაინც უცნაურად შეაცბუნა და მოწიწება აღუძრა იმ გამბედაობამ, რომლითაც ქალმა ამდენ ვინმესთან (მათ შორის, ჰესტერთან) და თვით ეშმაკთან კავშირი აღიარა, – მე რა უფლება მაქვს, უდიერად ვილაპარაკო ისეთ განსწავლულსა და ღვთისმოშიშ კაცზე, როგორიც ღირსი მამა დიმსდეილია!

– ჩუმად, ქალო, გრცხვენოდეს! – დაიძახა მოხუცმა ქალმა და ჰესტერს თითით დაემუქრა, – როგორ გგონია, ამდენჯერ ტყეში ნამყოფს გუმანი არ მეყოფა იმის გამოსაცნობად, თუ კიდევ ვინ შეიძლება დადიოდეს იქ? დიახაც, ყველას ვცნობ, თუნდაც ფოთოლიც კი არ ჰქონდეს შემორჩენილი იმ ველური გვირგვინისა, როკვისას რომ იდგამს ხოლმე თავზე! შენ გცნობ, ჰესტერ, რადგან შენს მკერდზე სიმბოლოს ვხედავ. ყველანი ვუმზერთ მას დღის სინათლეზეც და სიბნელეშიც, როდესაც ცეცხლის ალივით გიელავს მკერდზე. რაკიღა მას სახალხოდ ატარებ, შენ შესახებ კითხვაც კი აღარავის უჩნდება. მაგრამ ეს მღვდელი! მოიწი, ყურში უნდა ჩაგჩურჩულო! როდესაც შავი კაცი ხედავს,

რომ მისი ყურმოჭრილი მსახური, რომელმაც შეთანხმებას ხელი მოაწერა და ბეჭედიც დაუსვა, იმდენად მორცხვია, რომ ეშმაკის დამღას ქვეყნიერებას არ აჩვენებს, ისე ცვლის გარემოებებს, რომ დაფარული საქვეყნოდ გამოაშკარავდეს! რის დამალვას ცდილობს ეს მღვდელი, როდესაც გულზე ხელს იდებს ხოლმე? ჰა, ჰესტერ პრინ?

– მართლაც, რას მალავს, მისტრეს ჰიბინს? – დიდი ინტერესით იკითხა პატარა პერლმა, – გინახავთ ის ოდესმე?

– მაგას მნიშვნელობა არა აქვს, ძვირფასო, – მიუგო მისტრეს ჰიბინსმა და პერლს მდაბლად დაუკრა თავი, – ერთ დღესაც საკუთარი თვალით იხილავ. შენზე ამბობენ, ბავშვო, რომ ჰაერის უფლისწულის შთამომავალი ხარ! არ გინდა, ერთ მშვენიერ ღამეს ჩემთან ერთად წამოხვიდე მამაშენის სანახავად? მაშინ გაიგებ, თუ რატომ იდებს მღვდელი ხელს გულზე გამუდმებით.

ახირებული დედაბრის გამკივანი სიცილი მთელმა ბაზრის მოედანმა გაიგონა, მერე კი მისტრეს ჰიბინსმა გზა გააგრძელა.

ამ დროს ეკლესიაში შესავალი ლოცვა უკვე დასრულდა და გაისმა ხმა ღირსი მამა დიმსდეილისა, რომელიც ქადაგებას იწყებდა. დაუძლეველმა გრძნობამ ჰესტერი ამ ხმისაკენ გაიტყუა. რაკიღა წმინდა ტაძარი ხალხით მეტისმეტად გადავსებულიყო და კიდევ ერთ მსმენელს ვეღარ დაიტევდა, ქალმა სამარცხვინო ბოძის გვერდით დაიკავა ადგილი. აქ ქადაგების სიტყვები გაურკვევლად, ბუნდოვნად აღწევდა და მღვდლის მეტისმეტად სპეციფიკური ტემბრის ხმაც ჩურჩულად ჩაესმოდა.

ისეთი სამეტყველო აპარატი, როგორიც ართურ დიმსდეილს ჰქონდა, უკვე ღვთის დიდი საჩუქარი იყო. მის მსმენელს თუნდაც ერთი ინგლისური სიტყვაც არ სცოდნოდა, მხოლოდ ამ ხმის ტონალობა და რიტმიც კი აიყოლიებდა და ნეტარებით აანანავებდა. როგორც ყველა სხვა მუსიკა, იგიც ვნებითა და პათოსით სუნთქავდა და აღძრავდა ნაზსა და ამაღლებულ

გრძნობებს, რომლებიც ნებისმიერი განათლების მქონე ადამიანის გულს მისთვის გასაგებ ენაზე ეხმიანებოდა. თუმცაღა ეკლესიის კედლებიდან ხმა დახშულად აღწევდა, ჰესტერ პრინი ისეთი გულმოდგინებით უსმენდა და ისეთი სიმძაფრით განიცდიდა მას, თითქოს მღვდლის ქადაგება მისთვის სრულიად სხვა, გაურკვეველ სიტყვებზე გაცილებით მეტი მნიშვნელობისა იყო. სიტყვები უფრო მკაფიოდ რომ გაეგონა, ეგებ ამ ტლანქ შუამავლებს ხელიც კი შეეშალათ ჭეშმარიტი შინაარსის წვდომაში. ახლა ქალის ყურამდე მხოლოდ დაბალი ნახევარტონები აღწევდა, თითქოს ნიავმა მუხლის ჩახრა გადაწყვიტაო; მერე კი ბგერები უეცრად აზვირთდებოდნენ, თანდათან უფრო მომეტებული სიტკბოთი და ძალაუფლებით აღიჭურვებოდნენ და ჰესტერს თავიანთი ძალითა და დიდებულებით მოწიწებას აღუძრავდნენ. და მაინც, როგორი დიდებულიც არ უნდა ყოფილიყო ამ ხმის ჟღერა, ძირითადი კილო, რომელიც მას გასდევდა, ნაღვლით აღბეჭდილიყო. მიუხედავად იმისა, ტკივილი ხმამაღლა იყო გადმოცემული თუ ხმადაბლა, ჩურჩულითა თუ ყვირილით, იგი მთელ ტანჯულ კაცობრიობას ეხმიანებოდა, ყველა გულში გამოძახილს ჰპოვებდა. ხანდახან მხოლოდ ტკივილის მძიმე გმინვაღა ისმოდა – ოდნავი ოხვრით მოისმოდა ეული მდუმარებიდან. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც მღვდელი ხმას მბრძანებლურად იმაღლებდა – როდესაც ეს ხმა დაუცხრომლად ზემოთ და ზემოთ მიიწევდა, თავისი სიღრმისა და ძლიერების ზენიტს აღწევდა და ისე ავსებდა მთელ ტაძარს, თითქოს სადაც იყო მის კედლებს გაარღვევდა და გარეთ გაიჭრებოდა – გულისხმიერ და დაკვირვებულ მსმენელს მაინც ტკივილის გმინვა ესმოდა. რა იყო ეს? ვინ ჩიოდა, ნაღვლით დამძიმებული? დამნაშავე ადამიანი, რომელიც თავის საიდუმლო სადარდებელსა თუ ცოდვას კაცობრიობის მოწყალე გულს ანდობდა, თანაგრძნობასა თუ მიტევებას ევედრებოდა – ყოველ წამს – ყოველი ბგერით და არასოდეს – ამაოდ? სწორედ

ეს უწყვეტი და გულიდან ამოხეთქილი ნახევარტონები ანიჭებდნენ მღვდლის მჭევრმეტყველებას ზემოქმედების განუმეორებელ ძალას.

მთელი ეს დრო ჰესტერი ქანდაკებასავით გაშეშებული იდგა ფიცარნაგის ძირას. თითქოს რომ არა მღვდლის ხმა, გადაულახავი მიზიდულობა მაინც ამ ადგილს მიაჯაჭვავდა, სადაც თავისი შერცხვენილი ცხოვრების პირველი საათი გაატარა. მას უცნაური შეგრძნება დაუფლებოდა – რომელიც მეტისმეტად ბუნდოვანი იყო იმისთვის, რომ ფიქრი დარქმეოდა, მაგრამ მძიმედ კი აწვებოდა ქალის გონებას – რომ სწორედ ამ წერტილში ერთიანდებოდა მისი ამქვეყნიური ყოფის მთელი ციკლი, მისი წარსული და მომავალი.

ამასობაში პატარა პერლი დედას გვერდიდან მოშორებოდა და ბაზრის მოედანზე თავის ნებაზე თამაშობდა. პირქუშ ბრბოს ისე ართობდა გოგონას უცნაური და კაშკაშა ელვარება, როგორც ჩამობურულ ხეს ახალისებს ხოლმე თავისი მოუსვენარი ფრთხიალით ფერადბუმბულიანი ჩიტი, ხან რომ გამოჩნდება და ხანაც ფოთლების ტევრში ჩაიმალება. გოგონას მოუსვენრობას შიგადაშიგ უხეში და უცნაური მოძრაობებიც ცხადყოფდა. პერლის მუდამ მგზნებარე სული დღეს ორმაგად აფორიაქებულიყო, რაკიღა ჰესტერის შფოთვა გადასდებოდა და მოსვენებას არ აძლევდა. როგორც კი გოგონას ცხოველ და მოუსვენარ ცნობისმოყვარეობას ვინმე ან რამე ააღელვებდა, პერლი სასწრაფოდ მისკენ გაეშურებოდა და ხელს ისე წაავლებდა ამა თუ იმ ადამიანს ან ნივთს, თითქოს მისი საკუთრება ყოფილიყო და იმდენ ხანს ატრიალებდა აქეთ-იქით, ვიდრე ბოლომდე არ იჯერებდა გულს მისით. მაგრამ ამ ყველაფრის სანაცვლოდ თავად წუთითაც კი არ თმობდა თავისუფლებას. პურიტანები უცქერდნენ მას და ეღიმებოდათ, თუმცა, ამისდა მიუხედავად, არ უნელდებოდათ სურვილი იმის დაჯერებისა, რომ ეს ბავშვი ეშმას ნაშიერი

იყო და მისი პატარა სხეული სილამაზისა და უჩვეულობის ასეთ ენითაღუწერელ ხიბლს ამიტომაც ასხივებდა. გოგონა გაიქცა და ველური ინდიელის პირდაპირ გაჩერდა; და კაცმა მასში თავისზე მოუთვინიერებელი არსება ამოიცნო. მერე კი თანდაყოლილი გაბედულებით, თუმცაღა მაინც თავშეკავებულად, პერლი მეზღვაურთა ჯგუფის შუაგულში შეიჭრა. ეს კაცები, რომლებიც მზისგან დამწვარი სახეებითა და სიველურით ოკეანეში მცხოვრებ ინდიელებს მოგაგონებდნენ, ისე გაოცებული და აღფრთოვანებული შესცქეროდნენ პერლს, თითქოს ზღვის ქაფის ფანტელი გაცოცხლებულიყო, გოგონას ფორმა მიეღო და ამ სხეულში ჩასახლებულიყო სული ზღვის ცეცხლისა, რომლის ელვარებაც ღამღამობით ხომალდების ქვემოდან გამოკრთის ხოლმე.

ამ წყალში მოხეტიალე კაცთაგან ერთ-ერთი – სწორედ ის გემის კაპიტანი, რომელიც წეღან ჰესტერს გამოელაპარაკა – ისე მონუსხა პერლის გარეგნობამ, რომ გადაწყვიტა დაეჭირა და გულიანად ჩაეკოცნა იგი. მაგრამ მერე, როცა მიხვდა, რომ კოლიბრს უფრო იოლად მოიგდებდა ხელში, ვიდრე – გოგონას, ქუდზე შემოხვეული ოქროს ჯაჭვი მოიხსნა და პერლს ესროლა. ჭინკა-გოგომ საჩუქარი ისეთი ოსტატობით შემოიხვია მაშინვე წელსა და კისერზე, რომ ჯაჭვი წამსვე მისი სხეულის ნაწილად იქცა და ვეღარც კი წარმოიდგენდით, რომ ოდესმე ამ სამკაულის გარეშე იყო.

– შენ ალისფერდამღიანი ქალის შვილი ხარ, არა? – ჰკითხა მეზღვაურმა, – რაღაც რომ დაგაბარო მასთან, გადასცემ?

– გადავცემ, თუ დანაბარები მომეწონება, – მიუგო პერლმა.

– მაშინ გადაეცი, – დააბარა კაპიტანმა, – რომ ისევ ველაპარაკე იმ შავპირა, კუზიან ბებერ ექიმს და მითხრა, რომ თავად წამოიყვანს გემზე თავის მეგობარს, იმ ჯენტლმენს, რომელზედაც დედაშენი მესაუბრა. ასე რომ, დედას ისღა დარჩენია შენსა და საკუთარ თავზე იდარდოს. გადასცემ ჩემს დანაბარებს, შე პატარა ალქაჯო?

– მისტრეს ჰიბინსმა მითხრა, მამაშენი ჰაერის უფლისწულიაო, – მიუგო პერლმა თავისი უცნაური ღიმილით, – თუ კიდევ დამიძახებ ალქაჯს, მამას ვეტყვი და შენს გემს ქარიშხალს დაადევნებს.

პერლმა ზიგზაგურად გადმოირბინა ბაზრის მოედანი, დედასთან დაბრუნდა და მას მეზღვაურის დანაბარები გადასცა. ჰესტერის ძლიერი, მშვიდი, გასაჭირში გაუტეხელი სული ლამის დაიმსხვრა, როდესაც ბნელ და მოქუფრულ თვალებში ჩახედა გარდაუვალ ბედისწერას, რომელიც მაშინვე, როგორც კი მან და მღვდელმა თითქოს იპოვეს ბილიკი, რომლის საშუალებითაც უბედურების ლაბირინთს თავს დააღწევდნენ, მოუღალავად მოღიმარი სახით გადაეღობა მათ გზაზე.

ჰესტერის გონება ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო იმ საშინელი დაბნეულობისაგან, რომელშიც გემის კაპიტნის შემონათვალმა გაახვია, რომ ახალი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. დღესასწაულზე გარშემო სოფლებიდან ჩამოსული ბევრი ადამიანი ირეოდა, რომლებსაც ბევრი სმენოდათ ალისფერი დამღის შესახებ – ათასგვარი გაზვიადებული მონაჭორი მისულიყო მათ ყურამდე, მაგრამ საკუთარი თვალით კი არასოდეს ენახათ ეს უცნაური სიმბოლო. ეს ხალხი, მას მერე, რაც სხვა გასართობებისაგან დაიქანცა, ჰესტერ პრინის გარშემო შეჯგუფდა და უხეში და თავხედური დაჟინებით მიაჩერდა ქალს. მიუხედავად მთელი თავისი მოურიდებლობისა, ბრბო ჰესტერისაგან რამდენიმე იარდის მოშორებით შედგა. იდგნენ ასე საპატიო მანძილით დაშორებულნი, გაშეშებულნი იმ ცენტრიდანული უკუგდების სიმძლავრით, რომელსაც მისტიკური სიმბოლო ასხივებდა. მეზღვაურების ხროვამაც შეამჩნია ალისფერი დამღის გარშემო შემოკრებილი ხალხი, მას მიუახლოვდა და მზისგან დამწვარი, ავაზაკური გამომეტყველების სახეები ბრბოს შეუერთა. თვით ყინულივით ცივი ინდიელებიც კი არ დატოვა გულგრილი თეთრი

ადამიანების ცნობისმოყვარეობამ, შემოჯარულ ხალხს შორის დაძვრებოდნენ და თავიანთი შავი თვალების გველურ მზერას ჰესტერის მკერდს არ აშორებდნენ; შესაძლოა, ვარაუდობდნენ, რომ ეს ნატიფი ხელოვნებით ამოქარგული გულისპირი მისი პატრონის მაღალ საზოგადოებრივ სტატუსზე მიანიშნებდა; და ბოლოს თავად ქალაქის მაცხოვრებლები (სხვების გაფაციცებამ მათაც განუახლა ინტერესი ამ მოყირჭებული ამბის მიმართ) უსაქმოდ დაყიალებდნენ გარშემო და შეჩვეული სირცხვილისაკენ მიმართული ცივი, კარგად ნაცნობი მზერით ყველა დანარჩენზე უფრო მეტად ტანჯავდნენ ჰესტერ პრინს. ჰესტერმა დაინახა და იცნო სახეები ზუსტად იმავე ქალებისა, რომლებიც მას შვიდი წლის წინ ციხის ზღურბლთან ელოდნენ; ყველა აქ იყო, ერთის გარდა – მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა და გულისხმიერი სულ ახლახან გაეხვიათ ჰესტერის შეკერილ სუდარაში. და აი, იმ ბოლო საათებში, როდესაც სადაც იყო, თავიდან უნდა მოეშორებინა მოელვარე დამღა, ბედის ირონიით, იგი კვლავ საერთო ყურადღებისა და მითქმა-მოთქმის შუაგულში მოექცა და ამიტომაც ისე უწვავდა იგი მკერდს, როგორც აღარასოდეს, იმ პირველი დღის შემდეგ.

ვიდრე ჰესტერ პრინი სირცხვილის ჯადოსნურ წრეში იდგა, რომელშიც ეშმაკურად მოფიქრებულმა სასჯელმა თითქოს სამუდამოდ მიუჩინა ადგილი, ხალხის სათაყვანებელი ქადაგი თავისი წმინდა კვარცხლბეკიდან გადმოსცქეროდა თავშეყრილ საზოგადოებას, რომლის ყველაზე ღრმა შინაგანი განცდებიც კი თავისი ნებისათვის დაემორჩილებინა. ეკლესიაში მყოფი კურთხეული ღვთისმსახური! ბაზრის მოედანზე მდგომი ალისფერდამღიანი ქალი! ვის წარმოსახვას ეყოფოდა თავხედობა იმის წარმოსადგენად, რომ ამ ორ ადამიანს ერთი და იგივე გამანადგურებელი სირცხვილი აკავშირებდა?

23. ალისფერი დამღის გამოააშკარავება

ხმა მჭევრმეტყველისა, რომელიც მსმენელთა სულებს აზვირთებულ ტალღასავით მაღლა ტყორცნიდა, ბოლოს და ბოლოს მიჩუმდა. ერთ წუთს ისეთი სამარისებური დუმილი ჩამოწვა, როგორიც ალბათ ორაკულის წინასწარმეტყველებას მოჰყვებოდა ხოლმე. მერე კი სიჩუმე ჩურჩულმა და მოგუდულმა მითქმა-მოთქმამ დაარღვია; მსმენელები საკუთარ თავებს უბრუნდებოდნენ და თუმცაღა განცდილი მოწიწება და გაოცება კვლავაც ამძიმებდათ, თითქოს ფხიზლდებოდნენ ჯადოსაგან, რომელმაც ისინი გონებისმიღმიერ სამყაროში გადატყორცნა. კიდევ ერთი წუთიც და ქადაგების დამსწრეთა ნაკადი ეკლესიის კარს მიაწყდა. ახლა, როცა ღვთისმსახურება განსრულებულიყო, სხვა ჰაერის ჩასუნთქვა სურდათ, რომელიც მქადაგებლის ცეცხლოვანი სიტყვებისა და მისი ფიქრების სურნელებით გაჯერებულ ატმოსფეროს გაფანტავდა და დაეხმარებოდა ადამიანებს, ფეხი მოეკიდებინათ იმ მიწიერსა და ბიწიერ სამყაროში, რომელსაც უბრუნდებოდნენ.

შვებამ, რომელიც სუფთა ჰაერზე გასვლისას იგრძნეს, მრევლს ლაპარაკის საღერღელი აუშალა. ყველგან, ბაზრის მოედანსა თუ ქუჩების კუთხეებში, მღვდლის ქება-დიდება ისმოდა. ქადაგებიდან გამოსული ადამიანები ვერ ისვენებდნენ, რომ

ერთმანეთისთვის არ მოეყოლათ ის, რისი მოყოლაც ადამიანის ძალას აღემატება. ყველა ერთხმად ადასტურებდა, რომ არასოდეს სმენიათ ისეთი ბრძნული, ამაღლებული და ღვთივკურთხეული ქადაგება, როგორიც დღეს მათი მოძღვრის ბაგეებიდან გადმოიღვარა; არასოდეს ზეშთაგონება ასე თვალნათლივ არ გადმომსკდარა მოკვდავის პირიდან. თითქოს მღვდელზე სულიწმინდა გარდმოვლენილიყო, ერთიანად მოეცვა მისი არსება, ეიძულებინა, უარეყო დაწერილი სიტყვა, რომელიც წინ ედო და თავისი ქადაგება ისეთი აზრებით აევსო, რომლებიც თავისი სიახლით აშკარად ქადაგსაც ისევე ახვევდა თავბრუს, როგორც – მის მსმენლებს. ღირსი მამა დიმსდეილის იმდღევანდელი ქადაგების თემა იყო ურთიერთკავშირი მღვდელსა და სამოქალაქო გაერთიანებებს შორის, განსაკუთრებით ეს ეხებოდა ახალ ინგლისს, რომლის ნერგიც მათ ამ ველურ ადგილას ჩაეყარათ. რაც უფრო მეტად უახლოვდებოდა ქადაგების დასკვნით ნაწილს, სულიწმინდა მით უფრო მკვიდრად სახლდებოდა მის სხეულში და ღირსი მამა დიმსდეილის, როგორც ერთ დროს ძველი ისრაელის წინასწარმეტყველების პირით, თავის გაზრახვას ამჟღავნებდა; თუმც იყო განსხვავებაც – ძველებრაელი მამები განკითხვის დღისა და ქვეყნიერების დასასრულის შესახებ იუწყებოდნენ, ღირსი მამა დიმსდეილი კი იმის შესახებ ქადაგებდა, რომ უფალი ბედნიერსა და დიდებულ მომავალს უქადდა ამ ღვთის ხელით შეყრილ ხალხს. მაგრამ მიუხედავად იმედით სავსე სიტყვებისა, მის მჭევრმეტყველებას ღრმა და აშკარად ნაღვლიანი ქვეტექსტი გასდევდა, რომელსაც ხალხი სხვა ახსნას ვერ უძებნიდა, გარდა იმისა, რომ სიცოცხლესთან მოახლოვებული გამოთხოვებით მოგვრილ სევდად მიეჩნია. დიახ, მათი მოძღვარი – რომელიც ასე უყვარდათ და რომელიც თვითონაც იმხელა სიყვარულს მიაგებდა თავის მრევლს, რომ სამოთხეში უშფოთველად ვერ გაემგზავრებოდა – მთელი ტანით გრძნობდა სიკვდილის უდროო მოახლოვებას

და თავის სამწყსოს სულ მალე ააცრემლებდა. შეგრძნება, რომ მოძღვრის დღეები დათვლილი იყო, კიდევ უფრო ამძაფრებდა ქადაგებისაგან მოგვრილ შთაბეჭდილებას. თითქოს ცად მიმავალმა ანგელოზმა ერთ მწუხარებითა და ბრწყინვალებით სავსე წამს ფრთები შეარხია და კაცობრიობას თავს ოქროვან ჭეშმარიტებათა ნაკადი დააფრქვია.

ამგვარად, ღირსი მამა დიმსდეილის ცხოვრებაში დამდგარიყო ის დიდებული და გამარჯვებებით სავსე ხანა, რომელიც ერთ დღესაც თითქმის ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება და რომლის ფასსაც კაცი მხოლოდ გარკვეული დროის გასვლის მერე ხვდება – ამ პერიოდში ადამიანი თავის საქმიანობაში ისეთ სიმაღლეს აღწევს, როგორიც არც მანამდე ღირსებია და არც ამის შემდეგ ეღირსება. ღვთისგან მომადლებულ გონიერებას, საუკეთესო განათლებას, გულშიჩამწვდომ მჭევრმეტყველებასა და უბიწო რეპუტაციას უმაღლეს საფეხურზე აეყვანა ღვთისმსახური ახალი ინგლისისა, სადაც მისი პროფესია ისედაც დიდ პატივს ჰპირდებოდა ახალგაზრდა კაცს. ამგვარი იყო მოძღვრის მდგომარეობა, როდესაც მან საარჩევნო ქადაგების ბოლოს საკურთხევლის წინ შეკრებილებს თავი დაუკრა. ამ დროს კი ჰესტერ პრინი სიცხვილის ფიცარნაგთან იდგა და მკერდს ალისფერი დამღა უწვავდა.

მალე კვლავ გაისმა მუსიკის ჟღრიალი და ეკლესიიდან დაძრული საპატიო ესკორტის ფეხშეწყობილი ბრაგუნი. მსვლელობა ამჯერად ქალაქის მერიისაკენ მიემართებოდა, სადაც იმდღევანდელი ზეიმი დიდებული ბანკეტით უნდა დაგვირგვინებულიყო.

მოწიწებისაგან ათრთოლებული ბრბო შუაზე გაიპო, უკანუკან იწევდა და ფართო გზას აძლევდა ღრმადპატივცემული და დიდებული მამების ამალას: გუბერნატორსა და მსაჯულებს, უხუცესებსა და ბრძენკაცებს, ღვთისმსახურებს – წარჩინებულთა და სახელგანთქმულთა კასტას. როდესაც პროცესია ბაზრის

მოედანს გაუსწორდა, ხალხმა აღტაცების ყიჟინა დასცა. ბრბოს გულიდან ამოხეთქილსა და მგრგვინავ შეძახილებს, ეჭვი არაა, ძალას მატებდა ის ბავშვური ერთგულებაც, რომელსაც იმ პერიოდის შვილები თავიანთი მმართველების მიმართ განიცდიდნენ, მაგრამ ხალხის დაუცხრომელი აღტყინება უმთავრესად მაინც მჭევრმეტყველების იმ მძლავრმა ნაკადმა გამოიწვია, რომელიც წეღან მოისმინეს და რომელიც მათი სულის სიმებს ჯერ კიდევ არხევდა. იმ იმპულსს თითოეული საკუთარი არსებიდანაც იღებდა და გვერდით მდგომისგანაც გადაეცემოდა. გრძნობებმა, რომლებიც მრევლმა ტაძარში ყოფნისას გულში ძლივს ჩაიხშო, ახლა ღია ცის ქვეშ მთელი ძალით ამოხეთქა. ხალხის სიმრავლე და სიმრავლე ამაღლებული, ხმაშეწყობილი განცდებისა საიმისოდ კმაროდა, რომ ორღანის ბგერათა ქარიშხალი, ჭექა-ქუხილის ხმა თუ ზღვის ღრიალი გადაეფარა; ათასი სხვადასხვა ხორხიდან ამომსკდარი ყიჟინა იმ გზნებამ, რომელიც ადამიანთა გულებს აკავშირებს, ერთიან გრგვინვად გადააქცია. არასოდეს ახალი ინგლისის მიწას ასეთი მძლავრი ხმა არ აღმოხდომია. არასოდეს ახალი ინგლისის მიწაზე არ მდგარა თავის თანამოძმეთაგან ესოდენ პატივცემული კაცი, როგორიც იმ წამს ქადაგი იყო!

და მაინც როგორ წარმოჩინდა მღვდელი ასეთ ვითარებაში? ნუთუ თავზე შარავანდედის სხივები არ უელვარებდა? ნუთუ იგი, ისეთი ეთეროვანი სულის პატრონი, ბრბოს თაყვანისცემით აღზევებული, კვლავაც მიწიერ მტვერს ადგამდა ფეხს?

მას მერე, რაც სამხედროებისა და ხალხის მამების წყებამ ჩაიარა, ყველამ მსვლელობის წევრთა შორის გამოჩენილ მღვდელს მიაპყრო მზერა. ადამიანები შესცქეროდნენ მას და აღტყინებულ შეძახილებს თანდათანობით ჩურჩული ცვლიდა. როგორი მოტეხილი და ფერმკრთალი ხვდებოდა თავის ბრწყინვალე გამარჯვებას. ძალა, უფრო სწორად კი, ზეშთაგონება, რომელიც ხალხისთვის გადასაცემ ღვთიურ შეტყობინებასთან ერ-

თად ზეციდან მიეღო და რომელიც ფეხზე დგომას აიძულებდა, მას მერე, რაც თავისი მისია შეასრულა, სრულიად გამოსცლოდა. ჯანსაღი ელფერი, რომელიც წუთის წინ ღაწვებზე უელვარებდა, ფერფლადქცეულ ნაკვერჩხლებს შორის უიმედოდ მინავლული ცეცხლის მსგავსად ჩაჰქრობოდა. სახეზე ისეთი მკვდრისფერი დასდებოდა, ძნელად თუ იფიქრებდით, რომ კვლავ ედგა სული. ძნელად თუ იფიქრებდით, რომ ჯერაც ცოცხალი ეთქმოდა ამ კაცს, რომელიც ასე უგრძნობლად მიბანცალებდა თავის გზაზე, თუმცა მაინც მიბანცალებდა და არ ეცემოდა!

ერთ-ერთმა მისმა სულიერმა ძმამ – პატივცემულმა ჯონ უილსონმა – შეამჩნია, თუ როგორ მდგომარეობაში დაეტოვებინა მისტერ დიმსდეილი გონიერებისა და მგრძნობელობის თავსდამტყდარი ტალღის უკუქცევას და აჩქარებით წინ წავიდა, რათა დახმარება შეეთავაზებინა. მღვდელმა ხელის ცახცახით, თუმცა მტკიცედ მოიშორა მოხუცი კაცი. იგი კვლავ წინ მიიწევდა, უნდა ვთქვათ, რომ მისი მოქმედება ძალიან ჰგავდა პატარა ბავშვის გაუბედავ მცდელობას, დედის გამოწვდილი ხელებისაკენ წაბანცალებულიყო. და აი, თუმცა ბოლო ნაბიჯებს ძლივსღა დგამდა, მაინც მიუახლოვდა ღირსსახსოვარსა და ამინდის ცვალებადობისაგან გაშავებულ სირცხვილის ფიცარნაგს, სადაც დიდი ხნის, მთელი ამ საზარელი ცოდვილი წლების წინ, ჰესტერ პრინი სამყაროს დამამცირებელ მზერას პირისპირ შეეფეთა. სწორედ იქ იდგა ჰესტერი, ხელში პატარა პერლი ეჭირა! ხოლო მკერდზე ალისფერი დამღა ჰქონდა ამოქარგული! მღვდელი აქ შედგა; ორკესტრი ისევ უკრავდა საზეიმო და გამამხნევებელ მარშს და პროცესია კვლავ წინ მიიწევდა, მას მოუხმობდა თავისკენ – დღესასწაულისაკენ – მაგრამ მოძღვარი ფეხს აღარ იცვლიდა.

ბელინგემი ბოლო რამდენიმე წუთის განმავლობაში შეშფოთებულ მზერას არ აცილებდა მისტერ დიმსდეილს. მერე კი

მწკრივს გამოეყო და მისკენ გაემართა, რომ ხელი შეეშველებინა მღვდლისთვის, რაკიღა მისმა შესახედაობამ აფიქრებინა, რომ ღირსი მამა, სადაც იყო, მიწაზე გაიშხლართებოდა. მაგრამ ამ უკანასკნელის გამომეტყველებაში იყო რაღაც ისეთი, რამაც პატივცემულ მსაჯულს უკან დაახევინა, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო ისეთი კაცი, რომელსაც მოყვასისაგან გადმოცემული ორაზროვანი იმპულსი დააბრკოლებდა. ამასობაში ბრბოდ ქცეულ ადამიანთა სახეებს მოწიწება და გაკვირვება ეფინა. მათი გადასახედიდან ეს მიწიერი სისუსტეც კი მღვდლის ღვთაებრივი სიძლიერის მორიგი გამოვლინება იყო; დიდად არც ის გაუკვირდებოდათ, წმინდა ღვთისმსახური მათ თვალწინ რომ ამაღლებულიყო, ერთდროულად ბუნდოვანებითა და ბრწყინვალებით შემოსილიყო და ბოლოს და ბოლოს ღვთიურ ნათელს შერწყმოდა.

ღირსი მამა დიმსდეილი ფიცარნაგისკენ შეტრიალდა და ხელები გაიშვირა.

– ჰესტერ, – თქვა მან, – მოდი აქ! შენც მოდი, ჩემო პატარა პერლ!

მზერა, რომლითაც კაცმა მათ მიმართა, სრულიად უსიცოცხლო იყო, მაგრამ მასში ერთდროულად სინაზე და უცნაური ძლევამოსილება იკითხებოდა. ბავშვი ჩიტივით მიფრთხიალდა მასთან და მუხლებზე მკლავები შემოხვია. ჰესტერ პრინიც – ნელა, თითქოსდა გარდაუვალ ბედისწერას დამორჩილებული და თავისი უძლიერესი სურვილის წინააღმდეგ წასული – კაცისკენ გაემართა, თუმცა, ვიდრე მასთან მივიდოდა, შეჩერდა. ამავე წამს როჯერ ჩილინგუორთმა ბრბოში გზა გამოიკვლია – თუმცა ისეთი ავისმომასწავებელი, შეძრწუნებული და გაბოროტებული გამომეტყველება ჰქონდა, ეგებ ქვესკნელიდანაც კი ამოიჭრა, რათა თავისი მსხვერპლისთვის ჩანაფიქრის შესრულებაში ხელი შეეშალა. ასე იყო თუ ისე, მოხუცი კაცი წამში მღვდელთან გაჩნდა და მკლავით ჩაბღუჯა.

– შესდექ, შე ბნედიანო! რა განგიზრახავს? – ჩაუჩურჩულა მან, – გააბრუნე უკან ეს ქალი! მოიშორე თავიდან ეს ბავშვი! ყველაფერი გამოსწორდება! ნუ გაიშავებ სახელს! ნუ მოიჭრი თავს ამდენი ხალხის წინაშე! ჯერ კიდევ შემიძლია შენი გადარჩენა! ნუთუ შენს წმინდა ხელობას ჩირქი უნდა მოსცხო?

– ჰაჰ, მაცდურო! მგონი, უკვე ძალიან დაგაგვიანდა! – მიუგო მღვდელმა და შეშინებული, მაგრამ მტკიცე მზერა შეაგება, – შენი ძველი ძალა მობლაგვდა! ღვთის წყალობით, მალე ხელიდან დაგისხლტები!

მერე კვლავ ალისფერდამღიანი ქალისაკენ გაიშვირა ხელი.

– ჰესტერ პრინ! – იყვირა მან ხმის მთელი დაძაბვით, – სახელითა მისითა, ვინც ყველაზე შიშისმომგვრელი და ყველაზე გულმოწყალეა, ვინც მომცა ძალა იმისა, რომ უკანასკნელ წუთს გავაკეთო ის, რაც ჩემი მძიმე ცოდვისა და მტანჯველი უბედურების გამო შვიდი წლის წინ ვერ გავბედე, მოდი აქ და შენი ძალა გადმომეცი. შენი ძალა, ჰესტერ; მაგრამ დაე, მას წარმართავდეს ის ნება, რომელიც ღმერთმა მიკარნახა! ეს გამწყრალი და გაწბილებული კაცი მთელი ძალით მიდგას კრიჭაში! მთელი თავისი ძალით და იმითიც, რომელსაც ეშმაკი აძლევს. მოდი, ჰესტერ, მოდი! დამეხმარე ამ ფიცარნაგზე ასვლაში!

ბრბოში აურზაური ატყდა. წარჩინებული და ღირსეული კაცები, რომლებიც ყველაზე ახლოს იდგნენ ღვთისმსახურთან, ისე შეეპყრო გაოცებას და ისეთ საგონებელში ჩაეგდო იმ სანახაობას, რომელსაც ახლა უცქერდნენ, რომ არჩიეს ჩუმ და უძრავ მაყურებლებად დარჩენილიყვნენ განკითხვისა, რომელშიც თვით ღვთის ხელი ერია. მათ არაფრით სურდათ თვალი გაესწორებინათ მოვლენათა ყველაზე ლოგიკური ახსნისთვის, თუმცა სხვაც არაფერი მოსდიოდათ თავში. ბრბო უცქერდა მღვდელს, რომელიც ჰესტერის მხარს ეყრდნობოდა და რომელსაც წელზე შემოხვეული ქალის მკლავი სიარულის ძალას აძლევდა. მღვდელი სირცხვილის ფიცარნაგის კიბეზე ადიოდა, ხელით კი კვლავაც ცოდვის შვილის პატარა ხელს ბღუჯავდა. მოხუცი როჯერ ჩილინგუორთი უკან გაჰყვა მათ, რაკიღა დანაშაულისა და სატანჯველის მთელ ამ დრამაში თავისი როლი ჰქონდა და აქედან გამომდინარე, უფლებაც – ბოლო სცენაში ეთამაშა.

– მთელი დედამიწაც რომ შემოგეარა, ვერსად შეძლებდი ჩემგან თავის დაღწევას, ვერც ერთ გადაკარგულში, ვერც მთასა და ვერც ბარში, გარდა ამ ფიცარნაგისა, – თქვა მან და ღვარძლიანად ჩახედა მღვდელს თვალებში.

– მადლობა უფალს, რომელმაც აქ მოსასვლელი გზა მიჩვენა, – მიუგო მოძღვარმა.

და მაინც, ის ცახცახებდა. როდესაც თავი ჰესტერისაკენ მიატრიალა, მისი სახე და თვალები ყოყმანსა და მღელვარებას გასცემდა, თუმცაღა ბაგეებს სუსტი ღიმილი გადაჰფენოდა.

– განა ეს არ სჯობს იმას, რაზეც ტყეში ვოცნებობდით? – თქვა მან ჩურჩულით.

– არ ვიცი! არ ვიცი! – ნაჩქარევად მიუგო ჰესტერმა, – სჯობს? ჰო, ასე შეიძლება ორივე დავიღუპოთ და პატარა პერლიც – ჩვენთან ერთად!

– შენი და პერლის მომავალი ღვთის ხელშია! – თქვა მღვდელმა, – ღმერთი კი მოწყალეა! ახლა კი უნდა დამეხმარო ავასრულო უზენაესის ნება, რომლის შესახებაც მან ასე გასაგებად მიმანიშნა. ჰესტერ, მე მომაკვდავი კაცი ვარ. ასე რომ, ნება მომეცი, რაც შეიძლება ჩქარა ვიტვირთო საკუთარი სირცხვილი.

ჰესტერ პრინის დახმარებით ისე, რომ პატარა პერლისათვის ხელი წამითაც არ გაუშვია, ღირსი მამა დიმსდეილი ღირსპატივსაცემსა და წარჩინებულ თავკაცებს, წმინდა ღვთისმსახურებს, თავის სულიერ საძმოს, მიუბრუნდა; მიუტრიალდა ხალხს, რომლის დიდი გულიც პირთამდე აევსო შეძრწუნებას, თუმცაღა მისგან ცრემლიანი თანაგრძნობაც იღვრებოდა, რადგან ხვდებოდა,

თუ როგორი მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მოვლენის მოწმე გამხდარიყო. ეს მოვლენა სავსე იყო ცოდვითაც, მაგრამ არანაკლები ტანჯვითა და სინანულითაც. მზე, რომელიც სულ ოდნავ გადახრილიყო შუბის ტარიდან, ზედ დანათოდა ღვთისმსახურს და ამკვეთრებდა მის ფიგურას, რომელიც მთელ სამყაროს განაპირებოდა, რათა სამარადჟამო განსასჯელის კართან თავისი დანაშაული ეტვირთა.

– ახალი ინგლისის მოქალაქენო, – იყვირა მან, ხმა, რომელიც აღმოხდა, მაღალი, ზარზეიმით სავსე და დიდებული გახლდათ, მაგრამ მაინც შიგადაშიგ თრთოლა და ხრინწიც შეჰპარვოდა, რომელიც ცხადყოფდა, რომ მღვდელი სინანულისა და ვარამის უძირო უფსკრულიდან ამოძრომას ცდილობდა, – თქვენ, ვინც შემიყვარეთ! თქვენ, ვინც წმინდანად შემრაცხეთ! მომაპყარით მზერა მე – სამყაროს უდიდეს ცოდვილს! როგორც იქნა! როგორც იქნა, ვდგავარ იქ, სადაც შვიდი წლის წინ უნდა დამეკავებინა ჩემი ადგილი! ვდგავარ იმ ქალთან ერთად, რომლის მკლავმაც მომცა ის მცირეოდენი ძალა, რომელმაც აქამდე მომაღწევინა; რომლის მკლავიც მაკავებს, რომ ამ საშინელ წამს სახით არ ჩავემხო მიწაში თქვენ წინაშე! შეხედეთ იმ ალისფერ დამღას, რომელსაც ჰესტერი ატარებს! თქვენ ყველანი ცახცახებდით მის დანახვაზე. როდესაც ის თქვენ შორის დადიოდა, როდესაც უბედურებით მხრებდამძიმებული ეგებ შვებას ეძიებდა, ამ დამღით ის მხოლოდ ალისფრად მოციმციმე შეძრწუნებასა და საშინელ ზიზღს იმკიდა. მაგრამ თქვენ შორის დადიოდა სხვა ადამიანიც, რომლის შუბლზე აღბეჭდილი ცოდვისა და სირცხვილის დაღს ვერც კი ამჩნევდით.

იმ წუთებში იფიქრებდით, რომ მღვდელი ვერ შეძლებდა ისე დაეტოვებინა ეს სამყარო, რომ საიდუმლოსთვის ფარდა ბოლომდე აეხადა. მაგრამ იგი შეებრძოლა ფიზიკურ უძლურებას და უფრო მეტად კი იმ სისუსტეს, რომელიც მთელი ძალით ცდილობდა მის გულს დაჰპატრონებოდა. ყველანაირ დახმარებაზე უარი თქვა და მგზნებარედ წაიწია ქალისა და ბავშვის წინ.

– ვერც კი ამჩნევდით! – განაგრძო მან ერთგვარი გააფთრებით, რადგან მეტისმეტად მონდომებული იყო, ბოლომდე ამოეღო სათქმელი გულიდან, – მაგრამ ღვთის თვალი მას ხედავდა. ანგელოზები გამუდმებით იშვერდნენ თითს მისკენ! ეშმაკიც ცხადად ამჩნევდა მას და შეხორცებას არ აცდიდა, გამუდმებით ფხეკდა თავისი მწველი თითით! მაგრამ ეს კაცი მოხერხებულად აცურებდა ადამიანებს და მათ შორის ისეთი სახით მიმოდიოდა, თითქოს მისი სული, ასეთი წმინდა, გლოვობდა, რაკიღა ამ ცოდვილ დედამიწაზე უწევდა ბოგინი! და ნაღვლობდა, რაკიღა ენატრებოდა თავისი ზეციური თვისტომნი! და ახლა, სიკვდილის წუთებში იგი თქვენ წინაშე დგას! და გევედრებათ, კიდევ ერთხელ შეხედოთ ჰესტერის მკერდზე ამოქარგულ ალისფერ ასოს! და იგი გეუბნებათ თქვენ, რომ მთელი მისი იდუმალი საზარლობის მიუხედავად, ჰესტერის დამღა მხოლოდ აჩრდილია იმისა, რომელიც მას მკერდით დააქვს და რომელიც, თავის მხრივ, ვერც კი შეედრება მისი გულის სიღრმეში მოგიზგიზე დამღას. დგას ვინმე აქ, თქვენ შორის, ვისაც ეჭვი ეპარება, რომ ცოდვილს ღვთის სამართალი უწევს? უცქირეთ კარგად! შეხედეთ ამის საზარელ დასტურს!

მღვდელმა კონვულსიური მოძრაობით ანაფორის საყელო მკერდამდე ჩამოიხია. და ის გამოჩნდა! თუმცაღა ჩემი მხრიდან ფრიად უადგილო იქნება აღვწერო, რა გამოჩნდა! შეძრწუნებული ბრბოს მზერა ერთი წამით თავზარდამცემ სასწაულს მიეჯაჭვა. მღვდელი კი იდგა და სახეზე ტრიუმფის ალმური ასდიოდა როგორც კაცს, რომელმაც განსაცდელის უმწვავესი ტკივილი გადაიტანა და გამარჯვებული დარჩა. მერე ფიცარნაგზე ჩაიკეცა! ჰესტერმა მღვდელს თავი წამოუწია და გულზე მიისვენა. მოხუცმა როჯერ ჩილინგუორთმა მის გვერდით დაიჩოქა არაფ-

რისმთქმელი, უსიცოცხლო გამომეტყველებით, თითქოს ცხოვრების აზრი ერთიანად გამოსცლოდა.

– ხელიდან დამისხლტი! – რამდენჯერმე გაიმეორა მან, – ხელიდან დამისხლტი!

– ღმერთმა მოგიტევოს! – თქვა მღვდელმა, – შენც მძიმე ცოდვა გაწევს კისერზე!

მან მომაკვდავის ჩამქრალი მზერა მოხუცს მოაშორა და ქალსა და ბავშვს მიაპყრო.

– ჩემო პატარა პერლ, – თქვა მღვდელმა სუსტი ხმით და სახეზე ისეთი თბილი და ალერსიანი ღიმილი გადაეფინა, თითქოს მისმა სულმა სამუდამო სავანე ჰპოვა. თითქოს ახლა, როდესაც ტვირთი მოიშორა, იმდენი სილაღეც აღმოაჩნდა, რომ ბავშვს გასთამაშებოდა, – ძვირფასო პატარა პერლ, ახლა მაინც მაკოცებ? მაშინ ტყეში არ მოინდომე ჩემი კოცნა, მაგრამ ახლა?

პერლი მის ბაგეებს ეამბორა. ჯადო დაიმსხვრა. ის დიადი სცენა მწუხარებისა, რომელშიც ეს ველური გოგონაც იღებდა მონაწილეობას, თავდებად ექცა, რომ ყველას თანაგრძნობას მოიპოვებდა; და მისი ცრემლები, რომლებიც მამის ღაწვებს ეცემოდა, იყო ნიშანი იმისა, რომ ამიერიდან პერლი ადამიანთა მწუხარებასა და სიხარულში გაიზრდებოდა, და კი არ დაუპირისპირდებოდა სამყაროს, არამედ თავადაც მისი ერთ-ერთი შვილი იქნებოდა. და ამიერიდან აღარც დედისთვის იქნებოდა ტანჯვის მომტანი მისი არსებობა.

– ჰესტერ, – მიმართა მღვდელმა, – მშვიდობით!

– ნუთუ ვეღარასოდეს შევხვდებით? – ჩაიჩურჩულა ქალმა და სახეზე სახით მიეკრა, – ნუთუ იმქვეყნიურ ცხოვრებას ერთად არ გავატარებთ? მართლაც, მართლაც, ჩვენ ხომ ამდენი ტანჯვითა და უბედურებით ერთმანეთის დანაშაული გამოვისყიდეთ! შენი მომაკვდავი თვალები მარადისობას გასცქერის! მაშ, მითხარი, რას ხედავ?

– ჩუმად, ჰესტერ, ჩუმად! – პირქუშად მიუგო ათრთოლებულმა კაცმა, – მხოლოდ იმ კანონზე იფიქრე, რომელიც დავარღვიეთ! ცოდვაზე, რომელიც ასე საშინლად გამჟღავნდა! მე მეშინია! მეშინია! შესაძლოა, რომ, როდესაც ღმერთი დავივიწყეთ – როდესაც შევბღალეთ ის სიყვარული, რომელიც ერთმანეთის სულების მიმართ გაგვაჩნდა – მაშინვე დავასამარეთ იმედი, რომ ოდესმე კვლავ შევხვდებით და ჩვენი ერთობა სამუდამო და წმინდა იქნება. ღმერთმა უწყის; და იგი მოწყალეა! თავისი მოწყალება ყველაზე უკეთ მაშინ დამიმტკიცა, როდესაც განსაცდელი მომივლინა. როდესაც მიბოძა ეს მწველი ტანჯვა, რომელიც საკუთარი მკერდით უნდა მეტარებინა! როდესაც გამომიგზავნა ეს გულშავი და სასტიკი მოხუცი კაცი, რათა ჩემს ჭრილობას არასოდეს შეეკრა პირი! როდესაც მომიყვანა აქ, რათა ხალხის თვალწინ ზარზეიმულ სირცხვილში ამომხდომოდა სული! რომელიმე მაინც რომ დამკლებოდა ამ განსაცდელთაგან, ჩემს სულს ვეღარაფერი უშველიდა! იდიდოს მისი სახელი! აღსრულდეს ნება მისი! მშვიდობით!

ეს უკანასკნელი სიტყვა მღვდელმა ამომავალ სულს ამოაყოლა. აქამდე დადუმებულ ბრბოს მოწიწებისა და გაოცების გამომხატველი ხმები აღმოხდა – გარნა რამე სხვა, მხოლოდ ჩურჩული, რომელმაც მღვდლის სხეულთან ახლადგაყრილ სულს მძიმედ გადაუარა.

24. დასასრული

რამდენიმე დღე საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ თვითმხილველებს ნანახიდან დასკვნები გამოეტანათ და სხვადასხვა აზრი წარმოქმნილიყო იმის შესახებ, რაც სირცხვილის ფიცარნაგზე იხილეს.

სანახაობის მომსწრეთა უმრავლესობა ირწმუნებოდა, რომ ბედნავსი მღვდლის მკერდზე ალისფერი ასო იხილა – ალი და კვალი იმისა, როგორსაც ჰესტერ პრინი ატარებდა – ოღონდ ზედ ხორცზე ამოკვეთილი. მის წარმოშობას ათასნაირად ხსნიდნენ, თუმცაღა, ყველა ეს ახსნა, რასაკვირველია, მხოლოდ და მხოლოდ მთქმელის ვარაუდს გამოხატავდა. ზოგიერთი თვითმხილველი ამტკიცებდა, რომ ღირსმა მამა დიმსდეილმა სწორედ იმ დღეს, როდესაც ჰესტერ პრინმა თავისი სირცხვილის დამღა ამოიქარგა გულისპირზე, თვითგვემის ხანგრძლივი პროცესი წამოიწყო – რომელსაც მომდევნო ხანებშიც ათასგვარი მტანჯველი მეთოდით აგრძელებდა – და ჩუმად ისჯიდა თავს. სხვები ეწინააღმდეგებოდნენ, რომ ეს დამღა კარგა ხნის შემდეგ გაჩნდა და იგი ძლევამოსილმა ჯადოქარმა როჯერ ჩილინგუორთმა თავისი ჯადოსნობისა და შხამიანი ბალახბულახების მეშვეობით ამოკვეთა. იყვნენ სხვებიც, რომლებიც ყველაზე უკეთ აფასებდნენ მღვდლის არაჩვეულებრივ მგრძნობიარობას

და მის ღირსშესანიშნავ უნარს, სხეულზე სული გაებატონებინა – ისინი ჩურჩულით ამხელდნენ თავიანთ ვარაუდს, რომ ეს საზარელი სიმბოლო სინანულმა გააჩინა, რომლის ულმობელი კბილიც შიგნიდან ღრღნიდა მღვდლის გულს და ბოლოს და ბოლოს ღვთის ნება ამგვარად გამოუსახა მკერდზე. მკითხველს შეუძლია, თავად ამოირჩიოს ყველაზე დამაჯერებელი ამ მოსაზრებებს შორის. მე კი ძალა და ღონე არ დამიშურებია, რათა ნათელი მომეფინა ამ სიმბოლოსათვის და ახლა, როდესაც მან უკვე თავისი საქმე გააკეთა, სიამოვნებით ამოვშლი ჩემი გონებიდან მისგან დამჩნეულ ღრმა ნაკვალევს, რომელიც მეტისმეტად აბეზარი სიცხადით აღმებეჭდა.

თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ადამიანმა, რომლებიც მთელ ამ სცენას შეესწრნენ და ირწმუნებოდნენ, რომ ერთი წამიც არ მოუშორებიათ თვალი ღირსი მამა დიმსდეილისათვის, განაცხადა, თითქოს მის მკერდზე არაფერი იყო ისეთი, რასაც ახალშობილის კანს ვერ შეამჩნევთ. მათ ასევე ისიც თქვეს, რომ მომაკვდავის უკანასკნელი სიტყვები არათუ აღიარებდა, არამედ იოტისოდენა კავშირსაც არ მიანიშნებდა ცოდვასთან, რომლის გამოც ჰესტერ პრინი ამდენი ხნის განმავლობაში ალისფერ დამღას ატარებდა. ამ ღრმად პატივცემული მოწმეების ნაამბობის თანახმად, მღვდელს, რომელიც აცნობიერებდა, რომ სიკვდილის პირას იყო და აცნობიერებდა იმასაც, რომ საერთო სახალხო თაყვანისცემას წმიდათა და ანგელოზთა თანა შეერაცხა, სურდა, რომ საკუთარი სიცოცხლის ამ ცოდვილი ქალის მკლავებში დასრულებით ყველასთვის ეჩვენებინა, როგორი მყიფეა ადამიანთა წარმოდგენა უცოდველობის შესახებ. მას მერე, რაც მთელი ცხოვრება მუხლჩაუხრელად იღვაწა კაცობრიობის სულიერი სიკეთისათვის, მან სიკვდილიც არაკად აქცია და თავის მიმდევრებს ძლევამოსილი და სევდისმომგვრელი სიმართლე დაანახვა: მის თვალში, ვინც სრულყოფილად წმინდაა, ყველა

ერთნაირად ცოდვილი ვართ. ასწავლა მათ, რომ თვით ყველაზე უმანკოც კაცთა შორის მხოლოდ ერთი რამით აღემატება თავის მოყვასთ: შეუძლია უკეთ შეიცნოს გულმოწყალება იმისა, ვინც ზევიდან დაგვყურებს და შორს დაიჭიროს მოჩვენებითი ადამიანური სიკეთე, რომელიც ასე მიელტვის ზეცას. მე არ ავყვები ეგზომ რთულ ფილოსოფიურ კამათს და მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მისტერ დიმსდეილის ამბის ეს უკანასკნელი ვერსია ერთადერთ რამეს თუ ამტკიცებს: ის ჯიუტი ერთგულება, რომელსაც მეგობრები – და განსაკუთრებით, ღვთისმსახურის მეგობრები – იჩენენ, ხანდახან სინდისის მოწმენდას ემსგავსება კაცისთვის, რომლის ყალბ და ცოდვით დაღდასმულ მიწიერ არსებობას უტყუარი სამხილი მოწმობს – შუადღის მზის სხივებზე აელვარებული ალისფერი დამღა.

წყარო, რომელსაც ამ ამბის თხრობისას ძირითადად ვეყრდნობოდი – ძველი დროის ხელნაწერი, დაფუძნებული რამდენიმე ადამიანის მონათხრობზე, რომელთაგანაც ზოგი პირადად იცნობდა ჰესტერ პრინს, სხვებს კი მის თანამედროვეთაგან სმენოდათ ალისფერი დამღის შესახებ – სრულიად ამართლებს ჩემს ყველა დასკვნას, რომლებიც თქვენ წინაშეა გამოთქმული. საბრალო მღვდლის ავბედითი ისტორიისაგან მრავალი ჭკუის სასწავლი გაკვეთილის მიღება შეგვიძლია, რომელთაგანაც ჩვენ ერთს მივანიჭებთ უპირატესობას: „იყავი მართალი! იყავი მართალი! იყავი მართალი! და თუ შენს ყველაზე დიდ ცოდვას არ აღიარებ, სამყაროს ის ნაკლი მაინც უჩვენე, რომელიც შენი ცოდვის ბუნებაზე მიანიშნებს“.

ღირსი მამა დიმსდეილის გარდაცვალების შემდეგ ყველაზე თვალშისაცემი ცვლილება განიცადა გარეგნობამ და ქცევამ იმ კაცისა, რომელსაც ხალხი როჯერ ჩილინგუორთის სახელით იცნობდა. მთელი ძალა და ენერგია – სიცოცხლისუნარიანობაცა და ჭკუა-გონებაც – თითქოს ერთბაშად გამოეცალა; ერთიანად

ჩამოდნა, ზეზეურად დაჭკნა და თითქმის სულ გაქრა ადამიანთა თვალთახედვიდან – ფესვებიანად ამოგლეჯილ სარეველას დაემსგავსა, მზეზე რომ ხმება. ამ უბედურმა კაცმა თავისი ცხოვრების მთავარ ამოცანად შურისძიებისაკენ სწაფვა დაისახა და გამუდმებით მას მიელტვოდა. და როდესაც ბოროტი მიზანი აღასრულა და წარმატებითაც დააგვირგვინა, ცხოვრების აზრი დაკარგა – სხვანაირად რომ ვთქვათ, რაკიღა დედამიწაზე სატანის დავალება შესასრულებელი აღარ დარჩა, ამ სულამოცლილ მოკვდავს ისღა დარჩა, იქ გადაბარგებულიყო, სადაც მეტ საშსახურს გაუწევდა თავის ბატონს და ისიც ერთგულებითვის ჯეროვან გასამრჯელოს მიაგებდა. მაგრამ, როგორც ყველა დანარჩენ აჩრდილს, როჯერ ჩილინგუორთსაც იმდენად შევეთვისე, რომ გადავწყვიტე, მის მიმართ შემწყნარებლობა გამოვიჩინო. თუ კარგად დავაკვირდებით და ჩავეძიებით, შეიძლება მეტად საგულისხმო დასკვნამდე მივიდეთ, რომ საბოლოოდ, სიყვარულსა და სიძულვილს ერთი წარმომავლობა აქვთ. იმისათვის, რომ განვითარდეს, ორივე მათგანი დიდ გულისხმიერებას მოითხოვს; ორივე მათგანი აიძულებს კაცს, რომ თავისი სულიერი მდგომარეობა და გრძნობები სხვა არსებას დაუმორჩილოს. მგზებარე მოძულე არანაკლებ, ვიდრე მგზნებარე შეყვარებული, თუკი მის გრძნობას არ იზიარებენ, გასაცოდავებული და გამოცარიელებული რჩება. ასე რომ, თუკი ფილოსოფიური თვალსაზრისით შევხედავთ, ორივე ეს ვნება ერთი და იმავე წარმოშობისაა, ოღონდ პირველი მათგანი ღვთიური მადლითაა გაბრწყინებული, ხოლო მეორე კი ბნელითაა მოცული და პირქუში ელვარება გადაჰკრავს. სულების სამყაროში მოხუც ექიმსა და მღვდელს – ურთიერთის მსხვერპლად ქცეულთ – ეგებ თავიანთი ამქვეყნიური მძულვარება და ზიზღი ყველაზე წმინდა სიყვარულზე გაეცვალათ.

მაგრამ, მოდით, ეს მსჯელობა გვერდზე გადავდოთ და მკითხველს ვუამბოთ, როგორ დასრულდა ჩვენი ამბავი. მოხუცი რო-

ჯერ ჩილინგუორთის გარდაცვალების შემდეგ (მან იმავე წელს განუტევა სული), მისი უკანასკნელი ნება-სურვილის თანახმად, ანდერძის აღმასრულებლებმა, გუბერნატორმა ბელინგემმა და ღირსმა მამა უილსონმა, დიდძალი ქონება, რომელსაც ექიმი არა მხოლოდ აქ, არამედ ინგლისშიც ფლობდა, პატარა პერლს, ჰესტერ პრინის ქალიშვილს, გადასცეს.

ამგვარად, პერლი – ჭინკა-გოგო – რომელზეც მისი მრავალი თანამედროვე დაბეჯითებით ამტკიცებდა, ეშმაკის ნაშიერიაო – ახალი ინგლისის უმდიდრეს მემკვიდრედ იქცა. საფიქრებელია, რომ მისი მატერიალური მდგომარეობის ცვლილება საზოგადოების დამოკიდებულებასაც გადაასხვაფერებდა და თუკი დედა-შვილი ბოსტონში დარჩებოდა, გასათხოვრად შეღერებული პერლი ყველაზე ღვთისმოსავი პურიტანის შთამომავალს შეურევდა სისხლს. მაგრამ ექიმის გარდაცვალებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ ალისფერდამღიანი ქალი გაუჩინარდა და პატარა პერლიც თან წაიყოლა. მრავალი წლის განმავლობაში ოკეანის მიღმიდან აქა-იქ თუ აღწევდა ცნობები დედა-შვილის შესახებ – როგორც ინიციალებამოკვეთილი, დაცურებული ხეები ტივტივებენ სანაპიროს სიახლოვეს – თუმცაღა მათ შორის ერთიც არ ერია ისეთი, რომელშიც მსმენელი ეჭვს ვერ შეიტანდა. ისტორია ალისფერი დამღის შესახებ ლეგენდად იქცა, მაგრამ მისი ჯადო კვლავაც მოქმედებდა ადამიანებზე და ფიცარნაგიც, რომელზედაც საბრალო მღვდელს აღმოხდა სული, ხალხს ისევე ძველებურად აძრწუნებდა, როგორც ის ზღვისპირა ქოხი, რომელშიც ჰესტერ პრინს ედო ბინა. ერთ შუადღეს ამ ქოხის კართან შორიახლოს მოთამაშე ბავშვებმა ნაცრისფერი ტანსაცმლით შემოსილი მაღალი ქალი დაინახეს. მთელი ამ წლების განმავლობაში ქოხის კარი არავის გაუღია; ქალმა კი ან გასაღები მოარგო საკეტს, ან დამპალი ხე იოლად დაჰყვა მის ხელს, ანდა ეგებ ანჯამებს შორის აჩრდილივით შესხლტა, – მოკლედ, ასე იყო თუ ისე, სახლში შეაღწია.

პარმაღთან იგი შეჩერდა და სანახევროდ შემოტრიალდა – ეგებ იმისმა გაფიქრებამ, რომ სრულიად მარტო და სრულიად გამოცვლილი უნდა შესულიყო იმ სახლში, რომელშიც მღელვარებით სავსე ძველი ცხოვრება გაატარა, ისეთი შეძრწუნება და სევდა მოჰგვარა, რომ ამის ატანა მასაც კი არ შეეძლო. მაგრამ ქალის ყოყმანი მხოლოდ ერთ წუთს გაგრძელდა, ზუსტად იმდენ ხანს, რამდენიც მის გულისპირზე ამოქარგული ალისფერი ასოს შესამჩნევად იყო საჭირო.

როგორც ჩანს, ჰესტერ პრინი დაბრუნდა და კვლავ იტვირთა თავისი დიდი ხნის წინ მიტოვებული სირცხვილი. მაგრამ სად იყო პატარა პერლი? თუკი იგი კვლავ დააბიჯებდა დედამიწაზე, ახლა ყმაწვილქალობის გაფურჩქნული გაზაფხული უნდა სდგომოდა. არავინ უწყოდა – და ვერც მოგვიანებით შეიტყვეს დარწმუნებით – ჭინკა-გოგო ნაადრევად ჩაწვა ქალწულის განსასვენებელში თუ სათუთმა ქალურმა ბედნიერებამ შეარბილა და მოათვინიერა მისი ველური, ახირებული ბუნება. მაგრამ ჰესტერის მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში აშკარა გახლდათ, რომ ალისფერდამღიანი განდეგილი ოკეანის გადაღმა ვიღაცას ძალიან უყვარდა და თავს ევლებოდა. მოდიოდა წერილები ზედ ღერბიანი ბეჭდით, თუმცაღა ინგლისური ჰერალდიკისათვის უცნობი ფიგურებით. ქოხშიც მრავლად ნახავდით ფუფუნების საგანს, რომლებიც ჰესტერ პრინს არაფერში სჭირდებოდა, მაგრამ რომელთა შეძენაც მხოლოდ სავსე ქისას შეეძლო, ხოლო მოძღვნა კი – სიყვარულით სავსე გულს. აქვე ნახავდით სამშვენისებსაც, პატარ-პატარა ნაქარგობებს, მუდმივი ხსოვნის მშვენიერ სიმბოლოებს, რომელთა შექმნასაც თლილ თითებს სიყვარულით სავსე გული უკარნახებს. და ერთხელაც ჰესტერს იმ დროს შეუსწრეს, როდესაც ბავშვის ტანსაცმელს ქარგავდა, ისე უხვად იყენებდა ოქროს სირმას, რომ მას, ვინც თავის პატარას ამ პირქუში საზოგადოების წინაშე ამ პერანგით მორთულს გამოაჩენდა, სახალხო შეჩვენება არ ასცდებოდა.

მოკლედ რომ მოვჭრათ, იმდროინდელ მეჭორეებსაც სჯეროდათ და მისტერ სერვეიორ პიუსაც, რომელიც საუკუნის შემდეგ იკვლევდა ამ ამბავს, სწამდა – და მეც, მისი საქმის ახლანდელ გამგრძელებელს ეჭვი არ მეპარება ამაში – რომ პერლი არა მხოლოდ ცოცხალი დარჩა, არამედ დაქორწინდა, ბედნიერი იყო და მუდამ ზრუნავდა თავის დედაზე, ისე რომ საღამოობით ცეცხლის პირასაც დიდი სიამოვნებით გაართობდა ხოლმე ამ სევდიანსა და მარტოსულ ქალს.

მაგრამ ჰესტერ პრინის ნამდვილი ცხოვრება აქ, ახალ ინგლისში, უფრო იყო, ვიდრე იმ უცხო მხარეში, სადაც პერლმა დაიდო ბინა. აქ იყო მისი ცოდვა, მისი ნაღველი და აქვე უნდა ყოფილიყო მისი სასჯელიც. ამიტომაც იგი დაბრუნდა და საკუთარი ნება-სურვილით – რადგან იმ რკინისებური პერიოდის უმკაცრესი მსაჯულიც კი ვეღარ აიძულებდა ამას – განაგრძო ტარება სიმბოლოსი, რომელიც დია პირქუშ თავგადასავალთან იყო დაკავშირებული. და ამის მერე ალისფერი დამღა აღარასოდეს მოშორებია ქალის მკერდს. მაგრამ გადიოდა ჰესტერის ცხოვრების შრომით, ფიქრითა და თავგანწირვით სავსე წლები და ალისფერი ასოც უკვე აღარ იყო ის სტიგმა, რომელიც სამყაროს დაცინვასა და კიცხვას მოუტანდა მის მფლობელს, სანაცვლოდ იგი იქცა სიმბოლოდ, რომელსაც ხალხი ნაღვლითა და კრძალვით, თუმცა, ამავდროულად, მოწიწებითაც შესცქერის. და რაკიღა ჰესტერ პრინს ეგოისტური განზრახვები არ ჰქონდა და არც რამე სარგებელსა თუ სიამეს ეძიებდა ამ ცხოვრებაში, ადამიანები მთელ თავიანთ ნაღველსა თუ სადარდებელს ანდობდნენ და სთხოვდნენ რჩევას მას, როგორც მრავალჭირნახულ ადამიანს. განსაკუთრებით ქალები – რომლებიც ისევ და ისევ ფუჭი, მტკივნეული, გაწბილებული, უადგილო, გზასაცდენილი თუ ცოდვილი ვნების ხათაბალაში ეხვეოდნენ – ანდა კაცების უსიყვარულობისა და უნდომლობისაგან გაბერწებული გული მძიმე ტვირთად დასწოლოდათ – მიდიოდნენ ჰესტერის ქოხში, შესჩიოდნენ მას თავიანთ უბედურებას და წამალს სთხოვდნენ! განკვეთილი კი მათ მთელი მონდომებით ამშვიდებდა და არიგებდა. უბედურ ქალებს უზიარებდა თავის მტკიცე რწმენას, რომ, როდესაც უკეთესი დრო დადგებოდა და შემოქმედის ნებით სამყარო ამისათვის მომწიფდებოდა, თავს იჩენდა ახალი ჭეშმარიტება, რომლის მიხედვითაც ქალისა და კაცის ურთიერთობა დაემყარებოდა ამჟამინდელზე უფრო საიმედო საძირკველს – ორმხრივ ბედნიერებას. უწინ ჰესტერ პრინს ხშირად წამოუვლიდა ხოლმე ფუჭი იმედი, რომ თავად შეიძლებოდა ქცეულიყო ამ ახალი სამყაროს ღვთისგან ხელდასხმულ მესიად. მაგრამ დიდი ხანია მიხვდა, რომ ღმერთი ღვთიური და იდუმალი ჭეშმარიტების გაცხადებას ცოდვით დაღდასმულ, სირცხვილით თავჩაღუნულ და სიკვდილამდე ნაღვლით დამძიმებულ ქალს არ მიანდობდა. მოახლოებული გარდაქმნის მახარებელი თუ მოციქული აუცილებლად მდედრი იქნებოდა, ოღონდ წარჩინებული, უმანკო და მშვენიერი, და, ამასთანავე, დაბრძენებულიც, ოღონდ არა პირქუში სადარდებლით, არამედ ჰაეროვანი სიხარულის მეშვეობით; და იგი თავისი ბოლომდე უხინჯო ცხოვრებით უჩვენებდა სამყაროს, როგორი ბედნიერების მოტანა შეუძლია წმინდა სიყვარულს.

იტყოდა ამას ჰესტერ პრინი და ალისფერ დამღაზე ნაღვლიანად დაიხედავდა. და მრავალი, მრავალი წლის შემდეგ სასაფლაოზე, რომელზეც მოგვიანებით კინგს ჩაპელის ეკლესია აშენდა, ძველი და ჩავარდნილი საფლავის მახლობლად ახალი სამარე გათხარეს, თუმცა მათ შორის მაინც დატოვეს მცირეოდენი ადგილი, თითქოს იმის გამო, რომ ორი ნეშტისთვის ნება არ მიეცათ მათი მტვერი ერთმანეთს შერეოდა. თუმცაღა ქვა კი ამ ორ საფლავს საერთო ერგო. მათ გარშემო ყველგან გერბებამოკვეთილი მონუმენტები იყო აღმართული; მათ უბრალო

ფიქალის ლოდზე კი – ცნობისმოყვარე გამვლელმა შეიძლება ჯერ კიდევ შეამჩნიოს და თავსატეხადაც ექცეს იგი – მოჩანდა რაღაც, რაც ერთი შეხედვით, გერბს ჰგავდა. ზედ კი ჰერალდიკური წარწერა ეტყობოდა, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ დევიზად და მოკლე აღწერად ჩვენი აწდასრულებული ლეგენდისა; რადგან მასავით პირქუშია და ნათელს ჰფენს ერთადერთი მარადმოელვარე წერტილი, თვით ჩრდილზე უფრო მოქუფრული:

„ფონი – შავი, ასო A – ალისფრად“.

სარჩევი

საბაჟო: შესავალი „ალისფერი დამღისათვის“	3
1. სატუსაღოს კარი	55
2. ბაზრის მოედანი	57
3. აღიარება	70
4. პირისპირ	82
5. ჰესტერის ნემსი	91
6. პერლი	104
7. გუბერნატორის მისაღები	117
8. მღვდელი და ჭინკა-გოგო	126
9. მკურნალი	137
10. მკურნალი და პაციენტი	151
11. გულის შიგნითა მხარე	164
12. მოძღვრის მღვიძარება	174
13. კიდევ ერთხელ ჰესტერის შესახებ	189
14. ჰესტერი და ექიმი	200
15. ჰესტერი და პერლი	209
16. ტყეში გასეირნება	218
17. ღვთისმსახური და მისი სულიერი შვილი	227
18. მზის სხივების ნიაღვარი	240
19. ბავშვი ნაკადულის მეორე ნაპირზე	248
20. თავგზააბნეული მღვდელი	257
21. ახალი ინგლისის დღესასწაული	272
22. მსვლელობა	284
23. ალისფერი დამღის გამოააშკარავება	298
24. დასასრული	310

გამომცემლობა **ინტელექტი**
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 5.
ტელ./ფაქსი: 225 05 22, 291 22 83.
www.intelekti.ge info@intelekti.ge

თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6
☎ 214 34 01, 577 33 38 57
stamba.damani@gmail.com
f სტამბა დამანი / Print House Damani

„ალისფერი დამღა" ცნობილი ამერიკელი რომანტიკოსი მწერლის, ნათანიელ ჰოთორნის რომანია, რომელმაც ავტორს დიდი სახელი მოუხვეჭა სამშობლოში და დროთა განმავლობაში ამერიკული ლიტერატურის კლასიკად იქცა.

წიგნი 1850 წელს გამოიცა და მაშინვე მოიპოვა საქვეყნო აღიარება. ის ეხება აკრძალული სიყვარულის, საზოგადოებასთან დაპირისპირების, დანაშაულისა და სასჯელის თემებს. რომანი მრავალჯერ აკრძალეს სხვადასხვა ქვეყანასა და ეპოქაში (მათ შორის, ცარისტულ რუსეთშიც), როგორც უხამსი და საზოგადოებრივი მორალის შეურაცხმყოფელი, რადგან ავტორის სიმპათია აშკარად ეკუთვნის მთავარ პერსონაჟს – ქალს, რომელმაც მღვდელთან გააბა სასიყვარულო ურთიერთობა და ამით მთელ პურიტანულ საზოგადოებას დაუპირისპირდა.

ISBN 978-9941-476-28-0

ინტელექტი